UDC(უაკ) 050(479.22) ISSN 2233-3312
ა-376

ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემია

ათინათი

2020 / 4 / (38)

თბილისი
2020

ძლეთის წმინდა გიორგი

ხატმწერი: **გიორგი ლარიაშვილი**



წმინდა მოციქული იაკობ ალფესი

ხატმწერები: **ხატია** და **გიორგი ლარიაშვილები**



წმინდა პეტრე მოციქული

ხატმწერები: **ხატია** და **გიორგი ლარიაშვილები**

წმინდა ანდრია პირველწოდებული

ხატმწერები: **ხატია** და **გიორგი ლარიაშვილები**



მამა გაბრიელ

მამა გაბრიელ,გაანათე ჩვენი გონება.
მამა გაბრიელ,დაგვანახე ცხოვრების არსი.
მამა გაბრიელ, არ იწამებ, არ გეგონება,
თუ როგორ გახდა ეს ცხოვრება ტყუილი, ფარსი.
მამა გაბრიელ,ხომ ლოცულობ საქართველოსთვის,
მამა გაბრიელ, არ დატოვო უვიცთა ხროვაც.
მცირედ დარჩენილთ მართალი გზაც აღარ გამოსდით
და ზოგს ჯობია ჭუჭყიანი ძონძების გროვაც.
მამა გაბრიელ შეიწყალე ქართველი ერი.
წამებულ გზაზე ხომ იარე ჩვენთვის მოძღვარო.
ჩვენ გამოგყვებით,როგორც შენი ბილიკის მტვერი.
შენ კი ეცადე სარეველა ძირში მოთხარო.
მამა გაბრიელ, შენი სულის ნაწილად ვცოცხლობთ
და შენს იმედად ძლიერდება სული მოკვდავთა.
შენს სადიდებლად სიყვარულს და სიმშვიდეს მოგთხოვთ
და დავიჩოქებთ ყველა ტაძრის ყველა მოძღვართან.

ნანა მომცელიძე



უწმინდესი და უნეტარესი,
საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II

ჩემს პატრიარქს

საქართველოს შეუცვლელო გულო.
პატრიარქო, დალოცვილო ზენით.
როგორ მინდა ყველამ გიერთგულოთ
და მოგართვათ სინანული ხელით.
პატრიარქო, ფესვმაგარო მუხავ,
საქართველოს დალოცვილო შვილო.
აქ,ხანდახან, მუმლი ფესვებს უხრავს,
მაგრამ შენით გადარჩენას ცდილობს.
შენ ბურჯი ხარ საქართველოს ღერძის.
შენ ვენახი მსხმოიარე გართობს.
ჩვენი ცოდვა გოლგოთაზე გელის,
მაგრამ გულში ჩვენს სიყვარულს არ თმობ.

პატრიარქო,საქართველოს გულო,
პატრიარქო, საქართველოს ზენავ.
გადამრჩენო უწმინდესო სულო,
შენს იმედად გადარჩენას ვხედავ.
მინდა იყო მუდამ ჩვენი მწყემსი,
მინდა იყო მუდამ ჩვენი ფარი.
შენს მადლს ქვეყნად ვერაფერი შეცვლის,
შენით ქართველთ გვაქვს სამოთხის კარი.
საქართველოს შეუცვლელო გულო,
პატრიარქო,დალოცვილო ზენით.
როგორ მინდა ყველამ გიერთგულოთ
და მოგართვათ სინანული ხელით.

ნანა მომცელიძე



მამა ამირან ამირანაშვილს

მამა ამირან, თქვენ უფალმა გირჩიათ მწყემსად.
თქვენი ლოცვებით გსურთ დაიხსნათ მგელთაგან კრავნი.
თქვენი მრევლისთვის მუდამ დგახართ ფარად და ღმერთად,
არ მეგულება თქვენს სამწყსოში ბოროტი არვინ.
თქვენ სიყვარულის და სიმშვიდის სიზმარში ცხოვრობთ.
თქვენ ზედ დაგნათით უფლის მადლი,მისი ნათელი.
წარსულში თუკი მსახიობი იყავით მხოლოდ,
ახლა თქვენს სულში მუდამ იწვის წმინდა სანთელი.
უფალო ღმერთო,დაიფარე ასეთი მწყემსი.
უფალო ღმერთო,მუდამ ქონდეს ძალა ღვთიური.
მისთვის არსებობს გზა სიწმინდის და ზეცას ღმერთი,
ჩვენც მოგვანიჭე მისი მადლი,მადლი ციური.

ნანა მომცელიძე



გულნაზ ხარაიშვილი

ეს თვეები ფოთოლცვენით გავიდა,
თოთო კვირტი, ქარმა ბევრი მოწყვიტა,
დაისია, მზე ისედაც ჩავიდა,
ბედის ქართან შერკინება მომწყინდა.

მან მომწყვიტა მკერდზე ოქროს ღილები,
მთელი წელი, სევდა შემომახვია,
დამიბრუნოს გარდაცვლილი შვილები,
სხვისი შვილიც ამ ჩემს გულში მარხია.

გულნაზ ხარაიშვილი
ჟურნალ „ათინათის“ მთავარი რედაქტორი
ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა
მრავალპროფილიანი საერთაშორისო
აკადემიის პრეზიდენტი

პოეზია

მაყვალა გონაშვილი

მრუდე სარკეების სამეფო

დამიფლითეს მიწა ქრისტეს პერანგივით,
მტერმა კიდევ როგორ უნდა დამამცირეს?
ვცხოვრობ მრუდე სარკეების სამეფოში,
აღარ ვიცი, ვიტირო თუ გავიცინო?!

ჟამი ჟამობს უჟმური და ფერწასული,
და იჭვებით დანაღმულა ფიქრის ველი,
მტერთან ასე როგორ დაფრთხა ჩვენი მეფე,
ქართველითა ქართველისა შემმუსვრელი.

ეშმა მიქრობს ვარსკვლავების ქორაკანდელს,
მტეხავს მაჯა მთვარის ქიმზე დანასერი.
ამ ჩემს ტკივილს რას გაიგებს ჩვენი მეფე,
ქართველითა ქართველისა შემმუსვრელი.

თუ ლაღი ვარ, რად დავკარგე სიამაყე?
თუკი ვმღერი, უპეები რად მაქვს სველი?
გაშლილ ველზე ქარებს დასდევს ჩვენი მეფე,
ქართველითა ქართველისა შემმუსვრელი.

წვეთ-წვეთობით, როგორც წყალი საცერიდან,
ასე ცრემლ-ცრემლ გაილია ძველი ერი.
უდარდელად იღიმება ჩვენი მეფე,
ქართველითა ქართველისა შემმუსვრელი.

თოჯინების სახელმწიფო

ნეტა, ვისი ხელი გმართავთ
ხისთავიან კაცუნებს,
ხმა უცხოა, რიხი უნდო,
თქვენ ტუჩებს აცმაცუნებთ.
ვერას ხედავთ, ვერვის ამჩნევთ,
ასე ვინ გაგიმეტათ?
და კვლავ ვრჩები გათოშილი
ბეღურების იმედად.
ვინ გიწოდათ თოჯინები
შუშისთვალა მაცილებს?
თუ ხისა ხართ, როგორ აფრქვევთ
სიძულვილის ბაცილებს?
როცა წამით ხის კაცები
ხის ტახტებზე ისვენებთ,
რომელ ხისგან გამოგთალეს,
ნეტა, თუ გაიხსენებთ?
რომელ ტანჯულ მიწას შერჩა
თქვენი ძელქვა ფესვები?
თუ წამომცდა, ვაი, დედა,
ზიზღით შემომესევით.
ან რა ერქვა იმ ფაბრიკას
თქვენ რომ ასე გაგთალათ?
ზოგი მუნჯი, ზოგი გონჯი,
ზოგი კიდევ ცალთვალა.
დამღა გადევთ უცხოური
ქართულ ხისგან გათლილებს,
ხე ჩემია, ჩემი მიწის,
მე ეს მიწა მატირებს.
ნეტავი თქვენ, კაცუნებო,
თქვენს ფუჭ ფუსფუსს შევნატრი.
თოჯინების სახელმწიფო,
სახელმწიფო თეატრი.

ეს მე ვარ, დავარ...

მას სიბრძნისა სასწავლებლად
თვით მეფემან მისცა შვილი
შოთა რუსთაველი

სახელად მქვია მე დავარ!
დიდი ხელმწიფის და ვარ.
ვისთვის გულქვა და ზვიადი,
ვისთვის მე სიბრძნის ზღვა ვარ
და უთენარო სოფელში
მრუმე ჯანღივით დავალ.
არ მომასვენა ცოდვებმა
მდია ნადირის გეშით,
სამოთხის კარს ვინ გამიღებს,
უსიყვარულოდ შეშლილს?
შევრჩი ჯოჯოხეთს, ჯოჯო ხეს
ცრემლებს ვაპკურებ პეშვით.
აქ მზე არ მზეობს, უკუნეთს
გაჰკვეთავს მთვარის ეშვი,
დგას ჩემში დიდი ტკივილი,
ვით მიწის ძალა ხეში,
მე სიბრძნის ყველა წიგნს გავცვლი
მიჯნურთა სიშლეგეში.
მახსოვს ხელმწიფის მუქარა,
აქაც ჩამესმის ის ხმა,
ქაჯებმა ვერა დამაკლეს,
გამწირა ჩემმა სისხლმა,
უსიყვარულოდ სიბრძნის ხე
რა მწარე ნაყოფს ისხამს.
განა სულ ასეთი ვიყავ,
ვით ნაავდრალი ზეცა,
ერთ დროს მეც ვიყავ მზის სწორი,
მეც გაზაფხული მეცვა.
ცრუ და მუხთალმა სოფელმა
მალე მიცვალა სახე,
დამცინა წერა-მწერალმა
ქაჯებთან მეინახემ,
ფერადი ჭიჭნაურები
სკივრებში გადავნახე,
სულ წყევლა-ცრემლით დავკემსე
ღამე-ქვრივთათვის მახე.
გული ჰგავს გამსკდარ ბრონწეულს,
წამით დამადეთ ხელი,
მე რა ბრალი მაქვს, სოფელი
იყო ავისა მქმნელი.
წიგნს შევრჩი გახსნილ ჭრილობად,
როგორც ღაწვს ცრემლი, სველი.
ეს მე ვარ დავარ, მეფის და,
ერთ დროს ბრძენი და ქველი.

ათასმეორე ღამე

სამსალანარევს რად სვამ შარბათს ყოფის ჯამიდან,
მის ფსკერზე როდი ილექება ჩვენი წარსული,
მუდამ თან დაგვდევს, როგორც სისხლის ჯადო-შელოცვა
თვალის უპეზე ნემსის წვერით ამოკაწრული.
ქალს ეძებდი და ჩამოგემსხვრა ნეკნი მრავალი,
მარცვლე ამაოდ ვარსკვლავების კრიალოსანი,
ყური დამიგდე, დავამღერებ ისეთ ბეითებს,
რომ გაოცდება დუნიაზე ყველა მგოსანი.
რით განუგეშო? ხომ გაკმიე სიტყვების საბრი?
შენთვის ვაკვნესე, ავატირე უდი და ჩანგი,
და როგორც ღამის ფარფალია, თუმც შიშით ვკრთოდი,
სანთლების შუქზე ფრთებგაშლილი, თამამი ვჩანდი.
მომენდე გულით, საუკუნო როდია ჭმუნვა,
წარმავალია მწუხარებაც სიხარულივით,
მე კი მრავალი ღამე სიტყვის გასვი ბადაგი,
მუცლით მეზღაპრედ გადავიქეცი შენი გულისთვის.
ზეცის ზეწარი გავშალე და მოგესურვილე
და წუთით მაინც დაგავიწყე წუთისოფელი,
იქნებ მომენდო და დამინდო და დამებედო,
რადგან ცხოვრება იფრითია დაუნდობელი.
რომ არ მოგეკალ, წყაროსავით გიკლავდი წყურვილს,
ღამე წიგნივით ვფურცლე, ვფურცლე და არ გათავდა,
მე კი გავთავდი, დავილიე, როგორც სანთელი,
სანამ მზე ზეცის ლურჯ მინდორზე ამოთავთავდა.
გაქრა შიში და ტანჯვის გზებით მეწვია სიბრძნე: □
გრძნეული ქალი ააცეკვებ ავსულს, შეითანს,
თუკი იპოვე ცხოვრებაში შენივე თავი,
თუკი შესძელი, თავი შენი თავად შეიცან...
თუმც ყველა ქალი როდი არის ღირსი დანდობის,
თუმც ყველა კაცი ერთგულების როდია ღირსი,
რად უნდა ქება ბრძენს, ისედაც არის ქებული,
ბოროტს სასჯელად ბოროტებაც ეყოფა თვისი.
სხვა რაღა გითხრა, ისეც ბევრი სიტყვა დავხარჯე,
კმაყოფილი ხარ ათასერთი ღამით ძლეული.
სიტყვის პერანგი ჩაგაცვი და სიტყვით მოგნუსხე,
ჩემი ხარ მთელი სულითა და მთელი სხეულით.
მე კი კვლავ მაკრთობს ათასმეერთე ღამე □ გიშერი,
ცაზე ხმალივით კრთოდა მთვარე, ვერ ვიძინებდი,
უკვე მომენდე და ალაჰიც ვეღარ გიშველის...
ათასმეორე ღამე დადგა შურისძიების!

ეთერ ჭელიძე

ძველი ჩანთა!

ძველი ჩანთის ჯიბე თურმე
ინახავდა ძველ ბარათებს,
- სიყვარული არ ძალგიძსო
ახლობლებმა ბრალი დამდეს...
ალბათ ჩემდა უნებურად
იქ წარსულის სუნთქვა ჩავდე...
რადგან მარტო ჩემი იყო
სხვას ვერავის ვეღარ ვანდე...
გულს ვუკმიე მოთმინება
სიალალის ბადე ვქარგე,
გულწრფელობის ლაბირინთში
გული როგორ მივაკარგე…
ახლა ვხედავ თეთრ მწვერვალებს
უთოვლებოდ გადაბარდნილს,
წაუღია დროის მწევარს,
რაც ღირდა და ახლა არ ღირს...
გულმა რეჩხი იგრძნო როცა
გაიშალა თვალწინ წლები,
ვეთამაშე ბედის მსტოვარს
ხან ვქრები და ხან ვინთები...
დაიცალა ძველი ჩანთა
გაცვეთილი ბარათების,
ფერფლი ლაჟვარდს მიეკალთა
მზე უცქერდა დანანებით!..

ვინ ვარ!...

ქართველობა ნიჭიაო
უთქვამს ბრძენ კაცს ა რ ა კ ი ს ა დ,
სინდისის ხმა იწონების
გულს თუ ავსებს, არა ქისას...
ქართველობა სიმაგრეა
ციხისა და არა ფაცხის,
ახლა ისეთ გმირებს მოვთვლი
ისტორიას ფაფარს ვარცხნის!
ქართულ ენის ალფავიტი
მარგალიტის მძივებია
მთვარის კავზე ვკონწიალობ
არც არასდროს მძინებია...
ჰო და არა, ვინ ვარ, რა ვარ,
დიდგორელთა გორისავარ
ბასიანის სისხლის წვეთში
მტერი ღმუის გულსაკლავად,
ოცდა ექვსი კომისრის და
სამასარაგველთა დამღა
დროის ჭილოფს მუქად გასდევს
და ღირსება გზას მიკვალავს,
ჩუ, კრწანისის მოცელილ ველს
ყაყაჩოებს სისხლი ჭორფლავს,
მარტყოფელთა ხმალნაკრავი
ხმალი ნაპერწკლებით ბოლთავს!
ჰოდა გეტყვით, ის ვარ ვინაც
ისტორია სიხლით ზიდა,
მაგრამ შინა შუღლი, შური
ვერაფრით ვერ ამოძირკვა...
თავს ვერ ვაღწევ შადიმანებს
ძმად ყოფილი, მტრულად მგესლავს
ოქროს დიდემისათვის
ძმა, ძმის საკლავ მახვილს ლესავს!
ჰაი, რამდენს და რას არა,
გაუძელი, უძლებ დღესაც,
ერთი მუჭა ერის ხმა ვარ
ეს ხმაც ვეღარ მომიმწყემსავს!...
ქართველობა ნიჭიაო
უთქვამს ბრძენ კაცს არაკისად
სინდისის ხმა იწონების
ერს თუ არგებს, არა ქისას...

***

ის, რაც გგონია არის მართალი,
სულ მარტივია იყოს ტყუილი...
იქნება გჯერა მღერის ქათამი
კატა ლომს გაძავს რადგან ღმუილში?
ის, რაც გგონია არის მართალი,
სულ ადვილია იყოს ნამდვილი,
რადგან ცოდვების ჩამონათვალში
არეულია დრო და მანძილი?!
ის რაც გგონია, არის ტყუილი,
არ დაიჯერო, არის ადვილი...
რადგან პირჯვარის გადასახვაში
ხარ მოწამე და, თანაც, ნამდვილი!
და მეც მგონია, არ ვარ მართალი
რომ „უცოდველი“ მჯერა ტყუილი...
კატა ვერ შეიქმს, ლომის სარდალი,
ვერ მანუგეშებს, მწერთა გზუილი!!!
...რადგან გგონია არის მართალი,
სულ ადვილია იყოს ტყუილი....

საშემოდგომო მოწვევა...

ბევრი რომ არ გავაგრძელო
სიყვარულის რთველში გიწვევთ,
მარცვალ-მარცვალ საწნახელში
იფათურებს მუზა ვიდრე,
გულს გაგიშლით, სავსე სუფრას
არ მოვაკლებ პურს და მარილს,
შეუშინდე, ნეტავ ვინთქვა,
ფოთოლცვენის ფერთა ქადილს...
არასოდეს, ჭურმარანში
საკეთილო კოცონს ვანთებ
და ცხელ-ცხელი ლავაშები
გულის თონეს ახლა ჩავდე...
მასპინძლობას გთავაზობთ და
სიყვარულის რთველში გიწვევთ,
სანამ ყვითელ შემოდგომებს
შერჩენიათ მახვშის სიბრძნე..

შენდობას ვითხოვ!...

ფრიდონ ნიჟარაძეს!

ღრუბელი ჩამოიშალა,
ცა ჩამოდინდა წვიმად,
გატეხილია ფუნჯი,
ტილოს ბათქაში სცვივა...
მოწყენილია შხარა,
კოშკმა დადრიკა თავი,
ისმის ლილეოს გმინვა
ხმა შერყეული ზარი!

ჩაიწვერება მთვარე,
დამარცხებული ბინდის...
ღრმა შედევრების ფონი,
ისევ ამარცხებს სიკვდილს,
ახალ ეპოქას ფურცლავს
შენი ფუნჯი და სიტყვა,
გენიავ ამა სოფლის,
ამეტყველებ მუნჯსაც...

ვწუხ, ვერ შევძელი რადგან
შენი ვარსკვლავის ხილვა,
შენი ფუნჯის და კალმის
ყოველი შტრიხი მტკივა...
ჯერაც ვერ ახსნილ ფერთა,
მზედ განბანილი სიბრძნე
და კალმახების ჯვარით,
მტრედი და გველი იხმე...

აამეტყველე ციურ
განზომილების სახლი,
ისე ჩაგთვლიმა ამა-
ცრუ-საწუთრ-მწუხრით დაღლილს...
გარდაცვალება შენი ,
არა, არ ნიშნავს სიკვდილს!
შენ ჯვრით შეჰკარი მრწამსი,
ზეციურის და მიწის.

გადმოდინდება თვალთა
გუბეებიდან ტბები...
არწივი მოგდევს მაყრად,
ახლა დაცვენილ ფრთეებით.
შენი არსობით უკვე
ღმერთთან წახვედი ჩემო,
უზენაესი ნიჭით თვითონ
სამყარო გჩემობს,
მუხლს მოიყრიან ვიცი,
ვარსკვლავთა დასი შენთან
შენდობას ვითხოვ კრძალვით,
ვერ ვთქვი, რაც უნდა მეთქვა...

***

ვით ქარის ყანას მიყრილ თავთავებს,
ისე ვაგროვებ ქართულ ერთობას...
და მტრად მოსული ჩვენი მოყვარე
ჩვენი თამაშის წესით ერთობა!
ვფურცლავ იგავად ნაწერ გმირობას
და ყველა გვირგვინს დაფნის ნათავებს,
ვერ გამიგია სად იწყებოდა
დიდებისა და მარცხის სათავე?!..

დრომ არ შეგაშინოს...

იქნებ გაიხადო კაბა სევდის ფერი,
თეთრად დანათოვლი თმები შეიმშრალო,
დრომ არ შეგაშინოს ცოტაც გაუძელით
შენთვის უკადრისი რომ არ შეიყვარო.
იქნებ დაივიწყო გზიდან მოყოლილი
თეთრი ფანტელების მელანქოლიები,
ისევ გაიფერნენ ტალღის ჩანჩქერებზე
ოდეს დაკარგული ლურჯი თოლიები.
იქნებ გადიყაროს მზემაც თალხისფერი,
ოქროს მაქმანებით კაბა მომიქარგო,
სევდა შერეული გრძნობის ნარჩენები
შენთვის უკადრისი რომ არ შეიყვარო!!

10.11.2020წ

***

გული დაძებნე გულში
სიკეთის მთესველს ენდე,
თუ გაწყენინეს გუშინ
ქარს გააყოლე დღესვე..
ავდარს ხომ მოსდევს დარი,
ცვარი ღიმილობს მზეზე,
ვით წუთისოფლის მგზავრი
ბედს ნუ შემოდებ სხვენზე,
სიტყვა შეკარი კონად
ოქროს თასმებით ქარგე,
ენდე გაბზარულ ქოთანს
შიგ სიყვარული ჩარგე...
გული ეძებე გულში
მტრობა სიკეთეს არბევს,
გული გატკინეს გუშინ?
გზა აღარ კარგავს სანთელს!...

***

ნუ დააგდებ ნამუსის ქუდს
უნამუსოს კარებთან,
ის, ქრისტეს გზას ვერ იპოვნის
ვინც სიცრუეს დანებდა...
შეეხიდე უჭირს ვისაც
გულითა და გონებით,
არასოდეს იზომება
კაცის შუბლი ქონებით...
მდაბიოთა სულის გზაზე
იქნებ გკაწრავს ეკალი,
მაგრამ მაინც იდიდკაცე
გაუყარე ხელკავი,
შეათბილე შუბლი მისი
თუ ბურუსის მტვერშია,
კაცი, ზოგჯერ გულს გარეთ ზის
და მისი ხსნა შენშია!..

ჯგუფი ზღვარი

სერგი ლომაძე

შედევრი

შავ-თეთრ ნახატში
უამრავ ფერის მკვეთრი შეგრძნება
დაატია ხატვის ოსტატმა.
სწრაფად ვიგრძენი, –
ფანქრით დახატულ ნახატს კი არა,
ფანქრით დაწერილ ლექსს რომ
ვუცქერდი...

იდეალიზმი

დიდ მარტოობას,
შიმშილის ერესს,
არარსებულ ფრთებს,
მიუღწევ მიზნებს,
ის გაიხსენებს
სიკვდილის მერეც,
და სინათლისთვის
იბრძოლებს ისევ.
სისხლისფერ ქუჩებს,
გადაღლილ ფოთლებს,
ცრემლიან თვალებს,
და ახალ ფიფქებს,
ის გაიხსენებს
პირველ და ორ დღეს,
მესამე დღეს კი
დაბრუნდეს იქნებ.
როცა გაქრება
საწყის-სასრული,
უწყვეტი დროის
რჩება დინება,
ადამიანი,
როგორც ჯვარცმული,
მარად იდეად
მოგვევლინება.
დაილეწება
ყველა ჯებირი,
ყველა მდინარე
თვით ცა იქნება...

შემოდგომისფრად

ეს ფოთლებია ჩემი გოლგოთა,
ესაა ზღვაც და გულის ნაპირიც,
ხოდა არ ვიცი, ახლა, როგორ ვთქვა, –
შორს ხარ, თუმცა ვგრძნობ... – ტირილს აპირებ...

ნუთუ დამასწრეს ყოველი რითმა,
ალბათ დამასწრეს... მიმძიმს... როგორ ვთქვა...
შენს გულთან მაინც თრთის ჩემი სიტყვა,
ხოლო ფოთლები არის გოლგოთა...

და თუ ფოთოლთა ეს გააზრებაც
ძველია, როგორც სევდა ობოლთა,
სიყვარული ხომ მაინც ფასდება...
დიახ, – ფოთლები არის გოლგოთა.

კახა ბაციკაძე

ქარვისფერი ექსპერიმენტი

ნისლის გლიასე მთებმა შესრუტეს,
უკვე მეასედ ვეძებ იმ სრუტეს,
ამ სამყაროდან მე რომ გამიყვანს

ცხოვრება – მუდმივი პანდემია...
ცრემლი გემია...
და წაგებული ბევრი სლემია,
მორჩა, M-ია.

ყინულის ნული, ეს თეთრი ხნული,
შიგნით ჩანს განცდა უცხოდ დაწნული.

მზარდი აზარტი, ბედი აზარე,
გული მოგიკვდა? კვლავ გააცოცხლე,
როგორც ლაზარე.

გრძნობას იცავდნენ ფიქრის მხედრები,
დავითხოვე და გრძნობა ვაქარვე,
მიმოვაბროლე ირგვლივ აქ არე.....

გავქვიშავდი, გავწვიმისწვეთდი,
ვარ გაცრეცილი ნახატივით, –
ფერს ვერ ვიმატებ.
არეულია ხშირად კლიმატი,
და ზუსტად ვიცი, სად ჩამისვა
ცხოვრებამ მატი.

აღარც აზარტი, ბედს არ ვაზარებ.
ათასჯერ მოვკვდი და მაინც
ვიღაცა ისევ ამბობს: აღსდექ ლაზარევ....

მეომართათვის

(როცა სული ხმალი ხდება,
გული კი – ფარი...)

მე ვიცი, ისევ მომელის ბრძოლა,
ქრის გიშრისფერი ბედის ფარდები,
ტოტები იწვის, ბუხარი ხრჩოლავს,
სულო ხმალდები, გულო ფარდები.

ჩამობზარულა ყელი თეთნულდის,
ხო, ვერ ვიპოვე ჩემი ადგილი,
თუმც მიხარია, რომ არ გავნულდი,
რომ არ აღმოჩნდა ასე ადვილი

სულის გატეხვა, როგორც გეგმავდნენ,
ვერ ამოქოლეს რწმენის საყდრები...
მე მაინც მივალ ბოლო გემამდე
და ოკეანის სიზმრებს გავყვები...

სამყაროს გადაქცევა პოეზიად

ჩამოწვიმებულ წირვების წინ ვარ
და გრძნობის ტაძრებს გულით ვეხები;
და რაც მანთებდა დიდი ხნის წინათ,
იგივე მხიბლავს, დღესაც, მე, ხედი...

ჩამოშლილია სული ფოთლებად;
ვგრძნობ: შემოდგომა, ახლა, ეს – მე ვარ...
გზას კი ვაგრძელებ სევდის ლოთებთან,
და ვეტრფი, ისევ, ლექსის ესმერალდს.

ჩამოთოვლილი თითების ქროლვა
შემოაბრძანებს აწ მალე ზამთარს.
მელანი მოჩანს მუქ-ლურჯ-ფერ ქორად,
შემკრთალ ფურცელს რომ
ბრჭყალებით ფატრავს...

პოეზია კი ინთება ყველგან...

გიორგი ზუხბაია (ზუხბა)

პასუხი

მე ვრჩები გულად მარადისობის.
სხვა არაფერი მაქვს – ლექსის გარდა.
განა მჯერდა, მუდამ ვიცოდი,
ზუსტად ვიცოდი, სხვებს რისიც სწამდათ.

დამათოვს წმინდა ფერფლი წყვდიადის,
დავიწყებასთან მწყურია შერთვა,
რადგანაც ზღვაც რომ ვყოფილიყავი,
მე ვიცხოვრებდი, მაშინაც, წვეთად.

ნატამალია გზის და ფიქრების –
არაფერიც და სამყაროც თუნდაც.
მთელი ცხოვრება მარტო ვიდექი
და ვსაუბრობდი საკუთარ გულთან.

ცაში სხივები ნისლებს აკმევენ,
გზაა ლაჟვარდთა უღელტეხილთან,
შენ მეკითხები – რატომ დარეკე?
ეს კითხვა მოჰგავს შენ პოეტი ხარ-ს?

თვალები ღვრიან ცრემლთა სიგრილეს.
მხოლოდ შენს ფიქრად ყოფნა მომელტვის.
ჩემი პასუხი არის იგივე, –
სულით ხორცამდე მე ვარ პოეტი!..

ცას

ეს ცა ფერფლია, მზეს ფერფლი აკრავს,
თუმც, ზეცავ, მაინც მოვდივარ შენსკენ.
მკვლელი ვარ, მაგრამ არავის არ ვკლავ,
ვწერ მხოლოდ ლექსებს, მხოლოდ ამ ლექსებს.

სულს ვარსკვლავების ცრემლი დაალტობს,
რადგან ისინი ტირიან ბოლოს.
მოღალატე ვარ, თუმც არ ვღალატობ,
ვწერ მხოლოდ ლექსებს, ამ ლექსებს მხოლოდ.

მზე მათში მაინც გადარჩეს სუფთა,
შეუძლებელი აღმოთქვას დარდმა,
და მე მკვდარი ვარ, თუმც ისევ ვსუნთქავ,
გამოსავალი ვიპოვე რადგან, –

წვეთი ფიქრისა, გზა არნავალი.
ვიპოვე იგი, ვით თვალმა ცრემლი.
თუმც რომ ვიპოვე გამოსავალი,
ის თავის თავის აღმოჩნდა ფერფლი...

და არ ვცხოვრობდი, მე ლექსებს ვწერდი,
მე ბრმაც ვხედავდი სუყველა აისს,
და როს დაცემამ შეცვალა ბედი,
ლექსის დაწერა გადარჩა მაინც...

ყვითელი ჩიტი ლოდინის მხარზე

დაიწყო თოვა და ლანდთა გაღმა
ოდნავ გაიხსნა სინათლის ფარდა,
სული გადადის ფიფქებზე მაღლა
აქ არვინ არის, ლოდინის გარდა.

ისმის ფიფქების ჩურჩული შორი,
აქ არვინ არის ფიქრით თუ სიტყვით,
მხოლოდ ლოდინი დგას, ფიფქებს შორის,
და მხარზე აზის ყვითელი ჩიტი.

დაიწყო თოვლი. ისევ ითოვა.
გრძნობას სითეთრის გარდაღვრა გასდევს,
და ფიფქი ცვივა ისე, თითქოსდა
თოვდეს პირიქით, – მიწიდან ცაზე.

ითოვე, აღარ შეჩერდე თოვლო,
დარდი ხომ მაინც აღარ მთავრდება...
რადგან ლოდინსაც არა აქვს ბოლო,
უნდა გადაწვდეს უკვდავებასაც...

არარა ხდება. თეთრდება არე.
გულს სხვა სამყარო აღარ უნდება.
მხოლოდ ის ჩიტი, ლოდინის მხარზე,
ფრინდება მაღლა და კვლავ ბრუნდება, –
ყვითელი ჩიტი არ ტოვებს ლოდინს...

ნაირა უგულავა
(ნია გორდელი)

ქვეყანა ურვისგან – მტრისაგან დაიხსენით

მზე გადაიწვა, ჩაიფერფლა,
ჩაკვდა ჰორიზონტთან...
ოღონდაც, ახლა...
იწვის დედამიწა - ტყეები, ბაღები,
საშინლად ხმაურობს,
ბორგავს და დგარუნობს წუთები, წამები...
არ არის გარჩევა...
ჩვენგან დაუცველი ტირიან ბავშვებიც...
სისხლი არ დადუღდა, ჯერ კიდევ,
ოდესღაც ნაბრძოლი და განაწამები...
სადღაც მივიჩქარი, -
ვეძებ სახრჩობელას, - მინდა დავიტანჯო...
მხოლოდ, მაფრთხილებენ,
იქაც რიგია და... არ არის საშველი...
ვიღაცა სიბნელეს მთავაზობს - გარიგებით,
მე კი, პირთამდე სავსე ვარ დარიგებით...
პრობლემა რაშია? - ხმა მესმის დაჟინებით,-
შეირყა სამყარო, დრო არის გაგიუების!
გახრწნილ გონებაში - ხითხითებს ლუციფერი...
ფიალა აივსო ბოღმით და განრისხებით,
ვერავის ვაკვირვებ სიჩუმით - დამუნჯებით,
ხმამაღლა გავყვირი, ზარების დარისხებით:
იცოდეთ, შვილებო! ნურასდროს დაიბნევით,-
სიკეთის, სიმართლის და რწმენის დაუნჯებით
ქვეყანა მტრისაგან - ურვისგან დაიხსენით.

ნუ ეძებ შვებას

ნუ ეძებ შვებას,
ნურც ტკივილებს ნუ ემალები,
ღალატით დაგჭრეს?
გაატარე გულში ხანჯლები;
ატარე დიდი მოთმინებით
წყლულიც, იარაც,
შენი კუთვნილი
გ ა მ ო ს ც ა ლ ე
ყველა ფიალა.
ეშმამ, მაცდურმა,
დიდკაცობა თუ დაგანათლოს,
ამ წარმატებამ და დიდებამ
არ გაგალაღოს.
ჟინმორეული ამ საწუთროს
ნუ ეხალები,
სხვა საუფლოში
ს ა მ უ დ ა მ ო დ
მივემგზავრებით!..
ერთ დღესაც ვეღარ გადალახავ
მთათა იალაღს,
ქარი მიმქროლი
ჩ ა მ ო გ ა რ თ მ ე ვ ს
ყველა იარაღს!..

შევჩერდე მინდა

სულმოუთქმელად ვიარე დღემდე,
ცხოვრებას თვალი ვერ შევასწარი,
მრავალგზის მგვემეს, ვეწამე, ვევნე -
არც შესვენება, არც შეღავათი...

„ცხოვრებას უნდა აუწყო ფეხი“, -
ვიღაც მაჩქარებს - დამძახის ვიღაც,
ხელსაყრელ მომენტს ვუცდი და ველი,
მუხლი ჩავიდგა - შევჩერდე მინდა...

მსურს გადავხედო წარსულ ცხოვრებას,
როგორმე თვალი რომ გავუსწორო,
მინდა გამოვწვრთნა გული, გონება,
მკაცრ ბედისწერას რომ შევებრძოლო...

ვით დაუნდობელ ლაშქართა ურდო,
ცხოვრება მქირდავს, მძარცვავს და მიაქვს,
თვალთმაქცს და მაცდურს, უტიფარს, უნდოს,
ერთხელ, მეც მინდა გავაწნა სილა...

გიორგობის თვეა

ქარი შეშლილი ზრიალებს, ბორგავს,
ხმელი ფოთლები მიაქვს და მოაქვს,
ასკდება ჭიშკრებს და სახურავებს,
ჩემს ფანჯარასთან ზუზუნებს მოთქვამს...
ამაღამ ალბათ არ დაწყნარდება,
დაატრიალებს რისხვას და კოშმარს;
ამაღამ ისევ დატორავს ტყეებს,
ურცხვად გაძარცვავს ძელქვას და იფნებს.
ალბათ ბოლომდე აუშვებს აფრებს,
ჩემს ბაღში ატმებს დააცლის კვირტებს,
მერე დაუსტვენს გიჟურად ისე,-
ღელეებიდან ამოყრის ჭინკებს...
შეესევიან ჭინკები ჭალებს,
ცეცხლს მოადებენ ეკალს და ცირცველს,
წაიმახავენ კლანჭებს და კბილებს
და გახედნიან ულაგმო კვიცებს.
როცა დაიცხრობს წადილს და ვნებებს,-
ღრიალით ხევში ჩაკვდება ქარი...
რიჟრაჟზე ცხენებს გარეკავს კაცი
და გააკვირვებს ჭინკების კვალი....

ედუარდ უგულავა

ქეთევან დედოფალი

მზე შირაზის ისე მწარედ ანათებს,
ლამის ახებს გამშრალ ქვიშას ლოყას...
ისმის „მოჰყავთ" და სისხლისფერ ჯალათებს
იბერიის დედოფალი მოჰყავთ.
რწმენა მისი სხვა სიმტკიცის ფასია...
მზერა მისი სხვა სიმშვიდის არის...
ყელაზიდულს თეთრი კაბა აცვია
(ლამაზია დედა დედოფალი).
არა, შაჰი მასთან ვერ მორიგდება,
ის ურჩობას არ პატიობს მის მტერს:
ან მაჰმადი - პატივი და დიდება,
ან წამება - ესე იგი ქრისტე!..
თუმც დედოფალს, ხალიჩაზე ამაყად
ქვეწარმავლის სინებივრით მწოლი,
ვერ უბზარავს რწმენის მაღალ ალაყაფს
ვერც ირანი, ვერც „ირანის ლომი";
და ხმა მისი, მტერიც ხვდება უგულო,
რა სიმტკიცეს და სიყვარულს იტევს:
- მხოლოდ ქრისტე! მხოლოდ ქრისტე, უგნურნო!
ჯვარცმული და წამებული ქრისტე!
და სიჩუმე, თითქოს მშრალი თითებით
უფერულ თმას მგლოვიარედ იშლის...
ცხელ ჰაერში ფარფატებენ ჩიტები,
უცნაური ფერისა და ჯიშის.
ღმერთო ჩემო, თავზე როგორ უბრალოდ
ახურავენ ადუღებულ მიტრას...
იწვის ხორცი და შენ უწყი, უფალო,
ამ საშინელ ტკივილს როგორ იტანს...
ლამის იქცეს ფერფლად ფრესკის სადარი,
სექტემბრის მზეს ოფლი დასდის სიმწრის...
დედოფალი, სანახევროდ დამდნარი,
ანთებული სანთელივით იწვის.
მერამდენედ, ღმერთო, უკვე რამდენჯერ,
თავზარდამცემ ტკივილების დამთმენს,
ფლეთენ, კვეთენ, მკერდს გაზებით აგლეჯენ
და სისხლშივე აგრილებენ შანთებს.
ეკარგება სხეულს ფერი სინედლის
და სიცოცხლე ჭრილობიდან ჟონავს.
უკვე ცერზე დგება ხალხი მილეთის,
რომ უცქიროს სურათს გაუგონარს.
- მხოლოდ ქრისტე! - მოძრაობენ ტუჩები
(რწმენა მისი ვერ ითქმება ამბად)
და ნაკვერჩხლებს ამოვსებულს ლურსმნებით
აფარებენ ცეცხლმოდებულ საბნად.
ოჰ, ეს ტანჯვა ათჯერ სიკვდილს ეყოფა
და ჯალათი, წამითაც არ შემკრთალს,
ყელში სწვდა და ხელით ახრჩობს დედოფალს,
ჯერაც ცოცხალს, წამებისგან ვერ მკვდარს.
და სულს, სხეულს მტრედივით რომ შორდება,
ცის სილურჯე რომ ირჩია ბინად,
ფრთებით მიაქვს საქართველოს გოდება
და წამებულ შვილიშვილთა გმინვა...
ჯალათი კი, ღვარულ ოფლში გაბანილს
სისხლით იზელს ამობურცულ კუნთებს,
მერე ერთხანს ეჭვით დასცქერს და ბარით
მიცვალებულს შუბლს ყვირილით უმტვრევს...
ხოლო ხალხი - დაფანტულს და ფერაშლილს
ჰგავს მგლებისგან დაფეთებულ ფარას.
ბრბო ირევა და საშინელ ჯგლეთაში
თავდახრილი ქართველები დგანან...
ო, დედოფლის თვალებს ღვთიურ სინაზის
შვენის ფერი - დარჩენილებს ღიად...
სხვის მიწაზე, ცოდვით სავსე შირაზში
გულისწამსვლელ ნაფლეთებად ყრია
ქეთევანი, - ასე უღვთოდ ნამუსრი,
სურვილს რწმენით რომ უბზარავს ირანს...
საქართველოს სიმტკიცე და ნამუსი!..
დედოფალი - ორთავ სოფელს შინა!..

შორენა მამალაშვილი

ნუ დაღონდები...

წვიმის წვეთები თითქოს შიშველ სულზე მეხება,
დგას გალუმპული უნაზესი ხე აკაციის
და ველოდები დღეს, როდესაც ფრთები მექნება,
როცა კანონი აღსრულდება ლევიტაციის.
        როცა მიწიდან გაქცევისთვის მეყოფა ძალა,
        როცა წამლეკავს ღვთაებრივი, ცისფერი შუქი...
        შენ უჩვეულოდ აგტკივდება ნაკლული მალა
        და იგრძნობ, როგორ მისახლდება სხეულში სუსხი.
დგას თავდახრილი უნაზესი ხე აკაციის
და მინდა გთხოვო, რომ შენ ასე ნუ დაღონდები,
რომ სიკვდილია დასაწყისი იმ სხვა საწყისის,
დაბადებიდან მოუთმენლად რომ ველოდებით.

ფერეიდნელო...

ფერეიდნელო, ამოავლე სისხლში კალამი
და ეგ ანბანი ალამივით გაშალე მზეში,
საქართველომდე არც იმდენად შორი არ არის,
რომ მისი ფეთქვა გაგინელდეს ჯიშიან მკერდში.
ფერეიდნელო, დაგელოცოს გამრჯე ხელები,
ირანის ყამირ მიწაში რომ ახარე ვაზი,
ვიცი სამშობლოს გახსენებენ მისი მტევნები
და როცა ხელში ღვინით სავსე გიჭირავს თასი,
კვლავ საქართველოს დასტრიალებს ნეტარი ფიქრი,
რადგან მშობლიურ მიწის გემოს ღვინო ინახავს...
და შენს ძარღვებში დაწმენდილი ქართული სისხლი,
ყივილით გამცნობს, რომ ქართული სულის დვრიტა ხარ!
რომ ვერაფერი დაგაკავებს უცხო მიწაზე,
რომ გამოჰყვები ცისარტყელას ფერად ბილიკებს,
რომ იქართველებ საქართველოს მტრების ჯინაზე
და შენს სამშობლოს არასოდეს გადაივიწყებ!



გერონტი მესხი

ზარი

(შვიდი წლის დაწყებული იყო პირქუში მეოცე საუკუნე, ილია რომ გამოგვაცალა ხელიდან. შვიდი წელი აკლდა მის გასრულებას, ზვიადი რომ მოგვიკლეს...)

ცამ შეისრუტა მორუხო ნისლი
და უმალ ბინდმა
შთანთქა თვითონაც.
სადღაც გრუხუნებს-
სატანა ისვრის,
თოფიც ეშმაკმა გამოიგონა.
ადამის ჯიშმა
გასწირა ღმერთი-
ღვთის ძე, რომელიც მათთვის აენთო.
არც ჩვენ დავზოგეთ,
და არა ერთი,
ვისაც ქრისტესთან ჰქონდა საერთო.
ეშმამ დასჭექა
"ბერდენკის"ლულით
და წიწამურთან დგამენ ობელისკს.
ზეცად გაფრინდა
მბრწყინავი სული,
მოკაშკაშე და ჩაუქრობელი.
ძველ ხიბულაშიც გავარდა ტყვია
ხმაურით,
ოღონდ, მაინც ფაქიზად...
მოკვდა ღმერთკაცი...
და ერთიც კია:
ამ ხმამ ვერავინ გამოაფხიზლა.
შორიდან რეკავს
სამრეკლოს ზარი,
რეკავს და თითქოს,
მკრთალდება ბნელი...
...შენც საზიდი გაქვს კუთვნილი ჯვარი,
შენც
საკუთარი
გოლგოთა
გელის...
2002წ.

მინაწერი მოგვიანებით:

2007 წელი, შვიდი წელი ახალი საუკუნიდან:

მუხანათურად გამოასალმეს სიცოცხლეს დიდი ქართველი პატრიოტი მწერალი და საზოგადო მოღვაწე, პროფესორი გურამ შარაძე

2093წელი, შვიდი წელი საუკუნის ბოლომდე:

... ვინ იქნება შემდეგი???

ზამთარი

ცოდვებისგან
განსაწმენდად
უხვად გვაყრის ფიფქებს ზეცა.
არამკითხე კალატოზი,-
ქარი
ღობეს თოვლით ლესავს.
ფანჯრის მიღმა
დედის მკერდზე
მოფართხალე პირველ მერცხალს
რა უმანკო
თვალები აქვს,
შიგ კი უკვე შიში კვესავს...

2001 წ.

ვიდრე ფრონისპირს...

ჩემი ალერსი მინდა ჰგავდეს ფრონის ნიაღვარს,
შემოგეხვიო, ჩაგიხუტო ვნებით, აზარტით
და ჩემს გადაშლილ მკერდზე, ფრონის ფსკერს რომ მიაგავს,
გაგანებივრო, როგორც გრძნობა, გულში ნაზარდი.
ფრონის მორევში ლოქოს მსგავსი თუ არ გვინახავს.
ტალღა ხომ გახსოვს, ქაფიანი, მბზინავ ფერებით...
მითხარი, ჩემზე უკეთესი, ნეტავ, ვინა გყავს,
მე, როგორც ფრონე კენჭებს, ისე მოგეფერები.
ისევ მიწვევენ შენი ხმა და ფრონის ნაპირი,
ისე, ვით თიკანს ბალახი, თუ კენკრის ფესვები.
ვიდრე ფრონისპირს გადამაძროს მზემან ცხრა პირი,
შენი თვალების ლურჯ ღელვაში გადავეშვები...

1992 წ.

ვინც მასივი მოიგონა

(ფელეტონი)

შვილო ჩემო, რას შემასწარ, ეს მეწერა ბედად, ნეტავ?
რად ჩამაგდე სატანჯველში, გამიმწარე რაზედ დღენი?
ქალი ორ დღეს ქალაქს ვიყავ, და, ჰა, ახლა როგორც ხედავ,
გავიტანჯე შენს ძებნაში, შენ კი ვერსად მოგაგენი.
ვინც მასივი მოიგონა, ჩემი ცოდვა იმან ზიდოს...
მისამართი ორ თაბახზე ვერ დავტიე, ვაჰ, მე ბეჩავს!
აქ, სოფელში, ყველა გცნობდა, აღარ გახსოვს, ნენა, ვითომ?
მანდ კი, ვისაც შენზე ვკითხე, ყველამ მხრები აიჩეჩა
ფირისმანზე, ძველ სარდაფში, მოვდიოდი ჩემი ფეხით,
მარტო ნომრის გახსენებას რად უნდოდა გარჯა, ნეტავ?
ახლა თავბედს მაწყევლინებ... დამცემოდა, ნეტავ, მეხი
და ქალაქში შენს საძებნად მოსვლა აღარ გამებედა.
ეს მიკრორაიონიო, ეს- კორპუსი, ეს- კვარტალი...
პირველ კორპუსს მეშვიდე ცვლის, მეშვიდეს კი- მეჩვიდმეტე,
სადარბაზო, სართულიო... აღარ ვიყო, ნეტავ, ქალი,-
მანდ მოსული თუ მიხილო, სასიკვდილოდ გამიმეტე.
ხურჯინებიც ფოსტას მივეც, დავუტოვე მისამართიც,
თუ მიიღო, გაიხარე, დაუმადლე ფოსტას მეტად.
უკან მივდევ მატარებელს, თან მიმყვება ერთი დარდი
და მაკვირვებს: შენი ცოლი შენს სამყოფელს აგნებს, ნეტავ?
...მივდივარ და ეს კისერი დაკიდულა ვიდრე ძაფზე,
გევედრები, ეგ კორპუსი გადაცვალე ძველ სარდაფზე.

1980 წ.

ხათუნა ჩიტაძე

სსევდიანი დღე

სევდა მოვიდა,
ქარმა მოიყვანა,
ჩემი სარკმლიდან
ცრემლი მოიპარა,
სუსხმა ტკივილები,
აბგით მოიტანა,
დილა გამიქრა და
ღამე მოირკალა!

ეს ქარი ახლა სევდას მაძალებს,
ეს ქარი ახლა ქარიშხალია,
წვიმიან ავზში ვქარგავ მაქმანებს! –
– არ მიხარია!
ქარი სულ არ მიყვარს!
ნიავი მერჩია!
კართან აიტუზა,
უტყვი და ბეცია!
გულმა შემომჩივლა,
ვარ უკვე მე ჩია!
ნეტავ რას მერჩიან!
სევდა მომეჩვია....
სადღაც შორს მზე ჩანს ,ქარსა და სევდას,
მალე გაფანტავს სხივთა ციალი,
დაველოდები დილას და მზეკარს,
ჩემი ფოქრივით მოხეტიალე!
2013წ.

* * *

კარს ლამაზი სევდა აეტუზა,
მონატრება ისევ წარმტაცია,
ზაფხულს მწვანე ფერი აეტრუსა,
ეს დღეები ისე ზარმაცია...
პეიზაჟი ვეღარ გამოვძებნე,
უახლესი ტილოს დასახატად,
მეძებე და მაინც გამომძებე,
ვეღარ გაგიმეტე დასაკარგად!
ცას კვლავ მწუხრის მძივი შეებნია,
ჰაერს არნახული ფერი ქარგავს,
უშენობა ისევ შემიძლია...
...და კვლავ ვაფერადებ ნაცნობ ქარგას!
2013წ.

გარდასახვა

უშენობას შეეჩვია წელი,
და იმ ფარდაგს დაეკარგა ფერი,
მარტის თვეა, ფიქრებია მწველი,
დანაღმულა ია-იით ველი!
ჭრელა ნოხზე ვეღარ შევდგი ფეხი!
გაზაფხულით გაიბაბთა სივრცე,
ცისარტყელამ ცას დაატყო კეხი,
გულისყურით ბოროტ სიტყვას ვიცელ!

ვფიქრობ, ნუთუ ფრთა-ზმანება გაქრა,
ჩამოერღვა ფერი რჩეულ მაქმანს!
დაგავიწყდა?!
– მთაზე ვდგავარ!
– აქ ვარ!
ხელს ვერვინ მკრავს!
მყარად ვდგავარ!
– აქ ვარ!

ისე ვეღარ ვაფერადებ ზეცას...
ჩემს პალიტრას შეუღამდა ფერი!
სხივთა ფუნჯი მომაწოდე ზეკარს,
მოგიხატო ტილო, ნათელმფენი!
უშენობას შეეჩვია წელი!
...უშენობას შეეჩვია წელი....
2014 წ.

ვუალი

ვუალი არ გიხდებათ ქალბატონო,
ვუალი უსახურებს მოუხდება,
შენი თეთრი სახე ცას გაანდე,
ხედავ?
ქარს უკან არც მოუხედავს!

ვუალი არ გიხდება, ქალბატონო,
სახეს ჩრდილი როგორ აადევნე!
გარეთ ცივი ქარი დაბატონობს,
ეგ ღრუბელიც უნდა გადადენო!
2014წ.

ქალთამზეს!
(ჩემს მარიამს)

პაწაწინა ნუშისთვალავ,
ფრთაწამწამა მარიამ,
ეს დრო როგორ გაითვალა,
დღეები რა მალია!
მოჩიტულხარ ამისთანა,
საოცნებო, მღიმარი,
სიხარულმა ამიტანა,
„დედატო“ რომ მითხარი!
ჭკვიან მზერას,
ნუშით მზირალს,
სულის გულში ვინახავ,
შენ რომ დაგინახავ მცინარს,
მაშინ ვხვდები ვინა ვარ!
ღვთის მადლო და სულის სუნთქვავ,
ყველა შენით ვხარობთ დღეს,
ქალთა მზეო, –
ჩვენო გულთქმავ,
დედა ღვთისა გწყალობდეს!

2013წ.

დალოცვა

ბარბარობაა,
თოვლი გვიღიმის,
ყველა პატარა გახარებულა,
ფიფქები ცვივა ციდან ღილივით,
სევდა და დარდი გაღავებულა!
წმინდა ბარბარე, ნათელმოსილი,
მობრძანებულა, დავანებულა,
სახლში ბარაქით სუფრა გავსილა,
სიკეთე უფლის დახანებულა!
ყველა პატარას, მცინარს თუ მძინარს,
ბარბარეს მადლი მხრებზე ფენიათ,
მზე ცის კიდეზე – გვირგვინად მყინვარს!
ლოცვა-ბილიკი თავს გვაფენია!
ბარბარობაა....

2013წ.

***

გვირილების საუფლოში
ჩემმა გულმა გიპატრონა...
ფა-პეპლების წვიმა-თქორში,
თეთრმა ნისლმა იბატონა!
მე ეს ნოხი სულ თან დამდევს,
განა ახლა, ან ამ ზაფხულს?
გვირილები სულთან დასვეს,
მიულხინოსო დაზაფრულს.
... თეთრი ტყეა,
.... თეთრი მდელო,
ცის ატლასზე მთვარე მღერის,
შენ, სადა ხარ, სადარდელო? –
გული სიყვარულით გელის!
არ მჭირდება ჩამოფურცვლა
გვირილების თეთრი ფარჩის!
ოღონდ მალე ჩემო, სულთქმავ!
– მეპატრონევ ჩემი სარკმლის!

2014 წ

მონატრება

მაისი მაისობს,
წვიმამ ცას აუბა
მძივები, –
მზის სხივით გაფერადებული,
სკოლაში ბავშვებს კი
სიმღერა გაუბამთ,
სიხარულს ფერი აქვს
გაფერმკრთალებული...
კედლებზე ფრესკებად მოჩანს თქვენი ლანდი,
მონატრებამ ლამის დაბინდოს დღეები!
სად არის ის მზერა? – დაგვაქვს მძიმე დარდი,
როგორ გაფრენილხართ თვეებო... თვეებო...
მაისი მაისობს,
სადა ხარ აისო?
სანამ მზეს შევცინებთ, –
– იქვეა დაისიც!

2014 წ

წარსული

ნეტავ რამდენჯერ უნდა ჩაქრეს სულის ლამპარი,
სევდის ხუნდებით დაღალული როდემდე ვივლი,
ვიცი, გასრულდა მირაჟებით მთვრალი ზღაპარი
და ახლა, ყველა „დანაშაულს“ უკლებლივ ვიმკი!

აგერ, პეპელა, მეოცნებე, ფერად-ფერადი,
ხელში შემომრჩა დამსხვრეული ფრთების ღიღილო,
გაწყდა! გასრულდა ლექსის ქარგა და ხმა, ჟღერადი,
ეს სინანული, ჩემი, დროა აღარ ვიხილო!
ნეტავ, რამდენჯერ უნდა ჩაქრეს სულის ლამპარი.....

2014წ.

მზია ელიაძე

დასაბამიდან დაუსრულებად

2014

დასაბამიდან დაუსრულებლად დე, იარსებოს მხარემ იბერთა!
მხარემ სიკეთით, მადლით მოსილმა, ღვთისმშობლის კალთით დამშვენებულმა...
დასაბამიდან დაუსრულებლად იყო ქართველთა ტანჯვა-წამება,
ნატანჯ მიწა-წყლის ფლეთა და გლეჯა, დუშმან-მტერთაგან აწიოკება...
კბილთა ღრჭენანი და დიდი გლოვა, მონებით ყიდვა-გაყიდვა, გლოვა.
მაინც გადავრჩით, ფეხზე მყარად ვართ და მტრის ჯინაზე ვიდგებით კვლავაც!..
თვალწინ მიდგება დრო გარდასული, ახლაც კი ვხედავ მებრძოლ გმირ-ვაჟკაცთ,
მზის ასულები – პირმცინარენი, სამშობლოს ყოფას შეწირულები!..
ჰა, ვხედავ: თამარს, დემეტრეს, დავითს, შოთას, აკაკის, ილიას, ვაჟას...
ვხედავ ერეკლეს, ხმლის ერთი მოსმით მტერს როგორ ცელავს სისხლისმსმელს, უგვანს.
ბარათაშვილის შავ მერანს ვხედავ, სევდიან ფიქრებს ნიავს რომ ატანს...
უკან როგორ სდევს შავი ყორანი, ტანჯავს საბრალოს და აცლის ძალას!..
– ძმებო, დამისხით ღვინო ქართული, ვაზის ნაჟური, მამა-პაპური,
რომ მოვიგონო წასულთ სულები, უფალს ვავედროთ გმირი შვილები!..
ბევრჯერ აკუწეს საქართველოში გმირ-ვაჟკაცები და ასულები;
მაინც გადავრჩით, დღემდე მოვედით ქართლოსის მოდგმა კოლხ-იბერები!..
თბილისი ქართველთ საფიცარია, ვით მარგალიტში ლალი ძვირფასი,
ხოხბის ყელივით მოხატულია, მასავით ნაზი და საოცარი!..
არ გვინდა გლოვა, ტანჯვა, წამება, ყოველი გვეყოს, რაც თავს გადაგვხდა.
კვლავ ერთად დავდგეთ, ძმურად შევიკრათ, ჩვენი მფარველი ღმერთია ზეცად!..
ჩვენს მიცვალებულთ ჩვენვე ვიგლოვებთ, საკადრის პატივს მივაგებთ ჩვენვე...
სხვის დახმარება და ხელის გაწვდა, სულ არ გვჭირდება, შეგვიძლია ჩვენც!..
კვლავ გადმოდგება ნარიყალადან დედა ქართლისა ხმალშემართული!
„მამა დავითი“ ზარების რეკვით „სიონს“ და „მეტეხს“ ახსენებს წარსულს!..
„სამება“ – დედა ყველა ტაძრების, იმედის სხივით გაცისკროვნდება;
ჩუმად გასძახებს: – ლოცვით იდექით! ღვთისმშობლის წილხვედრთ შიში რადა გაქვთ?
დასაბამიდან დაუსრულებლად ვარსებობდით და კვლავ ვიარსებებთ!
ღვთის მადლით, ძალით დღესაც არსებობს ქართველთ საუფლო; წმინდა სავანე!..
მიწა ტანჯული, ნაჯიჯგნ-ნახმლევი, ოქროს სადარი წმინდა, ქართული...
იმედით ვდგევართ ერი, უფალში; გვწამს, გაბრწყინდება ტკბილი მამული!!!
დასაბამიდან დაუსრულებლად უფალი გვყავდა მარად, მფარველად...
მკერდს ფართოდ გვიშლის, გვიხუტებს გულში,
ცოდვიან მოკვდავთ – ქართლოსის მოდგმას!..

ქართველო, ქართველს ეფერე!

ქართველო, ქართველს ეფერე, მისთვის იზრუნე, ლოცე.
კმარა სისხლის ღვრა, იფიქრე, უფალს რა პასუხს გასცემ,
ციხეს შიგნიდან ნუ გატეხ, ნუ გაახარებ ჩვენს მტერს,
დასჯდება შენ ნასახლარზე, იმრავლებს, გაიხარებს!..

მამა-პაპათა ტკბილ ფუძეს სისხლისმსმელ მტერს ნუ მისცემ;
ნუღარ ამძიმებ ძველ ცოდვებს, იფიქრე, გონს მოეგე!..
მცირედი დავრჩით მიწაზე, ღვთისმშობლის მადლით კიდევ;
ხმალს თუ ალესავ ძველისძველს, ფხა გაუსინჯე მტერზე!

გახსოვდეს მარად მოკეთე, – შენი ქართველი მოძმე;
ნუ სცოდავ, კბილებს ნუ აღრჭენ, მამულს მალამო აცხე;
ქართველო, ქართველს ეფერე, ღრმად ჩაიხუტე მკერდზე,
კმარა ქიშპობა! იფიქრე, მომავალ თაობებზე!..

შემოდგომის ლამაზი ზღაპარი
(თვალით დანახული)

მთაზე აშოლტილ ხეთა მწვერვალებს
მზე შეხებია, თვალებს უკოცნის.
ხშირ ტყეს სამოსი ეცვლება ნელ-ნელ
ლამაზ ხალიჩას ქსოვს შემართებით...

კოდალას კაკუნს სევდა შევატყვე
უიმედობით ძალაგამოცლილს.
ტბორის ნაპირზე მაღალ ბალახებს
თავს აფარებდა თევზი ურიცხვი...

ნაზი ფოთლები ფეხქვეშ შრიალებს
ჩემს გულს საამოდ ესალბუნება.
გალიცლიცებულ, სავსე მდინარეს
ფოთოლთ სიუხვე მეტად უხდება...

სიამოვნების ცრემლი ღვარად მდის
მშვენიერების ნახვა მეღირსა.
მუხლდაჩოქილი უფალს მადლს ვუძღვნი,
რომ საოცრება თვალით მაჩვენა...

შოთამ ლექსს ჰანგი უბოძა
(მთაწმინდას)

ნეტარო, რა დედამ გშობა,
ნეტავ, რა ძუძუ გაწოვა?
რა გული, გონი გიბოძა,
ენა რით აგიმეტყველა?..

უფალში რა მადლი გქონდათ
ასეთი უხვი, მდიდარი.
შენ თუ ამდენი მოგიძღვნა,
თვითონ კი არა დაიტოვა?!

საჭრეთლით – ბასრით, თლილითა
დააგვირისტე, მოქარგე!..
სიტყვა ჩუქურთად აქციე,
ჩუქურთმა, – უფლის საუნჯედ!

ასე აიგო ვარძია,
კლდეში ნაკვეთი ქალაქი...
ქალი, – თამარი მფარველი
მტერს ხვდება ფარითა და ხმლით!..

სიყვარულს, – წრფელსა და წმინდას
ნამღერის კვალი შემორჩა...
ჰანგის მადლით და წყალობით
შოთამ ლექსს სიღრმე შესძინა.

– – – – – – – – – – – – – – – – – – – –

უფლით ნაბოძებ ამ დიდ მადლს
ჟამთა ცვლა ხოტბას კვლავ ასხამს...

2014

მარი კუბლაშვილი

ახლა წავალ!

უცნაურად დღენაკლული თვეებია,
ხმაში სევდაგარეული ამინდები...
მოწმენდილ ცას ვარსკვლავები შერევიან,
ვფიქრობ, ღიმილს ვეღარავის დავპირდები.
გადაშლილა ჩემს წინ დარდთა ოკეანე,
შეუბღალავ ოცნებათა დარობს დარი,
ვხედავ როგორ მდუმარეა მთები მწვანე
და მზის ნაცვლად ამირბარობს ახლა ქარი.
არსად მოსჩანს იმგვარ ჟინით გატაცება,
რომ გადადგას მთები ჩუმად მოუბარი,
დღეს ერთია გამარჯვება და დაცემა,
ვერსად ვპოვე გული, რამე რომ უხარის.
უცნაურად დღენაკლეული თვეებია,
კიდევ უფრო უცნაური წელიწადი,
რაღა გული დარდებს ვეღარ შეელია,
რაღა არვინ არ მეძახის: წინ, წინ წადი!
მაინც შემრჩა პოეტური აღმაფრენა
და სიცოცხლის ნაპერწკალი კვლავ კიაფობს,
ახლა წავალ, რომ დავუთმო დროს არენა,
წავალ, სადაც ერთგულება არ იაფობს.

ჩემი გზით ვივლი

იმ გზებით ვივლი, ჩემს თავს თავად რომ განვუწესე,
ნასესხებ წამებს ვაქცევ წლებად ბედნიერების,
კანონებს არ ვცნობ, ჩემთვის ზღვარიც მე დავაწესე
და შევისწავლე საწყისები მშვენიერების.
შორია ეს გზა, თუმცა ვინმე დამემგზავრება,
ბოლომდე თუარ, ცოტას მაინც შემიკვეცს მანძილს,
მთვარე მიწიდან ზეცისკენ რომ გაემგზავრება,
მას მოვუყვები სულ ყველაფერს, ამ ქვეყნად განცდილს.
ჩემი გზით ვივლი, ცოდვებით და ჩემი ღირსებით,
ჰო, ამ განვლილ წლებს გავიყოლებ უთუოდ საგზლად,
ხან ისეც ხდება სინანულით მაინც ვივსებით და
ალბათ ერთ დღეს ეშაფოტზეც მე ნებით ავალ!

მუზები ჩივიან

ქარია... ფრიალებს გამხმარი ფოთლები,
ალერსი დამატყვეს ღაწვებზე შინდისფრად,
შენეულ იერში ჩემეულ ბოდვებით,
კვლავ საბნად ვიხურავ ამ ღამით სიზმრის ცას.
გამიჩნდა სურვილი მხურვალე რითმების,
მარცვლებად დავითვლი სიყვარულს ანაზდად,
პაექრობს ზეცაში სიშმაგე სიტყვების,
და პოეტესასთვის არ რჩება არასგზა!
თავად გვაქვს პოეტებს ჩვენ ჩვენი ფერები
და ჩვენთვის ფოთლები სხვაგვარად ცვივიან,
არავის მაგივრად უაზროდ თენებით,
დაღლილი მუზები დღე და ღამ ჩივიან.
ქარია...იხვეტავს ქუჩები ფოთლებს
და მეც ამ ეპოპეის დამჩემდა ტრფიალი,
ალიონს ურჩობა გრძნობებთან მომბეზრდა,
შვებას მგვრის ქარი და ფოთოლთა შრიალი.

ო, როგორ რთულია

ო, როგორ რთულია გაჩუმდე,
როდესაც დავობენ – გული და გონება...
და მაინც, თვალები გყიდიან...
გრძნობები, წაშლილი გრძნობები,
კვლავ არარაობენ,
ყველაფრით დაღლილნი,
ცრუ დასასრულისკენ მიდიან.
ო, როგორ რთულია,
დაეცე და ისევ წამოდგე,
არ გეგულებოდეს მიზეზი
ერთხელაც ადგომის,
რთულია იცხოვრო და
ღმერთზე ძლიერი გამოდგე,
რომ არ გეშინოდეს კაცთაგან
მრავალჯერ განდგომის.

„წვიმას დავაბრალებ"

წვიმს„.
და ეს წვიმა მივამსგავსე ახლა შენს თვალებს,
ცრემლების ზღვაა, ვერ გავუგე ამ გულის წადილს,
მე, აღარ ვიცი შევძლებ თუ არ, თუ შეგიბრალებ,
ან გავიგონებ სიჩუმეში შენს უხმო ძახილს.

და ალბათ, როცა ქვეცნობიერს ვაჯერებ, რომ მე
სულაც აღარ ვარ დამნაშავე შენს წინაშე, და
რომ ვეღარც ვიგებ, მაინც შენკენ რატომ მოვიწევ,
ეს უფრო შიშს ჰგავს, ხელახლა არ შემიყვარდე, ან

აღარ ვიცი„.
ახლა წვიმას დავაბრალო თუ
უბრალოდ გრძნობას, რომ ვგიჟდები უარყოფილი,
დასისხლულ თვალებს, ხელებს, გულს თუ საერთოდ რომელს,
რომელ ერთს ვუთხრა, რომ დღეიდან შენ ხარ ყოფილი.

იცი? ამ გრიგალს მიზეზი აქვს სულ ერთი ციცქნა,
ისეთი ციცქნა, როგორც ცაზე ერთი ვარსკვლავი,
შეუბრალებლად ჩამოვხსნიდი მთელს გალაქტიკას
და გაჩუქებდი„
რა აზრი აქვს, რას იტყვის სხვანი.

წვიმს„.
მე კი ისევ ძველებურად მაფიქრებ, რადგან,
მესაიდუმლედ აღარ შემრჩა არც ერთი ბწკარი,
და გვირგვინს ისევ მოკრძალებულს ცოდავათა გადგამ,
რადგან ბოლოჯერ, სამუდამოდ დავხურო კარი.

****

ხელისგულზე მშობლიური მიწა მიდევს, ქართული,
მახსენდება ყველაფერი, გაგონილი და თქმული.
მახსენდება განშორება, არშემდგარი ტანდემი,
უჰ, რამდენი ფრაგმენტია, რა ვიცხოვრე ამდენი.
იცით? მე დღეს არავინ ვარ, ან კი ხვალ ვინ ვიქნები?
ყველასგან და ყველაფრისგან შორს წამიყვანს ფიქრები.
საუკუნე ვერ ვიცოცხლებთ, არც გვინდოდეს ან სულაც,
ყველა კვდება, ზოგიც კაცად, ზოგიც არაკაცურად.
არ დავკარგოთ სიძულვილში ნაჩუქარი წუთები,
სიყვარულში შევაჯიბროთ ერთმანეთის გულები.
ჩვენს ჯიშ-ჯილაგს, ჩვენს სამშობლოს, ერთგულებით ვუხდებით,
და ერთურთის მხარში დგომით მოდით, ნუ შევწუხდებით!

მამუკა ოჩიაური

დავდუმდით ! ! !

დრო იყო, მტერს მტრობით ვამჩნევდით,
ხმალ - ხანჯალს ყოველ ჟამს ვხმარობდით
დღეს ყველა დავდუმდით, გავჩერდით
სულს ვყიდით, სხეულით დავვობდით.

მტერია ჩვენ სახლის კარადა,
უცვალეს გმირობას სახელი
ჩვენ გუშინ ვიბრძოდით, არადა
დღეს ვდუმვართ სიბილწის მნახველნი.

ცხენი დგას, არაა მხედარი,
ხეც ხმება უგულოდ დარგული
რა მწარედ ტირიან დედანი,
სხვა ქვეყნის გზით გადაკარგულნი.

კაცი ხომ ოჯახის ბურჯია,
სიმტკიცეც ნელ - ნელა იშლება
ლურჯია, ცა თითქმის ლურჯია,
ცვედნობა გმირობად ითვლება.

ეს ყოფა სულ გაგვატიალებს,
ვერ ვხვდებით მტერს ფარი ვუფაროთ
ჩვენ თავზე რა ცეცხლი ტრიალებს,
ეშმასგან გვიხსენი უფალო.

ისევ ჩვენ დავამხეთ ყოველი,
დავლეწეთ ციხე და გოდოლი
ან რა ვთქვა, გამოვყო რომელი
ვცახცახებთ, ვით ქარში ფოთოლი.

მუხაზე დასახლდა მუმლი და,
ველ - მინდორს მოედო კალია
ამ მიწას პაპა ხომ უვლიდა,
დღეს რა გვჭირს, დღეს რისი ბრალია?!

ერთ მხარეს მტერია ცბიერი,
სხვა მხარეს ლესავენ მახვილებს
დავკარგეთ ზნეობა, იერი
მტერს ვუსმენთ, რაც მართლა მაკვირვებს.

ადათ-წესს სადამდე გავიტანთ,
უფალს ვთხოვ ნუ გავიწირებით
გავზარდოთ ცოტნედ და დავითად
ქართველნო, ნაშობი შვილები.

რაღა ვთქვა, გზა გავიიოლეთ,
სად გაქრა, კაცი რომ შრომობდა
ნეტავი ისე თუ ვიომებთ,
უწინ რომ ქართველი ომობდა.

ჩვენ,ყველამ გავწიოთ ჭაპანი
იქნება გამოჩნდეს მესია
რა გზითაც ვიდოდნენ პაპანი,
მას მივყვეთ, – ეს სწორი წესია.

დრო იყო, მტერს მტრობით ვამჩნევდით
დღეს გვინდა ერთობა და ძალა,
რომ ყველა დავდუმდით, გავჩერდით
იქნება მომხდურმა დაგვძალა.

იმედი ხვალისა არ ქრება,
დაგვფარე ღვთისმშობლის ნათელო
სანამდე მამული ჩაქრება
სამშობლოს უწამლე ქართველო !

მე დავბრუნდები

თითებზე ითვლი დღეებს დარჩენილს,
ტაატით მავალ წუთებს იშორებ,
ცას შერჩენია მთვარის ნარჩენი,
ერთურთს გვაშორებს დრო და სიშორე.
მაგრამ ლოდინი კენტ სანთლად იწვის,
უქრობ ნაღვერდლად დამრჩალა ვნება,
გულმა ხომ იცის, გულმა ხომ იცის,
როგორ კარგია ეს დაბრუნება.
დრომ იზოზინა გაუჩერებმა,
სახეს აწითლებს სიბრაზის ალი,
ვინ იცის შენმა კოხტა ხელებმა
მე გარდამსახა შორით პირჯვარი.
ბევრჯერ მავედრე ქრისტეს,მარიამს,
ბევრჯერ დალოცე ჩემი სავალი,
ფიქრით გაენდე ღამეს მთვარიანს,
ვინ იცის კოცნაც მიძღვენ მრავალი.
ქარს ნისლი სდევდა ვით მთვარეული,
გულზე დარდებმა ააგეს ყორე,
ღამე კი დაწვა როგორც გრძნეული
და მოიხვია ტანზე სიშორე.
მე ხომ დაგპირდი ჩამოსვლას ბარად,
ფართოდ გავხსენი გულის კარები,
თუ მოგექცევა ვინმე სხვა ავად,
შორს მყოფსაც ფარად დაგეფარები.
თითებზე ითვლი დღეებს დარჩენილს,
ლოდინში ვიცი ფიქრებად დნები,
ცას შერჩენია მთვარის ნარჩენი,
გულს ნუ გაიტეხ, მე დავბრუნდები !

პატარა ბერდია

მიწაზე ხალხია, ზეცაში ღმერთია,
ცხოვრება – სულ ერთი წამი.
მამული რა არის? კითხულობს ბერდია,
რა არის მამული მამი?!
მიწაა მამული, მთები და ველები,
ამ მცირე სამოთხის, ბერდო,
ქართველნი გამხდარვართ მუდამჟამს
მცველები
და დაუღლელები ერთობ.
გვანგრევდნენ, გვკაფავდნენ
ხმლითა თუ ხანჯლითა,
გვაკრავდნენ ძელზე თუ ძელთან,
მამები კვდებოდნენ შვილები აბჯრითა,
პირისპირ დგებოდნენ მტერთან.
არასდროს გავყიდეთ ქრისტე და ჯვრის
მადლი,
რწმენისთვის კვდებოდა ხალხი,
მამაღმერთს შევმადლით,ღვთისმშობელს
შევმადლით
თავს არ ოს დაგვხუროს თალხი.
მეფეემაც შესწირა სამშობლოს
თავი და,
წმინდანად შევრაცხეთ იგი.
დედოფალს მივსტირით ირანს რომ წავიდა,
დაუდგა ჯალათთა რიგი.
ესაა მამული (ზეცაში
ღმერთია),
ღვთისმშობლის წილხვედრი მხარე,
სამშობლო ერთია სწორედ რომ ერთია,
თუ უჭირს გთხოვ მიეხმარე.
მამული რა არის მიმიხვდა ბერდია,
პატარა ოთხი წლის ბავშვი.
საშველი?! შრომაა,ბრძოლაა,ღმერთია
სანამდე გავთავდით, დავშრით !

ეთერ ლობჟანიძე

* * *

არ არსებულა სიტყვები,
სამშობლოვ, შენი სადარი,
უფლისგან მადლნასხურები
თეთრ ნისლებში ხარ ნაბანი...
ჟღრიალებს ჯაჭვის პერანგი,
ელვარებს აბჯარ-ხანჯალი.
მეამაყება მამულის დამცველი,
არა ჯაბანი!.. შემოგცქერიან
ტურები, ყმუიან სახემგლიანნი...
ტრაგიკულ ბედის პატრონი,
როდის გახდები მთლიანი?!..
როს დაუბნელდეს შენს მტარვალს
დღე, ახლა მისთვის მზიანი...
ბევრიც-ღა სცადონ ბრიყვებმა,
ვერ მოგაყენონ ზიანი!

რიონს

რიონი, ჩემი რიონი,
არც არასოდეს დაშრება და
ვერც მარწუხებს იგუებს,
როგორც აფთარი დახვდება.
გარს შემოიხვევს სალ კლდეებს,
ზვავებს ხევებში ჩახერგილთ,
ხელ-ფეხს ვერავინ შეუკრავს და
ვერც ვერავინ გახედნის.
ავია, მეტად ავია,
არ იცის ბევრი ხუმრობა,
უფრთხის ნისლიან ამინდებს,
არ უყვარს მათი სტუმრობა.
გასდევს ვერცხლისფერ სირმებად
ჭალას ქვა-ღორღით მოფენილს,
ახალ კოლხეთში ხმა მიაქვს
რაჭიდან ძველი კოლხების!

არ მასვენებდა, ბედი მდევარი

არ მასვენებდა, ბედი მდევარი –
სადაც წავედი ჩემთან დიოდა,
ჩამოსდიოდა თვალებზე ცრემლი,
ბეღურაც ხეზე იჯდა, სციოდა...
დაშრიალებნენ ჩუმად ვერხვები- შორს,
ტრამალებზე ქარი ჰკიოდა,
და მეც ვნატრობდი ჩუმად გაზაფხულს
მაგრამ ის ჩემთვის, არ მოდიოდა...
სევდას ვებრძოდი ჩემში დარჩენილს –
სხვის ბილიკებზე რომ მიდიოდა,
ახლა ქარი წერს ალბათ სიმღერას
ქალზე, რომელსაც ცრემლი სდიოდა!.

* * *

დღე, ღრუბლებიანი არ მაკვირვებს –
ცრემლსაც შევეჩვიე ადრიდან,
ახლა დროს მივყვები, არიდება
აღარც ამ დროების არ მინდა...
რაც მოსავალია, მოვა მაინც-
თუნდაც არა გსურდეს, სად წავა?
ბავშვობა მიხაროდა, მერე ყრმობამ,
სულ ეკლიან გზებზე მატარა...
იქნებ – მიერთგულოს აწ, ბუნებამ –
იქნებ – დრო დამითმოს პატარა,
ზურგი შემაქციოს იქნებ სევდამ
ეყოს რაც მტანჯა და მაწამა...

* * *

ვწერე და ვწერე რითმები –
ფურცლებს მოვფინე ფიქრები,
გიგზანით როგორც უსტარი
და ჩემს სურვილებს გიყვებით...
ხან – ცრემლებში ვარ ნაბანი,
ხან-მზის სხივებით ვირთვები,
ირგვლივ სიყვარულს ვაბნევ
და ამ სიყვარულით ვითვრები!

* * *

ვზივარ და ფიქრებს ვდარაჯობ,
ან კი, რას ვფიქრობ? რა ვიცი...
ჰოდა... ამ ფიქრში გავიდა
მარტი, აპრილი, მაისი...
ვდარაჯობ ღამეს მთვარიანს,
ვარსკვლავთა ცვენას განვიცდი,
გაყინულ იებს ვემსგავსე,
ალბათ ვემსგავსე რა ვიცი...
აწი თუ უნდა გათენდეს,
თუნდ ღამე იყოს რას მიშლის?
ვზივარ და ვფიქრობ ვერსაით,
გულიდან რომ ვერ გაგიშვი...
ვზივარ და ფიქრებს ვდარაჯობ,
ან, რას ვდარაჯობ რა ვიცი...

მამულისათვის თავდადებულ გმირებს

ჰეი.. გმირებო გაშალეთ მხრები,
დღეს თქვენი სული, ცაზე გაბრწყინდა,
თქვენს სამშობლოსთვის, დანთხეულ სისხლზე,
ვინ იცის ნეტავ, ან როგორ წვიმდა?!
ეცადა მაგრამ, ვერ გადარეცხა,
ვერ შეუცვალა დღემდე ფერები,
კვლავ ვეძებთ ცხუმს და კვლავ ვეძებთ გაგრას,
თქვენს სულებს ვეძებთ და ვეფერებით!
სულ არ ფიქრობდა, მის სიცოცხლეზე,
კაცი რომელიც, მტერმა აწამა,
მამულისათვის თავგანწირული
ასეთი იყო, გმირი შარტავა!...
თავზე დაგცქერით გვანდრა, ხარიხრა,
ძმა - ძმის საშველად მღერის "ვარადოს",
არ გაიხაროს მტერმა ჩვენზედა
და ჩვენს მამულში არ ინავარდოს!
უსამართლობა, არც ვის შერჩება,
მჯერა დადგება, დღე კვლავ მზიანი,
დაგვიბრუნდება ის, რაც დავკარგეთ,
უფრო ამაყი და პირმზიანი!

ლეილა ვადაჭკორია

ფერშეუცვლელი

მზემ გაანათა არემარე
სხივთა კვეთებით,
ფოთლებზე ისევ ციმციმებენ
წვიმის წვეთები.

პურის ყანაში გოგმანობენ
მწყრები, ქედნები,
ასე მგონია არასოდეს
არ დავბერდები.

ოცნებას ფრთები დაუბერტყავს
გულუხვად ჩემზე,
ჰო და, დავფრინავ აღმა-დაღმა
მიუვალ გზებზეც.

ხან ევერესტის მწვერვალზე ვარ,
ხან ივრის ველზე,
ხანდახან მთელი დედამიწა
დამისვამს ხელზე.

გულში კი ჩემი მამული მყავს
ფერშეუცვლელი
ვერ გადავშალე უიმისოდ
ერთი ფურცელი.

* * *

აუგად არ ჩაგითვლიან
უჩინრად თვალს თუ
მიატან,
ოღონდაც, ნაუცბათევად
იარლიყს ნურვის
მიაკრავ.

* * *

ღმერთმა არა ქნას
ოცნება ჩაკვდეს,
ან სულო ჩემო
გამიქრეს მრწამსი,
ვინღა ვიქნები
ამ ქვეყანაზე,
ან რა იქნება
სიცოცხლის ფასი.

ფარ-ხმალს ნუ დამაყრევინებ

სულო რა უჩინარი ხარ
 ვერც უსხეულოს გეხები,
მაინც შენ მყავხარ მესაჭედ
ყოველ ნაბიჯზე შენ მხვდები.

შენა ხარ ჩემი ძალა და
ფარ-ხმალს ნუ დამაყრევინებ
ათ მცნებას მაზიარე და
გზა ისე გამაკვლევინე.

სხივს ჭირსა და სატკივარზე
ხელებს ნუ დამაკრეფინებ,
ცრუსა და მართალს შორის კი
საზღვარი გამავლევინე.

აუგი სიტყვის სიმწარე
სიმშვიდით დამაძლევინე,
მტრის აღმართული მახვილი
სიმტკიცით დამახრევინე.

ჩემს გულში ჩამახედე და
ცოდვები მომაკვლევინე,
„რომელმან თვალმან მაცდუნოს
ის თვალი მომათხრევინე“

ლილეს

თავს არ დავზოგავ
ლამაზი
ოცნებები რომ
აგიხდეს,
ყავარჯნად გამოგადგები
ფეხი რომ არა
დაგიცდეს.

* * *

ზოგჯერ ვერ ვარჩევთ
ყალბსა და ნამდვილს,
მინდობილები
ჩვენს გულის წადილს.
და ვრჩებით ასე
ყალბის ამარა.
მერე ცხოვრება
აგვიხელს თვალებს,
ვეძებთ ნამდვილის
გზას და ნაკვალევს,
თუ რა თქმა უნდა
დრომ არ წაშალა.

* * *

როგორც ბავშვი ჩაფრენილი
დედის კალთას,
ისე ვაზი ეჭიდება ჭიგოს,
მზე კი კეთილი
უანგაროდ
არიგებს სითბოს.
ადამიანი?
ათასში ერთი
რასაც რომ ამბობს
იმასვე ფიქრობს.

ღმერთმა იმედი ამრავლოს

სამყარო გარინდებულა,
სიცივე დაკრავს ყველაფერს,
და მაინც გამოანათა
იმედს რომ უნთებს კელაპტრებს.

ბიჭია თვალებმერცხალა
ღიმილიანი, რა ფასი.....
აიღეთ , თქვენთვის დავკრიფე
გმადლობთ,
რას ამბობთ არაფრის.

გილოცავთ ყველას გაზაფხულს
აი, ინებეთ იები,
ვიცოდი გაიხარებდით,
ვიცოდი გაიღიმებდით.

თვალებში სხივი ჩამიდგა,
ღმერთმა იმედი ამრავლოს,
იქნება გული გაუთბეს
ამ გაციებულ სამყაროს.

მოგონებება

მოგონებები თვალს თუ მილულავს
დაისადგურებს უცებ წყვდიადი,
აბა შენ ვიღას მოაგონდები
მწუხრის დროს უცებ რომ აბრიალდი?

ცუდს ხომ ადვილად არ ივიწყებენ
კარგი გამქრალა თვალთა არედან,
ქარი გაძარცვავს ხეებს უტიფრად
სულიც ნასახლარს დაემგვანება.

მაგრამ ხომ არის მკვეთრად ცუდი და
მაგრამ ხომ არის სიმკვეთრე კარგის,
გონებას ისე აღუბეჭდია,
რომ დრო და ჟამი ვერასდროს წაშლის.

გიგი თეთრაძე

ბირთვისის ციხე

მზე ჩავიდა მთათა მიღმა
ციხის კდლებს მოეფარა,
საქართველო იდგა მყარად,
ლოცვად მუხლი მოეყარა.
ბებერ ციხეს შეხიზნულან
მეომარი ქართველები,
და სამშობლოს დასაცავად
აფრენილან მართვეები.
მიაბიჯებს თემურ ლენგი
არ ასვენებს ფიქრი მწარე,
საქართველოს ბოღმა ახრჩობს,
ვერ დაიპყრო არემარე.
დგას ბირთვისი მეომარი
ისტორია იწერება
ჩვენი მტრების ყველა გვამი
დღეს მიწაში ესვენება.
მზე ჩავიდა მთათა მიღმა
ციხის კედლებს მოეფარა,
საქართველო იდგა მყარად
ლოცვად მუხლი მოეყარა.

26.10.19

* * *

დრო გავიდა, შევხვდით ერთმანეთს
და ამ შეხვედრას ჰქონდა სურნელი,
მას მერე ბევრი ღამე გათეთრდა
მე კი შეხვედრას კვლავაც სულ ველი.
გადაიშლება მთებზე ნისლებად
შენზე ფიქრები, გულში ნაწრთობი,
თვალებს დავხუჭავ და გავიხსენებ
შენ, დანახვისას როგორ მაკრთობდი.
მახსოვს გიმზერდი, გაკვირდებოდი
თითქოს მწყუროდა შენი შეხება,
ვიყავ ძლიერი და უსუსური,
შენთან მოსვლა და კოცნა მენება.
დრო გაივლის და შევხვდებით ალბათ,
მე გაგიღიმებ, შენ თვალებს დახრი,
შენ სხვა გზით ივლი, მე სხვა გზით წავალ,
წაუშლელ წარსულად მაინც ხომ დამრჩი.

03.01.2020

* * *

იკარგებიან სიტყვები ქარში
მე არაფერი აღარ მაოცებს,
განვლილი დროის წუთები, წამი
სადღაც შორსაა ალბათ დამტოვეს.
ვიცი დამათოვს ზამთავრს ფიფქები
შენზე ფიქრებში ჩამეძინება,
მომაგონდება ის დრო, წასული
და ჩემთვის ჩუმად გამეღიმება.

გამეღვიძება სიზმრებში დაღლილს
გარშემო მხოლოდ ყინვა, სუსხია,
უშენოდ ზამთარს თუ გადავურჩი,
იცი? ზაფხული უარესია.
იკარგებიან გრძნობები ქართლი
და არასოდეს არ ბრუნდებიან,
და დღე, რომელიც გამითენდება,
გავა უშენოდ, გამექცევიან!

ევლალია პერპერიდი ასია

ვერ დამიამა ვარამი

ვერ დამიამა ვარამი თვალთაგან ცრემლთა დენამა,
მე განსაცდელი თავს დამატეხა უზენაესმა ზენამა,
ვერ დამაჩოქა სიკვდილის საჟამოდ ავად ღრენამა,
გამაძლიერა განსაცდელს უზენაესის რწმენამა.
ვერ შემაშინა ავბედმა დრომ სოფლად დაუდევარმა,
ვერ დამეწია ჩასაქოლავად სიკვდილმა ჩვენდა მდევარმა,
თუნდ კბილი გამკრამ სისხლი მდის, ულმობელმა მწევარმა.
მაგრამ მე არ შევჩივი ულმობელ ბედის წერასა,
ჩემში სამფლობლოს ბუნებას უფერულ ფერით ფერავსა,
უმოწყალოდ ამ ჩემ გულს დარდი ვარამით სერავსა.
მკლავს და მაინც არ ვკვდები სამყაროდ დავიარები,
არ დამრჩა არსად ადგილი, არ მქონდეს ნაიარები,
იქნებ მზემ ჩემდაც იდაროს საჟამო ნაავდარები.
როგორ იწვნევს საჟამოდ ეს ჩემი სული ლხენასა,
სოფელი განსაცდელშია, ჭირი წვევია ყველასა,
უზენაეს ვთხოვ, სამყაროს მუხლმოყრით გადარჩენასა.
მინდოდა დარდის აღმოთქმა, ხელი მივყევი წერასა,
თქვენთვის ვლოცულობ მემამულენო, შემოგევლებით ყველასა,
ვერ გამიგია ეს ბედი ჩემში სამყაროს უფერულ ფერად რად ფერავსა.

* * *

სული სხეულში ბორგავს და შფოთავს
ძილში ვერ ისვენებს
ცოდვებზე ბოდავს.

რა ეშველება ამა საჟამოდ ადამთა მოდგმას,
რომ მიცემიან ოხვრას და მოთქმას.

უნდა ვისწავლოთ
ცოდვების დანთქმა
ჭეშმარიტების როს შევძლოთ აღქმა.

ჩავფიქრებულვარ, ახლა მარტო ვარ
და არვიცი ქვეყნად რატომ ვარ.
ღვთის ნებას თუ არ ვასრულებ,
მაშამ საჟამოდ მე აღმასრულეთ.

ნეტავ, რად მოველ ამა საჟამოდ,
არ მსურს აღვესრულო ქვეყნად უჟამოდ.
არ მსურს გავლიო დრონი ამაოდ.

ჩაფიქრებულა ჩემებრ გარემო,
თითქოს რეკავენ მწუხრის ზარები.
არ მსურს ვქმნა ამა საჟამოდ
საქმე უვარგისი შესაზარები.

მინდა აღვაპყრო ლოცვად ხელები
ია ალლაჰ სათხოვარს
შეგევედრები.

იარად მომეცი გულისხმიერება
საჟამოდ მწადია აღვასრულო მე შენი ნება,
ეჰ, რა მტანჯველი არის ხშირად ეს განჩინება,
ნიაღვარული თვალთ არ შრება ცრემლთა დინება.

ეჰ, ჩემებრ მწუხრი არის ამჟამად შემოგარენი.
ვისთვის ცხოვრება ტკბილი არის ვისთვის მწარენი.

სიო არ ქროდა
არსაიდან ისმოდა ჩქამი.
ისმოდა საათის წიკწიკი და მიქროდა
წამი.

ეჰ, წამი ჩვენი არსობისა ამჟამინდელი,
სხვისი ცხოვრების ძიებაში არა დავკარგოთმ
უნდა ავაწყოთ საათივით ჩვენი ცხოვრება,
გვიჯობს განვკარგოთ.

რითაც მივაგებთ იმითვე ჩვენ მოგვეგება.
ადამიანს ადამიანად
რაცხავს გაგება.

სამართლიანი არის ალლაჰი ჩვენი განგება.
და აღვასრულოთ
ლმობიერად ჩვენ მისი ნება.

სული სხეულში ვერ ისვენებს
შფოთავს და ბორგავს.
ეჰ, წუთისოფლად ადამთა მოდგმის ქმედება რას ჰგავს.

23 09 2019

ეძღვნება იუსუფ ტემირხანოვის ხსოვნას

ამა გამაოგნებელმა ამბავმა
შემაძრწუნა და ცრემლით ამივსო თვალიო.
თქვენნაირებმა იმრავლოს
ღმერთმა გიკურთხოს გვარიო.
ამბავსა გულმოსაკლავსა
ვკითხულობდი სულგანაბული
თქვენდამი დაუდევრობით
ვიქმენი გაოგნებული.
ქვეყნადა თქვენი ქმედებით
გმირი იქმენი ქებული.
არასდროს მოძმეთა გულში
იქნებით დავიწყებული.
გონება გამეფანტა და
მით ვერ გამოვთქვი სათქმელი.
გაუკუღმართდა დროება
ვაი, რომ ქვეყნად იმკვიდრებს ბნელი.
სამწუხაროა გმირო რჩეულო
გულსა სამარის გადევს ცივი ქვა
ბოროტები კი დაწანწალებენ
ეჰ, არვიცი რაღა უნდა ვთქვა.
სავალალოდ ამა საუამოდ
შეუცვლელია ეს ბედის წერა.
სხვისა ტანჯვაზე უკუღმართები
რადა ხარობს და იწყებენ მღერას.
თვალთა ცრემლები ნიაღვარული
ვერ დავიოკე გულისა ძგერა
ზოგსა ულხენს ამა საუამოდ
ზოგს რად არ ინდობს ეს ბედისწერა.
ევლალია პერპერიდი (ასია)

04 08 2019

საუამოს ავან ჩავანი

ნუ იდარდებ თუ ჩვენი დრო მიქრის და მიქრის,
მუდმივად ვერვინ ვიარსებთ მარად,
ამ სამყაროში ყველაფერი წარმავალია,
თუ გსურთ სიკვდილი გადაიქცეს სიცოცხლის დარად?

მაშ მოვლინება ამ სოფლად აღარც ღირს ამად,
გარდიქმნება ყველაფერი ცრუ და ბოროტი
და დამნაშავე ყველაფერში იქნები თავად,
მრუდედ დარგული, გამრუდდება უფრო ბოლოში,
ვიქმნათ სიკეთე ჩავეტიოთ დადგენილ დროში.

**********!**********
ჩვენ მოვლინებას აქვს თავისი დრო და მიზანი,
განისაზღვრა ყველაფერი ზეცაში ოდეს,
შევიცნოთ ჩვენი დაბადების არსიც, მიზანიც,
რომ ცხოვრებაში ჩვენი როლი მიზანი გვქონდეს.

****

ქუჩაში იჯდა მათხოვარი,
მას სამოსი ეცვა ნათხოვარი,
გროშებს ითხოვა პურისთვის,
არვინ არ უსმინა სათხოვარი,
თავი ვინ გვგონია?

გავკადნიერებულვართ დროის მათხოვარნი,
სიკეთე სოფლად ვერ გვიქმნია
იმიერ სულის საცხოვარი.

ღმერთო ყრუობა და ბრმობა გვაპატიე,
ლოცვით გევედრები!
გთხოვ, გააცოცხლე
ჩვენში თანაგრძნობა
როს გავუწიოთ მოყვასს თანადგომა,
სმენა გაგვიხსენი თვალი აგვიხილე!
არსობა წარმავალს
სოფლად მოულხინე.

ღმერთმა იმ მათხოვრით გამოცდა მოგვივლინა,
იმიერს ჩვენდა სულის მაცხოვარი,
ვაი რომ, ვიქმენით ახლა უმეცარი,
რადგან მცირედიც კი ვერ გაგვიღია,
ას ეს არის გასაოცარი.

ღმერთი მოწყალეა მადლის მომცემი და საოცარი,
ვინც ისმენს მის სიტყვას ის გადარჩება,
გავიაზროთ ნუ ვიქმნებით ჩვენ უმეცარი,
წარმავალი ვართ მიწიერი თავად ვართ დროის მათხოვარი,
ხელი არ კრათო გაჭირვებულთ,
ვისმინოთ ღმრთისგა ჩვენ ეს სათხოვარი.

არ ვიცი იქნებ მიწიერო ზუსტად ეს არის შენი გამოცდა..
ეჰ გროში კიარა იმედიანი სიტყვაც არ დაგცდა,
ღმერთს მადლობდე ჯოჯოხეთი თუ იმიერს აგცდა,
არც სიბრალული სუფევს შენში და არც რამ განცდა,
შენი დრო სოფლად უვარგისად ამიტო გაცვდა.

მე მოგიწოდებთ მიუსაფარს გვერდს ნუ აუვლი,
შეეწიე თუ გიცემს გული შეიბრალე მაშინ ეული,
და მით გახდები დაიხსომე ღმერთის რჩეული
და დამცირდება მაწანწალა ეშმა წყეული.
თუ გაქვს, გაიღე? დაიხსომე სანაცვლოდ,
სახლში კი შენ მადლს წაიღებ,
შენ წაგადგება იმიერს რაც რამეს იქმ
ღარიბ ღატაკზე გულით გაიღებ.

თუ სიკეთეს არ ვიქმთ ამაო ყოფით
სიკვდილამდე დროს უქმად ვწელავთ,
ჩვენს იმედებს უგნურებით თავადვე ვანგრევთ,
და ფეხქვე ვთელავთ,
ცოტა თუ ფიქრობს რომ გასცეს და მიიღოს მადლი,
ვერ ვგრძნობთ საპასუხო რომ გაგვიხდება

ქმედება ყველა.
ვაი რომ, ახლა უგნურებით სამყაროს ბნელა,
ჯოჯოხეთისკენ მიექანება უღმერთო ყველა.

თუ დროს ნაბოძებს
არ გავხარჯავთ კეთილის ქმნაში,
რას გავცემთ და რას ვიძენთ ნეტავ?
დროს ვხარჯავთ რაში?
სამარცხვინო თუ შევიქმნებით ჩვენ
უფლის თვალში,
მაშ რა აზრი აქვს ან შეძენას ან მისით ლხენას?!
ვიყოთ გულიანი და თუ სხვას უჭირს
ნუ მოვყვებით საჟამოდ ლხენას.

უგრძნობელობით ბრმავდებით და
ვერ ვხედავთ ვერ ვგრძნობთ,
თვენი სიავით ჭეშმარიტებას ავცდებით დაგმობთ.
ჩაგვსაფრებია ბოროტი და
მაცდური კვალში,
მადლის გარეშე უქმი არის
ყოველი გარჯა
და მის გარეშე ყველაფერი
გვეყრება წყალში.

გვმართებს წინ ხედვა... იქნებ ხვალე ჩვენ მოგვიწიოს,
წვიმაში ქარში, მათხოვრობა ხელის გაშვერა,
რათა ლუკმა წავიღოთ სახლში,
არ გვიფიქრია? მაშინ დროა რომ გავიაზროთ
რა მუხთალია მიწიერი ჩვენი დროება,
იქმენ სიკეთე რაიცი სოფლად კიდევ სანამდის დაგედროვება.

აი ამიტომ უნდა გავცეთ არ დავინანოთ..
სიკეთე ვთესოთ და ჩვენს ირგვლივ მადლი ვამრავლოთ,
სულ მცირე მაინც მიუსაფრის გთხოვთ შევისმინოთ
მომავლის რწმენა დავუბრუნოთ და გავახაროთ.

წაქცეულს ნახავ? ასადგომად ხელი მიეცი,
შენ წაგადგება ის სიკეთე დაის წყალობა
რაც ღმრთის მადლიდ დაუნანებლად უხვად გაეცი,
ღონემიხდილს კი შეეხიდე მხარში შეუდექ,
მშიერს თუ ნახავ უწილადე შენი სახმილი,
და ღმრთის სამსჯავრის შენს წინააღმდეგ არ ეწნება ეშმას სამხილი,
სიკეთე შენი ბოროტებისგან დამცველი არის ვითარ მახვილი.

მწყურვალს კი შენი დასალევი წყალი არგუნე..
უგძნობებო მინდა გითხრათ ძალზედ დამთრგუნე,
მოტირალს ნახავ? ანუგეშე არ მიატოვო!
თუ უიმედოს, ჩაუსახე გულში იმედი,

ობოლს თუ ნახავ მშობლიური სითბო არგუნე,
სუნთქვით გაუთბე გაყინული ცივი ხელები,
მასში ბუნება უნდა გახადო ნაირფერები.

უნდა ვიფიქროთ ეს ცხოვრება სწორად განვლოთ,
ჩვენი სასმისი წუთისოფლად შევსვათ დავლიოთ,
რომ ჩვენი ტვირთი სიყვარულით მართლად ვატაროთ,
ჩვენი არსობა ღრეობაში არ გავატაროთ,
მადლის ქმნაში ეს საწუთრო უნდა გავლიოთ
როს აღსასრულს შევეგებოთ როგორც ალიონს,
და რასაც ვიქმით მის საზღაურს მოგვაგებს ღმერთი
ჩვენი მფარველი, მაცხოვარი, და ერთად ერთი.

ავტორი ჩემთვის ძვირფასი მეგობარია

აკინძული 13 ურთი(ერთ)ობა თუ გიკიდებენ და ეკიდები
მენდე არაფრად არ ეღირები.
ორში როდესაც მესამე დგება,
ურთიერთობა ხუნდება ქრება..
იმის ლოდინში რომ აი ისევ დააკაკუნებს...
ის შეიძლება წავიდეს და აღარც დაბრუნდეს..
კართან თუ ელი ნუღარ ელი დაკაკუნებას,
ნუ მოიქცევი ისე თითქოს არ გეყურება.
თუკი გაუშვი მაშ მითხარი გზას რად გაჰყურებ...
მიეცი მიზეზი დარჩენის თორემ წასვლის მიზეზსს
თუ მოუნდა თავად იპოვის..
მინდა თუ მეტია უნდაზე თქვენში,
მაშინ მეეჭვება რომ რამეს შეცვლით.
თავს თუ უარყოფ იმისთვის რომ ის სხვა იპოვო
არ დაგიფასებს, ზურგს შეგაქცევს, წავა, უარგყოფს...
თავის დაკარვით სხვას ვერ შეიძენთ,
ხოდა გონს მოდით! დროა შეიგნეთ!
ნუ ითამაშებ, თორემ ბედი გაგათამაშებს..
შენ თუ იბლეფებ გაგწირავს და დაგაშამათებს.
ურთიერთობა ზოგს ჰგონია რაღაც გართობა,
ემოციებით ოხუნჯობა რაღაც თამაში,
ურთიერთობა თუ გგონიათ მხოლოდ მიღება,
მაშინ ვიტყვი, რომ თქვენთან ყოფნა არ ეღირება.
თუ ეყოფები და არ ეყოფი მაშინ ჯობია
ნუ გაეყოფი თუკი ერთი არ გეყოფა.
ათსაც მაშინ ვერ იკმარებ ათისას,
თუ ერთს არ არგებ, ბევრს დაკარგავ, ბევრს ინანებ.
ერთ მზერაში თუ ვერ ხედავ,
ათში, ასში, აირეკლე,
ერთში თუ არ განსხეულდი,
ბევრში მაშინ აიღრევი,
ერთის თუ ვერ იმყოფინე,
მაშინ თავად გაიყოფი,
ნაწილ ნაწილ დაიშლები
და საერთოს ვერ იპოვი
შენ გრძნობებსაც მოაკლდება
მინავლდება სიცხოველე,
შეგერევა გახუნდება
სიხარული, სიხალისეც..
და ნელნელა ფერს შეიცვლის
ემოცია ყველა განცდა,
ათში იმას ვერ იპოვით,
რასაც ერთში ერთთან კარგავთ.

ნანა მომცელიძე

ჩემი დღე

49 შემოდგომა გავიარე
49 ფოთოლცვენას შევხვდი,
ნაირ-ნაირ, ჭრელა-ჭრულა ხალიჩაზე
ფეხი ისევ ბავშვობაში შევდგი.
ეს ცხოვრება სიყვარულით გავიარე
მე მიყვარდა ყველაფერი, ყველა,
ჩემს გულში ხომ გაზაფხული დავიტოვე
უზარმაზარ ოცნებების ხელა.
მე რომ მკითხოთ, თითქმის სულ არ შევიცვალე
ბავშვობაში ვმოგზაურობ ისევ,
შემოდგომით მე ხომ მხოლოდ დავიბადე
ჩემს გულში კი აპრილია ისე.
იასამანს თვალი ისევ ჩავუკარი
ია-იებს მოვეფერე ცისფერს,
ენძელები თმაში ისე ჩავიწანი
გაზაფხულად დავიბადე ისევ.
არ დამდგარა შემოდგომა ცხოვრებაში
არ მოსულა ფოთოლცვენის ჟამი,
წუთისოფელს ნიავივით ჩავუქროლე
და წავართვი კიდევ ერთი წამი.
49 შემოდგომა გავიარე
49 ფოთოლცვენას შევხვდი,
ნაირ-ნაირ,ჭრელა-ჭრულა ხალიჩაზე
ფეხი ისევ ბავშვობაში შევდგი.

უფალო ღმერთო!

უფალო ღმერთო, დამეხმარე მიყვარდე მუდამ
უფალო ღმერთო, შემიწყალე დიდი ცოდვილი,
უფალო ღმერთო, დამაფარე კვლავ შენი კალთა
უფალო ღმერთო, რომ არ ვიყო შენგან გმობილი.
ვდგავარ, ვლოცულობ, მეფარება სიწმინდის ფარდა
ვცდილობ სიმშვიდე და სიმდაბლე რომ არ დავკარგო,
უფალო ღმერთო, დამაფარე კვლავ შენი კალთა
ძლივს გიპოვე და აღარ მინდა ისევ დაგკარგო.

სადაც უფალი ჩემი ღმერთია

ახალი აზრის დაბადებისას
კვლავ იბადება ჩემი მე ჩემში,
ყველაფერს ვეძებ, ყველაფერს ვშიფრავ
სული ბობოქრობს, სიბილწეს ერჩის.
ნიღაბს ვაცილებ ყველაფერს ერთად
ყველაფერს ერთად ვუშიშვლებ სახეს,
და როგორც ერთხელ ამოხსნილ იგავს
ყველაფერს ვარქმევ საკუთარ სახელს.
ვარქმევ სახელს და ვშორდები ყველას
სინამდვილესთან მიწევს ჭიდილი,
და ვგრძნობ, ნელ-ნელა,ჩემს თვალს და ბაგეს
როგორ შორდება ნაზი ღიმილი.
არარეალურ სამყაროს ვეძებ
სადაც ჩემია დასიც, სპექტაკლიც,
სადაც მოვყვები რეალურ ამბავს
სადაც თამაში ასე არ დამღლის.
სადაც სიწმინდე სულზე ზეიმობს
სადაც უფალი ჩემი ღმერთია,
სადაც სიმართლე და ერთგულება
საჭიროა და ერთადერთია.

ფიქრი

მე დავაგროვე წლიდან წლამდე ჩემი ფიქრები
როგორც ბავშვები ზღვის ნაპირას კენჭებს ითვლიან,
მე დავაგროვე ბევრი ფიქრი, ბევრი კითხვები
ბევრი ეჭვი და ბევრიც შიში რაც გამჩენია.
მე ვცოცხლობ, მაგრამ სულ დავეძებ სიცოცხლის საზრისს
ვეძებ დასაბამს, რომ ვიპოვო ჩემი სამყარო,
მე ვეძებ ამ დიდ სამყაროში ჩემს კუთვნილ ნაწილს
და აღარ მინდა ჩემი ფიქრი ფუჭად დავღალო.
ახლა მხოლოდ შენ,ჩემო ფიქრო, შენ შეგიძლია
მიმაგნებინო სინამდვილის დასაბამს ახლა,
არ შემაგუო ამ სამყაროს განაჩენს ფიქრო
არ დამაცადო სამყაროდან უდროოდ წასვლა.

მე უარს ვამბობ მიწიერ ხვედრზე

რა გაზაფხული,რისი სიცოცხლე
რა ამაღლება, რა ოცნებები,
სხვა სიყვარული მიზიდავს უკვე
სხვა ზარები და სხვა სიმღერები.
სულ სხვა საწყისი და სულ სხვა ბოლო
სულ სხვა განგება და სხვა ღმერთები,
დედამიწაზე ვერ ვივლი მხოლოდ
შემოსილი და ნახავერდები.
სული დაეძებს ფესვებს და სიღრმეს
სიმაღლეები აღარ მხიბლავენ,
უსაზღვროების გზებზე დავდივარ
ჩემი ღმერთები აქ მხარს მიბამენ.
გაორებულმა ყოფამ დამღალა
თეთრმა დღეებმა და შავმა ღამემ,
თითქოს საკუთარ სხეულს ვშორდები
და მარტოსული სულს სანთლით დავდევ.
გზაარეული ველი მაცხოვარს
რომ შევავედრო სული ცოდვილი,
აღარ მაქვს ძალა მუდამ ბრძოლისა
რეალობისაც არ ვარ დობილი.
სფინქსის ღიმილი მომყვება მხოლოდ
ლომის ტანი და მზერა მზისფერი,
მე მარტოსულს და ცოდვებით მოსილს
მქონდა უდაბნოს სახე და ფერი.
მინდა ვხედავდე მარადიულ ცეცხლს
როგორ ათბობს და როგორ გიზგიზებს,
მე უარს ვამბობ მიწიერ ხვედრზე
დიად ტახტზე და მეფის გვირგვინზე.

ზოგ კაცს გონია

ზოგ კაცს გონია, ყველა ქალი მარტივი არის.
ზოგ კაცს გონია,თითქოს ქალებს გრძნობა არა აქვთ.
ზოგ კაცს გონია ქება საქმე საკუთარ თავის,
სინამდვილეში სიყვარულის თავიც არა აქვთ.
თქვენს გასაგონად ვიტყვი მე დღეს კაცის კაცებო.
ძლიერი ქალის ნაფეხურსაც თქვენ ვერ მიწვდებით.
ამიტომ ფულზე გაყიდულებს ეცით ვაცებო,
ღირსი არა ხართ ნაღდი ქალის, ამას ვერ ხვდებით?
ამას მიხვდებით როცა კარზე მოგიკაკუნებთ,
მკაცრი ზამთარი, დასასრული ამ ცხოვრებისა.
არვინ დაგრჩებათ ვინც გულს თბილად მოგისალბუნებთ,
და ეს იქნება დასასრული შემოდგომისა.
მე კი არ მჯერა კაცის კაცის "სიყვარულების"
არც უამრავი დაპირება მხიბლავს უაზრო.
მოდი წადით და სხვას უგზავნეთ თქვენი გულები.
მე კი მაცალეთ,ვიყო მშვიდი,თანაც უსაზღვროდ.
მე დამეხსენით!

უფალს მინდობილმა

უფალს მინდობილმა გრდემლი მოვისროლე,
რაზეც ჩემს ცხოვრებას ვჭედავდი.
უფლის ბოძებულის შეცვლა მოვინდომე,
ხშირად ამასაც კი ვბედავდი.
უფალს მინდობილმა ცრემლიც მოვიშორე,
გულსაც მოვაშორე დარდები.
ხვალე რა იქნება, აღარ მოვიგონე,
აღარც მოვინდომე ვარდები.
დილის გათენებას მშვიდად ველოდები,
უფალს მადლს შევწირავ ამისთვის.
ალბათ გამოვჭედე კარის გასაღები,
მხოლოდ საკუთარი თავისთვის.

ვებრძოლოთ ანტაგონიზმს

არდამთავრებულს, არგამოცდილს, არგაგონილს,
ფერებში ვხატავ ამ უსახურ ანტაგონიზმს.
მე ვეჩხუბები, ის არ მითმობს, არ გამოსდის,
რად მინდა ბრძოლა, სიტყვები ხომ ფარად მომდის.
სიყვარულს ვეძებ, ვერ ვპოულობ, არ გამომდის.
სული დაფრინავს,დაბლა გართხმა არ გამოსდის.
მოდი ვებრძოლოთ უცხო სიტყვას-ანტაგონიზმს,
ერთად ვაშენოთ,ერთად ვრანდოთ,არ გამოგვდის?
კიდევ ვეცადოთ, მივუბრუნდეთ არგამოვლილს.
ყველას დაგლოცავთ, გაუმარჯოს არდაბოღმილს.
გადავაფაროთ შავი ძაძა ანტაგონიზმს,
დღეს სულ ესაა,რაც მე თავში აზრად მომდის.

სად ხარ უფალო?!

ჯვრის ფორმის გზაზე ვდგავარ უმწეო.
გზაჯვარედინად წოდებულ გზაზე.
ვფიქრობ, რომ დავრჩი, დავრჩი უმზეოდ.
გაბრაზებული საკუთარ თავზე.
ირგვლივ ირევა ათასი ფერი.
ირგვლივ გაისმის ათასი ლოცვა.
მე კი ვარ ქვიშის მარცვალი, მტვერი.
უფალო, მინდა შენამდე მოსვლა.
გვერდზე გახედვა არ მინდა იცი?
არც უკან დამრჩა რამე გულწრფელი.
ვდგავარ და ვფიქრობ, ვფიქრობ და ვიცი,
მომენატრება ბალახის ფერი.
ატმის ყვავილი მომენატრება.
იასამანი და ვარდის ფერი.
მომენატრება სიო, თავნება.
მომენატრება, თუნდაც,ის მტვერი.
რომლითაც შენ მე შემქმენ უფალო
და თან აღმგავე პირისგან მიწის.
დამტოვე ისევ ყრუ და უთვალო
და გამამზადე საჯიჯგნად მიწის.
მე დავიღალე,სად ხარ უფალო?!

გულნაზი ხარაიშვილს

გულში სიყვარულის მარაგი ულევი.
მეტი სიმდიდრე და განძი რად გინდა.
შენ ხომ გაალღვე და გაათბე გულები,
შენი შემხედვარე მეც მეტი რა მინდა.
შენთან მშვიდდებიან მშფოთვარე სულები.
შენთან პოულობენ სითბოს და ღიმილებს.
შენთან ჭრიალებენ ძირძველი ურმები,
ფესვმაგარ მუხებთან ტოვებენ ტკივილებს.
შენ ეროვნულობის კერას არ აციებ.
შენ სულიერების გრდემლი ხარ სამჭედლო.
გულში კი უსაზღვრო სიყვარულს აღვივებ
და ცდილობ სიმშვიდე სულებში ჩაჭედო.
შენს კერას მოვლა და სიმშვიდე ჭირდება.
შენს კერას სული აქვს ჩადგმული ქართული.
შენ,ჩემო გულნაზი, ქება არ გჭირდება,
უფლის გზას ადგახარ მხნე და შემართული.

დედას

დედა ღმერთია,ხატია ჩემი.
ნუგეში, როცა მიჭირს და მტკივა.
ვინ შემაშველოს წაქცეულს ხელი,
ვინ შემიმშრალოს ცრემლები მტირალს.
დედა ერთია,ერთია გესმით?
ჩემი სამყარო დედით შევიცან.
მტერი როდესაც ბრმა ტყვიას მესვრის,
დედა უხვდება მედგრად ამ ისარს.
დედა, გული ხარ, სითბო ხარ ჩემი
და მე შენთან ვარ ისევ პატარა.
შენს მოფერებას ისევე ველი,
როგორც აქამდე გულმა გატარა.
დიდხანს იცოცხლე ჩემო დედიკო,
დიდხანს ეფერე მონაგარს შენსას.
არ მაქვს უფლება ისე ვერ ვიყო,
როგორც ეკუთვნის ჩემს ლამაზ დედას.

ვერ ვეგუები ასეთ მოდგმას

უწიგნურები მბრძანებლობენ, იწყებენ თარეშს,
ითხოვენ, თავის დაკრულზე რომ აცეკვონ ყველა.
ემსგავსებიან წითელ ტურებს ან კიდევ მაჩვებს,
ვერ ვეგუები ასეთ მოდგმას, ვერა და ვერა.
გაიღიმილეთ ეს ცხოვრება ისევ ბავშვურად,
არავინ არ ხართ არავიზე მეტი არაფრით.
თქვენი სკამებიც, თუ თავი გაქვთ,გქონდეთ კაცურად
თორემ უფალი მანდ ჯდომასაც აღარ დაგაცდით.
თქვენ, დიდკაცებო, ერთი რამე გახსოვდეთ მინდა,
სითბო დათესეთ უანგარო არ გამორჩენის.
მინდა ამბობდეთ, რომ ცხოვრება მართლაც რომ ღირდა
და არ გრცხვენოდეთ მეგობრებთან კვლავ გამოჩენის.
სადაც იქნებით გაზაფხულად ბრწყინავდეთ მინდა
და არა ისე, ვის როდის და რას გამორჩებით.

სევდა გავაქრე

გრძნობას დავლანდავ სადღაც შორეთში,
ტანს აბლაბუდის კაბა მაცვია.
გადავეშვები გრძნობის მორევში
ჩემი ფიქრები უკვე ანცია.
უკვე დახტიან მაჯლაჯუნები,
ცდილობენ სულის ამოხდას ბნელში.
მაგრამ უარით დატანჯულები,
სადღაც გარბიან უდაბურ ტყეში.
დღე ინათებს და უფალი მეძებს,
არ სურს რომ ვიყო გზაარეული.
თეთრი მანდილი უჩემოდ ვერ ძლებს,
მარტოობაზე გადარეული.
ტყის ტევრს დავკიდე ცრემლის ბურთები,
მზის გულს ღრუბელით აღარ ვაშინებ.
სევდა გავაქრე ისევ უთქმელი
და სიყვარულით ვერ შემაშინებ.
თვალებში ისევ ეშმაკუნები,
გულში კი ბუდობს ისევ სიცოცხლე.
სიგიჟეევ,ჩემს ხმას ეხმაურები,
სიმშვიდეევ,მხოლოდ ჩემთან იმორცხვებ.

დრო ხომ ისედაც წარმავალია

არ ვიცი რატომ, მაგრამ გიყვარდი,
არ ვიცი რატომ, მაგრამ გჯეროდა.
მე ჩამესმოდი, როგორც ვივალდი
ამ სულ პატარა სამლოცველოდან.
შენ მე გიყვარდი, დიდხანს, გულწრფელად,
ყოველ დღეს გღლიდა ნდომის წამები.
მე კი ვდუმდი და შენ კი უთქმელად,
არც მოიხედე, ისე წახვედი.
მე გახსენებდი, ცალმხრივ სიყვარულს,
დრო ულმობელი ვერ გაუძლებდა.
კვირტის ბუტკოში ცრემლებს მიმალულს,
გაზაფხულიც კი ვერ აუმხედრდა.
შემოდგომაა სავსე ფერებით,
არ მოსაწყენი დრო და ჟამია.
რადგან წახვედი, ნუ დაბრუნდები,
დრო ხომ ისედაც წარმავალია.

ჩემმა გრძნობებმა ვერ შეგიფერეს

არ ვიცი როდის მოხვედი ჩემში
და როცა გნახე სინათლის რკალში,
ჩემივე სული მოექცა შენში,
ბევრი ვეცადე, მაგრამ ვეღარ გშლი.
მე კი შემაკრთო ჟამთა ბრუნებამ,
სამყარომ, შენ რომ სამყაროდ თვლიდი.
მოგწყვიტა უცებ ამ განშორებამ,
მე კი მოვლენებს უეცრად ვცვლიდი.
მღვრიე ნისლებში წერტილებს შევრჩი,
შევრჩი ოცნებებს, გაძარცვულ სევდას
და ვუფიქრდები,შენ რაღას გერჩი,
მინდა ყველაფერს სახელი ერქვას.
არავინ გვისმენს,ჩვენ დავრჩით მხოლოდ,
ველურ ზმანების გაცრეცილ კვალზე.
მე შენ შეგცქერი,შენ კი მე ობოლს,
ჩუმად მიყურებ ცრემლიან თვალზე.
და მე ვხარხარებ შორეთში,სადღაც,
ცისფერ ლანდებში ვხედავ სიბერეს.
ისევ მარტო ვარ, შენ დარჩი სადღაც,
ჩემმა გრძნობებმა ვერ შეგიფერეს.

ნუკრი ლობჟანიძე

* * *

ბევრჯერ დავეცი ავდექი,
ბევრჯერ ტკივილიც მწვევია
ხან ზამთრის სუსხმა დამაშთო,
ხან გაზაფხული მეწვია...
ბევრჯერ ტკივილის სანაცვლოდ,
მტერმა სიკეთე მომთხოვა,
გაზაფხულს როცა ველოდი,
ჩემს ბაღში მაშინ მოთოვა...
იხარე მამულ-დედულო,
ხვავი, ბარაქა შენს მიწას,
ღვინით ააავსე მარანი,
მტერმა რომ ავი ვერ გვიქნას!
დავითის ჯიშმა, ჯილაგმა
თამარის დროშა გავშალოთ,
ნიკოფსით დარუბანდამდე,
რომ გამარჯვება ვახაროთ,
ყველას, ქარველს და მოკეთეს,
ვინც ტკივილამდე გვიყვარს და...
ერთიც დავსჭექოთ ქართულად,
თუ თავზე ქუდი გვახურავს!!!

11.05.2017

ისევ ექსპრონტად, პირდაპირ აქ დავწერე, ისე რომ ერთი სიტყვაც არ გადამიკეთებია და ამიტომ მევობრებო თუ არ მოგეწონოსთ ბოდიშს გიხდით

* * *

დახშულ გონებით მართვა არ მინდა,
მინდა სიმართლე დიოდეს გულში,
შენ ხარ სატანა, ეშმას მსახური
და თვალებიდან გადმოგდის შური...
ამ ქვეყნად ჩვენი ცხოვრება რაა,
წუთისოფლისთვის ვშრომობთ და ვწვალობთ,
რომ იმ ქვეყნიურს წავიდეთ ისე,
რომ ცუდისმთქმელი არ გვყავდეს ახლოს...
გაზაფხულდება, იმედის მერცხლებს
შევხვდებით ისევ აპრილის თვეში,
თორემ ამ ქვეყნის მართვის სადავეს,
ისევ სატანა ჩაიგდებს ხელში...
ერთად დგომით და სიმართლის ძებნით,
გავკვალოთ გზები სანამ ჯერ დროა,
თორემ ქართულის, თორემ კოლხურის,
გადაგვარების ზღვარს მიმართ მყოფთა,
არ გვაპატიებს უფალი ჩვენი,
ჩვენივე ხელით გაკაფულ ბოღმას,
გზა ქრისტიანთა, გზა ჭეშმარიტი
მხოლოდ ერთურთის სითბოთი მოვა!!!!

17.01.2020 წ.

* * *

ბევრი ვძებნე, ვერ ვიპოვე
ქვეყნად შენი სადარი,
მთა რომ მთაზე გადაწნულა,
როგორც ხმალი ქარქაშში.
დაბლა ველი არნახული
და ყვირილას ჭალები,
ვითომ, ვითომ გაგექეცი,
მაგრამ ვერსად გავჩერდი!
შენი სითბო, შენი სიტკბო,
უფრო მეტად მახელებს,
ვინც კი გნახა ერთხელ მაინც,
გარქმევს ახალ სახელებს.
სამოთხე ხარ დედამიწის,
მწვანე გმოსავს გარემო,
ყვირილას ხმას შეჩვეული,
არ მაგრილებს სხვა ჩერო...
ჯრიის მსგავსი, ჯრიის დარი
ნეტავ სადმე თუ არის, იდღეგრძელე,
იმზეგრძელე ხარ სტუმრისთვის გულმნათი.

01.11. 2018 წ.

* * *

მე მაქვს პანიკური შიში,
ვგრძნობ თუ რა იქნება აწი,
ჯერ ხომ კოვიდი გვაქვს ქვეყნად,
კოვიდს სხვა ვირუსი წაშლის...
გვინდა ღვთის შიში და რიდი,
თორემ დავმარცხდებით მალე,
უნდა მოვითოკოთ გრძნობა,
უნდა მომავალი გვწამდეს!
მასონს არ ანაღვლებს ერი,
და არც ავალია რამე,
გარდა იმისა რომ ჩვენში,
ეშმაკს მიუჩინოს საქმე.
ეშმას მსახურება ყველგან-
მათი მიზანი და სწრაფვა,
დროზე უნდა დავდგეთ ერთად,
თორემ უფსკრულისკენ წავალთ.
უნდა განვადიდოთ ღმერთი,
უნდა საქართველო გვწამდეს,
თორემ ჩვენს გასალეწ კალოს,
სულ სხვა რწმენის ხალხი გალეწს!!!

08.05.2020

* * *

ჯიშით ქართულით, ფესვით ქართულით,
დასაბამიდან მოვდივართ ასე,
ვერ მოგვერევა და ვერ წაგვაქცევს,
უფლის გვირგვინი გვახურავს თავზე!
ბევრჯერ განსაცდელს ჩავხედეთ თვალში,
ბევრჯერ ვარესი სენიც გვინახავს,
გვყიდდნენ ბაზრებზე, გვყიდდნენ ცალცალკე,
მაგრამ ქართული სული გვიცავდა...
ზღვა გვაქვს ლურჯი და ცა გვაქვს კამკამა,
ზურმუხტ ლაჟვარდა მთა მთაზე მდგარი,
შეხედეთ მთებზე დაწოლილ ღრუბლებს,
შეხედეთ როგორ ღუღუნებს ქარი.
აქ ყველა ფეხის ნაბიჯზე ვხედავთ,
წინაპრის სისხლით მოკირწყლულ ბექობს,
ვერ მოგვერევა, ვერ მოგვერევა,
რადგან ჩვენს სულში უფალი მეფობს!

30. 03. 2020.

* * *

ჯიშით ქართულით, ფესვით ქართულით,
დასაბამიდან მოვდივართ ასე,
ვერ მოგვერევა და ვერ წაგვაქცევს,
უფლის გვირგვინი გვახურავს თავზე!
ბევრჯერ განსაცდელს ჩავხედეთ თვალში,
ბევრჯერ ვარესი სენიც გვინახავს,
გვყიდდნენ ბაზრებზე, გვყიდდნენ ცალცალკე,
მაგრამ ქართული სული გვიცავდა...
ზღვა გვაქვს ლურჯი და ცა გვაქვს კამკამა,
ზურმუხტ ლაჟვარდა მთა მთაზე მდგარი,
შეხედეთ მთებზე დაწოლილ ღრუბლებს,
შეხედეთ როგორ ღუღუნებს ქარი.
აქ ყველა ფეხის ნაბიჯზე ვხედავთ,
წინაპრის სისხლით მოკირწყლულ ბექობს,
ვერ მოგვერევა, ვერ მოგვერევა,
რადგან ჩვენს სულში უფალი მეფობს!

30. 03. 2020.

მანანა კორძახია

ჩემს პოეზიას მე დავარქვი....

ჩემს პოეზიას მე დავარქმევ მუზების ცეკვას
მხოლოდ სევდიანს ვით წვიმაში მდგარი ტირიფი,
ჩემს პოეზიას მე დავარქმევ გრძნობებს დანისლულს,
ვით მოლოდინი ობოლ ბავშვთა მზერა თვალების.
ჩემს პოეზიას დავარქმევდი ფრაზებს დაკარგულს,
ვით შარა გზაზე დაკარგული მგზავრი დაღლილი,
ჩემს პოეზიას დავარქმევდი ხსოვნას უძიროს,
და მონატრებას, დედის ალერსს სხვას რომ არ ესმის.

ზღვა და შენზე ფიქრები..

თბილი ზღვა და ქვიშები,
მართობს შენზე ფიქრები
მალე შტორმი გადავა,
მე არ გეტყვი სადა ვარ.
ზღვის ნაპირზე მჯდომარეს
მზის სხივებით ვირთვები,
არეკლილი ნათება
მაფრქვევს ბროლის მძივებით.
ღრუბლის ქულებს მისდევენ
თოლიების გუნდები,
მაგნოლიის სურნელი
ნიავს მოაქვს ულევი...
ახლა მზეა თაკარა,
ვირუჯები, აბა რაა...
და სხივები ელვარე
მეფერება მგზნებარედ.
თოლიების ყიჟინი,
ზღვის ტალღების ლივლივი,
თითქოს მთელი სამყარო
ჩემი გახდა, ვამაყობ...
ახლა მზეა მთვლემარედ,
სხივები კი ელვარებს
მლაშე ტალღებს ქაფიანს
ვეგეზები მდუმარედ.
გრილი ზღვა და ქვიშები
ამერია რითმები;
შენზე უკვე არ ვდარდობ
ტალღებს ვანდე ფიქრები.
შტორმი უკვე ჩამდგარა
და მზეც ჩადის თაკარა;
ძველი სიყვარულუსგან
არაფერი დარჩა რაა..

ლალი ჩხეიძე

გაზაფხულის ყვავილო, ლურჯთვალება იაო...
სულში ბინა დაიდე, გული გადირიაო...
პაწაწინა ყვავილო, ლურჯთვალება იაო,
ჩემი გულის ბადაგო, სიყვარული გქვიაო.
ჩემო ნაზო ყვავილო, ცეროდენა იაო,
ზამთარშიც ჩემთან დარჩი...
გული დარდობს იაო....
გაზაფხულის ყვავილო, ლურჯთვალება იაო...
ჩემი გულის ბადაგო, სიყვარული გქვიაო...
21.10.2020წ.

მე თვალებში შეგციცინებ,
თითქოს ვიყვე ისევ ბავშვი.
რატომ გიკვირს?
ალბათ ხვდები, შემიყვარდი, შემიყვარდი...
სიჭაბუკე დამიბრუნე, გიჟურ ვნების მონა გავხდი,
გრძნობებისგან გადაღლილი,
ვფორიაქობ, ვფორიაქობ...
შემომხედავ მეუბნები: - დამიწყნარდი,
დამიწყნარდი...
- ნუთუ, კარგო შენ არ იცი?
დაწყნარება ჩემი მხოლოდ შენს სიყვარულს შეუძლია...
ღამე ვბორგავ, ვერ ვიძინებ, ჩემი ვნების ხარ საწყისი,
სული იწყებს შენს ძებნას და მელანდები, მელანდები.
როცა გხედავ თავს ვიკავებ, როგორ მინდა მოგეფერო,
შენ ახლოსაც არ მიკარებ გამირბიხარ, სამწუხაროდ...
სიყვარული, ჩვენს ასაკში ჰაერივით მჭირდება დღეს,
გულის კარები გამიღე ნუ გამწირავ, გთხოვ! შემინდე....
მე თვალებში შეგციცინებ, თითქოს ვიყვე ისევ ბავშვი...
19.02.2019 წ.

სული კვნესის ეული...

მიყვარს სიყვარული და,
ცხოვრების გზა, ჩვეული...

4.11.2020წ.

ო, როგორ გაცივდა სამყარო...
გაწვიმდა ჩემს გულში გაწვიმდა.
მზემ, აიკრიფა სხივები ცოტაც'
და სიცივე გამყინავს...
ბავშვივით მიუსაფარი,
დავბორიალებ ქუჩებში,
სიცოცხლის ნიშან-წყალს ვეძებ,
სითბოა დღეს ჩემი ნუგეში...
გაცივდა, სამყარო გაცივდა...
გაწვიმდა ჩემს გულში, გაწვიმდა...
27.10.2020წ.

დღისით, მზისით გზა აგებნა...
მე გელოდი, დავიღალე...
შენ არ ჩანდი, გაგიბრაზდი
და ცრემლებად დავიღვარე...
გული მოლბა, ძებნას გიწყებ,
გაბუტული ბავშვი ვარ დღეს...
შენ არ ჩანხარ, რა ვიფიქრო?
დარდი, სევდა აწვება მხრებს...
ცივ საწოლში გავიტრუნე,
მონატრების ცრემლი
თან მდევს...
წყენა უკვე დავივიწე...
ღამის მწუხრი მიღებს სარკმელს...
მონატრებულ დედის ხმაზე,
მინანავებს... მინანავებს...

თვალცრემლიანს შენს მკლავებში,
გამეღვიძა დილით ადრე...
23.10.2020წ.

თენგიზ პაპაშვილი

ღამეს ვიგონებ...

ამ ღამეს ლექსი შენზე დავგეშე
შენ კი არ გიღირს მგონი შაურად
და ლექსის წერას ბროლის ბაგეზე,
დღეს ნუ ჩამითვლი დანაშაულად.
ყავლი გაუდის ტრფობის ყალიონს,
მალე აპრილი ატმებს შემოსავს
და გადანისლულ ვნების ალიონს
შენი ფერმკრთალი ფრესკა შემორჩა.
სანამ დრო არის, სჯობს სიზმარეულ
კოშკებს ემთხვიო ღამე ეგების.
ღამეს ვიგონებ, ღამეს მთვარეულს,
რომ გაგახსენო თოვა დეკემბრის.
დეკემბრის თოვა შენზე დავგეშე,
რითმას ხედნიან ანაკონდები.
ღიმილს ვერ ვლანდავ მაგ შენს ბაგეზე,
ღამენათევსაც არ მაგონდები...

1985წ.

უღვთოდ მენატრები...

უღვთოდ მენატრები, სტრიქონს ვეფერები,
სულში საოცარი ლურჯი ცის ფონია.
რითმა ტორტმანებს და სტრიქონს ემსგავსება,
შენთვის დაწერილი ღამის სიმფონია.
უღვთოდ მენატრები, ლექსად ვიღვენთები,
სულში მწარედ მაწვიმს, გლოვის ამინდია.
ჟამით დაისრული წლები მონატრების,
ფიფქით მავსებენ და არსად არ მიდიან.
წლებმა ვერ განკურნა დროის მდინარება,
ისევ ბორგნეული სიზმრის კართან გელი.
სისხლი ამიჩქროლე გულში მდინარეთა,
სულში ჩამიქციე ვნების კართაგენი.
ვეღარც მონაბერი, ვერ მცემს სიო გულზე,
სულში ზვავი მოწყდა, უშბის და ზეკარის...
და როს სიკვდილი მოდგება ზღურბლზე,
ასწილ მიჯობდა შენ მოგეკალი...

სანამ დრო-ჟამი...

წუხელ მესიზმრა, გადარეული ვარდებს შირაზის,
ტრფობის ალმური გედებოდა, გწვავდა აბედი.
დუმს უშენობით გაძარცული ჩემი მირაჟი,
შენ კი არა და სტრიქონს მართლა შემოვაბერდი.
ვატყობ ოცნების ბილიკებზე ფეხი მერევა,
გულის კლდეკარიც მიტომ მოჩანს ამოდ რღვეული.
ჩავლილი წლები შევაჩეჩე მეხსიერებას,
ცხოვრების ფერმკრთალ დღიურიდან ამოხეული.
თეთრად ინათა, ყავლი გასდის ღამის ზმანებას,
აქ კი სულს ღაფავს შენს ლოდინში ბოლო ბწკარები.
რითმას მიკენკავს მთვარეული სიზმრების ძერა
და უშენობას მივაცილებ ცისფერ კარეტით.
ხავსმა დაფარა ძველი ფრესკა ამაოების,
სიმარტოვე და მეწამული მქურდავს მგოსანის.
ეკლის გვირგვინი რად დამადგი შენი პოეტის
ან რად გამიხდი სულის ჯვარცმა და სალოცავი?
ისევ საწუთრო შემიკედლებს ვნებააშლილი,
სანამ დრო-ჟამი თმას ვერცხლისფრად შემიმოსავდეს.
შევეკედლები ძველ სიყვარულს ჩვილი ბავშვივით,
შენ თავს ვფიცავარ, მაგრამ მხოლოდ
ქრისტეს მოსვლამდე!

17. 01. 2020წ.

როგორ ვირწმუნო...

ვედიდგულები ახლა სტრიქონებს,
შენ კი მიმზადებ გულის მოლს ბერტყვით,
გული ჩემთან თუ ვერ მოიფონებს,
გამიხუნდება ხსოვნის მოლბერტი.
სტრიქონს მინალმავს გაქრობის შიში,
ყორნისფერ ღამეს სად არ ვემალე..
სულ გაფერმკრთალდა შენამდე ნიში,
ამოვიარე მწუხრის ტყეც მალე.
ვნებაარეულს ცეცხლი მედება,
წახველ და ბედი სად არ ეძიე.
სივრცის კარები შეხსნეს გედებმა
და ჩამავალ მზეს იქ დაეწიე.
ჩემთვის იმეხა დღეს ყველა მეხმა,
ბოლო არ უჩანს, ვფიქრობ წამებას.
შენი ჩურჩული არც სტრიქონს ესმა,
სიცოცხლე მრჩება როგორც ამებას.
ჟამის ტრამალებს ხავსი ედება,
როგორ ვირწმუნო შენ და უარი,
ცრემლის შხეფები ღაწვზე ბერდება,
დღეს უშენობას შენაგუარი...

15.01.20

უშენობა მკლავს...

მთვარე მაცდურად მინათებდა ლექსის კაბადონს,
დარდმა დაწყვიტა სევდის რითმა-გულის მყესები.
ვერ ვუდარაჯე მაგ ტკივილის ურიცხვ საბადოს,
ვერც სიყვარულის შეგასწავლე ადათ-წესები.
ლექსით ვსულდგმულობ, ლექსით ვქრები,ლექსით ვინთები,
დარდსა და წუხილს აპრილს ვეღარ დავესესხები,
ო, ბნელ ღამეში სევდის მრუმე ლაბირინთებში,
იღვენთებოდა შენს ლოდინში ჩემი ლექსები.
ვაგლახ, საწუთრომ მეც ურიცხვი დარდი მაგემა,
არ კი მიწამლა, არ დამედო აღარც მალამოდ,
შარბათს მასმევდა, მაშინ მითხრა ცრემლით ნაგვემმა,
შხამის ფიალას ახლა მაინც დაგიმალავო.
როგორ მეწადა, შენთვის ერთი თვალის შევლება,
მწუხრის ღამეა, ივლისის თვე და გილგამეში.
უშენობა მკლავს, ხატება კი თავზე მევლება,
აღარც შენს გულმა შემიფარა ამ გრილ ღამეში.
ლოდინმა გახრა გასახრავი ავი ლაგმები,
არც შენმა ტრფობამ მომიტანა დიდი მათა რა,
ამ ცხოვრებიდან ისე როგორ ავილაგმებით,
რომ სიყარულის არ შეგასვა დიდი მათარა.
დაღლილი მთვარე ღამეს ათევს ფანჯრის რაფაზე,
უფლის განგებამ დღესაც რაკი ასე ინება,
ერთსაც დავარტყავ იმ გადათვლილ ბოლო ნაპასებს,
გზას გავუყვები ჩემ სიზმრებთან დასაძინებლად.
ქარმა წამართვა ციდან ღრუბლის ბოლო ნახევი,
აღარც ცრემლები ემეტება ზეცას სამიწედ...
ახლა ისე ვარ, უფლის მადლით ნაკარნახევი,
ლამის ცხოვრება ძუ ლომივით ფეხთით დამიწვეს...

2.02.2019 წელი

შემომათოვა და მიმატოვა...

შენს სიყვარულში უამრავი მოცილე მყავდა.
ამ სიყვარულმა თუმც ურიცხვი შემძინა მტერი.
მაინც არ ვუფრთხი უბედობის მოვარდნილ ავდარს
და როგორც მაშინ, ახლაც შენზე ვმღერი და ვმღერი.
ვმღერი იმაზე, რა მიჯნური იყავი ჩემთვის,
შენზე ფიქრებმა ამ შობა დღეს შემომათოვა...
შემომათოვა და მას შენი ღიმილი ერთვის,
შემომათოვა... და მიმატოვა...

შენი მაქვს ვალი...

მამულო! კვლავაც შენს დაძახილს შევხვდი კრწანისზე,
იქ შემაგება მშობელ მიწამ ჩემი ჩონგური.
ვგავდი უენოს, შენ ცხოვრება გამიხალისე,
მუნჯი ვიყავი, ვით ბირთვისის,თმოგვის ქონგური.
შენს სიყვარულმა დამამუნჯა სატრფოზე მწყრალი,
გრძნობებით დაღლილს მომელოდა მკაცრი გამოცდა.
მე სიკვდილამდის სიყვარულის შენი მაქვს ვალი,
შენდამი ტრფობა ამჯერადაც ლექსად წამოცდა.

ნონა გაგნიძე

* * *

ფოთლების შრიალს ვეღარ მოუსმენ,
სინესტისაგან ხეებზე ლპება,
მზის სხივის ციალს ეშხი მოუსპეს,
წყაროდამშრალი უდაბნო გვრჩება.
რა სიჭაბუკე ,ყველა დაბერდა,
ნიღაბგაკრული დააბეს ბავშვი,
რა ჯოჯოხეთის დღენი გათენდა,
ყველაფერს უკვე უჩნდება ხავსი.

* * *

ბილიკი დავკარგე, ფართო გზას
ვადგევარ,
დავცრემლე ფარულად ალალი
ღიმილი,
არ მინდა დღეიდან რომ ისევ ვიტირო,
მიყვარხართ და მინდა ხმამაღლა
ვიყვირო.
მინდა რომ გრძნობებმა დამიდგას
ძეგლები,
ყოველდღე მიმქონდეს იები
სახსოვრად,
არ ვდარდობ,ვიცი რომ ისედაც
ვბერდები,
სიზმრად შემომრჩება, ის ჩემი
ბავშვობა.

* * *

ნეტავი შევძლებ? ამეკვიატა კითხვა,
რადგან შფოთებით ვწევარ,
გართულდა დრო და ხანი,
ვერ ვუღალატე ჩვევას.
არადა გულს მაინც მატკენს,
სიტყვა ჰაერზე თქმული,
თავისუფლების ნატვრით,
რომ გავიწყდება რჯული.
სურვილად ვიწყებ ბოდვას,
შევიცნო ის,რაც მინდა,
დაუღალავი ლოცვით,
ალბათ რაღაცას ვიზავ!

* * *

ლექსია ჩემთვის აღსარება,
ყოფა ,ცხოვრება,
წიგნებად შემკრავს, შემიერთებს გულს
და გონებას,
წლებს დაერქმევა გადაბრუნებულს
ისევ წარსული,
არ დამავიწყებს სად და როდის,რა
მაქვს ნახული.

* * *

ცხოვრება წამთა მონაცვლეობაა,
რაღაც მკვდარ სურვილს
აცოცხლებს ნუგეში.
გული სითბოა,თავის ბუდეში,
მიეც ოცნებას, დაფაროს ნისლი,
და შემოდგომის გაყვითლებული
ფოთლების ფონზე,
შენ შეგიძლია ბედნიერმა იცეკვო
თოვლზე...
გაზაფხულები დაუყენო
ადამიანებს,
თუმც ჩათქმულ ნატვრის
შესრულება დააგვიანებს,
ჭერი ,დაწერე,გადახატე ყველგან
იმედი,
გამოაცოცხლო ჩამომჭკნარი
ხეთა ძირები!

* * *

გული არაფერზე მწყდება,ამ
დედამიწის ნაგავში ისედაც
კარგად გავძელი.
არავის უთქვამს რამეზე : აი,ეს
შენია!
ყველგან საფასური გავცერი.
თვითონ ყელზე ჯაჭვად დაბმულს ,
სხვისი ჯაჭვები ჩავხსენი,
ხელები გავუშალე დამხვდურს,
უმადურობაში მაინც გავძელი.
არც ლანძღვა დამკლებია,
არადა არავისგან არაფერი
დამრჩენია,
მყავს ჩემი მარგალიტები,
საკუთარი სულის ჩიტები.
ისინი უფლით მოფრინდნენ,
მათი ბედნიერებისთვის
ყველაფერი მოვსინჯე.
არა,არ ვაპირებ დათმობას,
ამ ბოროტი სამყაროთი
დათრობას,
წყაროს წყალს მაინც ვიპოვნი,
პეშვით დავლევ და მადლად
ავიწონი.
სადმე სიძნელით თუ მხვდებიან ,
ეს ჩემი გასავლელი გზებია.

* * *

ფანჯარას მინებზე დახატავს
ნაორთქლი,
ფიფქებმა ქორწილი წინდაწინ
გათვალა,
ციმციმა შუქებით, ფერებში
ნაკოცნი,
ახალმა დამდეგი დღეებად
დათვალა.
არ მინდა წუთები ზღვა
უთანხმოების,
წამშლელი შევიქმენ ,შევცალო
დროება,
გაქცევა მინდება,დამთავრდეს
სიზმარი,
მეყოფა ამდენი სიყალბის
გროვება.
როდესმე ვერ შევძლებ გავაღო
კარები,
ჭრიალი სიძველის, გულს მატკენს
უდავოდ,
თუ ვინმეს ვუყვარდი ,ისევ
ვეყვარები,
სიყვარულს ფაქიზად შენახვა
უნდაო.
მებაღემ იების შემიკრა კონები,
ჯიბეზე ნარჩენი ხურდები
დავთვალე,
ქუროვით ისევე ჩემს ფიქრებს

* * *

ქარი წარსულიდან მარწევს,
გული არაფერზე მწყდება,
ბედი ყველა აღმართს მაჩვევს,
მალე დეკემბერი დგება.
საწყისს ვერ ავუწყე ფეხი,
მცემა, შიშმა გამამწარა,
ხმა ჩამომესმეოდა ჩეხვის,
გული სხეულს გამაცალა.
ეხლა შეჩვეული ვდგევარ,
ვეღარ შემაშინებს აწმყო,
თითქოს გადმორგული ხე ვარ,
შემოდგომა რას გამათბობს.

* * *

განკითხვის ჟამის მონაწილე ვარ,
მხრებზე ისევე მძიმეა ტვირთი,
მივყები აღმართს, დაჩვეულ ქუჩებს,
და არაფერი მთავრდება უცებ.
მისამართს ვეძებ გამოსვლისას,
სახელურები არა სჩანს კარის,
მტვერს კი ლოცვებით ვიცი გავწმინდავ,
დრო, დრო მჭირდება დათქმული ვალის.
გაურკვეველი სიზმრები მზღუდავს,
ვეცემი მიწას ,მაგრამ არ ვკვდები,
გამომლევია ბრძოლისგან ღონე,
არ მინდა გავყვე ნაფოტად მორევს.
მე ჩემი გულის შენაპირი მაქვს,
უნდა შევძლო და მივადგე ნაპირს,
გადავახიო სიბნელე ამ ჟამს,
მზედ დავიყენო იმედი ხვალის!

* * *

დ ა ლ ო ც ვ ა გ უ ლ ი დ ან !

ღმერთო დაიფარე ყველა ვინც მე
მიყვარს,
დილა გაუთენე ყველას ბედნიერი.
ყველამ მიაღწიოს ამორჩეულ მიზანს,
ანგელოზი ყავდეს მფარველი,ზეციერი.
განსაცდელს ააცდინე
მახეგადაგებულს,
შური ამოძირკვე ,ღიმილი არ ჩაუქრო,
თვალები სილამაზით,შუქით
გაუბრწყინე.
ხვალის იმედები სახეზე არ გაუქრო.
მზეები დაუყენე ზამთრის სიცივეში.
შეუნდე ,რაც კი აქვთ უნდობლად
ნათქვამი.
ადრე გაზაფხულის დღეები დაუყენე.
ნუ მისცემ ეშმაკს რომ გახადოს
საწყალი.
ავიდეს მთის წვერზე,ღობალი მიეცი.
სიზმრებშიც ხედავდეს სამოთხეს
არნახულს,
დახატე გარშემო უფალო სიმშვიდე,
რომ ჩემი მოყვასი ეღირსოს
გაზაფხულს.
გაუხსნას დაკეტილ დარაბებს ურდული,
ჩათქმული სურვილის შეირგოს
ახდენად.
დამარხოს წარსულად ოხვრა და
წუწუნი,
შეიგრძნოს სამყარო,მისთვისაც
გათენდა!

* * *

ყოვლადსახიერო,ღირსად
საკვირველო,
ძალა შემომმატე მიწიურ გაძლების,
ხორცი უძლურების მადლით გამიმაგრე,
სული მიმკურნალე, ლოცვებში ნათევი.
წმინდა ღვთისმშობელო,
ფეხი ამერია,მაგრამ შენ კალთისკენ
თვალები მიჭირავს,
გზა-გზა დაბნეული სიკეთის
მათხოვარი ,
ღმერთი შენს სიყვარულს ყოველდღე
მიწირავს!

* * *

თეთრი მირჩევნია წითელს,
თეთრს რა ფერსაც მინდა მივცემ,
თეთრზე გრძნობებად ავილეწები,
ცუდათ თუ კარგად გავილექსები.
მეც გავახარებ ჩემი გულის ჭიას,
თვალებში სიბრმავეს გავხდი
მზიანს,
სიჩუმეში ბზუილს როცა მოვისმენ,
სიმშვიდის დარღვევისთვის
მოვიწყენ.
ჩემთვის სიყვარული მადლია,
მადლში სანთლებად პატარა
სურვილები ანთია,
მინდა ყველას ჩამოვურიგო,
ლოცვა ,რაც მე სულზე მაცვია.
ვდგევარ გზათა ჯვარედინებზე,
დღეებს დილა -ღამე მიზომავს,
წლებს აღარც დავაწერ
კალენდარს,
ერთი და იგივეს ,გარეწარს.

* * *

დათაგულია ჩემი გრძნობები ლექსის
მშვენებად,
თუ გულს მოუნდა, ოცნებებსაც
გამოიგონებს,
მხოლოდ სიცოცხლე, ბედნიერებად არ
მიმაჩნია,
უსიყვარულოდ რაც კი
არის, ჩამოვიშორებ.

* * *

ნისლებში ვეძებ ალისფერ ვარდებს,
დროს უსირცხვილოდ დააგვიანდა,
ზამთრის კარს მისულ ოცნებას ვაღებ,
სულმა ლექსები დააფრთიანა.
შორს წასულ მგზავრზე დავტოვებ
ამბავს,
ტკივილებს მოვრჩი ,უაზრო ლოდინს,
ნოემბრის ვისმენ ჩურჩულით ზღაპარს,
დეკემბერს თოვლთან ვაპირებ
ქორწილს.ნ.გ.

* * *

დამდგარი ბილიკზე , ერთი გზით
დავდივარ,
ყვავილებს მაგლეჯს დრო და მაინც
ბავშვი ვარ.
არ მინდა შემცვალოს ქარმა და
გრიგალმა,
ვიცი რომ უფალო ,ძალიან გიყვარვარ.
გავშალე ისევე ნაკეცი ფიქრები,
მანგრევდა ბოროტი ,უკან არ ვიხევდი,
ცრემლით და ღიმილით წარსული
მივავსე,
ვყვაოდი ნუშივით,ხან ვეგდე მიწაზე.
განცდები ისევე ხმასა და თმაშია,
თვალებში მიელავს ნამწვავი ალები,
ცხოვრება ხან ბოლოს, ხან ისევ თავშია,
დასაწყისს ხელახლა გავუღე კარები.
აქა ვარ!მუდმივი ლოდინით აღსავსე,
დღეს ჭიქა ისევე სამადლოდ გავავსე,
დავლოცე მშობელი და ჩემი სამყარო,
დღეიდან მინდა რომ დარდები
გავყარო.
მეყოფა ამდენი უაზრო გეგმები,
ვსუნთქავ და დავდივარ,ჯვარი კი
მწერია,
ოქტომბერს გავლილი ,ნოემბერს
ვეხვევი,
დეკემბრის თვეში კი სიცოცხლის
ჯერია.ნ.გ.

* * *

ნეტარებაა უფლის შიში
და ლოცვა წმინდა,
ყოველთა დღეთა ცხოვრებისთვის
შენდობა მინდა,
შვილთა ჩემთათვის შემოსილი
სამყაროს დარდით,
ღმერთო მაღალო მადლი
მაჩუქე ,სამოთხის ვარდით.
განა კი ვღირვარ ,ან ღირსი ვარ შენი
ხსენების?
უდაბნო გახდა ქალაქები,მთა და
ველები,
გეძებ ,გოპოვნო ,არსობისა მოვტეხო
პური,
სუფევად შენით,გაატიალო ბოღმა და
შური.
გლახათ შემწყალეს ,წმინდა მხედარს
ვთხოვ მეოხებას,
განსაცდელები ყოველჟამზე რომ
მეორდება,
ღვაწლშემოსილო,დიდმოწამევ,
მოვედ ,გეძახი,
ევედრე ღმერთსა შეწყალებად სულთა
ჩემთათვის!
ევედრე ,ვიცი გამოჩნდება შენით
საშველი,
მიწა ვიყავი,მიწა ვარ და დღემდე
გავძელი,
სულჩაბერილზე გამინათე თუ რამ
მადლია,
წმინდა მხედარო ,ჩემი ქვეყნის იყავ
ნათლია.
შემოეხვია მეწამული ,შავი ღრუბელი,
მუხა ჩამოლპა,დამტვრეულია ჩვენი
უღელი,
გაანადგურე ბოროტების მწარე ორგია,
ადამიანი სულსა ყიდის,მყრალი
ხორცია.
წმინდაო ჩვენო,საფიცარო,მოგვეცი
ხელი,
დაგვლოცე ყველა სამას სამოცი და ხუთ
დღენი,
ლოცვა-კურთხევა გაგვაყოლე მთელი
წელია,
შენი მახვილი საქართველოს დროშის
მცველია.



თამარ მეტრეველი

ქართული მიწა არ იყიდება„„

შენ ხარ დავითი, თუ სამშობლოს ტკივილი გტკივა,
თუ ფეხშიშველი ჯარს წინ უძღვი, გქვია თამარი,
უქართველებოდ, სამაჩაბლოს ცრემლები სცვივა,
და დღეს გაგრაში, უქართველო ლურჯი ცა არი„.
პური ვარ მიწის, ხავსდაფენილ ჟამიან ბელტის,
ჭრელ საწუთროში დაბნეული მორცხვი მდგმური ვარ,
ვსაზრდოობ მისგან ცოდვა – მადლით ან კი რა მეთქმის,
როგორც ცის ნამი, თავთავებზე შეხიზნული ვარ„.
დღეს ვარ და ხვალაც, თუ ვიქნები ვინ იცის ნეტავ,
გვდევნიდნენ მუდამ, ჩვენ კი ამ მთებს ვერ ველეოდით,
დღეს ამ მადლიან, მთა-გორიან, საქართველოში,
მჯერა, ქართველნი, ბევრად მეტნი დავეტეოდით!

****

დაღლილი მზის სხივი,
ფუჩეჩზე წამოწვა,
მგონი ქორწილი აქვთ,
დღეს ჭიამაიებს,
სულ წვიმდა დილიდან,
ახლა კი დარია,
ღრუბლების ჯინაზე
გამოიამინდებს.
დამფრთხალი გუგული,
ბუჩქიდან აფრინდა,
თავის ქოხს დაეძებს
სულ ყველა სულდგმული,

****

გებაასები, დავდივარ, გეძებ,
ქვეყნად ვერ ვნახე შენი სადარი,
რომ ჩემზე უფრო დღეს ნეტარია,
საფლავის ქვაზე ხავსის საბანი.
ხედავ, უფალო, მაინც შენს გარდა,
რომ სხვა პატრონი არ მყავს არავინ
და, როგორ მტკივა, რომ შენს თვალებში,
ხმელპურის მარცვლად დავპატარავდი„.
მთაში ნისლად ვარ, ვარ იდუმალი,
ბარში ტყის პირას მორცხვი ღიღილო
და, როცა ისევ წამიღებს ქარი,
გთხოვ, რომ გულმკვდარმა გამომიტირო.
გადარეული გულით ვკიდივარ,
გრძნობის კაუჭზე, როგორც თავშალი
და მიხარია რომ ჩემ საფლავზე,
გაიყვავილებს იასამანი„.

ნაწვიმარ ფოთლებზე,
წვეთები დაცურდნენ,
ბუდის შორიახლოს,
ჩამოჯდა ბულბული„.
ზეცაზე სალექსე
სტრიქონის ხაზია,
ჩამომწკრივდებიან
შავთვალა მერცხლები
და სანამ სიცოცხლე
შენით მიხარია,
ვიცი შორს ვერ წახვალ
მოხვალ და შეგწვდები.

სანამ, იებია სანამ„„

გულის ბეწვის ხიდზე დავალ,
სახეს მორგებული ნიღბით,
უნდა შეგარჩიო წამლად,
ვიდრე ამ ტკივილით ვივლი„.
ვიდრე ატირდება ვაზი,
ვფიქრობ,
მზეს დავკიდებ ჰამაკს,
ჩრდილში
შენს მკლავებში ვტირი,
სხვის მზეს,
რად უყვები ზღაპარს„.
მოდი
ჩამითბუნე ფესვი,
სანამ იმ ქვეყანას წავალ„
სანამ იებია, სანამ„„

სადღეგრძელო

სანამ ქარი შეარხევდა, ლერწამს ცრემლით სავსეს,
აბლაბუდის ფიალიდან სადღეგრძელო მასვეს –
ბელტის სუნის, სანთლის მადლის, ვაზის მღვრიე ცრემლის,
წაკვერცხლილი ყლროტებიდან ჩამოდენილ ლექსის,
ფიალის და სიტყვის ძალის,
და – ძმობის და ნდობის,
დამტვერილი ფუძის აკვნის, მტირალ ანგელოზის,
პურის მადლის, თავთავისა, ვაჟკაცობის, ძმობის,
უღალატო კაცობისა, სიტყვის გამტანობის.
თავშიშველა ყაყაჩოსი, მიტოვებულ დედის„„
გაუმაძღარ სიყვარულით დადენილი ცრემლის,
თოვლზე ჩიტი მოლაღური – მოგალობელი უფლის,
ტბის სარკეში მომზირალი ფრთაგაშლილი ღრუბლის.
დაჩაგრული ობოლისთვის მიმწოდებლის პურის,
ჩემ ხორც მიწადმზაობისა, შიმშილს სიყვარულის„.
მერე იქვე, უფლის ბაღთან თვალაკრული დამსვეს,
აბლაბუდის ფიალიდან სადღეგრძელო მასვეს„

კელაპტარი ვარ„.

მეფიქრები და გულზე ხიდი ხარ,
მაგ უნაპირო დანაპირებით,
ხელში კენტ სანთლად თუ კვლავ გინთივარ,
როგორც ლოცვის დროს ჩანაფიქრები.

დავიღალე და „.

ვისთვის,
რა არის ბედნიერება,
ჩემთვის,
განცდაა, წუთი ყოველი,
დავიღალე და
უფალთან მინდა,
მაინც,
მოკლეა წუთისოფელი„.
არყოფიდან და არრარაიდან
შენ,
განსაცდელად ჩემთან მოხვედი„.
ერთი სხივი მაქვს
– შენა ხარ "ლილე",
ეს ნაპერწკალი მანათობელი.
ამოსუნთქვაზეც დარაჯებია,

****

ვიწვი და მტკივა,
ვევნე და ვკვდები,
სულის ბილიკზე
ხიდი არა ჩანს„.
უნდა დავიწვა
და ფერფლად ვიქცე,
მტკივა სიცოცხლე
დაუნდობელი,რა
სიწყნარეა
სასაფლაოზე,
რა მშვიდად ისმის
საგალობელი„.რომ
ფენიქსივით
აღვსდგე ხელახლა„.
სავსე ვარ ცოდვით,

რა შემიძლია,
პური ვარ მიწის,
ამ გულის შვებად
მხოლოდ ეს დამრჩა.
ერთგული ვიყო
ყველა იმ წუთის
ვითარცა ტყვიით
გადატენილი
ძველი დამბაჩა,და
ყველა ფიცის,
ვიქცე დარაჯად,
უფალო, სანამ
მიწაზე ვდგავარ,
გემუდარები,
აქ ნუ დამტანჯავ„.

აბრო ქვემოხეველი აბრამიშვილი

ადექით

საიდან ჩნდებიან გონებით მუდოები,
რა უნდათ დაწყევლილ, ბინძურ მომთაბარეთ,
ანდა, სად იქმნება მათი ურდოები,
ან, როგორ შევძელით, თქვენ რომ გათამამებთ!
წაგვლეკეს ათასმა ურჯულო ნაშთებმა,
ჩვენითვე, ლანგრით რომ მივართვით საწუთრო.
როდისღა, როდისღა ამოიშანთება,
სატანის მოგზავნილს სული არ ვაკუთვნო.
ხარხარებს, ჰოი რა საზიზღრად ხარხარებს,
უხორცო, უსულო, შავბნელი სატანა.
ნეტავ, თუ ოდესმე რამე გაგვახარებს,
მითხარით, რით შევძლოთ ამდენის ატანა.
დაიდგა ათასი უკუღმად ძეგლები,
დაიდგა ათასი უთავო ბიუსტი.
წაიღეთ, მოხარშეთ უპატრონო ძვლები
და სისხლის კამარას ქვესკნელი მიუდგით!
ეგება აივსოს თქვენი საწყაული,
უბრალო ხალხების სისხლითა და ოფლით.
ახლა აღარ არის "მოდაში" სასწაული,
მერე კი თქვენივე ბნელეთში აორთქლდით!
დასტოვეთ, დაჭედეთ ეგ თქვენი სკამები,
ჩუმად გაიპარეთ, არვინ დაგინახოთ...
თქვენ კი, პოეტებო, აიღეთ კალმები,
თქვენ კი, გამოფხიზლდით და ნუ გძინავთ, ხალხნო!
გაშალეთ ქალებო ეგ თქვენი მანდილი,
კაცებო, დაგმანეთ გულები ერთისთვის.
არასდროს არ გქონდეთ სხვა ქალის წადილი,
ქართველო, ილოცე შენივე ღმერთისთვის!
მოვიხსნათ უღელი კისრებს რომ გვიდაღავს,
შევიხსნათ მარწუხი უსისხლო მაჯებზე...
არ დაივიწყოთ, სით ხართ და ვინა ხართ,
აუგი არ დაგცდეთ თქვენს დედა გამჩენზე!
თუკი დაუძლეველს არ შევუშინდებით,
წამსვლელნი მიდიან, ვიფიქროთ დამრჩენზე!

ამ დროს

ვეღარ ვეღირსე მე ამ ხეივნის,
აშრიალებულ გადამღერებას.
უკაცო ტყეზე მიმყავს ბილიკი,
და შენი ჩრდილიც დამედევნება.
ვერ დავყოვნდები,ცამდე შორია,
არ შეჩერების ფიცილი მძრახავს.
შენ ჩრდილს დავკოცნი ამ დროს და ახლა...
შენი მაცილებს ეიფორია!..
უშენოდ ჩავლილ დღეებზე ვდარდობ,
ვერ შესრულებულ სიტყვებს ვიკვნიტავ.
შემოდგომაა და შენი ბაღი,
რა უცნაურად გადაიკვირტა?!

ქალი

ღამით მონაბერი ქარი,
დალალს ეფერება ურცხვად.
ვნებას აჰყოლია ქალი...
არავინ არა ჰყავს, თუმცა...
გრძნობას უთამაშებს გრილი,
იმედი კიაფობს თვალში.
ქალი იდგა თავდახრილი...
ვნება ღვივდებოდა ქალში.
თითქოს რამე უჩინარი
შლეგად უფერებდა სახეს.
ვისი სული იყო ქარი,
ქარი რად უგებდა მახეს?
ვნებაატანილი ქალი
იმედად იტოვებს იმედს.
აციმციმებული თვალი
ამბობდა, იქნება კიდევ...

სიკვდილო

წლებს, რატომ მათლი სიკვდილო?
ტანად ხესავით გამახმე.
უკაცოდ რომ მაშიმშილებ
პურ-ღვინით მაინც დამმარხე!
მომინანიე ყრმობა მე
უნებურს რასმე ვზრახავდი.
ვიცეკვე, გავიქორწილე
სანამდე დაგინახავდი!
რა ირონია გქონია,
კალენდარს ჩემი ხელით ვხევ.
სიცოცხლე თურმე თოვლია...
მძულხარ და შენკენ მოვიწევ!...

მარი ბერუაშვილი

მადლობა, მეც რომ აქა მაქვს, სამშობლოვ ჩემი ადგილი!

აჰა, განმგმირე მახვილით,
პოროტო ავსულიანო!
ჩემი სამშობლოს ტარიგი
მტირალ ვარ და ვსევდიანობ.
ნისლებაყრილი მთები დგას,
მართვეებს ზრდიან არწივნი...
მადლობა,მეც რომ აქა მაქვს,
სამშობლოვ,ჩემი ადგილი!
ჩემი წინაპართ საძვალე
აქ მეგულება, მიწაში...
მამულო,შენი მახარებს
ჰაერი, ცა და წიაღი.
ზრდიან არწივნი მართვეებს
და სისხლი უჩქებთ გმირული,
მე ცოტნეს ძალა მამხნევებს,
ზვარაკად თავშეწირულის.
სავსე ვარ შენი ტრფიალით,
მზევდება შენი მერმისი,
ვაზი ხარ, ლოცვით მტირალი,
გამორჩეული ღმერთისთვის.
მამულო, ფეხი ვიშიშვლე,
ცვრიან ბალახზე გამოვალ...
შენა ხარ ტაძრის სიმშვიდე
და ანგელოზთა გალობა!..

ლურჯი შეხვედრა

უცხოა ზეცა, ლურჯი თვალით თავზე დამცქერის,
იდუმალია საღამო და ოდნავ რხევადი.
ვხედავ სამყაროს ნაცრისფერს და სახეგაცრეცილს
და სილურჯეში ცის საფეხურს მოვდევ შენამდის.
შევცქერი დაღლილს, ხნიერსა და შუბლმაღალ მთვარეს,
მე შენი ხელი მიკავია ვარსკვლავით სავსე...
ვარდის ტოტები სიჩუმეში უკრავენ თარზე
და ღია ლურჯი სიხარული შავ სივრცეს არღვევს.
გახსოვს საღამო? თვით სისლეის ფუნჯით ნახატი,
ეს შეხვედრა კი ღვთისგანაა პირჯვარნაწერი...
შენი ღიმილით ბედნიერმა ვქარგე მაქმანი
და ჩემი ლექსის გობელინზე - შენი თვალები.
საჩუქრად ვიღებ მთვარისაგან დაწნულ კალათებს,
გაბრწყინდა ზეცა, ვარსკვლავია ოქროს სირმები,
გულში სანთლებით ჩემი რწმენა ღამეს გაათევს
და დამლოცავენ სიყვარულის ქერუბიმები.
თეთრ ანგელოზის თვალებივით სუფთაა ზეცა
და ყვავილების ბაღი ჰქვია გრძნობის რელიეფს,
ლურჯი შეხვედრა, მგონია, რომ ღიმილით მზეს ჰგავს,
ხან - კომეტების გაელვებას მოჰგავს, მშვენიერს.
ნაზ იასამნის სურნელი აქვს სივრცეს ამღამით
ნეფერტიტივით გრძელი ყელი ამშვენებს როგორ!
გააღო ქარმა ჯერ უთქმელი გრძნობის საცავი
და საიდუმლო ხავერდოვნად წარმოთქვა ბოლოს...
განირღვა ტაძრის კრეტსაბმელი წმინდა და თეთრი,
სულმა სიმშვიდე ეკლესიის კედლებში ჰპოვა.
ცის კაბადონთან, უფლის ნებით, ერთმანეთს შევხვდით
და ანგელოზმა სიყვარულზე დაიწყო ლოცვა.

2016

* * *

ჩამოდიოდა მთებიდან ჭინკა,
შიში,სიმბოლოდ ეკიდა კარზე.
იმ ზღაპრის ფართო თვალები მღლიდა,
მზერის ხვეულს რომ ბურცავდა კანქვეშ.
ტალახით ჰქონდა დასვრილი სახე:
სიმართლეს, ტყუილს, "იყო და არა"- ს,
კვლავ მიგორავდა აისი თავქვე
და დაისს სთხოვდა ჯვარიდან აყრას .....
ქვევრს შეპარვოდა ბაგეზე თრობა
მამაპაპეულს, დაღლილს და ნაჯაფს
და ფხიზლდებოდა წყალით ბავშვობა,
თავმორღვეულ და მთვლემარე ჭასთან.
კვლავ იყო განცდა სიფრთხილის, შიშის,
ვაითუ, ჭინკას წაეღო სიტკბო,
გზა არეოდა იმედის ნიშას -
სიხარულისფერ, თვითნაბად პირმშოს.
ტყის პირას, სიზმრის თვალჭრელა ქოხი
იდგა და ჩრდილი ეფინა წიფლის.
თავს იმცირებდა "პრინცესა" ჰოს თქმით,
დიახო, აღარ ამბობდა "პრინცი".
ვაჰ, ვერ გავუგე "იყო და არა"- ს,
ზღაპრის მინდორის, ვერ ვზომავ ჰექტარს.
ყაყაჩოების მომხიბვლელ ნარნარს,
დიდხანს შერჩება მშვენება ნეტავ?!
ნოემბერს, რთვილის აცვია კაბა,
ტყე-ტყე ატარა ორჭოფულ მითმა,
დამინდო ნდობის მცინარე მადლმა,-
აღარ ჩამოდის მთებიდან ჭინკა.

ნელი სანეგლიძე

❤️-უსიტყვოა გული,
გული ძგერით, გცნობს..
💙-სული, სულში შეიჭრება,
ფიქრებით, გიხმობს..
😔ფიქრებთან კი ფრთხილად –
ასე უთქვამს გრძენს..
ბედნიერებაზე მეტად –
სევდას გიმრავლებს..

💠თავისუფალი სივრცე💠.

***

შენი სამყარო
/შეიცან თავი შენი/--

ეს მინდა მხოლოდ
ისეთი ძალით შემოგიტევს.,
შეგარხევს ოღონდ..
ისეთი ცნობით შეგაქანებს,
მოიქნევს, ბოლოს..
არც მტერი ჰქვია,არც მოყვარე,
არსებობს, ომობს..
ნელა გაგიმხელს ბედისწერის-
თავსა და ბოლოს..

უძლური იმით, რომ ვერა ცვლი,
ემორჩილები,
გიკვირს და შენი უღონობა-
თავად, ბატონობს..
ფიქრობ - ვერ ხვდები,სად დაიწყო,
სად დამთავრდება,მიუსაფარი,
შეუცნობი-შენი სამყარო..
🌀
და მაინც - ვცდილობ და ვცდილობ..

....მინდა ვიცოდე....

💠💠💠💠💠💠💠

ბევრი ვიფიქრე
ბევრი ვიწვალე..
ბევრიც მასწავლა
ადამი--ან--მან...
ბევრი იარა
ოცნებებმა და
მთა ბარიც ბევრჯერ
გადაიარა..
მერე ზღვის ტალღად
ატორტმანდა და
ზღვისავე სიღრმეს
შეეზიარა...
ყური მივუგდე
ათასგვარ წუხილს..
პოეტთა სევდას
და სწრაფვას მათსას..
ყველას სურვილი
ერთია ბოლოს,
უყვარდეთ ის და
უყვარდეს მასაც..
სამშობლოა თუ
დედა და მამა,
შვილი, სატრფო თუ
კუთხე კუნჭული..
ზეცის კალთიდან
გადმოდენილი..
სიკეთით მოსავს
მათ სიყვარული..
ცა მოქუფრულა
და მოაქვს სევდად
წვიმა და თოვლი
თქეში და თავსხმა..
არ მინდა ვინმეს
გულისტკივილი,
მხოლოდ ეს ვიცი,
რაც ვიცი , ახლა..
ვივლი დავივლი
ოცნებით ზეცას,
არა მაქვს ვინმეს
ზიზღი, ჩივილი..
ღამეებს თეთრად
ვათენებ ფიქრში,.
ჩემი ნატვრაა
ყველას ღიმილი..
სიმშვიდით მინდა
მოგეფეროთ და
ყველას გაგიქროთ
ყველა ტკივილი..
რაც რომ ვერცნობით
ანდა გაცნობით,
მიუღწეველი
დარჩა სურვილი....

☁️☁️☁️☁️☁️☁️☁️

ოო,როგორ მინდა
ვიცოდე სულოო,
რა უფრო არის
მეტად ადვილი,
ადამიანად ყოფნა
და ტანჯვა,
თუ ზეცად ბოლო
გამოძახილი...

გიორგობისთვე

ჩემი შთაგონება

"მზის ფიალა"-თი

/ლალი ორმოცაძე/

💜💜✍️📚🍁🙏⛪

ამაოების სარკოფაგო,
გრძნეულო მიწავ,
სულგაბრწყინებულ,
მზის შემფერი
გრძნობებით ვფიცავ,
არა-რას აფრქვევს,
სატანჯველი დადუმებული,
ზეს-ცით, როცაა სიყვარული,
გაბრწყინებული..
ამაო არის ყველა ცდა
და გულს ხვაშიადი,
როს სულს ებნევა
მარადისი,ყოფა დიადი..
მოოდი,შემოდი უკვდავებავ
ამხილე სული,სული,
რომელიც ცოდვითაა,
დამძიმებული..
რამდენი ჯანყი და ვაება,
დადუღდა ქვე-სკნელს,
იმდენჯერ ზეცას შეეფრქვია
უძღები სისხლი,
რამდენ სიხარბეს გადააწყდა
მზის სხივი წრფელი,
იმდენ ტკივილად
გადმოენქშა ზესთა ჩივილიი.
ოო,განგებავ,შემომქმედო,
რაღას არ იტყვი..
ვინ გისმენს, ცოდვით
დახუნძლულნი,
ყოველ სიტყვაში..
უჭვრეტ და გტკივა,
ვერ ისწავლა ადამიანმა,
მოსულა, უკან გაბრუნდება,
ხელებშიშველი..
სიმართლე მხოლოდ
ზანდუკშია გამოკეტილი,
მრავალი წლების
ცოდვა-მადლის,
გრძელი დავთარი..
სულის კიდობანს,ვით
უძირო უსასრულობას,
დაუხვევია საუკუნო,
მადლიც, ცოდვანიც..
გულს აფრიალებს
მრავალფერი, მზისფერ
ემბაზის და სულ გაკვირვებს,
რად შეიქმნა ადამის ძენი..
გრგვინავს მთანი და
ღელავს ზღვა-ტბა
ტალღებიანი,
ყველა ჩქამშია, ისეთი,
რამ დუმილიანი,
ბჭობის გამხდარა,
გაკვირვებით-
აზრ ფიქრიანი..
უსუსურია ადამიანი და
მაინც გიკვირს, რას არ
იპყრობს,უძღები შვილი,
გულ ღვარძლიანი..
ოო,რა მოკლეა არას
გითმობს,წუთისოფელი..
გასულა წლები,ზოგჯერ
უგვან- უსაქციელნი..
აღმატებულა მაინც
თქმული მარადისობის
სიტყვა, სიბრძნით და
დასაბამით..
.....
უხსოვარ დროში, მიწით
ამოსვლა, ადამიანო-
დაგიჯდა ,,ძვირი,,..
მოდიხარ,მოგაქვს
სევდა ულევი,
დაკარგული დარდი,
სამოთხის..
.....
ასე მოწყენით და
ნაცრისფერით,
ვეწვევით მზეს და
გავფერადდებით..
ცოდვა დავტოვოთ
სარკოფაგებში და
შევეგებოთ ზე-ცას,
იმედით..ამ-ენით+++
.....
/ლალიო-ლილე,
მეც ვიცოდვილე
და შემოვედი შენს
ორბიტაზე..
ვიცი მეწყვილეს
მიწოდებ გულით
და გეგებები,
მე სიყვარულით..
სათნოო ჩემო,
მშვილდო ჩემსავით,
სულს მიცისკარებ,
ვღელავ შენსავით
და მეწამული ფერებით
ვწვდებით,
ჩვენი ფრთამალი,
თეთრი რაშებით-
სრბოლვით ცა-თათაააა..

✍️📚🍁💖💖💖🙏⛪🍁

17.07.2020 წ.

ნექტარო - ნეკა

🐝🐞🌺

გულიანო და ბავშვივით წრფელო..
ლურჯი ცასავით თვალებწკრიალა..
მოგიძღვნა ზეცამ სიხარულივით,
თბილი და მშვიდი, ნაზი სიმღერა..
სიყვარულს გიძღვნის, რბილი
აკორდი..სიყვარულს უმღერს-
უნაკლო ბგერა..
სიყვარულისთვის,დაბადებულო-
სიყვარულს ეტრფი,იმედის გჯერა..

05.05.2019 წ.

თეა კანდელაკი

აქ შესდექ სულო!!!

რას მიეჯაჭვე ადამიანო ამაოებას?!
ან, რას დაეძებ უგულობის ჭაობთა ფსკერზე?!
დავდივარ... ვიქრობ –
როგორ შევძლო ვშთანთქა წყვდიადი,
ან, როგორ შევდგა კელაპტარი უსუსურ მხრებზე...
დავბორიალობ გზააბნეულ არსთა საუფლოს...
და გულისცემის მონოტონურ ბაგუნს მივყვები
ყველგან წყვდიადი... ყველგან ისევ სრული უდაბნო...
მკვდარი თევზივით ნაკარნახებ კანონს მივყვებით...
აქ შესდექ სულო!!! შენი ფიქრი უფრო მძიმეა,
ვიდრე – უდაბნოს ამოვარდნილ ქართა გნიასი!
შენი გონი – უფრო მეტად მიმზიდველია,
ვით ოაზისის უკვდავების წყაროს წკრიალი!
აქ შესდექ სულო!.. მოაბნიე ირგვლივ სიკეთე!
იქნებ, შეასხა ფრთა და იშვას კათაკმეველი?..
დათესილ თესლთა ნეშომპალად გადაიქეცი
და ჩაიფერფლე შავ ნახშირზე ვით საკმეველი...
აქ შესდექ სულო!... შენ ხომ ბრძოლის ანგელოზი ხარ!
შენ ხომ სიმართლის სხივით კაფავ ცადაწვდილ ტყე-ბარდს!
შენ ამ საწუთროს დიდებათა ბუტაფორიის
ბეწვის ხიდისკენ გარდამავალ კვარცხლბეგზე დგეხარ!
აქ შესდექ სულო! დაე მალე მოიმკას ყანა!
აქ შესდექ სულო! შენ სული ხარ და ძილი კმარა!
ისუნთქე ღრმად და მოაშორე ვუალი თვალებს!
გაწყვიტე ყველა თასმა ბმული!
გაუყევ შარას! იჩქარე სულო!!!...

08/27/2020 ნიუ-იორკი აშშ

ენავ ქართულო...

ყველა მიელტვის „ახალს“ და
უცხო სიტყვათა ლექსიკონს...
გაუსაძლისი რბოლა აქვთ
ზენიტს კი ბევრი ვერ იყოფს...
„ძველი“ – საღორეს მიაგდეს,
ღვთის მადლით ქმნილი – მხცოვანი...
ნეტავ, სად ნახეთ სადარი –
ნუსხა-ხუცურის-მრგვლოვანის?!
შენი – თუ არ დააფასე,
სხვის – ფიქრადაც კი არ ღირხარ!
სხვათა მიბაძვით იცოდე
კვლავ ბეწვის ხიდზე გადიხარ!
შენ, ის გმართებს რომ,
სხვა ერი – შენს სულში
შემოახედო და არნახული
საუნჯის – დიდება შემოაგებო.
როგორც – სამება უფალში,
ენაც ისევე იდიდა!
სამსახოვანი ანბანი – გზად,
რომელ ერმა იფინა?!
მხოლოდ ღვთისმშობელს ესმოდა
ჯვრიდან მაცხოვრის ძახილი!
ახლაც მოისმის სვანეთში –
ლალხორის გადმოძახილი.
„იავ ქალდი და ბებუცი“ –
ვარსკვლავთ სადარო – მთვარისავ!
სხვა ენამ რა გზით დაგჩრდილოს
არ გასაგონო ავისა...
მოვა დრო, შენით ემცნობა,
მკა – ცხვრებისა და კრავისა
ენავ, ქართულო, იდიდე!
ენავ! – ხელ – არ საკრავისა!!!

09/07/2020
ნიუ-იორკი, აშშ.

ფანტომის ხორუმი

ყოველ გზას ყოველ წამს
შენთან მოვყავარ
მე შენი დიდების უტყვი მონა ვარ
ვერა რამ ვერ შთქანთქა
შენზე ფიქრები სიზმარშიც
მზის დარი სირმით
ირთვები ფირუზით ნაქარგო
ჩემო თბილისო ვერ შევძელ
უშენოდ ცხოვრება ვიტვირთო
მეტეხთან ჩაივლის მტკვარი დუდუნით
და აბჯარს აისხამს ზართა გუგუნით
იქით კი გორგასლის მზერა ამაყი
ევლება მთა-გორებს,
ველებს ალაზნის რიყეზე
მივყვები ბორანს ტაატით
ეს წუთის სოფელი ვის რას დააცლის
მეარღნევ უმღერე თბილისს ნაფიცარს
ამ ქვეყნის წალკოტს და
სულის საფიცარს დიდებულ მთაწმინდას
კრძალვით ვეახელ მარტო
არ დამტოვო ჩემო მეარღნევ
რიყესთან ელვარებს გრდემლი
ოპიზრის ფიესტა
მოზიდავს არბალეტს მოისრის
ვერ დავთმე ვარაფრით
მე შენზე ფიქრები
ფანტომით დაჭრილი
შენს სულად ვიქმნები
მაცხოვრის ტაძართან
სადღაც ერთ ნაბიჯში
მეჩეთს და მოსეს ღვთის ტაძრებს
რომ იხილავ რა გონმა იტიოს?...
რა გულმა ატაროს
ეს ღმერთი მაღალი,
თუ არა – თბილისმა??...
მინდა რომ ამ ქუჩებს ამ ტაძრებს,
ამ ზეცას ფარდაგად ვიფენდე
ჩემს სულის თილისმად
ისე ნუ მოვკვდები, ისე ნუ წავხდები,
რომ არ დამიტიროს
მე ჩემმა თბილისმა...

08/30/20 8:00

* * *

სინდისს თუ ეძებ – ქუჩაში არ ჰყრია...
გულში ღრმად ეძებე ადამიანო!
ყველაფრის მკადრებელს მე რა გზა ვურჩიო,
ვერც ავხსნი გულით თუ რატომ ვდარდიანობ...
ღმერთი თუ დაკარგე, მე როგორ მიპოვნი
სინდისს თუ ხელი კარ, რა თვალით მიხილავ
და სულს თუ წარიწყმედ სკამისთვის,
წინსვლისთვის იცოდე ჩემს გულში ფიქრადაც არ ღირხარ...
საწუთროს დიდების ჭაობში ჩაფლულებს
კვლავ ვცდილობ რომ ჩემი ხელი შევაშველო მაგრამ,...
ღირს კი ამად ?! – „სიკეთე ბრმათათვის“
ვინც კი უმადური სიცოცხლით არსებობს?!
მე ჩემში პატარა სამყარო შევქმენი
და ჩემს ღმერთს სახელად დავარქვი – სინდისი.
ვინ იცის ეს ორი გზის პარალელია
თუ გზაჯვარედინზე შევხვდებით პირისპირ??
ღმერთი თუ დაკარგე, მე რაში გჭირდები
სინდისს თუ ხელი კარ, რა თვალით მიხილავ?!
მე ჩემი ნაშრომი ფსკვნილივით ავკინძე
და მხრებზე აკიდულს უფალთან მივიტან...

09/12/20 ნიუ-იორკი აშშ

* * *

დაე, აიჭრას ცად ჩემი სული!
ერთ დღეს, საშინლად ამტკივდა
სული და სასწაული ვიგრძენი სევდა,
ვინატრე გვერდით მე მეგობარი,
რომ ჩემი გულის ნადები მეთქვა.
მარტო აღმოვჩნდი კვლავ ჩემს ფიქრებთან,
რა ძნელი იყო ის წუთი მაშინ,
მე არ მქონია ასეთი განცდა
და წავიშინე ხელები თავში.
გარეთ გავვარდი, რომ დაენამა
მტირალა წვიმას შეშლილი სახე
ზეცას ავხედე და შორით ნისლში,
ვიღაცის ურჩი თვალები ვნახე.
მე არ მქონია ასეთი განცდა –
უსასრულობის და მარტო შთენის.
თვალწინ გაშლილა ეს ცა და მიწა,
სადღაც სამოთხე და ჯოჯოხეთი...
საიდან!.. რატომ!.. როდის, ან რისთვის!
რად გაგვაჩინა ამ ქვეყნად ღმერთმა,
ან როგორ ვზიდო ეს მძიმე ტვირთი
ამ პაწაწინა მხრებით მე – ერთმა?!

როგორ წამოვდგე ფეხზე გაშლილი,
საყრდენად ცოდვის ჭაობში ვდგავართ!
იქნებ ვიპოვო მე ოაზისი,
იქნებ ნათელთან სულ ახლოსა ვართ...
იქნებ ახლოა ზეცისკენ კიბე,
რად ვსაყვედურობთ ამისთვის უფალს?!
სულის განწმენდას გლოვა კი არა,
ქრისტეს სავალი გზის პოვნა უნდა!
ხელი გამიშვით! მე ამ ჭაობში ვერ გავჩერდები
ვერც ერთი წამით! დაე, ვიპოვო ის გზა,
რომელიც მე ამისრულებს დიდი ხნის წადილს!
დაე, აიჭრას ცად ჩემი სული,
რამ დამაბრკოლა ანდაც აქამდე?!
„რის მაქნისია ეს გზა, რომელსაც
მართლაც ვერ მიჰყავს კაცი ტაძრამდე“?!
თუკი დამლოცავს ზეცად უფალი
და თუ გამიგო რაც უნდა მეთქვა,
მაშ, რად არ ვზიდო ეს მძიმე ტვირთი,
თუნდ პაწაწინა მხრებით, მეც ერთმა!

12.05.1997

მანანა ზაზიკაშვილი

ო, ეს ცხოვრება

ტერენტი გრანელს

პოეტი იყავ, პოეტად დარჩი,
ცუდი ცხოვრების უარმყოფელი,
პოეზიაზე თავგადაკლულმა
შორს მოიტოვე შენი სოფელი.
თბილისმა კარი ფართოდ გაგიღო,
იყავ სტუმარი სასაფლაოსი,
სახლი არ გქონდა, დარდი დაგქონდა,
ო, ეს ცხოვრება ვის, სად გამოცდის?!
ფული? სად იყო, არც გინატრია,
ლექსებს ეტყობა ნიჭი ხალასი,
ეტლით დაქროდი სირაჩხანისკენ,
გიყვარდა ხილვა ნარიყალასი.
წითელი ვარდით სულ მოიარე
მთაწმინდა, ვაკე, ვარაზისხევი,
ჩემო მეეტლევ, ფული არა მაქვს,
აჰა, ეს ვარდი, ნუ განრისხდები!!!

ვთამაშობ როლს

სულელი პოეტის
ვთამაშობ როლს,
დავდივარ ფოთლების
კრეფით,
მთაწმინდას ავყვები,
რუსთაველს ჩავუვლი,
ტაქსით კი არა,
ფეხით.
აზრების გრიგალში,
ფოთლების შრიალში,
ახალ ლექსს
სულ გზა-გზა ვწერ,
თუ ფული ვიშოვე,
თუ არ გამიჭირდა,
წიგნებსაც გამოვცემ
წელს!

ახალი მეზობელი

აქ ჩემს მეზობლად
დღეს დასახლდა მხატვარი ერთი,
არ შემიყვარდეს, არ გამიწყრეს,
ნეტავი ღმერთი.
დააკრიალა ეზო-ყურე,
მიგავ-მოგავა,
ადრე ეს ქუჩა
უსაქმურთა ბირჟას მოჰგავდა.
ახლა ამ უბანს
კარგი მხატვრის ატყვია ხელი,
მის ყურებაში
სადილსაც კი ვერ გეახელი.

დაწყნარდით, ხალხო!

ორ საუკუნეს ვიცხოვრე,
ყვავიც დავჯაბნე მგონიო,
ერთნაირ გასაჭირშია
გორი, გაგრა თუ გონიო.
სკამს ყველა ეპოტინება,
საქმის მცოდნე თუ უვიცი,
იქით რომ არც გამიხედავს,
მათი ზრახვები სულ ვიცი.
რა უნდათ, ვერ გაუგიათ,
ყალყზე შემდგარან ლომები,
დაწყნარდით, ხალხო,
არ გვეყო
ძმათა კვლა,
სისხლი,
ომები?!

ქარი ჩადგება

ქარი ფრთაძაღლი ჩადგება,
მზეც ჩქარა გამოანათებს
და სიყვარული მე შენი,
შენი სახლისკენ გამაფრენს.
ვერას დამაკლებს ვერც თოვლი,
ვერც ყინვის ბაქიბუქია,
ოღონდაც გზას მინათებდეს
მაგ შენი თვალთა შუქია.

ჩემი ხალხი

ჩემი ხალხი ყველა
საქებია,
ზოგი შლეგი,
ზოგი ზაქებია,
ყველას, ქვეყნის
სიყვარულით
გული ანთებია.

ლია პეტრიაშვილი

იმედი

ფოთოლცვენისას, ობოლი სევდა
შემომეხიზნა, გულჯავრიანი,
დავარცხნილ-დაწნულ ნაცნობ ოცნებებს
კინძავს ფიქრები კვლავ შარმიანი.

ორსულმა სევდამ შვა ტყუპი დარდი,
ორივეს გაზრდას მიპირებს სულში,
მსურს, ავუკრძალო ეს თავნებობა
და გავაგზავნო უკან, წარსულში.

წვიმის სურნელით დამბალ ამ დღეებს
თუ გამოაშრობს სითბო გულისა...
ნეტავი, ზამთარს ვინ აწყენინა
და ასე ძლიერ გააგულისა?..

მკაცრი სიცივით შემოდგა ფეხი,
ვკანკალებ, გულში ჩამიდგა შიში...
წინ რა მომელის, არ ვიცი, მაგრამ
ვიცი – დამიცავს გენი და ჯიში.

მხარზე ხელს მადებს წმინდა გიორგი,
მან იცის, სული რატომაც კრთება...
ბევრ გაუმხელელ ტკივილსა ვმალავ...
იმედის სხივი გულში მენთება.

წვიმაში მივალ, სახეს მირეცხავს,
ცრემლებთან ერთად, წვიმის წვეთებიც,
ვგრძნობ, უფლის ხელი როგორ მამშვიდებს,
მავსებს იმედის სულისკვეთებით.

4 დეკემბერი. 2019 წ.

მოთმენის თასი

ჰაი, დედასა, მტრისასა,
რას დაამსგავსეს ქვეყანა,
არად აგდებენ, მტერმა თავს
მიწა რომ გადააყარა!

მარტო ერთმანეთს ლანძღავენ,
შურით და ბოღმით სუნთქავენ,
ღიმილით ძირ-ფესვს უთხრიან,
ქვეყანას უშრომლად ნთქავენ.

ახლა მიზანში ერთი აქვთ:
სარწმუნოება მოშალონ,
მამული უკვე გაყიდეს,
იქნებ ანბანიც წაშალონ.

ვაი, ეს რა დრო დაგვიდგა,
ძმა ძმას არ ინდობს მოკვლითა,
ასეთ დროებას არ იცნობს
სამშობლო... ამა სოფლითა!

თავსა სწირავდნენ ქართველნი
სარწმუნოებას, მამულსა,
დღეს იუდები მომრავლდნენ –
ოცდაათ ვერცხლის ყაბულსა...

ნეტავ რა გველის, ვიცოდე,
რა მომავალი გვექნება,
სამშობლო თუ გადაგვირჩა –
სიცოცხლეს აზრი ექნება.

ან ჩვენს მომავალ თაობას
რა პასუხსა ვცემთ, რა ვუთხრათ...
თუ უსამშობლოდ დავტოვეთ,
სჯობს, ძვლები სიმწრით დავიხრათ!

რა გააღვიძებს მძინარეს,
ამ ჩვენს ერს გაზარმაცებულს...
აღტაცებით მსურს, შევხედო
ვაუკაცებს, გამამაცებულს!

ისეთებს, როგორც წინაპრებს –
თავდადებულებს, ერთგულებს,
სამშობლოს გამო, თავს ჰკვეთდნენ
მოღალატეთ და ორგულებს.

ახლა ერთგული აღარ ჩანს,
სულ ორგულებით აივსო...
ჰე, ბიჭო! – გამოიფხიზლეთ,
მოთმენის თასი გაივსო!

დეკემბერი. 2019 წ

ზამთრის ეტიუდი

ზამთრის ნისლიან, მოქუფრულ ღამეს,
დავეხეტები ქუჩას ეული,
მსურს, შემოვიხსნა შემოხვეული
მძიმე ფიქრები... გადარეული.

წვიმაც და თოვაც ერთად მასველებს,
იუღენთებიან ფიქრებიც სევდით,
თოვლის ფიფქები შენს თავს მახსენებს –
ურთიერთობებს თუ როგორ ვხევდით...

ახლა, ისევე, მონატრებებმა,
გადამიარა გულის სარტყლები,
დილით იქნება მზემ მინახულოს,
ცაზე ამინთოს ცისარტყელები.

შევყურებ ხიბლით ღამის ლამპიონს...
თეთრ პეპლებივით ცვივა ფიფქები,
მოდიან ჩემთან, მყისვე ქრებიან,
ვით სიყვარულის ნაზი ფიქრები.

მერე?.. რა მერე, მოვა სიბერე,
თმებშიც ჩამოთოვს, ვით ზამთრის ღამე...
მოგონებები დარჩება მხოლოდ,
თუკი დაგვირჩა საფიქრი რამე...

ახლა კი მათოვს, ვერ მშველის ქოლგა,
ფიფქებს ნიავი სახეში მაყრის,
ზღვის ტალღებივით წამოიზვირთა
ოცნება – გულზე სევდას რომ აყრის.

სულ გადათეთრდა ტროტუარები,
მივდივარ, მომდევს ნაფეხურები,
თოვლმა სითეთრით შვება მომგვარა,
წავალ, ცხოვრებას გავეხუმრები...

გადაბერტყილი შავი ფიქრები,
თოვლმა დაფარა თეთრი ქათიბით,
თოკზე გაკიდულ ყველა ოცნებას,
ზვინებად დადგამს გულის სათიბით...

ცელქი ფიფქებით დამშვენებული,
მივდივარ თეთრი ნაფეხურებით,
აღტაცებული ავყვები კიბეს,
„დათვლას გადარჩა“ საფეხურები.

30 ნოემბერი. 2019 წ

მზის სარტყელები

ისევ ჩამოწვა სევდის ნისლები,
ვით ზამთრის ღამეს – თეთრი ღრუბლები...
ფიქრები ისე შეასკდნენ ერთურთს,
როგორც ქარიან დღეს – ალუბლები.

სულში სიცივე მძვინვარებს მკაცრად,
ვეღარ გაითბო ყინულის მზერა,
განა რამდენ ხანს იცოცხლებს კაცი,
ცხოვრების ზღურბლიც ვერ გადასერა!

შემოდგომაზე, როგორც კი ხეებს
ჩამოსცვივდება ხმელი ფოთლები,
სიცივით ფიქრებგაყინულ მოყმეს
დაიმეგობრებს ღვინის ბოთლები...

ღუმელის პირას მიშვერილ ფეხზე –
ლანჩარღვეული ფეხსაცმელიდან,
ორთქლი აუვა გალღობილ თითებს,
წვიმაც გაშრება ტანსაცმელიდან...

გულს რა გააშრობს, ცრემლებნაპკურებს,
მზე აღარ ათბობს, მთვარე კი ყინავს,
ახლა სჯობია, ოცნება აცხო,
ვიდრე სიბერე სულს გაგიყინავს.

დროს როგორც გინდა ჩაებღაუჭოთ,
მაინც გაძვრება მჭიდრო მუშტიდან,
იქნებ მოასწროთ ცოტა მოლხენა,
გამოიდარეთ მზერა-კუშტიდან...

იქნებ გამოსცრათ ბაგეს ღიმილი
და გაურევდეთ სულ ცოტა სითბოს,
კეთილმა სიტყვამ შუბლი რომ გახსნას,
ალალმა გულმა ლექსი გარითმოს.

ეს ნაცრისფერი ცხოვრება, იქნებ,
გააფერადოთ სიკეთის სხივით,
სევდას სიმკაცრით ზურგი აქციეთ
გრგვინვა-ქუხილით, ელვა-მეხივით.

განდევნეთ ზამთრის სიცივე გულში,
თავზე აინთეთ ცისარტყელები,
სუროს ყლორტივით მკერდს მოიხვიეთ
სიყვარულის და მზის სარტყელები.

21 ნოემბერი. 2019 წ.

მე თუ მოვკვდები...

მე თუ მოვკვდები, მოდი, მიტირე,
ცრემლი დამაგდე გულს სიყვარულით,
მერე დაჰკითხე ათას გვირილას –
მიყვარდი თუ არ მიყვარდი გულით.

დაფურცლე თითო-თითოდ ნათქვამი,
მოდი და საფლავს თეთრად მოჰფინე,
ორი მდუღარე ცრემლი მაპკურე,
გრძნობა ტკივილად გადამაფინე.

გთხოვ, არ იდარდო, გულსაც ნუ იტკენ,
მე ვინ ვიყავი... ვიღაც უცნობი...
ისე წავედი, გარდავიცვალე,
დამირჩი დარდად ვერშესაცნობი...

გთხოვ, მე ხსოვნაში შემომინახე,
უცხო სინათლე, თუნდაც ეული...
იფიქრე შენთვის გულისტკივილით,
ერთ დროს რომ იყავ გადარეული...

იტირე, ცრემლი მოგიტანს შვებას,
შემომინახე, როგორც იგავი,
მერე უამბე სხვა გულისსწორებს,
შენს გულისგულში როგორც ვიყავი...

მოდი, მიტირე მე ჩემს საფლავთან,
მითხარი ყველა, რისი თქმაც გსურდა,
ეს ჩემი სული მაინც მოგისმენს,
შენს თვალთა ცრემლშიც ბევრჯერ გაცურდა...

მინდვრად დაკრიფე თეთრი გვირილა,
ვარდებთან ერთად გულზე შემახე,
იცოდე, შენთვის ფესვებს გავიდგამ,
ამოვიზრდები მაგნოლიის ხედ...

გავიფურჩქნები ყოველ გაზაფხულს,
თავს გაგახსენებ მძაფრ სინანულით,
რამდენ ყვავილსაც ხელით შეეხო,
გული აგევსოს სულ სიყვარულით...

მე თუ მოვკვდები, მოდი, მიტირე,
ცრემლით მიამბე გულის დარდები,
მიჭირისუფლე ჩემს სამარესთან,
ფერხთით დამირგე... თეთრი ვარდები...

21 ოემბერი. 2019 წ.

ვაი, სამშობლოვ!

ვაი, სამშობლოვ! როგორ გაწამეს,
პირველობისთვის გაყიდეს სული.
„ტახტზე“ დაჯდომის სურვილის გამო,
არც აწმყო უნდათ, აღარც წარსული.

საკუთარ მიზნის აღსრულებისთვის,
არიან სინდისს მთლად გადასულნი,
ჩემო სამშობლოვ, ცდილობენ,
გულში გასხან მდუღარე დრო
გარდასული.

ვინც რომ სიცოცხლეს განაცვალებდა,
მარადისობად ზეცად ასული – მოგიკლეს,
გწირეს, როგორც ზვარაკი,
იმათ საფლავზე მზეა ჩასული...

ხალხო, ეს რა გჭირთ, რა გემართებათ?!
რატომ იღმერთებთ ვიღაცას კერპად?!.
გადაიხლიჩა შუაზე ერი,
გახდა სამშობლო ყვავ-ყორნის კერძად.

მოგწველეს, გძარცვეს, გაგყიდეს სხვაზე...
ძმამ ძმას ესროლა... გულშიაც დაგჭრეს,
უძღებმა შვილმა ვერცხლზე გაგყიდა,
მისი ნებართვით გვერდი ჩამოგჭრეს...

ვაი, საწუთროვ, შავბნელი დროის,
ერი გაიქცა გადარჩენისთვის,
სხვა ქვეყნის მონად იქცნენ ქართველნი,
არვინ ისჯება განაჩენისთვის!

თავი ასწია უხსენებელმა,
კვლავ ჩაიფიქრა ავი ზრახვანი,
ისევ უმიზნებს ქართველი ქართველს,
არ ძალგვიძს ალბათ გარდასახვანი.

ვაი, რომ საქმე კეთდება ისევ
მტრის გასახარი-ნაოცნებარი...
ღმერთო, გვიშველე! გადაგვარჩინე!
თავს მოგვახვიე საოცრებანი!

19 ნოემბერი. 2019 წ.

პრინცი ურჩხული და გოგონა

ამაოდ ვეძებ, ვერსად ვიპოვე
სულისთვის წყნარი, ნაზი გარემო,
მსურს, შემოვიდეს სიმშვიდე ჩემში,
სიჩუმე მქონდეს წამლად გარშემო.

მერე ფიქრები თავს დამეხვევა,
როგორც ზაფხულში ჭრელი პეპლები –
ზოგი სევდის და ზოგიც სიმშვიდის...
ზოგჯერ სიხარულს შემოვევლები.

ხან შემოვირბენ ნიავქარივით,
სიცოცხლით განვლილ დღეებს ნისლიანს,
ცხოვრებას ვუმზერ დაღლილ თვალებით,
როგორც პეიზაჟს – ჭაობს ისლიანს...

ხან სინანულის ნიაღვარი მდის,
ყველა დაწერე, სულის კალამო,
მოდი, შემიშრე თვალებზე ცრემლი,
ჩემი ცხოვრების ტკბილო მალამო.

ტკბილო თუ მწარევ – ესეც არ ვიცი,
ვინ ხარ, ვის მიმართ ვამბობ ამ სიტყვებს...

იქნებ პრინცი ხარ – ურჩხული ზღაპრის,
ასე რომ ზაფრავ სულელთ და ბრიყვებს!

მე, ალისფერი ყვავილის გამო,
სიყვარულისთვის მოვალ შენამდე,
გაკოცებ – მოგხსნი ჯადოს და ნიღაბს,
ვიხაროთ მერე ცამდე, ზენამდე.

მერე ნიავქარს ვეტყვი, გაფანტოს
ყველა დარდი და ფიქრი უამო,
ჩამოგვიფაროს სიკეთის ფარდა,
გვაფრქვიოს იის ნაზი სუნამო...

მე მითხრეს – თავი დატოვე ერთთან,
სხვას გული მიეც ცრემლებისფერი,
სულს თუ დამითმობ – ჩემი ყოფილხარ,
არა მსურს შენგან სხვა არაფერი.

ოცნებად მექცა – ურჩხულს გეცეკვო,
ვალსის დროს გიძღვნა ამბორი მწველი,
ყველა ჯადოქრის ჯადო მოგიხსნა
და გავხდე შენი სიცოცხლის მცველი.

ზღაპრის სამყაროს არა ვცილდები,
ვრჩები ისევე მე დიდი ბავშვი,
უმანკო სულით ვიბრძოლებ შენთვის,
რომ მოგიპოვო სამოთხის საშვი.

გადაგარჩინო ცოდვილთ ხელიდან,
გადაგატარო ჭაობზე სუფთად,
თუ სიყვარული არ იცი წრფელი,
მე ერთგულებას გასწავლი მუქთად.

დასრულდა კიდევ ერთი ზღაპარი,
სურვილი თუ გაქვს... მეზღაპრეც გყავდეს...
ძილისპირული სიკეთით გითბოს,
სიბერის წლები რომ აგიყვავდეს...

20 ნოემბერი. 2019 წ.

ნანა ჩარკვიანი

ნ ო რ ი

ზოგიერთებს
თავი მოაქვთ,
ევროპაში
ცხოვრებით.
თუმცა არვის
ჩამოვრჩები
ჭკუითა და გონებით.
აქ,,ბადანტეს"
მიწოდებენ
ვცხოვრობ
ბებოს ცხოვრებით.
ადამიანს არ ავწონი
ფულითა და ქონებით.
მიყვარდნენ და ვამაყობდი
მე ჩემი ბებოებით.
ყველას ერთად
ვერ ჩავატევ,
ჩემს
ნორიზე გიამბობთ.
ტკბილი იყო,
მშვიდი,წყნარი
თითქოს
ქართველიაო.
სტუმრის
დიდად მოყვარული,
აქ, რომ არ მსმენიაო.
ჩემს მეგობრებს
შეხვდებოდა,
სახე გაბრწყინებული,
მათთვის ქონდა
სასუსნავი
მუდამ გადადებული.
უამბობდათ
ახალს და ძველს,
იყო გახარებული.
გოგოების
წასვლის
შემდეგ იყო,
ზავდადებული.
მაღლს თესავდა,
ბევრი ცრემლიც
გაიყოლა სამარეს,
ისე,თუ არ შევუარე,
არ ჩავივლი იმ მხარეს.
ცოტას ვეჭორავები და,
გულზე ყვავილს დავაწყობ,
სიხარულს და მწუხარებას,
სუყველაფერს გავანდობ.
სანამ აქ ვარ,
დავაბიჯებ
იტალიის მიწასო,
როცა მიჭირს,
შევღაღადებ მთვარესა
და მის ცასო.
ასე მჯერა,ნორის სული
იმ ქვეყნიდან მიცავსო.

გ ა ნ წ ყ ო ბ ა

ღამემ უძილო
დამტოვა,
დილა გათენდა
იმედის.
მესმის ჩიტების
ჟღურტული,
მზემ ამოჰფინა სხივები.
შევეგებები ალიონს,
ლოცვით დავიწყებ
ამ დღესაც.
უფალსაც შევევედრები
რწმენით დავუნთებ
სანთლებსაც.
ისე ძლიერი ქალი ვარ,
მე ვერაფერი
გამტეხავს.
დარდს და სიხარულს
რითმებად,
შევკრავ და, ვიტყვი
სათქმელსა.
ათასი კარგი აკეთო,
თუ ის ვერ დაგინახესა.
,,სადაც არა სჯობს,
გაცლა სჯობს",
თვითონ მიხედე
საქმესა.
შენ მაინც სთესე სიკეთე,
უფალი დაგიფასებსა.
დილა გათენდა იმედის,
დრო იტყვის,
თავის სათქმელსა.
თქვენი ლოცვა და
კურთხევა,
სადაც კი წავალ
წამყვესა.
ღმერთო!შენ მოგვეც
გაძლება,
საცოდავ ემიგრანტებსა.

ვთესე სიკეთე.

ვთესე სიკეთე
ზოგი ჩაკვდა
იქვე ხნულშივე,
ზოგმა იყარა
ყლორტი,
ფესვი გადგა
სულშივე.
ზოგი მობრუნდა,
მომიღირა
ისევ მუშტი მე.
ზოგმა,ქირქილი
დამაწია,
მესმა ყურშივე.
ზოგმა დამადო
ვალი,
თითქოს,იქეთ
ვუშლიდე.
ვთესე სიკეთე,
გამოისხა ზოგმა
ნაყოფი,
ზოგისთვის
დღემდე
არ შეიქნა,
თურმე სამყოფი.
მან მიღალატა,
ვის გულისთვის,
სულსაც
დავსთმობდი.
მე კი,უჩუმრად
დავდიოდი
ქვაზე ვაწყობდი.
მაგრამ,რას იზამ,
უმადურთან
რას გააწყობდი.
ზღვა ადიდდება
აზვირთდება,
ნაპირს გადმოვა,
ნამგალა მთვარეც,
ფანჯარასთან
მალულად მოვა,
ჩემი ვარსკვლავიც
გაბრწყინდება,
ამის დროც მოვა.
გოგონა,ბიჭთან
პაემანზე მაინც გამოვა.
მზეც იტკვარცალებს
მზის სხივებიც
გულში შემოვა.
სიკეთე ვთესე,
გაიხარებს,
თუ წვიმა მოვა,
თუგინდ გვალვაშიც
ასში ერთი,
მაინც ამოვა,
და საბოლოოდ
ყველაფერი
კარგად გამოვა.
ეკალზე,ვარდი
რომ დავამყნა,
ვარდი ამოვა.
ადამიანო,
უმადური
არ უყვარს
ღმერთსაც.
დაე,იხაროს
სიყვარულის,
სიკეთის ნერგმა.
მე კი,
ვთესავდი,
დავთესე და,
კვლავაც დავთესავ,
რომ პირნათელი,
წავრსდგე
მაღლა, ჩვენს
ქრისტე ღმერთთან.

იყავ ადამიანი

სიყვარულზე ლამაზი
ქვეყნად არაფერია,
სიძულვილი ყოველთვის
სიყვარულის მტერია.
ვერასოდეს ამარცხებს,
მცდელობა აქვს ბევრია,
რადგან ციდან მფარველობს,
თვით უფალი ღმერთია.
უფალივით ეს გრძნობაც,
არის ერთადერთია.
ერთგულებას,ყოველთვის
ემტერება ღალატი.
ერთგულება იმარჯვებს,
აქ არ გვინდა კამათი.
ერთგულება ქართველებს,
მოგვდევს წესით ადათით.
სადაც ერთგულებაა,
იქ ღალატი ფარხმალს ყრის.
სიხარული დაგაფენს
წამწამებზე გვირილებს,
იქვე ჩასაფრებულა,
მწუხარებაც გიმიზნებს.
არ შეგარგებს სახეზე
გადაპენტილ ღიმილებს.
მაგრამ მაინც დაჯაბნის
სიხარული ტირილებს.
თუმცა ყველა სულიერს
სიკეთე დაამშვენებს,
ბოროტებაც იქვეა
ხანდახან თავს გვახსენებს.
მაგრამ სიკეთის მთესველს,
ის ვერ გადააშენებს.
რა ძალა აქვს ყოველთვის,
კარგ მაგალითს აჩვენებს.
მბრძანებელი სამყარო
თავის ძალას გვაჩვენებს,
ზოგჯერ ისე გამოგვცდის
ისე გამოგვაშტერებს.
სულ მთლად აურდაურევს
გრძნობებს სად და რა იყო,
მტყუანი და მართალი
თვითონ უნდა გაიგო.
თვითონ იყო პატრონი
რა აკეთო,რა არა
სიყვარული,სიკეთე
ჯერ ხალხში არ გამქრალა.
და სიმართლის სანთელიც
იწვის ჯერ არ ჩამქრალა.
ეს ცხოვრება,წამია,
დღე გქონოდეთ მზიანი,
პირველ რიგში
ვინცა ხარ,
იყავ ადამიანი.

მეგობრის იმედი.

ცა ცისარტყელებს მოხატავს,
მზე გულს გაგვითბობს სხივებით,
ჭირსა თუ ლხინში ყოველთვის,
გვქონდეს მეგობრის იმედი.
გუშინ,არცერთი არ მქონდა,
დღეს ასარჩევად მივედი,
უფალო არ მომიშალო,
ნაღდი,მეგობრის იმედი.
მოგეფინება მალამოდ,
დატკბება, სულის სიმები,
შენზე,რომ ფიქრობს და ზრუნავს,
გქონდეს,მეგობრის იმედი.
ცხოვრება,ზოგჯერ გამოგცდის,
ზოგჯერ კი მიდის დინებით.
თუ,სადმე ფეხი დაგიცდა,
გქონდეს მეგობრის იმედი.
მე, ლექსით მოგეფერებით,
სიტყვებს ავკინძავ რითმებით,
ცხოვრებას გავუმკლავდები,
ნაღდი მეგობრის იმედით.

ობოლი მეთევზე

ქარი ღმუოდა,
ასკდებოდა
კლდეებს მდუმარეს.
მღელვარე ტალღებს,
ახეთქებდა
ნაპირს მწუხარეს.
მეთევზე ბიჭი,
ცას გაჰყურებს
ასე მქუხარეს.
არ სთმობს ბუნება,
და მოელის ბიჭი
უარესს.
ნავში მარტოკას
ბედისწერა,
რა ბედს უმზადებს.
ბიჭი დაიწყებს,
ლოცვას,
გულწრფელს
და გულმხურვალეს.
მზემ დააცხუნა
და
თვალებზე
მიუალერსა.
წითური თმები,
აუბურდა ქარმა,
აწეწა.
ნაომარ ნაპირს
დამსხვრეული
ნავის ფიცარზე,
შერჩა წარწერა.
ბიჭმა თვალები
გაახილა,
და დააცქერდა.
გაოგნებული,
ბურუსიდან,
და გაახსენდა
როგორ,დაუსხლტა
ბობოქარ
ტალღებს...
ბიჭი გაშტერდა.
ხედავდა ნავი,
ნათოტებად
რომ იშლებოდა,
უძლური იყო,
ეგონა რომ
დაიხჩვებოდა.
ბოლო იმედად,
მხოლოდ ლოცვა
შემორჩენოდა.
ღმერთის იმედი,
შუა ზღვაში
მებრძოლს
შველოდა.
საიდან გაჩნდა,
როგორ,გაჩნდა
უფლის ხმაც ესმა.
როცა,მოუხმობთ,
ის გაჩნდება
ყოველთვის
ჩვენთან.
გაოგნებული
დაჰყურებდა
ნავის
ნამსხვრევებს,
რომელსაც
მხოლოდ
წარწერა შერჩა...
,,ღმერთი
არს ჩვენთან,"
,,ღმერთი
არს ჩვენთან."
ნავი ობოლ ბიჭს
დარჩა მამისგან.
მეთევზე მამის
იყო წარწერაც.
ბიჭმა აიღო
ფრთხილად
ფიცარი.
ახალი ნავის
გასაკეთებლად.
ჩამავალი მზე
ტალღებს
ათბობდა.
ბიჭი შინისკენ,
მკვირცხლად
გარბოდა,
ობოლი ბიჭი,
მამას ნატრობდა,
გადარჩენისთვის
უფალს მადლობდა.
ქარი კი,ისევ
თავაწყვეტილი
სანაპიროზე
დანავარდობდა.

მაგნოლიების ჩრდილში

ალმოდებული ლოყების ფერი,
მცხუნვარე მზისგან იწვის.
წამოიშალა ნისლებად ფიქრი,
მაგნოლიების ჩრდილში.
მომნატრებია,შენი სურნელი,
ნიავს რომ მოაქვს შორით.
ოცნების მტრედებს
ვატან გარათებს,
და გულში გიკრავ თრთოლით.
ამხედრებულა ცაზე ღრუბელის,
თეთრი,ქათქათა ფრთილა.
შენთან გული რომ,გამოვატანე,
არ გაიგზაროს,ფრთხილად.
დრომ გადაგვფანტა,
სხვადასხვა მხარეს,
შენი სიშორე მტკივა,
მზე,უდარდელად
არიგებს სხივებს,
მე მაინც სულში მცივა.
ცისარტყელები მოქარგა ცაზე,
მზე,ვნებებისგან იწვის.
ქალი,გაუმხელ ოცნებებს მალავს
მაგნოლიების ჩრდილში.

კესანები

ულამაზეს ბაღს
ჩავუვლი
და,მებაღეს
ვესალმები.
მახსენდება,
კლდის ფერდობზე,
დაბნეული,კესანები.
კლდის კალთიდან,
ცისფერ ყვავილს,
კაბა ეცვა, ცის საფერი.
ღვთაებრივი ყვავილია.
ვთქვი,მიყვარსთქო
კესანები.
კლდეზე ისე
მიცოცავდი,
როგორც საფრთხეს
ეზმანები.
სიყვარულით
დამიკრიფე,
კლდის ფერდობზე
კესანები.
ეს ცხოვრება,
სუსტი მხრებით,
მიმაქვს და
მეც ვეძალები.
ქალს სინაზით
შევადარე.
ცისფერთვალა
კესანები.
როცა წავალ
ამ ქვეყნიდან,
ვიცი,რომ
დაგენანები.
ნუ მომიტან ვარდს
და მიხაკს,
დამიკრიფე
კესანები.

ტაძართან უნდა მივიდე

ვნებააშლილი ქარები,
ფოთლებს ურხევენ ტირიფებს.
ეკალი შემოხვევია,
ჩემს მიტოვებულ ბილიკებს.
ფოთოლთ შრიალი,ჩურჩულით
არღვევს,იქაურ სიმშვიდეს.
სიზმარში ვცდილობ,გზის პოვნას,
ტაძართან როგორ მივიდე.
ჩემი კუთხე და კუნჭული,
შვიდი წელია დავტოვე.
იქნებ დაღალა ლოდინმა,
ამდენხანს,რომ მივატოვე.
გზად,ეკალ ბარდი ვკაფე და,
სულში გამეფდა სიმშვიდე.
მუხლამდე იყო ბალახი,
ჩემს მიტოვებულ ბილიკზე.
გზად,ფრინველების გალობა,
ფოთოლთ შრიალი ვისმინე,
თუმც დავიღალე,სიზმარში,
ძალები შემოვიკრიბე.
ვკაფე და ვკაფე ეკალი,
შუბლს ოფლი ჩამოვიწმინდე,
რადაც არ უნდა დამიჯდეს,
ტაძართან უნდა მივიდე.
მოვინახულე,ვილოცე,
ჩემი ქართული სიწმინდე.
თუმცა,ეს მოხდა სიზმარში,
რა, მშვიდად გამოვიღვიძე.
როგორ გავძელი უშენოდ,
ამდენხანს როგორ დაგტოვე,
მანდ არის ჩემი საუნჯე,
ჩემი პატარა სამოთხე.

ცრემლი

ცრემლი
არ მიყვარს,
მაგრამ თვალებს
ხშირად სჩვევიათ.
ზოგ შემთხვევაში
შვებაა და,
გადამრჩენია.
ზოგჯერ ჩარეცხავს
გულში დარდი,თუ
გაგჩენია.
ზოგჯერ კი,ცრემლი
გლოვისა და თალხის
ფერია.
ზოგჯერაც, არის
სიყვარულის
თანამდევია.
სიხარულისგან
ნაკადულად
ჩამომდენია.
ნოსტალგიასაც
ხშირად ახლავს,
ცრემლი წრფელია.
მონატრებისგან
ბალიში, რომ
დაგსველებია.
ცრემლი ზოგჯერაც,
არის წმინდა,
ზოგჯერ კი ყალბი.
ზოგჯერ ტირილი
მოერევა თვალებს
გადაღლილს.
ზოგჯერ კი ისე
დაგაოსებს,
სიქას გაგაცლის.
ქალებს,მაცდური
ცრემლიც სცვივათ,
ზოგჯერ,არაფრის.
მაგრამ,სულ სხვაა
დადენილი
ცრემლი ვაუკაცის.
მინდა რომ
ნატვრა აგხდენოდეთ
ყველას,გულისა.
ცრემლი კი,
მხოლოდ,დაგდენოდეთ
სიხარულისა.

ქალს

ქალო, სათუთო.,
საოცარო,
კდემამოსილო.
გავაზასავით
მედიდურო,
სხარტო,
მოქნილო.
აბიბინებულ
ჯეჯილს
გავხარ,
ნახატო კალმით.
სახეზე ღიმი
დაგთამაშებს,
ია და ვარდის.
ახლოს,ვერ მოველ,
შენი ტრფობა,
შორიდან მათრობს,
მთის სურნელი გაქვს
აკაციის,
ველურ ყაყაჩოს.
მზეს შეგადარებ,
შორიდან მწვავ,
შორით მაწვალებ.
ვცდილობ და

ვერსად ვემალები,
ვნებიან თვალებს.
მთვარეს გადარებ,
ამოხვალ და
ამოანათებ.
შენი ღიმილი,
შენი ცქერა
შორიდან მავსებს.
ზოგჯერ მგონია,
ვარსკვლავი ხარ
ცით,მოწყვეტილი.
ჩემს სატანჯველად
დედამიწას
ჩამოფრენილი.
ვის შეგადარო,
აღარ ვიცი
ნამო დილისა.
ნიავო,
ნაზად მონაბერო
ხმავ,სიმშვიდისა.
ზოგჯერ შტორმი ხარ
აზვირთთები,
ზღვა ხარ უძირო.
ნეტავ დამშვიდდე,
ჩემს გულისთქმას,
რომ მოუსმინო.
ქალო, სათუთო,
ვნებიანო,
კდემამოსილო.
სურვილს გაგიმხელ,
ანგელოზო,გთხოვ
არ მიწყინო.
ერთი სული მაქვს,
მკლავებზე,რომ
გადაგიწვინო.
და გული ჩემი
ფიანდაზად
გადაგიფინო.

სიმონეთი

სიამაყით გადმოგყურებს,
უნაგირის ლაღი მთები.
იმერეთის სოფელი ხარ,
სიმონეთო, გეფერები.
შენს კალთაში გავიზარდე,
სიყვარულით მახსენდები.
მუდამ დაჰქრის შენს ქუჩებში,
ქარი მთიდან მონაბერი.
სადაც სძინავს ჩემს ბავშვობას
მოგონებებს,ვერ ველევი,
ჩემს ტოლებთან,უდარდელად
მირბენია ფეხშიშველი.
ხალხი ტკბილი,გულკეთილი
უყვართ მოსული სტუმარი.
ყველა კუთხეს მირჩევნია,
ჩემი ქობულის უბანი.
ჭურისთავზე,მასპინძელი,
სარქველს მოხსნის
ხელად ჭურებს.
დიასახლისი დაგიცხობთ
თვალისწამში ხაჭაპურებს.
განთქმულია მისი ღვინო,
ყველი,მეტად გემრიელი.
წყლებიც არის სამკურნალო
და ყვირილის ნედლი თევზიც.
იმერეთის სოფელია
ჩემთვის არის ერთადერთი.
სად აკვანი დამირწიეს
სად ამიდგამს, პირვლად ფეხი.
მინდა ყველას ჩემს
სოფლელებს,
რომ გწყალობდეთ
ქრისტე ღმერთი.
კიდევ უფრო ააშენოთ,
დაამშვენოთ სიმონეთი.
სიამაყით გადმოგყურებს,
უნაგირის ლაღი მთები.
იმერეთის სოფელი ხარ,
სიმონეთო მენატრები.

ბავშვობა

წუხელის სტუმრად
მყავდა ბავშვობა,
არ მიეკარა ძილი,
ჩემს თვალებს.
შემოვირბინეთ
მთელი სოფელი,
გადავათენეთ იქ,
მე და, ღამემ.
მოგონებებში
ამოტივტივდა,
მინდორში, პეპლებს
როგორ დავსდევდი.
ჩემში,ისევ ის
მორცხვი ბავშვია
შენ,რომ ბავშვობას
ულამაზებდი.
მწვანე თვალება,
პატარა გოგო.
მოკლე კაბით და
თეთრი ბაბთებით,
უკანასკნელად
გადავიკითხე,
შენ,რომ უწერდი
ის ბარათები.
მოგონებები
ასე,ძვირფასი,
ქარს მთელს
სოფელში
მოუფანტია.
პატარა ფეხის
ნაფეხურები,
იმ ძველ ბილიკებს
ისევ ატყვია.
ბებერ მუხას კი,
ჩვენი კისკისი,
საგულდაგულოდ
შეუნახია.
წუხელის სტუმრად,
მყავდა ბავშვობა,
მთელი სოფელი
შემომატარა.
დამწიფებულა,
ის თეთრი თუთაც,
ისევ გადმოსჩქეფს,
წყარო ანკარა.
სკოლის ეზოში
მტირალ ტირიფთან,
ეხლა,უცნობი
წყვილი დამჯდარა.

წვიმა მოვიდა შხაპუნა

წვიმა მოვიდა შხაპუნა
და დამისველა ვარდები.
გულიდან გადამეყარა,
შემოჩენილი დარდები.
ვერ წახვალ,ვერ გამექცევი,
ვეღარსად დამეკარგები.
გულში,თუ შემოგეჭერი,
იქ სამუდამოდ დავრჩები.
ატმის სიწითლე გადამკრავს,
მე,შენი გულის ბინადარს.
ხმამაღლა გითხრა მრცხვენია,
თვალებით გეტყვი მიყვარხარ.
ცამ გადაიხსნა საკინძე,
წვიმა მოვიდა შხაპუნა.
მუზა ჩამოჯდა სარკმელთან,
რითმებმა მომიკაკუნა.
მინდა კვლავ ერთად გავცუროთ,
მდინარის გაღმა ნაპირზე.
არასდროს აღარ გამიშვა,
ხელები მაგრად ჩამჭიდე.
წვიმა მოვიდა შხაპუნა
და,დამისველა ვარდები.
გულიდან გადამეყარა,
შემოჩვეული დარდები.

ლამზირა შეყილაძე

* * *

მსურდა ჩემი საქართველო
ოქროს ჯაჭვით შემეღობა...
თქვენ იოლი ნუ გგონიათ,
გულზვიადი ქართველობა!

გავყევი ქარებს

ახლა ამ ქუჩას პატრონი არ ჰყავს,
ბნელში ბრმასავით დავეცეცები.
რა უხიაგი იღბალი დამყვა,
თითქოს უფსკრულში დავეხეტები.
მთებზე ნისლები მიდი-მოდიან,
და ახალ ჭორებს ელიან მთები.
გულში დარდები ისე დადიან,
რომ უსიცოცხლო სიცოცხლით ვკვდები.
მთელი ცხოვრება იმედს ვკემსავდი
და იმ იმედმაც დამაღალატა...
ჩემს გზა-სავალზე რამდენჯერ მოვკვდი,
დარდმა იმდენჯერ დამასამარა.
წამომეწია ქარები გზაში...
და ორჭოფულად გავყევი ქარებს.
ციებ-ცხელება დამიდის ტანში,
არ ვიცი ბედი სად მიმაქანებს...
ჩემს წინ დიდრონი, უტყვი მთებია,
ჟამთა სიავე კვლავ ძალას მართმევს.
სხეულში გულის ნამსხვრევებია,
სახრჩობელაზე ავყავარ დარდებს.
ვეცემი, ვდგები, ისევ ვეცემი,
ცრემლით სველია სულის თვალები...
ვიცი, როდესაც გარდავიცვლები
დამწუხრდებიან იასამნები.

სიყვარულისთვის გაკრავენ ჯვარზე

როცა მიხვდები ბრბოთა სიბრმავეს,
თვალხილულს ნაცარს გაყრიან თვალში.
ფეხით თელავენ შენს წილ სიმართლეს...
შენ კი ტკივილი დაგიდის ტანში.
კარგის მშენებელს მარჯვენას გჭრიან,
ნაჭრილობებში გაყრიან მარილს.
როცა შენს თვალწინ იესოს სჯიან
და შენ კი, მისი შველა არ ძალგიძს.
როცა ცხოვრება გიმეტებს ეულს,
და ბარაბები გყიდიან ვერცხლში.
ყვავ-ყორნებივით გჯიჯგნიან სხეულს,
ქეთევანივით გდაგავენ ცეცხლში.
როცა სამშობლოს ხურდაში ცვლიან
ცრემლები ღვარად ჩამოგდის ღაწვზე...
შენს გამძლეობას სამსჭვალით ცდიან,
და შენ კი, მაინც, ლოცულობ მათზე.
როცა მიხვდები, ხარ მარტოდ-მარტო,
შენი ტკივილი არავის ესმის...
დარდი და სევდა გაწვიმს და გათოვს
და სხეულიდან ღრიალი გესმის.
შენი სიცოცხლე არ უღირთ ფასად,
შენი წამებით იხდენენ წადილს...
შენს ირგვლივ მაშინ, სიცოცხლის ნაცვლად,
გზააბნეული სიკვდილი დადის.
სიყვარულისთვის გაკრავენ ჯვარზე,
ჩამოგიბნელეს დილა მზიანი...
თავის ცოდვები აგკიდეს მხარზე,
იუდას ლოცვა არის გვიანი...

მამა გაბრიელ ბერს

სიცოცხლეში ტალახს ვსვრიდით,
მის გულს დარდით მიმორღვეულს...
ახლა ყველა თაყვანსა ვცემთ,
გაბრიელის უხრწნელ სხეულს.
როს გვმოძღვრავდა არ ვუსმენდით,
ნუ შეგღალავთ ღვთიურ ნებას.
დღეს მის ხატთან სანთლებს ვანთებთ,
ვთხოვთ ცოდვების პატიებას.
რაც ყველაზე ძვირფასია,
იუდასებრ ვერცხლში ვყიდით...
ერთურთს ვებრძვით, არა ვზოგავთ,
ჯერ მოვკლავთ და მერე ვტირით.

ტერენტი გრანელს

ცაზე მნათობი ისევ ანათებს,
დარდში და ფიქრში წლები გავიდა.
ბნელი საკნიდან ვგზავნი ბარათებს,
გარეთ უბრალოდ მზე ამოვიდა.
შენ უკვე ზეცის წიაღში ცხოვრობ,
მე კი სარკმლიდან გავყურებ გუმბათს.
თუ სურვილი მაქვს, არ გეუცხოოს,
შენი შეცნობა ვიცი დამღუპავს.
 მიჰვყვები უკვდავ ბილიკებს ფართოს,
ჟამი ნაკვალევს ვეღარ წაგიშლის.
ახლა ცაში ხარ, შენ, მზესთან ახლოს.
მზეში ხეტიალს ვინღა დაგიშლის?!
არც მე მიგრძვნია სიცოცხლის გემო,
ალბათ არ მქონდა ამის უფლება,
უსამართლობის და დარდის ტყვეო,
არ გღირსებია თავისუფლება.
ჩემს წინ დაღლილი წლები ქრებიან,
სიცივე მკლავს "და ღამეა დიდი".
რა მწარეა და გულსატკენია,
როს გასამართლებს ორგული, ფლიდი.
ვერ გამიგია მე ამ ნისლების,
ან რად მოდიან, ან სად მიდიან?!
რაღა ვიწამო ამ წუთისოფლის,
ჩემს სარკმლის იქით საფლავებია.
ჩაზნექილია სიცოცხლის ხიდი,
არ უწერია ჩემ ფიქრს ახდენა...
ახლა კი მინდა, რომ ვიყო ჩიტი,
და ხიდან ხეზე მსურს გადაფრენა...

არაგვივით არ იღლები

ბატონ გერმანე საბანოელს

გულზვიადი მხედარი ხარ,
დრო-ჟამი ვერ გაფერმკრთალებს.
ვაჟკაცურად იცავ წარსულს,
დიდ აკაკის ნატერფალებს.
კარგად იცი წინაპრების,
ბუნება და ადათ-წესი...
ისიც კარგად იცი, ქართველს
რა სიღრმეში უდგას ფესვი.
მომავალში იმზირები,
გულში აგებ ძმობის ხიდებს...
არაგვივით არ იღლები,
ცხოვრება ვერ გიმორჩილებს.
ხარ ღვთიური, მძლე ვაჟკაცი,
მამულისთვის თავს გასწირავ.
ღირსეული, ნაღდი კაცი,
იმერეთში მზისებრ ბრწყინავ.
ლექსის აკვნით ხვდები რიჟრაჟს,
ლექსით ითბობ; გულს და ხელებს...
ლექსებსა სწერ მწველს და გიჟმაჟს,
მუზა როცა გაგახელებს...
რარიგ გშვენის თამადობა,
ყანწებსა სცლი, არც კი ღელავ,
ჯერ "სულიკოს" დაეძებ და...
შემდეგ მღერი "საპოვნელას".
კაცხის სვეტთან პირჯვარს იწერ,
ღმერთს ავედრებ ამერ-იმერს...
რწმენამ ისე აგამაღლა,
ლამის ხელით მისწვდე ნისლებს.

ნინო უძილაური

ორი ვაჟა

მთაში ვაჟამ დაიქუხა,
ექომ ბარში,
ვაჟას გული გაიარა
და შეაკრთო ნორჩი მუხა,
დაუტოვა მზე – იარად.
მერე ..

სიყვარული სცადეს,
გადაფანტეს
საქართველოს მთებს
ნისლები
და ... ავიდა სული ცამდე,
ფშაველას და ეგრისელის.

დღეს ნუ დამიშლით

დღეს ნუ დამიშლით ვნებიან კოცნას,
მთელი სიცოცხლე ველოდი რასაც,
თეთრი ღრუბლები ცეკვავენ როცა,
ფერი ეცვლება მიწას და ცასაც.
ბედნიერება იფრქვევა ჰანგად,
ბახუსი სიტყვის თქმასაც აპირებს,
ახლა მინდა რომ გადავთვრე მაგრად
და მივეხეთქო ტრფობის ნაპირებს.
დღეს ნუ დამიშლით ვნებიან კოცნას,
სიცოცხლე მიქრის, მუქდება დარიც,
ნუ მაიძულებთ აქ დიდხანს მოცდას,
ვაკოცებ....მერე ვიცოცხლებ მკვდარიც.

ფიქრთა ნაპირი

ამოიგმინა გულიდან სევდამ,
გადმოიარა ფიქრთა ნაპირი,
შენი სახება ძილშიაც მდევდა,
სადაც გრძნობებად გამინაპირდი.
ქარვისფერია ეს შემოდგომა,
შესუსტდა მზე და დნება სხივები,
ალბათ მომიწევს ქარაფთან დგომა,
სადაც ოცნების ვკრიფე მძივები.
არ მინდა ვიყო ჭირისუფალი,
ცრემლი მდიოდეს დაშანთულ გულზე,
ნუგეშად ჩემში სახლობს უფალი
და მისი ძალით მომავალს ვუმზერ.

უსათაურო

მასკარადია,
სცენა ვეღარ იტევს კაცუნებს...
და შემზარავი ხმების ფონზე
იწვის აზრი და
ცეცხლში ძველი ფარსი ტკაცუნებს...
ეგებ მოითბოს ხელისგული
მავანთ მავანმა,
რადგან სთავაზობს მსახიობებს
ცოდვის საცდურებს...

და ეს უნიჭო მასკარადიც
ილევა დროში....
ალბათ მარტო დგას რეჟისორი,
უტარო დროშით...
მსახიობებს კი,
არ უყრიათ ჯიბეში გროში...
კუდის ქიცინით
მასკარადი
რატომ სურთ მავანთ
გადაზარდონ უაზრო ომში?!

* * *

გვირილების გაღიმება,
სილამაზედ მერგო,
სიკეთედ და სიყვარულად,
კვლავ ამანთე ღმერთო.

სული წმინდა მომივლინე
ლოცვად, ერთადერთო,

გული წრფელი ჩემს სხეულში,
სანთელივით ენთოს...

მატურფე და მანარნარე,
ციცქნა გოგო ერთ დროს,
გვირილების სილამაზე,
ვგონებ, ისევ ვერ მთმობს.

გერმანე საზანოელი

როგორ მსურდა

მსურდა მომემართე ისე მეგობარო
როგორც მშობლიური გიტარა,
მაგრამ გამიჭირდა, მართლა გამიჭირდა,
შენში ჩემი გულის მიტანა.
ახლოს მინდოდა და შორსაც აღარ დავრჩი
ისე გამიწბილე იმედი,
მე ამ სამზეოში ნირი შემეცვალა
ვთესე უიმედოდ იმდენი.
ასე რატომ არის ვისაც ეფერები
და რომ გინდა სულში ჩაისვა,
ნეტავ გულგრილობა რატომ უნდა სჯობდეს
სითბო რად დაირქვა დაისმა?!
თუმცა ეხლა უკვე ჩემთვის სულერთია
რადგან გუნდასავით გამიქრი,
და დღეს გულთა შორის მხოლოდ
ეს ლექსი დგას
და ამ ლექსშიდაც კი ქარი ქრის.
და შენ ამიტომაც ნულარ მობრუნდები
ვგრძნობ რომ ფეხი უკვე დამიცდა,
მე ხომ ასჯერ ვცადე და ეს ალბათ გესმის,
წესით მეკუთვნოდა სამი ცდა.
ბევრი მზრუნველობა ლოდად მომიბრუნდა,
ზაროვ, მომაშორე გთხოვ ეს ხმა,
თურმე ზედმეტობა არსად არ ამართლებს
სახეზე წუმპეც კი მომესხა.
თუმცა ამ სიბრძნეზე ისე მეღიმება
როგორც სახუმარო ამბავზე,
რადგან სადაც გინდა რადგან როგორც გინდა
ყველას არ შეიძლება აბამდე.
მხოლოდ მედარდება გულთა დაკნინება
თან ღრმად ჩამარხული სიკეთე,
დარი წვიმას ეტრფის წვიმა თავხედობს და
ქარში სიბრმავის სახლს იკეთებს.
მსურდა მომემართე ისე მეგობარო
როგორც მშობლიური გიტარა
მაგრამ გამიჭირდა, მართლა გამიჭირდა,
შენში ჩემი გულის მიტანა!

***

ჩემთვის ნიავია თქვენი სიდიადე,
დასტურ დასტურები ისმის, ნაჯამები,
უნდა მიგიყვანოთ, ძვირფას იდეამდე
უადგილოდ შეფობს, ვიღაც, გაჯავრებით.
გამოეპასუხა, უფრო შერეკილი
ენა ტყლაპიანი და არა ტკბილიანი,
მათთან აბა რაა, რძალი შებერტყილი,
წუნკალ წუნკალი თან დედამთილიანი.
დიდხანს დაობენ და რაზე, არ იციან,
უწესრიგოდ ქრიან, თავის დარაბები,
ვერც კი აზროვნებენ როგორ განიცდიან,
როგორ ზედმეტია დავი-დარაბები.
ლურჯთვალამაც იცის, თოვლს აჰყვეს ნებით,
ყინვის ჭერქვეშაც კი, ლაღად იშლებიან,
მოდით სამყაროში ვთესოდ ღიმილები
წყენის სათავე ხომ, მხოლოდ ნისლებია!

ჯუბა ღებელი

***

კაცი კაცით,
ღვინო ყანწით,
ყანწი დაცლით,
ქალი ვარცლით,
ბევრს უჭირს და ცოტას ულხინს,
ამ ჩემს ლამაზ ქვეყანაში!..
აქ პურია ქრისტეს ხორცი,
ქრისტეს სისხლი არის ღვინო,
ძროხა ისევ ბალახს ცოხნის,
მიდის საუკუნე ოცი,
რიონივით მიღიღინობს!..
მე კი მენატრება ის დრო,
მენატრება ის დრო-ჟამი,
ქვაზე რომ სიკეთე იდო,
სიყვარული იყო ხალხში,
ქალი კაბით დადიოდა,
კაცი დადიოდა შარვლით!..
როგორც ოთარაანთ ქვრივი,
რკინის ქალამნებით დავალ,
ჩემს სახლ-კარში ვცხოვრობ ქირით,
ბეწვის ხიდზე მიწევს გავლა,
არც აქით ვარ, აღარც იქით,
ლუკმას არ ვღეჭ, ისე ვყლაპავ!..
დღემდე სულ სამართალს ვეძებ,
სად მივაგნო, მითხარ ერთი,
აღარავის უნდა მეფე,
არც მახვში და ხევისბერი,
ნეტავ კიდევ თუა ვინმე,
ჩვენნაირი ბედნიერი!..
ღვინო ყანწით,
ყანწი დაცლით,
გლეხი ყანით,
ყანა ხარით,
დღე ღამით და ღამე მთვარით,
მერე მთვარეც ნისლით მთვრალი,
მიყვარს რიკტაფელა მკაში,
მიყვარს გუთნისდედა ხვნაში,
თმების გაშლა მიყვარს ქარში,
სევდის ჩენა მიყვარს ქალში,
კაცი?..
კაცებს გაუმარჯოს,
ამ უკაცო ქვეყანაში!..

იაკო კოჭლამაზაშვილი

ზე-თანამდევი

რა კარგ დროს შემხვდი მეგობარო,დიდხანს ნაძებნი.
მე არ მინდოდა ეს სხეული შენგან ნაძერწი,
მე სული მინდა შენს სითბოში გამონაძერწი.
სულს დავეძებდი უჯრედოვანს ზეცამდე მდევი
და შენ გიპოვნე ყოფიერი ზე-თანამდევი.
შენ ჩემი სევდა,ნაკიდი სულზე - დიდი მძერწავი
მე კი მორჩილი - შენი შეგირდი,უჩვეულო გამომძერწავი,
ძერწვა-ძერწვაში წარმოქმნილი ეს უტყვი ფერი,
უკიდეგანო სიყვარული და ზუსტი სპექტრი.
ჩემგან ნაძერწი დაგიშორე მეცხრე ცის ზევით,
იყავი ჩემო, ზემწერო ჩემო,
ნაძერწი სული უცხო ჩრდილმა არ გადაძერწოს
თავს შევაფარებ შენს ნაცნობ ჩეროს,
რომ უფლის გზაზე აღმავალი არ გადვიჩეხო
იქნებ ხანდახან ჩამოიხედო!

* * *

გავსავმყაროვდი, დრო და სივრცე მეწვის ძარღვებში.
მესმის ღრიალი ცხოველმყოფელი, ღრიალი მესმის დედაშვილობის.
ჩააქრე ცეცხლი ლეონარდო! ღმერთი მეწვის სისხლის უჯრედში,
ფილტვები ეწვის დედამიწას,სამყარო მეწვის ლეონარდო, ჩააქრე ცეცხლი!
გავმსავმყაროვდი, წუხელ ღმერთი ვიმშობიარე,
პატარა, თოთო, გადარჩენის პატარა ღმერთი.
ვაჭმევ რძით გამძღარ სამყაროს ძუძუს,
უსასრულობა ვიმშობიარე და პირმშო ჩემი,
მიმსუბუქებს დროს და სივრცის განზოგადებას,
უერთდება სისხლის უჯრედს, რომ მუდმივად ვასულდგმულო სამყარო ჩემში.
რომ მუდმივად ახლდებოდეს - დიდხარ შენ ღმერთი!
გავსავმყაროვდი-მეწვის ღმერთი სისხლის უჯრედში.
ცეცხლი ჩააქრე ლეონარდო, ჩააქრე ცეცხლი!

დავით იოსებაშვილი

გულები

ბიჭი თითებით,
ხატავდა ქვიშაზე-
გულებს...
ზღვა ონავრულად -
უშლიდა ნახატს...
მზე აცხუნებდა -
ლამაზ-კეფაზე...
ის კი ჯიუტად-
ხატავდა გულებს.

იქვე გოგონა,
იჯდა ნაპირზე..
უცქერდა ვითომ-
მცურავ იახტებს...
თვალი ბიჭისკენ.-
გაურბის ნიმფას...
კითხვა აწვალებს
ლურჯთვალა ასულს..
ბიჭი -გულებს,

ვისთვის ხატავდა???..
თოლიებმა მას ციდან-
გადმოუძახეს-
,,ეს მის გარდა,
არავინ იცის"..
მზე აცხუნებდა -
ლამაზ-კეფაზე...
ის კი ჯიუტად-
ხატავდა გულებს.

30-7-2020

* * *

ხმალი,
თოხი,
გუთანი,
გვერდზე მიგიგდია...
ციხე,
ეზო,
ყანა –
ბალახს გაუვსია...
დედა,
ცოლი,
სიდედრი-
მონად გაგიგდია...
მტერი,
ეშმა,
იუდა-
ტახტზე დაგისვია...
სიზარმაცით,
ხარბობით,
ნარკოტიკით,
ანგლობით,
დაგიღუპავს სამშობლო,
მომავალი,
წარსული...
გაიღვიძე,
იფხიზლე,
იმუშაკე,
იბრძოლე,
სანამ კიდევ,
დრო არის.
დაიხსენი,
ახარე –
საქართველო მარადის.

* * *

არ დაიჯერო –
ძვირფასო,
რომ სიყვარული-
ჩვენთან ერთად-
ქრება...
ის უკვდავია –
სულივით..
აქ უხილავ-
ტაძრად რჩება.

25-8-2019

* * *

ქალი სიცოცხლის –
პოეზიაა....
ქალი რითმაა –
წუთისოფელის...
ქალმა დაბადა-
იესო ქრისტე –
მთელი სამყაროს –
დიდი პოეტი.

21-8-2020

* * *

რა არის წუთისოფელი,
რაშია მისი ფასია???..
იყო და არა იყო რა,
ესაა მისი არსია..
სხვა დანარჩენი მშვენება,
მირაჟია და ფარსია.

* * *

თბილისი მინდა
ხოხბისფერი,....
გულით დავლოცო,
მტკვარზე ტივით-
მოვილხინო
ყარაჩოღლურად..
ავწიო ყანწი-
მოლივლივე ალადასტურით,
შიგ მიცინოდეს. –
მრუში მთვარე,
სატრფო ბახუსის...
მწვადებს აუწვავ კოცონისგან-
ფერდებს ვარდისფერს...
აშუღივით შემოვძახებ-
ლექსებსს ვედრებად....
დილის ცისკარზე –
სიყვარულში გამოუტყდები...
იმედია ჩემი ქუთაისი –
მე მიმიხვდება...
თბილისი მინდა
ხოხბისფერი,....
გულით დავლოცო,
მტკვარზე ტივით-
მოვილხინო ყარაჩოღლურად.

24-8-2020

როცა

ცისფერ კესანზე,
დაგოგმანობს-
დაწინწკლული ჭია-მაია...
ცისკრის ვარსკლავი-
ავარდისფრებს ზეცას-
მადლიანს...
ქვიშის საათში –
წუთები,
სწრაფად დნებიან...
.ეს სილამაზე –
ამზინებს. სახეს სევდიანს...
სიკვდილი რაااა???
როცა გიყვარს
ან ვინმეს –
უყვარხარ..
განდეგილივით-
მარტო არა ხარ.. –
გინდა სიცოცხლე –
უფლის ფარვანას...
ფეხმარდი რაშები –
სადღაც მიჰქრიან..
ცისფერ კესანზე,
დაგოგმანობს –
დაწინწკლული ჭია-მაია...
გულს იფურჩქნებიან
სიყვარულის იასამანები...
.ცისკრის ვარსკლავი-
ავარდისფრებს ზეცას –
მადლიანს.

23-8-2020

ამ ზაფხულსაც

ამ ზაფხულსაც –
შემოდგომის სუნი აუდის..
მზეც ანათებს სხვანაირად..
ავდრობს დარი..
ბაღში დაიფოთლენ –
მოკირწლული ბილიკები,
შენს ნაკვალევს –
საყვარელო მიუყვები...
უკან დამდევს აბეზარა-
აჩრდილები...
ვბერდები და დამცინიან-
ჩიტუნები...
მე ფიქრებში,
შენს სილუეტს-
ვეფერები..
მე წავალ და ცისკრის
ნამად გადვიქცევი...
ამ მდელოებს გადათელავს-
ირმის ჯოგი..
ამ ზაფხულსაც-
შემოდგომის სუნი აუდის.

23-8-2020

დაგელოდები

ეს ზაფხულიც,
შემომადნა –
მარტის თოვლივით...
ხასხასა ფერებს –
შეერია ქარვის სიდინჯე...
ვაზების ჩრდილში –
შეყუჟულან მოგონებები...
სადღაც ნიავი –
შენს გულს აგრილებს...
დავეძებ იმას,
რაც მომპარა უგუნურობამ...
ამ ფოთოლცვენას –
ვუცქერ დარდიანსს...
სადაც იყავი –
ერთდროს ნატრული,
იქ მეორეჯერ –
აღარ გელიან....
მოდი მიმღერე –
ძველი სიმღერა...
სანამ სიყვარულს –
შენსას ვატარებ....
მზეს მოუჭუტავს-
თითქოს თვალები...
შენი სიტურფის –
ნახვით ნამთვრალებს...
მიდის სიცოცხლე,
როგორც მდინარე...
უკან რჩებიან –
დიდი ლოდები...
ვდგავარ მარტოკა –
გზაგასაყართან....
ნისლების კვამლით –
ბოლთას ვცემ ჩუმად...
მიუხედავად დაცინვებისა,
ზურგში სროლისა....
დაგელოდები –
ჯიუტად ისევ.

20-8-2020

შენ

შენა ხარ-
მზეც და მთვარეც...
დღეცა და ღამეც....
შენა ხარ ჩემი-
სივრცეც,
ქაოსიც....
შენა ხარ სხივი -
წამოსული
იმ საყაროდან...
აქედან მინდა
სამად,სამი-
სიტყვა შეგძახო-
მე შენ
მიყვარხარ!!!...
რომელიც მთელ გალაქტიკას-
შეაბარბცებს...
არ ვიცი
ჩემო...
უშენოდ როგორ
ვიცოცხლო.???
შენა ხარ ჩემი-
სიყვარული საბედისწერო.

31-7-2020

სამშობლოს

ნეტავ რა ვქნათ, რით ვუშველოთ
ჩვენს პატარა ტურფა მხარეს,
ათხაზეთს გულით ვგლოვობდით
სამაჩაბლოს უფრო მწრედ.
– გაჭირვების დასაძლევად
გავიფანტეთ საზღვარგარეთ
სამაჩაბლო რომ წაიღეს
დღეს გვართმევენ დავით-გარეჯს.
– ეს რას ვისმენთ? მისდგომიან
მტრები პარლამენტის კარებს,
ამ უგულო მმართველებმა
რაც გაყიდეს არ იკმარეს.
– ნუთუ სისხლი აღარა გაქვთ?
ასე როგორ შეიცვალეთ!
თავს გვახვევენ უზნეობას
და ვინ მოთვლის ათას რამეს.
– აღარაფრად არ მიიჩნევთ
იმ ვაჟკაცთა წმინდა გვამებს,
სამშობლოსთვის რომ იბრძოდნენ
მომავლისთვის სისხლი ღვარეს.
– ვახ შენ..დედა საქართველოვ"
ტანჯვით როგორ გადაღალეს,
ლუკმა-ლუკმა დაგამტვრიეს
ლუკმა-ლუკმა გადაგყლაპეს.
გონს მოვეგოთ ქართველებო!
გარე მტერს ნუ გავახარებთ,
მოდით ყველა შევკავშირდეთ
ერთმანეთის გვერდით დავდგეთ.
– მერე? იქნებ საქართველო
მართლა ნამდვილ ედემს გავდეს,
სტუმარს, სტუმარი ეწოდოს,
მასპინძლად კი ჩვენა ვყავდეთ.

2.05.2019 წ. ათენი.

ლელა კობერიძე-ჭიაურელი

პ-ტ. ეთერ ჭელიძეს

ანათებ როგორც ღამეში მთვარე
გამოირჩევი როგორც გენია,
თქვენსავით დიდი გმირი პოეტი
ამ ქვეყანაზე განა მევრია.
– ღამის წყვდიადში ბადრი მთვარე ხარ
გარიჟრაჟს ხვდები ვარსკვლავ-კიაფით,
ეთერ ჭელიძე მზის ის სხივი ხარ,
კაშკაშა, როგორც დღე იშვიათი.
პოეზიაში გამართული ხარ
მე შეგაფასე როგორც გენია,
მოგაქვს მთის რიხიც განუზომელი
ამ ჩემს ნათქვამში ყველაფერია.
მთიდან ეშვები როგორც ჩანჩქერი
მერე ჩერდები სადაც ველია,
შენს ქალურობას ასე შეშვენის
იქ დგები სადაც გულით გელიან.

11.2020წ. ათენი.

დავით გარეჯი საქართველოა

– დავით გარეჯი საქართველოა, საგარეჯოა უდაბნოს ველიც.
ნაფეხურია იქ დინოზავრის ისტორია გვაქვს ჩვენ ძველთა-ძველი.
– იქ ქართველ ბერთა სისხლი ნთხეულამ წირვა-ლოცვის დროს დუშმანთა ხმალით,
მონასტრის მიწა სისხლით დამბალა დღემდე ატყვია იმ რწმენის კვალი.
– რომელი ერთი მხარე ვიდავოთ სამშობლო წიწკნა ყვავმა-ყორანმა,
ზოგი თუ ომით წაგგვლიჯეს განგებ ზოგი სხვას მისცა რუსთა ქომაგმა.
– ვინც იქ მივიდა და განიზრახა ვინც მოუმართა აზერეებს ხელი,
დამნაშავეა საქართველოსთან ვინც მოაწერა ეშმაკთან ხელი.
– როგორ გაბედეს რაც გააკეთეს გარეჯს მოგლიჯეს ფერდი მთიანად,
ჩიჩხიტურს იქით საზღვარი იყო, ახლა იღებენ გარეჯს მთლიანად.
– ნეტავი როდის გაუთენდება დღე, საქართველოს დაუღალავ ერს,
როდის ამოვა საქართველოს მზე ნიკოფსიიდან დარუბანდამდე.

10.10.2020 წ. ათენი

* ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს *

– ჩემი სამშობლოს სიყვარული მე გულით დამაქვს
სადაც არ უნდა დავიკარგო ჩემს გულში მახლავს,
მასთან სიშორეს რომ განვიცდი გმირობა გახლავთ
მოუშუშარი ტკივილი მაქვს იმ წლების რადგან,
ეს განშორება სამშობლოსგან საჭირო გახდა.

– საჭირო გახდა,რადგან ისეთი ცხოვრება დადგა
იმ პერიოდში მდიდარიც კი ღარიბი გახდა!
კანონი თუ კანონობდა საერთოდ გაქრა
მთავრობაში ხომ ყველა გასუქდა ვინც სკამზე დაჯდა.
მილიონობით ქართველი კი ჩვენს საზღვრებს გასცდა,
ემიგრანტებმა მოახერხეს სამშობლოს დაცვა.

– დიახ! ჩვენს ზურგზე გადავიდა ეს დიდი ტანჯვა
ეს ნიშნავს იმას, რომ მოგვიხდა დიდ ფრონტზე გასვლა.
და ამ ფრონტიდან ბევრი დაბრუნდა ბევრი კი დარჩა,
რადგან სამშობლო ჯერ კიდევ ფეხზე კარგად ვერ დადგა.
დაბრუნებულებს ეგონათ რომ სამშობლო დახვდა,
შეიცვლებოდა საქართველო სიკეთით მაგრამ,
შენ ვის ჭირდები ნაფრონტალი უღონოს გავხარ,
თუ ძლიერი ხარ იმ შემთხვევაში იქ ადგილს ნახავ
დაუძლურებულს არ მიგიღებს და უკან წახვალ.

– მე იმედი მაქვს ეს ტიალი კოშმარი წავა -
წავა გაივლის სიზმარივით და აღარ ვნახავ,
გამოიდარებს გაბრწყინდება მარად და მარად
ჩემი სამშობლოს სიყვარული მე გულით დამაქვს
სადაც არ უნდა დავიკარგო იგი თან დამაქვს.

19.07.2018წ. ათენი.

პოეტ * შორენა მამალაშვილს*

– მამალაშვილო შორენა, ქალბატონი ხარ ნეტარი,
შენს დანახვისას ასე ვთქვი ვინ გააჩინა ნეტავი.
– სრულყოფილება, მშვენება,
ტან-ფეხი სრულად კელაპტრის ნიჭი,
გონება,ბუნება, ღმერთს შეუმკიხარ ყველაფრით.
– როგორ მომხიბლა,გამათბო შენ შეფასებამ ჩემდამი,
ღმერთმა დაგლოცოს, გიკურთხოს შენი მიზნები ზეცამდის.

11.11.2020წ. ათენი.

„საყმაწვილო საკითხავი“

--------დ ა ვ ი თ ნ ი ----------

სულიწმინდის კარნახით და შთაგონებით დაიწერა,
საგალობელთა კრებული ფსალმუნებად ჩაიწერა.
– ისრაელის მეფე დავითს წინასწარმეტყველსა,
როგორც ეკლესია იხსენიებს
ძველი წელთაღრიცხის ბოლოს.
– ათასწლეულის საწყისში წმინდა მეფემ წინასწარ თქვა,
ღმერთის განკაცებით მოსვლა მის შესახებ ჯვარცმა და ხსნა.
– ვინცა ცდილობს რომ იცხოვროს უფლის მცნებებისა დაცვით,
ფსალმუნები წარმოადგენს სულიერსა საზრდოს მათთვის,
მასში გადმოცემულია სულის ყველა შესაძლო გზა,
ფსალმუნების ხშირი კითხვა წამალია,სულის ხსნაა.
– რათა სული გაძლიერდეს მოსული განსაცდელის ჟამსა,
მორწმუნეთა ლოცვა იხსნის სამრევლოში ძმათ თუ დათა.
– წიგნი დავითნი კი არის ოც კანონად დაწერილი,
ასორმოცდაათ ფსალმუნად ერთიანად აღებული.
– „დ ა ვ ი თ ნ ი“-ს წიგნის წამკითხველთ
ღმრთისგან მადლი ეფინებათ,
მათზე ძალა გადმოდის და დიდი ნდობა ეკისრებათ.
– ოც კანონზე ოცი კაცი ოც თვეს უნდება მკითხველნი,
დასრულებულ საგალობლებს სხვა თვეს, იცვლება პირველით.
– ამგვარად ეკლესიაში მუდამ წირვა და ლოცვაა,
სახარებათა.....კანონთა საგალობელთა კითხვაა.
– დაწყების წინ ჯერ მკითხველნი საწყის ლოცვებს წაიკითხავს,
შემდეგ გადავა კანონზე და დიდებით განიხილავს.
– ალილუია, ალილუია, ალილუია, დიდება შენდა ღმერთო.
ალილუია,ალილუია,ალილუია, დიდება შენდა ღმერთო,
ალილუია, ალილუია ალილუია, დიდება შენდა ღმერთო
დიდება შენდა.
– უფალო შეგვიწალენ, უფალო შეგვიწყალენ,
უფალო შეგვიწყალენ....
ა მ ი ნ.

20.04.2020წ. ათენი.

ნაძვის ხე

ნაძვისხეო შენ ხარ ჩვენი
პატარების სიხარული,
საშობაოთ მორთული და
ბრჭყვიალებით მოქარგული.
– გარს გეხვევით პატარები
სიხარულით გული გვიცემს,
თოვლის პაპის მოლოდინში
სიცივეში დგომა გვიწევს.
– მერე ციდან დაეშვება
თოვლის პაპა მარხილით,
– ხურჯინში აქვს საჩუქრები
ტკბილეულით გავსილი.
– ლექსით,ცეკვით და სიმღერით
გულებს ლენით აგვივსებს,
შუაღამეს ნაძვისხის ქვეშ
საჩუქრებსაც დაგვიდებს.
– დილით უკვე მობრძანდება
ქრისტეშობის დღეო,
ამ სიხარულს გვაგრძნობინებს
(კოხტა) ჩვენი ნაძვის ხეო.

12.12.2018წ. ათენი

თოვლი მოდის

თოვლი მოდის, თოვლი მოდის
დაეფინა ხეებს მძიმედ,
ფანტელები მის ტოტებზე
რა საოცრად აბავს მძივებს.
– ისე ბარდნის არე-მარე
თეთრ საბანში გახვეულა,
დიდ-პატარა ციგით ხელში
სასრიალოდ გაქცეულან.
– თოვლი მოდის, თოვლი მოდის
ცვივა ციდან ფანტელი,
სიცივეს ვეღარა გრძნობენ
მოსრიალე ბავშვები.

12.12.2018 წ. ათენი

***

ა-ნი და ბანით
ბ-მული ქართულით,
გ-ოგებაშვილის გვაქვს
დ-ედა
ე-ნა.
ვ-აზი ქართული შემოქარგული
ზ-ვრებში მტევნები ქარვისა ფერად.
თ-ამარის ციხე და დარბაზები
ი-მ კლდიდან გვიცქერს შთამომავლობას,
კ-აცი ქართველი გაიტანს
ლ-ელოს, ქალნიც შეგხვდებათ ამორძალებად.
მ-რავაჟამიერ გუგუნებდეს ხმა,
ნ-იჭი მოგვმადლა ღმერთმა დიდებით,
ო-მის ქარცეცხლი აღარ გვენახოს
პ-ატარებს ქონდეთ ქვეყნის იმედი.
ჟ-რუანტელს მოგგვრით ქართული ჰანგი
რ-ოს წირვა-ლოცვა აღევლინება,
ს-ამ ხმაში გალობს სამების მრევლი
ტ-აძარში ხმაზეც აგეტირებათ.
უ-ფლის კვართია სვეტიცხოველში,
ფ-რესკებს ეტყობა ფერისცვალება,
ქ-რისტე მოვიდა განკაცებული,
ღ-მერთსაც კი ერგო გარდაცვალება.
ყ-ველაფერია დედამიწაზე
შ-ენთვის შექმნილი ადამიანო,
ჩ-ვეულებრივად ცხოვრებით ტკბები
ც-იდან გეძლევა სიცოცხლის წყარო.
ძ-ე ღმერთი იცდის და გელოდება
წ-უთისოფლისგან შენ რას წაიღებ,
ჭ-ურჭელი შენ ხარ ამა სოფლისა,
ხ-ვა თუ სიკეთეს ვეღარ გაიღებ
ჯ-ვარი აიღე ქრისტიანეთა,
ჰ-ოდა, გოლგოთას ღვთისებრ წაიღე.

20.10.20 წ.

გულნაზ სხირტლაძე-ხარაიშვილს

****

სიყვარულის დედოფალო-დედავ –
მოკრძალებით ლექსით შემოგბედავთ,
თქვენს გულში რომ იმალება სევდა,
იქიდან ჩანს თქვენს ძაძებს რომ ვხედავ.
– ჩვენთვის თქვენ ხართ დედასავით ტკბილი,
თბილად გულში ჩაგვიხუტე ყველა,
გაბნეულებს სამკალივით იმკით
თვითეულის გულისთვის რომ ღელავთ.
– დიახ, ჩვენო ქალბატონო გულნაზ,
დიდი შრომით უკვდავებას ჰპოვებთ,
მარგალიტებს, ყველა დარგის მუშაკთ,
თქვენს წიგნებში საუკუნოდ ტოვებთ.
– წავა დრო და გადაივლის ჟამი
იმ ქვეყანას როცა შვებით წავალთ,
აქ დარჩება თქვენი შრომის კვალი
თაობები თქვენს წიგნებს რომ ნახავს.
– ახლა მინდა, რომ გისურვოთ კარგო
ჯანმრთელობა, წარმატება მარად,
სანამ ვცოცხობ, ვიცი თქვენი ფასი,
ამაღლების ტაძარში კვლავ გნახავთ.

ანიკო ლილუაშვილი

ცხოვრება

ცხოვრება გრძელი, რთული თანაც ულმობელია.
გზა დაბურული უცნობი და ძლიერ გრძელია.
კაფე ეკლები, რომ შენთან ერთად შვილმაც იაროს,
შეუმსუბუქე ტვირთი მძიმე, არ დაიღალოს.
და, თუ ვერ შეძლებ, მხოლოდ შენი თუ გემძიმება,
მიჰყევ დინებას, ნურათვერი ნუ გეწყინება.
სხვისი ტკივილი, თუ არასდროს არ გეტკინა,
როგორსაც გასცემ ისეთივე შეგეძინება.

ქ-ნ გულნაზ ხარაიშვილს

თქვენ ხართ ვენახი,
მსხმოიარე მწიფე მტევნებით
თქვენს ნაწურ ბადაგს
ვაგემოვნებთ საიმოვნებით
შიშმა შემიპყრო,
არ ჩავარდე ხიბლში „რჩეული“.
ლანგრით მორთმეულ,
მზა საჩუქრებს არ ვარ ჩვეული.

* * *

მინდა მომეფერო
და გულში ჩამიკრა
ჩურჩული მესმოდეს
მაგ შენი ბაგიდან
ფიქრები გრძნობებმა –
ერთ ძავზე აკინძა
და დაუფიქრებლად
ერთ სიყვარულს დაჰკიდა.

ქ-ნ ლია პეტრიაშვილს

თქვენ სიწმინდის დედოფალი გქვიათ,
და სხივების კორიანტელს აფრქვევთ
თქვენი თბილი და მზრუნველი ხმებით
გულს იმედის ნაპერწკლებით ანთებთ.

* * *

სამშობლოსთვის სადღეგრძელო წარმომითქვამს,
ჩამიწვნია ძეწნის ყველა ყლორტი
ბინდია და მწუხარება გულს მიფატრავს,
მაგრამ სასმისს სიმშვიდისთვის ვეტრფი.

* * *

თვალთა ნათელი მოჰფენია მშობელ ქვეყანას,
ცათა ღრუბელი დასწოლია მუქი ფერისა.
ზღვა ფიქრებიდან სხვა სურვილი არა მინდა რა,
გარდა-რომ ჰქუხდეს ხმა საყვირის საქართველოსა.

შენ ჩემი დარდი ხარ!

ისევ აბობოქრდა
„ტალღა“ აღმავალი
და გაინავარდა სულმა
ცის კალთებში
შენ ჩემი დარდი ხარ
ფიქრებში მავალი
და ჩემი ტკივილი
დარჩენილ წამებში.
შენ ხარ გაელვება
ტკბილი მოგონების
ბედნიერი წლების
წუთის და წამების.

ჩანჩქერი

ზღვას დარაჯობს მთის ფერდობი
და ჯარივით ეხვევიან გარს.
მთის პირღია ნაპრალიდან
ამოუსხამს მოჩუხჩუხე წყალს.
ეს გულიდან ამოხეთქილ
სიყვარულის საიდუმლოს ჰგავს,
და უცნაურ ჩანჩქერის წყალს
მთის ფესვებთან შადრევნი სვამს.
ცეკვავს მღერის შადრევანი
და დაცლილი უერთება ზღვას.

* * *

გულმა დაიქუხა,
სული გაინაბა,
წვიმად დაიღვარა
ცრემლი.
ტკბილი მოგონება
აინთო სანთლებად
დედიკო მენატრები!

* * *

გაიელვა თვალწინ ელვამ,
ფეთქავს გული ეული.
ღმერთს ვთხოვ, წმინდა სურნელებით
დამინამოს სხეული.
თავს მაპკუროს წმინდა წყალი
სულიწმიდის ჩამბეროს,
რომ დავუკრა სივრცის ქნარი
ზეციურზე მამღეროს.

* * *

დროა ისევ ამოკვეთო ფიქრებს გული,
დროა ისევ გააღვიძო გაზაფხული,
გააღვივო ნაკვერჩხალი შეფუთული.
დაუბერე ქარო! სად ხარ, გაყურსული?

* * *

მე ჩემს მეგობრად,
სწორედ მაშინ ვიგულე ქარი
როცა პირველად
განვიცადე გლოვა და ზარი.

ეკატერინე ნადირაშვილი

* * *

ღრუბლის ფთილამ
დღეს დახატა
ცაზე გული...

ეკა ნადირაშვილი, ემიგრანტი... პროფესიით ისტორიკოსი. აქტიური მოღვაწე, სტამბოლში არსებული ქართული ენის ცენტრის მდივანი.
ჰყავს მეუღლე, ორი შვილი და შვილიშვილი. (გვ.1)

ჩემო სურამო

მინდა ამ ლექსით მოვეფერო ჩემს სურამს
და სურამელებს, სადაც დავიბადე და გავიზარდე
და მინდა რომ გითხრათ: მე თქვენ მიყვარხართ...

ჩემი სურამი მართლა სამოთხე,
სუფთა ჟანგბადი, წამალი ასთმის...
ნაძვი, ფიჭვიდან, მზირალი ლაღად,
ზღაპრულ მისტიკას გაგონებთ წამით.

სურამის ციხე ძალიან შვენის
შუაგულ სურამს, მზის სადარ მხარეს,
დიდ ისტორიის ფურცლებს ინახავს,
ლეგენდად ქცეულ ზურაბის ამბებს.

ოჰ, სურამში ხომ სხვა ჰაერია,
ჰაერი სუფთა ჟანგბადით სავსე,
ყოველ მაისს ხომ ბავშვებს ელიან,
ნაძვნარ, ფიჭვნარი ყვავილობს ამ თვეს.

ჩემ სურამში ხომ სულ სხვა ხალხია,
მზისგულა, თბილი, სიკეთით სავსე,
ღმერთმა წყალობა უხვად გვიბოძა,
ყველა წმინდანის ტაძარი აგეს.

ჩემი სურამი მართლა სამოთხე,
ჩემს ბავშვობასაც ინახავს გულით...
თვალებს დავხუჭავ შეგნატრი ისე,
დედას რომ ნატრობს თავისი შვილი.

14. 10. 2020 (გვ.3)

ჩემი ტერასადან დანახული სამყარო

* * *

დღეს თუ ბედი შენ გიღიმის,
ნუ ტრაბახობ, ჩემო კარგო,
შეიძლება ბედისწერამ
გიმუხთლოს და გიღალატოს.

ხვალინდელ დღეს თუ რა მოაქვს
მხოლოდ ბედისწერამ იცის
და მაღლა კი ზენა იწერს
ჩვენს გადადგმულ ნაბიჯს იცი!?..

იმ ვარსკვლავსაც უმადლოდე,
რა ვარსკვლავზეც გაჩნდი ქვეყნად,
ქუდბედით ხარ მოვლენილი,
შენ იღბალს ეს დაებედა.

„მაღლა, მაღლა, რომ დაფრინავ",
ფრთხილად, ძირს არ ჩამოვარდე,
ცხოვრება თუ გაგიღიმებს,
უმალ გატკენს გულსაც მალე.

დღეს თუ ბედი შენ გიღიმის,
ნუ ტრაბახობ, ჩემო კარგო,
შეიძლება ბედისწერამ
გიმუხთლოს და გიღალატოს.

17. 07. 2020 (გვ.9)

ემიგრანტის შვილებს

ღრუბლის ფთილამ დღეს დახატა ცაზე გული,
თითქოს ასე ეფერება ამ დღეს მზიანს,
მე კი ვდგავარ დარაბს მიღმა გარინდული,
ღრუბელს თურმე სიყვარული შეძლებია.

ჩემ სარკმლიდან ჰორიზონტიც კარგად მოჩანს,
ცა და ზღვა კი კესანების ფერად მიმზერს...
ზღვის ქაფს გული დაუხატავს ფთილის მსგავსად,
ზღვასაც გული თურმე სიყვარული უძგერს.

გადავხედე, „სამოთხის ბაღს" მოვკარ თვალი,
ყვავილების სურნელებამ უმალ მათრო,
მებაღეს კი მოუქარგავს გული ვარდით,
ალბათ მასაც ლამაზ ქალის ეშხი ათრობს.

ღრუბლის ფთილამ დღეს დახატა ცაზე გული.

19. 10. 2020 (გვ.2)

ბავშვი ტირის, არ სცილდება დედის კალთას,
არ დამტოვო! -
მუდარით სთხოვს, ხელს არ უშვებს...
ბებია კი გულში იკრავს ამ პატარას
და მზის სხივი ციდან ნაზად უშრობს ცრემლებს.

სიცხე უწევს, ენატრება დედა პირმშოს,
გათანგული ოფლში თითქოს იწურება,
ნატრობს, დედა ძილში მაინც დაესიზმროს,
მონატრება შეაჩეროს, გულს ჩაიკრას.

ემიგრანტის შვილობაა ძალზე ძნელი,
ყველა ბავშვს ხომ დედის სითბო ენატრება...
გთხოვ უფალო! შვილებს ნატვრა აუხდინო,
ყველა დედა ჩაახუტო ბავშვებს მტირალს.

ემიგრანტის შვილობაა ძალზე ძნელი.
21. 10. 2020 (გვ.7)

ამ ლამაზ გრძნობას ვუმღერო მინდა

საოცარ გრძნობას ვუმღერო მინდა,
დაუსრულებლად ხოტბა ვაყარო,
მინდა, რომ ყურში ჩურჩულით ვუთხრა,
ჩემთვის მზე ხარ და მთელი სამყარო.

მოდი, მწვერვალი დავლაშქროთ ერთად,
ეს სიყვარული რომ ავამაღლოთ,
არვის ვაძლევდეთ უფლებას იმის,
ჩვენ შორის ხიდის ჩანგრევა სცადოს.

სიშორე ტრფობას ვერაფერს აკლებს,
ობობა უბამს სიყვარულს ძაფებს,
ეს მიჯნური კი იმედით სავსე,
თითებზე ითვლის შეხვედრის წამებს.

ამ ლამაზ გრძნობას ვეფერო მინდა,
დაუსრულებლად ხოტბა ვაყარო.
ხელის მტევნებზე მომწყვდეულს ვუთხრა,
ჩემთვის მზე ხარ და მთელი სამყარო. (გვ.4)

მომნატრებიხარ, ეჰ, რარიგად და...

სამშობლოვ ჩემო მონატრებულო,
დედაო მიწავ, მშობელო მხარევ,
იქნებ სიზმარში მესიზმრო მაინც,
წყურვილს მოვიკლავ, თავს შემოგავლებ.
მომნატრებიხარ, ეჰ, რარიგად და...
შენი აჩრდილი მუდამ თანა მდევს,
უცხო ქვეყნის მზემ მე ვერ გამათბო,
მხოლოდ იმედით ვცოცხლობ ახლა მე.
შენთან ხომ აისს სულ სხვა ფერი აქვს,
ვერცერთ ქვეყნისა ვერ შევადარე,
შენთან დაისიც სანატრელია,
პოეტების და მუზის სავანევ.
ოჰ, მენატრები ჩემო ქვეყანავ,
კუთხე-კუნჭულო, ლამაზო მხარევ,
მინდა მოვხვიო ხელი ყველას და
ერთ მუშტად შეკრულს ვუმზირო ასე.
სამშობლოვ ჩემო, მონატრებულო,
დედაო მიწავ, მშობელო მხარევ,
იქნებ სიზმარში მესიზმრო მაინც,
წყურვილს მოვიკლავ, თავს შემოგავლებ.

ემიგრანტის ოცნება

მსოფლიოს ყველა კუთხეში მიმოფანტულო უსაყვარლესო ემიგრანტებო, ეს ლექსი თქვენ მოგიძღვენით... ჩვენ ყველას ერთი ოცნება გვაქვს, ჩვენს ქვეყანაში, ჩვენს ოჯახებში დაგვამრუნოს უფალმა, რაც შეიძლება მალე...

სიზმრად მესიზმრა ნაოცნებარი,
თავისუფლების სიო ჰბერავდა,
ემიგრანტობას ვეთხოვებოდი,
სამშობლო ჩემი გულში მიკრავდა.
ცასაც წვდებოდა ეს სიხარული,
ფრთებიც შემსხმოდა, მაფრენდა თითქოს,
წარსულს ვუტოვდი გახსნილ იარებს,
იარებს ჯერაც არ შეხორცებულს.
ციხეს ვტოვებდი მხოლოდ ფასიანს,
სადაც თერთმეტი წელი დავყავი,
ბევრი მატკინა, ბევრიც მაწვიმა,
მაგრამ ამ ძლიერ მხრებით დავზავდი.
ხმა შემომესმა ძილში უეცრად,
უცხო სიტყვებმა გამიპო გული...
ტკბილი სიზმარი იმ წამსვე გაქრა,
თვალგახელილი ცრემლებს შემოვრჩი.
სიზმრად მესიზმრა ნაოცნებარი,
თავისუფლების სიო ჰბერავდა,
ემიგრანტობას ვეთხოვებოდი,
სამშობლო ჩემი გულში მიკრავდა...

15. 08. 2020

* * *

გულო იყუჩე, ნუ აღელდები,
ნიავს გავატან შენს ტკივილს უცებ,
ვარდის ფურცლებით მოგირთავ ოთახს,
თბილ პლედში გაგხვევ და გაგაოცებ.
სულს მოეხვევია ოჰ, ეს დარდები,
მგოსანი თავის ლექსებით ართობს...
გულო მე მხედავ!?.. ნუგეში მოველ,
რითმებით სევდა რომ გაგიფანტო.
ამ გულს ტკივილი დავიწყებია,
განცხრომაშია, სიყვარულს ეტრფის.
ცასაც ღრუბლები გადაუყრია,
თვალს კი ციმციმი ვარსკვლავის შვენის.
გულო იყუჩე, ნუ აღელდები,
ნიავს გავატან შენ ტკივილს უცებ...
ვარდის ფურცლებით მოგირთავ ოთახს,
თბილ პლედში გაგხვევ და გაგაოცებ..
05. 09. 2020 (გვ.😎

ღამის წყვდიადი გაფანტა მთვარემ

ღამის წყვდიადი გაფანტა მთვარემ,
გაბადრულა და მიმზერს მე ციდან,
სარკმელს მოჰფინა ნაზი სხივები,
შავი ფერები გააქრო მშვიდად.

დარაბს მომდგარი ცდილობს გაიგოს,
თუ რა ტკივილებს ებრძვის ეს ქალი,
სურს რომ მივიდეს, ხელით შეეხოს
გულმკერდს, მძივები აბნიოს წამით.

უნდა რომ გულით დაუდგეს გვერდით,
ეალერსება, ფერებით მოსავს,
უკუნი ღამეს პოლარულით ცვლის
და სიყვარულში უტყდება მგოსანს...

ღამის წყვდიადი გაფანტა მთვარემ,
სავსე ღიმილით მიმზერს მე ციდან,
სიყვარულს მახვევს მხრებზე იმედით,
გულს ყოფნის სითბო სულ ერთი ციდა...

07. 08. 2020 (გვ.10)

გუშინდელმა ამმავმა, შემძრა სისხლით ხორცამდე, სრულიად აპოლიტიკურივარ ამ ტკივილმა დამაწერინა ეს ლექსი ...😥😥
🇬🇪🇬🇪💗💗

ექსპრომტად

რამ გადაგვრია, რამ შეგვშალა, ქართველო ერო,
გონს მოვეგოთ თორემ ცა თავზე ჩამოგვემსხვრია.
ნუთუ არ გვეყო ოდითგანვე მტრობა ერთურთის,
წიწამურთან ხომ ჩვენ მოვკალით დიდი ილია.
რამ გადაგვრია, რამ შეგვშალა, ქართველო გენო,
ოთხივე მხრიდან მტერი კარზე, რომ მოგვდგომია.
ჩვენ კი გავრთულვართ ერთმანეთის წიწკვნა, გლეჯვაში.
ოჰ, საქართველოვ ვის ანაღვლებ!...
- ეხლა ხომ, მხოლოდ სანატრელი სავარძელია...
რამ გადაგვრია, რამ შეგვშალა, ქართველო ერო,
გონს მოვუხმოთ სანამ უფსკრულში გადავჩეხილვართ.
მოდით დავფიქრდეთ შევიყვაროთ ერთურთი ისევ.
მრავალ ჭირვარამ გამოვლილი საქართველო!
დავინდოთ ერთად.
ე. ნ.
ისე ავღელდი რაიმე ისე თუ დავწერე მაპატიეთ..



მამა ამირან ამირანაშვილი

ღმერთო გვიშველე

გამიგონია დიდი „რუმბები“
სახლშიდაც გვქონდა ღვინის „ტიკები“
მაგრამ არავინ არ გამაგონოთ,
ბავშვების მკვლელი ნარკოტიკები...
ნოედან იწყო კაცმა დათრობა,
და სამასპინძლოდ ხმარობდნენ ღვინოს.
თვითონ იესოს ქორწილში სთხოვეს,
მან სუფთა წყალი აქცია ღვინოდ.
საკუთარ სისხლად აკურთხა ღვინო,
ხორცად ნარკუთხი გატეხა პური.
განსაწმენელად ქრისტიანისთვის,
კაცთა ცოდვების მიტევებისთვის.
ღვინო არა კლავს კაცში კაცობას,
თუ ზომაზე ვსვავთ გვეძლევა ძალა,
ნარკოტიკი კი კაცს ანადგურებს,
სიცოცხლეშივე აუბედურებს.
არც ცოლი უნდათ და აღარც შვილი,
ცოფიანდება, ხდება შეშლილი,
სიყვარულს კარგავს, იპყრობს სატანა,
აღარაფრის სურს ბეჩავს ატანა.
მცირე ერების გადაშენება,
ასე ინებეს გლობალისტებმა,
კორონებით და ნარკოტიკებით,
ხალხი გაულიტეს ამ სატანებმა.
ისევ უფალი თუ დაგვიფარავს,
კაცობრიობას სჭირდება მხსნელი,
გონს მოდით ხალხო, სამყაროს ვკარგავთ,
გვიახლოვდება ცოცხლებს ქვესკნელი.

სიტყვა

ძვირად ფასობდა კაცური სიტყვა,
კაცის ნათქვამი არ გატყდებოდა,
თუ, კი შემთხვევით რამე ხდებოდა,
სიკვდილ-სიცოცხლის ბედი წყდებოდა.
ეხლა სიტყვები გაუფასურდა,
სიცრუის მთქმელთა ჯარმა იმატა,
ყველა ერთმანეთს ატყუებს, „აგდებს“
მიცემულ სიტყვას არაფრად აგდებს.
ამას მოყვება ხოცვა და ულეტვა,
ქურდულ ბაზარში სამის გარჩევა.
დაუნდობლობა, ტყვია თუ დანა,
ბოინად იქცა მთელი ქვეყანა.
ამდენი სისხლი არ იღვრებოდა,
მცირე ომები რომ იწყებოდა,
სამართალს ვერსად პოულობს კაცი,
ყველას გონია თავი მამაცი.
სიტყვის გატეხვას, გაგიტყდეს თავი,
სახელსაც არცხვენ, სახლსაც, ოჯახსაც,
გაზომე სიტყვა, სანამ აღმოთქვამთ,
თორემ მიწაში მატლი აღმოგფხრავთ.

ვედრება

ო, ჯოჯოხეთო, გსურს გადაბუგო,
ააოხრო და დაწვა სამყარო,
ქვესკნელი ზემოთ ამოანთხიო,
კაცობრიობა ცეცხლში ჩაგვყარო.
საბრალო, ძმებო, როგორ ვიქნებით,
ყველა შიშველი, ქედდადრეკილი,
ვეღარ დაგვფარავს ცოდვის სამოსი,
სამოთხიდან ვართ გამორეკილი.
ვეღარ გვიშველის ოქრო და ვერცხლი,
საკუთარ თავზე წარმოდგენები,
თავი, რომ მეფე გგონია ყველას,
წაგდებული გვაქვს გრძელი ენები.
სადღა არიან ჩვენიბრძენები,
კრიტიკოსები და მწიგნობრები,
თეოლოგები, საბრალო მღვდლები,
ჯოჯოხეთის კარს ახლო მდგომები.
მოვედით ღმერთო, შენი შვილები,
მუხლმოდრეკილნი გემუდარებით,
ღირსებს გვაღირსე სასუფეველი,
ფართოდ გაგვიღე შენი კარები.
შეწყვიტე ელვა, ჭექა- ქუხილი,
მუხის დაცემა, ცეცხლის ალები,
ძალა მოგვეცი შენი დიდების,
და აგვიხილე რწმენით თვალები.

უფალი მეფობს

სვეტიცხოველში გამოგირიეს,
არქიმანდრიტი გახდი მეუფე,
თავზე გვირგვინით და ხელში კვერთხით,
ერთ ეპარქიას შენც დაეუფლე.
ყველა პატივი მოგაგო ხალხმა,
ღმერთმა ისმინა ხალხის ვედრება.
უფალთან დადე მრავალგზის ფიცი,
აღსრულებაში ვინ შეგედრება.
კოხტად მოირგე მეფის სამოსი,
ტახტზე დაბრძანდი შენ დიდებულად.
კვერთხზე დაეყრდენ ბრძანებელივით,
და კუთხეები იწყე მეფურად.
და გადმოხედე, ზემოდან სამწყოსს,
ხელზე გემთხვევა ხალხი მილეთი,
„დიდო მეუფევ“ მოგმართავს მრევლი
და ყოველივეს დასცქერის ღმერთი.
რა მოგდით ხალხნო! თქვენ ძმას აღმერთებთ?
ასე მგონია მე დაგავიწყდით.
მსურს შეგახსენო ძვირფასს მეუფესს,
შენ შემომიდექ „ბერობის“ ფიცით.
სად არის შენი „უპოვარობა“
„მღვიძარება“ და „უწყვეტი“ ლოცვა,
არა განკითხვა ძმისა თვისისა,
მოთბინება და მრევლის დალოცვა!
მშიერი ვიყავ და მოგაკითხე,
მწყურვალი ვიყავ, არ მასვი წყალი,
დღეს არ გეცალა, ისვენებ, გძინავს,
გამომისტუმრე მწირი, საწყალი.
„უფალი მეფობს“ გაიგეთ ძმებო!
სანამ მე ვმეფობ, ნუ შექმნით კერპებს!
ისიც მონაა, თქვენებ ცოდვილი,
და მონას ღთისას, ნუ გააღმერთებთ!

რა ხდება?!

დედა ენის ძეგლი გვიდგას,
გვერდით უდგას მინარეთი,
გუშინ დიდგორს ვზეიმობდით...
ხუთგზის გვრგვინავდა მეჩეთი.
სად ვარ კაცი დავიბენი,
ვინ ვართ ძმებო ამიხსენით?!
ერთი სცადეთ და თურქეთში,
ეკლესია გამიხსენით.
ნანგრევებს არ გვაკარებენ,
ლოცვა გამორიცხულია,
კაბით გავლა თუ გაბედე
ჟანდარმები ჩართულია.
თუ ქვეყანას ვეღარ ვუვლით,
დაგვანებეთ შვილო თავი,
რაღად გვინდა ძალოვნები,
თუ ვართ სხვების სამართავი.
ქვეყანას თუ გავასხივებთ,
ენას მხოლოდ ძეგლში ვხედავთ,
სარწმუნოებას თუ დავგმობთ,
წინაპრებს როგორ შევხედავთ.
რას იცავენ დამცველები,
გველების და მგლების ჯიშებს,
ხალხნო, ჩვენ შვილებს მივხედოთ,
სანამ არ გადაგვაჯიშეს!!!

გამოცანა

ადამიანს ხშირად ავნებს,
ბევრჯერ ჭკუას აკარგინებს,
ხან ახარებს, ხან აშინებს,
აუხსნელი გამოცანა,
ჯერ პასუხი არ არსებობს.
ადამ და ევა დაიღუპა...
არ დაინდობს ბაბუს, ბებოს!
მან არ იცის არც ასაკი,
არც ჯიში და არც ჯილაგი.
არ აბრკოლებს არც საზღვრები,
არა აქვს ზუსტი მარაგი.
სახელი აქვს საოცარი,
ეწოდება „სიყვარული“.
ადამიანს ემტერება,
ვისაც ააქვს მკერდში გული!
ჯერ გულს იბყრობს, მერე პატრონს.
ჭკუა-გონებას აირევს.
თუ მშვიდად არ დამორჩილდა,
პარტნიორსაც გადაურევს.
შეეწირა დეზდემონა,
რომეო და ჯულიეტა.
ზოგიგაამბედნიერა,
ზოგიც მსხვერპლად გაიმეტა.

გულნაზ ხარაიშვილი (ცისკარელი)

=== მწირი ბარგი

მერე რაა, ბედი მჯობნის,
მერე რაა, ბრმაც ბევრია ...
ყველგან არის მჯობნის- მჯობნი,
განა ყველაგან სულ მღერიან.
არ მაჯობონ, ღმერთმაც ნუ ქნას,
და მე ვიყო, მარტო კარგი...
მარტო ვმართავ, სიკეთის ნავს
და შიგ მიდევს მწირი ბარგი.
გონი ჩემი საკუთრება,
მკლავი ჩემი ნიჩბისათვის...
სისხლი თუ არ გათეთრდება,
არ დავზოგავ, ლუკმას სხვისთვის.
დავისაჯე ადრეც თუმცა,
რა გამოლევს უმადურებს ...
ჩემი გული არის სუფთა,
მზე სულ ტყვილად მომამდურეს.
მერე რაა, გულში დამჭრეს,
ეგონათ რომ მოვკვდებოდი,
ჯაგანივით ბევრჯერ ამჭრეს,
მათი ტოლი არ ვხდებოდი.
ჩაიარა, წყლის მდინარემ,
ამღვრეულ მტკვარს თევზიც გაყვა.
არ ვიყავი მე მძინარე,
თევზს მიდევდა ტურა მაყრად.
რა გამოლევს, მგელს და მელას,
ან მაჩვსა და ანდა ტურას.
კვლავ სიკეთე ვთესოთ ყველამ,
არ ვიცხოვროთ სხვის მაცდურად.
ვახმარ მაჯას, სიკეთის ნავს...
და ჯერ დაღლა არ მეტყობა.
ნაპირზე კი ნერგებს დავრგავ,
ჩემს მომავალს თუ ეყოფა!

==:::==
მოგილოცავთ,
გიორგობას ყველას ერთად,
სათითაოდ ლექსი როგორ დამეწერა,
ჯამრთელობა,
სიყვარული იყოს თქვენთან,
ღვთის ხატებთან
ვიცი პირჯვარს გადიწერავთ.
გადღიგრძელებ შვილებივით ჩემიანნო,
დაგლოცავთ და
ღვთის საჩუქრად გიერთგულებთ,
ვწუხ! ეს წელი, მსოფლიოში ჟინიანობს,
საქართველოს,
დასაცავად დაგიგულეთ.

======იმედი===

იმედით იცოცხლე, დიდო და პატარავ,
იმედით შეავსეთ, ყოფითი დღეები...
იმედმა მე თვითონ
აქამდე მაატარა,
ამ იმედს ღვთის რწმენით, უღელში შევები.
და გირჩევთ, ნამდვილად ასეა საჭირო,
სისუსტეს, თან ახლავს,
გლოვათა სამყარო...
იფრინე, იმედის გუგულის არწივო,
თქვენ ჩემო,
ჯიშის და ფესვების ნაყარნო.
დღეს ისევ მომინდა იმედით აგავსოთ,
საერთოდ არავინ, არ მინდა შეშინდეთ,
ცრემლების ავდრებით,
გული არ დაახრჩოთ,
თუ, ცურვა არ იცით
ზღვაში არ შეხვიდეთ!

===არ ავჭრი იმედს===

არ ავჭრი იმედს ძველი რძესავით,
ეკლებით სხეულს არ დავისერავ,
მე ვერ ვიყვირებ, კარგო შენსავით,
რადგან ყოველთვის უფალის მჯერა.
და თუ სიმინდებს ავჭრი ნამგალით,
მოსულს მოვჩეხავ, ნედლებს კიარა,
სიკეთე არის ჩემი საგზალი,
მტრისგან წყენამაც სულ გამიარა.
თუმც გულის მძივი ბევრჯერ ამაწყდა,
რა არ გადახდა...ამ ჩემს ნაისრ გულს,
ბოლოს ეს, ჩემში ასე გადაწყდა,
მტერსაც მივხედავ, ბედით დაჩაგრულს!

==რამდენს ჯობიხარ

(განთავისუფლდეს ლევანი)

ვერ მოგიწონებ თუმც იმ საქციელს,
რაც უკვე შენი თვალებით ნახე...
ის დღე ტკივილად გადააქციე,
შენს თავს თვითონვე დაუგე მახე.
რად არ ფიქრობდი გამზრდელ დედაზე,
რომელსაც შენთვის უთენებია,
შეუნახია შენთვის ზედაშე...
ლოდინში ჩაცმულს მიძინებია.
თუმცა გამართლებ ალალო ბიჭო,
უბოროტო და გულით ალმასო.
დედის წინ თუ კვლავ გადააბიჯებ,
ვერ გაიცილებ ბინძურ ტალახსო.
პროტესტის ნიშად თავი გაწირე,
ყველას სათქმელი ერთმა წარმოთქვი,
სიტყვით აჯობე ვითომ არწივებს,
ხალხის სათქმელი, რისკით გამოთქვი.
თავისუფლებას მოგცემდი მაგრამ,
რამე ფასი აქვს, განა ამ სიტყვას...
ჩემს სათქმელს აგერ,
თეთრ ბოძზე ვაკრავ,
მართლის
მთქმელები ძალიან მიყვარს.

=ეს, რა დღეში ვართ=

ფრთები, რომ მქონდეს გავფრინდებოდი,
იმედის მარცვლებს დავთესდი ყველგან,
და თუ ჩემს მხრებზე დამეყრდნობოდით,
დაუფიქრებლად, მოგცემდით შვებას.
ალერსის სიტყვებს, დავარიგებდი
და ტკბილ ზღაპრებსაც, მოგიყვებოდით...
მტერო, დღეს შენ მე, შეგირიგდები,
შენთან მუდმივად დავმოყვრდებოდი.
რადგან ცხოვრება ომი ყოფილა,
წამიერების ფუყე წერტილი...
ბარი დიდ მთისგან გამოყოფილა,
მივჩერებივარ გულდაწყვეტილი.

===შეხედეთ სურათს==

=(ხატია ცოტნიაშვილს)
შეხედეთ სურათს,
მის თვალებში ჩაიძირებით,
გულის სარკმელი
სულ ღია ააქვს, სხვათა საამოდ...
გაზაფხულია,
ულამაზეს დღის აპრილებით,
ამით მე მოვრჩი
ხატიაზე უკვე სათქმელი!

====:.დეიდაშვილი===:.

(ანერი შუკაკიძეს)

დედმამიშვილი, დეიდაშვილი,
სულის და ხორცის ნაწილებია,
საყვარელია მამიდაშვილი,
ყველანი სულის არწივებია .
ანერი ჩემი დაიკო არის,
ასე გაგვზარდეს, ჩვენმა დედებმა,
ერთმანეთისთვის ღია გვაქვს კარი...
ეს, სიყვარული არც დაბერდება.
ასე გადავცევთ შთამომავლობას,
რომ ლუკმას
ვყოფდით ნაწილ- ნაწილად,
არ ვკითხულობდით წარმომავლობას,
ცხოვრება ასე გაგვიადვილდა.
უფროსი და კი ეს, მე ვიყავი,
პარადი სოფლის თავად მიმყავდა.
ვერ გადიფრენდა შიშით ჭილყვავი,
ბღლარძა- ბღლურძუნი
მე არ მიყვარდა.
ანერი ჩემი კოხტა, ნაფცქია,
ლამაზი იყო როგორც ფერია,
ის ჩითის კაბა შვილს რომ აცვია,
ჩემი დეიდას, შენაკერია.
თვალწინ დამიდგა მისი ბავშობა,
ალალი იყო მართლაც გულწრფელი...
ადრე იცოდნენ, ნაღდი მაშვლობა...
ქალს ასდიოდა იის სურნელი.
ჩემმა ანერიმ შექმნა ოჯახი,
კარგი თბილი და ყველას საქები...
სიყვარულს ყოფნის ერთი ოთახი,
ის არ იქმნება სხვისი დაკვეთით.
იუბულე აქვს დღეს ჩემს დაიკოს,
ჩემთვის პატარა, სხვისთვის დიდია...
მისმა გუჯიკომ წაღვლი აიკლო,
სანათესაოს გზა და ხიდია.

ქალღმერთი

(ნანა მომცელიძეს)

სიყვარულის მარგალიტებს გაჩუქებ,
ერთგულებას გზაში საგზლად გაგატან.
შეგიკერავ, ხელით ლამაზ ბაჩუჩებს,
დარდს რაც გქონდა,
ბუმბულივით გავფანტავ.
შენს გზას მოვფენ,
მზეთა სხივებს საუნჯედ,
დაგილოცავ, ნაბიჯს ბედნიერებით,
ის, წარსული, დაივიწყე, გარუჯე,
გაატარე წლები ფერებ-ფერებით.
ასე კარგი დედამ, როგორ გაგზარდა,
ნაკლი ვძებნე, შენში ვერსად ვერ ვნახე,
დღეს თუ კი დრო, უბედობით გაბრაზდა,
ხვალ მეუღლე,
დიდ სიყვარულს განახებს.
უფლის შვილო, განძო, მარგალიტისავ,
სილამაზით გაზაფხულის სადარო...
დედო ზარო,
სულით გალაქტისავ...
ქალღმერთს
მინდა ნანა, რომ შეგადარო!

მე რაღა ვქნა ამ ქარების ხელში?

(ბეჟან ხარაიშვილს)

ჭალოვანის ბილიკებზე დარჩა,
ბეჟან შენი ნაფეხური ძმაო,
ქაქიჩოს ხევს გოგო ბიჭი არჩანს,
აღარ ისმის ბეღურების ხმაო.
ბარბაწმინდის ნაგრევებთან ჩიტი,
ბუმბულს იცვენს,
დაიწიწკნა ფრთები...
ერთ დროს
ლექსის, რწმენის სავსე ბიჭი,
ცაშია და ნაღვლიანობს მთებიც.
მივედი და ჩიტი გვერდზე გახტა,
არ ისურვა მოფერება ჩემგან,
დამეტაკა ფრჩხილით როგორც კატა,
ნუ ჩამიშლი ჩემ ბეჟანის გეგმას.
შევეცდები დარდიანო ჩიტო,
ბეჟანივით დაგიკრიფავ კენკრას...
გულსაც მოქცემ, ჩემთვის არ დავიტოვ,
მეც ხომ მხედავ რომ დავდივარ კენტად.
ნუ წუხდები, შენ ვერ შეძლებ იმას,
ფრინველების ენა შენ არ იცი...
შენს ძმას ახლა, ხვანის მთებში ძინავს,
გავფრინდები მისი სული მიცდის.
აქ, რად დამხვდი, დარდიანო ჩიტო?
აქ, მან ლექსის შედევრები დადო.
და ნისკარტით ეგებ გამოვჩხრიკო,
საიდულო მხოლოდ მე ერთს მანდო .
არ დამხვდა და შიშმაც ამიტანა.
დავტრიალდი, ძებნა მეც დავიწყე,
რა დაწერა, ნეტავ ამისთანა,
ფიქრის სკივრში დარდი გადავიწყე.
ნუ ეძებო, ხმა მომესმა ციდან
ალბათ ქარმა სადღაც გადამალა.
მწუხრის ცრემლი
თვალზე გადმომცვინდა,
კიდევ ერთხელ მე ძმა შემებრალა.
ბარბაწმინდას მოვეფერე ლექსით,
ხელნაწერი აქვე დამრჩა ქვასთან...
მე რაღავქნა ამ ქარების ხელში,
როგორ წავრსდგე
ჩემს გარდაცვლილ ძმასთან???

რომ შემძლოს

რომ შემეძლოს სახელმწიფოს,
მადლის ჩოხას ჩავაცმევდი.
რომ შემეძლოს დავამწიფო,
წაბლსაც ბურძგლებს გავაცლიდი.
რომ შემეძლოს ბარე ათსაც,
მილონებს ვაჩუქებდი,
დაურიგებ კეთილს, ავსაც,
დარდსაც გავაფაჩუჩებდი...
ფიქრის გარდა სხვა რა ძალმიმძს,
ანდა რაღა შემიძლია,
არ გამოვა არა ძალით,
ბოროტებამ თუ კვლავ გვძლია.
არ ჯობია? ვიყოთ ერთად,
გაუძლებდით, ქარს და წვიმას,
გავახარებთ მაღლა ღმერთსაც,
თორემ მტერი ახლოს გმინავს!

მეწისქვილე ვარ

ყველანაირ
მოსავალს ვფქვავ და ვაცხობ,
მეწისქვილე ვარ, სულიერი სამყაროსი.
ვემსახურები, უცნობს და ნაცნობს,
ხანდახან თითს მიქნევს, ტარტაროზი.
მე ხომ მეწისქვილე ვარ,
რა უნდა ჩემთან,
არავის არაფერს ვართმევ, ვფუსფუსებ.
ამდენი დარდით, სული ძლივს შემრჩა.
ცუდს ხომ
საერთოდ, არავის არ ვუსურვებ.
ბოროტები
ღიზიანდებიან, სიკეთეს მოეშვიო,
მე ცუდი ქალი ვარ,
არასოდეს
მიცეკვია, სხვის დაკრულზე...
არ ვიბანავებ, სიბოროტის მორევში, გლეხი ვარ,
მიწასაც დავბარავ გაზაფხულზე.

=-=სულში დაბარდნის

ნოემბრის ფოთელს,
გავხართ, ცახცახებთ...
მოღვენთილს, ყვითელს,
ჯან-- გამოცლილებს.
კარგად იქნებით , თვითონ ვაცხადებ,
ღმერთი განსაცდელს,
კვლავ აგაცილებთ.
არ ღირს დარდისთვის თავის განწირვა,
ახლა მომიწევს ამბის მოყოლა,
ბედი მიგიყვანთ მდინარის პირას,
ის გორგალივით, ჩუმად მოგორავს.
ჩაივლის ისე ვითარც მდინარე,
თან წაიყოლებს
ავდრებს მოვარდნილს...
და გაზაფხული პირმომცნარე,
ქათქათა ყვავილს სულში დაბარდნის.

ამ ჩიტებში

ამ ჩიტებში, გარდაცლილთა სულია,
საკენკსა და ყურადღებას
ითხოვს,
იქნებ მასში ჩემი შვილის გულია,
დარდის ველებს, ჟღურტულით რომ მითბობს...

სიმარტოვე

გავათენეთ ერთად ღამე,
მე და ღამემ საუბარში.
ისიც ყვება დარდის დრამებს,
დავრჩით სიტყვით ბარიბარში.
მეც ცოდვა ვარ, ღამემ მითხრა,
გაურბიან ჩემთან ყოფნას,
საიდუმლო ვერსად მითქვამს,
და ამიტომ, ხშირად ვშფოთავ.
შემეცოდა რაღა მექნა,
მარტოდ ფიქრთან ვერ დავტოვე.
ღამეც იქცა ერთ თბილ ლექსად,
დავამარცხეთ სიმარტოვე...!

:·:·:·:·=======:·:·:·:·:·

ღმერთს ვევედრები,
საქართველოსთვის,
მადლად მაქციოს...
მქონდეს სულის ედემი და...
სიძულვილი, სიყვარულად
მინდა გადავაქციო.

=====:·ბროლის მძივი====:·

დღეს მინდა ისე, როგორც არასდროს,
დღეს იქნებ ღამე მთვარეს ვეწვიო...
ეს სიძულვილი, სულმთლად გავაქრო,
ქართველებისთვის მწვადი შევწვიო.
მოდით დანაყრდით, მტერი- მოყვარე,
ქართული სისხლი ვისაც გიყივით,
თქვენი გულისთვის მთვარეს მოვპარე,
მარგალიტები და ბროლის მძივი.
მწვადი მიირთვით, მძივი კი იმას,
ვინც დაამშვიდებს ჟამთა საწუთროს...
ჩემო ქართველნო,
თქვენგან ეგ, მწყინდა,
ძმა-ძმის სულში რომ
მტრულად ფათურობს.
განადგურდება ერი და მერე,
მთაც თქვენი იყოს,
ზღვა და ცის სივრცეც,
ვინც სიძულვილის კაბები კერეთ,
იმას ნეტავი მე რაღა მივცე.
დაფიქრებული, ნაბიჯებს რა ჯობს,
დაფიქრებული სიტყვა ძვირია...
ვწუხ! ქართველები დგანან შორი- შორს,
ან ვის ვაჩუქო ბროლის მძივია?

ლექსის ჯიხვი

(მამუკა ოჩიაურს)

მიძრღვნილ ლექსებს, არ მითვლიან,
ლექსი მიძღვნით თურმე ცუდობს,
მაშ, ჩემს გზებზე ნუ ივლიან,
კეთილები ჩემთან ბუდობს.
გავაკეთე საბუდარი,
დღეც და ღამეც დავფოფინობ,
ჩემი არის საკუთარი,
ლუკმას ყველას ვამყოფინებ.
ზოგი არის გენიოსი,
ზოგი ახლა იწყებს ტიტინს...
თავს დამყურებს ელიოზი,
მოსწონს თითქმის რასაც ვიტყვი.
მე ვატარებ გაკვეთილებს,
სიყვარულზე, თემატურად...
ზოგსაც ვიღებ ვარკეთილელს,
ლექსს ამბობენ ვაჟკაცურად .
ხვალ მივიღებ ერთ კარგ ვაჟკაცს,
საბუდრიდან აფრენილა...
დააჩოქებს ვატყობ ას კაცსს,
ლექსით ვიცნობ შარშანდლიდან.
მოვუსმინე, ლექსის ყივილს,
თითქოს ცემდა რკინის უროს...
მჯერა მომგვრის სახეს ღიმილს,
შვილად მინდა, რომ უყურო.
ყველას ვჩემობ, ქართველ შვილებს,
ვაძლიერებ გულის ტიხარს...
მამუკასაც მე ვიშვილებ
და მოვნათლავ, ლექსის ჯიხვად!

ემიგრანტი ბავშის ნატვრა

ნეტავ როდის გათენდება დილა,
საქართველოს ზეცა, რომ ვიხილო...
ქართული მზე სხვანაირად ბრწყინავს,
მონატრება, როგორ დავითმინო.
ეხ! რა იცის მამიკომ და დედამ,
რას განიცდი, როგორ მინდა ვნახო,
სიზმარშიაც საქართველოს ვხედავ,
მინდა მიწებს ჩემი ხელი ვახლო.
მოვეფერო წყაროს, პაპის სახლთან,
ვუჩურჩულო, რომ ვარ მისი წიგნი...
ემიგრანტი,
ფიქრებს ძილშიც ვხლართავ,
საქართველო, ყველა მხარეს მიჯობს.
პაპის საფლავს, ია-იებს დავრგავ,
ლამაზ ვარდებს გულზე გავუხარებ...
შევიყვარებ ქართულ ჯიშს და ნაგრამს,
დავიწყებას ფიქრს არ გავაკარებ.
საქართველოს მიწა არის ჩემთვის,
ოქრო, ვერცხლი, ბრილიანტის თვლები,
გული რას გრძნობს,
ბავშვი ვარ და ვერ ვთქვი,
მენატრება, საქართველოს მთები.

იქნებ არ ტირის ცაში დედები

ქალის ღირსებას წონიან ბოლოს,
როცა შვილს აღზრდის ერის დარაჯად...
ყველამ შეიგნოს ბოლოს და ბოლოს,
დედაა შვილის სულის ფარაჯა.
დედაშვილობა დიდი განძია,
დედის ალერსი თაფლზე ტკბილია.
დედაშვილობა არის ტანძია,
დედა ყოველთვის ძალზე თბილია.
დედის ღირსება შვილის აღზრდაა,
ფრთხილი დარაჯი დედაა ღამის...
დედა ყოველთვის ახალგაზრდაა,
თუ შვილი ხარობს, დედით და მამით.
რა დააბერებს დედას ბედნიერს,
თუ ბედისწერამ ცა არ დაამხო,
დედის სიცოცხლეს თუნდაც წამიერს,
ბედს შეუძლია სული გააძროს.
ამ დროს ჯობია რწმენით იცოცხლო,
არ დაამძიმო სული ობოლი.
შენით იმედი გამოაცოცხლო,
ლამაზ ზღაპრების ხშირად მოყოლით.
იქნებ მაღლაა, ფუტკრის ნექტარი,
ზეაცაში არის სულის ედემი...
იქნებ ცხოვრება არის ნეტარი,
და არ ტირიან ცაში დედები.

ხურდას დაეძებ ???

მშვიდათ ცხოვრება, არის სიცოცხლე,
დილის მზეა და ღამის ვარსკვლავი,
ხარბო, ხარივით ამოიცოხნე,
თითქოს იყავი იმ დღის საკლავი.
შენი ცხოვრება ფორიაქია,
გაქ და მიილტვი რომ კვლავ იშოვნო.
შენთვის ფულები გულის არხია...
ხურდას დაეძებ ძირს, რომ იპოვნო.
დაფიქრდი გახდი უფლის მმოსავი,
ვინც გინდა იყო, ჩემთვის ერთია.
გინდაც ვაჭარი, გინდაც მგოსანი,
მდიდარი მხოლოდ დიდი ღმერთია.
ნიჭით ტრაბახობ? ეგ უფლისაა,
ფული იშოვე? ეგეც მისია...
ბოლო სასახლე მხოლოდ ხისაა,
სურათი შენი დიდი ქვისია.
ქონება გინდა? მოგცეს უფალმა,
მილიონები თავზე იყარე...
მე ჩემი ერის ჭირუსუფალმა,
შენნაირები ვერ შევიყვარე.

მე არ ვიღლები

მე არ ვიღლები,
იმიტომ, რომ ვარ უბუროტო,
მოდით ერთხელაც
დამიჯერეთ გული განტვირთეთ,
ცაზე შეხედეთ,
ღრუბლებია, სულ ჩქარე მოთოვს,
თქვენი გულისთვის,
ჩემი დარდი გამოვიტირე.
მე არ ვიღლები,
რადგან გულში სიყვარულია...
და სიყვარულით,
გადავტვირთე ფიქრის სადავე,
სიძულვილი კი,
ყველა დროის მოარულია...
მტრის სიძულვილით,
გული რატომ უნდა დავადდეს.???

ფიქრის ჯირითით
(ა ხ ა ლ გ ა ზ რ დ ე ბ ო)

ჩუმად მალი--მალ
თვალს შეგავლებთ და...
ენდეთ ჩემს სიტყვებს,
გიგზავნით სითბოს,
მე ჩემს სიყვარულს,
კი არ გავალებთ,
უბრალოდ ლუკმას,
მომავალს გითმობთ.
გაივლის წლები,
ფიქრის ჯირითით,
უთქმელი სიტყვა,
დაიწვას ცეცხლში,
ლექსებს მოგიძღვნით,
ანდა პირიქით,
ირმის ნაჯეგ კვალს,
შევხედავ ეშხით...
სეტყვამ არ გავნოთ,
რწმენით იარეთ,
ტოტსაც უფრთხილდით,
იქნებ მყიფეა,
რაც მაქვს სიცოხლე
გაგიზიარებთ,
ბლის ნაყოფივით,
გული მწიფეა.
ასინეთივით
შვილები ზარდეთ,
რიჟრაზე საგზლად
დაფქვით ხორბალი,
ირეთ წინ და ...
ღმერთს თავი ანდეთ,
ას წელს დაიხვეს
წლების ბორბალი.

ქარი

შენი ნდობა არ მაქ ქარო,
ჩემი მიწა კვლავ გაბოდებს...
თუ პირისპირ შემეყარო,
აჯობებს, რომ გამირბოდე!!!

* * *

დალოცვილი ხარ, ქართულო სიტყვავ,
ქართული სიტყვა არის უფალი,
ასომთავრულზე ვფიქრობ და მიყვარს,
ვარ, საქართველოს ჭირისუფალი.

მტკივა

მტკივა, საქართველო მტკივა,
მიწის ერთი გოჯიც მიყვარს...
ქარი რა საზარლათ კივა,
მე კი, ცრემლით ვიწერ პირჯვარს.
ასე, რად წავიდა საქმე
ასე რად ბობოქრობს ხალხი...
სახელს ვეღარაფერს ვარქმევ,
მივდევ ჩემი ბედის მარხილს.
წახვალთ, რა დაგრჩებათ მერე,
ბოღმა შეგხორციათ ყველას...
ალბათ მეც არ დამიჯერებთ,
ბრბოს რომ არ ვაკადრე წყევლა.
ასე გააფთრებით ბრძოლას,
მტრებთან ვინატრებდი მხოლოდ,
იწვის, კვამლი ისევ ბოლავს,
მტერსაც ახლოს უჩანს ბოლო.
რად გჭირთ სიძულვილის სენი,
როგორ ილანძღებით ერთხმად...
ქართველს, გამტანობა შვენის,
დედა მიიჩნიეთ ღმერთად.
კარგი ყმის შვილობა სხვაა,
ენის და მამულის დაცვა...
რა გჭირთ, რა სატანის ხმაა,
სულს, ხომ თქვენი ხელით ძარცვავთ!

გაპატიო?

გაპატიო? აღარ ძალმიძს გაპატიო,
გულს ვერ ვირჩენ,
ბედო, შენგან ატირებულს,
ტკივილები სად და როგორ დავატიო,
ვერ გიგუებ, უმიზეზოდ ახირებულს!

მოდად იქცა

დავდიოდი,
ტკივილებით, გულის ავდრით,
გარეთ წყენას
სახლში როგორ მივიტანდი...
ერთ კაფენტსაც,
მეუღლისთვის ვინახამდი,
გულის სითბოს,
მგზავრობაშიც თან ვატანდი.
დღეს კი უკვე, ყველაფერი ავი გახდა,
ერთი სიტყვით, დაიშალა ოჯახები.
ქარბორბალა,
ცხოვრებაში მგზავრად მახლდა,
ქარსაც მშვიდად,
ქადანაზუგს ვაახლებდი.
მოდად იქცა, ცალუღელა დედაკაცი,
დასეირნობს,
შვილთან ერთად მარტოხელა,
არ ჭირდებათ,
ბრძანებელი მამაკაცი,
მარტოსულნი,
ჯაფით წელში მოტეხილან!

ტყის ენძელა

ხვანის მთებში,
გამრავლებულ ტყის ენძელას,
რა ფაქიზად გაუშლია ნაზი ყლორტი,
ამდენ ბრბოში,
მას ნდვილად გაუძნელდა,
აღარ უნდა,
თუნდ მოართვან ნატურმოტი!!!

ბეწვის ხიდი

ბეწვის ხიდზე მონავარდეს,
სჯობს დამითმო, აღარ ვხუმრობ,
შენთვის ვწვალობ, არ ჩავარდე,
შენ ცა გინდა გადახურო...
რას წაიღებ, არც არაფერს,
ბეწვის ხიდის მფლობელივარ,
სიტვყვას ვამბობ მზის შესაფერს,
ყველა შვილის მშობელი ვარ...
ეს, ასეა, ვგრძნობ მე ამას,
თუმცა ბედით დარდმოსხმული,
ვცდილობ ვიქცე, ყველას წამლად,
მადლითა ვარ, შემოსილი.
გადამხმარ ბაღს ვნამამ ცვარით...
მე ისავარ, ხალხს რომ ათბობს,
მორჩილი ვარ, მიცავს ჯვარი,
ჩემზე უფროსს ახლაც ვხათრობ.
ზოგჯერ ცრემლით ვგავარ შავ ზღვას,
იცურაო, გინდა ზღვაში???
ზოგჯერ ვაღებ სამოთხის კარს,
წმინდა სულის, მადლის თავშლით!!!
შენ???

ემიგრანტის ლუკმა

ვის მოპარავ გააჩნია,
ვის წაართმევ ალალ ლუკმას.
გულზე დაღი დამამჩნია,
ქალი დადის შუკა-შუკა.
სად წვალობენ, ვის უვლიან,
ცრემლით ლუკმას გატეხავენ...
გული დარდით დახნულია,
სხვისი სახლის კარს ხეხავენ.
არ შეგრჩება მოიპარო,
რაც კანონით არ გეკუთვნის,
როგორ უნდა გაიხარო,
მათ ნაშრომს, რომ გამოკუკნი.
ის, სასჯელი მტერმა ზიდოს,
დედას შვილი ენატრება.
სურათი რომ გაადიდონ,
დარდი მაინც ემატებათ.
შვილი ქაღალდს ეფერება,
დედა ჩუმად კვნესის ცემლთან...
ბედი ისევ ემტერება,
ნაშრომი სულ გაცამტვერდა.
ჰაკერებმა სულ წაართვეს,
ქალს რაც ქონდა შენახული...
ემიგრანტი წელს მიათრევს,
გულს დარდი აქვს დამარხული.
ვინც იპარავს ოფლის გროშებს,
სატირალი უკვე არი...
აფრიალებს ქურდი დროშებს,
და მიტომაც ბორგავს მტკვარი!

:::
შენი სიყვარულის ვახშამი მაქვს,
შენით მეღვიძება დილით...
მე ხომ იმედების ნერგებსა ვრგავ,
ღმერთო, მტრისიც მიყვარს შვილი.

:::
რატომ უნდა ვიწუწუნო,
არ ვტირივარ ბატონო,
სისხლი აღარ გამომწუროთ,
ხედავთ? ღმერთი მპატრონობს!

დირიჟორი

დრო გაიცვითა,
მიტკალივით, გადაიცრიცა
და უნდობლობა
ყველას გულში გადაადგილდა.
ქუჩის მათხოვარს,
დომეგია ეცვას პრინცესად,
დროის დირიჟორს,
როლი ძლიერ გაუადვილდა.
დაიწყო ომი,
სიტყვიერი, ბოლოს გაანჩხლდა,
ბილწი სიტყვების
რახარუხი, უწმაწურობა...
საშინელებით,
სიბნელეში ზეცა განათდა,
ამას უფალი,
გაკვირებით ციდან ყურობდა.
მაყურებელი
იცოცხლეთქო იყო მრავალი,
რა ენაღვლებათ,
ბილეთები არის უფასო.
მზე ჩადის ხალხო,
დავადდება შთამომავალი...
რად გინდა მერე,
თუნდაც ეს დრო გადააფასოთ.
ჯვარი გესწეროთ,
თითეული კარგად მეყოლეთ,
სკამი კი არა,
კარგად ყოფნა, არის მთავარი...
აიღეთ ტოტი,
თითო- თითო, ერთად შეკონეთ,
და შემოავლეთ,
საქართველოს ჯაჭვის ქამარი.
=========
სიყვარული
და გამტანობა არის მთავარი!

:::::
შენი სულის ჭურჭელს ავხდი
დავინახო, უკვდავება...
რომ გიჭირდა, სულ თან გახლდი,
ქარი რატომ მედავება???.

რად გიყვარვარ
(ევლალია პერპერიდს)

შენი ფერის გაზაფხული მიყვარს,
სულ ქათქათა, თოვლის ფიფქის ფერი,
ყველა ფიქრი შენი გზებით მიმყავს
და ბავშურად, შენთან ერთად მღერი.
რად მახარებს ასე შენი ხილვა,
რატომ იწევს გული შენსკენ შვილო...
შენთან ამ გულს ოი, როგორ თბილა,
ევლალია, მინდა რომ გიშვილო.
დამაფიქრა ყურადღებამ დედი,
მეფერები როგორც ჩემი გოგო.
შვილო, უკვე მე წლებს შევაბერდი,
სიცოცხლე მსურს შენთვის გამოვზოგო.
რა კარგი ხარ, ფაფუკ- გულა თბილი,
მოალერსე, მოჟღურტულე, მტრედი...
მე გული მაქვს, დანით ჩამოთლილი,
ხშირად მიკვირს, რატომ აღარ ვკდები.
ახლა ისე მეფერები შვილო,
ალბათ სიკვდილს ჩაურაზავ კარებს...
სიყვარული აღარ იშიმშილო,
მტრედს მოკითხვას ისევ დავაბარებ.
გამოვატან იმედების წერილს...
დავაბარებ, რომ მე შენით ვცოცხლობ.
შენ იცოცხლე, ასჯერ ჩემზე ბევრი...
მე თუ უნდა ქარმა გადამბელოს.
რად გიყვარვარ, დარდიანი ქალი,
რა სითბო მაქვს, ან რა იცი ჩემზე...
სხვებისთვის გადვიხადე ვალი,
კაპიტანიც ვიყავ დარდის გემზე.
შენ კი შვილო, საფერებელ სიტყვებს,
უშურველად ატან ლამაზ მტრედებს...
შენნაირ გზებს ეგებ სხვებიც მიყვეს,
მოეფერონ სიყვარულით დედებს.
შემიყვარდი, გული აღარ დაგთმობს,
სიკვდილამდე, გიერთგულობ, დედი...
შენი სითბო, ნეკტარივით მათრობს,
გძებნე, სახლში ახლა შემოვედი.
მომიკითხე სიძე, შენ რომ გიყვარს,
და ლამაზი შენი გოგონები...
ფიქრის სახლში შენთან ერთად ვიყავ...
ყოველ წუთში შვილო, მაგონდები.
არ მიდარდო, უფალია ჩემთან,
სიკეთის მზით, ვათბობ ხალხის გულებს.
სხვაზე დარდით ბევრჯერ დამათენდა,
შენ კი შვილო, მუდამ გიერთგულობ.

გული

გულს არ დავღლი სიბორროტით,
სიძვილვილი სულ არ ვიცი,
არ ვიქნები გულ-ბოროტი,
ჩხუბ-კამათით განაფიცხი.
გულს თავისი ისეც ყოფნის,
უძლურია გული ბედთან...
ბედი, მეც და სხვასაც ჯობნის,
დარდით გული, ოდნავ ფეთქავს.
ახლა გული ჩემს ხელშია,
გულს შურს, როგორ მივაკარებ,
ზოგიც რთველში ჩართულია,
ზოგსაც ქმარი დაჰკანკალებს.
გაიხარონ, მიხარია,
იზეიმოს მათმა ფუძემ.
ჩემები კი ცად არიან...
ზოგიც ფიქრობს, როგორ ვუძლებ.
მადლის თესვამ მომცა შვება,
მართლაც ვიცი რას ვაკეთებ...
სანამ ქარი გაავდება,
ქარი სანამ დამაფეთებს.
ვუფრთხილდები, სინდის- ნამუსს,
ზეცას წავალ ვალმოხდილი...
მიწა იწყებს ძვლების ხრამუნს,
სიტყვებია გულახდილი.
ხოდა, გული ჯამრთელია,
უბოროტო, ნაზ-ფაფკა,
ცაშიც ასეთს მიმელიან...
მზე წამყვება იქ, პადრუკად.
არავიზე ცუდი არ თქვათ,
მოეფერეთ ყველას ხალხო...
ციდან მოდის სეტყვების ქვა,
სხვის გულს ხელი აღარ ახლოთ.
არ იომოთ, არ იჩხუბოთ,
წლები კაფეთ, სიყვარულით...
ბოღმით გული არ გაგუდოთ,
შემოძახეთ, კვლავ მაყრული!

სიყვარული

:-:-:-:
სიყვარული ყველას, არ შეუძლია,
თუ გიყვარდა, გარდაცლილიც გიყვარს,
გულს ჩემსას, ლოდინისთვის გაუძლია,
სული ჩემი, სწორი გზით მიმყავს.

კოცონი

ქარი ბორგავს და მდინარემ,
გადმოტეხა კალაპოტი.
გაიღვიძა ტყემ მძინარემ,
ცაში ფრინავს კაპოეტი.
ვფიქრობ, რა ვთქვა, განა ღირს კი...
რა ფასი აქვს, ამ ჩემს სიტყვას,
ხან მგონია დიდი ცირკი,
რომ მსახიობს ეს, დრო მიყავს.
ხან ვდუმდები, ან როდემდე,
საზღვარი აქვს, სიჩუმესაც,
არ ჯობია შორს ომობდეთ
ან მამულის იყოთ მწყემსად.
მე გლეხი ვარ, ალალ ლუკმას,
ვერ დამიშლი ქარიშხალო...
ვთოხნი მიწას და მზე მხრუკავს,
გინდა ტყვია დამახალო.
არ გაბედო, გირჩევ მაინც,
ცეცხლის კოცონს ვერ მოწვდები...
ვიზეიმებ ისევ მაისს,
არასოდეს არ მოვკვდები.
მაინც მინდა კარგად იყო,
რაც გინდოდეს, ღმერთმა მოგცეს...
მტერმა აღარ გაგაბრიყვოს,
ნურც სიმდიდრე გაგაოცებს!

გირჩევთ

წყენა გულში არასოდეს ჩაიდოთ,
ბოროტების ხიდი ყველგან ჩატეხეთ,
მეგობარზე თუ აუგი გაიგოთ,
სიტყვა კადრეთ, მის მაგიერ თავხედებს.

გარდაცვალება

გარდაცვალება, არ ნიშნავს სიკვდილს,
მკვდარნი ცოცხლები უფრო არიან.
და რა კარგია, ვინც იცავს სინდისს,
სხვისი ოჯახი, რომ არ არია.
გარდაცვალება, გზა არის მხოლოდ,
ამ გზის სავალზე, რომ არ გაავდრდეს,
სიკეთე თესეთ ბოლოს და ბოლოს...
მრუდე, გზას უკვე აღარ დაადგეთ.
არავინ კვდება ფერი იცვალა,
და როგორც ვიშვით წავალთ შიშვლები,
თუ ჯვარი რწმენით გულზე შევიბით,
ცას ცისარტყელად გადავიშლებით.
მთავარი არის სიკეთის თესვა,
შენ თუ გაქვს, ბევრჯერ სხვაზეც იფიქრე,
მადლის გაცემა, სულ გქონდეს წესად,
ბოროტება კი გადაიფიქრე.
განდიდებისთვის სულს ნუ დატანჯავ,
იშრომე ცოტას დაკმაყოფილდი...
გლოცავთ, შრომაში დრო გახარჯეთ და
ბოლოს თავთავად ამოფოფინდით.
ცაშია ყველას სულის ბეღელი,
შენს შექმნილ
დოვლათს არვინ იპარავს,
იქ, ღმერთი არის ყველას მშველელი,
აქ, სულ ბოლომდე ვინ გაიხარა?
და მე კი, მინდა ვიყო ასეთი,
მიმტევებელი, მადლის გამცემი...
მსურს შვილობილი მყავდეს ას ერთი
სული არ გამყვეს ბედით ნაცემი.

სულის არე

(ნანა მომცელიძეს)

ღიმილი გაქვს როგორც მზე და...
...გამინათე სულის არე...
ჩემთან ღიმილს თუ გაბედავ,
გულის სიღრმით შეგიფარებ.
სახე გიგავს ღამის მთვარეს,
ტანით მთა ხარ ბუმბერაზი...
შენამდე სულ ცრემლი ვღვარე,
ბედად შემხვდა, დრო-- ვარაზმი.
გულის კარებს, ვერ ვაღებდი,
ახლა უკვე სხვასა ვფიქრობ...
შენ ხარ, შვილო, რძის ნაღები,
ხალასი და დარდს გამიქრობ.

მოხვედი და ღიმილ--ღიმილ,
ღრუბლის ფრთილა, მიმოშალე...
არ გამიშვებ შვილო, გაღმით,
ნუ, დარდობო, დამიშალე.
ლღობა იწყო, დარდის ყინვამ,
თვე-- საათი, არ დაჭირდა.
გულმა იმ მწამს გაიცინა,
წახვედი და... გაუჭირდა.
ვერ ვიპოვე, შენში ნაკლი,
რას ვნახავდი არა გქონდა,
ღიმილი გაქვს როგორც თაფლი,
ჩემთან სხივი შემოგქონდა.

მეუღლეს
ორი ნოემბერი
(ვახტანგ სხირტლაძეს)

ოცი წელი გასულა,
იმ ტკივილის ცრემლიდან..
დარდი არსად წასულა,
რა გეწყინა ჩემიდან.
ნუთუ რამეს გაკლებდი,
ან გულს გტკენდი ძვირფასო,
წყალსაც არსად დალევდი,
სხვისი არა მიყვარსო.
ოცდაათჯერ ავთვალეთ,
წელი ფუსფუს- ფუსფუსით,
ლუკმაც ბერჯერ დავთვალეთ,
და ვცხოვრობდით ნამუსით.
ახლა შვილიც წამართვი,
გული გაგლიჯ- მოკალი,
დარდის ფთილა დავართი,
ცრემლითა და კანკალით.
შენს ნაშენებ კედლებში,
დარდი ისევ ბატონობს,
ქარის განახელებში,
ვიბრძვი, ძლივსღა ვპატრონობ.
ხან ალთას ვარ, ხან ბალთას,
რა ვაკეთო არ ვიცი...
აღარაფრით არ დათბა,
ვდუმ და ისე განვიცდი.
ნეტა როგორ ისვენებ,
მარტო, რომ მიმატოვე,
მწარე დღეებს ვიხსენებ,
თოვლიც ნამქერს მიტოვებს...
რა ძნელია შენს სახლში,
ქმარშვილს ვერა ხედავდე...
იყო დროის კეცვაში,
კვლავ სიცოცხლეს ბედავდე.
ოცი წელი გასულა,
მე კი ისევ მოგელი.
დარდი აღარ დასრულდა,
გავხდი ყველას მშობელი.
ვცდილობ, სხვები მიყვარდეს,
ჩემს შვილს ვხედავ ყველაში...
გულში მინდა ვიკრავდე,
ხმა მომესმის გელასი.
ოი, როგორ მიყვარან,
მიყვარს მათთან ბაასი...
ფუტკარივით იყარა,
მგონი გახდა სამასი.
ახლა ნოემბერია,
გულს შეცივდა, ყინვაა...
მიყვარს როცა მღერიან,
სულ ერთია ვინაა!

* * *

იმ ძველ ნატერფალებს
გადავხედავ,
ნიავს გავახსენებ, ჩეს სიცელქეს,
რადგან მონატრება ამიმხედრდა,
გულში სიყვარულად დაილექეს...
ჰოდა, წყლის ნაპირზე ვისეირნე,
ტალღა შხეფის ცემით გამეხუმრა...
ერთად ვიბავშვეთ და ვიშაირეთ,
ტალღაც ავაცეკვე ჩემებურად.
მიცნო, გამიხსენა, მოვეფერე,
ქარმაც ტყის პანტები შემირხია,
წუთით მოკრძალება შევიფერე,
იმ დღემ ჭრილობები შემიხვია.

ვინ იცის

ჩვენ რომ დილის ცვარს ვუწოდებთ,
იქნებ ისიც ცრემლებია.
გადმოსცვივდათ წასულ დედებს...
ოჯახს, რომ ვერ ელევიან???

ქაოსია

ფულს არ ვნატრობ, გული მინდა,
ვეძებ ყველგან, ვერ ვიპოვნე.
ღრუბლები არ გადიწმინდა,
იმედის ხმა გამაგონეთ...
ქაოსია, შური, ღვარძლი,
ღმერთო, გიხმობ ძმა- ძმასა მტრობს...
დავიღალე მათი ლანძღვით,
სიძულვილვის ალს ვერ, ვაქრობ...
მომეშველე, ბრძოლის ველს გავს,
საქართველოს ყცელა კუთხე...
ერთ ვაზის ძირს არვინ არ რგავს,
საძველესაც მიაფურთხეს.
უსაშველო გახდა მართლაც,
ფული მიდის არჩევნებში.
მდიდარს უნდა ქვეყნის მართვა,
გლეხი თოხნის ვენახებში.
გლეხს, სტუმარი ისევ უყვარს,
მდიდარს სკამი ურჩევნია.
მე კვლავ შევთხოვ ამას უფალს,
მქონდეს ლუკმის ნარჩენია.
ოღონდ ისევ დავინახო,
ერთმანეთის სიბრალური...
მასპინძელოო, დავიძახო,
ძმას, ძმის ჰქონდეს სიყვარული!

ეჰ, რას ვიზამ

ჩემს ჩიტუნებს,
ხორბლის მარცვალს
ვინ დაუყრის,
იქნებ შიათ,
ანდა დარდით ღონდებიან,...
ბუნებაში ხე გაზრდილა
დიდი მურყნის,
ფრინველები მის ტოტებზე
გროვდებიან...
დავაკვირდი, მაღლა მთებს და
დაბლა რიყეს,,
ჩემ ჩიტს ვეძებ,
შორს წეროებს გაჰყოლია...
ეჰ, რას ვიზამ,
კამფეტებმა გააბრიყვეს,
ჩემი გულიც
ყველაფერზე დამყოლია.

წავიკითხავ

სიყვარულის მარგალიტებს ვაგროვებ,
სათითაოდ დაურიგებ ქართველებს.
ბედო, იქნებ სულ ცოტა ხანს მადროვე,
ხელით ვამსხვრევ,
მტრის გავლებულ მავთულებს.
სიყვარულის ანი-ბანი, ჩაყლაპა,
ვეშაპმა თუ უცხო მიწის სამყარომ.
ეს, იმედიც რა, კვერცხივით გალაყდა,
კვლავ არ მინდა,
რომ ფარხმალი დავყარო.
წავიკითხავ, ხელმეორედ ბიბლიას,
იქნებ შევცდი, ანდა მე არ ვისწავლე...
არ ვუწოდებ,
თავს სხვასავით იღბლიანს,
გარდაცვლილად,
სულს, ცოცხალი ვიწყალებ.
რამ გამითბოს, გული ყინვით ნათოში,
რას გავს ერი, განდიდება ბატონობს,
სულ არ მონდა ვითვლებოდე ნატოსი,
საქართველო,
სხვები რატომ გვპატრონობს!

მზის სხივს ვითვლი

სათითაოდ ვითვლი იმედს,
ერთი, ორი, სამი, ოთხი...
ზოგჯერ ცრემლებს ვიდენ იმდენს,
რადგან ქარი, ბოღმით ოხვრავს.
ახლა მათბობს, დილის სხივი,
ფანჯრის შიგნით დანავარდობს...
მახსენდება ის, დროც ცივი,
ზამთარს გული როგორ ვანდო.
ნოემბერი, თვალს ჩამიკრავს,
დეკემბერი ყინავს სახლკარს...
იანვარი ძვლებს გამიხრავს,
მარტი კაბას მჩუქნის ახალს.
ასე მოვა კვლავ ზაფხული,
ტყის ვარდები, აყვავდება...
მარტს შევხვდები გულგახრული,
ქარი ისევ გაავდება.
მაინც იმედს დავეწვი,
ვერ გამასწრებს, რომც ირბინოს,
მტერს მოყვრულად შევეწყობი...
ოღონდ მზემ სულ იბიბინოს!

უფაქიზესი
(ლამზირა შეყილაძეს)

დღეს, სულ სხვა ფერად
შეამოღებს დილა ფანჯარას,
ფაქიზ ქალბატონს,
მზე სხივებით მოეფერება...
ვწუხ! ბედისწერამ,
ჩემნაირად რატომ აჯავრა,
დღისით, სიზმარშიც,
შვილის საფლავს რად ეფერება.
კარგი დედის შვილს,
გულკეთილს და პოეტ ქალბატონს,
აუხავერდე,
ღმერთო, ეს დღე მარგალიტებად...
მე, სამუდამოდ,
გულში უნდა კალმით ჩავხატო,
მწამს სულიერ დას
ტკივილებსაც გამომიტყდება.
თუმცა სარკეა,
მისი ფიქრის ყოფიერება,
თუ გსურთ დანახვა,
დაინახავათ, თვალით, ხილულად,
ალალ ქალბატონს,
სულ არ უყვარს მოპირფერება...
პოეტია და...
კვლავ მშვიდობა, რჩება სურვილად!.

ბალახის ძალა.

ბალახის ძალა მომეცი ღმერთო,
რომ სიბოროტეს, ჩემ ძალით ვსჯიდდე...
სულს უკვდავების სიცოცხლე მენთოს,
თაკარა მზის დროს,
ხვთის ჩრდილში ვიჯდე.

+++
სიყვარული არის,
მარადიული, ზეციურია,
სიყვარული უხილავი სულია მიუწვდომელი,
სიყვარული წმინდაა, ღვთიურია,
ვინაც წმინდა სიყვარული იცის,
უნდა მიენიჭოს ნობელი.
თუ გიყვარდა და გარდაიცვალა,
ეს, იმას არ ნიშნავს, რომ მოკვდა,
უბრალოდ ფერი იცვალა,
ის, სიყვარულის სამოთხეში მოხდა!

ლექსის ჯიხვი
(მამუკა ოჩიაურს)

მიძრღვნილ ლექსებს, არ მითვლიან,
ლექსი მიძღვნით თურმე ცუდობს,
მაშ, ჩემს გზებზე ნუ ივლიან,
კეთილები ჩემთან ბუდობს.
გავაკეთე საბუდარი,
დღეც და ღამეც დავფოფინობ,
ჩემი არის საკუთარი,
ლუკმას ყველას ვამყოფინებ.
ზოგი არის გენიოსი,
ზოგი ახლა იწყებს ტიტინს...
თავს დამყურებს ელიოზი,
მოსწონს თითქმის რასაც ვიტყვი.
მე ვატარებ გაკვეთილებს,
სიყვარულზე, თემატურად...
ზოგსაც ვიღებ ვარკეთილელს,
ლექსს ამბობენ ვაჟკაცურად.
ხვალ მივიღებ ერთ კარგ ვაჟკაცს,
საბუდრიდან აფრენილა...
დააჩოქებს ვატყობ ას კაცსს,
ლექსით ვიცნობ შარშანდლიდან.
მოვუსმინე, ლექსის ყივილს,
თითქოს ცემდა რკინის უროს...
მჯერა მომგვრის სახეს ღიმილს,
შვილად მინდა, რომ უყურო.
ყველას ვჩემობ, ქართველ შვილებს,
ვაძლიერებ გულის ტიხარს...
მამუკასაც მე ვიშვილებ
და მოვნათლავ, ლექსის ჯიხვად!

გადაფასდა
გულით ვეძებ, სიყვარულის წამალს,
ბევრი მინდა, ცოტა არა მყოფნის...
ხევისბერი მსურს მასმევდეს შამანს,
აღარ ქონდეს, ჩემს მომავალს შფოთი.
დამიმშვიდე ღმერთო, ჩემი ერი,
დამიამე, ადრინდელი წყლული...
სიცოცხლეა, ისეც წამიერი,
მტერი არის, ჩუმად გასუსული.
სიძულვილი გაჯეჯილდა ყველგან,
დაიძონძა მზის სხივები ცრემლით...
ორი დღის წინ შემაშინა ელვამ,
თითქოს ზეცა, ჩამოტეხეს გრდემლით.
სიყვარულის წამალს ვეძებ ღმერთო,
სიყვარული მინდა მტერსაც ვასვა...
ყველა ერთად გრძნობით შევაერთო,
სიყვარული რატომ გადაფასდა???

„მიშგვი ტკიც“

მალვინა ჭელიძეს

ამ, სვანურმა სიტყვამ ისე ჩამაფიქრა,
წამომანთო,
უნებურად ეს, აღმომხდა...
სიტყვის ეშხმა,
წმინდამ როგორც, თოვლის ფიფქმა,
დამაფიქრა,
როგორც ტყვია გულში მომხვდა.
თურმე ნიშნავს,
სამართლიანს, გულს, მეომარს...
ძლიერ პოეტს,
სწორი გზით, რომ გაუვლია,
უბრძოლია, სულ უშიშრად,
ქალს, როგორც მამარს,
რადგან მიწა,
მტერს მის თვალწინ წაუღია.
დამ, გულისთქმას,
სვანვანურ სიტყვა დაადევნა,
,,მიშგვი ტკიც და,,
ფიქრის რაშით მასთან იყო,
ემიგრატ დას,
დედა-ენა გაახსენდა,
დას მოუნდა,
პოეტ დასთან დამდგარიყო.
გენაცვალეთ,
გოგოებო, მალვინ, ეთო,
მესამე კი ნათიაა, მზის სადარი...
როგორ მინდა,
თქვენთან ერთად, მტერს ვეკვეთო,
მინდა ვიყო,
თქვენი გულის წინსაფარი!

მასპინძელი

აღარავარ ხელგაშლი მასპინძელი,
ძველებური,
ხალხმრავლობა დამავიწყდა...
გახსენებაც,
ანალიზიც გახდა ძნელი,
ხანაც ვფიქრობ,
ღმერთი კეთილს რად გამიწყრა.
კანტიკუნტად, თითო-თითო შეკრებები,
აგერ უკვე წელიწადი ასე ხდება.
ხალხმრავლობას,
იმ, წლებს ისევ ვეფერები,
ვატყობ ქარი,
ძველებურად გაავდება.
ან, რად მინდა,
ჭურ-მარანი, ღვინით სავსე,
ან აისი, ან დაისი, მოწყენილი,
დავემგვანო,
ჟანგმოდებულ ხეთა ხავსებს,
არ აშენდა,
სახლი ჩემი დაწყებული.
დარდს არ ვიმჩნევ,
სხვას არ მინდა, რომ ვატკინო,
გააფთრებით,
ვებრძილები ბედის წისქვილს...
ჩემით სხვები, რატომ უნდა ავატირო,
ჩემი ბედის,
წისქვილებთან, მარტოდ ვივლი!

თვალებს ხუჭავ

გაახილე,
თვალი იქნებ დაინახო,
შენს წინ ცხვება,
წიგნით, ტკბილი ნაზუქები...
წიგნებია, ბაჯაღლო და სულის ახო...
სული კვებე, უზომოდ არ გასუქდები.
დაინახე, დასანახი, ნუ ბრმავდები,
შენი არის, ისტორია, ეს, საუნჯე...
ქარიშხალთან,
შენ ქართველო, ნუ ზავდები,
თუ სხვისი ხარ,
მაშ ჯობია, სულ დამუნჯდე.
ღრუბლებია,
ცხვრები გარბის გაიფანტნენ,
წვიმს და ავდარს ისინიც კი, გაურბიან...
მე სამშიბლო, გულის გულში დავიხატე,
ქალი ვარ და.. ვაზიც ხელით დამირგია.
გამოფხიზლდი, დაინახე, დასანახი,
იქნებ შენით ლერწი ვაზად გაამრალო.
და არ იყო ქალის ლუკმით შესანახი,
შენი ნაკლი,
სხვას არასდროს დააბრალო!

აღარ ველი

აღარ ველი, სამადლობელ სიტყვას,
შევეჩვიე, უსამართლოდ დასჯას...
საჭეს ვმართავ, გემი მაინც მიმყავს,
კვლავ ვიბრძოლებ,
სანამ ფეთქავს მაჯა.
გემში ზიან არც თუ ისე ცოტა,
სიყვარულით ვისაც უცემს გული...
ზოგის ტოტი ბედის წერით მოტყდა,
ზოგიც გულში მე მყავს გადმორგული.
აგერ უკვე გზა საზღვრებსაც გაცდა,
და რა ლაღად გაიშალა კვირტი...
თუმცა ქარი, აღარათვრით ჩადგა,
მოფუზულა ტოტზე, ერთი ჩიტი.
ჩიტს უბეში შევიფარებ, ალბათ,
თორემ ქარი აუწეწავს ბუდეს...
ჩემი გული გულკეთილი გახლავთ,
სარჩულად კი, სიყვარული უდევს!

ვინ ვარ?

არაფრის გულისთვის
გულს რომ გისერენ,
არაფრის გულისთვის
გატკენს უღირსი.
შენს მეგობრებს,
რომ სამტროდ გისევენ,
არ ეშინიათ, არც ერთს უფლისი.
მაინც ვპატიობ, მეცოდებიან,
მათ სულში ახლა ეშმა ბატონობს,
მე სიკეთისთვის მედავებიან,
მაინც, რომ ვლოცავ, ვინ ვარ ბატონო?
ალბათ იტყვიან,
რომ ვარ მშიშარა,
ანდა არ ვიცი მე ჩემი ფასი.
არც არასოდეს, მივდევ იმ შარას,
სად ბოლოს წარსულს,
ედება ხავსი!

ქართულ ვაზის წალამნო

გულის კარი ღიაა,
მოსვლას, როგორ დაგიშლით,
დღეს ლამაზი დღეა და...
სუფრას, გულით გაგიშლით.
მოდით ჩემო შვილებო,
მოდით, მოგეალერსოთ,
ყველა, მზისებრ თბილებო,
ხმალი აღარ ალესოთ.
სიყვარულით იცხოვრეთ,
გული აამზიანეთ...
თუ გინდათ, რომ ვიცოცხლო,
დარდიც გამზიარეთ.
რა გაწუხებთ მითხარით,
იქნებ მოგცეთ მალამო,
თქვენ ხართ, გულის ტიხარი,
ქართულ ვაზის წალამნო.

არავის ვგავარ

არავის ვგავარ, არავინ არ მგავს,
მე სულ სხვა ვარ და ისინი სხვები.
მე ყოველ დილით, საღ ნერგებს ვრგავ და...
დაღლილ-ნაჯაფი ღამესთან ვწვები.
ღამეც ჩემსავით, მარტო სულია,
რომ ესაუბროს, არავინ არ ყავს.
დედამიწაზე ჩამოსულია,
შავია როგორც, მყვირალა ყვანჩა.
გავესაუბრე, ღამეს დაღლილი,
მომისმენა და ვერ მანუგეშა,
ღრუბელი დამდევს ფაფარ აშლილი,
ქარიც შავ ღრუბლებს, სიავით გერშავს.
ზურგი ვაქციე ღამეს საერთოდ,
ტანგაუხდელი ჩამომეძინა.
ღამეც, ვიხილე ღრუბლის ნაერთი,
საუბარმაც კი, სევდა შემძინა.
დილის რიჟრაჟის სიმხნევის ბადემ,
მზის ათინათი, შემომახვია...
ქარის და ღამის ფიქრს, ძალით ვაგდებ,
რადგან ღამესთან სევდა მარხია.

ყოველ დილით
(ევლალიას)

ყოველ დილით,
მტრედს, რომ ატან ბარათებს...
ყოველ დილით,
შვილო, მეალერსები,
შენით მივდევ,
ბედისწერის აღმართებს,
ღრმად გაიდგი
გულის გულში ფესვები.
დავაღამებ,
იმედებით ამ დღესაც,
საღამოზე კვლავ
ანგელოზსს მოველი...
სიყვარული,
დაფუძნდა და დაწესდა,
სულ გამიშრა,
თვალი დარდით სოველი!

გზას ვეძებ

გზას ვეძებ, სადაც იოლად,
რომ მომავალი ვატარო.
ვეძებ და არ გაიოლდა,
არ მსურს ფარხმალი დავყარო.
გზას ვეძებ, სადაც კეთილნი,
შრომობენ, ნაშრომს იმკიან...
რომ არ ჭირდებათ ვექილნი,
საით წავიდნონ იციან.
ძებნა- ძებნაში მომრავლდა,
ეკლები აკაციების...
ერთი კი სულმთლად დაბრმავდა,
გაუჩნდა ამბიციები.
გავჩუმდი, გზა კვლავ განვაგრძე,
ისევ მოვშინჯე ძალები...
ვითმენ და არა ვძაგძაგებ,
არავის არ ვემალები.
იმ გზას ვიპოვნი, რომ სადაც,
ამაგის ფასი იციან.
ვახშმად ამ ჩემს გულს ჩავადგამ,
ძალით რას გამომცინცლიან.
სადა მცალია სავაჭროდ,
ლუკმას არ გავღეჭ ცოდვიანს...
უმადურობამ გამაშრო,
დიდ ამაგს ასე ცოდნია.

გზა მწვერვალისკენ

(სერგი ლომაძეს)

წიგნი დაწერე, გზა მწვერვალისკენ,
გამაღმერთე და ზეცას მაწვიე...
შენ დამაფიქრე, დედურ ვალისკენ,
დედაშვილობა მეც ხომ გავწიე.
მოვდივართ ასე დედაშვილურად,
და ვკაფდით ეკლებს, სადაც გვხდებოდა,
ბედმა გულმკერდი, გამომიგულა,
მაინც იმედი არა კვდებოდა.
სულით ბობაქარს, ზღვა გიზიდავდა,
ქარიშხლის ომში ორომტრიალი...
ქარი შორიდან ისრებს შვილდავდა,
მიწევდა გვერდით, ქართან ტრიალი.
ხარ, ბობაქარი სულის პოეტი,
ვერ შეგიკვეცავ თავისუფლებას...
ცაში დაფრინავ, ვით კაპოეტი,
რომ შეგაჩერო არ მაქვს უფლება
გზას დაგილოცავ, გჯეროდეს ჩემი,
დედაშვილობას გულით ვიფიცებ,
ღმერთმა იცოდეს, სხვა დანარჩენი,
მე მიყვარს შენი სულის სიფიცხე.
მაგრამ მე, მე ვარ, ზეცას შევცქერი,
სადაც ცისკარმა კარი გამიღო...
მე დილაც მიყვარს შვილო, შენფერი,
დარდის მდინარემ ლამის წამიღოს.
ჰოდა, სიდინჯით გზა გააგრძელე,
არ დაიჩოქო... მტერთა ბანაკთან,
არ დაივიწყო, მიწა საძველე,
ლექსი კვლავ შენთან ალაპარაკდა!

ტოტი

მეტისმეტია, საზღვარს გადაცდი,
ტოტი მოტეხე, სადღა დაჯდები...
სულის ამოსვლას არვის დააცლი,
თვითონ ვერ ხვდები რაზე ბრაზდები.
უბედურება იცი? რაშია,
არ იცვლები და უარესდები...
შენი ადგილი სულის ზღვაშია
წადი იცურე, გამოცოცხლდები.
ზღვის შტორმს,
ჩემს ახლოს ვეღარ ვიგუებ,
არ დამიტბორო სულის ჯეჯილი...
სათქმელს თევზივით ვეღარ ვიგუბებ,
ან რას მომიტანს შენთან შეჯიბრი?

კი არ გაშინებთ

კი არ გაშინებთ,
გირჩევთ, გაფრთხილდით,
კალოს ნალეწ ქალს,
კრწალვა ეკუთვნის...
ფეხს თუ მოიტეხთ,
რკინის მარხილით
დედა ყოველთვის
გულში შეგფუთნით.
მაგრამ გაფრთხილებთ,
უნდა იფრთხილოთ,
დიდი გზა ჯერ თქვენ
არ გაგივლიათ,
ო, როგორ მინდა,
ყველამ ილხინოთ...
შემოგნატროდნონ,
როგორც იღბლიანს.

მოფერება

თბილ სიტყვას და მოფრეგას,
გული უნდა, ფული არა.
არცა ღილის დაკერება,
არც ყვირილი წარამარა.
გაიმეტეთ, თუნდაც მწირი,
გაღიმება, გულ-- ალალი.
დარდში ვარ და მე არ ვტირი,
უფასოა ეს, წამალი.
შეიყვარეთ სხვისი შვილი,
თუნდაც ძმა და ნათესავი...
ღრუბლებია ჩამოშლილი,
ეს დროც გახდა ნაგესლავი.
არ იყვიროთ, არ იჩხუბოთ,
არ ინდომოთ, სხვისთვის ცუდი...
სხვის ტკივილზე არ იხუმროთ,
ძმას არ მოხვდეს, ძმების ცულდი.
დამიჯერეთ, დაიჯერეთ,
დარიგება დებო, ძმებო,...
იმედი არ გადაჯეგოთ,
შვილნო ჩემო, სანაქებო.!

ჩემო ძამიკო

ამირან ხარაიშვილს

ჩემო ძამიკო, ჩემო პატარავ,
გილოცავ რაც კი მოსალოცია,
დღეს ამ ფიქრებმა სად არ მატარა,
დედა და მამაც ციდან გკოცნიან.
სიტყვის წარმოთქმას, რომ გასწავლიდი,
და გიკოცნიდი ლამაზ ფათუნებს..
გასავლელ ბილიკს ხელით ვწალდავდი,
ვყრიდი დიდ ხრამში ქვებს და მავთულებს.
შენ დადიოდი ლაღად, თამამად,
ხვანის მთებივით, ბუმბერაზობდი,
ახლაც სული გაქვს წმინდა, კამკამა,
ბედისწერისგან თუმცა ნაროზგი.
გლოცავს დიდი და, გლოცავს ალალად,
გამრავლდი ისე, როგორც შენ გსურდეს...
შენ ჩემო ძმაო, გულის გალავანს
ისევ გაჩუქებ ბედგანაქურდებს!

არ გამოვდგები მაყურებელად

რა ადგილს ზომამავთ დალოცვილებო,
რა ირის კიდევ, გასაყოფები.
მგონი თქვენ გვჯობნით გარდაცვლილებო,
გაქვთ მად ადგილი გამოყოფილი.
აქ, ახლა არ ღირს იყო, უყურო,
ძმა, ძმას ერჩის და მამას კი შვილი...
გული გაუხდათ ბევრს აქ, გლუყურო,
აღარ იციან, ძმა და ძმიშვილი.
ვთქვი მე სათქმელი, არ ვიმალები,
ლანძღვა გინებით შორს ვერ გაცურავთ,
საზღვრებს გასცილდა ამორძალები,
წვიმს და ამიდი ისევ გაცუდდა.
უიმედობას ვერ შევეგუე,
არ გამოვდგები მაყურებელად...
დარდის მდინარევ, ეგებ შეგუბდე,
ჭოტი ხის ტოტზე აყვირებულა!

გზას ეძებ

მზეს ელი, ღრუბლის ნაფლეთი,
იწყებს იმედის ჩანისვლას,
გგონია ხელით ნათესი,
სარჩოს აგროვებს ხვალისას.

ვარდს ეძებ, ეკალ-ბარდები,
გულში დაწურავს სისხლის წვეთს,
გზას ეძებ, ხრამში ვარდები,
უნდა მიენდო, მხოლოდ ღმერთს.

წამს დაბრუნდება

არ მოიწყინო, ხვალის იმედო,
ვარდის ფურცლებშიც არის სხვაობა.
იქნებ გულისთვის ყური მიგეგდო,
იქნებ ტყის ვარდი შენით ხარობდა.
იმედსაც ცივა, ზოგჯერ პოეტო,
გაყინულია, თოვლის ფიფქებით...
თოვლი ქურქივით ტანზე მომედო,
ხელში ფიფქივით მიტომ გიქრები.
მაშ, მე რაღა ვქნა შენით ვხარობდი,
ვიტანდი დროის უკუღმართობას...
შენ შესახვედრად როგორ ვჩქარობდი
არ ვაპირებდი დარდით დათრობას.
დავრჩები მარტო, წადი შენი გზით,
ჩემთან საერთოდ ნუ გაჩერდები...
იქ, მათხოვარი ხედავ? ქვაზე ზის,
დატრიალობენ თავზე მტრედები.
მტრედი სულია, და იმ მათხოვარს,
დაპატრონობს და ესაუბრება,
და მათხოვარი, მტრედს თხოვს სათხოვარს,
ადამიანად კვლავ დაბრუნებას!

ძილში

მოლოდინმა გადამქანცა,
თვალმა ძილი მოისურვა,
დარდი გამიასკაცავდა,
ცა ღრუბლებით მოისუდრა.
ძილში ვხედავ მზის სამყაროს,
ბრწყინავს ირგვლივ ყველაფერი.
მასთან არვინ წილნაყარობს,
არავინ ჩანს შესაფერი.
მივიხედე -- მოვიხედე,
მზის მთის გორა მზისფერია,
ფიქრი წამში ავამხედრე,
ცა ზესთანაც სხვა ფერია.
გამეღვიძა, დაფიქრებულს,
ცისკენ თვალი გავაპარე.
აქ, ხალხს ვხედავ ამხედრებულს,
ყველა თვალებს აპარპალებს.
დრო ოქროა, დალოცვილნო,
ღვთის სიკეთით, გამოხარჯეთ,
ყველამ ერთად, ერის შვილნო,
ერთად დგომით გავიმარჯვებთ!.

როცა მიეძალები

როცა მიეძალები
ძაღლი ღრენით მოიწევს,
თუ გაჩერდი თვალებით
კუდის ქაცუნს დაგიწყებს.
ჩემთან ვინც კი შემოვა,
ღვთის სასახლე მოვაწყვე,
ვშრომობ, ამ ჩემს მომავალს,
ტვირთად რომ არ დავაწვე.
ასე ნაბიჯ--მაბიჯით,
მადლის კოშკი შევქმენი,
კოშკში წიგნთა ბაჯაღლო,
ღირსი არის შექების.
ვუალერსე ავტორებს,
ტომი ტომთან დავაწყვე...
გულბოროტმა დამტოვეთ,
საქმე მარტომ ავაწყვე.
წავიკითხე ბიბლია,
და დავანთე სანთელი,
მე სწორ გზაზე მივლია,
და ვთქვი ჩემი სათქმელი.
ახლა თქვენი ჯერია,
უკეთესი შექმენით,
გაამრავლეთ კერია,
ერთმანეთის შექებით.

თეთრი ღამე

ვიკოწიაწე, უძილობით
თვალი დავღალე,
გამოვათენე, მოთენთლმა
წრიალ-წრიალით...
ცა მოწმენდილზე, ცრემლი
წამსკდა, დუღს და ღვარღვარებს.
ეხ! ცხოვრებაა, ბობოქარი,
ორომტრიალი.

ომების წელი

გადაიმალე
მზეთა სხივო, მაშინ როდესაც,
მე მჭირდებოდი,
ქარს აყევი, დარჩი ჩემს ნატვრად.
ხალათს გიკერავ,
შენ საკადრის ბოლო მოდელს და...
შენ საამებლად,
თვით ღრუბლებსაც ხელით დავფანტავ.
დღეს ისე მინდა
შენი ნახვა როგორც არასდროს,
ამ თვეს მჭირდები,
ოქტომბერში, გული გამითბე,
ქარმა დარდისგან,
ლამისაა სული გამაძროს,.
საქართველოში,
იმედები სულ მთლად გათიბეს.
უიმედოთა
სამყაროში მტერმა იცხოვროს,
თუ სულ იწვიმებს,
ეს, ავდრები ერთად წაგვლეკავს,
ქორი მომრავლდა,
ვინ დაუშლის უნდა იქოროს,
და რას მიშველის,
უცხო ტომის ენით გალოკვა.
სად დაიმალე,
მომეშველე, ახლა მჭირდები
ოქტომბრის მერე,
დაზამთრდება, ცივად ჩამოთოვს,
და თუ იმედებს,
კვლავ დროულად შენ დამპირდები,
ზიზილპიპილოს,
დაიჯერე, მე შენ არ მოგთხოვ!
როგორც არასდროს
მზეთა სხივო, ახლა მჭირდები,
სულ შემოშიშვლდა,
ჩემი მუხა, ქარების ხელში...
დედაო ხვთისა,
ერში იმედს თუ დამპირდები,
არ გადატყდება,
დედამიწა ომების წელში!

ძუნწი და ოქრო ცხოვრობენ ერთად

ღრუბლების მთების თეთრი სასახლე,
დაბლა ოქრო ვერცხლს
ცივად დაჰყურებს.
უბრალო პოეტს განძად აახლებს,
უძვირფასესი ლექსის საყურეს...
ასე საუბრობს ბრძენი ამაზე,
ეს ასე ხდება, უფლის რჩეულთან...
სულის სასახელე მიტომ ჩარაზეს,
პოეტი იყოს გამორჩეულად.
ქათქათა ღრუბლით ცას აზიდულა,
სულის ლექსები სუფთა უბიწო.
მდიდარის ოქრო გამოგუდულა,
დამალულია ბნელში უმიზნოდ.
ხარბი, აგროვებს,მუჭნის თავისთვის,
არ გაიმეტებს წამლისთვის თეთრსაც...
მისი ვალია ჰქონდეს ხვალისთვის,
ძუნწი და ოქრო ცხოვრობენ ერთად.
თეთრი ქათქათა სასახლე ღრუბლის,
პატრიოტული ლექსით მდიდარი...
მიაყურადედ ამ სულის დუღილს,
უფრო მდიდარი ნახეთ ვინ არის.
პოეტი ლექსებს, თვეებით, წლობით,
სულიერების სარჩოს პატრონობს...
იმიტომ არის ის ღრუბლის მთები,
მდიდარი რომ არ დაეპატრონოს...

შენ???

ნუ მეჯიბრები,
ჯიბრი, მტრობა, შენი სტილია,
ამავ სოფელში,
მზის სასახლეს თუ ავაშენებ.
ახალგაზრდები,
მტრისიც იყოს ჩემი შვილია,
მათთვის ხეივანს,
ამ ჩემს გულში გამოვაშენებ!
====:.:.
შენ???

უღალატობის მძიმე უღელი

დიდი ტვირთია სიმდიდრე ჩემი...
უღალატობის მძიმე უღელი.
არაფერია სხვა დანარჩენი,
სული გინძური და მოულელი...
ვეფვაფუკები... ჩრდილს არ ვაყენებ,
ვიცავ, წინაპრის ქართულ ადათებს,
გაყაყები თუ წყალში ყიყინებს,
მე ლექსის წერით, ღამეს ვათენებ...
ლექსი ანათებს, ღამის სიბნელის,
ციცინათელად...შეგეგებებათ,
არ ეშინია წლების, სიბერის,
ლექსი ასაკით არ დაბერდება...
მეც ცაში წასვლა, არ შემაშინებს,
ციდან ვიქნები მადლის გამცემი,
ფიქრებით ვზომამ დროის არშინებს,
გედისწერისგან ნაგვემ--ნაცემი.

ღამის ფარანი

როცა გულს დაყოფ
ნაწილ, ნაწილად,
რა ძნელი არის,
სულის მოთხოვა,
ამან სიკვდილთან
გამაგათილა,
ყვავილობისას,
ჩემთვის მოთოვა...
სხვა დანარჩენი მიწის
მტვერია,
არაფერია სასახლეებიც
თუმცა წიგნები,
ჩემი გევრია,
ისიც რად მინდა
ხელუხლებელი.
ტომების მწკრივი,
ბლომად თაროზე,
ღვთის საჩუქარი
ღამის ფარანი.
თუ დასალევად
მივლენ წყაროზე,
ჩემი რითმების არ
მომპარავი...
გადათვრებიან,
გრძნობის ყაწიმით,
გევრიც ცრემლებად
დაიღვრებიან,
გევრი ლექსია
გედით ნაწვიმი,
გევრიც ლექსებად,
ამღერდებიან...
მე ამ ბილიკთან,
სისხლი ვანთხიე,
სულით კი მაინც,
არსად დავეცი...
მოღალატესაც კლავ ვაპატიე,
გულს ჩავიმარხე
და არ გავეცი...
თუ მეკითხებით
რ ა ა
ს ი მ დ ი დ რ ე,
გეტყვით : იმედი, რწმენა,
მ ე რ მ ი ს ი ს...
ჩამომდგარია
ზეციდან კიბე,
მ წ ვ ა ნ ე,
პოეტის შესაფერისი.

ბოროტების საბუდარო

მოდი მტერო, გელიდები,
თუმცა ვიცი, აღარ მოხვალ...
ისევ შენ გზას დაადგები,
სიტყვით ისევ, რამდენს მოკლავ.
მე კი ვეღარ შემაშინებ,
ვერც ტოტივით ჩამომტეხავ,
მადლის კოშკებს ვაშენებ და..
შენ დადიხარ, ქარ და მეხად.
მეცოდები, საცოდავო,
ძველებურად შევარდევნობ,
გული არ მაქვს საავდარო,
სიტყვაც რატომ დაგადევნო.
თუმც მტერი ხარ, დაგარიგებ,
ისევ სწორ გზას მიგანიშნებ,
ქარ--ბორბალას აგარიდებ,
საკუთარ სახლს აგიშენებ.
შეგისახლებ, სადაქალოს,
შემოგაწვდი, ვახშმის სარჩოს...
ტუჩები თუ ათართქალო,
ცხელმა ხარჩომ არ დაგახრჩოს.
დაიჯერე, წახვალ, ერთ დროს
გზას შორეთში, დაადგები,
ის წარსული თუ შეგერგოს,
ახლა ნუღარ გაავდრდები.
ჩავარდები კუპრის ზღვაში,
სულს დაახრჩობ სამუდამოდ.
ვეღარ იფრენ მტრედად ცაში,
ბოროტების საბუდარო!

უფლით ნაკურთხო

მე მოვალ, შენთან, როცა არ მელი,
როცა ალუნჩებს ფერი ეცვლებათ.
ლოდინი თუმცა, კი არის ძნელი,
მოვალ და გული გამოცოხლდება.
მე მოვალ
შენთან, ფრთხილად, უჩუმრად,
ავაცისკარებ, ისევ მაისებს,
მოვალ და კარებს ნუ მომიხურავ,
ნუ ამიტირებ, წლების დაისებს.
მე მოვალ,
შენთან, გულის ცისკარო,
ჩემო ტკივილო, სახლის კერია,
დიასახლისი გთხოვ, რომ მიკადრო,
სხეული დარდით ანაცერია.
მე მოვალ
შენთან, ჩემო წარსულო,
არა გღალატობს, ფიქრის საწუთრო,
ჯერ აქ, სიცოცხელე
მსურს დავასრულო,
მეუღლევ ჩემო, უფლით ნაკურთხო!

ისევ

ისევ ღამესთან
ჩავაწყობ საქმეს,
ძილში მაჩვენებს,
ვინც მენატრება...
ღამეც სულ ხშირად
იმედებს მაძლევს,
ვგრძნობ სიძლიერე
შემემატება.
ქარი კი ძილშიც შემეკამათა,
არ დამინდო
და არც მე დავინდე,
ცამ უკვდავების,
თასი მომართვა,
დილამ კი ყინვა
სულ მთლად დამიდნო.
მერე ისევე დროის ჭიდილი,
წვიმის და ქარის
'შემორიგება
რა კარგი არის
გულის ღიმილი,
და ღამე ძილის
მოწესრიგება.

ვკითხულობ ლექციას

მზის სითბოს, ვარიგებ, ვატარებ აქციას,
მოვიდნონ წაიღონ,
რომ იყვნონ ჯამრთელად...
სუყველას ვაჩუქებ, ქალია, კაცია,
სუყველას,
ვინც მოძმეს, არასდროს გათელავს.
კვლავ ხდება ღალატი, კუდების ქიცინი,
მკვდრებიც კი გაცოცხლდა,
რა ხდება ვერ ვხვდები,
დავდუმდი, ცბიერნი ან როგორ მიცინის,
მომრავლდა,
ანტი და მომრავლდა, თავხედი.
მზის სითბოს
ვარიგებ, ყინვა მსურს გავალღო,
ლექციას
ვკითხულობ, ვასწავლი ქართულად,
ქართველო,
ქართველი არასდროს გალახო,
რად გინდა სიცოცხლე,
რომ გვთვლიდნონ ავსულად???

გელოდები

გელოდები ისე როგორც,
დილას, თვალებ ახელილს...
შვილო, ქარმა არ გამროზგოს,
მინდა შენი ალერსი.
ო, ეს ბედი ჩემი ბიჭო,
გამძლეობით მე მცდიდა.
სხვებს არ უნდა გაუჭირვო,
სევდა ჩემს გულს მარცვლიდა...
რა არ შემხვდა, რა არ ვნახე,
შემხვდა, ბევრი ტკივილი,
გადამარტყა ბედმა სახრე,
არ მეღირსა ღიმილი.
ქმარშვილი, რომ ცას მეგულვით,
გული როგორ ვახარო,
სევდავ, ბედთან რომ შეუღლდი,
ეშმა მიტომ ხარხარობს.
გადავწყვიტე დავიღალო,
კალამს ვანდო რაც მიჭირს,
დღე ფუფსით დავიღამო,
ღამეს ვეტყვი გასაჭირს.
==========
გელოდები...

""(ლალი ასაბაშვილს)"**

სულით, ხორცით ლამაზო,
კაბა სევდის გაცვია,
გული მთლად არ ჩარაზო,
წლები შემოგძარცვია...
შეასხვიპე მზეს სხივი,
ვარსკვლავს შეეპოტინე,
ნუ იქნები სულ ცივი,
მთვარეს ნუ ალოდინებ...
გაუღიმე, ღამესაც
ბნელშია და უკუნში...
გაუფრთხილდი წამებსაც,
მოგკლავს ცრემლის სლუკუნი.

* * *

ცამ ზეწარი გადააკრა მთვარეს,
ჩამოუშვა შავი ფარდა, მწუხრის...
დაღლილ თვალებს, წამწამების შარებს...
ღამის ბინდით შიშით, გული უთრთის...
ვანუგეშე, მოუყევი ზღაპრებს,
ლექსებიც კი მიძღვენი ბევრი,
უძილო თვალს რითი გავახარებ,
როცა გული აღარაფრით მღერის...
ძაღლმაც წყრომით შეუყეფა ზეცას,
მწირი შუქი მომაწვდინე ქოხში,
გამუდმებით, მეც იმიტომ ვყეფავ,
ვერ ვისვენებ, შავი ღრუბლის თქორში.
გავათენე ასე კოწიაწით,
დილის შუქის იმედების რწმენით...
ჰოდა, ცაო, ლურჯად მოწკრიალდი,
რომ არ იყოს ეს დღეც, მოსაწყენი!

==არ შეშინდეთ გამოცდაა

არ შეშინდეთ მთავარია,
შეხვდით ამ დროს შემართებით,
მე გავმაგრდი რახანია,
შინდებიან წარმართები.
შეუძახეთ შიშის ზარებს,
დაამშვიდეთ გულის ძარღვი,
აღარ აყვეთ მქროლავ ქარებს,
გულს დარდებით ნუღარ დაღლით.
გამოცდაა, არ შეშინდეთ,
გამოგვცადა თვით უფალმა,
სიყვარული არ მოგვშივდეს,
არ დაგვძლიოს სიძულვილმა.
იზეიმებს იმედები,
მზეც ამოვა ძველებურად.
ნუღარ მიედ-მოედებით,
თორემ ერი განადგურდა.

ლექსის მატარებელი

სიძულვილის სიტყვაც გულს მიბზარავს,
სიყვარული არის ჩემი კრედო.
ჩემი გული ჩამოკიდედ ზარად,
შეგიძლიათ, მას თამამად ენდოთ.
ყველა მიყვარს,
მე კი ღმერთს უყვარვარ,
მფარველობს და მაძლიერებს, მუდამ,
მტრის მოძულე, არასოდეს არ ვარ.
მისგან წყენას ჩუმად გულში ვგუდაც.
თუმცა ბედით ვტირი როგორც წვიმა,
დიდ მდინარედ ავდიდები ჩქარა,
ჯვარცმა იყო, ის, წარსული წინათ,
არ იქნა და აღარ დაიდარა.
რწმენა მშველის, სიკეთეზე ფიქრი,
მადლის კაბა შევიკერე ბედზე,
შვიდთან ნოლი მიეწერა შრიფტით,
და სიბერეც მომიჩოჩდა, გვერდზე.
ცინიკურად გადავხედე სტუმარს,
არ მამჩნედა პოეტს, უბერებელს...
ზოგჯერ ზეცას ფიქრის ჭერით ვხურავ,
მგზავრად მივდევ,
ლექსის მატარებელს!!!

ბედისწერა

თოვლს სხივები ატირებს და...
მე კი ჩემი ბედისწერა,
ძირს წაქცევას არ ვაპირებ,
რწმენით პირჯვარს გადვიწერავ.
ხვანში წმინდა გიორგია,
აქ თბილისში სამებაა,
დარდით ბევრჯერ მიბორგია,
ეს, სიცოცხლე წამებაა.
მაინც ჯიქურ შევებმები,
ჩემი ბედის უბედობას,
თუ ეკლებში დავებმები,
კვლავ არ ვიგრძნობ უდედობას.
ხვთიშობელი დედაა და...
ვარსკცლავები ცის სულები.
მე თუ ცრემლი დამებედა,
მერცხლები მყავს ნათლულები.

შემომათენდა

ვის ტკბილად ძინავს,
ანდა კიდევ, ვინ ათევს ღამეს,
ჩემი ფიქრები,
ცრემლიან გზას მიჩერებია,
ოი, წარსულო,
იქნებ ისევ შენ მითხრა რამე,
ან, რატომ, რისთვის,
დარდი ჩემს წლებს შებერებია.
ირიჟრაჟა და..
ნამიან ცვარს, წასკდა ცრემლები,
მოწვდა ნამს სხივი,
შემოუშრო, მწვანე ხალათი.
დავრჩი მე მარტო,
ტკივილებით ანაცრემლები,
შემომათენდა,
ძილბურანის კუკუმალათი!

წლები

წლები ბლის ტოტივით დავიწიე,
მერე სათითაოდ მივითვალე,
ნანა უმღერე და დავარწიე,
ბედი ცის კიდიდან მითვალთვალებს.
რაო საყვარელო, ბედს შევძახე,
ჩემთან ნისლები არ გამოგზავნო,
სევდად გულში აღარ აძანძახდე,
ახლა მზის სხივს უნდა დავემგზავრო.
თოვლში ავიარე კიბები,
ქარის სუსხში მოკვდა გაზაფხული,
სევდამ ამოივსო ჯიბები,
მომკლა, ბევრჯერავარ დამარხული.
მოდი ვისაუბროთ, ვაუკაცურად,
შენ ხომ სევდის გრდემლში გამომკვერე,
ახლა ზღვაშიც მარტო გადავცურავ,
ბედო, ერთხელ მაინც დამიჯერე.
ცაში თუ კიდევ გყავს წასაყვანი,
შვილებს არ შეეხო განაჩენით,
დადგეს ჩემი ბედის გასაყარი,
ოღონდ კარგად მყავდნონ დანარჩენნი.
სხივო, გემგზავრები, ცას მოვდივარ,
ყველა მნათობები უნდა ვნახო,
წლებით სამოცდაათს გადავდივარ,
სივრცე მარტოდ უნდა გადავლახო!

დუმილი

დუმილი მიჯობს, რადგანაც ისევ,
დუმილის ფიქრი იმედს დამპირდა...
ზეციდან მთვარეც ღიმილით მიცქერს,
გრძნობს მითქმა--
მოთქმა ახლა არ ღირდა...
ჩემთვის დუმილი გახდა წამალი,
ვხედავ და ვდუმვარ, აღარას ვამბობ...
არ დამიყრია ბრძოლის ფარხმალი,
ერთი უბრალო საკითხის გამო.
გულში ზეიმობს, ყველა ლიდერი,
დაპირებების კოლექციაა,
პარტიებია მგონი იმდენი,
ვერ დავითვალე დიდი სიაა.
ო, როგორ ვნატრობ ყველას უყვარდეს,
მე როგორც მიყვარს ჩემი მამული...
ამბიციები მოვსპე, ავბარდე,
ზღვაში გაუშვი თევზი ხრამული.
ცურავს აღმა და მიყვება ტალღას,
არავის ერჩის მიდის თავისთვის.
თევზს არ ემჩნევა,
ფარფლებზე დაღლა
ცურავს და იკრებს, ძალას ხვალისთვის.
კეთილი თევზი მზის ათინათთან,
კლდეთა ნაპრალზე მიეფიცხება...
ქარიშხალია, ოდნავ თუ დათბა,
ხვალის იმედი გამომიცხვება.
==========
და ვივლი ისევ ამ ჩემს ბილიკზე,
======
მზის ტოტს დავიწევ მამლის ყივილზე.

ჩემი აზრით

ჩემი აზრით უნდა გიხაროდეს,.
რომ ვიღაცას დაჭირდი,
შეუძლებელი
უნდა შეძლო და დაეხმარო,
იმედი მიეცი,
იმ წუთში თუ არ გაქვს დაპირდი,
თუ გინდა, რომ მარადიულად გაიხარო.

დრო ქარისგან ნასუფრალი

მზის სხივებში, ზოგჯერ ელვა
გავარდება უმიზეზოდ,
ამ ხმაურზე გული ღელავს,
ხმები დადის ეზო--ეზო.
აღარ მიკვირს ასეც ხდება,
გულმა მით არ დაიდარა,
თუ სიზმარი ამიხდება,
თუ ხვალის დღემ გამახარა,
დარდის ბილიკს იას მოვფენ,
იქვე ვარდებს გავაშენებ...
რაც არ უნდა ამ გულს მოხდეს,
მაინც მზის კოშკს ავაშენებ.
იქ, იცხოვრებს, ვინც ღირსია,
ვინაც ტკივილს უმკურნალა,
შეასრულა ღვთის მისია,
ბრძოლის დროს არ მიიმალა.
გადახედავს კოშკს მაღლიდან,
სიყვარულით თვით უფალი,
საკამათოდ განა ღირდა?
დრო ქარისგან ნასუფრალი???

დააკვირდით

დააკვირდით გაავებულ ქარის დუელს,
დაუნდობლად
ტოტებს, როგორ აცვენს ფოთლებს,
შიშით გული უცახცახებს ყვითელ იელს,
დედა ქალი
ცხელ თორნიდან აწყობს შოთებს.
ქარი ზმუის,
ტყეც აცეკცდა მის დაკრულზე,
ტყეში შველი,
დაკუნტრუშობს დედას ეძებს,
არასოდეს,
არ გაცვალოთ სული ფულზე,
გასაჭირში არ გაწიოთ, მოძმე გვერდზე.
თუკი შეძლებთ,
აპოვნინეთ, იმ შველს დედა,
ხედავთ ქალი,
ქარშიც აცხობს შოთის პურებს,
მიეხმარეთ, იქვე თუ ხართ რა მოხდება,
ის ქალღმერთი,
თქვენც ალალად დაგაპურებთ!

არა მცალია

სამაიმუნოდ, არც გული მაქვს, არცა მცალია,
მივდევ ბილიკებს, გზებზე ვტოვებ,
გულს ცრემლში ნახარშს...
დარდი, ეს ჩემთვის, სამუდამო ტყუპისცალია,
სამწუხაროა, ვერ მივირთმევ სიმშვიდის ვახშამს.
თუ გელხინებათ, ილხინეთ და სეფეც გამართეთ,
და თუ იცეკვებთ, ინარნარეთ ცეკვა ქართული,
რაც თქვენ გეკუთვნისთ, თქვენი არის,
არვინ წაგართმევთ,
კრძლვით მავანნო, რადგან მე ვარ,
ღმერთის ნათლული.
ოქროც თქვენია, ბრილიანტის სამკაულები,
მაგრამ სიმდირე, სხვა რამეა, მიუწვდომელი...
სიმდიდრე არის, როცა ყვავის ბროწეულები,
გალაქტიკაა, (პოეზია) სულის ნობელი...
=========
მე პოეტი ვარ!

დასაფიცი

საქართველოვ, მოგილოცავ ღვთიშობლობას,
ემიგრატებს – სხვისიანებს, ჩემიანებს...
ჭირშიც, ლხინშიც, ერთმანეთთან თანადგომას,
ბრდღვინავს ქარი, ძველებურად ჟინიანობს!
რა უშველო, რა დავწერო, აღარ ვიცი,
რწმენის გარდა, ისეც რაღა შემიძლია...
არაფერი შემარჩინეს დასაფიცი,
წამწვდა ქარი თუმც ვერაფრით გადამძლია!
ოპტიმიზმმა გულში ისე ჩაიბუდა,
დაცვად რწმენა, დააყენა საპატრონოდ,
ბოროტობით, ისევ მტერი გაიგუდა,
ქარმა ჩემთან აღარ უნდა იბატონოს!
რად ვერ მიხვდი, რომ სიკვდილი არ არსებობს,
მთავარია, რომ სიკეთე ირგვლივ ვთესო.
ღვთის გული მაქვს, ტკივილების საარსებო,
უკვდავება, ჩემით უნადა დავამწესო!

არდავიწყება მოღვაწეთა



დათა გულუა

ქართველი პოეტი. დაიბადა ქ. თბილისში. ის ავტოავარიის შედეგად დაიღუპა 18 წლის ასაკში. დაკრძალულია ნარიყალას ტაძრის ეზოში. არსებობს მისი სახელობის ლიტერატურული კონკურსი. (1984-2003) ქვემოთ წაიკითხავთ მის ლექსებს.

ამოძახილი...

ყინულის სხეული თეთრ პოსტამენტზე,
თითები მკლავებს შედუღებული,
ისე ფეთქავდა ვარდებით სახე,
მზესთან პლუტონი შეუღლებული
გზააბნეული ცელავდი სხეულთ,
ნანადირევით მხარდაკონკილი,
მე ჟანგს ვაყრიდი მაგ შენს ცელს, წყეულს,
ვერ დაგიმტვრიე გულზე ბორკილი.
თავი მეგონა კოშკის ხელმწიფე
და ოფელია თითქოს ერთგული,
გამშორდა მთვარის მეოცე ღამეს
და ცრემლს მისხამდა დოქით მერწყული.
გულმა გადიძრო თვით მკერდის კანი,
მხრები დაამხო აწ ნაწვალები,
მთვარეზე აძვრა კვლავ შენი ტანი
და დღესაც მოსჩანს ის ნაკვალევი
მაშინ ვიხვიე ბეჭებზე ფარჩა,
სარკოფაგივით მახურავს დღემდე
და დამსხვრეულა იმედის მაჯა,
რომელსაც ასე ძლიერად ვენდე
და გაზაფხულზე დავრჩი ძარცვული,
ვით ჟამთა სვლაზე კოლიზეუმი,
ჩემს სარეცელზე ვწევარ ჩაცმული,
ვწევარ და გეძებ ისევ წყეული.
იმ დღეს იწვოდნენ გზაზე ფოთლები
და ჩვენს ადგილზე ისხდნენ მტრედები,
შენი ცრემლისგან ვეღარ ვლოთდები,
ოთახის კედლებს ვეღარ ვედები.
და დავრჩი ასე უშენოდ, მარტო,
შენი სფინქსებით მევსება ღამე,
მთვარემ გადიძრო წარსულის მანტო
და დააღონა მშიერი არე.
გამთენიისას ჭოტი კნაოდა,
ბალახზე იდგა ნისლი, დარაჯი
და სიყვარული ჩემში დაობლდა,
ჩაინთქა თვალში ვარდის სარაჯი.
მიჰქრის...
მიჰქრის,
მიამტვრევს,
მაგ ჭრელ ნაწნავებს
და ელის სული მთვარეს ნაწვალებს.
თუნდ გაიტანოს ზღვაში ფიქრები
სიძვით ნატანჯმა გემმა,
შენ მაინც შავი დალი იქნები
და მუქი ქრიზანთემა.
კვლავ დაიკეცა ბილიკი ასჯერ
ათიათასჯერ დაემხო გზები
შენსკენ მომავალს, სიკვდილით ნაჯერს
არვინ დამიგო ბზები.
და გავახვიე ხარბად ნაბადში
თიბათვის მშვიდი ფერი,
გაინავარდებს სიძვა ჭალაში
ვით მოფრიალე სროლის წინ მწყერი.
ბოჰემა
ქალაქი ხმლებით კაფავდა ღამეს
რა დუმილია? რა დუმილია!
სიზმარი მიმტვრევს ოთახის სარკეს,
ქვის დუღილია, მზის წყურვილია.
საათი მოკვდა ჩემს მაგიდაზე,
ბოლთას აღარ სცემს წამის ისარი
და უკვდავების ჩუმ გარინდვაზე
მერქნით ამევსო გულის ფიცარი....
მე ისევ ვიღებ ჩემს ძველ თამბაქოს
და თავს მოვაწვავ ცეცხლით, ყრუ ალით
ბედის უკუღმართ გავშლი მე ბანქოს,
სადაც თავს იკლავს აგურის ქალი.
ჩემს წინ დაჯდება ქველი ბახუსი
შემომთავაზებს გვირგვინის მტევნებს
და მიღალატებს მე იანუსი,
როცა გავანდობ გულის დარდს ქვევრებს
შევბანცალდები ღამის ქსოვილში
ზურგს ჩამოვაგლეჯ ყოფის კიდობანს

და აჩრდილების უხმო ქორწილში
მივიტან მე ჩემს გაცვეთილობას.
ქიმერიონში შავ ფრაკს გავიხდი,
კვლავ დავუჯდები გარდაცვლილ ყანწებს
და პანთეონში, ქართა მახვილში
ვეალერსები გარდასულ ნაძვებს.
ყოველ გვირაბში დავიდებ ბინას,
გადმოვღვრი ბაგით ლირიკის საგზალს,
სიონთან ლურჯი ცილინდრით მივალ
და შევექცევი ზარებთან სამხარს.
ვით მზით დაჭრილი ჭრელი აფთარი,
მე გავექცევი ქალაქის ავდარს,
ჰორიზონტებზე მოვა ზამთარი,
სულში ჩამისხამს დეკემბრის ბადაგს
უკან პოეტთა მომყვება გუნდი,
საფლავებიდან რომ წამომდგარან,
მიწა მიყვირის – ფაშვში დაბრუნდი,
გუშინ მთებიდან ტყე გადმომხტარა
მე ცაზე ვხედავ იესოს ჯვარცმას,
ღრუბლის მაგივრად ვხედავ გრაალებს
და ვეღარ ვასწრებ მანტიის ჩაცმას,
რომ უკვე დილის დროშა ფრიალებს.
ჩემს სარეცელზე მე მომასვენეს
თვით მეტერლინკის ლურჯა ჩიტებმა
მკერდქვეშ ზღვის ყანწი გამომატანეს,
ტანზე სიზმარი ფერად ჩითებად.
ქალაქი ხმლებით კაფავდა დილას
იღიმებოდა კედლის საათი
ჯანდაბა! ისევ ბახუსმა მტკვირა
და ტორტმანებდა ლოდინის ზარი.

* * *

მზემ ჩამოიხრჩო სხივებით თავი
ეჰ! სული კალამს ისევ დასჯერდა,
ის გადამწვარი, ცხელი ხელებით...
მელანში ჩავწექ მე კვლავ ასჯერ და
ათიათასჯერ ნიღბის ფერებით.
აქ ძვლიდან ძვლამდე გადაუჭიმავს
ობობასავით გულს ეს ქსელები
და შენ იჯექი ტარანტულივით,
ისე დავმძიმდი, ვეღარ გელევი.
მიჯაჭვული ვარ მე ჩემს სარეცელს,
თეთრი ოთახი გახდა საკანი
და ვიცი, ღამე ხანჯალს დაეძებს,
რომ გადამიჭრას სევდის ქამარი.
დამწვარი მთვარე ბუუტავს ღრუბელზე,
ხელებს ურტყამდა ჯებირებს წვიმა
და ალიონის ცისფერ ღუმელზე
თითქოს ხარშავდნენ ქალაქის დილას.
ისევ დავყურებ ბებერ შენობებს,
ინთება კვამლი დღეს ქუჩებიდან,
მე ღვინო ვასვი გუშინ დემონებს,
მთვრალნი გავყარე სარკმელებიდან.
ჩვენ დიდხანს ვბჭობდით, რომ პოეზია
არის სიტყვების ოქროს ოლარი,
მათ იგრძნეს, ჩემს სულს ლექსი ესია,
რომ ჩემს საყდარში არავინ არი.
რომ ხან დარაბებს მიველეწები,
რომ გაზაფხული ისევ გაიხსნას,
სიბნელეები, როგორც მხეცები,
ცდილობენ, ცხელი ვნება დამისხან.
კვლავ დავიმდუღრე ჭრელი ნიღაბი
და ირონია შემრჩა კოჟრებად,
ამიცახცახდა უცებ ნიკაპი
და დაიფანტა ღამე ბოშებად.
აჯანყებულან ჩემში რითმები,
სიცარიელე კვლავ ამომშრალა
და ვიცი, ღამევ, ისევ ფითრდები,
შენ ხომ სიბნელე გედება ბრალად.
ახალი გლოვა მოფრინდა გრილი
და თითქოს ზეცად მოვარდა ზვავი,
მე გამეყინა უცებ ღიმილი,
ჩემი სარკმლის წინ, მტვრიან ქალაქზე,
მზემ ჩემოიხრჩო სხივებით თავი.
და მეეზოვე გვიდა სახეებს,
ამ შემოდგომამ კვლავ რომ დაფანტა
და დავემსგავსეთ ისეთ მარეკებს,
ზეცას ეწერა დიდად: "დაღამდა"!
მეტეხის ძირას მტკვარი ბოდავდა
და შიშით კლდეებს ეკიდებოდა,
ნუთუ სინათლე, სხივი მოთავდა? –
ის ხიდებს ფიქრით ეკითხებოდა.
და ირწეოდა მზე ჩამომხრჩვალი,
ვისი ბრალია მისი სიკვდილი?
ვისი ბრალია, რომ ნარიყალას,
პირველად უნდა ქვებზე ტირილი?!
და სული კალამს ისევ დასჯერდა
ატყავებული, ცხელი ხელებით,
მელანში ჩავწექ მე კვლავ ასჯერ და
გულს მივიყარე მიწა ბელტებით.
ადამიანებს ჩაუქრეთ შუქი



მეუფე თადეოზი
(მირიან იორამაშვილი)

წმიდა გიორგისადმი

იდიდოს შენი სახელი
ყოვლთა ბოროტთა მლახვრელი

წმიდავ გიორგი, ჰფარავდე
კეთილსა ქვეყანასაო,
გულდაწყლულებულს ჰკურნავდე,
თვალს აუხელდე ბრმასაო,
დააჯერებდე მოკვდავთა –
მთაზე შეადგამ მთასაო,
ვინც ვერა იცნას კეთილი
დააბრალებდეს თავსაო.
სიკეთის ზღვაში კეთილად
დააცურებდე ნავსაო,
ჭეშმარიტება მაღალი
გაგვინათებდეს გზასაო,
წმიდავ გიორგი, ჰფარვიდე
ქართველთა ქვეყანასაო.

1973წ.

* * *

მამაო ჩვენო, ცათა შინა მყოფო სუფევით,
წყაროვ ცხოვრების, სიყვარულის, თავისუფლების,
წმინდაა მარად სახელი და დიდება შენი,
ყოვლისმყრობელო, უკვდავების ნათელი გშვენის.
მამაო ჩვენო, საკვირველად მსუფევო ცაში,
მოველ ამ ქვეყნად სურნელოვან ვარდების გაშლით,
ჰყავ გული ჩვენი ანგელოზებრ უმაკნო ბავშვის,
ესაა ფრთები და ამ ფრთებით იფრენენ მაშინ
სასუფეველის სიხარულში და დიდებაში.

დიდებულ უწმინდესს

გულთა მცნობელო, გულთა მხილავო,
წმინდა ჭურჭელო სული წმინდისა,
მამულზე ლოცვით ღამეთ მხმილავო,
გამფანტველი ხარ სოფლის ბინდისა.
შენთა საქმეთა მოთვლა ძნელია
რამდენს იღწვი და რამდენს მუშაკობ...
შემწე დიდი გყავს – წმინდა ელია
შენ საქართველოს მფარველ-გუშაგო...
ჭეშმარიტების მადლით მოცულო,
ღირსო დიდების – ტკბილად „აქსიოს“...
ერი კი, შენი, შენზე ლოცულობს,
მარადისობის მზედ რომ გაქციოს.
დიდ წინაპართა ნათელში ბრწყინავ,
ქართვლის სიწმინდის დროშად ქცეული...
საქრისტიანოს მიუძღვი წინა,
გლოცავს მესამე ათასწლეული.

მოკრძალებული და შვილური სიყვარულით
25. 12. 2012.

* * *

ო, ღმერთო ჩემო, ღმერთო დიდო, ღმერთო მაღალო,
რომელმაც შეჰქმენ ცა და მიწა, სრულად სამყარო,
შემიწყალებდე არა ღირსსა, შესაწყალებელს,
სული და ხორცი ჩემი ოდეს ერთურთს გაჰყარო...
შენი სიცოცხლე ერს უხარია

დე, ყვავილობდეს მართალი რწმენა უწმინდესს

ღვთივკურთხეული სიცოცხლის ენა
და სხივკამკამა მარგალტები...
დე, ყვავილობდეს მართალი რწმენა,
იყავით მცველად ჭეშმარიტების.
მოგაგებს სამწყსო სამაგიეროს,
რა სიყვარულით თქვენ გიყვართ იგი...
ოღონდ ცით მადლის შუქმა იელვოს,
არ მოგვეშალოს წესი და რიგი...
დე, წმინდა ცრემლი ერის წყლულს ჰბანდეს,
გვლოცავდეთ მარად წმინდა ხელებით
და თქვენს ცრემლიან ღიმილში ჩანდნენ
ნუგეშმცემელი ცისარტყელები.

ამინ.

2001წ. 1 აპრილი

* * *

კურთხეულ იყოს ეს დღე, ეს წამი,
ცით ჩამოსული ნათლის ჩქერები,
დღეს მწუხარების ხუნდებს ლეწავენ
და ცის მოხილვას აგვაჩქარებენ –
ძალნი ცისანი – უფლის წყალობით
საკვირველნი და ელვიანები...
და უცნაური მაინც ის არი,
რომ მიწის მკვიდრნი აგვიანებენ,
ამ წამის ყოფა წუთისოფელში
თითქოს მარადის ვიყოთ დამრჩენი...
ღმერთო, შენ იყავ ჩვენთვის მოწყალე
და არ ღირს დარდად სხვა დანარჩენი.

სად ყვავილი სამოთხის

სად ყვავილი სამოთხის
ლამაზ თვალებს ახელს,
ზეცის წიგნი სიცოცხლის
ჩაწერს უკვდავ სახელს.
იგი მარადისია,
ზეცის წიგნი ტკბილია,
სხვა ვინ თქვენებრ ღირსია,
უწმიდესო ილია.
უწნიდესო ილია,
ცით ნაკურთხო მეუფევ!...
ლოცვა აღვლენილია,
მამულს მადლი შეუქე...
ქართველს შვილად მოსულხართ,
იმის სინდის-ნამუსად,
ხატებრ ეალერსებით,
ენასაც და მამულსაც...
შუქი ოქროფენილი, –
მამულის მთებს აანთებს,
თქვენი სიბრძნის წერილი
მომავლის გზებს ანათებს.
წუთისოფლის სიმძიმე,
თქვენი ღვაწლით ძლეულა,
დაგიბრუნებთ უფალი
ნაღვაწს ათასეულად...
... ხამდა ქება ციერთა,
არა ცოდვილ ენითა,
ჟამი განათლიერდა,
თქვენი დიდი რწმენითა.

მთები

მე ჩემი პაპის
პაპის პაპების,
პაპის პაპები
მგონია მთები.
ჩემო წმიდა ხატო
შენ ხარ ჩემი მზე და ჩემი სიხარული,
შენი მზე მათბობს და მიჩრდილებს ჩერო,
ჩემო წმიდა ხატო, რწმენავ, სიყვარულო,
ტკბილო სალოცავო – მამულო ჩემო.
შეხე შენს იარებს, რა გზებით იარე,
მაინც არ გატყდი და სიმაღლეს ჩემობ.
სიმღერით ირჩენდი ნახმლევ-ნატყვიარებს,
იმედით ცოცხლობდი – მამულო ჩემო.
დღე იყო დარით თუ ავდარით დამთვრალი,
სუსხი იანვრისა თუ ხვატი მკათათვის,
აკვანში გეწვინა ბევრი მზე და მთვარე,
ნანას ღიღინებდი ცეცხლოვან ყრმათათვის.

1973წ.

ბეჟან ხარაიშვილი

* * *

ისევ გინატრე ყვავილობისას,
თოვს, ამ გაზაფხულს სად დავემალო...
კოცნა? არასდროს არ მითხოვია,
მე მინდა მხოლოდ თვალი შეგავლო!
და შორეული მგზავრივით დაღლილ
მზერაში ჩანდეს შენი თვალები –
მერე დავამსხვრევ ნიღაბს შიგნიდან
და ჩემშიც ვეღარ დამემალები...
ჩემი გულივით გელის და ღელავს,
ახლა კი თოვსდა... ალუბლის ტოტი
იელვებს ცაზე, როგორც ფურცლებზე,
ხელგაკვრით დაწერს შენს სახელს ელვა.
მე იანვარში დავბადებულვარ
და გაზაფხულზე მოვკვდები, ლელავ!

სიზმარი

ბაღი ვნახე და სიზმარი ერთად
ყვავილთა უცხოდ ნაფერი მოლით,
ბოლოკს ვარდების სურნელი ჰქონდა,
ვარდი ძალათი ისხამდა ბოლოკს!
მზე ანათებდა მაგრამ გზის პირად
მუხა ტოტებში ცრემლად დნებოდა...
“პლანი”, “პლანიო”, სტვენდა ნარცისი
მინდვრის ოხშივარს ეტანებოდა!
– გონს მოდით მეთქი! – ვიყვირე ერთხელ,
ვიდრე არ არის ბიჭებო გვიან,
– ჩვენ ქეშები ვართ! შეტყდი მანდედან
ჩაიხავილა ხახაში ხვიამ.
– არაყს მოველით;
ცის ნამს ვიღა სვამს,
გოიმებად და შტერებად გთვლიან,
– მეც მოდას მივდევ! მოდი, მაკოცე –
გამომწრიპინა ბუჩქიდან იამ!
ღმერთმა დასწყევლოს გადაგვარება,
არა და ბაღო, როგორ მიყვარდი.
შევეხე ვარდს და...
ბოლო კი დარჩა –
...ეს შენ იყავი...

* * *

ცა რომ მტრედისფერობს,
ტყე რომ ფერი-ფერობს,
მზე რომ ნისლის ყანწებს ეტანება,
ბუჩქთან წამოვწვები
სადმე ცვარიანში
ლექსებს დავაპურებ ნეტარებით!
უბეს გამიქექავს
ქარი თიბათვისა,
გულში ჩამეტკბობა პირველყოვლის,
რითმებს გამოაკრთობს
წვეთთა სინაზეში
და მზით გადაფერავს
მწვანე მოლი,
წყარო სისხლს გადუსხამს
ღელის ცისფერ ვენებს
და ძმას ჩაეხვევა
ძმადნაფიცი,
ამ მთებს ვენაცვალე,
ამ ტყეს ვენაცვალე,
მეტი რაღა დამრჩა დასაფიცი!
ერთი გაიხედე ქარი რა დღეშია,
როგორ გადალოკა არე-მარე,
ეს შენ გიმღერიან ზეცის ასულები
მუხავ, ჩამუხლული, გაიხარე!
რტომან შინდებისამ იყვავილა
და მზე ჩანჩქერების თარზე დნება,
გული სამარეშიც იმზიანებს,
გული სამარეშიც ამღერდება –
ჩვენში ასე იცის
მზემ ამოსვლა,
ჩვენში ასე იცის გათენება!

სიყვარული იწყებოდა ასე

გახსოვს? ღამე სოფლის განაპირას,
კოდის წყალთან ხელადები ვავსეთ,
გეჩქარება? – გკითხავდი და დუმდი...
– სიყვარული იწყებოდა ასე!
სიზმრად გნახე, ღია სარკმლის იქით
გეხვეოდა ანგელოზთა დასი,
მოჩვენება? არა, ცხადი იყო...
– სიყვარული იწყებოდა ასე!

შენს თვალებში ციმციმებდა, მახსოვს,
უსაზღვრო ცა, იმედებით სავსე,
ძილი გსურდა? არა, ღამისთევა...
– სიყვარული იწყებოდა ასე!
ტოტებ-ტოტებ მოგყვებოდა მთვარე,
კოდის წყალთან ხელადები ვავსეთ,
გეჩქარება? – გკითხავდი და დუმდი...
– სიყვარული იწყებოდა ასე!

ეს ცხოვრება

თუ რამ სადმე მეტი შევსვი,
გადმომდინდა ცხვირში ძმარად,
ეს ცხოვრება ბაგირია
ხან დავძლიე, ხან დამძალა.
ოქროს ჩიტი მოფრენილი
ბევრჯერ თვალწინ ამაცალა,
ფეხი წავკარ, წავიჩოქე,
სულის მოთქმა არ მაცალა,
ხან ალერსით მანებივრა,
ხან დამაგდო ბაღში ცალად,
ეს ცხოვრება ბაგირია –
ხან დავძლიე, ხან დამძალა,
ხან ცხელ-ცხელი პური მომცა,
ხან მაჭმევდა ცივ მჭადს მცირედს,
ეჰ, ცხოვრებავ, ვერ გადაგძლევ...
შენ ორს ებრძვი –
მე და იმედს.

სხვაობა

მაგნიტოფონი მივიწყებულ სიმღერას იწერს, –
გულის ძარღვები მამულის სუნთქვას,
მაგნიტოფონი ჩანაწერის გადაშლას იწყებს, –
გულში ჩანაბეჭდს ვინ ამოთუთქავს?!
მაგნიტოფონი უცხო მიწის მსმენელსაც იწვევს
...მამულის ბედზე ვის უნდა უთხრას?!

გამოთხოვება

დათვის ჯვარს ვეფხვის ფერი დაჯაბნის
და სიმწვანეში ჩასთვლემს ხახმატი,
ნახვამდის ხევის მუავე წყლის შხეფო,
მიწის მზექალო, შენაც ნახვამდის!
რა დამავიწყებს ბეწინას წისქვილს,
არაგვის ტალღის ქვებთან ხუმრობას...
მიყვარს ეგ მთა და ეგ ქალიც მიყვარს,
მაგრამ შევძლებ კი მაგ ხევსურობას?

* * *

ისევ ჩაიზნიქა ფიჭვის ტოტი და
თოვლმა ჩამოთვლიმა ნეტარებით...
ახალი წელი კი დადგა, მაგრამ
ისევ ძველებურად მეყვარები!

ეთერ ჭელიძე

უშგულელი გენიოსის ფრიდონ ნიჟარაძის შემოქმედება უკიდეგანო სივრცეებს მოიცავს,როგორც ნახატები ასევე პოეზია...სვანეთში ჩამოსული სტუმარი ამ შემოქმედების განხილვის გარეშე, არ დაბრუნებულა უკან.ამ დიდი შემოქმედის ცნობადობა სინამდვილეში უფრო დიდ მასშტაბებს უნდა მოიცავდეს,ვინაიდან ასეთები საუკუნეში ერთეულები იბადებიან. ჩემთვის დიდი ბედნიერებაა,რომ მისი ნიჭიერების გამომზიურება ჟურნალ ათინათსაც ერგო წილად, ჟურნალს, რომლის დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი გახლავთ, ჯუმბერ ლეჟავას სახ.მეცნიერებათა მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემიის პრეზიდენტი, ქალბატონი გულნაზი ხარაიშვილი, რომელიც ემსახურება ნიჭიერი ადამიანების აღმოჩენას და მზის სინათლეზე მათ გამომზიურებას, მადლობა მას გულწრფელი და უშურველი სიკეთისთვის!!!

სამწუხაროდ ძალიან მცირე დრო გავიდა ჟურნალის გამოცემიდან... ეს გენიალური ადამიანი, მოულოდნელად გარდაიცვალა...



შენივე სიტყვებით გამოგემშვიდობები ჩემო ფიდო!
,,ზეცაო მოველ შენს შესაქმნელად,
უკვდავ არსობის შენს შესარქმევლად,
მიწაო გავჩნდი შენს შესაჭმელად,
მიწაო, გახდი ჩემს შესანთქმელად,
დედაომიწავ შენ გენაცვალე,
მე ჩემ სიცოცხლეს შენ განაცვალებ"...

სამწუხარია რომ არამარტო ახლობელი, არამარტო ძმა და მეგობარი, თანასოფლელი, ქართველი კაცი, და არა მარტო სვანეთს, საქართველოს გამოაკლდა ერთი გენია, შემოქმედი, მხატვარი, პოეტი, იდუმალებით მოცული უკიდეგანო სივრცეების ერთი ფუნჯით შემაკავშირებელი, აღმწერი და განმვრცობი და სვანეთში ჩასული აღგილობრივი თუ უცხოელის თვალით დანახული ,,სალვადორ დალი□-დ" აღქმული უნიჭიერესი ფრიდონ ნიჟარაძე!

მადლობა უფალს, რამოდენიმე თვის წინ თითქმის ყოველდღე მქონდა შენთან შეხვედრის ბედნიერება, გიხაროდა რომ შენი ლექსები დ ნახატები ჟურნალ ათინათში დასაბეჭდად მიმქონდა...

პატარა მუზეუმია შენი სახლი სადაც დაუსრულებლად შეიძლება ისაუბრო თითოეულ ნახატზე, სადაც ერთ პატარა ნახატში ლამის მთელი სამყაროა ჩატეული...

მეამაყება რომ უშგულელი ხარ და ჩემი სვანეთის გენია!

მშვიდობით ფიდო!

ამა ქვეყნის თამადა ვარ!!!

ვენაცვალე მე ჩემს ფიქრებს,
ყველგან თავისუფლადა ვარ...
სად არა ვარ, რად არა ვარ,
ხმელზე ვარ და ცად არა ვარ,
სიყვარულით ავადა ვარ,
ჯანმრთელობით მთვრალადა ვარ,
შეგეყრები დარდადა ვარ,
გაგეყრები ავდრადა ვარ,
ჩემებ სენით შეპყრობლის
უკვდავების წამლადა ვარ,
ამა ქვეყნად ია-ვარდად
და იმ ქვეყნად ჩავარდნად ვარ...
მამა-პაპურ არყის მსმელი
და უცვლელი თამადა ვარ!
ამ არაყთან არ მიწყინოთ
ცოტაც კიდევ მწყრალადა ვარ,
მშობელ ქვეყნის ამა სოფლად
აუღებელ ციხედა ვარ!
ჯვრად გაკრული, ცოცხალ-მკვდარი
იესო ქრისტეს ცხედრადა ვარ.
ამირანი ბაყბაყდევის
ბრაზ-ბოღმად და ჯავრადა ვარ!
რას დამაკლებს ამირანი
ბაყბაყდევიც თავადა ვარ!
გლეხი, მუშა, მაცხოვარი
მათხოვარიც თავადა ვარ!
ვენაცვალე მე ჩემს ფიქრებს
ყველგან თავისუფლადა ვარ!
მიჯნურობით უკვდავების
საუკუნო წამლადა ვარ,
სნეულება რას დამაკლებს
სნეულებაც თავადა ვარ!
სიყვარული რაღას მიზამს
სიყვარულიც თავადა ვარ!
ავადმყოფთა ექიმებთან
ჯანმრთელობის მინისტრიც და
ექიმების სიჯანმრთელე
სახელმწიფე თამადა ვარ!
დავრჩი ისევ მე ჩემს ფიქრთა
სამუდამო სიჩუმეში...
წუთი სოფლით ამა ქვეყნის
უკვდავების სიმშვიდეში,
თუ წამითაც გეგონოთ რომ
ჭკუაზე ცოტა მცდარადა ვარ,
ნუღარ გიკვირთ გაიკვირვეთ
სიყვარულის თამადა ვარ!

ფიდო ნიჟარაძე

გურამ ჭავჭანიძე – უკვდავება

გულნაზ ხარაიშვილი (ცისკარელი)

გურამ ჭავჭანიძე გარდაიცვალა, თბილისის ტრუბადური. მწერალთა კავშირისა და ჯუმბერ ლეჟავას სახელიბის მეცნიერბათა, მრავალპეოდილიანი საერთაშორისო აკადემიის აკადემიკოსი. გრიშაშვილის, ბეჟან ხარაიშვილისა და მრავალი პრემიების მფლობელი. ოცდაათ დეკემბერს 89 წლის უნდა გამხდარიყო.

გუშინ 20 ნოემბერს 2 საათზე ვესაუბრე, საუბარი უჭირდა, მაგრამ იმედიანად საუბეობდა, აკადემიაში უნდა გამოვიდეო, ღონისძიება დავგეგმოთო. მერე, საიდუმლოდ, გამიმხილა, ნიკოს გადაღებული ფილმი ძალიან მომწონსო. შენ არ თქვა, სურპრიზი იყოს, მონაწილეებს 50 ლარი უნდა ვაჩუქო, სამივეს სათითაოდო. ნიკოს, მანანა კორძახიას და ერთი ჩემთვის უცნობ ქალბატონი დამისახელა. არ ვიტყვითქო დავპირდი, ახლა მიტომ ვამბობ, რომ მათმა უნდა იცოდნონონ, თუ, რას ფიქრობდა, ეს ყველასათვის საყვარელი პოეტი მათზე. ერთ ასეთ მომენტსაც გავიხსენებ, ღონისძიებას ვატარებ, მირზა გელოვანის სახელობის ბიბლიოთეკაში, ლამზირა შეყილაძე და ბატონი გურამის დუეტის დროს, მამა ამირანმა მთხოვა, ერთი წუთით ჩართვა უნდა გავაკეთოვო. მამა ამირანს უარს ვინ ეტყოდა და საოცრება ის, იყო, მამა ამირან ამირანაშვილმა, სტრიქონებს ჯვარი დაწერა. ასეთი სასწაულის მომსწრე გავხდით, იმ დღის ღონისძიების მონაწილენი.

ბატონი გურამ ჭავჭანიძე, გურამ გედევანაშვილი, პროფესორი გიორგი ბეჟიტაშვილი, ფაზისის საერო სამეცნიერო აკადემიის პრეზიდენტი ბატონი ნუგზარ ნადარაია, ოთხივე ჯუმბერ ლეჟავას სახელობის აკადემიის წევრები, ახალ წელს ცაში შეხვდებიან.

ბატონო გურამ, ღონისძიებას, ცაში ჩაგიტარებენ, სადაც შენი მეუღლეც იქნება და შენი საყვარელი უამრავი ხალხი. გზა ნათელში იყავი. აკადემიაში შენივე ხელით გაკეთებულ, შენივე გვერდთან, სანთელს, აგინთებთ და სიყვარულით მოგიგონებთ სიყვარულის კაცს.

ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა მრავალპროფილიანი საერათაშორისო
აკადემიის პრეზიდენტი და ჟურნალ ,,ათინათის,, მთავარი რედაქტორი,
გულნაზ ხარაიშვილი (ცისკარელი)

შენნაირები არა კვდებიან

(გურამ ჭავჭანიძეს)

შენნაირები ცაში ფრინავენ,
შენნაირები არა კვდებიან.
ზოგიც ცოცხლები აქვე გმინავენ,
და სამოთხეში არა ხვდებიან.
კეთილო გურამ, ცაშიც იყავი,
კაპოეტივით ფრინავდი ყველგან,
გვერდი მე აქაც გამოგიყავი,
ის უკვდავება უშენოდ ღელავს.
წინა დღის გეგმას რად უღალატე,
რად მომატყუე მოვალო შენთან,
ღონისძიების გეგმები მანდე,
თურმე ჯდებიდი სიკდილის გემთან.
აქ იტრიალებს ჯერ შენი სული,
და ჩემს ჟურნალშიც შემოანათებს...
ზეცაში არ ხარ ჯერ გადასული,
თამთა შენს თავთან დიდ სანთლებს ანთებს.
სულ ერთი თვე და კვლავ მოფრინდება,
დაბადების დღე, შენ რომ გიყვარდა...
ჩვენი ნურას დროს მოგერიდება,
თუ შენი სული ღვთით ცას მიბარდა.
ააღუღუნე ზეცა სიმღერით,
ააჭიკჭიკე ცა უსასრულო,
მომგონებლები დაგრჩა იმდენი,
ღმერთმა არასდროს არც დაასრულოს.
ე, ამას ქვია კაცურ ცხოვრება,
მეგობრობის და გრძნობების კაცო...
მოხდება შენი განმეორება,
ახლც ლექსები ცეკვავს და ანცობს.
მერე რა რომ წლებით დიდი ხარ,
ჩმი შვილი ხარ აკადემიის.
მე ხომ დედიკო, გურამ შენიც ვარ,
მტერი ვარ მხოლოდ ამ პანდემიის.
ქალი კი არა, ღმერთი ხარ ღმერთი,
რამდენჯერ ჩემთვის გითქვია გურამ,
დიდი რწმენა მაქვს გულში მე ერთი,
პოეტი ცაში არ მიდის მდგმურად.
ცას გელოდება სიცოცხლის წყარო...
გელოდება და შესვი პეშვებით. ..
როგორც პოეტმა მსურს გაიხარო,
მარადილი წლების შევსებით.

ლეილა გაფრინდაშვილი

ისეთი მხნე, სალისიანი, მიზანსწრაფული იყო, იმდენი სამომავლო გეგმები ჰქონდა, მიჭირს წარმოდგენა იმისა, რომ ჩვენთან აღარ არის. გურამ ჭავჭანიძე-თბილისის ტრუბადური, ღირსეული ქართველი, ნიჭიერებით, ცოდნით, გამორჩეული ხასიათით, სიყვარულით ავსებდა ყველას, ვინც კი მისი საახლობლო სივრცის მოზიარე იყო. ლექსს წაიკითხავდა და იმდენ გრძნობას, ემოციას ჩააქსოვდა, დარბაზში ცეცხლს დაანთებდა. როიალს მიუჯდებოდა და ისე აგიყოლიებდა, სიცოცხლის ხალისს შეგმატებდა! სულ ფუსფუსში იყო, მუდამ სამომავლო გეგმები ჰქონდა და ახორციელებდა კიდეც. ახლაც ემზადებოდა მოახლოებული დაბადების დღისთვის. ვაი, რომ არ დასცალდა. ბედნიერი ვარ, რომ ასეთ ადამიანთან მეგობრობა მეც მერგო წილად. რამდენი გასახსენებელი დაგვიტოვა სამეგობროს. დღეს მთელი არქივი გადავათვალიერე. პოეზიის საღამოები, შემდეგ კი ქართული სუფრები და ლამაზად მოლხენა. ნიკო ბაღაშვილის გადაღებული ფილმები, წიგნები, ფეისზე გამოქვეყნებული ლექსები. ერთგან მის ლექსზე ასეთი კომენტარი მიმიწერია: სიყვარულია მისი მისია, ჩვენი გურამი მარადისია! ამ ისე, უეცრად მიწერილმა კომენტარმა დღეს განსაკუთრებული დატვირთვა შეიძინა. მართლაც, მარადისი და დაუვიწყარი ხარ, ჩემო კარგო მეგობარო, არა მარტო ჩემთვის, მთელი ქალაქისთვის. ისიც ვიცი, როგორი მამა და ბაბუა იყავი. თითქოს უდედობასაც უვსებდი შვილებს, რაც მართლა იშვიათია.ბევრი საუკეთესო დეტალი მსმენია და ამიტომ ვწერ ამ სიტყვებს ასე გაბედულად და ხმამაღლა! ძალიან ბევრი კარგი რამ დამრჩა სათქმელი, ფურცლები რომ ვერ დაიტევს. მჯერა, სადაც ჩვენ, შენი მეგობრები შევიკრიბებით, შენი სპეტაკი სულიც მუდამ იქნება ჩვენთან. გზანათელი და ცათა სასუფეველი დაგიმკვიდროს უფალმა! ვიცი, ეს წერილი ადგილს

დაიმკვიდრებს ჟურნალ „ათინათში“. არ შემიძლია მადლობა არ გადავუხადო, ჯანმრთელობა, შემოქმედებითი წარმატებები არ ვუსურვო ქალბატონ გულნაზ ხარაიშვილს, რომელიც მთელი გულით და მონდომებით იტვირთებს ხოლმე, უკვდავყოს შენნაირი ღირსეული ადამიანები.

* * *

გარდაიცვალა თბილისის კოლორიტი უნიჭიერესი პოეტი, უზომოდ მოსიყვარულე პიროვნება, ბ-ნი გურამ ჭავჭანიძე .. ნათელში გამყოფოთ უფალმა, მარადისობაში ბ-ნო გურამ 😢ვუსამძიმრებ თქვენს ოჯახს... მე კი, თქვენგან მოძღვნილი ლექსი, თქვენივე ხელმოწერით, თქვენგან სამახსოვროდ დამრჩება ❤️

ლამზირა შეყილაძე

ბატონო გურამ მსურდა ამ სიტყვებით გამემხნევებინეთ,ცოტა ხნის წინ მოგიკითხეთ.თქვენმა ვაჟმა მამცნო თქვენი გარდაცვალების შესახებ,რამაც უზომოდ დამამწუხრა,დღეს მთავარანგელოზობაა...და მწამს ანგელოზების დასი მზენათელს არ მოგაკლებს.რადგანაც შენ ბავშვივით უმანკო სულით დადიოდი.სიყვარულს,სიკეთეს და სითბოს არიგებდი.ამ სიტყვებით დაგემშვიდობები, რომლის წაკითხვაც დამაგვიანდა..

არ შეგაშინოს ცივმა ზამთარმა, წლების სიმძიმე ცოტა რთულია ვერას დაგაკლებს ცივი ზამთარი, როცა შენს გულში გაზაფხულია. შენ სიყვარულად მოსულხარ ქვეყნად, ღვთიურ სიყვარულს უხვად არიგებ. მოვა აპრილი გულისფრიალით და მარტოობას გაგიამინდებს.

ნიკოლა ბაღაშვილი

ეხ! ბატონო გურამ, ეს წუთია დამირეკა დე, გულნაზ ხარაიშვილმა, სამწუხარო ამბავი გადმომცა, შვილო, გურამი აღარა გვყავსო, გუშინ ვესაუბრეო, ვინც იცნობდა, ვიცი, რომ გული დაწყდებათ, თბილისელ ტრუბადურზე, პოეტზე, მეცნიერზე ,მომღერალზე და მუსიკის უბადლო შემსრულებელზე, და უმაღლესი პიროვნების, ადამიანზე ბატონ გურამ ჭავჭანიძის გარდაცვალების გამო, რომელსაც ჩემს მიმართ მამობრივი და მზრუნველი სიკეთის მეტი, არა გაუკეთებია , გაზაფხულზე, ამ პანდემიის დროს დამირეკა და ვახ , კაცო რა გიყო, თან შეხვედრა არ შეიძლება, მოდი ჩემთან, და დაგეხმარები და აქეთ მასწრებდა მიკითხვას, საფერფლე ჯი საჩუქრად გამომატანე, და ჩემ ყოფას მიადვილებდა შენი ტელეფონის ზარი და ხშირი სტუმრობით სული და გული გახარებული მქონდა, სითამამეს და ეტიკეტიკით მასწავლე კაცად მშვენობის და ადამიანად დარჩენის უნარი, ყველას, შენ თანამეგობრებს, ვისთვისაც პოეზიის სული მალამოდ ეფინებოდა, ყველას ეპატიუებოდი თქვენი სულის და ხასიათების ლამაზ დროი გასატარებლად,ძმა მიწოდე, შენ ჩემი ძმა ხარო!-ვაი, რომ ამ ბედუკუღმართ დროში ძმობა ვერ გაგიწიე,

ბილო შეხვედრა კი ვაგზალზე იყო, სადაც კიდევ ერთხელ მომიკითხე სითბოთი და მითხარი, სახლში წამოდი ჩემთან, ჩემი საღამოსთვის მოვემზადოთო, შეთანხმდით რომ მალე დიდი სიკეთით ვნახავდით და მაგრამ, დამაღალატე, ცხოვრებაში, პირველად და აცრემლებული თვალთა დარდიდან, გული დამწყვიტე, შენ მუდამ დარჩები ერთგულ მეგობრად და იმ სულის თანამეინახედ, რასაც პატივისცემა და ნაღდი კაცის ადამიანობა ჰქვია...

ნელი გიუნაშვილი

ბ უ რ ა მ ჭ ა ვ ჭ ა ნ ი ძ ე ს

ლ ე ქ ს ი ე ძ ღ ვ ნ ე ბ ა
მწერალთა კავშირისა და ჯუმბერ ლეჟავას
სახელობის მეცნიერებათა მრავალპროფილიანი
საერთაშორისო აკადემიის აკადემიკოსს,
მეცნიერს, პოეტს

გაგასხივოსნა ლამაზმა ენამ,
ლექსმა ლამაზმა, შენ აგამღერა,
და სიმღერებმა, ღიღინ-ღიღინში,
დაგაღვინა და არ დაგაბერა.
შენ პოეზიის წიაღში ცხოვრობ
ლექსები შენი სიხარულია,
სიყვარულს უძღვნი, ლამაზ სიმღერებს,
შენი ცხოვრებაც სიყვარულია.
შენი თბილისი და შენი მტკვარი,
არის ზღაპარი ამქვეყნიური,
ყველას ხიბლია და საფიცარი,
ადგილი წმინდა და ზეციური.

უსიყვარულოდ ვერ გაძლებ ვერა,
შენ სიყვარულის შეგყრია სენი,
და, რომ იცოცხლო, უნდა გიყვარდეს,
უნდა გიყვარდეს, მოყვასი შენი.
ამ ლ ე ქ ს ი თ გ ე მ შ ვ ი დ ო ბ ე ბ ი
ბატონო გურამ. დიდი სიყვარული
დატოვე მეგობრებში და შენს ახ-
ლობლებში.ღირსეულო ადამიანო
მარად იცოცხლებ ჩვენს გულებში.
ნათელი და სანთელი შენს უკვდავ
და ლამაზ სულს.

ზურა ქობალია

მ ე გ ო ბ რ ე ბ ო
გარდაიცვალა დიდი პოეტი გურამ ჭავჭანიძე
საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის
წევრი.
იოსენ გრიშაშვილის პრემიის მფლობელი.
ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მრავალპროფილიანი
აკადემიის წევრი.
თბილისის ტრუბადური.
მრავალი პოეტური კრებულის აცტორი.
მარკშეიდერი.
მეცნიერი. (გამომგონებელი)
მუსიკოსი.
ის იანვარში. 30 ში 89-ის გახდებოდა.
ვუსამძიმრებთ მის ოჯახს
დღეს 22 ნოემბერს მისი მეგობრები ვიკრიბებით სპორტის
სასახლესთან, სააკაძის ძეგლის მხარეს.
15 საათზე.
პანაშვიდზე მისასვლელად.
ვისაც გაქვთ მობრძანების შესაძლებლობა.
ვესაუბრე მის ვაჟს ბ-ონ კახას.
არავითარი გაციება..
ავიღეთ. ანალიზიცო...
ნუ ასაკით გარდაიცვალა.
საზანოელი
593 022 913. საზანოელი.
599 343 727.

შორენა მამალაძე

წავიდა!..

სამწუხაროდ გამოუმშვიდობებლად...

მისი ბოლო საღამო, რომელიც რამდენიმე დღეში უნდა გამართულიყო, ვერ შედგა!

შემიძლია წარმოვიდგინო, რამდენად იმედგაცრუებული უნდა ყოფილიყო საკუთარი უსუსურობითა და სიკვდილის არაკანონზომიერი ბუნებით, სულ რამდენიმე დღე რომ არ დაუთმო...

მონუსხული ვუყურებდი ხოლმე მის გამოსვლებს და ვფიქრობდი, საიდან ამოჰქონდა ამ გალეულ, ჩია ბერიკაცს ამხელა ენერგია... საიდან იღებდა სათავეს ის ყოვლისმომცველი სინათლე, მის წყლიან, ცისფერ თვალებში რომ იდგა. თუმცა, რა საკითხავია, - ყოვლისმომცველი სიყვარულისგან, რომლითაც გაჟღენთილი იყო თითიეული მისი უჯრედი...

მისი მშვენიერი პოეზია სიცოცხლის, ძველი თბილისისა და მანდილოსნების თაყვანისცემა იყო. მთელი არსებით მეოცე საუკუნის შვილი იყო... ერთი იმათგანი, ვისი მსგავსნიც ამ საუკენეში აღარ დაიბადებიან... სამყაროსეული გარდაუვლობით რომ გვტოვებენ და იშვიათ, დიდ ტკივილად გვაჩნდებიან...

უკანასკნელად აკადემიაში შევხვდი, ჩარჩოში ჩასმული, სხვადასხვა დროს მიღებული სიგელები მოიტანა, აქ მირჩევნია იყოსო. ერთად მივუჩინეთ მის სიგელებს ადგილი, ბედნიერებით ანთებული თვალებით შეჰყურებდა და მილიმეტრიანი სიზუსტით მასწორებინებდა თითოეულს. უამრავი მადლობა და კომპლიმენტი მითხრა, ამ უკანასკნელს განსაკუთრებით უშურველად გასცემდა მანდილოსნებისთვის, თუმცა ჩემთვის ერთი, გამორჩეული ჰქონდა: ,,მართლაც რომ სულთ ხორცამდე ლამაზი" - მეტყოდა და როცა ღიმილს ვაგებებდი თვალები უციმციმებდა. იმ დღესაც ჩვეული კეთილშობილებით დაგვემშვიდობა, მაგრამ ჩანთა დარჩა და მოვაბრუნე. სწორედ მაშინ, წამიერად შევნიშნე რამხელა სევდა ედგა თვალებში, რა ძნელად ადგამდა მოკლე-მოკლე ნაბიჯებს და წელში გამართულს როგორ მძიმედ მიჰქონდა დახრილი მხრები...

კიდევ ერთხელ, მტკივნეულად ვაცნობიერებ, რა მცირე ვიცით ხოლმე დიდ ადამიანებზე...

დღეს უკვე სხვა რელსებით, სხვა სამყაროში გადაინაცვლა... პირველსაწყისთან დაბრუნების (ვისთვის მძიმე და ვისთვის მსუბუქ) გზაზე -- სიმშვიდე მის სულს! ❤️

ეთერ ზარიძე

გარდაიცვალა ყველასათვის უსაყვარლესი და უნიჭიერესი პოეტი გურამ ჭავჭანიძე... კაცი რომელიც იყო თბილისის კოლორიტი,გამოირჩეოდა დიდი ადამიანური თვისებებით.სითბოთი,სიკეთით და სიყვარულით სავსე პიროვნება გახლდათ,რომელიც ყველას და ყველაფერს ეფერებოდა,როგორც პირადად,ასევე თავისი ლექსებით.დავკარგეთ ნიჭიერი პოეტი,აკადემიკოსი,ძვირფასი მეგობარი და თანამოკალმე. ვუსამძიმრებ მის ოჯახს და ახლობლებს.ღმერთმა ნათელი დაუმკვიდროს მის ლამაზ და სპეტაკ სულს.

მანანა მიქაძე

ბატონ გურამ ჭავჭანიძეს!

მანტია გმოსავს თავისუფლების
და პოეზიის სულით ბობოქრობ.
თითსაც კი უქნევ და ქედს არ უხრი
წელთა სიმრავლეს თვითონვე აქრობ!
ნაირფერადი მუსიკის ჰანგით
ცეკვავ ლექსების ტრიალ-ტრფიალით
და მღერი მუდამ თავდავიწყებით
მარადისობის ცეცხლის ფიალით.
ახალგაზრდული გრძნობებით ცურავ
ვით ზღვაში გემით გაჭრილი პრინცი,
ცხოვრების ტალღებს მიაპობ ლხენით
გაგიაპრილდა თავადვე იცი!

აფეთქებული გაზაფხული ხარ,
წლების სიმრავლე მთებს წამოჰკიდე.
ამქვეყნად იშვი განმეორებით,
წალკოტში ბულბულს გამოემსგავსე!
ამღერებული თამამობ გულით
და ეს გიკეტავს მწუხრის დარაბებს.
ტივზე არღანით მტკვართან დუდუნებ
ყარაჩოღელთა დუდუკთ არაკებს!
უმშვენიერეს ხიბლში სეირნობ
ამ სიწმინდეში რა დაგაბერებს.
ნარიყალას და მეტეხს ლოცულობ
იცოცხლე მარად, ღმერთი გფარავდეს!

09.08.2019წ.

P.S. ეს ლექსი დაიწერა სვანეთში, ბ-ნი
გურამის სიცოცხლეში.მახსოვს,ბნმა
ნიკომ ფეისბუქზე დადო ჩანაწერი ბნ გურამთან. იჯდა ჩვენი გურამი პიანინოსთან.უკრავდა და
გატაცებით
მღეროდა. აკადემიაშიც ,რომ შევიკრიბებოდით სულ ცდილობდა
სიხალისე და სიახლე შემოეტანა
ჯგუფში.ბნი გურამი იყო არაჩვეულებრივი ადამიანი,პოეტი, მეგობრული, ყურადღებიანი.სულ
გვიმღეროდა და სიმღერით წავიდა გარდასახვაში! თავის ლექსებსაც ხომ
უდიდესი განცდებით კითხულობდა
გასაოცარი ენეერგიით!
მთელ აკადემიას და პოეტთა უამრავ
ჯგუფებს,ვინც კი იცნობდა ბნ გურამს
ვიცი , ყველასთვის მოულოდნელად დაგვწვიტა გული!ზაფხულში ,,ლექსის
აკვანის,,პრეზენტაციაზე კი თქვა:დალოცვილები იყავითო,არ ვიცი
კიდევ გნახავთ თუ არაო!
მეგობრების ხსოვნაში დიდხანს დარჩებით, როგორც დიდებული სულის ადამიანი!

თარგმანები

მაყვალა გონაშვილი

პოემა

მარ ბაჯიევი

(გაგრძელება)

პოემის დასაწყისი იხილეთ
ანთოლოგიის №№ 3-10 ტომსა და
ჟურნალ „ათინათის“ №№ 18-37 ნომრებში

დიადი ლაშქრობიდან დაბრუნება

განერიდა მტანჯველ სიზმრებს
გაელვიძა სისხამ დილით,
ცრემლს ვერ მალავს კანიკეი,
დედის ტირილს აჰყვა ჩვილიც.
რაღაც ავი წინაგრძნობით
გული უცემს გამალებით,
მოსთქვამს: – ღმერთო, სად არიან
უშიშარი მეომრები?
რუხი მოზვერი მესიზმრა,
დასერილი ჰქონდა ფერდი,
ნუთუ ქვეყნად აღარ არის
გულმამაცი ალმანბეტი?
რად ვიხილე წუხელ სიზმრად
შევარდენი ფრთებდაჭრილი?
ვაი, თუ მოკლეს ჩუბაკი,
უშიშარი, გმირთა გმირი.
თითქოს მეხი დასცემოდა
მიწაზე ეგდო ჭადარი,
ვაი, თუ მოკლეს სირგაკი
დაუყენეს საწყალს თვალი?
რად მესიზმრა ოქროს ტახტი
დაცემული, დამტვრელი?
ალბათ მოკლეს ერ-მანასის
სანაქებო ბედაური.
უცხენოდ დარჩენილ მანასს
ვიცი, ელის მონის ხვედრი,
ღმერთო, ავ ბედს აგვაცილე,
ღმერთო, დაგვიფარე, გვედრი.
მისი მხსნელად დაბადება
ღმერთო, იყო შენი ნება,
თუკი მოკვდა ჩემი ქმარი
ჩვენს ხალხს რაღა ეშველება?
თუ არ მოვა გამარჯვებით
თავის რჩეულ მხედრიონით,
ხანობისთვის გვარებს შორის
ისევ დაიწყება ომი.
მე ბედშავს რა ბედი მელის?
დარდმა დამრია ხელია,
ძმები: კობეში, აბიკე,
მანასის სიკვდილს ელიან.
ერთი სული აქვთ ჩაიგდონ
ხელთ ტახტი და განძეული,
ჯერ პატარაა მემკვიდრე,
როგორ დავიმშვიდო გული?
თუ მანასი დაიღუპა
ხალხს ერთობა არ ექნება,
მშობლიური ჩვენი მხარე
ისევ გაუდაბურდება.
ბიძია ბაკაი, შენ გთხოვ,
ჩინეთისკენ გაემგზავრე,
დამიბრუნე ერ-მანასი,
მკვდარი გული გამიხარე.
გატან მერანს, ტაიბურდულს,
მალი არის, როგორც ქარი,
სიკვდილისგან დაიხსენი
ჩემი საყვარელი ქმარი.
ერ-მანასთან ატანს წერილს
სევდიანი დედოფალი.
ერ-ბაკაი რჩეულ რაზმით
ჩინეთისკენ მიიჩქარის.

. . . .

ოცდაათი დღე და ღამე
ხან ბაკაის მიჰქრის რაზმი,

ჩინეთამდე გზაა შორი,
აღარ შერჩათ ცხენებს ქანცი.
ეს ყვითელი მდინარეა,
ეძახიან მას ხუანხეს,
მეომრებმა ხშირი ტყე და
ვარსკვლავები დაინახეს.
განა მართლა ხეებია,
შუბებია ჩინელების,
ვარსკვლავები რომ ეგონათ,
ანათებენ კოცონები.
გათენებას ელის მტერი
ყირგიზების დასახოცად,
უნდა იჩქარო ბაკაი,
არ ეგების ახლა მოცდა.
თუ დაგფარავს, ღამის ბინდი,
უშავესი, როგორც სათი,
გადაეცი მანასს ცხენი
და კანიკეის ბარათი.
გაიარა ჩუმად ჭალა,
ცეცხლისმფრქვევი საღარათი,
და მივიდა ერ-მანასთან
ბაკაი საღსალამათი.
ცოლი წერდა: – „დაგვიბრუნდი,
მანას, სახლში გელის შვილი,“
ცრემლები ძლივს შეიკავა,
გულში ჩაიკრა წერილი.
აკ-კულას აღკაზმულობით
მანასმა შეკაზმა ცხენი,
„ო, წყეულო კონურბაი
ჩემგან დანდობას ნუ ელი!“
ჩემი ძმების სისხლს ავიღებ,
პირში სული მიდგას ვიდრე,
ისე გაგიხდი საქმეს, რომ
დაბადებას იწყევლიდე.
დამიფარავს ბნელი ღამე,
დაგაცხრები, როგორც ქორი,
ცისკენ აღმართა მანასმა
მოელვარე ზულპუკორი.[1]
მალე ერ-მანასის ხმალი
მტრების სისხლით დაიცვარა,
ამოჟლიტა ჩინელები
გაღვიძება არც აცალა.
კვნესის ხმა და შეძახილი
ერთმანეთში აირია,
ვინ დაითვლის, თუ რამდენი
მოკლული ან დაჭრილია.
წამოვიდა სისხლის წვიმა,
დაჩეხილთა დადგა გორა,
დღემდე არვის უნახია
ასეთი სასტიკი ბრძოლა.
დიდმა ტკივილმა მანასი
გააშმაგა, გაამხეცა,
ბეიჟინისკენ გაქუსლა
ხან კონურმა, გულნამცეცამ.
თავის ხანთან ერთად ქალაქს
შეაფარა თავი რაზმმაც
და კონურმა ალაყაფის
კარი მტკიცედ გადარაზა.
რკინის კარიბჭის შემტვრევას
ჯარი სულ ამაოდ ცდილობს,
გადაწყვიტეს ბეიჟინი
რომ ალყაში მოაქციონ.
და შიმშილით გამოსცადონ
ჩინელების მოთმინება.
ამ დროს ციდან ხმა ასმინა
მანასს თავად შემოქმედმა:
„ყური მიგდე ერ-მანასო,
არას გარგებს სიმამაცე,
ერთი ქალაქის აღებით
ჩინეთს როგორ დაამარცხებ?
ვერაფერი ვერ დააკლო
მას ვერც წარღვნამ და ვერც მტერმა,
ვერ შეძლო აქ დამკვიდრება
თვით მრისხანე ისკანდერმა“.
ბობოქარი ერ-მანასი
შეაჩერა უცხო ძალამ
„მშობელ მხარეს დავუბრუნდეთ,
უკან დავიხიოთ!“ – ბრძანა.

. . .

დამარცხებული ჯარები
ბრუნდებიან სარ-არკაში,
ტაჯიკებიც იჩქარიან
მონატრებულ ბუხარაში.
მანასს ბრძოლის ველზე დარჩა
თავისი ერთგული რაში,
განისვენებს ბუზბურჩაკიც
იქ, სიკვდილის ხეობაში.
ახალგაზრდა ბოკმურუნმაც
ჩინეთში დალია სული,
ათასობით ფალავანი

[1]ზულპუკორი – ბასრი ხმალი.

იქ დაეცა დაისრული.
ძირს დაეშვა ყველა დროშა,
ზეცა შავად შეიბურა,
დანამული თვალებიდან
ცრემლი არვინ მოიწურა.
როს ჩინეთის გასცდნენ კედელს,
დააღწიეს თავი მახეს,
მეომრებმა მათ კვალდაკვალ
ალმას ცხენი დაინახეს.
უნაგირზე გაწოლილი
მხედარი შენიშნეს ცხენზე,
ალმას ფოლადის ჯავშანი
ოქროსავით ბრწყინავს მზეზე.
„ნუთუ შენ ხარ, ალმანბეტო?
დამიბრუნდი შენ ცოცხალი?
მადლსა გწირავ კოკე-თენგირ!
დაგელოცოს სამართალი!“
სიხარულმა მანასს წამით
ჭრილობებიც დაავიწყა,
სარალასთან მიიჭრა და
უნაგირზე მკვდარი იწვა.
არ მიიღო მშობლიურმა
მიწამ, იუცხოვა მკვდარიც,
სიცოცხლეშიც განდევნილი,
სიცოცხლეშიც ამბოკარი.
არ მიიღო ალმანბეტი
საფლავებმა წინაპართა
და სამარე გაუთხარეს
იქვე, ჩინეთის საზღვართან.
საფლავის ბორცვთან სარალა
მიწას სიმწრით უშენს ტორებს.
ცრემლი გაუშრა ერ-მანასს,
ვერ ერევა დარდის მორევს.
უმეგობროდ დარჩა სოფლად,
როგორ გაიმაგროს გული,
უკან მოსდევს ქარავანი
განძეულით დატვირთული.
„ნუთუ ამ ნაგავისათვის
გადავიქეც კაცი მხეცად,
ნუთუ მიღირს ძმათა სისხლი
ნაალაფარ ოქრო-ვერცხლად?
გამარჯვების ნაცვლად ჩემს ხალხს
მე სიცოცხლე გავუმწარე!“
– ასე მოსთქვამდა მანასი, –
„კოკე თენგირ, შემიწყალე!“
ხელი მოხვია ბაკაიმ:
„ძმაო, გაიმაგრე გული!
მკვდარს ვერც ცრემლით გააცოცხლებ
და ვერც ბედის საყვედურით“.
ერ-მანასმა სამშობლოში
გააგზავნა მალემსრბოლი,
უნდა აცნობონ ყირგიზებს,
თუ როგორ დამთავრდა ომი.
ცოლს ბარათი გაუგზავნა:
„შენი ნახვა მენატრება
ბრძოლაში დავკარგე ძმები,
მალე ჩემი მზეც ჩაქრება.
ბეჭში მძიმედ დაჭრილი ვარ,
გვედრი, ვაჟთან ერთად დამხვდი,
დამარცხებულს ბოღმით სავსეს
არად მიღირს ხანის ტახტი“.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

Ratiani Lali
Doctor der deutschen Philologie

AUS DEM SAMEBAS GLOCKENTURM
Fortsetzung

Wenn Luara Sordia bei der Wiedergabe der Bejans Biographie über seine Familie erzählt, wird für uns gleich klar sein, woher der Poet und seine persönliche Grosszügigkeit, sein Fleiβ, seine Liebe zur einheimischen Ber und Tal, die Idolisieriung seines Volkes, seine gewissenhafe Haltung gegenüber nationalen Traditionen kommen.

Bejans boigrafische Skizze sollte von seinem eigenen Vater aus dem Hinweis auf den Dichter selbst herausgenommen werden. Du bist furchtlos, der Schmerz von Georgien kocht in deinen Adern. Ich habe Angst, deinetwegen habe ich Angst, mein Sohn. Du ziehst dich aber zu allem nicht zurück.. Das ist wirklich gut, aber du hast vielleicht gehört: “wo es nicht besser ist, ist es besser zu gehen. Bejan antwortete seinem Vater eindeutig:”ich werde gehen, du wirst auch gehen und dann wird Georgien in wessen Händen sein, mein Georgien tut mir weh, mein Vater. Wenn man durch die Strasse geht, kann man sehen, wie die Mädchen die amerikanischen Zigaretten rauchen und tapfer schreien. Georgien ist ruiniert. Es wird uns töten, fast alle begehen Verbrechen. Einige Frauen verraten alte Traditionen und teilen hier ihre Weisheit mit anderen, während sie selbst die Vertreiber von Weisheit sind.

Ich habe ein ausführliches, umfangreiches Zitat gemacht, weil aus dieser biografischen Episode hervorgehoben wird, klar ist, woher Bezhan Kharaischwili kommt und wo seine nationale Poesie begann. Hören wir uns jetzt den Autor der Monographie an:”Er opferte sich für hohe Ideale und war sich bewusst, dass der Dienst an einem wahren künstlerischen Wort, die Erfüllung der hohen Mission der Poesie, nur denjenigen vorbehalten ist, die geistliche Ritter sind, sich selbst opfern und bereit sind, Opfer zu bringen. Deshalb sass der Sperber auf seiner Schulter, er vermisste das Chekordsulas Wasser von Arsakidzes Wasserstock, er kämpfte gegen sein Schiksal wie Jacob, ein Krieger mit Gott, er war bereit, spirituelle Tempel zu bauen, um seine eigene rechte Hand zu schneiden”Wer die Lebensweise und Poesie von Bezhan, tief kennt, wird an der Wahrheit der zitierten Worte nicht zweifeln.Vielleicht ist dieses Gedicht der Schlüssel zum Credo des Dichters:

“.Komm schon mit, weisst du wohin?
Nicht ins Café, sondern, um
Chekordsulas Wasser zu trinken…
Lass uns warten, weisst du auf wen?
nicht auf die Mädchen
sondern auf die roten Sperber unseres Gesetzes
und dann wird vielleicht jemand,
der uns dankbar ist. nach der Seele
wie Jakob fragen,,,und uns
die rechte Hand für die Mauern,
die auf und abgebaut wurden,
richtig schneiden.

Aus dieser Perspektive betrachtete Luara Sordia die patriotische Lyrik von Kharaischwil Bezhan, einem Mitkämpfer von Gamsakurdia und Merab Kostava, einem Opfer des Kampfes für die nationale Unabhängigkeit.:wie:" Das ist mein Land; An Aragvi; Der Himmel ist taubenfarbig; Mtkvari schwärmte wie eine Schlange in die Platanen; im Herbst; Rustavi; Das goldene Vlies ist früher gestohlen; Georgien ist ruiniert; Aus Khades Schlucht; Aussage aus Fereidan; Ich ging ins Herz von Georgien; Abschied; Nicht Luchumi, sondern am Gergeti Tempel; Chevsurethi; Ikonographie; Um mich in meinem Haus zu beherbergen; Dass du in meinem Haus als Gastgeber hockst; Ich lade alle ein; Komm näher zu mir; Der Frühling; Auf Mohns roten und dünnen Blättern; Der Traum; Es ist den Bächlein kalt in den Bergen…..

Das Meer der national-patriotischen Poesie ist in Georgien sichtbar. Jeder, der einen Stift halten konnte, schrieb über alle patriotischen Themen und diese faszinierende Tradition hält bis heute an. Es sind dijenigen, die künstlerische Meisterschaft beherrschen, Koryphäen, gewöhnliche oder unerfahrene Dichter /Anfänger Dichter. Gott bewahre, es wäre anders, wenn das Herz Georgiens und die Ikone in der Erinnerung an die Poesie verloren gehen würden.. In diesem Moment ist es für uns wichtig, uns dieses göttliche Thema und Motiv auf originelle Weise vorzustellen und es unabhängig zu verstehen, wie es Bezhan Kharaischvili erreicht hat. Aus dieser Perspektive präsentierte der Autor des Buches den Eckpfeiler des künstlerischen Denkens des Dichters- nationale Ideale.

In diesem Fall offenbart sich der Wissenschaft zufolge" die Individualität des Dichters sehr oft in symbolisch-metaphorischen Formen, Subtexten."Für den Dichter ist die Heimat ein Reich, in dem "die Gottlosigkeit und der Rückkehrer niemals direkt, richtig gehen können"/Gottheit und der Rückkehrer können niemals sterben. Auf diese Weise inspiriert der Schöpfer die nächste/ Generation, die Grösse der schmerzhaften Vergangenheit seines Landes zu sehen/die glorreiche Vergangenheit zu verherrlichen, die heldenhafte Selbstaufopferung der heldenhaften Vorfahren für das Land. Hier konzentrieren wir uns auf den individuellen Stil und die Ausdrucksform dieser Meinung.

Nehmen wir noch das erste Gedicht aus "Schicksal der Poeten". Was eigenartig ist, was ursprünglich gedacht wurde, ist die Melancholie des verlorenen Tao-Klarjeti, die Evakuierung der meskhetisch-javakhetischen Bevölkerung, die Rückkehr der verlorenen Gebiete. Der Dichter auf seinem Weg nach Vardzia wird plötzlich von Soldaten in Atskuri mit einer Erlaubnis angehalten:

"Ich wollte nach Vardzia-
im Herzen von Georgien
und wurde plötzlich in der Nähe
von Atskuri angehalten und .
Als ob der Hammer mich
auf den Kopf schlug und als ob
ich auf der Stelle still stand,
verlangten die Soldaten meine Erlaubnmis."

პროზა

რეზო ადამია



კაემანი სიკვდილთან
ტერენტი გრანელი

გაგრძელება
დასაწყისი №10 ანთოლოგიაში

სიკვდილის ყველა თვისებაზე და მოქმედებაზე რომ გავაგრძელო წერა, მრავალი ტომეულიც არ გვეყოფა; ამიტომ გვიჯობს დავისვენოთ მისგან გარკვეული თუ დაუდგენელი დროით...

თანამემამულეებმა – ხელისუფლებამ – გამწირეს და არ დამინდეს, იმედად მხოლოდ სიკვდილი საფლავები და ვარსკვლავეთი დამრჩენია...

მიცვალებულის გასვენებისას სულდამძიმებული გრანელი უთუოდ ასე იტყოდა: ყოველივე ვარსკვლავთ ტეხილხაზოვანი სხივთ გადაჭრა და გონმიუწვდომელი, პლანეტარული მრავალმხრივი იდუმალ გარდასახვებია, თავად აქედან გამსვლელს ხომ ბნელკოსმიური უმძიმესი საიდუმლოებით, უკლებლივ ყოველ საფლავთ ფიქრდარდი-სევდა მიმყვება. მუდამ მათი მომფერებელი რომ ვიყავი,თავად ცხოვრება-სიცოცხლისგან გაუბედურებულ-გარიყული: მხოლოდ პოეზია და მუზა მაიმედებდა...

ამ საშინელების აღწერისას, – ღამე დაძაბულს, მძიმე ფიქრ-აზრებმა მძლია, მერმე უხილავ მოვლენებისგან დაღლილმა სხეულმა ამოიკვნესა და მწარედ ამომდიოდა გულმკერდისმიერად უცხო ურვა-ნაღველი, სევდა, რაც სულისმპყრობელ ბნელეთურ დეპრესიას მიუახლოვდა, რომელიც უმძიმესი წარსულის მოგონებები მოსვენებას არ მაძლევდა, თუ როგორ ტანჯავდა მგოსან გრანელს, ნამდვილი გიჟებისა და უღვთო ადამიანების გარემოცვაში ყოფნა. წარმოიდგინეთ, მთელი დღეები და ღამეები, პოეტის გვერდით ტრიალებდნენ და უაზროდ დაბოდიალობდნენ, ჭირვეულობდნენ, წიოდნენ, კიოდნენ, მერე უცებ გაიტრუნებოდნენ და ვით მოაზროვნეები, თვალებს არ გაშორებენ, შემდგომ ისევ უნებლიე მოძრაობები და ასე გრძელდებოდა დაუსრულებლად. საბოლოოდ არასწორი მკურნალობით და წამლებით გაანადგურეს და მოსპეს იშვიათი გრძნობისა და ნიჭის მგოსანი. წარმოიდგინეთ ამჟამადაც ბოროტსულელური ზნეობიანნი საფლავშიაც არ აყენებენ განწირულ და ბუნებით შეწირულ პოეტს, კიდევ კარგი, რომ სულს და მისი პოეზიის მწვერვალებს ვერასოდეს ვერ მისწვდებიან. მაგრამ მადლობა გამჩენის ბედს, რომ ცოტანი არიან მაგ დონის უსამართლონი...

ტერენტი გრანელმა სულიერ საიდუმლოებასთან ერთად ბევრი რამე იდუმალ-მნიშვნელოვანი ხომ არ გაიყოლია ზეცაში, რათა მრავალი მიწიერნი მათგან პოეტნიც რომ ვერ უგებენ? თუ ასეა, ძალიან სამწუხაროა.

მიწა სიცოცხლეა უსასრულო, რჩეულთაგან სიწმინდის მფლობელი, რომელიც განსხვავებულია სამყაროში უკლებლივ ყველაფრისგან. კოსმოსში ცეცხლი, სიცხე, გამყინვარება, სიკვდილი, უთვალავი ჯადო-სხივების რენტგენული გამონათებათა და მათი ორომტრიალია. ამ ჯოჯოხეთის მიერ ქარბორბალაში სული უნაზესი უნატიფესი როგორ ძლებს მიკვირს, ანდა სიგრძე-სიგანეზე სწრაფვით და გაშმაგებული მოძრაობით თავსაფარს სად პოულობს ეშმაკეულად სავსე სივრცეში. შესაძლებელია დედამიწის ირგვლივ ჰაეროვან გარსში იყოს მისი სამყოფელი მარადიულობა მზის მფარველობით, ანუ ორივე განზომილებაში მყოფი კეთილთვისობრივ შესაძლებლობათა ძალისხმევით.

მილიონობით წელთა განმავლობაში, უთვალავი ცოცხალ არსებათ-გარდაცვლილთა სასაფლაოა მიწა-მზრუნველი ასე გამოდის მუდმივი სიცოცხლის უზარმაზარი წყაროა უფრო საფლავებიდან აღმოცენებული. გარდაცვლილთ სამყოფელი უმიწოდ არ არსებობენ და ჩვენი პლანეტა მიცვალებულთა საფლავების მეოხებით რომ არა, თავადვე ხომ გამოიფიტებოდა და მოკვდებოდა. მხოლოდ მზისა და დედამიწის გულის ცხელი ლავის მხურვალების ამარა დარჩებოდა. უთვალავია სამყაროში ცხელი სხეულები და დედამიწაც მათ მიეთვლებოდა... უთუოდ სიცოცხლის მერმე სიკვდილიც უსასრულო ფუნქციებისაა...

ისედაც წამებული ტერენტი გრანელი კოსმიურ მიუწვდომელ შავ ფენომენს აუცილებლად უნდა შეხვდეს ამ ღამეს, რომელიც იქვე ტანჯვა,

ვაების, ურვა, სიმწრის უკიდურეს განწყობილებიდან, გზა გაქრობით მომავლის ახალ განზომილებაში გადასვლაა, რაც თავისთავად ვარსკვლავეთის სახით მატერიალურ-ფიზიკურ სხეულებთან ურთიერთობანიც გახლავთ. აბა, მეგობრებო! როგორც ყველა ჩვენგანს ტყუილად ელოდება? ია-ია-მოცისფრო ულამაზესი პირადი ვარსკვლავი; ზემგრძნობელობის მგოსანს! უზარმაზარი კოსმიური ინსტინქტით მოაზროვნეს ყოველივე ზემოთ აღწერილი, ქვეცნობიერად თუ შეგნებით მჭიდროდ აკავშირებდა სევდაში მოცურავე განმარტოებულ უთვალავ საფლავებს...

ლუვრის ანტიკური ქანდაკების დარბაზში ერთხელ უცნაური აზრები დამეუფლა, ქანდაკებები და ფერწერული სურათ-პორტრეტები სულ-შერჩენილი საფლავები ხომ არაა? აბა რატომ სდუმან მუდმივად? ხელოვნების მშვენიერების უსასრულო სახება რომ არა მაგ ფიქრებს შევრჩებოდი...

გრანელი უსათუოდ იტყოდა, შენ, ჩემო უნახავო-უხილავო და შორეულო მეგობარო, საფლავ-სიმბოლო ხარ მიუწვდომლობის, მიწა – სიცოცხლე ბრძანდები, დიდი ხანია შენგან პირადი ინდივიდი გაქრა. მაგრამ მე უხილავთან გვერდით მყოფს ერთი აზრი დამტრიალებს, საერთოში ჩვენთან ხარ თუ უფრო ვარსკვლავეთში? ხშირად აგრეც მიფიქრია მხოლოდ ჩვენს მეხსიერებაში ხომ არა ბინადრობ? დანარჩენი ძალიან შორეული რაობაა უთუოდ ცივო, შეუხებელო და მიუვალო ფიქრო, მხოლოდ ჩემგან გამთბარო: ხშირად ჩემს დაუწერელ სევდიან ლექსს მაგონებ. მე მჯერა ჩემი გალაკტიონიც ასე იტყოდა, მარად უხილავი და უსახო მარტოობავ, უკვე მართლაც სრულიად გამქრალად ხომ არ გიგულოთ? ალბათ არა! მაინტერესებს შენთან ანგელოზები თუ ურთიერთობენ შეიძლება ჩემსავით მდგომარეობაში ბრძანდები მიუვალ-მარტოხელა. გუშინ ქუჩიდან საამო-სევდის მომგვრელად ლუდვიგ ბეთჰოვენის სიმფონიას „მთვარის სონატას“ ვუსმენდი, ალბათ მშვენიერი გოგო უკრავდა, უთუოდ მდიდარი ოჯახის შვილი, რატომღაც გავიფიქრე შენც თუ უსმენდი მას და, თუ ყველაფერი ალბათ გესმოდა, მე რომ მგონიხარ ისეთი თუ ხარ. კოჯორში პატრიოტები რომ დახოცეს მომხდურმა რუსებმა ქართველების წინამძღოლობით თუ იგრძენი? არ მეეჭვება, რომ მწარედ გაიზიარე დიდი უბედურება. მაშინ მე ტყუილუბრალოდ არ დავდივარ შენთან და მთელი არსებითაც რომ ვურთიერთობ. უსასრულო ვარსკვლავეთი იყოს შენთან და მათი შუქი გათბობდეს, ჩემო მიუწვდომელო, მეხსიერების, ოცნების, ფიქრის, გამოცანის, უძირო სევდის და დაწერილ-დაუწერელ ლექსთ მეგობარო!.. და ცრემლებშემშრალი მგოსანი თითქმის გაყინული თითებით საფლავის ქვას მოეფერა...

მერმე, ტერენტიმ ახედა სევდით აცახცახებულ ვარსკვლავებს და მისუსტებულ მეოცნებე ხმით ჩაილაპარაკა. ისინი ხომ არასოდეს კვდებიან, ცდები პოეტო! უმალ მოესმა მოულოდნელი არა სივრცის ხმა, ყველასგან ბევრად უფრო განსხვავებული, ქვეყნიერებაში მყოფი და, უცხო; ვარსკვლავები ანუ მათგან უფრო ბევრი მზეებიც თავის დროზე კვდებიან, ასე დამიჯერე – უკვე ჩემო! აგერ მაგალითი მთვარე; თქვენი ოცნების და პოეზიის წყარო – სიმშვიდე, რამდენიმე მილიონი თუ მილიარდი წელია მკვდარია. აგრეთვე, ვენერა, მარსი, იუპიტერი და მრავალი: მოვა უშორესი დრო მთვარეც უფრო გამოიფიტება, სივრცეში დაიფშვნება ის და გაქრება, ანუ შეუერთდება სამყაროს უსასრულობას. თქვენ ყველა ადამიანიც მაგრე ხართ: ზოგიერთი მიწის მშრალი ლანდშაფტი ასეულობით წლებს ინახავს მიცვალებულთა ჩონჩხს, ძვლებს, მერმე თავის დროზე სრულიად მიწად იქცევა, ამდაგვარია კოსმიური ქვეყნიერების საოცარი პროცესი. ზედმეტად გამწარებული მგოსანი სიკვდილს ეკითხება შენ?! როდის მოკვდები? მე ალბათ არასოდეს, სანამ სიცოცხლე იარსებებს იქ, ადგილზე უნდა ვიყო. ხოლო თუ ის გაქრა, მაშინ მეც ჩავქრები და მერმე რა იქნება, ეს უკვე ბნელეთის ჩემთვის, თქვენთვის შეუსწავლელი ფილოსოფიაა და ვინ გასცემს მასზე პასუხს გაურკვეველია. მე არ ვიცი სიკვდილო! შენ მართლა ჩემი პატრონი ხარ თუ?! მაგას უფრო ღრმად მიხვდები რამდენიმე ასეული წლის მერმე; შეიძლება ზეობაში ყოფნისას, შედარებით ადრეც, ეხლა რომ გითხრა სამყაროსეული სიმართლე, ბოლომდე მაინც ვერ ჩაწვდები, პოეტო! რათა თქვენეული – მიწიერი სიცოცხლის სწავლებით სულ სხვა წარმოდგენები გადმოგცეს და...

ისევ უსაზღვრო სიჩუმე ჩადგა და იდუმალებათა დიდი სივრცე უფრო ფართოვდებოდა, მთავარი ბნელეთური არ ჩქარობდა, ის თანდათანობით აზრშეპარვით საუბრობდა და ბჭობდა თავის შესანიშნავ მსხვერპლთან, რომელთა ხმები მათ ირგვლივ ჯადოსმიერად სივრცეშივე ინთქმებოდა, მხოლოდ უხილავი უცხო ხაზების ხვეულები არეული ფარფატით ზანტად და ჰარმონიულად მიმოდიოდნენ; თითქოსდა პირველად ალაპარაკდა სიკვდილი მისგან უჩვეულოდ...

ბნელმა ყოვლისშემძლემ მდორედ გააგრძელა საუბარი: მსხვერპლო! მკვდარი პლანეტები დროთა ჟამში მეტეორებად დაიშლებიან სამყაროს ანუ თავის გალაქტიკის მთლიან შემადგენლობაში გადანაწილდებიან და სრულიად სხვა ფუნქციებში ჩაერთვებიან. შეიძლება არა ორგა-

ნულ ცხოვრებად, მაგრამ ცეცხლოვან პლანეტებს შეუერთდებიან და ეს უკვე კოსმიური მარადიული გარდამავლობითი თავისებური სიცოცხლეა; ახლად დაბადებიდან გამომდინარე, ამდაგვარი მშობიარობის პრინციპებიცაა ქვეყნიერების ურთულეს სისტემაში ანუ კანონ-წესრიგში... თურმე სიკვდილს, თავისებური აზრებიც გააჩნია, მაგრამ მე მას ვერაფრით ვერ ვარწმუნებ და ვერაფერსაც ვერ გადავაფიქრებინებ...

მერმე გრანელი თავისთვის უფრო გადაერთო და მეც მიფიქრია ბევრჯერ, მზე, მთვარე და ვარსკვლავეთთან ეს ყველაფერი როგორ ურთიერთობს, ჩვენში რომელია მათთან უფრო ახლოს ვერ გავრკვეულვარ.

გუშინწინ საღამო გველთან დიალოგში გავატარე, ჩემმა მტკივნეულმა აზრებმა მონუსხა და ლამის მიწისქვეშა სოროში გადაავიწყდა ჩასვლა.

მარადიული უცხო სივრცობრიობაა მათი უსაზღვრო არსება და სრულიად განსხვავებული შეუვალი მთლიანობა, სიცოცხლისეულ და უხილავ სამყაროზე უფრო; საკვირველია, მაგრამ მგონი ასეა...

ამ ნაწარმოების ავტორსაც აგრე უმსჯელია, ბოროტება ბევრად მეტია ჩვენს ირგვლივ იმიტომაცაა ცხოვრება მეტად მძიმე და შემტევი, ბუნების სიმკაცრეს ჭარბად ემატება ეს საშინელი უღვთოობაც, რითაც მკაცრ მოქმედ რიგშია მიუდგომელი დრო, სივრცე სტიქია, სიბერე, ავადმყოფობები, უბედური შემთხვევები, უზნეობანი, ბრძოლა ურთულესი, არსებობისათვის, ფიქრი მომავალ საშიშროებაზე. ბედის მრავალმხრივობა უახლოესი თუ მეგობარი ადამიანების სამუდამო განშორება. უძლიერესი და უწყვეტი კოსმოსური წნეხი, უაზრო თუ მიზეზობრივი უიმედობები, რასაც დიდი სევდა მოჰყავს, ზოგჯერ დეპრესიებიც და კიდევ მრავალი სხვადასხვა ტკივილიანი შემოტევები ყოველთაგანურჩევლად. ამდაგვარ გარემოებაში გვიხდება ცხოვრება. შემოქმედებითი ნიჭი, თვითრწმენა, პერიოდული სიამოვნებები, გატაცებები, მიღწევები, მრავალმხრივი შრომა, სიყვარული და ყოველდღიურ-წუთიერი იმედ-ნატვრა რომ არა, ნებისმიერნი თვითმკვლელობების მსხვერპლნი იქნებოდა, სადაც სიკვდილს უფრო გააბოროტებდნენ და მრავალ უადგილო შავი ფუნქციების შესრულებას შესთავაზებდნენ, მაგრამ მათ საპირისპიროდ გახლავთ უტყუარი შინაგანი დადებითი ფსიქონერვული აზროვნებითი დაცვა, პიროვნული გამძლეობის სიკეთის სახით, რომელიც ხშირად გმირობის ტოლფასია. მზე მთვარე და ვარსკვლავების გავლენა უდიდეს მაცოცხლებელ როლს თამაშობს, ყოველთა მიმართ, ზედამნათნი ხომ ძლიერმოქმედი ანთებული უხვობაა, უთვალავი ფერ-განწყობილებით. გამძლეობასთან ერთად შეწირულებმაც მათ თანდაყოლილი პრინციპულობით ყურადღება არ უნდა მივაქციოთ, და შინაგანი სიმშვიდე უდიდეს როლს თამაშობს ყოველი ჩვენგანის ცხოვრებაში.

ტერენტი გრანელი, უმეტეს სიკვდილთან, ყოველი ჩვენგანისათვის სულის და ნერვიული განწყობილების მდგრადი ხატული ღია სახეა.

დიდი გალაკტიონი, ძლიერ ზემსწრაფი განყენებული გენიაა, რომელიც პოეზიის მარმარილოს წმიდა ამბიონზე დგას და მეფურ პოეზიას ქადაგებს:

„გენიოსი წარსულის სინდისია და მომავლის ტვინი“. ანატოლ ფრანსი.

უჩრდილო გრანელი კი, პოეტურ სივრცობრივი რაობის ურღვევი სევდიანი ნაწილია. თუმცა პლანეტარიუმის პოეტი ბრძანდება, მაგრამ ძალიან ჩვენეულია და შიდა თავისუფალი განცდაა.

ხოლო გალაკტიონ ტაბიძე შორეული ცისფერი სიმაღლეა, რომელმაც თავად ავტორიც დააბნია...

ორთავე მგოსანი მისტიკურ-ვარსკვლავეთურია... თუმცა ჩაუქრობელი სანთელი – გრანელი თითქოსდა მიწიდან ატყორცნილი ალმოდებული მეტეორია და ზეციური გაღიზიანებაა. ყოვლად განმარტოებულ მგოსანს, სიამაყე მდიდრულად გააჩნდა ასევე თვითმყოფადი მისტიკურ-კოსმოგენური ფილოსოფია, რომელიც პოეზიაში მხოლოდ გამორჩეული ლექსით ხმიანდებოდა. საერთოდ ყველაფერთან ერთად უკიდურესად გარდაქმნილი მანკიერი საზოგადოების დაუნდობელი შეტევებით შფოთავდა, ირგვლივი უკეთური ქმედებებისგან შიშველი მგოსანი ზეციდან მოვლენილი უშუალოდ ნაკურთხი წმიდანი გახლდათ. მაინც დაუნდობლად აწამა და გაწირა მიმდინარე დროის უსაშინელესმა რეჟიმმა. სულს უხუთავდა ერის დამპყრობელთა ბინძურ-ჟანგიანი ბორკილები, მათგან აშენებული ხელოვნებისადმი ჩაბნელებული საპყრობილე და მშვენიერების განადგურება, ნიჭის ჩახშობა – გამორჩეული სახითვე და მოკვლა.

გრანელს, ზეციურად უყვარდა და მაცხოვრისეულ სიკეთეს ფლობდა. უშიშარი იყო ვით წმიდანი რაინდი და თავდადებული... ამჟამად თბილ ლოგინში ჩათბუნებულები, ქარვასლების გარემოცვაში მყოფნი ვერ იტანენ კოსმიურ მწირს. დიდი პოეტის შეწირული იმქვეყნიური ფერისაც შურთ. თუმცა გრანელობასაც არ ნატრულობენ რათა ძალიან კარგად იციან, რომ უმძიმესი ტვირთია და ფაქტიურად ჯვარზე გაკვრაა.

ტერენტი გრანელის, გონდაცემულმა და გა-

დაბირებულმა თანამედროვეებმა, საუბედუროდ, ბნელეთურად ქართული და მსოფლიო პოეზიაში მისტიკური განწყობილების სრულიად თვითმყოფადი სიახლე შედევრები გაანადგურეს, დაწვეს და მრავალი ლექს-ქმნილებანი დამარხეს, ნაწილი კი ველურ სტიქიას მიუგდეს. უბოროტესი ქმედება მაშინდელი – მართლაც საცოდავი საზოგადოებისა, წარმოუდგენელი ეშმაკეული დანაშაულია კაცობრიობის და ქვეყნიერების წინაშე: იმ ურთულესსა და გაურკვეველ წლებში ქვეყნის უმთავრეს მიზეზად ძლიერმოქმედი და უიშვიათესი ვარსკვლავეთური ენერგიის გადმოღვრა გახლავთ, დედამიწაზე უიშვიათესი კოსმოსურ სხივთა სტიქიური ბობოქრობა: მაგ სახის ციურ შუქთა უმწვავეს მოძრაობებს, უთუოდ ვერ გაუძლო ტერენტი გრანელმა, გალაკტიონ ტაბიძემ, და უფრო, მათ ირგვლივმყოფმა ხალხმა (მათზე, ზევით უკვე გესაუბრეთ). ჩვენგან შორეულში ამდაგვარ პლანეტარულმა მოვლენამ დაფერფლა ვან გოგი, აინშტაინი, მოდილიანი, რენუარი, სეზანი, მოდილიანი, საქართველოში ზეციდან დაშვებული ფიროსმანი, ბუნების გულღია ფილოსოფიური პროზა, პოეზია: ვაჟა-ფშაველა, გრიგოლ რობაქიძე, კონსტანტინე გამსახურდია, მიხეილ ჯავახიშვილი. ერთ დროს აალებულ დაუოკებელ სფეროდ აქცია შუა საუკუნეებში მიქელანჯელოც. მაცხოვარივით ეწამა ლეონარდო და ვინჩი. ვერ გაუძლო რაფაელმა და ოცდაჩვიდმეტი წლისა შეაკვდა. მისგან შეპყრობილი მოცარტი ძალიან ადრე შეუერთდა მარადიულობას და კოსმოსის მუსიკალურ სივრცედ გარდაიქმნა... გიჟის მანტია ჩააცვა ნიცშეს, დოსტოევსკის, ლერმონტოვს, ჰემინგუეის. წარმოიდგინეთ, მათ გარდა მაგ ვარსკვლავეთურ ზემგრძნობელობითი მაგნიტურ-მძლავრ გალაქტიკისფერ მუხტების ქროლვა მრავალ დიდ ხელოვანთაც ბევრად უფრო გაუჭირდაო; რათა ზოგ მათგანმა ვერაფერი ვერ შექმნა ისე დაიფერფლაო...

მიუწვდომელი კოსმოსი ზოგჯერ უკიდურესად ააფორიაქებს ადამიანებს, საერთოდ დედამიწელებს და მაშინ განსაკუთრებული ღელვებია ხელოვნებაში, მეცნიერებაში, ბოლომდე ჩავწვდეთ და, ბუნებაში, ტყეში, მთებში, სტეპებზე, უდაბნოში, ჯუნგლებში და საფლავებშიც! რათა ზეენარული ენერგიათა მდინარება ადიდებულ მდინარესავითაა, ყველგან. ხოლო ვარსკვლავთსხივთ უკეთური მპყრობელობა, პოლიტიკაში სუსტ მოღვაწეთ უღვიძებთ და უმძაფრებს ბოროტებას, რითაც ურთიერთის და ხალხის მმართ დაუნდობელნი ხდებიან. წარმოიდგინეთ მაგ შემთხვევაში მშველელ-დამარეგულირებელი სხვა ზეძალა აღარ არსებობს. ამდაგვარი იშვიათი შემთხვევები დედამიწაზე ხშირად არ ხდება. თუ ბოროტი სხივთა დინება განეფინებოდა უძლეველ ენერგიად, რასაც გამანადგურებელი ომები და რევოლუციები მოჰყვებოდა. ანდა იყო სანატრელი შემთხვევები, როდესაც ზეციური კეთილი შუქთ სითბო რომ შემოეხვეოდა მორჩილ ცოცხალ პლანეტას, ზენაართაგან მინიშნებულ რომელიმე შემოქმედებითად მომწიფებულ-ინტელექტუალურ ქვეყანაში, გენიები მოევლინებოდნენ და მათი მოღვაწეობანი საოცრებებს შობდა როგორც ხელოვნებაში ასევე მეცნიერებაში, და ცივილიზაცია ყვაოდა! მაგრამ ისინიც იმავე მდგომარეობაში მყოფნი უმოწყალოდ ეწირებოდნენ. ასე რომ მეგობრებო ყველაფრის მიზეზ-წყარო დედამიწაზე შორეული თუ უახლოესი პლანეტათა დადებითი თუ უარყოფითი გამოსხივებათა გავლენებია, უსათუოდ უმცირეს მოლეკულამდე; რაც კოსმოსური სახეა, უწყვეტ-უმტკიცესი ჯაჭვისა.

უძლიერესმა, უმძიმესმა, უმკაცრესმა და ულმობელმა შემსრულებელმა სიკვდილმა იხილა ბნელისგან სინათლე რომ იბადებოდა შეშფოთებულს გაუკვირდა და დამპყრობლურად სივრცისკენ გაიხედა. ყოვლისშემძლე უხილაობას თითქოსდა თვალი არა აქვსო, მაგრამ უპლანეტო სივრცის ფერის მთლიანი ხედვაა მისი არსებობა, რომელსაც სრულყოფილად სააზროვნო გონება ან სიყვარული-სიკეთე არ გააჩნია და სრულიად სხვა რაღაც გაუგებარ-მიუწვდომელის გრძნობათა მფლობელია, გალაქტიკების უსასრულობაში უსულო და უკიდურესი უხილავი უკეთური ძალაა სიკვდილი. რითაც თვითონვე ბნელეთურად იხრუკება მუდამჟამს, ქვეყნად უმძიმესი და უბოროტესი გადაწყვეტილებების შემსრულებელი აქაც სრულიად მარტოა. მან არ იცის რაა ცოცხალთ წამება და მტკივნეული მოკვდინება ამდაგვარი საზიზღროების გამოც მებრალება სიკვდილი. თავად უსულო, უგულო და თითქოსდა უგონო, ნამდვილად ვერა გრძნობს როგორი შავი ძალაა ნებისმიერი ქვეყნიური სიცოცხლის მიმართ თუმც უსასრულობის გარდაუვალ მომავლის პროცესებს ასრულებს ბრმად თუ? ყოველ შემთხვევაში, ზოგჯერ ღრმა ფიქრების ღირსია სიკვდილი. ასტროლოგები გვასწავლიან, თითქოსდა სამყაროს გაჯანსაღება-აღდგენითობის თანმიმდევრობაა, მაგრამ, როგორც მოგახსენეთ, ყოველი ინდივიდის განადგურების გამო უკიდურესი ჯალათია და ამ მხრივაც მწარე ფსკერიანი საცოდაობაა თავისი მარად მიუღებელი ზნეობით, ყოველივე მცირედი, ჩემს მიერ მისი ლიტერატურულ-გრაფიკული მართალი თუ კრიტიკული პორტრეტის ხატვისა ის მაინც მარადიულია. როგორც ითქვა, სიკვდილი მხოლოდ მაშინ მოკ-

ვდება, როცა სამყაროს პროცესმა ნუ ქნას და სიცოცხლე გაქრება სრულიად სივრცეში. მაშინ სხვა რამე განუსაზღვრელი ამოტივტივდება, რომლის მიახლოებითი განმარტება თუ დასურათება ჩვენი პლანეტის ნებისმიერ ღმერთებსაც არ ძალუძთ. დიახ და მაინც, რა თქმა უნდა, სიკვდილი მიუკვლეველი და უფრო მეტად წარმოუდგენელი, ყველგან მყოფ-მავალი საქმე დაუსრულებელი ურთულესი მოვლენაა.

„ყველაფერი მარადიულ უკუქცევას ექვემდებარება. ოდესმე ჩვენ კვლავ შევხვდებით ერთმანეთს, ამავე ვითარებაში. მე კვლავ ავად ვიქნები, თქვენ კი – განცვიფრებული ჩემი სიტყვებით... რა მნიშვნელობა აქვს, რომ მე ვკვდები?! აკი არც რა გვაშორებს და არც გვაახლოებს ერთმანეთს; რადგანაც ყოველი მომენტი უკანვე შემოიქცევა, ყოველი წამი მარადიულია“. ფრიდრიხ ნიცშე.

მოულოდნელი, ურთულესი ნიჭის და ბუნების გრანელი ასე გრძნობდა ყოველივეს და ამდაგვარად დარჩა სივრცის მეხსიერებაში რომელიც ჩვენ ზოგჯერ სევდიან ხელოვანთ წყალობად მოგვეწოდება და გულღიად ვამხელთ. ყოველივე ეს, არაა მოჩვენება ან გამოგონილი, მხოლოდ სიმართლე და ეროვნულ-სივრცობრივი რეალობაა – იდუმალებისა, რომლის ტყვე, ან გავლენის ქვეშ ვიმყოფებით მუდამჟამს. მეგობრებო! სიცოცხლე, უხილაობიდან ხილულში საოცარი მოქმედებითი გადასვლაა, რომელზეც წიგნები შეიძლება დაიწეროს. ამ შემთხვევაში რა თქმა უნდა ყოველთა მკვლელი მიუწვდომელი ფუნქციისაა და ხშირად ბრმაც. აქაც უთანაგრძნეთ სამყაროს ვითომდა რიგითი, მაგრამ ძალა-უკიდურესი გამოკვეთილი უზარმაზარ ფორმას... იტყვიან რაზე უნდა გეცოდებოდეთო უკუნეთ ბნელეთური; პასუხი შეიძლება ასეთი გავცეთ ჩვენ რაც გინდ ცოდვილნი ვიყოთ მასზე ბევრად კეთილნი, მოსიყვარულე ზნეობრივად მაღალნი და მართალნი ყოველთვის ვიქნებით და ვართ – სიცოცხლე!..

სამყაროსეული იდუმალების მოსეირნე მიუწვდომელი ხმა, რომელსაც ტერენტი გრანელი განმარტოებისას მოცარტივით რომ ისმენდა, არ იწერება სიტყვიერად, მუსიკალურად ვერ აჟღერდება და ფერწერის მეოხებითაც არც იხატება აბსტრაქტში იქნება სიურეალიზმში თუ ფერთა პირველად-საწყის საიდუმლო ხაზ-ფორმათა ფეთქვაში. სხვაზე მეტად ზეენარულ განსაკუთრებულ-არაჩვეულებრივი მხოლოდ გრანელს შეეძლო შინაგანად ესმინა და უკიდურესად მწვავე სურათ-სახეებად აღექვა... აქედან გამომდინარე მისი კოლეგები და უახლოესი პიროვნებები ვერ უგებდნენ და მძიმე უცნაურობებში ახვევდნენ რითაც ზოგჯერ სასტიკად ვერ იტანდნენ და ამ სიკეთეს ბრიყვულად სჯიდნენ კიდევაც.

დიადი სამყარო, სივრცის, ფიზიკური სხეულების და უხილაობის ურთულესი, მაგრამ ჰარმონიული მთლიანობაა. წარმოიდგინეთ მათგან უსაზღვრო უხილაობა, ორივეზე ბევრად უსასრულოდ ძლიერ მაღალია, კოსმოსის ნებისმიერ ვარსკვლავს მუდმივად მართავს და მათზე ბევრად დიადურია. მაგალითისთვის სიკვდილის რაობაც კმარა: უძიროდ საცოდავია მათშიკაცობრიობა და ნებისმიერი ცოცხალი არსებანი. ამ ამოუხაფავ უღრმესი უხილაობის წინაშე დგას პირადად ადამიანი და ყველა აღმსარებლობებიც ვერასოდეს ბოლომდე რომ ვერ ჩაწვდება მის უკიდეგანო რაობას.

ტერენტი გრანელზე თუ დამიწერია რაიმე შედარებით საინტერესო თითქმის ღამე ოთხიხუთი ან ექვსი საათებში მომსვლია ძილის და ჯანმრთელობის დამაფრთხობელი წარმოსახვებ-აზრები, ყოველივე მაინც სასიამოვნო იყო სრულიად განსხვავებულ ამქვეყნიურ ჩაბინდულ უცნაურობათა ფონზე.

ისმება კითხვა რატომ მხოლოდ გრანელზე მეწერებოდა და მეწერება?! რათა, ყოველგვარი შურის გარეშე, ვგრძნობ, დიდი მგოსანი ძალიან ახლოს იდგა კოსმიურ სიშორეებთან და სულიერი თუ ფიზიკური ზეწოლის ყველაზე ძლიერი მძაფრი ტყვე-მონა გახლდათ. მისმა ზეციურმა მგრძნობიარე სხეულმა, ვარსკვლავივით ანთებულმა სულმა და უკიდურესად გაღიზიანებულმა ნიჭ-გონებამ გაიარა ყოველივე-ფერი უცხო ხაზ-ფორმა უახლოესი და უნატიფესი შეხებებით. არ დაპატარავდეთ და ნუ გშურთ ადამიანებო მისი. პირიქით, გეამაყებოდეთ და გებრალებოდეთ დევნილი პოეტის უდანაშაულო ტყვე-მონის ტანჯული ბუნება, გრანელთან ბევრი უცხო მიუწვდომელი რამეც იყო და არის; მის მრავალფორმიან-შინაარსიან არსებას, შეეძლო მარადიულ სიშორეებთან მიახლოება და ზეადამიანური გონებით მეცნიერული ასტრონომიული სიმართლეც გაეზიარებინა. რა თქმა უნდა, ქვეცნობიერად პოეტი ხომ ამჟამად და ალბათ იმ კოსმოსურ მიუწვდომლობაშია, სადაც შესაძლებელია დედამიწელებზე უფრო აწიოკებულია ზე-ვარსკვლავეთური სტიქიით და ურთულესი ურთიერთობით...

გაგრძელება შემდეგ ნომერში

გარი ჩაფიძე

სიყვარულის ლაბირინთი

სიყვარული

(გაგრძელება, დასაწყისი იხილეთ ჟურნალ „ათინათის“ №№28-37-ში)

დირექტორმა სათვალე მოიხსნა, ცრემლით სავსე თვალები ცხვირსახოცით შეიმშრალა და შედარებით ხმამაღლა წარმოთქვა – მაპატიეთ!

– ვინმეს უნდა ვჭირდებოდეთ ბატონო და დახმარების ხელიც უნდა გავუწოდოთ ვისაც მივწვდებით, სწორედ მაშინ იქნება ჩვენი არსებობა მიზანშეწონილი – თქვა წვეროსანმა, რომელიც დირექტორის მარჯვენა მხარეს იჯდა და ნამდვილი ჯაშუშის გამოხედვა ჰქონდა.

– ეჰ, ყველა ასე რომ ფიქრობდეს კარგია – თქვა წვეროსანის პირდაპირ მჯდომმა მელოტმა მამაკაცმა და დაუმატა – სწორედ ციხიდან დაბრუნებულს უნდა შველა და ხელის გამართვა, როდესაც ჩვენ ბრწყინვალედ ვხედავთ, რომ მთელი კავშირი ციხეა. თეატრში მარტო ის კი არ არის მაყურებელს დროის გაყვანის ტაქტიკა ვუჩვენოთ. ჩვენ სული უნდა ჩავბეროთ მომავალს, ხალხს რწმენა უნდა ჩავუნერგოთ, რადგან რწმენის გარეშე ხმლის ამოღება შეუძლებელია, რწმენას კი მიზანი აკეთილშობილებს ბრძოლისათვის...

– მიგულეთ ერთ-ერთ მებრძოლად, ვეცდები გავამართლო თქვენი ნდობა... თქვა შმაგი მგალობლიშვილმა და მსახიობად დანიშვნის ახლად დაბეჭდილი ბრძანება გაუწოდა მოსაუბრეს.

გამომძიებელმა ზვიადაურმა გაზეთ „კომუნისტის“ მეოთხე გვერდი გადაშალა და მზერა ჯემალი ცინაძის ნეკროლოგზე შეაჩერა, რომელიც სურათით იყო დაბეჭდილი და ამხანაგების ჯგუფი ღრმა მწუხარებით იუწყებოდენ მოულოდნელად ჯემალი ცინაძის გარდაცვალებას, გამომძიებელს თვალწინ წარმოუდგა რუსთავის შრომა—გასწორებელი კოლონიის უფროსი ჯემალ ცინაძე და გადაწყვიტა მეორე დღეს სამძიმარი ეთქვა განსვენებული ოჯახისათვის.

ჯემალი ცინაძის ქვრივი, ახალგაზრდა ქალი სახეს იხოკავდა და ხმამაღლა ტიროდა: – „სწორი მითხრა იმ ბოშა ქალმა, ჩემი ბრალია ყველაფერი, ვერ გაგიფრთხილდი კაცო!..“ ერთსა და იმავეს რამოდენიმეჯერ იმეორებდა ის.

გამომძიებელმა რამოდენიმე წუთს ადროვა ქალს ტირილი, დერეფანში დაელოდა მის დაწყნარებას და სანამ ახალი ნაკადი მოვიდოდა სამძიმარზე, გადაწყვიტა ქალს გასაუბრებოდა:

– ქალბატონო, როგორ მოხდა ყოველივე ეს, ახალგაზრდა კაცი ასე უცებ როგორ გამოგვეცალა ხელიდან? – დამწუხრებული სახით შეეკითხა გამომძიებელი ქალს.

– გულს არასოდეს არ უჩიოდა, არა ეს ინფაქტი არ იყო, უფრო მოწამლულობას ჰგავდა, მაგრამ სანამ სასწრაფო დახმარების ავტომანქანა მოვიდოდა ყველაფერი დამთავრდა.

– როგორ შეატყვეთ მოწამლულობა, ან რას შეეძლო მოეწამლა?

– დილით, როგორც ყოველთვის ერთი სირჩა არაყი დალია და სამსახურში წავიდა, ორი საათის შემდეგ დაბრუნდა სამსახურიდან გამიკვირდა, მაგრამ დავინახე თუ არა ფერი არ მომეწონა მისი და მივხვდი ცუდად რომ იყო, სასწრაფო დახმარებისთვის მინდოდა დამერეკა, მაგრამ თვითოთნ არ დამთანხმდა: – „წამოვწვები, ცოტა მუცელი მტკივა და გამივლისო მითხრა” – მართლაც ტახტზე წამოწვა, მაგრამ მალე მუცლის ტკივილი გაუძლიერდა, დაეწყო კრუნჩხვები და სუნთქვა გაუხშირდა, სასთუმალთან არ მოვშორებივარ და უკეთესობისაკენ შემობრუნება, რომ ვერ შევატყვე, გავმწარდი და მის შეუკითხავად სამედიცინო სასწრაფო დახმარებას დავურეკე. ცოდვას ვერ ვიტყვი მალე მოვიდა, მაგრამ მაინც გვიანი იყო.

– თქვენ ბოშა ქალი ახსენეთ, მაინც რა გითხრათ ასეთი, რომ ხშირად იგონებთ მას?

– ოჰ, ნუღარ მკითხავთ, არასოდეს არ მჯეროდა მარჩიელის, ის კი ვიღაც იყო, მარჩიელი კი არა თითქოს ჩენი ოჯახი სწევრი ყოფილიყოს ისე მომიყვა ყველაფერ.

– მაინც რა გითხრათ ასეთი?

– დღის მეორე ნახევარი იყო, ზომაზე მეტად ცხელოდა. მე ეზოში ჩრდილში ვიჯექი და „ჯეკ ლონდონს“ ვკითხულობდი, ჭიშკარი ბოშა ქალმა შემოაღო, ქალობაც არ ეთქმოდა, უფრო ქალიშვილს ჰგავდა, მთლად ახალგაზრდულად გამოიყურებოდა. ეზოში დაუკითახავად შემოვიდა და სახელით მომართა: – „ნელი თუ შეიძლება ერთი ჭიქა წყალი დამალევინეო”. – მთხოვა მან, მე გა-

მიკვირდა, საიდან უნდა სცოდნოდა ჩემი სახელი ქუჩაში მოწანწალე ბოშა ქალს? – და გაკვირვება არ დამიფარავს. უკმეხად შევეკითხე: – ვინ გასწავლე ჩემი სახელი—მეთქი! – მას გაეცინა. არაფერი მიპასუხა და ხელის გულზე დამაცქერდა, შემდეგ ფრთხილად აიღო ჩემი ხელი, დიდხანს დაჰყურებდა მას, მომღიმარი სახე მწუხარებით შეეცვალა – „ნეტავი არ მოვსულიყავიო!“ – თქვა და წასვლა დააპირა, მაგრამ ცნობისმოყვარეობამ დამძალა და მარტოობით გათანგულმა გადავწყვიტე ამელაპარაკებინა მარჩიელი.

– ჩემს ხელზე რა დაინახე ასეთი, რომ მოსვლა ინანე? – შევეკითხე მას.

– მწუხარება, დიდი მწუხარება! – მიპასუხა მან.

– მაინც რა? – კიდევ უფრო დავინტერესდი მე.

– არა უმჯობესია არ გითხრა, უბედურებას მაინც ვერ აიცილებ თავიდან, თუმცა შეიძლება, რატომაც არა. გაფრთხილება ხომ წინდახედულების დედაა? – თქვა, ცოტა ხანს ჩაფიქრდა და დაიწყო. – მითხრა ჩემი ქმრის სახელი, გვარი და ასე გასინჯეთ მამის სახელიც კი, სად და რა თანამდებობაზე მსახურებოდა, თუ როგორ აფასებდნენ მეგობრები, ალკოჰოლს რომ ეტანებოდა და ბოლოს მითხრა:

– „ისეთი სამსახური აქვს სიკეთესთან ერთად ცოდვებიც ბევრი აქვსო ჩადენილი, მოჩვენებითი მეგობრები ჰყავს, ფეხებში მიჩერებიან როდის წაიქცევა, მტრები მეტი ჰყავს მეგობრებზე, გაუფრთხილდი თორემ მისი მხრიდან ელოდეო მწუხარებას” – ასევე მეც მითხრა ყველაფერი ოჯახიის ირგვლივ ისე მელაპარაკა და ისეთი საიდუმლოებები მითხრა, რომელიც მეც არ ვიცოდი და შემოწმებით ყველაფერი სიმართლე გამოდგა.. მე მადლობელი ვარ იმ უცნობი ქალის, გამაფრხილდა, მაგრამ მე ვერ გავუფრთხილდი...

– იცი რომ ნამდვილად ბოშა ქალი იყო?

– როგორ არ ვიცი, მაგათ ლაპარაკს, ფერსა და ჩაცმულობას მილიონი ეროვნების ხალხში ამოიცნობს ადამიანი.

– წყალი რომ გთხოვათ, დაალევინეთ?

– კი, წყალი მაცივრიდან გამოვუღე. ერთი ჭიქა არაყიც და დალია. ფული არ გამომართვა, დაგვლოცა და წავიდა.

– ეზოში საუბრობდით თუ სახლშიდაც შემოვიდა?

– მეზობლების შემეხათრა ეზოში რომ ვინმეს დავენახე მარჩიელთან მოსაუბრე და სახლში შევიპატიჟე, უარი არ უთქვამს, გულდასმით დაათვალიერა მთელი საცხოვრებელი, განსაკუთრებით კი ჩემი მეუღლის სამუშაო კაბინეტი და აღფრთოვანებაც ვერ დაფარა უზარმაზარი ბიბლიოთეკის გამო: – „ეჭვი არ მეპარებოდა, რომ თქვენი მეუღლე განათლებული კაცი იქნებოდა, მხოლოდ ეს კი არ არის მოსაწონი უამრავი წიგნების გვერდით ალკოჰოლის ბარი რომ დგასო!”

– ალკოჰოლი თავის ტვინის უჯრედებს ხსნის და ნორმალურად მიღება საზიანო არ არის—მეთქი, ვუპასუხე.

– შესაძლებელია, ვერ შეგეკამათებით, მე ხომ ამხელა განათლება არა მაქვს ალკოჰოლის ზიანი ან სარგებლობა დავამტკიცოვო, – მითხრა.

– თუ შეიძლება მეც მაჩვენეთ თქვენი მეუღლის სამუშაო კაბინეტი! – უთხრა გამომძიებელმა ქალს და როდესაც იმის დამწუხრებულ სახეს თვალი შეავლო დარწმუნდა რომ თხოვნა უადგილო იყო, მაგრამ მოულოდნელად ქალი წამოიმართა და სიტყვის უთქმელად წინ გაუძღვა გამომძიებელს კაბინეტისაკენ.

მართლაც, უნიკალური იყო კაბინეტის გაწყობილობა და გამომძიებელს არ გაკვირვებია ბოშა ქალის აღფრთოვანება გამოეწვია ამ ქმნილებას. ნებისმიერი მწერალი შურის თვალით შეხედავდა კაკლის ხისაგან დამზადებულ მოჩუქურთმებულ საწერ მაგიდას, რომელსაც ასეთივე ხისაგან დამზადებული და მოჩუქურთმებული სავარძელი ჰქონდა მიდგმული. აღმოსავლეთის კედლის მთელ სიგრძე—სიგანეზე ბრწყინვალე ხელოსნის მიერ გაკეთებული წიგნების კარადა იყო ჩამწკრივებული და რომელ წიგნს იტყოდით, რომ თაროზე არ აღმოჩენილიყო. კაბინეტს თვალნათლივ ეტყობოდა, რომ აქაური გაწყობილობა ფუფუნების საგნებს წარმოადგენდა და არა სახელმძღვანელოს. აქ ხმარებაში ერთადერთი კარადა უნდა ყოფილიყო, რომელსაც „ბარი“ ეწოდებოდა და რომელიც სხვადასხვა სასმელებით იყო გამოტენილი.

გამომძიებელმა მზერა არაყის ბოთლზე შეაჩერა, რომელიც თეთრი არაყის სითხით ნახევრად თუ იქნებოდა და გვერდით ორმოცდაათგრამიანი ბროლის ჭიქა ჰქონდა მიდგმული. გამომძიებლის გამოცდილი თვალი კი არა უბრალო ადამიანიც შეატყობდა, რომ ხმარებაში მხოლოდ ეს ბოთლი და ჭიქა იყო. – „ალბათ ყოველ დილით ამ ბოთლიდან სვამდა არაყს ჯემალ ცინაძე” – გაიფიქრა გამომძიებელმა და დამწუხრებულ მანდილოსანს უთხრა:

– ამ ჭიქას წავიღებ, ყოველ შემთხვევისათვის შევამოწმებ, ვინ იცის შეიძლება თქვენი ვარაუდი გამართლდეს.

– არა, ღვთის გულისათვის, გამოძიების ხლართებში ნუ გამიხვევთ მეუღლეს, თორემ შემდეგ დაიწყება გვამის გაკვეთა, საფლავიდან ამოღება და მიცვალებულის ათასგვარი წამება, რომელიც ისედაც გაწამებულ გვამს სიცოცხლესა და არსებობას მაინც ველარ დაუბრუნებს.

– სიტყვას გაძლევთ, რომ არავითარ გამოძიებას არ ვაწარმოებ, მხოლოდ ეს ჭიქა პირადი ინტერესისათვის მჭირდება, თვითონ ვარ დაინტერესებული ასე უცებ რამ მოკლა ეს ლომივით კაცი, – თქვა გამომძიებელმა და ქალის თანხმობის შემდეგ ჭიქა სპეციალურ ქაღალდის კოლბაში მოათავსა.

პროკურატურაში დაბრუნებულმა გამომძიებელმა ის იყო ჯემალ ცინაძის ოჯახიდან წამოღებული ჭიქა საექიმო ექსპერტიზას გადაუგზავნა შესამოწმებლად, რომ ტელეფონმა დარეკა. გენერალური პროკურორი მანუჩარ წიკლაურის დაპატიმრებასა და ადგილზე ჩამოყვანას იუწყებოდა:

– თუ დრო გაქვს, ჩემი თანდასწრებით ხომ არ დაკითხავდით? – გაისმა ყურმილში პროკურორის ხავერდოვანი ხმა.

– სიამოვნებით! უბრძანეთ შემოიყვანონ – უპასუხა გამომძიებელმა – შემოიყვანეს.

ზვიადაური თავაზიანად მიესალმა მკვლელობაში ეჭვმიტანილ მანუჩარ წიკლაურს და სკამზე მიუთითა.

– იცით რისთვის დაგაპატიმრეს? – შეეკითხა გამომძიებელი ეჭვმიტანილს.

– ვიცი. დაპატიმრების წინ კარგად გამოვძეხი და როგორც ქართველებს ჩვევიათ კერძს ზედმეტი პური მივაყოლე, თუ არ ვცდები თქვენი სისხლის სამართლის კოდექსი ზედმეტი პურის გაფლანგვისათვის სასჯელს ითვალისწინებს, მხოლოდ ის კი არ ვიცი რამდენი წლით მომიწევს თავისუფლების აღკვეთა!

– იმ ბოროტმოქმედებისათვის, რომელიც ბრალად გედებათ თავისუფლების აღკვეთას კი არა, სასჯელის უმაღლეს ზომას ითვალისწინებს, მაგრამ გულახდილად ნაღიარები ბოროტმოქმედება ამსუბუქებს სასჯელს და შეღავათიც გექნებათ, როგორც გამოძიების დროს ასევე სასამართლო პროცესზედაც.

– ოჰო! არ მეგონა სამასი გრამი პურის შეჭმა ამხელა სასჯელს თუ ითვალისწინებდა, თორემ მარტო „ხარჩოს“ ჩავხვირიპავდი.

– თავს ნუ იგდებთ, უმჯობესია თქვენ თვითონ აღიაროთ როგორ მოახრჩვეთ და შემდეგ როგორ ჩაძირეთ ქალის გვამი ბაზალეთის ტბაში.

– ღმერთმანი სასაცილოდაც არ მყოფნის ასეთი ბრალდება, მე როდესაც ბაზალეთის ტბის ტურისტულ სანაოსნო ბაზაში ვმუშაობდი ტურისტებს ვასეირნებდი ტბაზედ ნავით და არა გვამებს.

– არსებობს მოწმე, რომელმაც დაგინახათ შენ და შენი ძმა იროდი წიკლაური თუ როგორ ეკამათებოდით ორ ქალიშვილს.

– ნუ გეწყინებათ და უნდა ვაღიარო, რომ კარგად ვერ გიმუშავნიათ, მხოლოდ ერთი მოწმე გიშოვნიათ და მეტი ვერა, რომელსაც ქალთან კამათის დროს დავუნახივარ, მე კი ასი მოწმე შემიძლია მოვიყვანო, რომელთაც საერთოდ არ დაუნახივარ ბაზალეთის ტბაზე.

– ოჰ, როგორ გინდათ თავი მოისულელოთ, მაგრამ ნუთუ არ იცით, სიგიჟე სასჯელს არ ამსუბუქებს? თქვენ ხომ არ უარყოფთ რომ ბაზალეთის ტ ბის ტურისტულ ბაზაში მუშაობდით მენავედ?

– არა!

– რატომ განთავისუფლდით სამუშაოდან?

– მსხვილი ფულის შოვნა მომინდა და რუსეთში წავედი სამუშაოდ, როგორ არ შეიძლება თუ?

– მეუღლესთან რატომ გაქორწინდით?

– უბრალოდ ვერ გავუძელი იმის საყვედურებს, მე მგონია ესეც დასაშვებია ჩვენს პირობებში.

– ვენერიული დაავადება სიფილისი ვისგან შეძინეთ სქესობრივი კავშირით?

– მე არავითარი სიფლისით დაავადებული არ ვყოფილივარ არასოდეს.

– აბა თქვენი მეუღლე როგორ დაავადდა ამ სენით თქვენ მიერ?

– ჩემ მიერ? ეშმაკმა უწყის ვის მიერ, მე კი სწორედ მაგ მიზეზით გავქორწინდი მასთან და უსიამოვნება რომ თავიდან ამეშორებინა რუსეთში გადავიკარგე!

– როგორც ჩანს რუსეთში დროსტარებამ დაგავიწყათ ბაზალეთის ტბაზე განვლილი სიამოვნებანი, მაგრამ მკვლელობა ასე ადვილი დასავიწყებელი არ უნდა იყოს, მითუმეტეს როდესაც მასთან მხოლოდ ექვსი თვე გვაშორებს რადგან თქვენ დავიწყებას მიეცით ეს საქმე, მე შემიძლია ზოგიერთი დეტალი შეგახსენოთ:

როდესაც თქვენ ბაზალეთის ტბის ტურისტულ ბაზაში მოეწყვეთ მენავედ, პირველ ხანებში გამოირჩეოდით დამჯერებლობით და მუყაითი შრომით, მაგრამ როდესაც თქვენმა ძმამ იურიდიული განათლება მიიღო და ქალაქის პროკურატურაში დაიწყო მუშაობა, თავი ძლიერი მფარველის ქვეშ იგრძენით, მიჰყევით ქეიფსა და დროსტარებას, ხშირად შენთან ერთად შენი ძმაც იზიარებდა შენს ბედს და ნელ-ნელა ითქვიფებოდით ამორალური საქციელით.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ნანა მომცელიძე

შენ გადარჩები!

ნისლი ჩამოწვა. თვალზე ლიბრი გადამეკრა. არსად ჩანდა მზის პაწაწინა სხივიც კი. მხოლოდ ცას ვხედავდი ხანდახან. აქეთ-იქეთ მიმოვიხედე. არაფერი ჩანდა. სითეთრე გამეფებულიყო ყველგან.

– ღმერთო, სად ვარ? – ჩემდაუნებურად აღმომხდა. ტკივილი ვიგრძენი. გული მტკიოდა ისე,თითქოს მკერდიდან მაგლეჯდნენ. გაუგონარ ტკივილს ვგრძნობდი. მხოლოდ სადღაც შორიდან იდუმალი ხმა ჩამესმოდა: – ნუ გეშინია, შენ გადარჩები!

მე და სოფოს სკოლის მერხიდან გვიყვარდა ერთმანეთი.თხელი, კაფანდარა გოგო იყო. ცქრიალა და მოუსვენარი. ლამაზი თმა ქონდა, სქელი, დავარდნილი წაბლისფერი თმა.მიყვარდა მისი თმის მოფერება.დავჯდებოდი ხოლმე მის უკან მერხზე და თმაში ხელებს ვუფათურებდი. მერე თავში წიგნი მომხვდებოდა და ასე გრძელდებოდა მანამ, სანამ არ მივხვდი, რომ სოფო მიყვარდა. მიყვარდა მთელი არსებით. მის გარეშე სიცოცხლე არ შემეძლო. სიზმარშიც კი მის სახეს ვხედავდი. მხოლოდ მისი სურნელი დამყვებოდა.

სკოლა დავამთავრეთ. ერთად ჩავაბარეთ უნივერსიტეტში. არქიტექტორობა გვინდოდა ორივეს. ბოლოსდაბოლოს დადგა ის დღეც, როცა გადავწყვიტე, რომ სოფო ცოლად უნდა მომეყვანა.მივხვდი, მის გარეშე ვეღარ გავძლებდი.ლექციების მერე ნარიყალაზე ავედით.იქედან გადმოვხედეთ თბილისს.პირველად იქ ვაკოცე სოფოს მთელი გრძნობით. მაშინ მივხვდი,რომ ჩემს მკლავებში მგრძნობიარე და ვნებიანი ქალი მყავდა.ის ზღვის ტალღასავით შემოვარდა ჩემში, ამაღელვა, გამაგიჟა და უცებ უკან დაიხია.ისევ მოემზადა და მოასკდა ჩემს გულს, რომელიც უკვე ამოვარდნაზე მქონდა.უფრო გაგიჟებით შემიყვარდა ჩემი სოფო.ერთ კვირაში ქორწილი გადავიხადეთ. ჩემზე ბედნიერი კაცი არ მეგულებოდა. ორი ლამაზი შვილი მაჩუქა სოფომ.ცხოვრება ჩვეული გზით მიდიოდა. ვცდილობდი არაფერი მომეკლო მათთვის. სოფოც მუშაობდა. გვქონდა ბედნიერი ოჯახი. მხოლოდ ერთი რამ გვიშლიდა ხელს და ამ ერთმა რამემ გადაწყვიტა ბევრი რამ. ვერ ვიტყვი სოფო ჩემს მიმართ სითბოს და სიყვარულს არ იჩენდა მეთქი, მაგრამ ყოველთვის ქონდა რაღაც პრობლემა: ხან ბავშვებიო,ხან სამსახურიო და ნელ-ნელა ცოტავდებოდა ყურადღების და სიყვარულის წუთები. ნელ-ნელა იცრიცებოდა ვნება.ბევრჯერ ჩამძინებია სოფოს ლოდინში, რომელიც ხან რეცხავდა, ხან სადილს ამზადებდა, ხან ბავშვებს აძინებდა.

- დავიღალე გესმის? – მოულოდნელად ვიყვირე. გაოცებულმა შემომხედა სოფომ. გაურკვეველი თვალებით მიყურებდა და მისი გამოხედვა მეკითხებოდა – რა დავაშავე?

არ მახსოვს როგორ ჩავაწყვე ჩემი ნივთები და როგორ წამოვედი სახლიდან.მახსოვს, როგორ შევირბინე სუპერმარკეტში, როგორ დავავლე ხელი ლიტრიან არყის ბოთლს, როგორ ხელის კანკალით გადავიხადე თანხა და სულმოუთქმელად როგორ გამოვცალე.

რომ გამოვფხიზლდი ლიკას გვერდით ვიწექი. ვეფერებოდი შიშველ სხეულზე და ვერ ვძღებოდი. ვერ ვძღებოდი სიყვარულით და ვნებით. ბედნიერებისგან თავბრუ მეხვეოდა. იმ წუთას ლიკას გარდა არავინ მიყვარდა.მე ყველაზე თავისუფალი ვიყავი იმ დროს.

ჩვენს კურსზე ლიკასნაირი ლამაზი გოგო არ იყო.თითქმის შვიდი წელი არ გვენახა ერთმანეთი, მაგრამ საერთოდ არ იყო შეცვლილი. თვალწინ დამიდგა ჩემი და ლიკას პირველი ღამე. როგორ ვუყვარდი. სოფო რომ მოვიყვანე ცოლად თავი მოიწამლა.არადა მე მას არაფერს შევპირებივარ. მას თავად უნდოდა, რომ მე ვყოფილიყავი მისთვის პირველი მამაკაცი.მე კი..... მე ხომ სოფო მიყვარდა, ჩემი სოფო, ჩემი სოფოოოო!

არა, მე აღარ დავბრუნდები სახლში.გადაწყვეტილება მიღებული მქონდა.ლიკა ჩემი ქალი იყო და მიყვარდა.ვეღარ მივიღებდი სოფოს.ვეღარ აღმაგზნებდა მისი ვერაფერი.ჩავქრი და გავუფერულდი თითქოს მის მიმართ.მივხვდი- მე ლიკა მჭირდებოდა.

სიგიჟემდე შემიყვარდა ლიკა.დავდიოდით ხელიხელჩაკიდებულები ხან სად და ხან სად.ყოველი წუთი ჩემთვის უნდოდა დღეც და ღამეც. ქვეყანა ჩემი მეგონა.აღარც მუშაობა მინდოდა, აღარც ჭამა.მხოლოდ ლიკას მოფერება მჭირდებოდა. მისი ნაზი ტუჩების შეხება. მისი მარმარილოსავით ტანი. მისი ციმციმა თვალები..... თვალები, რომელიც სულ მალე სამუდამოდ დაიხუჭა.

ღამის სიჩუმეში ტირილის ხმამ გამაღვიძა. ლიკა ტიროდა.გავგიჟდი..... რა გჭირს ჩემო სიყვარულო? – ვუკოცნიდი თვალებს, სახეს, მთელ სხეულს.კანკალებდა. მერე მოეშვა მისი სხეული. მხოლოდ თვალებით გადმომხედა ერთხელ. მკლავები ჩამოუვარდა და მოწყვეტით დაეშვა საწოლზე. თავი ვერ შევიკავე და მეც ზედ გადავემხე მის უსულო სხეულს.

გიჟივით წამოვვარდი ლოგინიდან. შუქი ავანთე და..... ლიკას პირი ოდნავ ღია დარჩენოდა. თითქოს იღიმებოდა. თვალებიც ღია ქონდა. მე მიყურებდა მისი თვალები, წყენით მიყურებდა. მეუბნებოდა, რატომ არ მიშველეო.

სისხლის გათეთრება ქონია ლიკას.არავინ იცოდა მის გარდა. წარმოგიდგენიათ, იცოდა რაც ელოდა და მაინც არავინ შეუწუხებია. ამხელა ტკივილს დაატარებდა და ღიმილი არ მოშორებია სახეზე. მომიკვდა ჩემი ლიკა და გაიყოლა ჩემი სიყვარული. ჩემი სიყვარული მოკვდა.

სიგარეტს სიგარეტზე ვეწეოდი. არყის ბოთლი გვერდით მედგა და პირდაპირ ბოთლიდან ვსვამდი გულის გაჩერებამდე, სულმოუთქმელად. კალენდარს არ ვუყურებდი. არაფერს ვუსმენდი.არც ვიცი რამდენი დღე გავიდა ლიკას გარდაცვალებიდან.ღამით ვყიდულობდი სიგარეტს და არაყს. კიდევ მოვიყუდე არყის ბოთლი.თვალები მიბნელდებოდა.გული ლოდივით მქონდა. კაკუნის ხმა გავიგე.არ მინდოდა გაღება მაგრამ არ ჩერდებოდა ხმა.ძლივს მივედი კარამდე. მახსოვს, როგორ გავაღე კარი. გავაღე და..... სოფო დავინახე, თვალცრემლიანი სოფო. თუ ლიკა..... სახეები ერთმანეთში ამერია. მეტი არაფერი მახსოვს.

ნელ-ნელა ბურუსიდან გამოვედი.არც ნისლი ჩანდა. აღარც ცას ვხედავდი. აღარც სითეთრეს. ჩემს თავთან სოფო იდგა, მეფერებოდა და ჩურჩულებდა: – ნუ გეშინია ჩემო სიყვარულო, შენ გადარჩები!

შინდისფერი ნერტილი

თვალი გავახილე, სითეთრემ შემომანათა. ჩრდილსაც ვერსად ვხედავდი.სხეული დამძიმებული მქონდა.სხეულთან ერთად სულიც. თითქოს ყინულის ლოდი ვიყავი.რამ გამომფიტა ნეტავ?ან ამ სითეთრეში რა მინდა? გამახსენდა – შინდისფერი ანუ ბორდოსფერი მიყვარდა: ფარდებიც, გადასაფარებლებიც, თეთრეულიც. კი, კი, მახსოვს, ნამდვილად ასე იყო.სითეთრეს ვერ ვიტანდი, საავადმყოფოს ფერს მაგონებდა და იმიტომ. ზემოთ ავიხედე. სარკმელი დავინახე გისოსებით. კარი ვერ ვიპოვე ვერსად. ღმერთო მიშველე!-ნუთუ რამე დამემართა? სად ვარ? საწოლზე წამოვჯექი.თვალი მოვავლე ოთახს. ერთადერთი საწოლი იდგა, სადაც მე ვიჯექი. ყველაფერი თეთრი იყო. ჯერ ვიფიქრე, თვალზე ლიბრი გადამეკრა მეთქი. გონება დავძაბე, სული ამიფორიაქდა, თითქოს სხეულის გაგლეჯას ლამობდა. თითქოს თავი დავკარგე და ჩემს "მეს" ვეძებდი. გონებაში სიტყვების კორიანტელი ქარიშხალივით დაქროდა. მინდოდა მეყვირა:

"არ მინდა ბორკილი, ჩაკეტვა არ მინდა.
მინდა, რომ ჩემი "მე" არ იყოს ნაჭუჭში.
ცხოვრება ისედაც უაზროდ გავიდა,
გამიშვით,ამ ჩემს სულს არ უნდა მარწუხში.
ცხოვრება ისედაც უაზროდ გავიდა,
არ მინდა ვიქექო უაზრო წარსულში.
არ მინდა ბორკილი, ჩაკეტვა არ მინდა
მინდა, რომ ჩემი "მე" არ იყოს ნაჭუჭში".

ასე მეგონა ბოლო ხმაზე ვყვიროდი. კარის გაღების ხმა გავიგე.თეთრი ადამიანები შემოვდნენ, არა თეთრხალათიანები. ხმა მესმოდა, მაგრამ ვერ ვპასუხობდი:"ეს უბედური ისევ

უაზრო თვალებით იყურება, გაუკეთე ნემსი, დაიძინოს იქნებ დამშვიდდეს"- არა, მე მშვიდად ვარ!- მეგონა ვლაპარაკობდი. მე არაფერი მჭირს! – რატომ ვარ უბედური? – რა მოხდა? ისევ წამოვწექი. თვალი გისოსებიან სარკმელს გავაყოლე და გამიშტერდა.შინდისფერი წერტილი დავინახე, რომელიც ნელ-ნელა გაიზარდა და ჩემს სახლში აღმოვჩნდი.

ვარაზისხევით მივუყვებოდი უნივერსიტეტისკენ მიმავალ გზას. ლიმნისფერი კაბა მეცვა. ძალიან მიხდებოდა. ლამაზი მეთქმოდა. გრძელი, ტალღოვანი თმა, წვრილი წელი. სახეზეც არა მიშავდა. სულ რაღაც 18 წლის ვიყავი. თავში მიქროდა. ნელი ნაბიჯების ხმა ვიგრძენი. ვიღაც მიახლოვდებოდა. ხელი შემეხო წელზე და ტანში ჟრუანტელმა დამიარა. – ოხ, შენ ხარ? – გამიკვირდა მისი დანახვა. – კი მე ვარ, რატომ გაგიკ ვირდა, ხომ იცი, შენი აჩრდილი ვარ. ხომ იცი, უშენოდ სიცოცხლე არ შემიძლია? – კარგი რა! – ხელი გავაშვებინე.-ვერ შეგიყვარებ.ხომ გითხარი, რომ შენთან ვერ ვიცხოვრებ. დამანებე თავი, რას დამდევ? – არ შემიძლია, – გესმის? – სადაც წავალ შენი სურნელი თან დამდევს.შენი სახე მელანდება.ჩვენი პირველი ღამე მოსვენებას არ მაძლევს. შენ ჩემი სულის ნაწილად იქეცი. ნუთუ ვერ გრძნობ ამას? იქვე სკამზე ჩამოვსხედით, ამაღლებულ ადგილას. მდუმარედ გადავყურებდით ზოოპარკს.დუმილი მან დაარღვია:-გახსოვს, როგორ გეხვეწებოდი ცოლად გამომყოლოდი? – უბედნიერესი კაცი ვიქნებოდი დღეს. იმ ღამეს არც კი გამომაცილე.ღამის 2 საათზე სახლიდან დამითხოვე და მას შემდეგ აღარ მიკარებ. ვფიქრობ და ვერ ამიხსნია, რატომ? გაჩუმდა. დუმილი მე დავარღვიე, – უნდა წავიდე, მეჩქარება. ხელი ჩამოვართვი ცივად და უკანმოუხედავად გავიქეცი. გავრბოდი და ვგრძნობდი, როგორ მწვავდამისი ორი თვალი. იმ დღის მერე აღარ მინახავს. აფხაზეთის ომში წავიდა. როცა მითხრეს რამოდენიმე დღეში გაგრასთან დაიღუპაო,იმ დღეს შევიტყვე, რომ მისგან შვილი მეყოლებოდა.

როგორც იქნა უნივერსიტეტი დვამთავრე.ჩემი პატარა გოგო ნელ -ნელა იზრდებოდა.. ძალიან გავდა მამას.ეშხიანი და ლამაზი იყო მასავით. მე სკოლაში ვმუშაობდი და ასე გადიოდა დრო.ცოტა დანაზოგი მოვაგროვე. მინდოდა სალონი გამეხსნა

და ჩემი ერთადერთი შვილისთვის უზრუნველი ცხოვრება შემექმნა. ფართი ვიქირავე, ნელ-ნელა ისეთი სილამაზის სალონი გავაკეთე, რომ სულ მოკლე დროში დიდი პოპულარობით ვსარგებლობდი. სკოლიდან წამოვედი. ძალიან ბევრი მეგობარი შევიძინე. თითქოს რაღაც გარდატეხა მოხდა ჩემში. როგორც ჩემი შვილი იპრანჭებოდა, ისე მინდოდა გაპრანჭვა მეც. მივხვდი, რომ სიყვარული მჭირდებოდა. მამაკაცის ხელი, რომელიც, მთელი ცხოვრება მაკლდა. ჩემთან სალონში ერთი სიმპათიური მამაკაცი შემოდიოდა ხოლმე. პირველივე დღეს ჩემიყურადღება მიიპყრო მისმა ათლეტურმა აღნაგობამ და ხალასმა იუმორმა. ვგრძნობდი, რომ არც ის იყო გულგრილი ჩემს მიმართ. რესტორანში დამპატიჟა. გული პატარა გოგოსავით მიცემდა. მივხვდი, ის მე მჭირდებოდა. მიუხედვად იმისა, რომ 7 წლით პატარა იყო ჩემზე, მაინც გადავწყვიტე მასთან ურთიერთობა. არ მაინტერესებდა ვინ იყო. არ მაინტერესებდა რა ქონდა. შემიყვარდა და მორჩა. ერთ კვირაში ხელი მოვაწერეთ. ჩემი შვილიც ნორმალურად შეხვდა ამ ამბვს. შევქმენი ბედნიერი ოჯახი. მართალია მხოლოდ მე ვმუშაობდი, მაგრამ ჩემს13 წლის ქალიშვილს და ქმარს არაფერს ვაკლებდი. ასე გავიდა 8 თვე. შემდეგ სიცივე ვიგრძენი, ხმამაღალი ტონიც შეეპარა მის ხმას. სახლში რომ ავდიოდი, რამდენჯერ მისი დბნეული თვალები შემომფეთებია. მიკვირდა,ბოლოს საძინებლიდანაც აღარ გამოდიოდა. იწვა ჩემს შინდისფერფარდებიან, შინდისფერგადასაფარებლიან და შინდისფერთეთრეულიან ოთახში. იწვა და მოვალეობის მოხდის მიზნით მეფერებოდა. ჯერ კვირაში ერთხელ, მერე თვეში ერთხელ და ერთხელ..... სალონში ვიყავი წასული. ჩემი ამხანაგი მოვარდა, მიშველე, ჩემს ბიჭს უბედურება შეემთხვა და სასწრაფოდ 2000 დოლარი მჭირდებაო. ფული არ მქონდა ამდენი. ვუთხარი, სახლში გავიქცევი, მანქანის საბუთებს ავიღებ, დავალომბარდებ და მოგცემ მეთქი. სასწრაფოდ სახლში გავიქეცი და..... მახსოვს როგორ გავაღე კარი. როგორ წავედი საძინებლისკენ. კარი შევაღე, ფეხქვეშ ყველაფერი გმომეცალა. ცა გაიხსნა და მეხი დამეცა. ჩემს შინდისფერ თეთრეულში ჩემი გოგო და ქმარი ერთად იწვნენ. გაოგნებული შევყურებდი ორივეს. ვითომც არაფერი, – გამომიცხადეს ერთმანეთი გვიყვარს, ბავშვსაც ველოდებითო.. მეტი

აღარაფერი მახსოვს.... ნელ-ნელა გავახილე თვალი. ისევ დავინახე გისოსებიანი სარკმელი, მაგრამ შინდისფერი წერტილი გამქრალიყო.

სიყვარულის ყულაბა

მზის სხივი ელამუნებოდა ზღვას. ლიცლიცებდა წყლის ზედაპირზე. ქვიშა ელავდა ოქროსფრად. იდუმალი იყო ნაპირი. უზარმაზარი ქვა იდო ნაპირზე, ქვა, რომელსაც ადამიანი სიცოცხლეში ზემოდან ექცევა, გარდაცვალების შემდეგ კი მის ქვეშ. იდუმალი იყო ქვაც. წყვილი იჯდა ქვაზე. ქალს მამაკაცის მხარზე თავი ჩამოედო. მამაკაცს კი ისე ახლოს ყავდა გულთან, ისე ახლოს, რომ ერთი მთლიანობა გეგონებოდათ. ზღვა ლიცლიცებდა, მზე ჩადიოდა, მაგრამ სიცოცხლე დუღდა. გული ცოცხლობდა, ორი გული. – გიყვარვარ? – დიდი თაფლისფერი თვალებით ახედა ქალმა კაცს, თვალებით კითხა, გულით უხმოდ. იმ დროს ორი გულის საუბარი ისმოდა. – მიყვარხარ, ძალიან

მიყვარხარ! – იყო გულის პასუხი. – იცი? ჩემი გული ნელ-ნელა ივსებოდა სიყვარულით, სითბოთი, მონატრებით. ივსებოდა, როგორც ყულაბა და როცა გადმოსვლა დაიწყო, როცა ვერსად დაეტია, შენ ჩემი გახდი, ჩემი, მხოლოდ ჩემი. თაფლისფერი თვალებით ისევ ახედა ქალმა. – რამდენჯერ ავსილა შენი ყულაბა? – ცოტა ნაღვლიანი იყო თვალები ამ დროს. – ბევრჯერ, ბევრჯერ ავსილა და იცი რატომ? – მე ცხოვრება მიყვარს, სილამაზეს ვხედავ,სითბო მიზიდავს და მივყვები მზის სხივს, რომელიც ცაში ამაფრენს, ფრთებს შემასხამს, ღრუბლებში მანარნარებს და შარბათს შემასმევს,ტკბილს, თაფლივით ტკბილს. – მთელი ცხოვრება მასე ხარ? – დაღონდა გული. – ახლა აღარ და იცი რატომ? – ადამიანის ცხოვრება ოთხი ფაზაა. დაბადება, ახალგაზრდობა, შუა ასაკი და შემოდგომა.ყველაზე სავსე შემოდგომითაა სიყვარულის ყულაბა.მთელი ცხოვრების მანძილზე დაგროვილ გამოცდილებას აგროვებს, ოღონდ უკვე საცერში გატარებულს, სუფთას, მარგალიტებივით ნარჩევს. ასე ავსებს გულის ყულაბას და ცხოვრების შემოდგომამდე ელოდება აპრილის ერთ ამოფეთქვას, იასამნის სურნელს, ატმის ყვავილობას, სითბოს, სიყვარულს და ერთგულებას. – გესმის ჩემი? – ერთგულებას. – მესმის! – ჩურჩულებს ქალი, მაგრამ ჩუმად, უხმოდ. ერთი მთლიანობა ხდება ორი სხეული. ორი გული საუბრობს მხოლოდ. – იცი? – ამბობს ქალი. – მე არასოდეს ამვსებია გულის ყულაბა. არასოდეს მიგრძვნია ის, რაც შენ თქვი. მხოლოდ ახლა, ახლა ვგრძნობ ამას. მინდა უსასრულო იყოს ეს ყველაფერი. მზის ჩასვლა არ მინდა. ამოსვლა მინდა მზის. განათება მინდა, გათბობა, ნათელი.თურმე ისედაც ბნელში მიცხოვრია, უკუნეთში. ბოლო სიტყვები ვეღარ თქვა ქალმა, მამაკაცის ტუჩებმა ჩაახშო მისი ხმა. სუნთქვა შეეკრა ქალს, ტანში უდიდესი სითბო ჩაეღვარა, უკიდეგანო და უსაზღვრო სითბო. კიდევ უფრო ერთი მთლიანობა გახდა მათი სხეულები.მზე კი ჩადიოდა. ჩადიოდა, მაგრამ იმედს იტოვებდა, რომ ისევ გაათბობდა დედამიწას,ისევ გაათბობდა ორ გულს. წამით ამოისუნთქა ქალმა. ქვემოდან შესცინა კაცს: – როგორი უძირო და მრავლისმთქმელი თვალები გაქვს! – ჩემი გულის ყულაბაც აავსე – აღმოხდა ბაგეს და მიეცა თავდავიწყებას." სიყვარულს გონება თავისკენ მიყავს" ჩასჩურჩულა კაცმა ქალს, ჩაეკრა მის აკანკალებულ სხეულს და მზეც ჩავიდა. გათენდა. მზის სხივმა გაანათა ზღვის სანაპირო. აღარსად ჩანდა ორი გული, ორი ადამიანი, რადგან ისინი ერთ მთლიანობად ქცეულიყო და ტალღებში ლივლივებდა, ბობოქარ ტალღებში.

გიორგი კეკელიძე

სხვა-გურული-დღიურები

ორიათასიანების დასაწყისია. სტუდენტობის პროლოგი. თვეში ერთხელ ვაგზლის მოედანზე ავტობუსს ვხვდები და მძღოლს „გამოტანებულს“ ვართმევ: ჭადი, მოხარშული ქათამი და 30 ლარი. ჭადი, შებოლილი ყველი და 40 ლარი. კიდევ – დედაჩემის გრძელი წერილები, სადაც დიდწილად ჩემი ლანძღვაა, რომ უვარგისი გამოვდექი – აბა, ამდენი ხანი ტელევიზორში რაფერ არ ვჩანავარ ამფერი ნიჭიერი ბაღანა. ან ვხალტურობ, ანდა აფერი ნიჭიერი თურმე მე არ ვყოფილვარ – ეს უკანასკნელი, ეტყობა, „აგდების“ თავისებური ხერხი იყო.

ჰოდა, ეს დროა მეთქი, ცუდი დრო, და თან შეყვარებული დამშორდა. დეპრესიების და ვალების ნაკლებობას მანამდეც არ ვუჩიოდი, მაგრამ ორივე გაორმაგდა. პირველი „მე“ მაიძულებს, დავწვე, საბანი წავიფარო და ვიფიქრო, რომ ყველაზე ბანძი ვარ. პირველი „მე“ დეპრესიების პარტიას უჭერს მხარს. მეორე მეუბნება, რომ რასაც დავპირდი, ის აუცილებლად, აუცილებლად უნდა ავასრულო. მეორე ვალების პარტიის გულშემატკივარია. და ვისესხე ასი ლარი. და დინამოზე ვიყიდე მობილური ტელეფონი, სონი-ერიკსონ რაღაცა. და გავუგზავნე. მოვიდა ვალის გადახდის დრო. ვისთან არ მივედი, არავის ჰქონდა. არც სამსახურის კონტურები ჩანდა და არაფერი. ჩემებს იმ ოცდაათი ლარის გამოგზავნაც უჭირთ და ახლა შევუთვალო, რომ ასი მინდა, არ გამოდის. უნდა ჩავიდე და ავუხსნა. ეგებ იქ ვისესხოთ სადმე ან რამე. დავიმატე ვალად კიდევ 11 ლარი, გზის ფული, და წავედი.

ცხოვრებაში ბევრი დრამატული სცენა ყოფილა. უამრავი. მაგრამ ეს მთავართაგანია. დედაჩემმა ტირილი დაიწყო. მამაჩემმა უხმოდ შემოდო კაჭკაზე უკანასკნელი თხილი და ჩასაბარებლად წაიღო. ღამით ქვევით დავრჩი. ოდნავ ციოდა. გარეთ – გაფითრებული მთვარე და რაღაც მეჩხერი ქარი, ხან რომ დაიწუვლებს და ხან დუმს. ზევით დედაჩემი ამბობდა, რომ დაიქცა ოჯახი. მამაჩემი არაფერს ამბობდა. მეგონა, გული გამისკდებოდა. უცებ შუქი მოვიდა. ვერ ვიძინებდი. რაღაც ხომ უნდა მექნა და ძველი მაგნიტოფონი ჩავრთე. კასეტაც ინერციით ჩავდე. სულ ოდნავ, თუ მოინდომებდი – შეუმჩნევლადაც, წელავდა. □□□□. I □ავე □ □რეამ. არ ვიტყუები და არც ვაპოეტურებ ამბავს – მართლა ეს ჩაირთო, ყველაფერს გეფიცებით. სიტყვები ნორმალურად არც მესმოდა, უბრალოდ ვიჯექი და ვტიროდი. ვტიროდი და თან საიდანღაც ვგრძნობდი ახალ ძალას, რომლითაც ეს სამყარო უნდა გადამელახა – უფულო, უშეყვარებულო, უიმედო მშობლებით და გაზეთში გახვეული ჭადით.

იმ დღის შემდეგ მე სახლიდან არაფერი მომითხოვია. იმ სიმღერის შემდეგ, რომელიც თავისთავად და ცალკე შეიძლება არც არაფერია, მაგრამ ფრთხილ მთავრესთან, ქართან, ოდნავ სიცივესთან და ხმებთან, მშობლების და კაჭკის ბორბლების ხმებთან ერთად ყურებში ახლაც ჩამესმის. ცხოვრება შემთხვევითობების ჯაჭვია. ასეთი შემთხვევითი და სხვისთვის გაუგებარი ბიძგებით.

საგანგებოდ არასდროს, მაგრამ როცა წავაწყდები ან თვითმფრინავის მენიუში, ან მანქანაში, ვრთავ და ვუსმენ. ვუსმენ და იქ ვბრუნდები, იმ ოთახში. და ვგრძნობ – ყველაფერი, რასაც მივაღწიე, საკუთარ თავზე შურისძიებით მოხდა და აწიც ასე იქნება. იმ უცნაური საუნდტრეკით.

///

ჩვეულ გზას ვადექი. იტალიაში წიგნები ჩავიტანე იქ მცხოვრები ქართველებისთვის. მილანიდან ფლორენციისკენ მატარებლით მომიხდა წასვლა. მანამდე ფრენა და ამბავი. შუაღამის. მოკლედ დაღლილი. დაღლა ისეთი, რომ თავს გაძალებს და გაძილებს. იტალიელები

სხედან ჩემ უკან. ორი ქალი და ერთი კაცი. ეს ნიშნავს ლაპარაკს. გაძლეგამდე სწრაფს. დაუსრულებელს. ხან ხმამაღალს. ხან წესებიდან გაქცეული ჯადოსნური მუსიკისმაგვარს. ეს მესმის და თან მეძინება, თან ვერ. ისინი ლაპარაკობენ, შეიძლება მოდაზე ან პიცაზე, ან უფრო – უცებ გაფუჭებულ ამინდზე და სახლში დარჩენილ საწვიმარზე. შეიძლება შვილებზე, რომლებიც არ გვანან მამებს და წუხან, რომ არ გვანან. შეიძლება მეზობელზე, რომელიც ფანჯრიდან ყრის ნაგავს. შეიძლება ,,ფიორენტინაზე'' და ,,ინტერზე''. შეიძლება მთავრობაზე. შეიძლება ძაღლზე. სულერთია რაზე, მაგრამ შემართებით და შეუსვენებლად. და უცებ, ძილსა და ცხადს შორს გაჩხერილს, მეჩვენება, რომ ნატანებში, ,,კაჩალკაზე'' ვწევარ და ოდნავ ვირწევი და ეს ხალხი კი არა, ბებიაჩემი და ,,კოფეს'' დასალევად გადმოსული ორი მეზობელი ლაპარაკობს. ლაპარაკობენ ბათუმის ბაზარში ნაყიდ ტანსაცმელზე ან მანდარინზე, ან უფრო – გაფუჭებულ ამინდზე და სახლში დარჩენილ ,,ბუშლატაზე''. შეიძლება შვილებზე, რომლებიც არ გვანან მამებს და წუხან, რომ არ გვანან. შეიძლება მეზობელზე, რომელიც ჭიშკართან ყრის ნაგავს. შეიძლება ,,ფიორენტინაზე'' და ,,ინტერზე''. რატომაც არა – ,,ფიორენტინაზე'' და ,,ინტერზე''. შეიძლება მთავრობაზე. შეიძლება ძაღლზე. და მესმის ეს ლაპარაკი და ის ლაპარაკიც და ორივე ლაპარაკი ერთია ჩემთვის, თან მატარებელში ვზივარ და თან ,,კაჩალკაზე'' ვირწევი და ეს რწევა და ლაპარაკი იტალიას და საქართველოს, ტოსკანას და გურიას ვეღარ არჩევს და აღარც არჩევს. და ვხვდები იმას, რაც სიტყვებად პათეტიკურს მიაგავს, მაგრამ არაფერია ამაზე ნამდვილი – რომ ადამიანები საშინლად ვგავართ ერთმანეთს. და სულ, სულ ვემსგავებით. რაც უნდა შორს წავიდეს მატარებლით ერთი და მეორე სულ ,,კაჩალკაზე'' დარჩეს, იქნება რაღაც გარდაუვალი და აუცილებელი წერტილი, სადაც ისინი ერთმანეთს შეხვდებიან.

///

ზაფხულის ღამეები სხვა ფიქრებს გულისხმობდნენ. მათსავით მოკლეს და არეულს. სიზმრებიც ეგეთი შეკვეცილია და უცაბედი. ამიტომაც, აგვისტოს ღამეს, სჯობდა აივანზე ვმსხდარიყავით, თხილი გვერჩია და ხმა არ ამოგვეღო. თხილის რჩევა დაკვირვებას არ მოითხოვს – ჩვენი მზერა ჰორიზონტზე დაღვრილ სილურჯეს მიშტერებია. მზერა ჯიუტია. ლურჯი – ბაცი და ცხელი, ტლანქი და ნოტიო. უსიტყვოდ და უფიქროდ ვარჩევთ. მე, ბებია და მამა. ეს წუთები სხვა ამოვარდნაა ცხოვრებიდან, მეხსიერების და ყოველდღიურობის ჯადოსნური განდევნა – უნებლიე მაგიური აქტი. თითქოს ერთად ვართ და ვეღარ ვამჩნევთ ერთმანეთს. და ვერც საკუთარ თავს ვამჩნევთ. ამ დროს მხოლოდ აგვისტო დგას და ყველა სხვა თვე იმაზე შორსაა, ვიდრე ჩვეულებრივ.

– უფ, მევითავეთ, კაი ვქენით!

ამბობს უცებ მამაჩემი და ჩვენ ვბრუნდებით. ეს მამაჩემის უმთავრესი სიტყვები იყო. ყველაფერზე ასე ამბობდა. ,,მოსათავებელი იყო და მევითავე'' – ბარვაზე, თოხნაზე, ჭამაზე და ძილზეც კი. იფიქრებდი, რაღაცის მოსწრებას ლამობსო. რომ შეეძლოს, ზუსტად ვიცი, მოვიდოდა და მეტყოდა: ,,უფ, მერე რაია, რომ მოვკტი კაცო, მოსათავებელი იყო მაი და მევითავე'' და მეც და შენც ხომ ვიცით, რომ ეს მართლა ასეა? რომ სიკვდილი მოსათავებელი ამბავია – ადრე თუ გვიან. ,,ხოდა, რას ტირით კაცო, აფერი არ მომხდარა იმფერი, მაინც ხომ მოხდებოდა და ცოტა ადრე მევითავე''.

///

ზაფხულის არდადეგებისას, თუ შენ პატარა ქალაქში ცხოვრობ და იმ პატარა ქალაქიდან, იქვე, მახლობელ სოფელში მიდიხარ დასასვენებლად, სადაც ბებია ცხოვრობს და თბილისიდან ნათესავები ჩამოდიან, აუცილებლად დგება დრო, როცა ეს ნათესავები აბარგდებიან და მარტო გტოვებენ. შენ და ბებიას.

ნათესავები მიდიან არდადეგების დასრულებამდე ერთი კვირით ადრე, მათი გზა უფრო გრძელია და მათი ქალაქი დიდი. ამიტომაც აქ ისევ ზაფხული რჩება, ზუსტად ისეთივე მზით და ნიავით, ოღონდ უხმაურო, უადამიანო. ს აშინელებაა ზაფხულის ეს ნაწყვეტი სოფლად – უპასუხო,

უექოო. იმ ნათესავების ნაფეხურები – კოკა–კოლას ბოთლები, ჩაფუშული წყლის რგოლი, ერთი–ორი შარვალი, ჩემოდანში რომ არ ჩაეტიათ და ყვითელი ჟურნალები —კიდევ უფრო ამძაფრებენ იმ დროს გაუგებარ სევდას. და მეზობლები და ბებია – ნელ–ნელა და დაზარებით რომ უახლოვდებიან შემოდგომას, ყანების ტეხა–კრეფას, ბრაზილიურ სერიალებს, კოფეების სმას.

მე ვდგები და წიგნების ოთახში შევდივარ. იქ გერმანული კატალოგია, მოდების, ტექნოლოგიების. მგონი 1993 წლის. ლამაზი ქალები. სათამაშო კომპიუტერები. ტანსაცმელი. კიდევ ბევრი რამ. უჩვეულოდ ფერადი. 1997 წელია, ამიტომაც უკვე მეათასედ ვათვალიერებ. ყველა გვერდის სურათი ვიცი და მხოლოდ ზოგიერთი სიტყვა.

საღამოვდება. ფარდებიდან, სისხლიანი ღამის პროლოგივით ისმის კოღოს სუსტი წუილი. მომაკვდავის პულსივით ფრთხილია ნიავი. ცხელა. ავეჟის მწერი მღერის. და მე ვგრძნობ, რომ ძალიან, ძალიან მარტო ვარ. და რომ ჩემი მეზობელი ლენაც მარტოა, სარეცხს რომ ფენს და ვაჟაც მარტოა, საქათმის კარს რომ აჭედებს და გივიც მარტოა, ჭიშკართან რომ ზის ომისმედლებიანი კიტელით და ნანაც მარტოა, წყლის მოსატანად რომ წავიდა ერთადერთ ჭაზე ნახევარ კილომეტრში. და რომ გვეშინია ამ მარტოობის, მაგრამ ვგრძნობთ, რომ არის რაღაც აუცილებელი ამ მარტოობაში და გარდაუვალი და საჭიროც. მე მენატრება ეს მარტოობა, გერმანული კატალოგით, წიგნების მოწყენილ ოთახში, ზაფხულის მომაკვდავი დღით.

მე იმ მარტოობაში დავიბადე.

///

ეს ადრეც მოვყევი: საავადმყოფოში, გარდაცვალებამდე ასე ერთი კვირით ადრე მამაჩემმა მითხრა, ევროპის ჩემპიონატს ახალ, დიდ ტელევიზორში ვნახავთო. თქვენ იცით რა არის ახალი, დიდი ტელევიზორი? გაგიმხელთ: მე და მამაჩემმა ერთ მსოფლიოს და ერთ ევროპის თამაშებს ვუყურეთ ერთად. პირველად ისეთ ტელევიზორში, თავში რომ უნდა ჩაგერტყა და ციმციმი ათი წუთით ჩერდებოდა. სახელად ,,ჰორიზონტი'' ერქვა. სიმბოლური კი იყო ეს სახელი. კარგად აჩვენებდა იმდროინდელი ჰორიზონტის ახლო საზღვარს, თუმცა მაშინ ასეთი დასაზღვრულობაც მიხაროდა. ბავშვობა უმიზეზო სიხარულების დროა და იქ მთავრდება, სადაც სიხარულის მიზეზებს ეძებ. სადაც ხვდები, რომ საზღვარი არ არსებობს, ყველა სიხარული გეცოტავება და ახალს ითხოვ. ამიტომაც ყველა სხვა ასაკში უბედურების განცდა ჭარბობს. ეს იქით იყოს და მეორე ტელევიზორი უკვე ფერადი გახლდათ, ოღონდ ხშირად დასაბომბი ეკრანით. ფერები ადვილად ბაცდებოდა და ამ საკითხის ოზურგეთელი ოსტატი, რაღაც ხელსაწყოს ადებდა და გეფიცებით, ამუქებდა. დაბომბვა ერქვა ამ ალქიმიას. მგონი ,,ტაურასი'' ერქვა. მგონი არა, ნაღდად. შუა ჩემპიონატისას, ერთ-ერთ ასეთ დაბომბვას ემსხვერპლა. მერე ჩემი ზაფხულები ოზურგეთს ასცდა. იმ წელს კიდევ ახალ, დიდი ტელევიზორში უნდა გვეყურებინა. მაგრამ უკვე ხომ გითხარით – ბავშვობა დამთავრდა. ბავშვობის მერე ძნელია ასეთი ამბების მოხერხება.

ახლა რომ ამბავს გიყვებით, ეს არ მომიყოლია. მაშინ სტუდენტი ვარ და სხვადასხვაგან ვათევ ღამეს. მეგობართან, ნათესავთან და ხან სასულიერო აკადემიის საერთო საცხოვრებელშიც კი. ამ საცხოვრებელში ჩემი მამიდაშვილი, გელა ცხოვრობს. გელა იმიტომ ცხოვრობს, რომ აკადემიის სტუდენტია. მე იმიტომ, რომ გელას ბიძაშვილი ვარ. უკვე ზაფხულია და სწავლა მორჩა. სტუდენტები და ლოგინები ერთდროულად გათავისუფლდნენ და მეც წამოვწექი ერთ–ერთ მათგანზე. ხის ლოგინი ჭრელი და ცხელი ,,ადიალათი''. თავთან ხატები მეკიდა და პატარა რადიო. ხელის რადიო. ასე ეძახდნენ. უკვე ზაფხულია და წესით გურიაში უნდა წავიდე. მეც ხომ არდადეგები მაქვს და თან მსოფლიო ჩემპიონატი იწყება. მამაჩემს დავპირდი, ერთად ვუყურეთ-მეთქი. ზამთარში რომ ვიყავი, მაშინ. გაუხარდა. ძალიან, ძალიან გაუხარდა. ისე, რომ შეტრიალდა და რადგან შეტრიალდა, ესე იგი თვალებში ცრემლი იგრძნო. მორცხვი კაცების ამბავია. ნაცნობი. კი, კი უეჭველი ჩამოვალ-მეთქი. უკვე ზაფხულია და შარდენზე გოგოები დასეირნობენ. თან ცალი თვალით გოგოებს დავსდევ, ცალით განცხადებებს ვკითხულობ სამსახურზე, ცალი ყურით გელასგან დოგმატიკის ამბებს ვისმენ, ცალით ცნობებს

ფეხბურთელების ჯანმრთლობის შესახებ. ვფიქრობ, იმ საშინელ ტელევიზორში ყურებას, იმ კიდევ უფრო საშინელ მოწყენილობაში ალბათ სჯობს, რომ აქ დავრჩე. თან რამე სამსახურსაც მოვძებნი, თან ვინმე გოგოსაც გავიცნობ, თან ფეხბურთსაც ვუყურებ. უფრო კარგ ტელევიზორში. ამ ტელევიზორის საქმეც უცნაურად იყო, ისე როგორც ყველაფერი ჩემს ცხოვრებაში. აჩვენებდა და ხმა არ ჰქონდა. ამ ხელის რადიოს ვრთავდით და რადიოში ვუსმენდით და ტელევიზორში ვუყურებდით. მაგრამ ხარისხი იყო უკეთესი და თან სასულიეროს ბიჭებიც გადასარევი ხალხი, ყველა სხავადასხვანაირი და ახლაც განსხვავებული გზის გამყოლი, მაგრამ მართლა ყველა გადასარევი. ვინც იმ ოთახში ცხოვრობდა. ჰოდა, ალბათ ასე ღიად ვერ ვფიქრობდი, მრცხვენოდა საკუთარი თავის, მაგრამ მაინც მათთან ერთად ყურება მერჩივნა და მხიარულება. ჰოდა, დავრჩი.

ჩავედი აგვისტოში. ვერც სამსახური ვიშოვე და ვერაფერი. გოგოების ამბავი კარგად არ მახსოვს და რადგან არ მახსოვს, ალბათ მანდაც ვერაფერი. მამაჩემი ბოსტანში მუშაობდა. რაფერ ხარ და ამბავი. ჩვეულებრივი კითხვები. ველოდები, როდის მკითხავს, რატომ არ ჩავედი. ველოდები. მინდა, რომ მკითხოს. არაფერს ამბობს. ვერც მე. აგრძელებს პამიდვრების აკონვას. დახრილი. ძალიან, ძალიან მინდა რომ მკითხოს, ისე რომ გული გამისკდება სადაცაა. არ არსებობს ასეთ დუმილზე უფრო საშინელი, გირჩევნია გლანძღოს და გაძაგოს დაუსრულებლად. მამაჩემი კი დახრილია და მუშაობს. მუშაობს. მუშაობს. მამაჩემი, მამაშენი და მამამისი. ისინი ოდესღაც ოცნებოდნენ რაღაც სხვაზე და უფრო მეტზე. ვიდრე პამიდვრის აკონვაა. ვიდრე გაფუჭებული ტელევიზორია. ვიდრე ფეხბურთის ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ ჩამოსული შვილია. მაგრამ უცებ რაღაც მოვარდა – დრო, უიღბლობა და კიდევ რაღაც და წალეკა ეს ხალხი. მას მერე თავდახრილები მუშაობდნენ. და არაფერს გვეკითხებოდნენ და ამით ყველაფერს გვეუბნებოდნენ და ვერაფერს ვპასუხობდით.

///

ოდესმე გინახავთ წვიმაში, მიცვალებულის მომლოდინე სასაფლაო? შორიდან ამოთხრილი მიწა მოჩანს. თქვენ გგონიათ ცარიელია და ამ დროს გამზადებულ სამარეში ოთხი მესაფლავე ზის – გოგილო, ომარიე, ზურიე და ბუგატა. მაღალი რეზინის ფეხსაცმელებით. გაქექილი ბუშლატებით. დახეთქილი ხელებით. აქვთ პომიდვრის მუავე. ყველი. პური. არაყი. თავზე დიდი ცისფერი ცელოფანი ახურავს ამოთხრილ საფლავს, დაბრეცილ ჯოხებზე გაფენილი.

– ე, გამოჩდენ აღმრათზე, ამეიყვანენ საწყალს უკვე – ამბობს, ომარა, წვერიანი, გაბურძგნული კაცი, მუდამ გაფუჭებული თევზის სუნი რომ ამოსდის პირიდან.

– მუვასწრებთ ვორ-ვორს – პასუხობს გოგილო. ცოტა ენა ებმება და მეზღვაურის მაისური აცვია. ჭუჭყიანი და სველი.

– აბა, გუუმარჯოს საცხა წავა და იქნება!

– გუუმარჯოს, გუუმარჯოს – იმეორებს ყველა.

– უფ, რაფერი ენამოსწრებული კაცი იყო საწყალი – ამომარცვლავს დალევის შემდეგ ომარა, არაყის სიმუავისგან დაჭყანული და აგრძელებს. – აბა, უცბათ ვახსენოთ ყოვლადწმინდა და მივასუფთაოთ აქოურობა, თვარა ამეიყვანეს მკტარი. აქანე თუ დავხდით, აღარ მოგვცემს ნათელიე არც სარობჩკას და აღარც ნასკებს და ჩაატანს ჟორაიას.

ნათელიე გარდაცვლილის ცოლია. სარობჩკა და ნასკები – სავარაუდო საჩუქარი მესაფლავეებისთვის. და ალაგებენ. და სანამ მიცვალებულს მოასვენებენ, სადღაც ქრებიან. ასე იოლად და მსუბუქად უთმობს ადგილს სიცოცხლე სიკვდილს და მერე პირიქით. ოდესმე ბუგატასაც დამარხავენ და ომარიასაც. მათ საფლავშიც იჯდება ვინმე. და რატომღაც ასე მგონია, რომ სანამ ვინმე იჯდება საფლავში, სადღაც, რომელიმე სოფელში მაინც, მანამდე დაამარცხებს სიცოცხლე სიკვდილს. რატომ მგონია, არ ვიცი. მაგრამ მგონია.

ნინო რეხვიაშვილი

ბედის ვარსკვლავი

27 დეკემბერია. თოვს, ხვავრიელად თოვს. ჭრებალო ზღაპრულ ქურქში გახვეულა, სძინავს მთებს, გორაკებს, ცა მრავლისმთქმელ რძისფერ ნისლს დაუფარავს. სიცივე ძვალსა და რბილში ატანს. ბეღურების გუნდს ერთ-ერთი სახლის სახურავზე სათათბირო გაუმართავთ. მათი ჟღურტული მთელ სოფელს ესმის. გარშემო თითქმის ფიფქებიც გახალისდნენ, მბრწყინავი, ფარფატა თოვლის ქულაჯები ცეკვა-ცეკვით ჰყვებოდნენ ბეღურების ამუსიკებულ ჟღურტულს. რაღაც კარგი უნდა მოხდეს, ფიქრობენ მეზობლები, – ხედავთ, ფიფქებსა და ბეღურებს კარნავალი გაუმართავთ. სოფელში ჩოჩქოლი ატყდა, რაჭველი ქალები თავიანთი შორსმჭვრეტელობის წყალობით, მიხვდნენ, რომ ქალბატონი ჯულიეტა მშობიარობდა, ცოტა ხანში სახლის ფანჯრებიდან გამოსული სინათლე გარე სამყაროს ზეიმს შეუერთდა და თეთრი, ფანტელივით ციცქნა, ლამაზი თოვლის დედოფალა მოევლინა ქვეყანას. გოგოა, გოგო! – ისმოდა გადაძახილები. კიდევ ერთი რაჭველი ქალი... ეს ოჯახის პირველი შვილია. ბედნიერია მამა, გერონტი ამბროლიანი, უფალმა საახალწლო საჩუქარი გაუკეთა. იმ დღეს მზია ამბროლიანის ბედის ვარსკვლავი აკიაფდა. გოგონა დღითიდღე იზრდებოდა. ბატონი გერონტი და ქალბატონი ჯულიეტა შვილის ბედნიერებით ხარობდნენ. პატარა მზია ყოველთვის თოჯინებით თამაშობდა. ექიმობა მოსწონდა. სოფლის მოხუცებს მზრუნველობას არ აკლებდა. სხვების დახმარება სიამოვნებას ჰგვრიდა. სკოლის დამთავრების შემდეგ სწორედ ექიმობა იყო მისი მიზანი. საწადელს დიდი მცდელობის შემდეგ მიაღწია. პირველი წელი აბიტურიენტისთვის წარუმატებელი აღმოჩნდა. თუმცა მიზნის მისაღწევად არც ძალა დაიშურვა და არც ენერგია. დღეს ქალბატონი მზია წარმატებული და დამსახურებული ექიმია. “მახსოვს, პატარა ვიყავი, ბაბუას ნაწლავების გადახლართვა დაემართა, ძალიან ცუდად იყო. მე იმდენად მიყვარდა და მეცოდებოდა იგი, სულ ვნატრობდი, ნეტა შემეძლოს რომ დავეხმარო-მეთქი. ამ და კიდევ ბევრი სხვა ცხოვრებისეული ფაქტების გამო ექიმობა მოვინდომე, სხვების შველა ჩემთვის ყველაზე დიდი ბედნიერებაა”, – ამბობს ქალბატონი მზია. სწორედ ამგვარმა სულისკვეთებამ განაპირობა რაჭველების მისადმი უსაზღვრო სიყვარული და პატივისცემა. ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭრებალოდან რედაქციაში არაერთი ზარი შემოვიდა, გთხოვთ ქალბატონ მზიასთან ინტერვიუ ჩაწეროთ და ჩვენი სახელით მადლობა გადაუხადოთო. ამაზე დიდი ბედნიერება არაფერია, მადლიერი პაციენტი და მადლიერი თანასოფლელები, ადამიანების გულის მოგება იოლი საქმე როდია. ეს მოახერხა ქალბატონმა მზიამ, მოახერხა და თანაც როგორ? – მთელი სოფელი ეთაყვანება, ლოცავს, აქებს, აღმერთებს. ყველას ჭირ-ვარამის გამზიარებელი და ჭირისუფალია, ყველას გულისა და სულის მესაიდუმლე და მკურნალია, ყველას გვერდით მდგომი და მეგობარია. ამ თვისებების გამო ქალბატონი მზია სოფელმა არნახულად შეიყვარა, “არ ვიცი რით დავიმსახურე ყოველივე ეს, ნეტა რამეში გამოვადგე ჩემ ხალხს,” – ბრძანებს ქალბატონი მზია და თავისებურად ეფერება ჭრებალოელებს. განუზომელია მადლიერება მის მიმართ. რაჭიდან დაწყებული დედაქალაქამდე დამთავრებული მზია ექიმი ყველასთვის სანუკვარი ადამიანია. ცხოვრებამ დიდი დაღი დაასვა, ნანატრი შვილი წაართვა და მარადისობის სამკვიდროსკენ გაუყენა გზას. შაოსანი დედა, მისი ზნემაღალი და სულგრძელი ხასიათიდან

გამომდინარე პატარეგს თავის ტკივილს არ აგრძნობინეგს და ერთიორად უფრო ტკგილი და თგილია პაციენტეგთან. ჰყავს ვაჟი, შვილიშვილეგი, გრწყინვალე მეუღლე, ოჯახი, რომლეგმაც 27 დეკემგერს ოჯახის დიასახლისის, ქალგატონი მზიას იუგილე იზეიმა. ქალგატონის, რომლის შესახეგაც ლეგენდეგი დადის. წინ მრავალი წელი გელოდეგათ ყველასთვის საყვარელო ქალგატონო. წელთა სიმრავლეს და ოჯახის კეთილდღეობას გისურვეგთ, მშვენიერო მზია ექიმო.

მადლიანი ქალის ოქროსფერი შემოდგომა

ცის კარის სარკმელი გაიხსნა. მზე ფანჯრის მინას ეამგორა. ცის ქალწული ცეცხლის ნავში მოკალათდა და კაგადონისკენ მიემართეგა. ამასობაში მიწამ ზურმუხტის ფრთეგი აიშალა, ღრუგლეგი ააფრინა, სარკმელს მიელაციცა და დედამიწას გარიჟრაჟმა სიცოცხლის ლიგრეტო უმღერა. ქალგატონი ჟუჟუნა კი აგერ უკვე 9 ათეულ წელზე მეტია ამ მუსიკას უსმენს და მზის ქორწილის მუდმივი მაყარია; – ლამაზი, დახვეწილი, კოხტა, ელეგანტური, ინტელექტით აღსავსე 90 წლის ქალი 14 ივნისის ცხელ დღეს, მზესთან ერთად დაიგადა, ვინ იფიქრეგდა, რომ მისი ამომავალი ვარსკვლავი საუკუნის გვირგვინით იქნეგოდა მოსილი. წელს ამ მშვენიერი ქალგატონის ოთხმოცდამეათე გაზაფხული დგეგა, ალიონს დღესაც ფეხზე ამდგარი ეგეგეგა, ისე, როგორც გასულ წლეგში. ოჯახში ყველაზე ადრე დგეგა, ფეხაკრეფით დადის, ჯერ თავი უნდა მოიწესრიგოს, მაკიაჟი და ფრჩხილის ლაქი არასდროს ავიწყდეგა, შემდეგ საუზმის მომზადეგას იწყეგს, მზრუნველ სიდედრს საყვარელი სიძე სამსახურში გასასტუმრეგელი ჰყავს. სადილსაც უმზადეგს, თან უნდა გაატანოს, მოუცლელი კაცია გატონი გათა (შოთა ჯაფარიძე), როგორც თავად მიმართავს, პროფესორი, აკადემიკოსი. მისგან ყოველდღიურად უამრავი პაციენტი შვეგას ელის. – გათა! მოდი შვილო, საუზმე მზად არის. დედობრივი გრძნობით აღსავსე იხმობს შვილივით ნაზარდ სიძეს სასადილო ოთახისკენ და თავადაც გვერდით მიუჯდეგა. 19 წლის იყო გატონი შოთა, როდესაც ქ. ჟუჟუნას სიძე გახდა. მას შემდეგ 50 წელი გავიდა. 50 წელი შვილივით უვლის და ეფერეგა. გატონ შოთას დედა კარგა ხანია გარდაეცვალა, მაგრამ ასეთი სიდედრის გამო, დედაშვილური სითგო დღემდე არ მოკლეგია. უვლის და ეფერეგა ისე, როგორც ღვიძლ შვილს და ამგობს, რომ ეს სიამოვნეგას ანიჭეგს. საუზმის შემდეგ პირჯვარს გარდასახავს და ღიმილით სამსახურში აცილეგს. ქალგატონმა ჟუჟუნამ მთელი ცხოვრეგა სამედიცინო სფეროში განვლო, თეთრი ხალათი, ქალურობა და დახვეწილი მანერა, მისი თანამდევი პირობა გახლდათ. დღესაც 90 წელს მიღწეულ ქალს ახალგაზრდული შარმი და ენერგია ამშვენეგს. სტუმრეგს ღიმილით ეგეგეგა და თავის ნამზადით უმასპინძლდეგა. ქალგატონი ჟუჟუნა ლეგენდად ქცეული ადამიანია. უყვარს მუსიკა, მღერის, მოხდენილად ცეკვავს. უყვარს ყველას, საზოგადოეგაში მიღეგული და საპატივცემულო ადამიანია. მადლიანი ქალიაო, ამგობენ. მთელი ისტორიაა მისი დედამთილთან ურთიერთობა. ქალგატონ სოფიოს თურმე არაერთხელ უთქვამს შვილეგისთვის, მკვდარი დედათქვენი მირჩევნია ჩემ ცოცხალ შვილსო. 90 წლის გარდაცვლილა ქ. სოფიო და რძალი საკუთარი დედასავით უვლიდა მას. თუმცა, ეს რაღა უნდა გაგვიკვირდეს, როდესაც ვიგეგთ, რომ სიძის, გატ. შოთას ავადმყოფ მშობლეგს რაოდენ დიდი სიყვარულით და თავდადეგით უვლიდა. აი, სწორედ ამ სიკეთისა და ერთგულეგისათვის დააჯილდოვა ღმერთმა ქალგატონი ჟუჟუნა, დააჯილდოვა კარგი შვილეგით, შვილიშვილეგით და საუკუნოვანი სიცოცხლით. გასულ წელს, როდესაც ქ. ჟუჟუნას ცოტა ჯანმრთელობის პრობლემა შეექმნა, შვილიშვილმა ნინიკომ, სტაციონარში მოთავსეგიდან მეორე დღესვე, დილით ადრე გეგოს 100 წითელი ვარდი გაუგზავნა, გეგო, შენ 100 წელი უნდა იცოცხლოო. ხარობს მისი გული. ასეთი შვილეგი, შვილიშვილეგი, საამაყო ნინიკო, რომელიც ამერიკის შეერთეგულ შტატეგში უკვე ცნობილი ქალგატონია, უსაყვარლესი ირმა, რომელსაც პატრიარქმა სახლის ანგელოზი უწოდა და რომლისთვისაც გეგო მთელ ცხოვრეგის ტოლფასია. ეს ის ორკესტია, რომელის ჟღერადობამ ქალგატონი ჟუჟუნას ცხოვრეგა საუკუნედ აქცია. კვლავ მრავალი გედნიერი გაზაფხული გაუშლის თავის ფარდაგს მშვენიერ ქალგატონს. აფერუმ მას და მის მფარველ ანგელოზს. მრავალჟამიერ!

ჩემი თვალით დანახული რაჭა

რაჭა – ჩემი სულის აკვანი, რაჭა – ჩემი ფესვთა სავანე... თვალი თვალთაი, გული ალალი, სიტყვა – ხალასი, გრძნობა ცხელი და სული მშფოთვარე... ჩემი კავკასიონი, ჩვენი ქართველობის სიმაღლე, ჩემი რიონი – ფასის მთიდან იმერეთამდე მონათხრობი ტკბილი ზღაპარი, ჩემი "სანახშო" – ორღობეში მიმოფანტული სიბრძნისა და იუმორის ღაღადისი, რაჭული ლობიანი – რაჭველი ქალის დაკოჟრილი ხელით და სავსე გულით გამომცხვარი ლობიანი პური, განატეხი – სანთლით დამშვენებული ოჯახისგან სალოცავს შეწირული, კოლორიტები – რაჭის უკვდავების რეცეპტი, რაჭველი ებრაელები – ტოლერანტობის ორიგინალური ლიბრეტო; ცა – ფირუზისფერია, ვარსკვლავების ქორწინების გაირაღი, გარსაგისი – რაჭული სუფრის უმთა-ვრესი სადღეგრძელო; წყალი-ცისა და მიწის ნაჟური, სიწმინდითა და სიდიადით გაჟღენ-თილი რაკრაკით რომ შეისმის და მილიონი პეშვი არ გვყოფნის დასანაყრებლად; ჰაერი – კავკასიონის ცადაზიდული მწვერვალებიდან მოდენილი სიწმინდის წყარო; მზე, მზე, რომელიც სულ სხვა ფარჩა მოსხმული სათნოებით დასცქე-რის მედიდურ მყინვარწვერს და თავის კეთილმოსავი სხივებით მისი მრისხანების დათბობას ლამობს. ნამგალა მთვარეზე ხან ვედრო ჩამოეკიდება, ხან ფეხისწვერებზე მდგარი მოჭუტული თვალებით გადმოჰყურებს რაჭველი კაცის გარიჟრაჟს, დაკოჟრილი ხელებით რომ თვალებს მოიფშვნეტს, პირჯვარს გარდისახავს, ღმერთო, მონაგარი მიცოცხლეო.

ეს რაჭაა, ჩემი და თქვენი რაჭა, აკაკი წერეთლისა და გალაკტიონის ხოტბის მარგალიტი, ნიკორწმინდისა და ბარაკონის, ქოლოსის და მრავალძალის მადლით ჯვარგარდასახული, ფუნ-ჯით ნახატი კუთხე-კუნჭული, ფერთა პალიტრის ფუძე და ჭერი, ადგილი, სადაც ლექსი იწერება, ფრაზა იმღერება და ერთი ფიალა ხვანჭკარით მადლიანი რაჭველი მხოლოდ ღვთისმშობლის სადღეგრძელოთი აცილებს სტუმარს.

ჩემი მონოლოგის დასასრულს, დაგლოცავთ ისე, როგორც ბებია მლოცავდა: – ტკბილ სიბერეს გისურვებთ, ჭერის სიმაღლე, ფუძის სიმტკიცე, შვილთა სიმრავლე, სულის ზეობა და მზეობა არ მოგიშალოთ მაღალმა ღმერთმა. დაგლოცოთ ნიკორწმინდის, მრავალძალისა და რაჭის ყველა სალოცავმა.

მადლიანი ქალის ოქროსფერი შემოდგომა

ცის კარის სარკმელი გაიხსნა. მზე ფანჯრის მინას ეამბორა. ცის ქალწული ცეცხლის ნავში მოკალათდა და კაბადონისკენ მიემართება. ამასობაში მიწამ ზურმუხტის ფრთები აიშალა, ღრუბლები ააფრინა, სარკმელს მიელაციცა და დედამიწას გარიჟრაჟმა სიცოცხლის ლიბრეტო უმღერა. ქალბატონი ჟუჟუნა კი აგერ უკვე 9 ათეულ წელზე მეტია ამ მუსიკას უსმენს და მზის ქორწილის მუდმივი მაყარია; – ლამაზი, დახვეწილი, კოხტა, ელეგანტური, ინტელექტით აღსავსე 90 წლის ქალი 14 ივნისის ცხელ დღეს, მზესთან ერთად დაიბადა, ვინ იფიქრებდა, რომ მისი ამომავალი ვარსკვლავი საუკუნის გვირგვინით იქნებოდა მოსილი. წელს ამ მშვენიერი ქალბატონის ოთხმოცდამეათე გაზაფხული დგება, ალიონს დღესაც ფეხზე ამდგარი ეგებება, ისე, როგორც გასულ წლებში. ოჯახში ყველაზე ადრე დგება, ფეხაკრეფით დადის, ჯერ თავი უნდა მოიწესრიგოს, მაკიაჟი და ფრჩხილის ლაქი არასდროს ავიწყდება, შემდეგ საუზმის მომზადებას იწყებს, მზრუნველ სიდედრს საყვარელი სიძე სამსახურში გასასტუმრებელი ჰყავს. სადილსაც უმზადებს, თან უნდა გაატანოს, მოუცლელი კაცია ბატონი ბათა (შოთა ჯაფარიძე), როგორც თავად მიმართავს, პროფესორი, აკადემიკოსი. მისგან ყოველდღიურად უამრავი პაციენტი შვებას ელის. – ბათა! მოდი შვილო, საუზმე მზად არის. დედობრივი გრძნობით აღსავსე იხმობს შვილივით ნაზარდ სიძეს სასადილო ოთახისკენ და თავადაც გვერდით მიუჯდება. 19 წლის იყო ბატონი შოთა, როდესაც ქ. ჟუჟუნას სიძე გახდა. მას შემდეგ 50 წელი გავიდა. 50 წელი შვილივით უვლის და ეფერება. ბატონ შოთას დედა კარგა ხანია გარდაეცვალა, მაგრამ ასეთი სიდედრის გამო, დედაშვილური სითბო დღემდე არ მოკლებია. უვლის და ეფერება ისე, როგორც ღვიძლ შვილს და ამბობს, რომ ეს სიამოვნებას ანიჭებს. საუზმის შემდეგ პირჯვარს გარდასახავს და

ღიმილით სამსახურში აცილებს. ქალბატონმა ჟუჟუნამ მთელი ცხოვრება სამედიცინო სფეროში განვლო, თეთრი ხალათი, ქალურობა და დახვეწილი მანერა, მისი თანამდევი პირობა გახლდათ. დღესაც 90 წელს მიღწეულ ქალს ახალგაზრდული შარმი და ენერგია ამშვენებს. სტუმრებს ღიმილით ეგებება და თავის ნამზადით უმასპინძლდება. ქალბატონი ჟუჟუნა ლეგენდად ქცეული ადამიანია. უყვარს მუსიკა, მღერის, მოხდენილად ცეკვავს. უყვარს ყველას, საზოგადოებაში მიღებული და საპატივცემულო ადამიანია. მადლიანი ქალიაო, ამბობენ. მთელი ისტორიაა მისი დედამთილთან ურთიერთობა. ქალბატონ სოფიოს თურმე არაერთხელ უთქვამს შვილებისთვის, მკვდარი დედათქვენი მირჩევნია ჩემ ცოცხალ შვილსო. 90 წლის გარდაცვლილა ქ. სოფიო და რძალი საკუთარი დედასავით უვლიდა მას. თუმცა, ეს რაღა უნდა გაგვიკვირდეს, როდესაც ვიგებთ, რომ სიძის, ბატ. შოთას ავადმყოფ მშობლებს რაოდენ დიდი სიყვარულით და თავდადებით უვლიდა. აი, სწორედ ამ სიკეთისა და ერთგულებისათვის დააჯილდოვა ღმერთმა ქალბატონი ჟუჟუნა, დააჯილდოვა კარგი შვილებით, შვილიშვილებით და საუკუნოვანი სიცოცხლით. გასულ წელს, როდესაც ქ. ჟუჟუნას ცოტა ჯანმრთელობის პრობლემა შეექმნა, შვილიშვილმა ნინიკომ, სტაციონარში მოთავსებიდან მეორე დღესვე, დილით ადრე ბებოს 100 წითელი ვარდი გაუგზავნა, ბებო, შენ 100 წელი უნდა იცოცხლოო. ხარობს მისი გული. ასეთი შვილები, შვილიშვილები, საამაყო ნინიკო, რომელიც ამერიკის შეერთებულ შტატებში უკვე ცნობილი ქალბატონია, უსაყვარლესი ირმა, რომელსაც პატრიარქმა სახლის ანგელოზი უწოდა და რომლისთვისაც ბებო მთელ ცხოვრების ტოლფასია. ეს ის ორკესტია, რომელის ჟღერადობამ ქალბატონი ჟუჟუნას ცხოვრება საუკუნედ აქცია. კვლავ მრავალი ბედნიერი გაზაფხული გაუშლის თავის ფარდაგს მშვენიერ ქალბატონს. აფერუმ მას და მის მფარველ ანგელოზს. მრავალჟამიერ!

მადლიერი ბორიკა მშობლიურ კერას დაუბრუნდა

მოდი ნიკა, ბორიკას მე წავიყვან, შენ აბაზანა მოუმზადე, ეზოდან რომ ამოვალთ, ვაბანაოთ, შემდეგ ვიტამინიც მივცეთ, უფრო ჯანმრთელი ბიჭი გაგვეზრდება, თქვა პატარა ვაჟამ და თავის უსაყვარლეს ოჯახის წევრს, ორი თვის ბორიკას (ძაღლს) მოეფერა. ბიჭუნამ ძაღლს ყელზე საყელო გაუკეთა და მეგობართან ერთად სტადიონისკენ გაეშურა, ბორიკა პატრონის წინ ხტუნვა-ხტუნვით მირბოდა, მეზობლები ეფრებოდნენ, რა ლამაზი გახდა ეს ცუღლუტი, რა ჭკვიანი თვალები აქვსო. ვაჟამ ბორიკა სტადიონზე გაიყვანა, სადაც მისი თანატოლები ფეხბურთს თამაშობდნენ, ბიჭს ბავშვურმა სიცელქემ სძლია და ძაღლი ბოძზე მიაბა, – ბორიკა, შენ აქედან მიყურე, ბურთი რომ შენსკენ გამოიქცევა, იცოდე უკან ჩამაწოდე. აბა შენ იცი, როგორი მეკარე იქნებიო უთხრა, თავზე ხელი გადაუსვა, შუბლზე აკოცა და ბავშვებთან გაიქცა, თუმცა ძაღლისთვის თვალი არ მოუშორებია. უცბათ ვაჟამ გვერდზე გაიხედა და ხედავს, რომ ბორიკა ადგილზე აღარ არის, იფიქრა საყელო გაწყვიტა და აქვე სადმე იქნებაო, მთელი ეზოს ბავშვები ძაღლს ეძებდნენ, მაგრამ უშედეგოდ. ცამ ჩაყლაპა თუ მიწამ, ვერავინ გაიგო, ბორიკა დაიკარგა! ვაჟა სიმწრისგან ხმამაღლა ღრიალებდა, ტიროდა და ენაგადმოგდებული უბან-უბან დარბოდა, თავს მოვიკლავ, ბორიკა რომ დამეკარგოსო.

ბორიკა ნადვილად დაიკარგა, მაგრამ ვაჟამ თავი ვერ მოიკლა. ოჯახში მძიმე სიტუაცია შეიქმნა. ნიკა თავის ძმას, ვაჟას ეჩხუბებოდა, ვერ მიხედე, საიდანაც გინდა მოიყვანე, ბორიკას გარეშე სახლში მოსული არ გნახოო! მშობლები, თავადაც გულდათუთქულნი შვილების გაშველებას და დაწყნარებას ლამობდნენ.

გავიდა დრო, მაგრამ ბორიკა ოჯახს უფრო და უფრო ენატრებოდა, ბორიკას გარეშე ოჯახს გაუჭირდა. მისგან დაღრღნილი ოთახის ჩუსტები და სხვადასხვა ნივთები ბავშვებს საგულდაგულოდ ჰქონდათ შენახული.

მას შემდეგ 7 თვე გავიდა. ოჯახის უფროსი ბატონი ნოდარი საკუთარი მანქანით ერთ-ერთ სუპერმარკეტს მიადგა, მანქანა ავტოსადგომზე დააყენა და თავად მაღაზიაში შევიდა. უკან დაბრუნებულ ნოდარს მოულოდნელად შავი, ულამაზესი აღნაგობის ძაღლი შეახტა, მუხლებზე

შემოეხვია და აცრემლებული თვალებით თავიდან ბოლომდე ლოკავდა. ნოდარი მოულოდნელობისგან დაიბნა, სურსათით დატვირთული პოლიეთილენის პარკები ხელიდან გაუცვივდა და ღრიალი დაიწყო... ბორიკა, ჩემი ბორიკა, სიხარულის გამო ტირის ნოდარი და ტირის ბორიკა, უცბად ირგვლივ უამრავ ადამიანს მოუყრია თავი, ყველას სახეზე სინანულსა და სითბოს ამოიკითხავსით, მხოლოდ ერთი კაცი იყო შეშფოთებული და დაძაბული, – ძაღლის გამზრდელი.

მათ ერთმანეთს ყველაფერი უამბეს, აღელვებულმა ნოდარმა მოუყვა, თუ როგორ მოპარეს ბორიკა ეზოდან, მაგრამ მისმა გამზრდელმა თავის მართლება დაიწყო, მე ეს ძაღლი 200 დოლარად ვიყიდე, პატარა ბიჭებმა მომიყვანეს, 7 თვეა ჩემთან იზრდება, საკუთარი თავივით მიყვარს, მე რა დავაშავე, ამის დაკარგვას ვერ გადავიტანო, ყვება ახალი პატრონი და ათრთოლებული ხელებით ძაღლს ეფერება. ბორიკა დგას ორ პატრონს შორის, მისთვის ორივე მშობლიური და ახლობელია, ხან ერთს ეფერება, ხან მეორეს, მათი მაყურებელი ხალხი ცრემლად იღვრება, ვერ გადაეწყვიტათ, რა ექნათ ბორიკასთვის, ორივე თავისკენ ექაჩებოდა. მაშინ ნოდარმა უთხრა გამზრდელს, – მართალია, შენ რა შუაში ხარ, მოდი არჩევანი ბორიკას მივანდოთ, დავაყენოთ ჩვენს შორის, რომლისკენაც წავა, იმასთან დარჩეს. ძაღლმა თავად გააკეთოს არჩევანიო. გამზრდელი დათანხმდა, ბორიკა ჯერ გამზრდელთან მივიდა, დაყნოსა, ალოკა, ფერხთქვეშ გაუწვა, თითქოს ყველაფრისთვის მადლობას უხდისო და შემდეგ თავდაპირველ პატრონს, ნოდარს ჩაეხუტა, ისე, რომ მათ ვეღარავინ დააშორებდა.

ასე დაუბრუნდა ბორიკა მშობლიურ კერას.

ნუკრია

(ჩანახატი)

დეკემბრის ბოლო რიცხვებია. რაჭაში დიდი თოვლი მოვიდა. თუმცა სახელოვანი მონადირისა და გულოვანი ვაჟკაცის გიგა გუტაშვილისათვის, ეს რა თქმა უნდა, წინაღობა არ ყოფილა, იგი საახალწლოდ, სოფელ გლოლაში დედის მოსანახულებლად მიდიოდა, "ნივის" მარკის ავტომობილი თითქოს პატრონის გულის ცემას მიყურადებული, გიგასავით ბობოქარი ძალით მიაკვლევდა სოფლისაკენ მიმავალ გზას. საგლოლოზე, სად იყო და სად არა, პატარა, ახალგაზრდა არჩვი შეამჩნია, რომელსაც ძაღლები მოსდევდნენ, მან კი საშველად პირდაპირ გიგასთან მიაშურა, გიგამ იგი მანქანაში ჩასვა, მოეფერა და სოფელში მიიყვანა. ბუნებაზე უზომოდ შეყვარებული ოჯახისათვის უკეთესი საახალწლო საჩუქარი რა უნდა ყოფილიყო, ზამთრის არდადეგებზე გიგას შვილები გოჩა და გელა იმ დროს გლოლაში იყვნენ. მათ უცხო არსების დანახვამ უსაზღვრო სიხარული მოჰგვარათ. უვლიდნენ, ეფერებოდნენ, ბებოსთან ერთად რძეს საწოვარათი ასმევდნენ, სითბო–სიყვარულით განებივრებული არჩვი ოჯახს შეეჩვია, შეეჩვია ასევე ეზოს ბინადარს, მეძებარ ძაღლს, ცუგრიას. ისინი ისე დამეგობრდნენ, რომ ცუგრია ოჯახის წევრების გარდა არჩვს არავის აკარებდა, იცავდა და მეგობრობას აგრძნობინებდა. ბავშვებმა ნუკრია დაარქვეს. ნუკრია ისე შეეჩვია ოჯახურ გარემოს და ოჯახის წევრებს, რომ მიუხედავად იმისა, ყოველთვის შეეძლო ღობეზე გადამხტარიყო და ტყისთვის შეეფარებინა თავი, ეს არასდროს გაუკეთებია, მისი ჭკვიანი თვალები სულ მადლიერების გრძნობით იყო სავსე. უამრავი მნახველი ჰყავდა, მოგეხსენებათ, ალბათ გლოლა კურორტ შოვთან მიმდებარე სოფელია, რის გამოც ზაფხულში ბევრი დამსვენებელი მოდის, მათ გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა დამეგობრებულ ძაღლს და არჩვს ხედავდნენ, მათთან სურათებს იღებდნენ და ეფერებოდნენ. ნუკრია, თითქოს ამ რეჟიმს შეეჩვიაო, ფოტოაპარატის წინ პოზირებდა კიდეც, თუმცა, ეს ბედნიერება დიდხანს არ გაგრძელებულა. ერთი წლის შემდეგ რაიონის ხელმძღვანელობამ გაიგო, რომ გუტაშვილების ოჯახში არჩვი ბინადრობდა, ვინაიდან მაშინდელი კანონმდებლობის თანახმად გარეული ცხოველის სახლში ყოფნა აკრძალული იყო, ერთ მშვენიერ დღესაც ორი უცხო პირი მივიდა და აუწყათ, რომ ნუკრია ზოოპარკში უნდა გადაეყვანათ. ეს ოჯახისთვის, ნუკრიასა და ცუგრიასთვის ერთნაირად დიდი ტრაგედია იყო, იგი ოჯახის წევრად ითვლებოდა,

“ვბანდით, ვვარცხნიდით, ვეფერებოდით, თვალებით გველაპარაკებოდა, სულ ხალისიანი და ბედნიერი იყო, მასთან გატარებული 1 წელი არასდროს დაგვავიწყდება, ეს სრულიად განსხვავებული პერიოდი იყო ჩვენს ცხოვრებაში” – იხსენებენ გოჩა და გელა. ნუკრია ზოოპარკში წაიყვანეს. გავიდა ექვსი თვე. ანეტა ბებო მონატრების გრძნობამ შეიპყრო და შვილს, გიგას სთხოვა ჩვენი ნუკრია შვილივით მომენატრა, თბილისში წამიყვანე და მანახეო, მართლაც, გიგამ დედას თხოვნა შეუსრულა, ნუკრია მასაც ხომ სიგიჟემდე ენატრებოდა. მივიდნენ ზოოპარკში და არჩვების ადგილსამყოფელს მიაშურეს. რას ხედავენ, ყველა არჩვი ერთნაირია. როგორ გინდა გაარკვიო რომელია შენი ნუკრია. ანეტა ბებო ჩვეული წესით, პურით და მარილით ხელში მოაჯირთან მივიდა და არჩვებს შესძახა, ნუკრია, ნუკრიაო, ცოტა ხანში ხედავენ რომ არჩვებს ერთი მათგანი გამოეყო და გახარებული, აწყლიანებული თვალებით მნახველებისაკენ გადახტა, იგი ისტერიულად ეჯახებოდა მოაჯირს, გარეთ გამოსვლას ლამობდა, გმინავდა, საზარელ ხმას გამოსცემდა და თვალებიდან ცრემლი ღაპა–ღუპით სდიოდა, ასევე ტიროდნენ დედა–შვილიც. ამ სურათის მნახველი ბებია ისე ცუდად გამხდარა, ძლივს მოუბრუნებიათ. გული დაწყდათ, სახლში შვილივით ნაფერები და მოვლილი ნუკრია გაველურებულიყო. ტანზე ალაგ–ალაგ გადატყავებული კანი მოუჩანდა, ჩლიქები დახეთქილი ჰქონდა, გიგა გაბრაზებულა და საყვედურით ზოოპარკის დირექტორისთვის მიუმართავს.

სახლში დაბრუნებულ ანეტა ბებოს კიდევ ერთი სასწაული დახვდა, ჭიშკართან ცუგრია ელოდებოდა, ენაგადმოგდებული და მეტყველი თვალებით პატრონს შეჰყურებდა და ნუკრიას ამბის გაგებას ლამობდა, ბებომ ცუგრია გულზე მიიხუტა და ყელში ცრემლმობჯენილმა უთხრა, ცუგრი, ნუ ნერვიულობ, შენი მეგობარი ნუკრია კარგად არისო. ცუგრია წკმუტუნითა და კუდის ქნევით ეზოს ბოლოსკენ გაიქცა.

მიუხედავად ოჯახის დიდი მონატრებისა, ნუკრიას სანახავად აღარავინ წასულა, რადგან ცხოველისთვის ეს დიდ ტრაგედიას ქმნიდა, ოჯახის წევრები მხოლოდ მასთან გადაღებული სურათებით იხსენებდნენ წარსულს, ანეტა ბებოს საფლავის ქვაზე სწორედ ნუკრიასთან გადაღებული სურათია ამოტვიფრული.

ლეიტენანტი რაჭიდან

(ჩანახატი)

- მოდი ბაბუ, მოდი გენაცვალე, შენ ჩემი იმედი ხარ! ამ ცრუ და აღრეულ წუთისოფელში შენღა შემომრჩი იმედად. ხედავ, ბაბუ, რამდენი იმედგაცრუებაა ირგვლივ? ვის უნდა ენდო? ილია ჭავჭავაძის “მგზავრის წერილებს” რომ ისწავლი, იქ ერთი ლელთღუნია შეგხვდება, რომელიც ქვეყნის ბედით გულშეწუხებული რუსეთიდან მომავალ ილიას შესჩივის: “ადრიდა ავად თუ კარგად, ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნესო... ადრიდა ქალაი ქალაბდის, ვაჟაი ვაჟაბდის, მით იყვის უკეთ...”, გესმის ბაბუ, რა სასოწარკვეთაა? ხარი გვყავდა, ბაბუ, ნიშა ერქვა, ისეთი ერთგული იყო, ერთ უღელში შებმულნი მუხლჩაუხრელად, უღალატოდ ვშრომობდით, მამალი რომ მამალია, ისიც კი მედგრად ყიოდა ეზოში, ზამთარ-ზაფხულ ბუხრიდან ამოსული კვამლი დაუღალავად მიისწრაფოდა ზეცისაკენ. ქვევრიც სავსე გვქონდა და ბეღელიც, სტუმარიც გვიხაროდა და მასპინძელიც... მოიშალა ყველაფერი, უიმედობამ შემიპყრო, აღარ ვიცი რას ველოდო, რისი იმედი მქონდეს, ქალაქში ვცხოვრობ და ბალახნარევ პურს ვჭამ!

ჩვენი ძაღლუკაც მენატრება, სულ ჭიშკართან რომ იწვა, თვალებიდან ნაპერწკლები სცვიოდა... გაქრა, წავიდა ჩემი ცხოვრების მნიშვნელოვანი წლები, შენ შემომრჩი იმედად, ბაბუ! მე ვიცი, რომ გვარს არავის შეაგინებინებ! ვიცი, რომ ჩვენს ფუძე-კარზე ამოზრდილი ბიჭუნა ოჯახის სახელს ლაფში არასდროს ამოსვრი, აბა შენ იცი, როგორი ვაჟკაცი გაიზრდები, გახსოვდეს, სამშობლოს სიყვარული ქართველობისთვის აუცილებელი პირობაა.

რეზო ბაბუამ მუხლის თავზე დასკუპებული ბიჭუნა გულში ჩაიხუტა და თვალები ცრემლით აევსო, – აბა, შენ იცი ბაბუ, როგორ გამოადგები ქვეყანას. მე წარმავალი ვარ, შენ მომავალი, რაც მე ვერ შევძელი, ჯერი შენზეა, გენაცვალოს ბაბუ!

- ბექა გულში ჩაეკრა აცრემლებულ ბაბუას: – მე მინდა ჩემი ქვეყნის მცველი გამოვიდე! წამოიძახა ბიჭმა.

- ეგ როგორ, შენ გენაცვალოს ბაბუა?

- როგორ და ისე, ჭრელად! თოფს მხარზე გადავიკიდებ და აბა გაბედოს ვინმემ ჩვენს ქვეყანას რამე დაუშავოს! ვესვრი, პირდაპირ ვესვრი, აი, ასე ბაბუ! – ბუჰ! ბუჰ! ტიკტიკებს ბექა და ცერა თითებს თოფის ლულასავით მაღლა იშვერს. რეზო ბაბუა ბავშვის საქციელმა გულიანად გააცინა, – აბა, შენ იცი, როგორი სასახელო ქართველი იქნები!

გავიდა დრო. რეზო ბერაძე აგრძელებს შემოქმედებით ცხოვრებას, მომავალ თაობებს ქართული ცეკვის მადლს აზიარებს, ქმნის უკვდავ სტრიქონთა ჯარს, ამღერებს სტვირს და ეფერება სამყაროს. ბექა კი ამასობაში დიდი ვაჟკაცი გახდა. ბაბუის დარიგება ერთი-ორად ყურად იღო და ოცნება, რომ ქვეყნის ღირსეული დამცველი გამხდარიყო, აისრულა. დღეს 33 წლის ბექა ბერაძე საქართველო-აზერბაიჯანის საზღვარზე ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობას, რწმენას და ღირსებას იცავს, რისთვისაც არაერთი მადლობა აქვს მიღებული.

ბექამ სკოლა ამბროლაურის რაიონში დაამთავრა, სწავლა ქ. თბილისის გორგასლის სახელობის უნივერსიტეტში გააგრძელა. 2009 წლიდან საზღვრის დაცვის დეპარტამენტში მუშაობდა.

ბექას ჰყავს მშვენიერი მეუღლე, ქალბატონი ინგა ჭიკაიძე, პროფესიით ექიმი და 4 წლის შვილი, სანდრო.

როდესაც საქართველოს მე-4 პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი საქართველო-აზერბაიჯანის საზღვარზე ავიდა და დავით გარეჯის საკითხზე ისტორიული განცხადებები გააკეთა, სამახსოვრო ფოტოს გადაღება ბექასთან ისურვა. ამ დროს, რა იცოდა ქალბატონმა სალომემ, რომ ეს იმ ბატონის შვილიშვილი იყო, რომელიც წინასაარჩევნო კამპანიის დროს მას გამამხნევებელ სტრიქონებს უძღვნიდა.

ბექა ბერაძე დღეს საამაყო ქართველია, შინ და გარეთ ეროვნულ მისიას ასრულებს. ბაბუა, რეზო ბერაძე (რაჭველი) ამაყია, რომ მისი სისხლი და ხორცი ქვეყნის ღირსებას იცავს!

გივი სიხარულიძე

სიცოცხლის ანარეკლი

მძიმე ავადმყოფი, უიმედობა და დიდი იმედი, აი, მისი ამოუცნობი მდგომარეობა. სასთუმალს მიჯაჭვული ულამაზესი ქალი, რომელსაც სათუთად შეუნახავს ლეიბის ქვეშ ახალგაზრდობის სურათი. დროდადრო ამოიღებს და დააკვირდება. სურათს ხელს ნაზად გადაუსვამს, ლოყასთან მიიდებს, ცრემლებით დანამულს ცოტა ხანს კიდევ დაა-კვირდება, შემდეგ ლეიბის ქვეშ დამალავს. ასე გრძელდება ყოველდღე. სურათიც გრძნობს, თუ რისთვის არის იგი ასე გულმოდგინედ შენახული, ის გახდა ქალის რჩეული, მეორე მხრივ კი ვერ ეგუება თავის როლს, რადგანაც დღეს იგი ცოცხლობს, ხოლო იმ სახეობაში, რასაც გადიდებული სურათი ჰქვია, იგი გარდაიცვლება, სული დასცილდება მას და სიცოცხლის ანარეკლიდან უსასრულობაში გადავა. იგი გადაიქცევა შავ–თეთრი ქაღალდის ნაგლეჯად, რომელსაც ჯერ კედლის პატარა ლურსმანზე დიდი მოწიწებით ჩამოკიდებენ. წლისთავის შემდეგ ჩამოხსნიან და კარადის თავზე მიუჩენენ ბინას, სადაც რამდენიმე ხანში იგი მტვრის ბუდეში მოექცევა და აბლაბუდების ქსელში გასაბმელ ნივთად იქცევა. გავა წლები. ოჯახის რომელიმე წევრის გადაწყვეტილებით ამ მტვრის ბუდეს სარდაფში ჩაუძახებენ და ეს იქნება დასასრული. საშინელებაა გადიდებული სურათი, რადგანაც სული რჩება ორიგინალში. ორივე იღუპება, სული უხორცოდ, ხოლო ხორცი უსულოდ. ამიტომ იწყებს ბრძოლას ორიგინალი, რათა არ დაუშვას ქალის გარდაცვალება, რამეთუ ამ შემთხვევაში იგი მის ხვედრს გაიზიარებს.

გარიჟრაჟი. საშინელი ტკივილისაგან იღვიძებს ქალი. კვნესის, ბორგავს, შველას ითხოვს. ყველა ცდილობს მისი ტკივილების განელებას, მაგრამ ამაოდ. განწირული მდგომარეობა. ისევ კვნესა, ისევ უიმედობა. ყველას გასაოცრად უცებ ტკივილი იწყებს გაყუჩებას. ქალი წყნარდება, გადის დრო და ტკივილი საერთოდ ქრება. ოჯახის წევრების დაბნეული მდგომარეობა. არავინ იცის, რა მოხდა.

მხოლოდ ერთმა იცის, რაც მოხდა, რადგანაც ტკივილისაგან იტანჯება და იჭმუჭნება. ეს ახალგაზრდობის სურათია, რომელმაც ტკივილი თავის თავზე გადაიტანა. მას ურჩევნია გაიტანჯოს, ვიდრე მიიცვალოს. ახლობლები უყურებენ ქალს და გაოცებას არიან, ასფურცელასავით გაიშალა. სახეზე თითქოს ნათელი დაადგა. საჭმელი მოითხოვა, შემდეგ მუსიკა ჩართო და რითმებს თავისი მოძრაობა ააყოლა. უცებ ხელი ლეიბის ქვეშ შეაცურა. სურათი ამოიღო და ჯიუტად დააცქერდა. მერე პატარა მაგიდიდან სარკე აიღო და კეკლუცად ჩაიხედა. თმები გვერდზე გადაიგდო. თითებით შეეხო ვარდის ფურცელივით ნაზ ტუჩებს, მერე გედივით ულამაზეს ყელზე ჩამოაცურა, თითქოს არფას სიმებს ეალერსებოდა. უცებ სარკეს თვალი მოსწყვიტა და სურათს მიაშტერდა. სურათი დაბერებული და გატანჯული ეჩვენა. თითქოს ნაოჭები გასჩენოდა ყელზე. მკერდი ჩამოვარდნოდა და ტუჩები სიფრიფანასავით მილეოდა. ქალმა სურათების ალ-ბომი მოითხოვა. როცა მოუტანეს, სურათი ზიზღით ალბომში ჩაუძახა, დახურა და სასწრაფოდ უკან გაატანა, ალბომში მოხვედრილმა სურათმა შვებით ამოისუნთქა. მიხვდა, რომ სიკვდილს გადაურჩა და ქალიც გადაარჩინა. არავინ იცოდა, რა მოხდა, სურათისა და დამარცხებული სიკვდილის გარდა.

რა ვქნა, რა ვუყოს ქვეყანა

აბანოთუბანში, ერთი სათავადო აბანოა. ისე, კაცმა რომ თქვას, სახელი ზუსტად შეურჩევიათ. რაც იქ შესვლაში ფული უნდა გადაიხადო, სათავადოს კი არა, ერთ პატარა სამეფოს იყიდი. ვის არ შეხვდები იქ - თავის თავზე უზომოდ შეყვარებული მინისტრებიდან

დაწყებული თუ განებივრებული პარლამენტარებითა და აღზევებული ბიზნესმენებით დამთავრებული. აბანოსთან ჩამწკრივებული უახლესი მოდის მანქანებში კი მათი მძღოლები ყვინთავენ მამა - მარჩენალთა მოლოდინში. გაიძვერა ბარმენი დათაფლული ენით ამკობს კლიენტებს. ე.წ. „ნომერ ლუქსის“ მოსასვენებელ ოთახებში კი გაქათქათებულ ზეწრებში გახვეულ ცოცხალ გვამებს ოხშივარი ასდით. ზოგი ლამაზად გაწყობილ თურქულ მაგიდასთან მიმჯდარა და ჩაით „კაიფობს“. ვინ გერმანულ სოსისს მიირთმევს ყინულივით ცივ ლუდთან ერთად... არის ერთი სჯა - ბაასი სამშობლოზე, მის ავ - კარგზე. ყველა ვიღაცას აბრალებს ამ ქვეყნის ასეთ ყოფას. ბიუჯეტში ფული არ შედის, ვიქცევით და პატრონი არ ჩანსო... ის იქ არ უნდა დაენიშნათ, ეს აქაო... და ასე შემდეგ. ვუსმენდი ამ ბეღელის ვირთხების საუბარს, რომელთაც პირწმინდად გამოეღრღნათ სახელმწიფო ბიუჯეტი და, უცებ, სახეზე წამოვწითლდი, ვიფიქრე, მე ხომ არ მდებდნენ ბრალს...ეს კიდევ არაფერი. ერთი მომცრო ტანის მილიონერი ბიზნესმენი დადის ამ „სათავადოში“. კომუნისტების ეპოქაშივე აქვს დაწყებული ბიზნესი და დღევანდელ დღეს ხომ ზღაპრულად მოერგო. ჩემი და რამდენიმე კაცის გამოკლებით, აქ მომსვლელი, თითქმის ყველა კაცი მდიდარია, მაგრამ ჯიბეში ხელის ჩამყოფი არავინ მეგულება. თითქოს შხამიანი მორიელი უჯდეთ ჯიბეში. თუ უფრო ადრე იბანავეს, ვიდრე მომცრო ტანის ფულის გადამხდელმა მათმა მეგობარმა, სავარძლებში ჩასვენებულები, შიმშილით რომ კვდებოდნენ, მის გამოჩენამდე, ნახევარ ულუფა სოსისსაც არავინ შეუკვეთავს. ჩემს თავს ვეკითხები, ეს მაყუთა ვირთხები რომ ცხოვრობენ, ამ წესით მეც ხომ ვცხოვრობ, ერთი უფულო ბაღლინჯო; ის კი არა, ამათზე ათჯერ ბედნიერი ვარ. შეიძლება მათხოვარი მიწოდონ , მაგრამ ძუნწს მაინც ვერ დამიძახებენ. ვატყობდი, რომ მომცრო ტანის მილიონერი ფულის გადახდას ყველას იმიტომ ასწრებდა, რომ ამ ახმახებს დაუმტკიცოს, ტანად პატარა ვარ, მაგრამ ხარჯვაში მაინც ვერ შემედრებითო.

ჩვენს „სათავადოში“ ერთი ნამინისტრალიც დადის. თანამდებობიდან სულ ოთხი თვის მოხსნილია. ძალიან მიკვირს, რისთვის მოხსნეს. სინდის - ნამუსი არც ამათ აქვთ და არც იმას. სამშობლო ამათაც ერთ ადგილას ჰკიდიათ, და იმასაც... ის კი, საქმით და ჭკუით, ასჯერ მაღლა დგას ამათზე. წესით, ესენი უნდა მოეხსნათ. მერე კი მივხვდი, რომ სწორედ ჭკუა და საქმის ცოდნა არ აპატიეს. კარგად მახსოვს, ოთხი თვის წინ, ნაძირალა მექისე ბატონი მინისტრის მასაჟს საათზე მეტ დროს რომ ანდომებდა და თან მის საამებლად თათრულ ბაიათს ღიღინებდა. დღეს კი, რა ვნახე: ზუსტად ხუთ წუთში განბანა ცოდვებისაგან, ისე რომ, არც კი წაუღიღინებია და ფეხზე წამოაგდო. ირონიულადაც ჩაიბუტბუტა, თავისუფალი ხარ, შალვოვიჩჯანო. ნამინისტრალი, ისე რომ წყენაც არ გამოუხატავს, შხაპის ქვეშ დადგა. ეჰ, - გავიფიქრე, როგორ გაფარჩაკებულა-მეთქი. ცოტა არ იყოს, შემეცოდა კიდეც. მერე ჩემთვის ჩავილაპარაკე, ეს ის კაცი არ არის, რომ მხოლოდ ერთჯერადი მინისტრობით დაამთავროს თავისი კარიერა, მეორე წრეზე კიდევ წავა და მაშინვე ნაძირალა მექისე წარმომიდგა თვალწინ, მინისტრის სტატუსში აღდგენილ მის სხეულს რომ ელაციცებოდა. ამათ შემხედვარეს კაცობრიობა შემეზიზღა, მაგრამ მერე ჩემს თავს ჩავუფიქრდი და ხმამაღლა წამომცდა, შენ არა ხარ, ამათთან სუფრის თავში რომ წამოჯდები და დითირამბებს უმღერი თითოეულს? რითი განსხვავდები თათარი მექისესაგან, ის სხვის მიწაზე ცხოვრობს, თანაც ისეთი ხელობა აურჩევია, სხვა გზა არა აქვს, სწორედ ისე უნდა მოიქცეს. შენ კი, შენივე მიწაზე, იმისათვის რომ კუჭი გქონდეს სავსე, ისეთი სიტყვებით ამკობ თითოეულს, ალბათ კეისარზე ნაკლები არავის ჰგონია თავი. რატომ არ ფიქრობ იმაზე, რომ შენი სიტყვების მსმენელს, მეზობელი სუფრიდან, ისევე ეზიზღები, როგორც შენ გეზიზღება მექისე. ახლა მეტყვი, სიმართლე რომ ვილაპარაკო, რა ვუყო მაშინ ოჯახსა და წვრილშვილსო... ჰოდა, თუ ასეა, შენი ფიქრები, სადღაც ჩაიგდე, შე მართლა „რა ვქნა, რა ვუყოს“ ქვეყნის შვილო.

ის იყო ფიქრებიდან გამოვერკვიე, რომ ჩვენი მომცრო ტანის „ახალი ქართველი“ გიორგი სააკაძესავით წამოგორდა მექისეს სასთუმალზე. ის კი, თავისი ჩვეული გაიძვერობით, შეუდგა საქმიანობას. მე, უკვე განბანილმა, ისევ გოგირდის სავსე აუზს მივაშურე და იქედან მექისეს ვუთვალთვალებდი. ორ მეტრიანი ნამინისტრალის შემდეგ საათნახევარი ელოლიავა მომცრო მილიონერს. ბოლოს, იმ ზომამდე მიიყვანა, რომ მომცრო ეხვეწებოდა, აღარ მინდა,

მადლობელი ვარ, მეყოფაო. მერე სათუთად წამოაყენა და საშხაპემდე მიჰყვა, - ფეხი არ დაგიცდეს, ნიკალაევიჩო...

ამ ამბის მაცქერალი, გამწარებული, მექისესაკენ გავქანდი, მინდოდა სილა გამეწნა ამ ნაძირალასათვის... სწორედ მაშინ ამისხლტა ფეხი და ზურგზე ზღართანი მოვადინე. საშველად პირველი მექისე მომვარდა: ოქროჯან, ჯიგარო, ხომ არაფერი იტკინეო... მე კი გიუივით მეცინებოდა იმაზე, რომ ერთი ნაძირალა, მასზე განრისხებულ მეორე ნაძირალას ეშველებოდა.

გივი სიხარულიძე
მწერალი და მსახიობი

მგელკაცი

ციმბირის თვალუწვდენელი მკაცრი ტრამალები... ბანაკიდან გაქცეული, წელამდე თოვლში ჩაფლული პატიმრები მიიკვლევენ გზას! წინ კობა ჯუღაშვილი მიუძღვით, რომელიც შიგადაშიგ შეძახილებით ამხნევებთ. დამქანცველი გზის შემდეგ, ტყეში შეისვენეს, ცოტა წაიხემსეს და რადგან მდევრის დაწევის საშიშროება იყო, გზას გაუდგნენ. ამასობაში დაღამდა. პატიმრებმა მგლის ხროვას მოჰკრეს თვალი, რომლის წინამძღოლიც დაკვირვებით ადევნებდათ თვალს, ნელ-ნელა უახლოვდებოდათ კიდეც. პატიმრებმა ბანაკიდან წამოღებული ხმლებივით ალესილი რკინები მოიმარჯვეს, სახეზე დაძაბულობა დაეტყოთ. კობამ ერთი შესძახათ, გამაგრდითო და გამხმარი ტოტების შეგროვება უბრძანათ! უცბათ კოცონი დაანთეს. მგლები მთელი ღამე დარაჯობდნენ მათ, მაგრამ კოცონთან სიახლოვეს მისვლა ვერ გაბედეს. საქმე იმაში იყო, რომ პატიმრებს ადგილი სასწრაფოდ უნდა დაეტოვებინათ, რადგან შეიძლება მდევარი წამოსწეოდათ. ამასობაში გარიჟრაჟდა. კობამ უბრძანათ, დამატებით ფიჩხი მოეგროვებინათ და ცეცხლის კედელი აღემართათ, რათა მგლებს მათი წასვლა ვერ გაეგოთ. მართლაც ასე მოიქცნენ, ცათამწვდომი ცეცხლის ენებით გადაჯაჭვული კედელი დატოვეს და გზას გაუდგნენ. რაც ძალი და ღონე ჰქონდათ გარბოდნენ, რათა საფრთხეს მცირედით მაინც დაშორებოდნენ. არც მგლები აღმოჩნდნენ ადვილად მოსატყუებლები, მიხვდნენ, რომ ადამიანებმა ცეცხლი დატოვეს და უკან დაედევნენ. კობამ იცოდა, რომ მგლებთან შერკინება გარდაუვალი იყო. ერთ-ერთმა მათგანმა წამოიძახა, ხეზე ავიდეთო! - ხეზე როდემდე ვისხდებით, გარს შემოგვეხვევიან და სანამ არ ჩავალთ, ფეხს არ მოიცვლიან. ამასობაში მდევარიც დაგვეწევა, უპასუხა კობამ, მაგრამ ამის მიუხედავად, პატიმარი ხეზე მაინც აცოცდა. კობამ დანარჩენებს საბრძოლო მზადყოფნისათვის მოუწოდა, ალესილი რკინები მოიმარჯვეს, წრე შეკრეს, ეს იყო ბრძოლა სიკვდილ - სიცოცხლის ზღვარზე, სადაც გადარჩენის იმედი მხოლოდ 10% თუ იქნებოდა!

როგორც ხეზე მყოფი პატიმრის ნაამბობიდან ვიგებთ, - ხროვას წინამძღოლი გამოეყო, მან საშინელი ღრენა ატეხა, იგი შეტევისთვის მოემზადა. ამ დროს კობა დაწინაურდა, მგლების აგრესიას ყურისთვის საშინლად მოსასმენი, შემზარავი, არაადამიანური ხმა შეაგება! წინამძღოლი შედგა! ეს ხმა მგელკაცისას უფრო ჰგავდა, ვიდრე ადამიანისას! გააფთრებული კობას შემდეგ მზერა ისევ მგლების წინამძღოლზე შეეაჩერე, რომელიც არაბუნებრივი ხმით ყმუოდა. ნათლად დავინახე, რომ მგელმა რაღაცის შიშით ჩაიფსა, შემდეგ ხროვისკენ მივბრუნდი, დავინახე, რომ წინამძღოლი წელში გაიმართა, გვერდზე გადახტა და მთელი სისწრაფით მოკურცხლა. ხროვა, თითქოს მის ქმედებას ელოდაო, სირბილით დაედევნა უკან.

როცა სიტუაცია დაწყნარდა და სამშვიდობოს გავედით, სოსოს მოკრძალებით ვკითხე, თუ რაზე ფიქრობდა მგლებთან შერკინებისას? - მხოლოდ სიცოცხლეზეო, მიპასუხა! რამე თუ ღრმად მწამდა, რომ მგლების წინამძღოლს ცოცხლად შევჭამდიო. მისი პასუხის ჭეშმარიტებაში ეჭვი არასდროს შემპარვია, რადგან კობას განრისხებული სახე მისივე სიტყვებზე მეტყველებდა. ხოლო, როცა ჩავეკითხე - ის შემზარავი ხმა საიდან ამოგდიოდა - მეთქი, - არ ვიცი, მითხრა!

ამ ამბის შემდეგ კობას უამრავი რამ გადახდა თავს, მაგრამ მისი ხმა არსად არავის გაუგია. როდესაც მოსკოვის მისადგომებთან მიახლოებული მტრის გამო, პოლიტბიუროს გადაწყვეტილებით, სტალინს პოლიტბიუროს წევრებთან ერთად მოსკოვი უნდა დაეტოვებინა,

ამბის მთხრობელი პატიმარი სადგურში მას თან ახლდა. უყურებდა, თუ როგორ სცემდა ბოლთას პლატფორმაზე და ყველა მისი გადაწყვეტილების მოლოდინში იყო. უეცრად სტალინს სახე გაუნათდა და თავის გასაგონად რაღაც ჩაილაპარაკა, შემდეგ შეტრიალდა, ნელი ნაბიჯით მანქანისკენ წავიდა. მძღოლს უბრძანა, გეზი კრემლისკენ აეღო. სწორედ იმ დღეს, იმ პლატფორმაზე გადაწყდა არა მარტო სსრ კავშირის, არამედ, მსოფლიო ხალხების ბედი!

ვფიქრობ, ფრაზა - ни шагу назад! - არცერთი ნაბიჯი უკან, რომლითაც სსრკ ქალაქებისა და სოფლების კედლები იყო აჭრელებული, არაადამიანური სიძლიერის მქონე, იოსებ ბესარიონის ძე სტალინის მგლის ხროვასთან შერკინებისას შეიქმნა. სტალინს მტრების, მათ შორის, თანაპარტიელებისა და თანამებრძოლების სიკვდილით დასჯას ედავებიან!

როდესაც ბურჟუაზიული რევოლუციის მამა, რობესპიერი გელიუტინაზე თავის მოსაკვეთად აიყვანეს, მხოლოდ მაშინღა გაახსენდა დანტონიდან დაწყებული თანამებრძოლების ტრაგიკული აღსასრული, რომელიც მისივე ბრძანებით შესრულდა.

მან სიკვდილის წინ წარმოსთქვა: რევოლუცია ჰგავს მითიურ ღმერთს - სატურნის, რომელიც შვილებს შობისთანავე ყლაპავს!

ერთ-ერთი რუსი მწერალი, ანტისტალინელი წერდა, რომ თავადი გალიცინი, რუსეთის იმპერიის პრემიერ - მინისტრი, რევოლუციის შემდეგ „საპოჟნიკად“ მუშაობდა, მაგრამ რევოლუციამ ესეც არ აკმარა და დახვრიტეს!

ბუნებაში სასწაულები ხდება. მისი დახვრეტის შემდეგ, “საპოჟნიკ” ბესარიონ ჯუღაშვილის ოჯახში დაბადებულმა იოსებ სტალინმა და „საპოჟნიკმა“ კაგანოვიჩმა სახელმწიფო მმართველობა გადაიბარეს.

ჩემი ყურადღება ჟურნალისტ პოზნერის ერთ-ერთმა გადაცემამ მიიპყრო. იგი სტუმრის სტატუსით მიწვეულ მწერალს ეკითხება:

- ვიცი, რომ თქვენ ანტისტალინელი ბრძანდებით, მაგრამ მინდა გკითხოთ,

რა აზრის ხართ მის პიროვნებაზე?

- როცა მე მის სულიერ სიძლიერეს ვგრძნობ, რამდენიმე ნაბიჯით უკან ვიხევ.

- ნუთუ ასეთი ძლიერი იყო?

- კაცმა, რომელმაც შეძლო უპირველეს ყოვლისა ტროცკის მიწასთან გასწორება და დამხობა, მე არ შემიძლია სხვაგვარად შევაფასო იგი!

- დიდ ლენინზე რას მეტყვით?

- გეტყვით იმას, რომ ბედნიერი იყო, რადგან ბუნებრივი სიკვდილით გარდაიცვალა.

- რატომ?

- იმიტომ, რომ ლენინი სტალინის ხელში, ტროცკის ბედს გაიზიარებდა.

ვინაიდან თემა მრავალმხრივ შეიძლება განვიხილოთ, დასკვნა მკითხველისათვის მიმინდვია.

თამარ ჯაჭვაძე



თქვენს საკვამურთან თუ სხდებიან ჩიტები?

ვუძღვნი ქ. ს

ფანჯრის რაფაზე მობუზული ჩიტი იჯდა, გავბრაზდი, - უკვე გაზაფხულდა... წადი, გაფრინდი და შენი საზრდო იშოვე როგორმე! სხვას რატომ უნდა უყურო ხელებში, რომ ნამცეცები გადმოგიყაროს! თითქოს გაიგონა ჩემი ფიქრები, გაფრინდა. გაფრინდა და უცნაური სიხარული გაიყოლა ჩემგან... სევდისმაგვარი რაღაც კი დამიტოვა...

გამახსენდა, ისიც ასეთი მობუზული და უსუსური იყო... მერე... მერე მოიწყინა, გამიბრაზდა, გახდა ნერვიული, მშიშარა, ეგოისტი... უბრალოდ ცხოვრებას ვერ მოერია, და... ჩიტივით გამიფრინდა...

შემოდგომის ცივ და ნაცრისფერ საღამოებს ბუხრის პირას ვატარებდით და გაზაფხულს მოთმინებით ველოდით, კოკისპირული წვიმასავით გადაუღებლად ვსაუბრობდით ყველაფერზე, სათქმელი არ ილეოდა... ათას სისულელეს ჩვენი გონების ხლართებში ვფილტრავდით, და ის სისულელე აღარ იყო სისულელე... ათასი სისულელე ათას აზრს იძენდა... და ამ აზრებით ჩვენც ვიზრდებოდით...

ფანჯარა გამოვაღე და გაფრენილ ჩიტს დავუძახე; ციპი, ციპი... მერე რაფაზე პურის ნამცეცები დავუყარე...

სკოლიდან დავბრუნდი, ხრაშა-ხრუშა ნაბიჯები წინკარამდე მოსულ თოვლში ჩავტოვე და ფიცრული კარი შევაღე. ბებიაჩემი რკინის ღუმელთან იჯდა და ჩაქრობის პირას მისულ ნაღვერდლებს ქექავდა და სულს უბერავდა, მისი დამჭკნარი ტუჩების პაწაწინა ქარსიო ნაცარს ქარბორბალასავით ატრიალებდა. ოთახი კვამლის სუნით და ნაცრის მტვრით ივსებოდა. დამნაშავესავით ამომხედა...

– ვაშლის ქერქები შევყარე, შვილო, და ცეცხლი ჩამიქრო... თავის მართლებასავით თქვა... ალბათ გაგუზგუზებული ბუხარი რომ ვერ დამახვედრა შეციებულს, იმიტომ იმართლა თავი... მერე დაამატა:

– შვილო, იცი, ჩიტები ვაშლის სუნით რომ იკვებებიან ზამთარში?!.. კვამლთან ერთად რომ ადის ჰაერში, იმ სუნით სუნთქავენ... ვის საკვამურთანაც მეტი ჩიტი ჯდება იქ ოჯახია, თბილი, ტკბილი, წყნარი და ერთმანეთზე მზრუნველი ადამიანები ცხოვრობენ იმ ოჯახში... ჩიტები ამას ხვდებიან, მისხდებიან და თბებიან და ნაყრდებიან მათ საკვამურთან... მინდა, რომ შენი სახლის

სახურავზე ძალიან ბევრი ჩიტი შემოიყუჟოს... და როცა მე იმქვეყნად წავალ, უფალს ვთხოვ, ჩიტის ფრთები მათხოვოს ხოლმე, და მეც მოვალ, შენი სახლის საკვამურთან ჩამოვჯდები... ბებო გენაცვალოს, არ დაგეზაროს, ვაშლის ქერქები დაყარე ხოლმე ნაკვერჩხლებზე...

მობუზული ჩიტი მობრუნებულიყო, თან მეგობარიც მოეყვანა და ჟღურტულ-ჟღურტულით კენკავდნენ პურის ნამცეცებს...

დედა უკვდებოდა და მის საწოლს წუთით არ შორდებოდა. დედა ახლა მისი შვილი გამხდარიყო, ბავშვივით უვლიდა, ეტიტინებოდა კიდეც. ინსულტგადატანილი დედის ბაგეებს ნაწყვეტ-ნაწყვეტი ბგერები ამოსდიოდა, ის მაინც იგებდა - რისი თქმაც უნდოდა დედას...

მას საავადმყოფოში შევხვდი.

გვერდით პალატაში ნაოპერაციევი გოგონა იწვა. მრავალშვილიანი დედის მეთერთმეტე შვილი. იმ პალატაში არავის უშვებდნენ. ტიფით დაავადებულ ბავშვს აპენდექტომია გაუკეთეს, ტიფი აპენდიციტი ეგონათ, შეეშალათ ექიმებს. ჩვენ დროში ტიფიო... თავს იმართლებდნენ.

და არავის უშვებდნენ ნაოპერაციევი ტიფიანის პალატაში.

სიცხიან-ტიფიანი ბავშვის დედა ფეხშიშველი, კოჭლობით დადიოდა საავადმყოფოში და ლოცულობდა. მორალური თანადგომა სჭირდებოდა მრავალშვილიან დედას, მაგრამ ტიფიანებს ყველა ერიდებოდა...

იმ ღამით დედამისი რეანიმაციაში გადაიყვანეს, დილამდე ვერ გასტანს-ო, ექიმმა უთხრა. ამას დედა უკვდებოდა და ვერაფერს შველოდა. დედა უკვდებოდა და სრულიად მარტო რჩებოდა ამ ვეებერთელა სამყაროში... მეზობელი პალატიდან გამოსულ იმ მრავალშვილიან დედას გამოელაპარაკა, მერე მისი ტიფიანი შვილის პალატაში შევიდა. მრავალშვილიანი დედა თვალებად იქცა, ტიფიანი გოგონაც გაკვირვებული უყურებდა, ეს ერთადერთი მომსვლელი იყო მათი მარტოობის პალატაში... ამას დედა უკვდებოდა და თვითონ სხვის დედას ანუგეშებდა. სხვა დედის შვილს უიოლებდა სიცხიან დღეებს... საწოლზეც ჩამოუჯდა, შუბლზეც აკოცა... და იქ რაღაც მოხდა, სასწაული და დაუჯერებელი, ნაოპერაციევ ბავშვს ნელ-ნელა დაუკლო სიცხემ, სახიდან სიწითლემ გადაუარა... ჯერ გაიღიმა, ღიმილს გადაჩვეული ტუჩები ძლივს შემართა საღიმილოდ... მერე აჭიკჭიკდა...

ექიმის წივიკ-კივილმა გამოგვყარა პალატებიდან... ექიმი ტიფიანის ოთახში ნამყოფს დაჰკიოდა... ის კი, იდგა და იღიმებოდა...

იმ დილით დედა გარდაეცვალა.

მას მერე ბეღურებივით მივეკედლეთ ერთმანეთს.

ორი სიმარტოვე.

უცნაური იყო, თავისებური... გაბედული კი არა - გიჟი!

იგი ჩემში მფარველს ეძებდა, მე - მასში.

ბებიასეული ცხოვრების კადრები ძველ სკივრში ჩაიკეტა, ჩვენ - ქალაქის კორპუსში... მოდაში შემოსულ ბუხრიან სახლში.

ბუხარში ვაშლის ქერქების შეყრას ვასწავლიდი, ის კი ფანჯრის რაფაზე აწყობდა ჩიტების პიკნიკებს. საკვამურთან რა ხდებოდა ჩვენ ვერ ვხედავდით, ფანჯრის რაფაზე კი, ჩიტები პირიდან სტაცებდნენ ერთმანეთს ნამცეცებს...

მერე რაღაც მოხდა.

სამყარო აირია, ან შეიძლება ზედმეტად გაისუსა.

ადამიანები სოროებში შეიკეტნენ...

შეწყდა მოძრაობა...

...და დიდმა დუმილმა დააყრუა დედამიწა.

რაღაც გაცივდა,

რაღაც ახალს ველოდით... თუ ვიღაც...

მაგრამ...

მერე...

მერე ნელა-ნელა საუბრები შემოკლდა.

ბუხრის ცეცხლსა და ნაკვერჩხლებს სითბო შემოაკლდა.

კარები აუტანელი ხმაურით იღებოდა და იკეტებოდა.

ოთახის ნერვიული ატმოსფერო ფანჯრის რაფაზე მომხვდურმა, ყაჩაღანა ჩიტებმაც იგრძნეს...

იგრძნეს და მიგვატოვეს... მათ დასანამცეცებლად აღარავის ეცალა...

საკვამურიც გაცივდა.

პრობლემებით სავსე ცხოვრებას ვერ მოერია...

აირია...

და წავიდა...

ალბათ წამოვა უპასუხო შეკითხვების ნიაღვარი... მაგრამ...

რა მნიშვნელობა აქვს ვისთან წავიდა, სად წავიდა... ცაში, ზღვაში... ან ის ვინ იყო, ან მე ვინ ვიყავი.. ანდა მე თუ დავრჩი, რა დავრჩი, როგორი დავრჩი, ახლა რა ვარ, ვინ ვარ... ქალი, კაცი, გოგო, ბიჭი... ან თუნდაც იმას რა მნიშვნელობა აქვს შენ, ვინც ახლა ამას კითხულობ, ვინ ხარ, სად ხარ, რითი სუნთქავ და როგორ ცხოვრობ... მთავარი ისაა, თუ თვლი, რომ ადამიანი ხარ, სხვა ადამიანისთვის რა ხარ?! ...რას აკეთებ სხვა, ზამთრის ჩიტივით მშიერი ადამიანის დასაპურებლად... და... რაც ყველაზე მთავარია:

– თქვენს საკვამურთან თუ სხდებიან ჩიტები?!

ნიკო ბაღაშვილი

დარჩი სახლში !

{მე და მე}

-დარჩი სახლში, დაეტიე შენს ადგილას,
:-კი მაგრამ, ვინ მაცეცხლებს?
;- შენი პატრონი, ჩაგანაცრებს და მოგხედავს...
;-განა არ იცი , რომ უპატრონო ვარ!
;-ეხ , მოგცლია ერთი, სამყაროა უპატრონო!
:- ტვინი მაწუხებს ...
;-კარგია , რომ გაწუხებს, ვისზე ხარ , ნაკლები,
:-ხო , მაგრამ თავი მისკდება..
:-შენ გგონია მარტო , შენ გისკდება თავი, გახედე , ქვეყანას, ;-ეჰ, ცუდ დროსა ვარ დაბადებული!
;-მამაშენიც ასე იძახდა,
;-ის დრო მაინც სხვა იყო...
;-არც ესაა, ცუდი დრო!
;-ეგ არის რომ ...
;-რაღაცის თქმა გსურდა...
;-არაფერსაც აღარ ვიტყვი, მომკალი და ვერაფერს მათქმევინებ!
;-მერე შენ გგონია, რომ ცოცხალი ხარ, მკვდარი ხარ უკვე...
;-აბა რომ ვსუნთქავ, რომ ვხედავ , რომ მესმის, როგორ ვარ მკვდარი!
;-ხო , კარგი ბატონო , როგორც შენ გსურს , ისე არაა ეს ცხოვრება!
;-რავიცი მე კი მეგონა , რომ ისე იყო ცხოვრება და არა ასე.
;- ნუ ხარ უმადური სიცოცხლის, დაიკიდე რა , ნერვებს გაუფრთხილდი,
;-აღარ მააქვს ნერვები .
;- არა გააქვს და თავიც აღარ აგტკივა ,
;-რას გადამეკიდე , წადი რა შენი გზა ნახე!
;-მერე სადღაა შენი გზა!
;-წუხელაც დალიე!
;-აღარ ვსვამ!
;-ისე კი ერთი ჭიქა , არაფერს გიზავს, დალიე...
დილამდე ორი "მე", ისხდნენ მაგიდასთან და თვითონაც ვერ გაიგეს , როგორ დაათენდათ, თენდებოდა, შაბათი დღე, და კვირაძლის მადლით, ქალაქი ხმაურობდა...
;- წელს, სოფელში შევხვდები ახალ წელს ...
;-მე ქალაქში მირჩევია!
--მშვიდობა იყოს და სიჯანმრთელე, თუ გინდ ფარეხში გამითენდეს ახალი წელი.
-ძლივს არ გავიგონე , გულით თქმული...
ჰოდა, თუ გინდა რომ ცუდად იყო , ცუდად იქნები,
--აღარ მშია, დავნაყრდი ...
...მხოლოდ ცხოვრებისგან დანაყრებული კაცი , იყო ადამიანი...

ინგა გოგიბერიძე

ეპიტაფიები

ეპიტაფია

მთელი სამყარო უნდა შეაჩვენო, სიკვდილი მოატყუო.
ადამიანებს უნდა განერიდო, სიკვდილი უნდა დასაჯო.
უნდა შეაშინო.
უნდა დაამცირო.
მთელი სამყარო უნდა შეაჩვენო და სიკვდილი მოატყუო.

სიკვდილის ეპიტაფია

ტაქსიოტივით მყრალ სხეულში შესასვლელს ეძებ.
აქ ვეღარ უძლებ, იქ გინდა იყო, რომ გაიგო ის საიდუმლო,
საიდანაც შენ ამოფრინდი.
ტაქსიოტივით მყრალ სხეულში შესასვლელს ეძებ.
უნდა დაგლიჯო ყველა თოკი, გაანადგურო ის საზვერე
საიდანაც მოფრინავს ორბი- ანგელოზი.
გასასვლელს ეძებ.
ვეღარ უძლებ იმ სატანჯველს. რომელიც სულში ჩაგისახლდა
გხრავს, გკორტნის და თვალებს გითხრის,
 რომ არ იხილო შენი სულის ხორკლიანი წამონაზარდი.
ტაქსიოტივით მყრალ სხეულში შესასვლელს ეძებ.
ან გამოსავლელს,
რომ ჯოჯოხეთის ცეცხლში მყოფი,
მუდმივად მწველი ცეცხლის ენებს
განშორდებოდე.
ის წვავს, ფიტავს და გეენის ცეცხლში სულს
ვეღარ ითქვამ.
აქ სიმშვიდეში ცოდვის ალში ხარ გახვეული.
ეძებ და ეძებ.
ვერ პოულობ.
ან კი რას ეძებ.
ყველა კარი დაკეტილია.
შესასვლელი და გასასვლელიც.
ტაქსიოტივით მყრალ სხეულში შესასვლელს ეძებ
რომ დამთავრდეს აქ ყველაფერი.

შეყვარებული ქალის ეპიტაფია

მითხარი, რომ შემეხებოდი.
ჩემს გრძელ ნაწნავებს შენს მოქნილ თითებში
მოიმწყდევდი და არ განმშორდებოდი
დიდხანს.
მითხარი, რომ გიყვარდი და ჯერ თვალებს
მიკოცნიდი,
მერე კი ფრთხილად შემეხებოდი
ყვრიმალებზე.
მითხარი, რომ არსად წახვიდოდი და თუ
წახვიდოდი- ჩემს ლამაზ სიტყვას თან
წაიღებდი და მოეფერებოდი თითოეულ
ბწკარს და ბგერას.
მითხარი, რომ ცხოვრება ტანჯვა იყო უჩემოდ
და

სულ ჩემთან იქნებოდი, დიდხანს.
ბევრი რამ მითხარი და მომიყევი, მე კი
არაფერი მესმოდა
სიყვარულის მუსიკის გარდა.
მითხარი, რომ შემეხებოდი, ჩემს გრძელ
ნაწნავებს შენს მოქნილ თითებში მოიმწყდევდი
და არ განმშორდებოდი დიდხანს, დიდხანს.
იმ ხანსა და დროში ვარ მუდამ, შენი
სიყვარულით სავსე.
მიკვირს იმ ადამიანების, მრავალჯერ რომ
შეუძლიათ გამოსცადონ ეს მომაკვდინებელი
გრძნობა, რომელსაც სიყვარულს ეძახიან,
არადა სიყვარული არაფერია სიყვარულის
გარეშე.
მიკვირს, როგორ არ ინგრევა სამყარო, არ
ნადგურდება ხე, არ ჭკნება ყვავილი, არ
იბზარება მინა და მუდმივად არ ელავს
ყველგან, სადაც შენ არა ხარ.
მიკვირს, რამდენი რამ მიკვრის.
უშენობაც მიკვირს და შენთან ყოფნაც
მიკვირდა მუდამ.
მითხარი, რომ შემეხებოდი, ჩემს გრძელ
ნაწნავებს შენს მოქნილ თითებში მოიმწყდევდი
და არ განმშორდებოდი დიდხანს, დიდხანს.
შენ კი დღეს, ჩემს გრძელ ნაწნავებს, შენი
მოქნილი თითებით ვეღარ ეხები.

ღმერთთან მისასვლელი ეპიტაფია

ღმერთთან დაგვიანებით ვერ მივალ, ის ხომ
მთელი ცხოვრება მელოდება.
ღმერთთან დაგვიანებით ვერ მივალ, ის ხომ
მთელი ცხოვრება თან დამყვება.
ვერ მოვატყუებ.
ვერ ვალოდინებ.
ვერ გავბედავ მომლოდინე თვალებით
უმზიროს გზას.
ღმერთთან დაგვიანებით ვერ მივალ, ის ხომ
მთელი ცხოვრება მეკითხება
ვგრძნობ თუ არა მე კარგად თავს.
ვერ მოვატყუებ.
ვერ ვალოდინებ.
ვერც გავბედავ ვუთხრა ის, რაც ხდება აქ.
ღმერთთან დაგვიანებით ვერ მივალ, ის ხომ
მთელი ცხოვრება თან დამყვება.
რომც მოვატყუო
ყველაფერი იცის მან!

მოძულე ცოლის ეპიტაფია

სჯობს, რომ იგლოვოთ საკუთარი ქმარი
ვანესა,
გადაიფაროთ თავზე შალი,
გულზე მაქმანი და გაიხსენოთ ის წუთები თქვენ
რომ გათბობდათ.
სჯობს, რომ იგლოვოთ საკუთარი ქმარი
ვანესა,
არ გადაეკრას მის საფლავს ხავსი
და თქვენს სულს მუქი ნაცრისფერი ტანჯვის
იარა.
დიახ, ასეა, სჯობს, რომ იგლოვოთ საკუთარი
ქმარი ვანესა,
საფლავის ქვაზე დააკვირდეთ ნაღვლიან
თვალებს
და შვილის სიყვარულით მოილბოთ გული.
სჯობს, რომ იგლოვოთ საკუთარი ქმარი
ვანესა,
დღეს ღამე მოსდევს, მზეს სიბნელე და
ჯოჯოხეთის ცეცხლში დამწვარს ,
სულს დანაცრებულს ვერ დაინახავთ,
ვერ მოუვლით მის პირმშოს ალბათ
თუ მამის საფლავს ლაფს დაასხამთ,
ვერ იგლოვებთ!
სჯობს, რომ იგლოვოთ საკუთარი ქმარი
ვანესა!

ჩემი სულის ეპიტაფია

აქვე, ამ წყალთან,თევზის სახლთან, ქვის
მდინარესთან,
კლდის ჩანჩქერთან, მზის სიმაღლესთან,
ცარიელი სულის კართან,
გულის ცრემლთან,
ვტოვებ სიყვარულს, ანაც თან მიმაქვს.
აქვე ამ სახლთან, ამ ეზოსთან,
ამ გზასთან,
ეკალბარდთან და ბზასთან,
უბრალო ხალხთან,
ვტოვებ სიყვარულს.
აქვე ამ ზღვასთან, ზღვის ვარსკვლავთან,
ჩაძირული ხომალდის ქიმთან,
ოცნების კოშკთან,
შენთან და სხვასთან
შორს სიძულვილთან
ვტოვებ სიყვარულს!
აქვე, ამ მთასთან ბუმბერაზი

სულის პატრონთან,
ქუჩთან,
იასთან,
კესანესთან და გვიმასთან,
გვამის ყვავილთან, უცნაურის სუნის
პატრონთან
ქართან, წვიმასთან,
მზესთან და შენთან,
ვტოვებ სიყვარულს!
მხოლოდ სიყვარულს,
სხვას ვერ დავტოვებ ,
მე თან მიმაქვს
ჩემი სხეული, ჩემს სულთან ერთად.

მიტოვებულ საფლავთან

ღამეა.აქ სულ ღამეა.
თითქოს რაღაცის გახსენებას ცდილობ,
სინამდვილეში კი წევხარ და მთვარეს
შესცქერი.
გახსენდება მთვარესავით ბრმა, ცივი და უცხო
სხეული, რომელიც შენში შემოიჭრა.
ამ სხეულიდან შემოვიდა შენში გაუცხოება,
უკეთურება, სიბილწე, სიყალბე და შენი უცნობი
ჩრდილი უკან დაგყვება ისე, როგორც
მოუშორებელი ჭირი.
ღამეა.აქ სულ ღამეა.
თითქოს რაღაცის გახსენებას ცდილობ,
სინამდვილეში კი წევხარ და მთვარეს
შესცქერი.
ის ერთადერთია, რომელიც გითვალთვალებს
დღისითაც და ღამით.
შენ კი მას მხოლოდ ღამით ხედავ, როცა
სიბნელეა, როცა ლუსკუმი თვალთახედვას
გიფარავს.
ღამეა.აქ სულ ღამეა.
ელოდები მზეს, მზის სხივს, მზისგან არეკლილ
სინათლეს, რომ იქნებ გაანათოს და როგორც
მთვარემ, ისე დაიწყოს შენი სხეულის ირგვლივ
როკვა ზებუნებრივმა ძალებმა.
ელოდები დღის სინათლეს, რომელსაც
მთავრის ანარეკლი მოჰყვება.
ელოდები იმ ანარეკლს, რომელიც ერთიანად
დაიპყრობს შენს გულს, სულსა და სხეულს და
რაღაც ზებუნებრივისათვის მოგამზადებს.
ღამეა.
თითქოს რაღაცის გახსენებას ცდილობ,
სინამდვილეში კი წევხარ და მთვარეს
შესცქერი.
.....ეს მთვარე კი ულამაზესია- აციმციმებული,
სინათლით გაჩახჩახებული, ვარსკვლავებთან "
მოელვარე" და მოცეკვავე, შენი გულის
მესაიდუმლე!ამას ხომ მხოლოდ შენ ხედავ!

ჭირისუფალი!

ჭირისუფალი ვარ, უნდა ჩაგინაცვლო სისხლი,
ჭირისუფალი ვარ, უნდა დაგეხმარო გზაში,
ჭირისუფალი ვარ, ხე უნდა დავრგო საფლავის
ქვასთან
და მაინც- ჭირისუფლობის მაქვს შიში!
ჭირისუფალი ვარ, უნდა ჩაგინაცვლო სისხლი,
ჭირისუფალი ვარ, შენს სახელს უნდა დაცვა,
ჭირისუფალი ვარ, ფოთოლსაც კი არ მივცემ
არას,
და მაინც-ჭირისუფლობის მაქვს დარდი!
ჭირისუფალი ვარ, უნდა ჩაგინაცვლო სისხლი,
შენი გარდაცვალება ან დაბადება ვამცნო მას,
ჭირისუფალი ვარ, შენი სნეულების დამღა
და მაინც-ჭირისუფლობის მაქვს სენი!
ჭირისუფალი ვარ, უნდა ჩაგინაცვლო სისხლი,
არ შეგაშინოს გველმა, არ მოგილოკოს ხალი,
ჭირისუფალი ვარ, შენი კერიის არსი
და მაინც- ჭირისუფლობის მაქვს შიში!
ჭირისუფალი ვარ, შენი კოცონი იწვის,
ჭირისუფალი ვარ, მინდა მაგ კიბის ავლა,
ჭირისუფალი ვარ, შენი სნეულების დამღა
და მაინც-ჭირისუფლობის მაქვს სენი!
და მაინც-ჭირისუფლობის მაქვს დარდი!
და მაინც- ჭირისუფლობის მაქვს შიში!

ყასაბის ეპიტაფია

დანა, რომლითაც ვატყავებდი საქონელს
ისეთივე ბასრი გახლდათ, როგორიც
ადამიანთა ენები, საქონლის ხორცის
საყიდლად მოსულნი და მოლაპარაკე.
დანა, რომლიც სულ თან დამქონდა,
ერთნაირად კლავდა პატარა გოჭუნას, ხბოს,
ძროხას, ცხვარს და ადამიანის გულს.
დანა, რომლითაც ძვალსა და ხორცს ვაცლიდი
ერთმანეთს, ვაშორებდი და ვაცალკევებდი,
ისეთივე მწარე იყო, როგორიც ადამიანის
ტკივი-ლი. ეს დანა არასოდეს ბლაგვდებოდა,
იმიტომ რომ მე ყოველდღე ვლესავდი,

ვლესავდი და ვლესავდი მას, რათა კვლავ მომეკლა, გამეტყავებინა, დამეჭრა და დამენაკუწებინა სინამდვილე არსაიდან მოსული. დანა, რომლითაც მე ვმუშაობდი, თან ჩამატანეს, რათა არ დამვიწყებოდა,
რომ დაბადებას გარდაცვალება მოსდევს, სიხარულს ტკივილი, ბედნიერებას უბედურება, დღეს ღამე და მზეს მთვარე. დანა? დანა, რომლითაც ვატყავებდი საქონელს ისეთივე ბასრი გახლდათ, როგორიც ადამიანთა ენები, საქონლის ხორცის საყიდლად მოსულნი და მოლაპარაკე. .....მაგრამ დანა ეს, საჭრეთელი იყო ჩემი, ჩემი სიყვარულის ჩუქურთმა, ჩემი სიხარულის ნაქარგი, ჩემი ხეხილის დამყნობი, ჩემი ვაზის ყლორტის წამალი და ჩემი ბედნიერების საძირკველი.

ჯარისკაცის ეპიტაფია

რომ მოხვედით ვგრძნობ, გული ძალუმად გიძგერთ. რომ მოხვედით ვიცი, ჩემზე ცრემლებიც ღვარეთ. რომ მოხვედით, ესეც ვიცი. მომისმინეთ და თან წაიღეთ ის ნამდვილი სიყვარული, რომელიც მე, ყოველდღე ,ამ გმირობამდე მქონდა: უჩვეულო ღიმილიანი დილა, მიუხედავად სამშობლოდან გადაკარგვისა. იარაღთან და ტყვიამფრქვევებთან დიდი მოთმინებით და ძალისხმევით მოპოვებული ფრთები, შიმშილთან და დაღლილობასთან თანაზიარი მეგობრობის ტკივილი და სიხარული. სამშობლოს სიყვარული ჩემთან ერთად დაბადებული. რომ მოხვედით ვგრძნობ, გული ძალუმად გიძგერთ. რომ მოხვედით ვიცი, ჩემზე ცრემლებიც ღვარეთ. რომ მოხვედით, ესეც ვიცი. სიმართლე კი ის არის, რომ წახვალთ უჩემოდ.... და გმირის მანტიას მორგებული ერთი უბრალო ადამიანის სიცოცხლე
უნდა მწამდეს კვლავ იცოცხლებს.

მკვლელის ეპიტაფია

არავინ მოვა ჩემს საფლავზე. არავინ ჩამხედავს თვალებში.
არავის ვეტყვირომ გულში სატანამ გაიდგა ფესვები.
როგორც კინოფილმში ისე მიდის კადრები:
პატარა გოგონა ცისფერი კაბით.
მოზრდილი ბიჭუნა სპორტული ჩანთით.
ლამაზი, თავხედი და ანცი ქალი სიყვარულს ნატრული მზისფერი კაბით. გამოგონილი ოჯახი, გამოგონილი მეგობრობა.
გამოგონილი მზე.
ჩემთან კი როგორც კინოფილმში ისევ გრძელდება კადრები:
მარტოობა. უზნეობა. უიმედობა.
დაცემულ ანგელოზთა ვედრება.
ფერები შავი და ნაცრისფერი.
ფილმი მხოლოდ შავი.
არავინ მოვა ჩემს საფლავზე.
არავინ ჩამხედავს თვალებში.
არავის ვეტყვი, რომ გულში სატანამ გაიდგა ფესვები.

უდედო შვილის ეპიტაფია

სად წაიღეთ ჩემი ეტლი?
ჩემი ცხოვრების თანამგზავრი?
განა მის გარეშე მე აქ ყოფნას შევძლებ?
ეტლი ჩემი დაგორავდა უსწორმასწორო გზებზე,
აგროვებდა ზიზღიანი თვალების ელვარებას, სინანულის გამოკრთომას, სიძულვილს, შიშს და ცოტაოდენ სიყვარულს, სულ მცირე მარგალიტებს სიყვარულისას. ეს მარგალიტები კი მხოლოდ დედის თვალებიდან მოდიოდა
და როცა დედა წავიდა დაპატარავდა ეტლი ჩემი,
დაჩიავდა საბურავები, გაიღუნა რკინის ღერძები
...
სად წაიღეთ ჩემი ეტლი?
ჩემი ცხოვრების თანამგზავრი?
განა მის გარეშე მე აქ ყოფნას შევძლებ?!

დედის ართქმული მონოლოგი

ის ეძებდა შვილს, ან შვილის ცხედარს,

რადგან სული დიდი ხანია მის სხეულში შეუშვა
და უკან არ დაუბრუნებია.

ის ეძებდა ადგილს, მდინარის პირას და
წელიწადში ერთხელ მიდიოდა იქ
და ატანდა მაისურს, მისი ძველმანებიდან.

ის ეძებდა ადგილს, არა ტაძარში,
 არამედ ადამიანებში მისი სულის დავანებისა,

მაგრამ ამაოდ არც ცოცხლები და არც
მკვდრები არავის მოუკითხავს დიდი ხანია.

ძებნით დაღლილი, უდაბნოს ცხელ ქვიშაში,
სულის სიამოვნებით
 და სხეულის უძლურებით დაჩაჩანაკებდა და
ეძებდა მზის სხივს, რომელიც თავზე
დაჰყურებდა,
ძებნით დაღლილი, ზღვის ტალღებში
ლივლივებდა თითქოს,
მაგრამ ვერ პოულობდა ერთ წვეთს წყალს,
რომ ცრემლი განებანა უდაბნოში გამშრალი.
წელიწადში ერთხელ დაუბრუნებდა მდინარე
უკან ძველი მაისურის ნაგლეჯს , როგორც
დაფლეთილი გულის ანაწერს.
შეინახავდა ამ ნაფლეთს სხვა ნაფლეთებთან
ერთად, საღამოს შეკერავდა და
 დილით ისევ დაუბრუნებდა მდინარეს ახალი
სიცოცხლესავით.
ის ეძებდა შვილს, ან შვილის ცხედარს,

რადგან სული დიდი ხანია მის სხეულში შეუშვა
და უკან არ დაუბრუნებია.

მინაწერილი მწერალ თამაზ ექვთიმისვილის
საფლავზე

კედლიდან გადმოდი.
 საათის ისრებივით ვიმოძრაოთ
უსასრულობაში.
წამოდი. სახლიდან წამოდი.
ბზარებივით ვიბრუნოთ წრეზე მარადისობაში.
 ჩამოდი.
ზეციდან ჩამოდი, რათა ისევ ვისაუბროთ
დარზე, რომელსაც მოჰყვება ავდარი.
 გადმოდი.
უბრალოდ გადმოდი.
დამაკლდი. დამაკლდი.
წვიმა, ქარი, პოეტური რომანტიზმი არ გიყვარს
ვიცი. მთავარი ხაზი, რომელიც კედელზე
მოხაზე ვიცი, მეტია ამაზე, მიწით.
გადმოდი.
კედლიდან გადმოდი.
უბრალოდ გადმოდი.
ჩამოდი. დამაკლდი.
 სამშობლოს აგური ნამცეცად ქცეული შენია
ვიცი.
გიყვარს და გიჭირს. წამოდი.
ჩამოდი. გადმოდი.
აქ გინდა ვიცი....
რა გითხრა მეტი არ ვიცი.
 ვიცი, უბრალოდ დამაკლდი.
გიცდი.

ამ დილით თვალი გავახილე, გმადლობთ
ამისათვის უფალო.
ამ დილით გეგმები არ დამისახავს, გმადლობთ
ამისთვისაც უფალო.
ამ დილით თვალი ისევ დავხუჭე და
გავიფიქრე- რა მშვენიერია ცხოვრება, რომ
შემიძლია გავაგრძელო ძილი ჩემი საყვარელი
ადამიანების გვერდით.
გარეთ ულამაზესი დილაა.
ეს დღე იქნება მზით და სიყვარულით სავსე.
აკი სულ მეუბნებოდი, მხოლოდ ერთი დღით
იცხოვრეო, ჰოდა ასეა, ერთი დღით
ვცხოვრობ.
იცი, რომ ყოველთვის ასე ვცხოვრობდი, თუმცა
შენთან ტაძარში მოსასვლელად დღეს, ფეხები
უკან მრჩება უფალო, მაინც მეშინია
ხვალინდელი დღის.
ასე ხმამაღლა რომ გიყვები ჩემს ფიქრებს,
მგონია უფრო ახლოს ვარ შენთან და ამ შიშს
შენი სიახლოვე სძლევს.
მუდმივ სისწრაფეში, ამა თუ იმ საქმის
მოსწრებაში, ქაოსში და ზედმეტად
მოწესრიგებულ-ორაგანიზებულობაში,
სწრაფად მირბიან წუთები, საათები და წლები.
ამ ბოლო დროს თვლაც ამერია ისე მალე
მოდიოდა კვირა და გადიოდა დღეები.
შენთან მოსასვლელი გულის კარი ყოველთვის
მქონდა ღია, არასოდეს ჩამიკეტავს, უფალო.
ამ დილით თვალი გავახილე, გმადლობთ
ამისათვის უფალო.
სევდის ნასახიც კი არა მაქვს.
ვიცი შენ ჩვენთან ხარ და ყველა განსაცდელი
გაივლის.
ამ დილით გეგმები არ დამისახავს, გმადლობთ
ამისთვისაც უფალო.
არც წერილი დამიწერია.
არც არსად მეჩქარება შენი გულის გარდა.
მადლობელი ვარ უფალო იმ დიდი

სიყვარულისათვის, რასაც მუდმივად მანიჭებ. ამ დილით თვალი გავახილე, გმადლობთ ამისათვის უფალო.

ფიქრი ისევ ახმაურდა, სიჩუმეს გამოექცა და თვალებში ჩამდგარ ტკივილს გვერდით მიუსკუპდა:
-გამარჯობა, უთხრა უდიერად და გაუღიმა.
-რად ხარ ასე ტკივილიანი? გარეთ მზეა და შესანიშნავი დილაა, წამოდი ერთად ვიაროთ, ქვეყანა შემოვიაროთ.
-არ ვერ წამოვალ, მე მტკივა.
-ვიცი, მე ხომ შენი ფიქრი ვარ, სწორედ მაგიტომ მოგაკითხე,წამოდი რა.
-როგორ წამოვიდე როცა ზეცა ნაცრისფერია, ირგვლივ უსაშველო სიჩუმეა, ზღვის ხმაური მხოლოდ ზღვის ბინადართ ესმით, კაკუნის ხმაც არ ისმის.
-არ ვიცი, კოდალა კიდევ ცოცხალია?
-ადამიანო, კოდალას რაღას კითხულობ, ადამიანები მოიკითხე როგორ არიან, ადამიანები?
-ხო , მათ ყოველ დღე ვკითხულობ ხოლმე- ფიქრობენ! ჩემგან განთავისუფლება უნდათ, მაგრამ მგონი არ გამოსდით, არ სურთ ტკივილთან ერთად ცხივრება!
-ჰოდა წამოდი, სიჩუმეში ერთად ვიაროთ- მე ჩემს გულის ნადებს გაგანდობ, შენ კი ტკივილზე მომიყვები, დაანებე თავი ადამიანებს.
მიატოვე ისინი.
შენს გარეშე, უფრო კარგად იქნებიან...

****
.....შინ და გარეთ .....შინ და გარეთ.
.....აი, მოვედით პანდემიამდე- გულის გულის ჩასახედი სულის კარიბჭის კარი ჩავკეტეთ.
.....მდინარეები ჩავხერგეთ, ნაგვით ავავსეთ სუფთა წყალი და მივიმალეთ.
.....ხეებს ფოთლები ჩამოვაცალეთ, ტყის იარუსი გავკაფეთ, ისე შევცვალეთ გარემო, თავიდან გავაჩინეთ ღრმულები და ორმოები ჩვენი ტკივილების ჩასაყრელად და ჩასაფლობად,გადასაკარგად.
.....ზეცას ღრუბლები მოვტაცეთ, მზეს სხივები, ჩიტებს ფრთებიდან ბუმბულები ამოვაკელით, რომ არ ეფრინათ დიდი ხმაურით და მათ ჭიკჭიკს შეუჩვევლები არ დამფრთხალიყავით, ძალიან ბევრნი კი წითელი ბუმბულის გარეშეც დავტოვეთ.
.....მივატოვეთ ჩიტები და მაინც გვაჯობეს- მოძრაობა შეასუსტეს, ფრთები აიფიუეს, ერთ გუნდად შეკრენ, ჩაეხუტნენ ერთმანეთს, რათა მეტი სითბო და სიყვარული გადაეცათ ერთმანეთისათვის ზეცაში.
.....აი მოვედით პანდემიამდე, დავივიწყეთ ძველი, ის რაც სულს აქამდე ათბობდა და ანანავებდა- ჩასახუტებლად, მოძრაობის შესასუსტებლად, ფრთების ასაფუებლად, ერთ გუნდად შესაკრებად.
.....ზღვებს და ოკეანეებსაც შევეჭიდეთ- ზვიგენი მოვკალით და მისი ქონი სახეზე წავისვით, რომ უფრო ლამაზები ვყოფილიყავით იმ დროისათვის, როცა პანდემია გვესტუმრებოდა.
.....ქარიშხალი და ქარი მოვათვინიერეთ.
.....მხოლოდ სიომ დაჰბერა უხილავი მტერისამ ისე, რომ დაანგრია და გაანადგურა მსოფლიო, რომელიც ჩვენვე ვანგრიეთ ისე, რომ მოვედით პანდემიამდე-გულის გულის ჩასახედი სულის კარიბჭის კარის ჩაკეტვით.
.....შინ და გარეთ ტკივილით.
.....შინ და გარეთ სიძულვილით.
.....შინ და გარეთ არა ქართულით.
.....აი, მოვედით პანდემიამდე- გულის გულის ჩასახედი სულის კარიბჭის კარის ჩაკეტვით!.
.....შინ და გარეთ სიყვარულით!

ბევრი ვიარე და ვერ მივედი.
ბევრი ვილაპარაკე და ვერ გავჩუმდი.
გადავიფრინე მსოფლიო და ისევ აქ ვარ. არა-შინ.
ბევრი ვიცინე ტირილისათვის.
ბევრი ვიომე მშვიდობისათვის.
შინ ყოფნა.
შინ მისვლა.
შინიდან წასვლა. შინ.
ბევრი ვიფიქრე არყოფნისათვის.
ბევრი ვიტირე ყოფნისათვის.
ბევრი ვიარე დ ვერ მივედი. შინ.
ისევ აქ ვარ.არა-შინ.
შინ ყოფნა.
შინ მისვლა.
შინიდან წასვლა. შინ.
მიწა ვაფხვიერე,ზეცა ვაცისკროვნე.
ადამიანები დავღალე ღიმილით.
ვარსკვლავები დავჩრდილე,

ხელები უკვდავების წყალში ვაბანავე.
ბევრი ვიარე და ვერ მივედი.
ბევრი ვილაპარაკე და ვერ გავჩუმდი.
გადავიფრინე მსოფლიო და ისევ აქ ვარ. არა-
შინ.
სარკეში საკუთარი სხეული დავინახე
უხელო, უფეხო, უთავო და უმზეო.
შემეშინდა. გავიქეცი.
ისევ გადავიფრინე მსოფლიო და მაინც აქ ვარ.
არა-შინ.
შიშს ვერ გაექცევი.
სიღარიბეს დაგანახებს.
სიკვდილს გაგაცნობს.
სხეულიდან გაგდევნის და
სულის სულის ნეტრებით ჯოჯოხეთში
დაგტოვებს.
ბევრი ვიცინე ტირილისათვის.
ბევრი ვიომე მშვიდობისათვის.
ვიომე შენთვის და არარსებული
სიყვარულისთვის.
შინ ყოფნა.
შინ მისვლა.
შინიდან წასვლა.
აქ მინდა შინ!

სიბრძნის სკივრი

ნაირა უგულავა (ნია გორდელი)

თვალთახილვა (აზრები)

თავისუფლება

* * *

თავისუფლება თუ ადამიანის უმაღლესი კატეგორიებისაკენ დამოუკიდებელი სწრაფვაა, არანაირი შეზღუდვებით არ უნდა ჩაიხშოს იგი...

* * *

ადამიანი მიისწრაფვის თავისუფლებისაკენ – ეს უდავოა, მაგრამ თუ ეს თავისუფლება თავისი მსგავსის შეზღუდვის და შევიწროების ხარჯზეა, ამას ბიოლოგიური ნიშნით - ბრძოლა არსებობისათვის ჰქვია, ხოლო თუ იგი თავისი მსგავსის პატივისცემის და არსებობის გათვალისწინებითაა, მას შეიძლება ვუწოდოთ ჰუმანური და ამაღლებული.

* * *

სწრაფვა თავისუფლებისაკენ უსაზღვროა და უკიდეგანო ისევე, როგორც სიცოცხლის განხორციელებისათვის საჭირო ენერგიები დროისა და სივრცის უკიდეგანობაში.

კერძო ადამიანების გადასაწყვეტი არ არის, ვინ დარჩეს და ვინ განადგურდეს დედამიწაზე. დღევანდელ მსოფლიოს ეს უკვე გაცნობიერებული აქვს. საჭიროა მეტი გააზრებულობა; ფსიქოლოგთა, გენეტიკის სპეციალისტთა, ჰუმანურ მეცნიერებათა წარმომადგენლების თანამშრომლობა – გაუმართლებელ, დეგრადირებულ აზროვნებასთან, ერთობლივი წინააღმდეგობის და ბრძოლის გამოცხადების მიზნით.

* * *

ხანდახან ჯაჭვები უნდა გაწყვიტო და სხეულიდან გახვიდე - ცოდვის საბუდარს გაშორდე და შორიდან შეაფასო იგი, თუმცა არა მგონია, უკან დაბრუნება გადაწყვიტო... ვაი, რომ ამას ჩვენ არ ვწყვეტთ.

* * *

თავისუფლების ნეტარი განცდა, რომელიც სიცოცხლეს არ შეიცავს ან გამორიცხავს, აბსურდამდე დადის...

* * *

თავისუფალი არჩევანის არჩევანი დიდი კანონზომიერების გენიალური ჩანაფიქრია.

* * *

დამოუკიდებლობა!.. რის ფასად!?.

* * *

განთავისუფლება, რომლისთვისაც ასე გულმოდგინებით ვიღწვით, საკუთარი თავის უვიცობისგან არ გვათავისუფლებს...

* * *

როდესაც გვაზომბირებენ და ძალმომრეობენ (იგივე რეკლამებით თუ სხვა) ვალდებული ვართ გააფთრებული წინააღმდეგობა გავუწიოთ ამას...

* * *

აკონტროლე შენი მომავალი, შენი ცხოვრება, მოიპოვე თავისუფლება!..

თავმოყვარეობა და პატივმოყვარეობა

* * *

თავმოყვარეობა – ადამიანის არქეტიპული (პირველსაწყისი) თვისებაა, რომელიც პიროვნული, შინაგანი სამყაროს დაცვის ინსტიქტებითაა ნაკარნახევი.

პატივმოყვარეობა – ახალი, შემდგომ შეძენილი, საზოგადოებაში გამომუშავებული – ამ საზოგადოების მიერ პიროვნებისადმი ღირსეულად თუ უღირსად მინიჭებული, ან თავად პიროვნების ფანტაზიებში და წარმოსახვებში არასწორი წარმოდგენებით, დაბალი თვითშეგნებით და თვითშეფასებით, უკრიტიკობის შედეგად ჩამოყალიბებული წარმოდ-გენაა, რომელიც წარმოშობს საგნებზე, ადამიანებზე, ადამიანთა ჯგუფებზე არასწორი ფლობის მოთხოვნილებას, რაც, საბოლოო ჯამში, უსამართლობისა და დანაშაულისაკენ უბიძგებს პიროვნებას.

* * *

ზოგჯერ, გაამპარტავნებული, პატივმოყვარე ადამიანი როლის „გათამაშებას“ იწყებს (ორმაგი თამაში), გამოჰყავს რა თავისი პიროვნება ასპარეზზე. ეს ხელოვნებაა, რომე-ლიც უბრალო მომაკვდავთათვის მიუწვდომელია. თითქოს, ზებუნებრივი ძალების დახმა-რებით, ეს პიროვნება თავის იდეოლოგიას თავს ახვევს მილიონებს... იწყება დასნებოვ-ნება – ეს ვირუსის გავრცელებას ჰგავს და შეუძლია არა მარტო ზემოქმედება მასებზე, არამედ მათი განადგურებაც. ამ დროს წინააღმდეგობა ნულია. მხოლოდ შეუცნობელი ძალა „თვითგანადგურების ინსტიქტის პრინციპით“ ერთი მიმართულებით ამოძრავებს ამ პიროვნებას და საზოგადოებრივი აზროვნების ამ ფორმას.

* * *

თვითკმაყოფილების იმედზე დარჩენილი თავმოყვარეობა უგუნურებას ბადებს.

გრძნობა და ემოცია

* * *

გრძნობები და ემოციები სიამოვნება-უსიამოვნების ზღვარზე, ადამიანის როგორც ბიოლოგიური სისტემის და სოციალური არსების მოძრაობის ფორმებში ჩაისახა და აღმოცენდა.

* * *

შემეცნებით პროცესებში გრძნობითი და ემოციური ტონალობა ადამიანური ფენომენისთვისაა დამახასიათებელი, თუმცა ჩანასახის სახით იგი ცხოველებშიც მოიპოვება.

* * *

გრძნობები უაღრესად სუბიექტივირებული ობიექტური განცდებია.

* * *

ესთეტიკურ ემოციურ განცდაში ობიექტს თვისებები ადამიანის კატეგორიალურ-ფასეულობითი ღირებულებებიდან გამომდინარე მიეწერება და არა ამ ობიექტის თავისებურების მიხედვით.

* * *

ხშირად ჩვენი გრნობების და ემოციების აღქმის, გამოხატვის, აუღერების საშუალებებს ვერ ვფლობთ და კიდევ დამატებითი გრძნობების (ინტუიციის) საშუალებით დავეძებთ მათ გამოძახილს სხვათა შემოქმედებაში.

* * *

მკვეთრი გრძნობები არის უხილავი საცეცების მქონე, რომლებიც უსაზღვროდ იზრდებიან და უსაზღვროდ გარდაიქმნ-გადაიჯაჭვებიან ერთმანეთში...

* * *

შენი აღმაფრენა სადღაც რომ მიგაქანებს, არ უნდა გაჯიუტდე...

* * *

აუშვი ემოციები, ნუ გყავს დაბმული, ოღონდაც, მყეფარა ძაღლს არ დაამსგავსო.

* * *

ემოციებს აწარმოებს ობიექტი – საჭირო მნიშვნელობით და აქტუალურობით და არა ზოგადად ამ ობიექტის შინაარსი.

ფილოსოფია, ფსიქოლოგია, ლოგიკა

დათო ყანდაშვილი

სულიერ ფასეულობათა ანბანი

გაგრძელება
დასაწყისი იხილეთ ანთოლოგიის №№5-10 ტომებსა და
ჟურნალ „ათინათის“ №№22-37-ში

შესაძლებლობები და მოთხოვნილებები

შესაძლებლობები ემოციური პარამეტრის გონებისმიერ პარამეტრად გარდაქმნის შედეგია. ისინი „მე“-ს შეცნობის ანუ ზოგადი არაინდივიდუალური ცნობიერების რეალიზაციის უნარს ნიშნავს. ზოგადი არაინდივიდუალური ცნობიერების ძირეულად შესისხლხორცების შემთხვევაში, როდესაც ეს ცნობიერება მთლიანად ისე გაჯდება და გამყარდება „ძვალ-რბილში“, ინდივიდუალურ სულში, რომ მათი გათვალისწინების გარეშე ინდივიდუალურ სულს არაფრის კეთება აღარც სურს და აღარც შეუძლია, ეს არაინდივიდუალური ზოგადი ცნობიერება უკვე ინდივიდუალური ზოგადი ცნობიერება ხდება ინდივიდუალური სულისათვის. მაგრამ აუცილებლად მიმაჩნია აღვნიშნო ის, რომ ვიდრე ეს გაჯერება არ მოხდება ანუ „მე“-ს შეცნობა, შემეცნება ზოგადი ცნობიერების შეგრძნებაში, ანუ ამბიციის გრძნობად გარდასახვა არ მოხდება, ემოციური პარამეტრის გონებისმიერ პარამეტრად გარდაქმნილი ნაწილი ჭეშმარიტი ცოდნის მომცველი ვერ იქნება და ვერც ჭეშმარიტების, ეთიკურობის სამსახურში ვერ ჩადგება. ინდივიდუალური სული შეიძენს რაღაც შესაძლებლობებს, რომელთა რეალიზაციის შედეგები მისთვის მეორეხარისხოვანი თემა იქნება. ის დაბრმავებული იქნება თავისი უნარით და ერთადერთი, რაც მისთვის იქნება მთავარი, ეს ამ უნარის რეალიზაცია, თვითგამოვლინება, საკუთარი შესაძლებლობების გამოვლინებით ტკბობა იქნება და ის, თუ ვის რას მოუტანს ეს თვითგამოვლინება, მისთვის ყველანაირ მნიშვნელობას დაკარგავს. სხვათა შორის, ეს ძალიან მაღალი იერარქიის ინდივიდუალურ სულებსაც შეიძლება დაემართოთ, ამიტომ მიმაჩნია, არავის აწყენდა საკუთარ თავში გადაეხედა ამ სერიოზული პრობლემისთვის, რომლისკენაც ინდივიდუალურ სულს მიდრეკილება გააჩნია და რომლის თვითკონტროლიც მუდმივად საჭიროა. ***<u>რა მექანიზმით შეიძლება შესაძლებლობების გაკონტროლება</u>***? ამ შეკითხვის პასუხს მატერიალურ სამყაროში მატერიალიზირებული ინდივიდუალური სულებისთვის, ჩვენს შემთხვევაში ადამიანებისთვის, საჭირო რეკომენდაციებით შემოვფარგლავ, შემოვსაზღვრავ. გავაკეთებ ჩამონათვალს, რომელიც განსაზღვრავს ამ მიდრეკილების მქონეთა კლასიფიკაციას და თუ თქვენ რომელიმეში იმყოფებით, უნდა აღიაროთ, რომ ეს მიდრეკილება გაგაჩნიათ. ეს არის უბრალოდ გასაღები საკუთარ თავში ამ მიდრეკილების ნაირსახეობის პოვნისა.

1) სქესობრივი ლტოლვის წარმოშობის მექანიზმი. ეს შესაძლებლობების არაეთიკური მიდრეკილებების ემოციურ ფონზე შექმნილი მიმართულებაა და ზოგადი ცნობიერების „მე“-ს მხრიდან სირცხვილის შეგრძნებით იბლოკება.

2) გამორჩეულობის, გარემოს მხრიდან ყურადღების ცენტრში ყოფნის სურვილის წარმოშობის მექანიზმი. ეს შესაძლებლობების არაეთიკური მიდრეკილებების ამბიციურ ფონზე შექმნილი მიდრეკილებაა და ზოგადი ცნობიერების „მე“-ს მხრიდან სინდისის შეგრძნებით იბლოკება.

3) საკუთარი წესრიგის მაკეტის დამყარების მცდელობის მექანიზმი. საკუთარი ზოგადი ცნობიერების მაკეტის იდეალიზაცია, მისი სრულყოფილების ილუზიაში ყოფნა. ეს შესაძლებლობების არაეთიკური მიდრეკილებების გონებისმიერ ფონზე შექმნილი მიდრეკილებაა და ზოგადი ცნობიერების „მე“-ს მხრიდან დოგმატიზმის, კონსერვატიზმის, შეუცვლელობის შეგრძნებით იბლოკება.

4) ზოგადი ცნობიერების „მე“-ს მიერ ინდივიდუალური სულისთვის განსაზღვრული კოსმიური ადგილმდებარეობისთვის შესაბამისი ობიექტური რეალობის სრულყოფის, ევოლუცირების მცდელობის მექანიზმი, ინდივიდუალური სულის უფრო მაღალ იერარქიულ ორბიტებზე გადასვლის სულისკვეთება, როდესაც ის რეალურად უფრო დაბალ ორბიტალურ გრძნობისმიერ ფონზე შექმნილი მიდრეკილებაა და ზოგადი ცნობიერების „მე“-ს მხრიდან ასკეტობის, განზე დგომის (განდეგილობის), მარტოობის შეგრძნებით იბლოკება.

რაც შეეხება იმ კითხვას, გაქვთ თუ არა საკუთარი შესაძლებლობების არაეთიკურობისკენ რეალიზაციის სურვილები, პასუხი იქნება კატეგორიულად ცალსახა, რამეთუ არ არსებობს მატერიალიზირებული ინდივიდუალური სული, რომელსაც ასეთი ტიპის სურვილები არ გააჩნია და

უფრო მეტსაც გეტყვით, სწორედ ისინი ბრძანდებიან თქვენი მატერიალურ სამყაროში მატერიალურ სხეულებში ჩასახლების მიზეზნი.

<u>რაც შეეხება მოთხოვნილებებს</u>, ეს უფრო ნაცნობ ენაზე რომ ვთქვა, სურვილები, ან სურვილების შესრულების აუცილებლობაში დაჯერებულობის შედეგებია. ე. ი. შეიძლება ითქვას, რომ მოთხოვნილების მშობელი სურვილია, რომლის შესრულებასაც ისე შევეჩვიეთ, რომ სურვილად აღარ მიგვაჩნია, მაგრამ ცოტა უფრო ღრმადაც თუ ჩავიხედავთ, სურვილის მშობლებსაც აღმოვაჩენთ. ნებისმიერი სურვილის „დედა“ ანუ მშობელი, ვინც უშუალოდ შობს სურვილს, არის სიამოვნება, ხოლო „მამა“, ანუ ვინც სურვილის წარმოსახვას და მონდომების პროვოცირებასა და ჩასახვას ახდენს, არის კმაყოფილება.

მოთხოვნილებებთან მიმართებაშიც ოთხმხრივი ხედვაა აუცილებლად გასათვალისწინებელი: 1) მოთხოვნილება, რომელიც მატერიალიზირებულ ინდივიდუალურ სულზე ძევს მთელს კოსმიურ გამოვლინებასთან, დროსთან, სივრცესთან, ღმერთთან და ა. შ. მიმართებაში. 2) მოთხოვნილება, რომელიც მატერიალიზირებულ ინდივიდუალურ სულზე ძევს იმ ინდვიდუალურ სულებთან, ადამიანებთან მიმართებაში, რომლებისგანაც გაჩენის დღიდან ურთიერთობებითაა დაკავშირებული. მშობლები, და-ძმები, ნათესავები, მეგობრები, რა თქმა უნდა, პირადი ოჯახი, ანუ ცოლ-შვილი, ქმარ-შვილი და ა. შ. 3) მოთხოვნილება, რომელიც მატერიალიზირებულ ინდივიდუალურ სულზე ძევს ყველა მატერიალიზირებულ ინდივიდუალურ სულთან მიმართებაში, ადამიანები, ცხოველები, ფრინველები და ა. შ. და ა. შ. 4) მოთხოვნილება, რომელიც მატერიალიზირებულ ინდივიდუალურ სულზე ძევს საკუთარ მატერიალურ სხეულთან და მის ინტერესებთან მიმართებაში. კვება, დაზიანებისგან დაცვა, ნორმალური საყოფაცხოვრებო პირობების შექმნა, ანუ საერთო ჯამში მატერიასთან, კოსმიური გამოვლინების მატერიალურ ნაწილთან მიმართებაში.

მოკლედ და უფრო კონკრეტულადაც, ვიდრე ზემოთაა გაშლილი, შესაძლებლობებისა და მოთხოვნილებების ცნობიერი ცნებები ერთურთში მჭიდროდ გადაფსკვნილნი და ერთურთში გარდამავალნი არიან, მთელი თავისი სიღრმისეული თუ უმცირესად ზედაპირული აღქმითა და გაგებით და ისეთი „ვექტორული“ მიმართულებისკენ მიყავთ აღქმისა და გაგების დონე, რასაც სიტყვა **<u>საკუთრება</u>** მოიცავს და მოიაზრებს თავის არსობრივ აღქმაში.

უფლება და მოვალეობა

საკუთრებასთან მიმართებაში კი პირველი, რაც ასოცირდება, არის კუთვნილებითი ფორმის ნაცვალსახელები: ჩემი, შენი, იმისი და ა. შ. ვფიქრობ, ფრიად საინტერესო იქნება საკუთრების ნაირსახეობის გადახედვა. აქვე, აუცილებლად მიმაჩნია აღინიშნოს, რომ პასუხისმგებლობა და საკუთრება (კუთვნილება) იმდენად მჭიდროდ გადაჯაჭვულნი არიან არსობრივად, რომ მათი ერთურთის გარეშე განხილვა უშინაარსო იქნებოდა.

პასუხისმგებლობა უფლებისა და მოვალეობის თანაბრობას ნიშნავს და მოვალეობრივი კუთხიდან იზომება.

საკუთრებაც უფლებისა და მოვალეობის თანაბარობას ნიშნავს და უფლებრივი კუთხიდან იზომება (უფლებამოსილება).

ანუ კიდევ ორი ცნების ფასეული გაშიფვრა-ჩამოყალიბება ხდება საჭირო, რათა ნათელი მოეფინოს ამ საკითხს, როგორც აბსტრაქტულ, ისე კონკრეტულ ნიუანსებში (უფლებისა და მოვალეობის ცნებებს ვგულისხმობ). უფლება კოსმოსის, ღმერთის მხრიდან იმხელა აქვს მინიჭებული მატერიალურ ინდივიდუალურ სულს, რამხელაც შესაძლებლობები დაჰყვა მატერიალიზირების შემდგომ და შერჩა მატერიალიზირებულობის პროცესში. შერჩენა კი იმაზე იქნება დამოკიდებული, თუ რამდენად ეთიკურად მოახდენს თავისსავე დამსახურებულ უფლებათა, შესაძლებლობათა რეალიზაციას. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტორს, რომ მატერიალიზაციის ერთ-ერთი ძირითადი წამყვანი, თუმც შედეგობრივი ხარისხის მიზეზი, სიამოვნების მიღებაა, ვნებაა (რომელიც ბრაზის, საკუთარი „მე“-ს უკონტროლობის, უსამართლობის შეგრძნებასა და მასთან ბრძოლის იდეის შედეგად მიიღება). მაშინ არც ისე ძნელი და მიუღწევადია იმ ერთადერთი სწორი გამოსავლის პოვნა, რომ შესაძლებლობების ეთიკურად, ჭეშმარიტად სწორად გამოყენების საშუალება საკუთარი სიამოვნების მიღების სამსახურში კი არა, არამედ გარემოსთვის სიამოვნების მინიჭების სამსახურში ჩაყენებაა. ფაქტიურად, შეიძლება ითქვას, ფაქიზად, შეუმჩნევლად უფლების ცნება მოვალეობის ცნებასთან დანათესავდა. სადაც არის „რა მინდა“, ალბათ, იქვე უნდა იყოს ის, თუ „როგორ უნდა მივიღო ის, რაც მინდა“.

რაც შეეხება მოვალეობებს: რაც მეტია ინდივიდუალურ სულში მოვალეობები, მით მეტი ცოდნის ნათელის შეძენის საშუალება ეძლევა მას, რაც ავტომატურად შესაძლებლობებად გარდაიქმნებიან, ანუ უფლებრივად უფრო მაღალ სტატუსს ანიჭებენ, ვიდრე ამ ცოდნის მიღებამდე იყო. მაგ-

რამ, თუ ინდივიდუალური სული მოვალეობებს ჭარბად იღებს და მათ ცოდნად, თვითშემეცნებად არ გარდაქმნის, მონურ-მსახურებრივ მდგომარეობაში ჩაიგდებს თავს იმდენ ხანს, რა ხანსაც ასეთი ტიპის ცხოვრებით იქნება დაკავებული.

ფაქტობრივად, შეიძლება ითქვას, ამ თეორიულ ცოდნაზე დაყრდნობით შესაძლებელი ხდება ურთულესი თემის, „მე"-ს შემადგენელ ნაწილთა ფუნქციონალური ინტერესების განსაზღვრა, ანუ იმის განსაზღვრა, თუ როგორ უნდა აკეთო ის, რაც უნდა კეთდებოდეს აბსოლუტური ჭეშმარიტების შეხედულებიდან გამომდინარე, რაც, ადამიანურ ენაზე გადათარგმნით, ასე გამოითქმის: ეს არის ის, თუ როგორ უნდა აკეთო ჭეშმარიტად, ღმერთისთვის მოსაწონი, ჭეშმარიტი სიკეთე.

შევეცდები ავაწყო ჯაჭვი, სადაც ეს ურთიერთგარდამავალი ქმედებები ხდება, მაგრამ აქაც ავიღებ ვარიანტს, რომელიც სასურველ-საძირკვლისეულს წარმოადგენს და წარმოაჩენს.

უფლება, რეალურად საჭირო და სასურველი უნარისა და შესაძლებლობების ქონის მიხედვით ეძლევა ინდივიდუალურ სულს, მაშასადამე, მოვალეობა არ ქონის მიხედვით იდება ინდივიდუალურ სულზე. ამ დიაპაზონში ხდება სურვილების, ნატვრების, ოცნებების გაჩენა, რომლებიც საკუთარ უნარსა და შესაძლებლობებს ვერ ეყრდნობა, რამეთუ ეს შესაძლებლობები ინდივიდუალურ სულს უბრალოდ არ გააჩნია და მათ შესასრულებლად აუცილებელ პირობასავით საჭირო ხდება მათი განხორციელებისთვის საჭირო უნარ-შესაძლებლობათა გამომუშავება. ფაქტიურად, არაგაცნობიერებულ დონეზე ჩნდება რაღაცის ასე ვთქვათ დასაკუთრების, რაღაცით (ან ვიღაცით) სიამოვნების მიღების სურვილი. ჭეშმარიტად სწორი, თანამიმდევრული მიყოლის ვარიანტში ინდივიდუალური სული, იძენს რა ამ სურვილისთვის ეთიკურად შესაბამის უნარს, ამ რაღაცით (ან ვიღაცით) სიამოვნების მიღების სურვილი უბრალოდ უქრება. ასეთი ტიპის ერთგვარი პროვოცირების საშუალებით ხდება შემეცნების დონის აწევა, პასუხისმგებლობა სერიოზული დონით იზრდება და ის, რაც უნდოდა ინდივიდუალურ სულს საკუთრებრივი სურვილით აღარ უნდება, სამაგიეროდ ის, რაც უნდოდა, თვითონ ხდება მისი ასე ვთქვათ საკუთრება თავისივე ნებით და თავისივე დაბეჯითებითი თხოვნით. ამ რაღაცისთვის (ან ვიღაცისთვის) ზემოთ ხსენებულ ინდივიდუალურ სულთან უშუალო კონტაქტი უსაზღვრო სიამოვნების მომტანია, ყველანაირი გზებითა და საშუალებებით ცდილობს როგორმე დააკმაყოფილოს იგი. თვითონ ინდივიდუალური სულისთვის კი ამ რაღაცისთვის (ან ვიღაცისთვის) სიამოვნების გაცემა თავადვე ანიჭებს უზარმაზარ სიამოვნებას, მაგრამ იგი ავტომატურად მასწავლებელიც, დამკვალიანებელიც, განმანათლებელიც ხდება მისი და მისი დაკმაყოფილებისთვის მხოლოდ იმ რაოდენობას გასცემს ამ სიამოვნებისა, რომელიც ეთიკის ნორმებს შეესაბამებიან და ყველანაირ შეღავათებსა და შებრალებებს სრულიად გამორიცხავს, რაც, თავის მხრივ, ხდება გარანტი მისი მხრიდან შემეცნების ჭეშმარიტად სწორ გზაზე დაყენებისა ამ რაღაცის (ან ვიღაცის) და მასში საჭირო და სასურველი უნარისა და შესაძლებლობისკენ სწრაფვის წახალისებისა. დასკვნასავით გამოდის, რომ ინდივიდუალურ სულში წარმოქმნილი სურვილის შესრულებაში დახმარება მასში ამ სურვილის შესაბამისი უნარ-შესაძლებლობებისკენ სწრაფვაში ხელის შეშლაა და ადამიანური ტერმინოლოგიით ბოროტებაა, თანაც ყველაზე დიდი ბოროტება, რამეთუ ფუნქციონალური ასპექტი იკვლება. ამიტომ, მიმაჩნია, რომ დახმარების სურვილით აღგზნებული ბრმა სიკეთე შეგნებულ ბოროტებაზე უარესიც კია.

მაშასადამე ზოგადად, უფლებამოსილება გრძნობას უნდა მიენიჭოს და არა რომელიმე სხვა „მე"-ს შემადგენელ ნაწილს; მოვალეობა, ვალდებულების საკითხის გადაწყვეტა ემოციას უნდა დაეკისროს; პასუხისმგებლობა, როგორც უფლებისა და მოვალეობის ჯამობრივი მაჩვენებელი, გონებას უნდა ჰქონდეს გათავისებული; ხოლო საკუთრება, მატერიალური კუთვნილების ნებისმიერი გამოვლინება, ამბიციის პრეროგატივაში უნდა შედიოდეს და ის მეტს არაფერს უნდა გადასწვდეს. ხოლო რა ფორმით უნდა ქნან ამ ოთხმა შემადგენელმა ნაწილმა ეს, ვგონებ, უკვე სხვა საკითხად აიკინძება და ნაწილობრივ ზევით უკვე ნახსენებიც კია. მაგრამ ეს ყველაფერი იმდენად მიბმულნი არიან ერთმანეთთან და იმდენად ერთმანეთისაგან გამომდინარენი არიან, რომ ერთი მათგანის იგნორირებაც კი დიდად სახარბიელო შედეგთან ვერ მიიყვანს სერიოზული წარმატების მსურველს. თუ შედეგობრივზე ვილაპარაკებთ, მიზეზი ყოველივე არსებულისა გახლავთ გრძნობა; საშუალება ყოველივე არსებულის გამოვლინებულობისა გახლავთ გონება; მიზანი ყოველივე არსებულში წარმოიქმნება ამბიციაში; შედეგი ყოველივე არსებულის გამოვლინებისა განისაზღვრება ემოციაში.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

შემეცნებითი სამყარო

ნაირა უგულავა (ნია გორდელი)

ბრალის თეორია

ბრალის მიზეზი, ბრალის მოთხოვნილების საგანი და ვექტორი

ბრალის აღძვრა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ადამიანის ბრალდებითი ტენდენციაა. მას აქვს მიზეზი, ბრალის საგანი და ვექტორი. ბრალის მიზეზი შეიძლება იყოს გაბრაზება, წყენა-უკმაყოფილება, შური, სიამაყე, სიხარბე და ა. შ. ბრალის საგანი, უფრო ხშირად არის გასაყოფი საგნები – სულიერი თუ მატერიალური, ხოლო ბრალის ობიექტი, ვისზედაც ან რაზედაც ბრალი გადადის – სულიერი თუ უსულო საგნები, ფაქტები და მოვლენები. ბრალი კონკრეტული შინაარსის შემცველია – ვიღაცის ან რაღაცისკენ არის მიმართული. თითქოს ყველაზე უწყინარ ბრალსაც კი წინააღმდეგობების, დაბრკოლებების გადალახვის პროცესში, უკეთესი მერმისისათვის ძებნაში, საგანზე ბრალითი ფიქსაცია ახასიათებს. არის შემთხვევები, როდესაც ბრალის წარმოქმნის საფუძველი არსებობს – საერთო სადავო საგანი, როგორც ობიექტი, და როდესაც ასეთი საგანი არ არსებობს, – ხდება მისი ხელოვნურად გამოგონება-კულტივირება. ამ უკანასკნელს ადგილი აქვს მაშინ, როდესაც ადამიანებს, საზოგადოებებს, დაჯგუფებებს, სახელმწიფოებს ამოძრავებთ ძალადობრივი განზრახვები: სხვადასხვა მეთოდებით და საშუალებებით სხვისი ნივთის, ტერიტორიების, სულიერ და მატერიალურ ღირებულებათა დასაკუთრების; ასევე, თავისუფლების შეზღუდვის, არასამართლიანი შერისხვის, უფლებების ჩამორთმევის სრულიად უმიზეზო და უსაფუძვლო მცდელობები. ბრალის გამო, ძალადობას, დღესდღეობით, განხორციელების მრავალნაირი საშუალება გააჩნია და რაც დრო გადის, ეს საშუალებები თანდათან იხვეწება.

თეორიები, შეხედულებები, საერთოდ, ადამიანის აზროვნებით-მენტალური (სულიერი) პროდუქტები ბრალეული განწყობილებებით ყალიბდება, შესაბამისად, მიზნის ჩამოყალიბებაში და მოტივაციის შექმნაში მონაწილეობს ბრალი. არაცნობიერი, ქვეცნობიერი, და ცნობიერი განწყობილებები – აზროვნების ეს გემოვნებითი წარმომადგენლები, მიზნებს აყალიბებენ, თუმცა, ეს პროცესი ამ ინსტანციების წინააღმდეგობებსა და ჭიდილში მიმდინარეობს. ამ გამუდმებულ ჭიდილშიც უამრავი ბრალი წარმოიქმნება და ქრება. რა, რატომ, რისთვის, როგორ? – ეს კითხვები უამრავი ბრალით არის გაჟღენთილი – რაღაცის ან ვიღაცისკენაა მიმართული. ბრალი – აღძვრის ხასიათის, ბრალის საგნის რაგვარობის, ინტენსივობის, გადატანის ხარისხის, ობიექტის არჩევით, და ბოლოს, დარეგულირება-განეიტრალების დონისა და შესაძლებლობის მიხედვითაც განსხვავებულია.

ბრალის მასაზრდოებელი ენერგეტიკა – ჰიბრიდიზაცია, ტრანსფორმაცია, სუბლიმაცია

ყველა სახის მოქმედებისათვის – ფიზიკური აქტივობისათვის, აზროვნებისათვის, ინფორმაციის გაცემისა და მიღებისათვის საჭიროა ენერგიები, რომლებსაც ადამიანის თავის ტვინი, კუნთები, სხვადასხვა ორგანოები სხვადასხვა წყაროებისაგან იღებენ... ბრალის მასაზრდოებელი ენერგეტიკა ადამიანის ბიოლოგიური არსიდან პულსირებს, რომელიც ფოკუსირდება იდეაში – ბრალში – განსხვავებული აქცენტებით, რომლებიც, თავის მხრივ წარმოშობენ მიმართულებით დამოკიდებულ ბრალს... ბრალის სიმძიმე და ფორმა-მასშტაბები, ამ ენერგიების წყალობით, საკმაოდ ვარირებს. თუ შევადარებთ მსოფლიოს დაპყრობის

და განადგურების ბრალით შეპყრობილთა ენერგიებს ჩვეულებრივ ყოფა-ცხოვრებაში „მოცირკულირე“ ბრალით შეპყრობილთა ენერგიებთან, დავრწმუნდებით, რომ მათი მასაზრდოებელი ენერგიები განსხვავებულია. მართლაცდა, რით უნდა აიხსნას ადამიანში ისეთი აგრესიული ენერგიების მოზღვავება, რომლებმაც შეიძლება ყველა და ყველაფერი მოსპოს, – გაანადგუროს ადამიანები, წერტილი დაუსვას კაცობრიობის არსებობას?..

აქ მოყვანილი მსჯელობა და განხილვა ხელოვნურად არის დანაწევრებული. სინამდვილეში, ადამიანის ხასიათის გამოვლინება, ბრალი და მისი ენერგიები, მათი მოძრაობის წესი და განაწილება, ადამიანის ყოველგვარი ქმედება დროშიც და სივრცეშიც არის ერთი მთლიანი კანონზომიერების შემადგენელი ნაწილი... მთავარი არსის გაუთვალისწინებლად მოვლენის ადამიანურ ენაზე გადმოტანა ყოველთვის ცთომილებაა, თუმცა, მსჯელობისას შესაძლოა, ისახებოდეს მთავარისაკენ მისასვლელი ხაზის ჩრდილები, რომელთაც სინამდვილეში ჩვენ დავყვებით... ადამიანში, როგორც ბიოლოგიურ და კოსმიურ მოვლენაში, ცირკულირებს ენერგიები, რომლებიც პერიოდულად აღმოცენდებიან, აქტიურდებიან და ქრებიან. ისინი თავ-თავიანთ კვალს ტოვებენ ადამიანის თვალით, გულით, გონებით მიუწვდომელ საერთო ენერგეტიკულ ველში.

ადამიანი, ფიზიკური და სულიერი არსებობისათვის, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საჭიროებს ენერგიებს. მასში ცირკულირებს შემავალი და გამომავალი ენერგიები. შემავალში შეიძლება მოვიაზროთ როგორც საკვები, ასევე, კოსმიური ენერგიები (რომლებსაც, არავინ იცის, ადამიანი როგორ ამუშავებს ან რა გზები აქვს მათ მისაღებად), სხვადასხვა ინფორმაციები და მასთან დაკავშირებული მოთხოვნილებითი წარმოსახვები – იდეები; გამომავალში – სრულყოფილად თუ არასრულყოფილად დაშლილი ცხოველმოქმედების პროდუქტები, მათთან დაკავშირებული მოთხოვნილებები, წარმოსახვები – გაშლილ-განტოტებული ფორმებით; ასევე, კვალად დარჩენილი მათი ნაშთები, მეხსიერებაში შენახული ინფორმაციები... ეს შემავალ-გამომავალი ენერგიები და მათი ნაშთები რაღაც მომენტში იკრიბებიან, ერთმანეთზე ზედდებიან, ძლიერდებიან, სუსტდებიან ან განიცდიან განეიტრალებას, ზოგჯერ ხდება მათი ჰიბრიდიზაცია და გვევლინებიან სულ სხვა ფორმით, ან იხარჯებიან არასტანდარტულად და ა. შ. ამ ენერგიების წყალობით, უბრალო წარმოსახვაც კი, შეიძლება წარმოსახვათა მონსტრად შეიკრიბოს და იქცეს და ასეთი სახით გამოვიდეს არენაზე. ადამიანის ბიოლოგიური არსიდან, მისი კონსტიტუციური წყობიდან გამომდინარე, ასიმილაციისა და დისიმილაციის პროცესები განსხვავებულად მიმდინარეობს და შესაბამისი ენერგიები სხვადასხვანაირად ნაწილდება და იხარჯება. კვებითი, სექსუალური ლტოლვის და სხვა მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება-დაუკმაყოფილებლობის ხარისხიდან გამომდინარე, ეს ენერგიები და მათი ნაშთები სხვადასხვა ხასიათის წარმოსახვებსა და ფანტაზიებს წარმოშობენ და შესაბამის გრძნობებს აყალიბებენ. სათნოება, სიბრალული, სიყვარული, სიძულვილი, სისასტიკე, დაუნდობლობა – ყოველივე ეს, ისახება ამ ენერგიებით ნაწარმოებ იდეათა ფოკუსებში

გენური იმპულსებიდან, დაკმაყოფილება-დაუკმაყოფილებლობის ხარისხიდან, მათგან წარმოშობილი, ერთმანეთზე გადაჯაჭვული – ჰიბრიდული ენერგიებიდან და ამ ენერგიებით ნაწარმოები წარმოსახვებიდან და ფანტაზიებიდან გამომდინარე, შეიძლება ვიმსჯელოთ სიკეთის, ბოროტების, სიძულვილის, სიყვარულის და სხვა გრძნობების გამოვლინების ნაირგვარობაზე და მათ ხარისხზე, რომელთა ერთმანეთის გადაკვეთაში მოიაზრება ბრალიც.

არასწორად დახარჯული ენერგიების კუმულირება, მათი ზედდება და ჰიბრიდიზაცია განაპირობებს ადამიანის დემორალიზებას. სხვანაირად ვერ აიხსნება მისი მონსტრული ფანტაზიები და წარმოსახვები, რომლებიც მხოლოდ განადგურების თვისებით არიან ნიშანდებულნი. აქ შეიძლება ვიმსჯელოთ ჩაკეტილ ენერგიებზე და მათგან ნაწარმოებ ბრალზე, რომელიც აღმოცენდება სიცოცხლისათვის შეუთავსებელ (გამოუვალ სიტუაციებში) გარემოში. ამ დროს ამუშავებას იწყებს განადგურების დესტრუქციული ინსტინქტი, რომელიც დათრგუნულ მდგომარეობაში მყოფ ადამიანებში, ძირითადად, თვითგანადგურების ბრალს წარმოშობს. საინტერესოა, ასევე, მსჯელობა ადამიანის, როგორც ფენომენის

მაყალიბებელი ენერგიების დროის განზომილებაში ტრანსფორმაცია-გრადაციების შესახებ; ველურიდან, ღვთის ხატად შექმნილ ადამიანად ტრანფორმაციისათვის საჭირო დროზე. ამისათვის საჭირო ენერგიების მიმოქცევაზე წარმოდგენის უქონლობა გვაბნევს მსჯელობისას... დროის გარეშე, მარტივია მსჯელობა. დროის განზომილების არეფლექსიურობა კვალს გვიკარგავს. აქვე შეიძლება წამოვაყენოთ საკითხი პარალელური მოვლენების შესახებ – ერთი მხრივ, დროით განზომილებაში, მეორე მხრივ, განზომილებაში, რომელიც დროს არ საჭიროებს. ამაზე მსჯელობა შორს წაგვიყვანს... ცხადია, ერთი სახის ენერგია მეორე სახის ენერგიად ტრანსფორმირდება და ამის წყალობით ადამიანის ცნობიერებითი სახე-წარმოდგენადობა სრულიად სხვა განზომილებას – ღვთაებრივი ენერგიების დროით და სივრცით განზომილებას ერწყმის და საფეხურებრივ გრადაციებში გრძელდება...

შესაძლოა თუ არა ენერგიების ნებელობითი მართვა – ჩაკეტილი ენერგიების გახსნა, დესტრუქციული ენერგიების, ადამიანური ვნებების, ბრალის განეიტრალება-გაუვნებლობა და სხვა სახის ენერგიად გადაქცევა ანუ სუბლიმაცია? შუბლიმო – (ლათ. – ვამაღლებ) – მყარი ნივთიერების უშუალოდ აირისებრ მდგომარეობაში გადასვლაა; გადატანითი მნიშვნელობით, ადამიანის მაღალ სულიერ მდგომარეობაში გადასვლა. აქ აღწერილ სუბლიმაციაში იგულისხმება ჰიბრიდული თუ არაჰიბრიდული, ადამიანში პათოლოგიურად მოცირკულირე, სხვადასხვა ენერგიების სახეცვლილება – „გაკეთილშობილება“ და, არამცდაარამც, „მხოლოდ“ სექსუალური ლტოლვის ენერგიების ჩანაცვლება შემოქმედებითი ან ფიზიკური აქტივობებით, როგორც ამას ფროიდი მიიჩნევდა (ადამიანში ღვთის მიერ დაშვებული ენერგიების განუხილველად, მხოლოდ სექსუალური ლტოლვის ენერგიებით მოტივებისა და შინაარსების ჩამოყალიბებას ეჭვ ქვეშ ვაყენებ!..). ეს, ე. წ. სუბლიმირებული – „გაკეთილშობილებული“ ენერგიები აყალიბებენ ჰუმანურ და აღმშენებლობით იდეებს, ქმნიან კულტურას, ხელოვნებას, ცივილიზაციას.

პათოლოგიურად შეჯვარებული ენერგიების ღვთაებრივი ენერგიებით ჩანაცვლება სავსებით შესაძლებელია და ადამიანის ნებელობით დარეგულირებას ექვემდებარება; საჭიროა ღვთაებრივი ენერგიების მოკრება და დაშვება ადამიანში, მიღება-გამტარებლობა და წარმართვა უარყოფითი ენერგიების გასაუვნებლად.

ბრალის კულტივირება

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ბრალს აქვს მიზეზი, საგანი და ვექტორი. არის, აგრეთვე, შემთხვევები, როდესაც არ არსებობს ბრალის მიზეზი და საგანი და ადამიანი ხელოვნურად ახდენს მის გამოგონებას. ხშირად, კულტურულ, ტრადიციულ, რასობრივ, რელიგიურ თუ სხვა ნიადაგზე, ადგილი აქვს ბრალის კულტივირებას. ეს ადამიანის წარმოსახვა-გარდასახვის იმ უნარს უნდა მივაწეროთ, რაც დასაბამიდან ხვდა მას წილად. ამ უნარმა, მითოლოგიური აფეთქების ხანაში, მრავალი პერსონაჟი შექმნა და მოვლენათა შორის სრულიად უცნაური დამოკიდებულებები ასახა (ეს თემა განხილულია კერძო ნაწილში). ბრალის კულტივირებაში მჟღავნდება მისი ჭეშმარიტი სახე და ადამიანის გადაბრალების ხელოვნება, – ზოგჯერ, ყოვლად უმიზეზოდ და უნიადაგოდ ბრალის აღძვრა-გამომუშავებისა და კულტივირებისა. ამის მაგალითებად შეგვიძლია მოვიყვანოთ კულტურულ-ტრადიციულ, რელიგიურ, ეთნიკურ, რასობრივ და სხვა ნიადაგზე კულტივირებული ბრალი: მსხვერპლშეწირვის რიტუალის დამკვიდრება, ინკვიზიცია, სისხლის აღების ტრადიცია, ან კიდევ, ბრალის ისეთი კულტივირება, რომელმაც წარმოშვა კამიკაძეები და შექმნა ტერორიზმის ფენომენი.

შთაბეჭდილებები

მაია ფეიქრიშვილი

ბრალის თეორია

ქ-ნ ნაირა უგულავას წარდგენა არ სჭირდება. მისი ულამაზესი და მრავალფეროვანი პოეზია დიდი ხანია შეიყვარა ჩვენმა მკითხველმა. მის კალამს ეკუთვნის საინტერესო და იშვიათი სააზროვნო ხასიათის ნაწერები. ქ-ნ ნიასთან საუბარი კი საოცრად შთამბეჭდავი და დამაფიქრებელია. იგი ისეთ თემებზე ისე საინტერესოდ ჰყვება, რომ დიდხანს რჩება მეხსიერებას მასთან გატარებული ბედნიერი წუთები და ამ ბრძენი ქალბატონის ნაფიქრი სულსა და გულს კარგა ხანს კვებავს სიკეთით, სიმართლით, ღვთის სიყვარულით....

„ბრალის თეორია“, – ასე ჰქვია ბოლოხანს გამოცემულ წიგნს, სადაც ქ-ნი ნია თავის ღრმა ფილოსოფიურ ნააზრევს წარმოაჩენს და ბრალს განიხილავს სხვადასხვა ჭრილში – დაწყებული ბიბლიიდან კულტივირებულს – რელიგიურს, ეთნიკურს, სისხლის აღების ტრადიცია, ტერორიზმის ბრალი, კამიკაძეთა ბრალი, ანტაგონისტური წყვილების ბრალი ოჯახში, ბრალი მითოლოგიაში, შურის ბრალი, თვითბრალი, წარმოებული ბრალი და სხვა, რომელთა ანალიზისა და კლასიფიკაციის დროს იგი არ ეყრდნობა იურისპრუდენციაში გათვალისწინებულ სისხლისსამართლებრივი ბრალის განსაზღვრას, შედეგებს...

ქ-ნი ნია აღნიშნავს, რომ ადამიანია ბრალ-მატარებელი და რომ ადამიანში არსებობს ბრალის აღძვრის ტენდენცია და მისი გამოვლენის მრავალი ფორმა და შინაარსი. წიგნის მთავარი იდეა კი შემდეგია – ადამიანს ჰქონდეს წარმოდგენა როგორც საკუთარ, ასევე მის ირგვლივ მყოფი საზოგადოების წევრების ბრალზე, შეძლოს მისი გააზრება, აღმოფხვრა, დარეგულირება, გათავისუფლება ბრალისგან...

წიგნი დიდ სიამოვნებას მოგანიჭებთ ყველა მენტალობისა და სხვადასხვა შეხედულებების ადამიანებს. ამიტომაც წაიკითხეთ **„ბრალის თეორია“** – უნიჭიერესი, უმშვენიერესი, ექიმი ქალბატონის **ნია გორდელის** საინტერესო ფილოსოფიური კვლევა....

ეს ერთი და სხვა ბევრი წარმატებული შეხვედრა მკითხველთან ქ-ნო ნია. **„ბრალისაგან გათავისუფლება, სულის გათავისუფლების, ბორკილებისგან დახსნის, უფალთან შერთვის ტოლფასიაო“**, – წერს ქ-ნი ნია. ღმერთმა გისმინოთ!

ჯემალ გორდულაძე

ნია გორდელის „ბრალის თეორია“

ნია გორდელს მე ვიცნობ როგორც პოეტს, მშვენიერი ლირიკული ლექსების ავტორს, მას გამოცემული აქვს რამდენიმე ლექსთა კრებული, რომელიც მკითხველმა თბილად მიიღო და გზა დაულოცა მომავლისაკენ. ჩემი შეტყობით, მისი შემოქმედებითი ცხოვრება და განვლილი ლიტერატურული გზა ეფუძნება ინტელექტსა და განათლებას, სხვაგვარად ვერ შევაფასებდი მის ახალ წიგნს, განსხვავებულ ხედვასა და აზროვნებას; „ბრალის თეორია“, – ესაა წიგნიერების, სიბრძნისა და დაკვირვების ნაყოფი, წვდომა სამართლებრივ საკითხებში და სურვილი ადამიანებს გაუღვიძოს ინტერესი იცოდნენ და ერკვეოდნენ საზოგადოებისათვის მისაღებ თუ მიუღებელ სამართლებრივ საკითხებში.

მკითხველი საზოგადოება ამ წიგნს წაიკითხავს და შეაფასებს, თავის ინტელექტუალურ და შემეცნებით ცოდნას გაიმდიდრებს. ასე რომ, სამზეოზე გამოსული ყველა წიგნი ლეგიტიმურია, ყველა წიგნში დევს ჩვენი ცნობიერების სიმდიდრის წყარო, მთავარია იგი დაკვირვებით წაიკითხო, გაიაზრო, გამოიყენო. ვფიქრობ, ახალი, ჯანსაღი და ბრძნული აზრი ყველა წიგნში უნდა ვეძებოთ. ვიცი, რა შრომის, განსჯისა და ღამეების თევის ფასად მოიპოვება ასეთი განსხვავებული მსოფლმხედველობის, ფორმისა და შინაარსის წიგნის დაწერა, რაოდენი ჯაფაა საჭირო იმისათვის, რომ წაიკითხო ზღვა მასალა, გაიაზრო, სისტემაში მოიყვანო და მკითხველს მიაწოდო...

სრულიად გეთანხმებით ქალბატონო ნია – „ადამიანმა უნდა შეძლოს გააზრება, რამდენად სამართლიანია და რამდენად სწორად აღიძვრის ბრალი, რომ შემდეგში წინააღმდეგობა გაუწიოს, დაარეგულიროს, აღმოფხვრას ბრალის ვნებითი განწყობილება, განთავისუფლდეს ზედმეტი ბრალისაგან, რომელიც სტანჯავს მას და ხელს უშლის, იყოს მისაღები ახლობლების და საზოგადოების წევრების მიერ“... ნიასეული ამ შეხედულების მიუხედავად წიგნის წაკითხვის დროს მკითხველს დაებადება აზრი, რამ უბიძგა ბუნებით პოეტ ქალს ამ წიგნის დაწერა? ამ კითხვაზე პასუხი თავად ქალბატონმა ნიამ გასცა, იგი წერს:

– „ამ ნაწარმოების შექმნა განაპირობეს დღევანდელი საზოგადოების ცხოვრების წესმა და მოზღვავებულმა მანკიერებებმა, ბრალის თეორია – ბრალის გააზრებით და აღწერით, ავტორის მხრიდან, თავადაც ბრალია, მაგრამ არამცდაარამც დამცირება, დაკნინება ან სიძულვილი; პირიქით, ბრალის, როგორც მანკიერების მხილებით, იგი ცდილობს, უპირველესად თავისი თავი და სხვა ადამიანები გაათავისუფლოს ზედმეტი ბრალისაგან, დააბრუნოს გაწონასწორებულ მდგომარეობაში, რაც საკუთარი შესაძლებლად და აუცილებლად მიაჩნია“...

ამ წიგნის შემოთავაზებით ავტორმა მიზნად დაისახა, ბრალის, როგორც მანკიერების გამოაშკარავება და ვფიქრობ მიზანსაც მიაღწია. ისიც უნდა ვთქვათ, რომ ამ ჟანრს ქალბატონი ნია მწერლობაში და სამართლებრივ სივრცეში თვითდამკვიდრების სურვილით როდი შეეჭიდა, პირიქით მისი წარმოსახვის არეალი ახალ სივრცეზე ფიქრობს და შინაგანი მუხტის ძიებითაა გამსჭვალული, მას გაცნობიერებული აქვს გარესამყაროსთან თავისი მიმართების რაობა და აქედან გამომდინარე საკუთარი შემოქმედებითი მეთოდიც, რაც იმის მაუწყებელია, რომ ჩვენს

წინაშე ამჯერად წარმოდგა სამართლებრივ ცნობიერებაში ჩახედული შემოქმედი, რომელსაც სურს არა მხოლოდ თავად შეიგრძნოს, აღიქვას და განიცადოს ნააზრევი, არამედ მკითხველიც აიძულოს დაფიქრდეს და გაიაზროს ბრალის თეორია. ამ მშვენიერი წიგნით ქალბატონი ნია გვარწმუნებს, რომ ემოციურ-ინტელექტუალური ცოდნის შერწყმის შედეგად, მივიღეთ ის, რაც მივიღეთ. ავტორი ახერხებს არა მარტო დასვას კითხვები ბრალის თეორიის თაობაზე, არამედ კონკრეტულად, ნიჭიერად და ლაკონურად პასუხი გასცეს, რაც მრავლის აღმქმელია, როგორც საინტერესო თემის ორიგინალურად გამააზრებელი. ატვორმა მიმართა ისეთ პრობლემურ თემას, რომლის ცოდნაც ადამიანისთვის აუცილებელია. ამიტომაც არ მიკვირს, რომ მან მეტად საინტერესო სტილის შემოქმედებით სამყაროში ჩაგვახედა...

ისიც უნდა ითქვას, რომ ნია გორდელი მსჯელობს მშვენიერი სალიტერატურო ენით სამართლებრივი ცნობიერების შესახებ და ეს მსჯელობა, ჩემი აზრით, არის უაღრესად ორიგინალური და, რაც მთავარია, აშკარად იგრძნობა, რომ სამართლებრივ, ბრალის თეორიის კარდინალურ საკითხებზე მსჯელობას არა სამართლის მცოდნე პროფესიონალი, არამედ თხემით ტერფამდე პოეტი ქალბატონი გვთავაზობს...

და მაინც, მე თუ მკითხავთ მისი ფილოსოფიური წიაღსვლებით გამთბარი პოეზია გულს სალბუნად ედება, ლექსთა ქნარი სულის სიმებს საამოდ არხევს, თუმცა მის არჩევანს ვერ განვსჯი, რაც გულს ხელეწიფება და საითაც გული მიუწევს იმას აკეთებს, ძერწავს, აყალიბებს და გვთავაზობს. ქალბატონი ნია შესანიშნავი მოაზროვნე პოეტია, გამორჩეულია თავისი გარეგნობითა და სულიერი სიმდიდრით. მის პოეზიაში მხიბლავს ცხოვრების შინაარსის შეგრძნების ცხოველმყოფელობა, აზრობრივი დატვირთულობა, განცდის უშუალობა და გულწრფელობა, მისი ლექსად თქმული ნააზრევი მოყვასის სიყვარულით საზრდოობს, მთელი შემოქმედება იმის საწინდარია, რომ ნია გორდელი მომავალშიც არა ერთი ჩინებული ნაწარმოებით გაგვახარებს.

წერილები

ლუარა სორდია

ნისლშემოსილი

ნიკო სამადაშვილის შემოქმედებაში ცხოვრებას „მრავალგზიანი“ ეწოდება, ხოლო მისი ერთ-ერთი მახასიათებელია ნისლი, ღრუბელი, ჯანღი, გააზრებული როგორც ნეგატიურ, ისე პოზიტიურ ჭრილში. ხშირად ნისლით პოეტი ჭეშმარიტი ნიჭის იგნორირებაზე, შეუცნობლობაზე მიგვანიშნებს.

ბიბლიის მიხედვით, ღმერთი ნისლში სუფევს და მოკვდავთათვის დაუნახავია. მხოლოდ ებრაელთა წინამძღოლი მოსე, როგორც წმინდა ადამიანი, ახერხებდა შეეღწია საღვთო ნისლში: „მოსე მიადგა ნისლს, სადაც ღმერთი იყო“ (1, 2021).

„ზეშთაარსების ნისლის“ ხილვას ცდილობდა დიონისე არეოპაგელი: „ზეშთაარსებისა იგი ვიხილოთ ნისლი ყოვლისგანვე არსთა შორის ნათლის დამალული“ (2,201).

ჰიმნოგრაფები – იოანე მტბევარი, ეზრა, იოანე მინჩხი ელტვოდნენ „შეუვალსა ნისლსა ღვთისასა“.

სასულიერო პოეზიაში ნისლი ასევე გაიაზრება ცოდვის, წვალების, ვნებისა და უღმერთობის სიმბოლოდ.

მრავალნაირ კონტექსტში წარმოაჩინეს ნისლი ვაჟა–ფშაველამ, გალაკტიონმა, ნიკო სამადაშვილმა.

„ფერისცვალების“ ავტორის ლექსში „ლიახვის ნაპირები“ (3,12) ნისლი წარმოიდგინება, როგორც დაისის მთების „ზედაშე“: „... ნისლის ზედაშეს სვამენ და დაისს მთები კენკავენ“.

ერთგან „მონასტერი ჩანს მთაზე ნისლივით“, სიცოცხლე, ქვეყანა კი საძაღლეთს ჰგავს (4, 140).

მინდვრებზე, გორაკებზე მგზავრთათვის გზების ამრევი ნისლია: „..მინდვრებს, გორაკებს ნისლი სცემდა ფრთებს, რომ პირქუშ მგზავრებს გზა არეოდათ“ (გზათ–ვალალობა) (4, 54-55).

უმეგობრობის, ბრბოში ცხოვრების მახასიათებელი ნისლია ლექსში „დაითენთა“: „...ბრბომ შეუბღალა მაღალი გრძნობა. ნისლივით იდგა უმეგობრობა“ (5,46).

ამაღლებული იდეალების მიუხედავად, ნისლებს დამგვანებია პოეტის ცხოვრება: „...ნისლეთი იყო იმის ცხოვრება და შთაგონების გუდამაყარი“ (თებერვლის ამინდს ჩუმად ეღვიძა (4, 139).

„ნისლებს შორის“ მოქცეულ მგზავრებს „ქვესკნელთ გალობა“ მოესმით(შეხვედრები დღის ბოლოს) (2,123).

„ნისლოვანებაში“ (4, 250) ქარაგმაა ნისლეთი, დედამიწა კი მთვარეული: „ნისლეთი იყო იმის ქარაგმა და დედამიწა კი მთვარეული“.

მაწყევარი, არაკეთილმოსურნე მწყემსის როლში მოვლენილი ნისლია მთელი ოჯახის თანამდევი ლექსში „აღსარება“ (4,18).: „ნისლები მოვლენ მთიდან ბუზღუნით, დაიჩოქებენ და დამწყევლიან, ნისლი მწყემსავდა სარქალივით ჩემ ნორჩ პატარებს“.

მწუხარების, შინაგანი ფორიაქის მაუწყებელი ნისლია ლექსში, „ნუთუ ის აღარ განმეორდება“: „...სახეზე მუდამ ნისლი ებურა და წმინდანებმაც ვერ დაამშვიდეს“ (4,241).

ბუ ამგზავრებია, სამშობლო „ქარაგმად“ ქცევია, ნისლი დაღუპვას უქადის ლირიკულ პერსონაჟს ლექსში „უკანასკნელი ზარების რეკვა“: „...ბუ ჩამცქეროდა ღია თვალებში, სამშობლო

იყო ჩემი ქარაგმა. ძველი ხალათი, ქუდი და კუბო, ამით ვეწვევი მარადისობას და იქ, ნისლებში რომ დავიღუპო“ (4,54).

ცრემლი ნისლად დგას ლექსში „ელდა“ (3,43): „...შენ ჩემი ცრემლი არ დაგენანა, ცრემლი, შენს ახლოს დამდგარი ნისლად“.

გუბე გაუვსია პოეტის ცრემლებს, მაგრამ ის მაინც ნისლით იფარება, ანუ შეუცნობელია: „ის კამკამებდა, ვით ცრემლის გუბე, ის ნისლებს ჰგავდა გულის საყარზედ“ (წარწერა) (5, 168).

ნისლით დაფარული შემოქმედის ნუგეში მხოლოდ ღვინოა, მისი ხვედრი მხოლოდ ვარამია: „...ღვინო დარდისფრად ეკიდებოდა, ნისლში ბჟუტავდა გზათ ვალალობა“ (ერეკლე ტატიშვილს) (3,45).

ავდრების მომასწავებელი, აცეკვებული ნისლია ლექსში „ლოცულობს ყველა:“ „ნიშა ტალღების ზვიად ფერხულზე იცეკვებს ნისლი – ავდრების დარი“ (3,15).

„ფეხმძიმე ნისლების“ წყევლაა ლექსში „თვალს არ „აშორებდა“ ც(4,101).

„დასწყევლოს ღმერთმა, რაღა ნისლებს დაუმეგობრდი“, მიმართავს პოეტი ერეკლე ტატიშვილს ლექსში „შენ რომ მოკვდები, მაშინ შეირყევი“ (4, 49).

„მოგონებაც ნისლივით გრილია“ (დამშვიდობება და სინანული) (6,64-65).

„ჯანღი უკუნია“ ირგვლივ (გადამეყრები, ერთად წავიდეთ) (4, 138).

უბედობის მაცნე ნისლის კვამლია თვალებშიც: „ბეც თვალებიდან შავი კვამლი ამოგდიოდა“ (სმენა) (4,85), ასევე, „უთქმელ ლექსების კვამლი“ აწამებს პოეტს.

„სალახანას პორტრეტში“ საყურადღებოა ვაიპოეტის „ნისლობა“ (4, 98-99).

„მუსულმანთა შეთქმულ ნისლობაზეა“ საუბარი ლექსში „საუკუნის ნახევარზე მეტი გავიდა“ (4, 269). ნისლობა ნეოლოგიზმია.

„შერისხული ნისლებია“ ლექსში „თვალს არ აშორებდა“ (4,255).

პოეტის თანამგრძნობელი ნისლი და ღრუბელია ლექსში „გული და ჯანღები“: „ვინ დაგვინანებს, მხოლოდ ნისლი დაგვაყრის ნაღველს, როგორ ვუყვარდით, მეგობარო, ღრუბლნარა, ღამეს, როგორა გრძნობდა ჩემი გული ბედის ნაბიჭვარს“ (4,137).

ნისლების მიუხედავად, „ბედის აღვირი“ მაინც ნიჭით გამორჩეულთ ეპყრათ ხელთ (ერეკლე ტატიშვილს) (4,77).

ბინდი, უსამართლო „მიწის ადათები“ პოეტს ხელს ვერ უშლიდა ეხლა „ზეცაზე ზეცა“, ანუ ბიბლიის „ცანი ცათანი“, რაც რჩეულთა, ღვთისგან მომადლებულთა ხვედრია (ის განთიადის წინ დაბინდდება) (4,183).

განდიდების მანიით შეპყრობილთა, „პოეტების ნახირთა“ მცდელობით, ნიკო სამადაშვილს ხშირად ებურა შეუცნობლობის ნისლი, მას სპეიალურად აფარებდნენ ნისლის, ღრუბლის, „სიყალბის რიდეს“, რაც ხშირად შემოქმედთა ხვედრია და რასაც სხვა სიტყვის ოსტატებიც ამხელდნენ.

დიდოსტატ ვაჟა ფშაველას შემოქმედებაში ღრუბელ–ნისლთა მთელი ლეგიონია, განსაკუთრებულ ყურადღებას კი იქცევს ბოროტთა და შურიანთა, არასრულფასოვანთა მიერ გამოყენებული ნისლი „იალბუზში“. ეშმაკთან წილნაყარი, შურით მონათლული მთები გაღიზიანებული არიან გოლიათი იალბუზის სახელ–დიდებით, მაგრამ რაკი მისი დაშლა –დანგრევა არ შეუძლიათ, გადაწყვეტენ მეტოქისთვის ღრუბელ–ნისლის, ჯანღების მოხვევას, რათა უჩინარი გახადონ, სიბნელეში მოაქციონ მისი სიმაღლე–სიდიადე. ამ განზრახვას კიდეც მოიყვანენ სისრულეში და მთელი წელი ჯანღებში მოქცეული იალბუზი თითქოს ასპარეზიდან ქრება. იალბუზმა დაასკვნა: „მიზეზად მძულვარებისა ჩემი სიდიდე ვცანია. აღარც ეს მინდა, თუ მისგან შემიძულებენ ძმანია!“ ის ღმერთს ევედრება: „გთხოვ, გამასწორო სხვებთანა და შემიმცირო ტანია, მით მოვსპოთ საშუალება შურისა მოსაყვანია“ (6, 253,254).

სამართლიანი ღმერთი, მართალი იალბუზის მხარეზე აღმოჩნდა. მან ანგელოზის ნასროლი შურდულით ჯოჯოხეთში ჩააგდო ეშმაკი, იალბუზს მოაცილა ღრუბელ–ნისლები, ხოლო შურიან მთებს ჩაუნერგა სიკეთე, „დიდებული მოძმის“ პატივისცემა და ამიერიდან მთებს ანგელოზი დაეპატრონა (6,260-261).

ვაჟა-ფშაველამ „იალბუზის სიმღერაში“ ქარით და ნამქერით გაწამებულ იალბუზს ათქმევინა: „იქნებ სიმაღლემ მიმრავლა საგრძნობი–საწუხარია!“ ამ ლექსში ნისლი იალბუზის მანუგეშებელია გულგატეხილორბის ჟამს.

მრავალგზის გამოიყენა ვაჟა–ფშაველამ ღრუბელ–ნისლი სხვადასხვაგვარი მნიშვნელობით და ამ მაგალითებით ჰომეროსს შეხვდა უნებურად.

ჰომეროსის „ილიადაში“ ტიდევსის „პირმშოს ღმერთი იცავს“, მხარებზე ნისლს დაუფენს, რათა ისარი ააცილოს (7, 84).

ზევსი ჰერას ოქროს ღრუბელს მოახვევს, რათა სხვათათვის უჩინარი გახადოს მათი შეხვედრა.

ასევე ღმერთი გაფანტავს ჯადოსნურ ღრუბელს აქილევსის თვალთა წინაშე (7, 394).

„ოდისეაში“ ტელემაქე და ოდისევსი ათინამ ნისლით შეზურა და უგრძნეულოდ გაიყვანა ქალაქილან (8,3741).

ნიკო სამადაშვილის პოეზიის ნისლები და ღრუბელ–ჯანღები უმეტესად პოეტის უგულებელყოფას, შურს, შეუცნობლობას უკავშირდება და აქ, იგი, როგორც თავის დიდ ქართველ წინამორბედს–ვაჟა ფშაველას, ისე გენიალურ ჰომეროსს შეხვდა უნებურად, თანაც ჭეშმარიტი ოსტატის დონეზე.

„ფერისცვალების“ ავტორს „სამყაროს ნისლმოდებული კალთების შეშრიალება“ ხელეწიფებოდა (ქარაგმა).

დამოწმებანი

1. ბიბლია ორ წიგნად, წიგნი I, თბ. 1990
2. ფსევდო დიონისე არეოპაგელი, შრომები, თბ. 1961
3. ნიკო სამადაშვილი, ასი ლექსი, „ინტელექტი“, თბ. 2006
4. ნიკო სამადაშვილი, ფერისცვალება, „ლიტერატურის მატიანე“, თბ. 2004
5. ნიკო სამადაშვილი, წუთისოფლიდან უკვდავებამდე, „ნაკადული,“ თბ. 1989
6. ვაჟა ფშაველა, ხუთტომეული, ტ. 3, თბ. 2011
7. ჰომეროსი, ილიადა, ძველბერძნულიდან თარგმანი რ. მიმინოშვილის, თბ. 1990
8. ჰომეროსი, ოდისეა, თარგმანი ზ. კიკნაძის და თ. ჩხენკელის, თბ. 1975

ნატალია სმირნოვა
ფილოსოფიის დოქტორი, მეცნიერებათა აკადემიის
ფილოსოფიის ინსტიტუტის მთავარი მკვლევარი

სიმარტოვის ანარეკლი

ცნობილი მწერლის ალექსანდრ პოტიომკინის ფილოსოფიური რომანები, რომელიც შემოსილია ინტელექტუალური და მხატვრული პროზის ლიტერატურული საბურველით, წლებია მსოფლიოს მრავალი ქვეყნის გემოვნებიანი მკითხველის სამაგიდო წიგნებად იქცა. დღეს კი მის ახალ რომანზე „სიმარტოვის ანარეკლი“ მინდა გესაუბროთ, რომანზე, რომლის შინაარსი გვიბიძგებს დავფიქრდეთ ეპოქის მწვავე პრობლემებზე.



აი, თანამედროვე გმირი – დიმიტრი მიშკინი, დღევანდელი რუსეთის „პატარა კაცის“ ტკივილიანი ყოფით... დიდი რუსული ლიტერატურა ხომ საუკუნეების მანძილზე ცნობილია ასეთ ადამიანთა ბედისადმი თანადგომით. ღმერთისგან მიტოვებული ახალგაზრდა კაცი დიმიტრი მიშკინი ობოლ მარტოობაში მხოლოდ საკუთარი თავის ამარად დარჩენილა და სოციალური ტრამვებით ნატანჯი თავის თავში აერთიანებს თავად მიშკინის და ივანე კარამაზოვის ზნეობრივ შფოთვას და რასკოლნიკოვის სოციალურ განრისხებას. დიახ, ალექსანდრ პოტიომკინის გმირს გაუსაძლისი ტკივილი აახლოებს დოსტოევსკის გმირებთან, დოსტოევსკი ხომ დიდი მსოფლიო ლიტერატურის ჰუმანისტური ტრადიციების სიცოცხლისა და სიმტკიცია გარანტია.

რომანის მთავარი გმირი „დამცირებული და შეურაცხყოფილი“ დიმიტრი მიშკინის აფორიაქებული სული მწერლის ღრმა თანაგრძნობას იწვევს, მარტოსული პატარა კაცი ნამდვილი სალოსია, რაც ნიშნავს, რომ ის ღვთის სენსორია და ტანჯულ სულში მთელი კაცობრიობის სევდას ატარებს.

დაუნდობელმა ბედმა ის ვოლგის ბავშვთა სახლში დააგდო, მერე კი 500 რუბლად მიჰყიდა მოხუც ინვალიდს, როგორც ზედმეტი ნივთი, ანდა გადასაყრელად გამზადებული ნაგავი. მოსკოვში, თავშესაფრის უფლებისათვის კეთილსინდისიერად მუშაობისას მიშკინს არ ტოვებს განცდა, რომ ის მხოლოდ ნივთია, რომლის ფასი გროშიც არაა.

ის არის შრომისმოყვარე, მელანქოლიური და განრისხებული მეოცნებე - პროექციონისტი. ერთ „მე“-ში მრავალი პიროვნება ვერ პოულობს საყრდენს და იწყება განხეთქილება.

გმირს უჭირს საზოგადოებაში ინტეგრაცია. სასოწარკვეთილების ძალით ეწინააღმდეგება სასტიკ ბედს და ყოველდღიური ყოფიდან გაქცეული ლიტერატურული გმირებით მჭიდროდ დასახლებულ ირეალურ გარემოში იწყებს არსებობას. მისი გონება კულტურის უმაღლესი ნიმუშებით საზრდოობს. მიშკინი მშვენიერ მეგობრებს იდეალურ სამყაროში პოულობს, ის მეგობრობს კანტისა და ჰეგელის საზოგადოებასთან, დოსტოევსკისა და ტოლსტოის გმირებთან. სულის ფორიაქის დროს სწორედ ეს კულტურული მეგობრები

ეხმარებიან მარტოხელა მეამბოხეს წამების გზა რომ შეუმსუბუქოს. „ზეციურ (იდეალურ) სამყაროში უმაღლესი ბედნიერების პოვნა ჩემი საყვარელი გმირების ლეიტმოტივია“ – წერს ალექსანდრ პოტიომკინი.

მოდით, წამით გადავუხვიოთ მიშკინის ფსიქიკური ტრამვების თემას და მივმართოთ სოციალურ პრობლემებს, რომლებიც პოტიომკინის გმირის ბედის სირთულეებში ასე ნიშანდობლივია. ადამიანის მარტოობა, აი, მთავარი თემა, რაც ასე ნიშანდობლივია თავად წიგნის სახელწოდებაში „სიმარტოვის ანარეკლი“. და რა არის ამაში ახალი? სოციალური განხეთქილება ხომ ადამიანთა ცხოვრების უძველესი კომუნალური კავშირების ეროზიის გარდაუვალი თანამგზავრია. ინდუსტრიული საზოგადოება გულუხვად იზიარებს საუკუნო საფუძვლების, საგვარეულო ფესვების ძირგამომპალ სოციალურ-ფსიქოლოგიურ გამოცდილებას. ინდუსტრიული ცივილიზაციის ადამიანის არსებაში ნელნელა იკარგება ძველი ტრადიციები. მასში თანდათანობით ძალას კარგავს სოციალური უსახლკარობის მტკივნეული გრძნობა და მამაპაპათა ადათებს პირადი თავისუფლების ლიბერალური ღირებულებები ცვლის.

პოსტრ-ინდუსტრიულმა თანამედროვეობამ ინდივიდუალურ-სოციალურ ღირებულებათა განცდაში კორექტირება შეიტანა. ინგლისელი სოციოლოგის (წარმოშობით პოლონელი) ზ. ბაუმანის აზრით: „ჩვენ ახლა შევედით ისეთ სოციალურ სივრცეში, რომელიც წარსულის კულტურულ მონაპოვარზე სრულიად შეუფერებელია. ეს აღინიშნება არა სოციალური ორგანიზაციის გარკვეული კონკრეტული ფორმების კრიზისით, არამედ სოციალურობის, როგორც ასეთი, დეგრადაციით, ეროზიით. შრომატევადი, ეკონომიკური, ფინანსური პრინციპი დაემორჩილა სოციალურს და ეგოისტური სავაჭრო ინტერესების სასტიკი შემოტევის ჩრდილში დადგა. ფინანსური ელემენტების სოციალურზე გამარჯვებას თან ახლავს სოციალური პროცესების გაუმჭვირვალობა, რაც ადრე საკმაოდ პროგნოზირებადი ჩანდა. სოციალური ვალდებულებებისგან განთავისუფლებამ შეცვალა სოციალური დომინირების მანამდე გაბატონებული ფორმები და წარმოშვა ყოფიერებისგან გაქცევის ფილოსოფიური მეტაფორა.

პანდემიამ, რომელიც ასე მოულოდნელად დაატყდა თავს კაცობრიობას, გამოავლინა სოციალური დეგრადაციის პრობლემათა ყოფითი ნერვი. მარტოობის პრობლემა კიდევ უფრო მეტად გაამწვავა ვირტუალურმა ურთიერთობებმა და ნიჟარის სასიამოვნო კარჩაკეტილობამ. განდევნილია არა მარტო ალექსანდრ პოტიომკინის გმირი, განდევნილები ვართ ყველა. „სამყაროს დასასრულის“ პოსტ-მოდერნული ეპისტემის პერსონაჟები.

თანამედროვე საზოგადოებაში ადამიანის ეგზისტენციალური მარტოობის პრობლემებზე მსჯელობა პოტიომკინის რომანებში პანდემიის დაწყებამდე დიდი ხნით ადრე გაჩნდა. თანაგრძნობა ადამიანთა ურთიერთობის საფუძველია, სულების დამაკავშირებელი ძაფი. იძულებითი განცალკავება ხელს უწყობს მარტოსულის ტანჯვას, მაგრამ ემპათიის საქმე მოითხოვს ნებისყოფასა და სოციალურ წარმოსახვას. ავტორის მიერ შეგულიანებული ჩვენი გმირი ხეტიალობს ადამიანის სულის უკიდეგანო ლაბირინთებში და მკითხველს ადამიანური სიბრალურის ფარულ სიღრმეებს გვაზიარებს.

დიმიტრი მიშკინი ხალხის ბედნიერებისთვის მიზნის მიღწევას ირეალური გზებით ცდილობს, სჯერა, რომ „ამა ქვეყნის ძლიერთა“ პროექტებით შესაძლებელია უკეთესი მერმისის დაგეგმვა.

ცნობილი საზოგადო პოლიტიკოსების სინდისის პალიტრას პოტიომკინი დახვეწილი ფსიქოლოგის სკალპელით გამოკვეთავს. ძალაუფლებისათვის ბრძოლაში ჩაბმული, პირველობის მანიით შეპყრობილი ადამიანების პორტრეტები კალეიდოსკოპიულად

განსხვავებულია, მაგრამ ყოველივე მათგანს ერთი რამ აერთიანებს: - დაიკმაყოფილოს ეგოისტური წყურვილი, ხელთ ჩაიგდოს ძალაუფლება.

პოტიომკინი ნიღაბს ჩამოგლეჯს ამ ანტიგმირებს. იგი სიტყვის დიდოსტატის მძიმე ფუნჯით ხატავს რუსეთის პოლიტიკური ელიტის ცბიერ სახეებს, რომელთა ყოვლისმომცველი ვნება უსაზღვრო ძალაუფლება და ფუფუნებაა. აი, კიდევ ერთი გმირი, ცნობადი სახე, რომელიც ამპარტავნული ზიზღით უცქერის ყველას, ვინც პოლიტიკურ სარბიელზე წარმატებას ვერ მიაღწია. იგი დარწმუნებულია საკუთარ ცრუ სიდიადეში და პატივს არ სცემს სოციალურად მნიშვნელოვანი პროექტების გიზნეს წინადადებებს. აქ არის ახირებული პოლონელი, რომლის მთავარი მიზანი საკუთარი სტატუსის ზრდა და კეთილდღეობაა. რუსეთის საჯარო პოლიტიკის ამაზრზენი ტიპების სარკასტული და გროტესკული სახეების მხილებით პოტიომკინი იპყრობს მკითხველთა ყურადღებას, ვინც კარგად არ იცნობს ბიუროკრატიულ სამყაროს.

რომანი გვაოცებს თავისი უჩვეულო დასასრულით. რეალისტური ეპისტემის სიმბოლური სახეცვლილებით. ასეთია პოტიომკინის ესსეების ზნეო-მითოლოგიური ინტერპრეტაცია, ფანტაზიის გროტესკი. გმირი ტოვებს ადამიანურ ყოფას და ნებაყოფლობით გადადის უბრალო მიკრო ბიომში. მოშორდი ხალხს, იყავი იქ, სადაც არაა გაუტანლობა და სიხარბე, ღალატი და ამპარტავნება, სადაც არავინაა დამცირებული და შეურაცხყოფილი.

დიმიტრი მიშკინი სამყაროს უმცირეს ნივთიერებათ გადაქცევაზე ოცნებობს. უსაზღვროობაში სურს გადავიდეს უკეთესი ცხოვრების იმედით. როგორც თავად ალექსანდრ პოტიომკინი გრძანებს: - თანამედროვე პოსტჰუმანიზმი საგონებელშია ჩავარდნილი და ცდილობს ადამიანის ორგანოების ხელოვნურად შეცვლით მომავალი პირადი უკვდავების მოპოვებას, მაგრამ ჩვენი ცოდნა, რომელიც განპირობებულია მგრძნობიარობის დიაპაზონით, ისევე როგორც გონებრივი გამოცდილებით, მკაცრად გმობს სხეულის ორგანიზაციის ფორმათა შეცვლას, რომელიც ჩამოყალიბებულია გენეტიკურ-კულტურული თანაევოლუციის პროცესით. ამიტომ პოსტჰუმანური ადამიანი ამ სიტყვის სათანადო გაგებას როდი ასახავს, ის უფრო ჰუმანოიდი ბიორობოტია.

ალექსანდრ პოტიომკინმა, ოსტატის დახვეწილი ინსტინქტით დაიპყრო ჩვენი დროის კულტურული შფოთვანი, რომელიც ამოიზარდა პოსტჰუმანიზმის ფესვებიდან და სწორედ მისი ტრანსფორმირებული ფორმა გამოხატა რომანის გმირის ენით.

სამწუხაროა, რომ დიმიტრი მიშკინი გვტოვებს სიცოცხლის მიკრობიოლოგიური საფუძველის სამყაროში, რადგან თუ ჩვენ შორის არიან მასავით სუფთა და თავგანწირული ადამიანები, ღირს სიცოცხლე და იმის იმედიც არსებობს, რომ ცხოვრების უკეთესობისკენ შეცვლაც შეიძლება.

მაგრამ, ალბათ უკვე გარდაქმნილი დიმიტრი მიშკინი სამყაროს მომაკვდინებელი ვირუსის სახით დაუბრუნდა, რათა ჰკითხოს ადამიანებს „რატომ და რისთვის“? იგი მარტოობის ლოკალურ ათენად იქცა. დიმიტრი მიშკინი ყველაფრის დაუნდობელი მოსამართლეა.

აი, რა ფიქრებს აღძრავს ჩვენში ალექსანდრ პოტიომკინის ახალი რომანი. აი, როგორია მისი ინტელექტუალური პროზის ხედვითი პათოსი.

Ratiani Lali
Doctor der deutschen Philologie

IMPLEMENTIERUNG ENTGEGENGESETZTER SPRICHWÖRTER UND SPRÜCHE

Antithese als ein sprachliches Phänomen wird neben den Antonymie betrachtet, um Kontroversen zu realisieren. Die Antithese drückt die gegensätzlichen Beziehungen aus, die sich aus der subjektiven Wahrnehmung zwischen Spracheinheiten ergeben**.**

In diesem Artikel sind sowohl deutsche als auch georgische antithesische Sprichwörter und Sprüche dargestellt , wie: **Viel Stroh wenig Ko**rn. roza sitkva chschirdebao, maschin saqme mzirdebao.(georg) **Viele Worte, wenig Werke.** enatartara-chelebpatara.(georg).**Was des einen Eule, ist das anderen Nachtigall. s**ogs mgvdeli moszons, sogs zoli.(georg.) **So geht es in der Welt:der eine hat den Beutel, der andere hat das Geld.** mada vis akvs da plavi v**is** udevso.(georg**.)Er heckt keine Taube einen Adler.** busi paskunjis adgils ver daichers. (georg,) **Eine goldene Zunge verbirgt eine schwarze Seele nicht.** ena tkbili schavi guli, erts ambobs, meores akethebs.(georg.**) Der Mensch denkt, Herr Gott lacht.** kazi bchobda, gmerti izinoda.(georg.**)Eulen hecken keine Falken.** udjischosagan djischiani ar nachula, ar iqneba.(georg.)**Der Elefant macht keine Mücken tot.** songuli mumlita schepkrobad prtasa ar gaschlis somit.(georg.**)Kein Unglück so gross, es hat ein Glück im Schoss.** vis gaugonia lchini utirali da chiri uzinari.(georg.**)Adler fangen keine Fliegen.** udjischosgan djischiani ar nachula, ar iqneb.(georg.)**Eine Taube heckt keinen Adler.** anzli ar mogvzems kurdsen**s**.(georg.)**Geringe Ursache, grosse Wirkung.** didi qvekana mouzvavs enasa mabesgarasa.(georg.)**Wer den Pfennig nicht ehrt, ist des Talers nicht wert.** vinz mziredis kadri ar izis, bevrsaz ver daapasebs.(georg.)**Wer eine kleine Summe nicht achtet, verdient es auch nicht, eine größere Summe zu besitzen,** vinz mziredis pasi ar izis, is bevrsaz ver daapasebs.(georg.)**Wer Rosen pflücken will, darf der Dornen nicht achten.** vardi ueklod aravis moukrepia.(georg.**)Wer nicht brennt, der qualmt.** raz ar izvis, is xrcholavs.(georg.)**Rede nicht vom Hut, wenn der Schuh drückt.** tatars t avs chridnen da muzuki ar matkineto.(georg.**)Wenn der Wächter nicht wacht, so wacht der Dieb.** roza ar pchislobs daradji, phislobs qurdi.(georg.**)Topf von Ton und Topf von Eisen sollen nicht zusammen reisen.** mgeli da kravi ertad ver modsovs.(georg**.)Von Eulen kommen nicht Sperber.** ara mdjera, rom tchritchinam kverzchi dado.(georg.) **Man entgeht wohl der Strafe, aber nicht dem Gewissen.** kanons gaeqzevi, sindiss ki vera.(georg.**)Verschiebe nicht auf morgen, was du kannst besorgen.** dgemechvalio kazsao tovli moadga karsao.(georg,) **Ungebetener Gast ist eine Last.** daupatijebeli stumari dsaglse uaresiao.(georg**.)Der Esel und die Nachtigal haben beid ungleichen Schall.** viri tcharboda zchentana, mez bedauri schentana.(geor**g.)Verregnet der Weibersommer, gibt's einen trockenen Herbst.** zvimian sapchuls, mschrali schemodgoma mosdevso.(geo**rg.) Wie der Herr so's Geschrei.** raz alchanaa, is tchalchanaa.(georg**.)Immer bleibt der Affe ein Affe werd er König oder Pfaffe.** ar gatetrdebis korani raz unda checho kvischita**.(georg.)Heute rot, morgen tot.** ase, tchemo manaseo, chan ise da chan aseo.(georg.)**Was der Frau ins Herz geht, reizt dem Mann nur die Haut.** raz qals gulschi zvdeba, is mamakazs pechse chkidia.(geoprg.)**Goldner Hammer bricht eisernes Tor.** okros tchakutchi alakapis karebs amtvrevso.(georg.)**Er schoss nach einem Spatz und erlegt einen Kranich.** mzipes esrodnen da mkvache zvioda.(georg.)**Wo Verdacht einkehrt nimmt die Ruhe Abschied.** sadaz echvia, iq simschvide ar **aris**.(georg.)**Mancher zielt ins Blaue, trifft aber ins Schwarze.** dedaberma chelkavi gadaagdo da kurdgeli moklao.(georg.)**Fleissige Hand erwirbt, faule Hand verdirbt.** muschas satchmeli, aramuschas araperi.(georg)**.Was dem einen recht ist, ist dem anderen billig.** kvelas ertnairi uplebebi unda qondes(georg.)**Den Kopf halt kühl, die Füsse warm, das macht den besten Doktor arm.** tavi siziveschi,

pechebi sitboschi, djanmrtelobis sazindaria.(georg.)**Nach dem Mittag sitz ein Weilchen, nach dem Abendessen geh ein Meilchen.** sadilis schemdeg zotachans tchamodjeki, vachschmis schemdeg ki zota gaiare.(georg.) **Willst du den Genuss, so nimm auch den Verdruss.** tu lchini gvinda gvtisagan, chirniza schevizkalota.(georg.)**Wenn man ihm den kleinen Finger gibt, nimmt er gleich die ganze Hand.** tchatrevas tchakola djobiao.(georg**.)Den Einen sien Uhl ist, den Anderen sien Nachtigall.** sogs mgvdeli moszons, sogsaz mgvdlis zoli.(georg,)**Was den einen eine Eule ist, das ist für den anderen eine Nachtigall. sogs** mgvdeli moszons, sogsaz mgvdlis (georg,)

Er hat Geld wie Heu, wenn ich zu wenig Geld habe.mas pulu ochrad(tchetchqivit aqvs, me gachvretili schaurianiz ki ar maqvs.(georg.)**Der Esel schick', wochin du willst, kein Pferd wird draus, das etwas gilt.** ar gatetrdebis korani, raz unda checho kvischita**.(georg.)Was der Mutter ans Herz geht, das geht dem Vater nur bis an die Knie.** raz dedas gulschi chdeba, is mamas pechse hkidia.(georg.) **Wo die Pfuscher haben Brot, leiden wackre Meister Not.** mada vis aqvs da plavi vis udevso/erti aris mtochnelio, ozdachuti mzochnelio.(georg.)**Honig im Munde, Galle im Herzen.** tetri kbili da schavi guli.(georg.) **Er hat weder Amt noch Verstand.** arz tanamdeboba aqvs da arz goneba.(georg.)**Der Geist ist willig, aber das Fleisch ist schwah.** suli dslieria, chorzi ki susti**.(**georg.)**Was hilft der Tittel ohne Mittel.** ragaa igi zodeba upulod.(georg.)**Obgleich er vergangenes Jahr Probleme hatte, ging er dieses Jahr auf wohlverdienster Urlaub.** miuchedavad imisa, rom gasuli zeli mistvis problematuri iko, is damsachurebul pensiaze mainz gavida.(georg.)**Die Geldmünze ist klein, gilt aber viel.** pataraa, magram dsvirad pasobs.(georg.)**Sie hat weder schon viele Anträge bekommen, noch abgelehnt.** arz mzvads zvavs da arz schampurs.(georg.)

Heute oben, morgen unten. ase tchemo manesao, chan ise da chan aseo**.(**georg.)**Heute Kaufmann, morgen Bettelmann.** a**s, tchemo manaseo, chan ise da chan aseo.(georg.) Besser arm in Ehre, als reich in Schande.** sdjobs sizozchlesa nadsrachsa sikvdili saxelovan.(georg.)**Ein Sperling in der Hand ist besser, als zehn Taube auf dem Dache.** nu

mpirdebi zaschi zeros, chelschi mome begurao.(georg.)**Der sichere Besitz einer Sache von geringem Wert ist besser, als– Unbestimmte –**sdjob plobde iseT nivts, romelsaz mzireodeni girebuleba aqvs, vidre umnischvelo.(georg.**)** Es gibt mehr Tannen als Zeder .zchovrebaschi uphro mrti zudia, vidre kargi.(georg.) Der Eine lacht, der andere macht.vin chalisobs da vin saqmianobs.**Das Hemd ist mir naeher als der Rock.** kutchi dsmaze achloao.

Lieber Neid, denn Mittleid**.** dae, damdsrachon ds nu schemibralebeno.(georg).

Besseineckiges Etwas, als ein rundes Nichts. sul araphers zota mainz djobia.(georg.)

Besser biegen, als brechen. tchatrevas tschakola sdjobiao.(georg.) Besser ein Arbeiter, der denkt, als tausend Kopflose.athas uthaos erTi Taviani sdjobs.Je mehr du schlaefst , Je minder lebst du**.** adre asgoma meti sizozchle ariso. (georg.)Schlechter Arbeiter wird nie gutes Gerät finden**.** sarmaz kazs thavisi chelphechi nathchovari gonia.(georg.) Grosser Prahler, kleiner Tür. trabachi latchari kazis saqmeao. (georg.)

In der modernen Linguistik wird neben der Antonymie ein sprachliches Phänomen der Antithese für den Ausdruck der Gegenüberstellung betrachtet. Die Antithese drückt durch die subjektive Wahrnehmung bedingte kontrastive Relationen zwischen den sprachlichen Einheiten aus und eben das liegt ihrer Āhnlichkeit mit der Antonymie zugrunde.

Die Antithese wird sich von der Antonymie durch eine Reihe von den Momenten unterscheiden. Die Antonymie kann auf der Ebene der Lexeme festgestellt werden. Die Antithese wird aber nur in den syntaktischen Konstruktionen abgetrennt werden. Nach ihrer Natur ist die Antonymie usuell, neutral, im Einklang mit der Wirklichkeit und objektiv. Die Antithese ist aber okkasionel, von der Position des Individums abhängig, stylistich gefärbt und ebenso subjektiv, bei ihr tritt der pragmatische Wertungskomponent in den Vordergrund.

Die Eigentümlichkeit der Antithese ist bestimmterweise durch den kulturellen Grund des Sprachträgers bedingt. In diesem Zusammenhang wird bei der Forschung der Antithese der Begriff des sprachlichen Subjekts ausgesondert. Ausgehend davon soll als Stütze der Forschung dieser Erscheinung die kulturelle Volkserrungenschaft des konkreten Sprachträgers und zugleich die durch nationale Kultur bedingte pragmatische Dimension genommen.

Die Untersuchung der Antithese soll in zwei wahren linguistischen und linguokulturologischen Schnitt durchgeführt werden. Der Unterschied zwischen der Antonymie und der Antithese wird in ihrem formellen Charakterisierung abgetrennt. Die Glieder der antonymischen Paare sollen unbedingt eine beliebige lexikalisch grammatische Kategorie darstellen. Bei der Antithese ist es aber zugelassen die Wörter der zwei verschiedener lexikalisch-grammatischen Klassen gegenüberzustellen, aus dennen keine die in der Wirklichkeit existierende "Gegensätzlichkeit"ausdrückt.

Die bezeicnete Gegenüberstellung wird nur durch den Kontext bedingt, ohne ihn können die Wortpaare eine wechselseitige Bedeutung nicht realisieren. Der ergibige Boden der Aussonderung dieses Phänomens bilden Sprichwörter, Ausdrücke z. B. **Die Pillen der Apotheker sind auβen Gold und innen Galle,** wo die Antihese durch die Substantive "**Gold-Gale**" dargestellt sind, wodurch nach ihrer lexikonischen Bedeutung nicht nur die Semantik der Gegenüberstellung realisiert wird, sondern auch gegenseitige unterschiedliche Begriffe bezeichnet werden. In den analogischen Fällen werden die oppositionellen Relationen mit Hilfe solcher Textglieder-Indikatoren abgetrennt, zwischen welchen sich die Bedeutungen einseitige Widerständigkeit zeigen.

Mit Hilfe der Analyse des lexikalischen Materials wurde aus den Texten verschiedener Art für die Realisierung der Antithese relevante sowohl semantische als auch formelle Eigentümlichkeiten, solche stereotypische Umkreisung geäuβert, die obligatorisch ist die Antithese in den georgischen und deutschen Sprachen zu realisieren. Die Voraussetzung für die Realisierung der Antithese soll in der deutschen Sprache das im Mikrokontext gegebenes Paar angerechnet werden, dessen Glieder mit ihrer Bedeutung die Grundlage für die Gegenüberstellung der Bestandteile der Antithese näher bestimmen und dadurch seine Formierung bedingen. Die vorhandenen Dinge solcher antonymischen Paare können dargestellt werden durch **Substantive**:Honig auf der Zunge, Galle im Herze. **Adjektiv**e: Groβe Worte, kleines Werk. **Verben**:Man empfängt den Mann nach dem Gewand und entläβt ihn nach dem Verstand. **Substantivierte Verben**: Reden ist Silber, Schweigen Gold. **Adverbien**: Heute oben, morgen unten. **Pronomen**: Mit vielen läβt sich schmausen, mit wenig läβt sich hausen. **Konjunktionen und Teilchen**: Die Aufführung hatte sowohl gute Rezensionen, als auch scharfe Kritiken. **Adjektive im Komparativ**:Lieber den Spratz in der Hand, als die Taube auf dem Dach. **Nummerale**:Man glaubt einem Augen mehr als zweien Ohren. **Negation**: nicht:Man muss vom Pferd nicht auf Esel kommen.

Die ausgeführte Analyse der Antithese hatte nochmals die Behauptung davon bestätigt, daβ von den Vertretern verschiedene Völker fixierter Unterschied bei Wiederspiegelung der Fragmenten der Welt nicht zufällig ist, die Schilderung der identischen Weltererscheinungen ist für die Vertreter der einzelnen Sprachen durch die Spezifik ihrer Denken bedingt, wobei die Muttersprache nicht so unwichtige Rolle spielt-der Mensch denkt an die Welt dank seiner eigenen Sprache. Auf diese Weise beruht sich die Antithese auf die vom Subjekt aufgefasste Gegenüberstellung der Erscheinungen und Gegenstände, die im Kontext eine zusätzliche Bedeutung gewinnt. Zur Semantik der Gegenüberstellung wird auch durch die Situation bedingte Bedeutung hinzugefügt.Man unterscheidet verschiedene Abarten der Antithese: logische oder **kontraste**, nicht logische oder **schiefe** Antithesen. Als logisch benannte Antithese entsteht auf eine logische Ebene, auf Grundlage der Opposition der vorhandenen zwei Begriffe. Im Gegensatz zur logischen Antithesen gibt es schiefe Antithesen, wenn zwischen den gegenübergestellten Polen keine logische Grundlage existiert. Auf schiefe Antithesen sind zahlreiche Witze, geflügelte Ausdrücke aufgebaut, wie: **Spielen Sie Klavier/-nein**, **aber meine Groβmutter schreibt Romane**. Schiefe Antithese wird öfter zum

Ausdruck der Satire, der Spottschrift, der Ironie gebracht, wo der realisierende Kontext der Antithese durch die Wortgruppen, Sätze oder einen Kontext von einer bestimmten Grösse wiedergegeben wird: **In Bologna sind die kleinsten Hunde die grössten Gelehrten zu finden**. An die Antitese wird auch eine architektonische Funktion zugeschrieben werden. Darunter sind die abständliche Anordnung der durch die Antithese geschilderte kontrastive Situation zu verstehen-die Gegensätzlichkei der architektonischen Einheiten, die die Antithese enthalten und zwei wechelseitige gegensätzlihe Semantik realisieren. Als anschaulicher Muster dieser Behauptung wird in den linguistischen Arbeiten angeführtes Beispiel verwendet: **Die Linde blüht die Nachtigal sang, die Sonne lachte mit freundlicher Lust…die Blätter fielen, der Rabe schrie hohl.** Im Text werden die Einheiten der Antithesen gegenübergestellt, wodurch die architektonischen Kontrasten ausgedrückt werden.

რატიანი ლალი

საპირისპირო ანდაზებისა და გამონათქვამების რეალიზება

რეზიუმე

ანტითეზა, როგორც ენობრივი ფენომენი ანტონიმების გვერდით განიხილება დაპირის-პირებულობის მარეალიზებლად. ანტითეზა გამოხატავს სუბიექტური აღქმით განპირობებულ კონტრასტიულ მიმართებებს ენობრივ ერთეულებს შორის და სწორედ რომ ეს უდევს საფუძვლად მის მსგავსებას ანტონიმიასთან.

Ratiani lali

Impliment the Opposite Proverbs and Sayings

Resume

Antithesis as a linguistic phenomenon is considered next to antonyms to realize controversy. Antithesis expresses the contrasting relations due to subjective perception between linguistic units and that is what underlies its resemblance to antonymy.

ხათუნა ელიაშვილ-ჩიმაკაძე.

თანაავტორი **თინა მაისურაძე.**

სამყაროს ორი მხარე, ორი მზე!

ფილოსოფიური ნარკვევი.

უნდა ამოგიცნო, უნდა გამოგიცნო!
ყველა გამოვრიცხო, ღმერთში გამოგფინო,
შენი დაბადება ყოველთვიურია
მზარდი ცნობიერი შენი მზიურია.
შენი გაბრწყინება,ვითომ არაფერი,
ბნელი ღამისათვის დიდი განაჩენი,
უნდა ამოგიცნო როგორც უკვდავება
ვარდად ჩასახულო, სხივო ბრწყინვალებავ!
ფერთა ნათელი გაქვს, მაგრამ სულ სხვა გვარი
თითქოს გაღვიძებდეს ფიქრი უმართავი,
შენი განდიდება სავსე სურვილშია
მთვარევ უსასრულოვ=გიორგობის თვეა!
როგორ არ ვიწამო თვალთახედვის არე,
ყოველ დაბადებას სხივში ანვითარებ,
ახლა დროა შენი, მთვარევ საფიცარო
უნდა გაგვაკვირვო, უნდა გაგვახარო!
ფაზა აღმავალი, სულ სხვა სინამდვილე,
შენი სისავსეა სიბრძნის სიმარტივე,
ზღვაც კი მიდი -მოდის შენზე დაყრდნობილი
შენთან კავშირშია სული საფიცარი.

ტყე და ბუნებაც კი შენი სამართავი,
უკვდავმყოფელია შენი ნახელავი,
აღორძინება ხარ კაცთა ცხოვრებისა
რწმენით ბოროტს აქრობ, წმინდა გიორგი ხარ!
ზუსტად შენ გებოძა საგზლის მიწოდება,
ურმის თვალზე დაკვრა აღარ დაგვჭირდება,
ღმერთის ანგელოზო, სხივო სინათლისა
მთავარანგელოზთა ძალავ სიმაღლითა.
ნებისყოფისა და სურვილთა მეგზურო,
ნათელი გონების ერთგულო ფერხულო,
მთვარის ძალა არის სიცოცხლის მთესავი,
გიორგობის თვეა სამყაროს მწყემსავი.
ღვთისგან ბოძებული გერგო სხივთ ისარი,
ბოროტ განზრახვას რომ კვეთავს, - ის არის!
ჩააღშო დემონი, განგმირო მუდმივად
ყოვლისშემძლეობა მას ერგო ღვთისანი.
თაყვანისცემა გაქვს დიდი ნაბოძები,
აღორძინება და სისავსე მზისანი,
ორი მზის შერწყმაა - საწმისის მიზანი
მენდლის ორი მხარე, სამყაროს ნიშანი!

აღმოაჩინო ცხოვრების ორი მხარე, ეს იმას ნიშნავს, რომ მთვარისა და მზის თანაფარდობა ხდება სამყაროში.

ზუსტად მთვარეშია მენდლის ორი მხარე გამოსახული და დადებითი და უარყოფითი ენერგიების მონაცვლეობა.

მთვარის ზონები გარდამავალი საწყისის დაბუდებული ნიშანია.

ზუსტად მთვარეა ურმის ბორბალი, სადაც შემოცმულია წმინდა გიორგი,

ზუსტად ეს ფორმაა ჩასახული წმინდა გიორგის თქმულებაში და საქართველოს და ქართველებს ეხება.

ზუსტად მთვარის კულტია ჩვენი ქვეყნის უკუღმა დაბრუნებულ ბორბალზე, ანუ მთვარის მოძრაობაზე, მის ფაზებზე ტანჯვის განსახიერების ფორმა ასახული.

ვიფიქროთ ამაზე!

აზროვნების ცვალებადობა,ანუ სხივით ნათელი აზრის შეცვლა, განაპირობებს ცხოვრებისა და ქვეყნის დალაგებას.

ამიტომაა საქართველოში 365 წმინდა გიორგის სახელზე აშენებული ტაძარი, ანუ მთლიანი საქართველო გ ი ო რ გ ი ა ! - ჩვენი მედროშე, ჩვენი მფარველი ერისა, პატივსაცემი, წმინდანზე მეტი,- წმინდა გიორგია!

გერბის ფარზე, მეწამულ ველზე წმინდა გიორგი გზას იცავს, როგორც კი წმინდანის ხორცთან შეხება მოხდა ლახვრისა, მოდრეკა მოხდა სანთელივით და ჯვარი გამოისახა,

წმინდანის ფეხქვეშ დაეცა ეშმაკი და ასე გამარჯვა ხილულ მტრებზე.

ეს შთამომავლობისთვისაა, კანონია,რადგან მთვარის ბუდიდან წამოვიდა ყველაფერი.

საწყისის დაბადებაა აქ!

ნათელი ნათელს მოიცავს,სადაც ნათელია იქ,

ბნელი ბნელს.

როდესაც ნათელი გამოვლინდება ბნელი გვერდზე იწევა.

ეს ის გზავნილია რაც ერისთვის დ ა ქვეყნისთვის აუცილებლობას წარმოადგენს,რათა აღარ დაგვჭირდეს ამ ბორბალზე ტრიალი, რომელიც წმინდა გიორგიმ თავის თავზე აიღო და დღემდე მოგვყვება საქართველოს და ქართველ ერს.

სარკისებური ნათელით შემოვიდა ბრწყინვალება მომავლიდან სამყაროში.

ამიტომ გაურბის ერთმანეთს ეს ორი ძალა, რადგან მთვარეში მეტი ბნელია და სამყაროს ახალ ცვლილებებთანაა კავშირში,

მთვარე ვარდია და თანაც შავი! მაგრამ სხივი სინათლის მის ფერს ბზინვარებას მატებს.

ორი აზრი;-ერთი სამყაროს შემობრუნება, შეცვლასა და მეორე მისი განმუხვტვაა მთავარი.

კავშირი ამ ორ სამყაროს შეერთებისა მზეშია ჩატეული და მთვარეშიც.

ამ თემის გამოცემა, ამ სხივის გავრცელებას უწყობს ხელს.

ძველი გონების შეჭმას და ახალ ცნობიერებას გამოიწვევს.

დაფიქრება უნდა მოხდეს ერის!

ჩვენი საქართველო მამაღმერთის თავზე დგაასო და კოსმიური მხედარია!

„ქართულია ენა ყოველთა არსისა“

ბოლოჟამს უფალმა ქვეყანა ქართულ ენაზე უნდა განიკითხოს.

ოქროს საწმისი ორი მზის საიდუმლოა!

ურთიერთსაპირისპირო ინ და იანი. ენერგიათ ერთიანობა, მდედრისა და მამრის სახის, თავიდან ერთად იყვნენ, მერე გაიყვნენ და ახლა ისინი უნდა შეერთდნენ,რასაც მითოლოგია, მზის ცეცხლის სტიქია ო ქ რ ო ს ს ა წ მ ი ს ს უწოდებს.

იოვანე ზოსიმეს „ქებაის“ წინასწარმეტყველებაში მესამე თავის დასაწყისი;

მობრძანდება ივერიის ღვთისმშობელი, სამყაროს დედა, დედოფალი ცისა და მიწის, რომელიც ო რ ი მ ზ ი ს გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა ა !

ქრისტიანობა მარტო რელიგია კი არაა,არამედ კაცობრიობის მაღალი ზნეობა და მართლმადიდებლობა კი სიმართლის განდიდება.

საიდუმლოს არ წარმოადგენს ის ფაქტი, რომ წმინდა გიორგის განსაკუთრებული ადგილი უკავია და ზეციური მფარველია,ქართული ტომები ოიდგანვე თაყვანს სცემდნენ და მთვარის კულტთან იყო დაკავშირებული, ასევე იყო მამრული საწყისის. ამას ივანე ჯავახიშვილის კვლევებიც ადასტურებს.

თეთრი გიორგობა, მთვარის ხატობა და მთვარე კი რასაკვირველია, მწუხრის დროს, ღამე ჩნდება, ე. ი. თეთრი გიორგი მთვარის ღვთაებას,მთვარის მაგიერ ადგილს იკავებს.

ჰიპოთეზას ხშირად უნდობლად ეკიდებიან, მაგრამ მის სასარგებლოდ არ ყოფილა რაიმე არგუმენტი წამოყენებული მისი უარყოფისა.

მთავარანგელოზს ეკუთვნის, ერთადერთია, სამოთხის შესასვლელშია, გარდასახვაა ერისა, ლომგული ზეციური ლაშქრისა და ქვეყნისა, ყოვლისშემძლე და ზეაღმატებული, ურჩხულის მკვლელი, ზეკაცის თაყვანისცემაში გამოიხატება წმინდა გიორგის, თეთრი გიორგის სახელი.

აზრი იმ სამყაროს საწყისისა, რომელიც ღმერთმა დაბადა ყოველთვიურია.

ნოემბრის დილა გათენდა	გალაქტიკაა სიცოცხლე
სხივმა დაიწყო ფანცქალი	ფერებში გადმოსაცემი
ღმერთებმა სუფრა გაშალეს	სამყარო ჩვენი სხეული
წინ დადგეს ლომის ფაფარი.	მზისა და მთვარის სახელი.

სხივთა კონები რიცხვთა ძალაა და ის დოდეკალიონია, ეს უსასრულო რიცხვებია,

მთვარე, - ეს ანარეკლია შავი ფერი ღამის, როგორც კი დაინახავ ფერი იღვიძებს, სინათლის სხივი და ანარეკლი იფანტება.

ყოველი ახალი მთვარის დაბადება ალ-ქიმიაა, ჩანასახია ვარდის ძირის და გულის კოკორის. ღამის სიშავე ვარდის სიშავეს მიგვანიშნებს, ფერის გამოვლინება,გადარჩენის ახალ ტალღას მიგვანიშნებს, შავი ფერის გაცოცხლების ტალღა კაცობრიობის გაცოცხლებას იწყებს.

ღვთისმშობელი მთავარი არსია დედამიწისა და სიმბოლო მზისა და მთვარისა.

ღვთისმშობელი ვარდში ჩასახული ყვავილია, ის ყველას გულშია და მისი აყვავება კი სულის ყვავილობას მიანიშნებს.

24. 10. 2020.

* * *

მაცოცხლებელი ძალაა აქ, ამოუხსნელი ფენომენი ამოდის აქ, ეს ძალა ამოიტანს იმ გაბრწყინებას, რასაც იბერიის გაბრწყინება ჰქვია და ორი მზის შეერთებას გამოიწვევს.

მთვარის დღე სვანეთში, სვანური წმინდა გიორგის ძველი ქართული წესჩვეულება ყოფილა და ვაჟთა ბედს განაგებს.

მთვარე, ქართველთა უმთავრესი და ძლიერი ღვთაებად ითვლებოდა, მას ლამპრობას უძახდნენ რაც მთვარის დიდებისა და მსახურთა ნიშანია.

ინ და იანის გასწორებით, მთვარეც იცვლება და მზესთან ერთად სამყაროს თანაფარდობა ხდება, ზონები მუშაობას იწყებს და ფორმაში ჯდება.

მენდალის ორივე მხარეს მთვარე ავსებს სინათლით.ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს მთვარის ფაზებს, მისი აღდგენა სამყაროსი და კაცობრიობის აღდგენას უკავშირდება.

ეს ფიზიკოსებისა და ასტრონომების განსახილველია.

სულ განათებული ვერ იქნება, რადგან თეთრისა და ბნელის გასწორება არ შეიძლება, მაგრამ ეს ხდება თვითეული ჩვენთაგანის შიგნით, აქ ინთება მუდმივი სინათლე ღვთიური ენერგიებისა.

ქრისტიანობა მაღალი ღმერთის ანგელოზთა გადმოსვლაა, ზეცათა აღორძინებაც კაცთა მორწმუნოებაზე ყოფილა დაფუძნებული და კერპთაყვანისმცემლობაც ამას უკავშირდება კარგი გაგებით. მისი სათესი თესლი ყოველთვიურია და მის დაბადების არსში დევს, ასევე ზრდა, განვითარება და მოსავლის აღებას უწყობს ხელს.

სიბნელის გარღვევა ცის კარის გახსნაა, აქამდე დილა გვეგონა, მაგრამ ღამე იხსნება თურმე ცა სხივით, სიბნელისგან თავისუფლდები და სიყვარული შემოდის სხეულში, ანუ ქრისტე იბადება.

მთვარე ღამის ცაზე- ეს ანარეკლია შავი ფერის და მას მთვარის სხივი ფანტავს. შავი ვარდის სიმბოლოც ზუსტად ამაშია.

მთვარის სხივთა კონები ისევე როგორც მზის სხივები, რიცხვთა ძალაა, ეს რიცხვები კი უსასრულო რიცხვებია დაღვთიურ სიძლიერეს წარმოადგენს. ეს დოდეკალიონია! სიკვდილ სიცოცხლის გარკვევა აქედან მოდის, აზრი სიცოცხლისა კი სხივს ეხება და გულიდან მოდის.

ღმერთის ჩანაფიქრი ვარდში ჩასახული სხივთა ბრწყინვალეებაა, მზესავით თბილი გული და მზესავით ნათელი გონება.

პირიმზე ღმერთქალია და ჩვენი ივერიის ღვთისმშობელია, ქართველი დედის ღირსება და სილამაზე იბერიული მოდგმის.

ჩვენი ერის კოდირებული ისტორია „დამარხულ არსს“ ჩვენი ცნობიერის დაკეტილ კარს მიგვანიშნებს. საწყისი წერტილი კი აქ მთვარეში, ანუ წმინდა გიორგი - თეტრ გიორგიში დევს.

ხედვა - გააზრებასაკაცობრიო გონზე გასვლაა, ვისწავლოთ მიზნისკენ სვლა, ჩვენ სულიერი მემკვიდრენი ვაართ ღმერთის, მაგრამ ჯერ თვითგანწმენდაზე უნდა ვუფიქროთ და სულიერი ამაღლება შევითვისოთ.

მისტერიების კოსმიური საიდუმლო ჩვენ ენასა და ანბანშია. სულის სიმშვიდე, სულის მოთქმა, ჰარმონია, სიბრძნე და სიყვარული გადაგვარჩენს.

ისტორია

ნიკო ხერკელაძე

ᲪᲠᲔᲛᲚᲨᲘ ᲜᲐᲚᲔᲡᲘ ᲮᲛᲐᲚᲘ

(დასაწყისი იხილეთ „ათინათი“ №№ 16-37-ებში
და ანთოლოგიის მე-5-10 ტომებში)

გ. სააკაძის იმერეთიდან ქართლში დაბრუნება

იმედმოცემული გადმოვიდა გიორგი სააკაძე ქართლში, იმავე 1626 წელს საგულდაგულოდ შემოიარა ირანელთა ჯარისაგან გათავისუფლებული სიმაგრეები და ქართველი მეციხოვნეები გაამხნევა. შეატყობინეს, განჯაში გამაგრებული ირანელები როგორც კი სააკაძეს შორს დაიგულებენ, გადმოდიან, მოსახლეობას აწიოკებენ და სვიმონ-ხანსაც ეხმარებიან, ქართლში ფეხი მოიკიდოსო.

არ დაუხანებია გიორგის, ზურაბ ერისთავთან ერთად მიადგა განჯის ციხეს, უთენია დაესხნენ თავს. გაწყვიტეს მეციხოვნეები. შეიჭრნენ ციხის შიდა სამყოფელშიც და ისე გაანადგურეს, „არავინ კაცი არ გაუშვია ცოცხალი“ (‘ქართლის ცხოვრება“).

ეს იყო ზურაბ ერისთავის უკანასკნელი თანადგომა გიორგისთან, უკანასკნელი მამულიშვილური ქმედება, ბოლო ნაპერწკალი იმ იმედისა, რაც ადრე ჩაუსახა ქვეყანას. სამწუხაროდ, ისტორიულად მეტი აღარცა ჩანს.

სამცხესა და დასავლეთ საქართველოში გიორგი სააკაძის ყოფნის დროს ქართლში მდგომარეობა შეცვლილიყო: ზოგი თავადი სვიმონ-ხანს მიმხრობოდა და მას ირანელთა მიზნების განხორციელებაში ეხმარებოდა, ზოგი კი თავის ტყავში ჩამტკბარიყო და კიდევ მეტად გამდიდრებისთვის „იღვწოდა“.

სააკაძის სიძე და თანამებრძოლი იესე ქსნის ერისთავი ანდუყაფარ ამილახვარს შეჰკვროდა, ერთიანად ამოეწყვიტათ ღაზნელთა საგვარეულო, მათი მამულები კი დაენაწილებინათ.

ზურაბ ერისთავსაც გახსნოდა დამპყრობლური ჟინი, განჯაში გამართულ ბრძოლამდე მოუსწრია, შესევია და ხმლით დაუპყრია ერწო-თიანეთის მოსახლეობა. შემდეგ ფშავ-ხევსურეთშიც გადასულა და ცოდვის კალო დაუტრიალებია თავისუფლებას შეჩვეული მთიელებისთვის, რომელთათვისაც მიუღებელი აღმოჩნდა ზვიადი ერისთავის წინადადება აბსოლუტური მორჩილება გამოეცხადებინათ და დიდი ბეგარა ეხადათ მისთვის. საშინელ შეტაკებებში დაღვრილა თანამოძმეთა უპატიებელი სისხლი.

კიდევ ერთი თვალსაჩინო განსხვავება გ.სააკაძესა და სხვათა შორის, იგი მიისწრაფის მთავარი მიზნისაკენ ალაგმოს მტერი და გააერთიანოს ქვეყანა. იესე ქსნის ერისთავი ხან იმედიანი მოყვარე თანამებრძოლია, ხან სიხარბემორეული ფეოდალი, ასეთივეა ზ. ერისთავიც. ის გ. სააკაძეს ეხმარება განჯის ციხიდან ყიზილბაშთა განდევნაში, მანამდის კი თავისი საერისთავოს მთიელების დარბევა მოუსწრია, მისი სისასტიკე ხალხურ ზეპირსიტყვიერებაშია დარჩენილი „ხევსურებ ხინკლად ჩაყარა ფშავლებ შეუნთო შეშადო“. ამ ორივე ერისთავის საქციელმა დიდად აღაშფოთა სააკაძე, მაგრამ ისევ თავი შეიკავა, რამეთუ შაჰ-აბასი ცოცხალი იყო და რევანშისთვის მოემზადებოდა, მათ გარეშე კი გაძნელდებოდა მტრის ბოლომდის დამარცხება.

ერთი ხანობა ზ. ერისთავმა თეიმურაზ მეფით დაიმედებულმა და ადგილ-მამულებზე დახარბებულმა, მცხეთის საეკლესიო მიწების მითვისებაც კი სცადა, მაგრამ ღვთისა შეეშინდა და უკან დაიხია.

გ. სააკაძისა, თეიმურაზ I-სა და ზ. ერისთავის ურთიერთობათა განხილვა

მართალია, სააკაძემ მოიწვია თეიმურაზი უმეფოდ დარჩენილი ქართლის საპატრონოდ და მეფედ კურთხევაც შესრულდა სვეტიცხოვლის ტაძარში, მაგრამ იგივე ქართლის თავადთა ნაწილი ფარულად ეწინააღმდეგებოდა ქართლში მის გამეფებას. მეფობის სრული უფლებამოსილება, როგორც დროში განმტკიცებული, თითქმის არც გამოუმჟღავნებია. ამდენად, თეიმურაზისაგან უცნაურა-

დაც გამოიყურება და არც მიზეზი ჩანს, თუ რის გამო მოისურვა სამუხრანბატონო მიწა-მამულის ნაწილი ზურაბ ერისთავისთვის გადაეცა. მართალია, ზურაბმა მარტყოფში თავის ჯართან ერთად დიდი ისტორიული როლი შეასრულა, მაგრამ არანაკლები გააკეთეს ქართლის სხვა თავადებმაც. რახან უკვე სიძე იყო ზ. ერისთავი თეიმურაზისა, ამიტომ უნდა მიენიჭებინა პრივილეგია?! თანაც ეს იყო უკვე წმიდანი ქეთევან დედოფლის მამის, აშოთან მუხრანბატონის მამულები; მას თავისი კანონიერი პატრონები ჰყავდა, ზ. ერისთავი კი ისეთი ხარბთვალიანი იყო, მეფის დაპირების გამო ყველაფერზე წავიდოდა; ოღონდ მას ჰყოლოდა ყველაზე მეტი ცხვარ-ძროხა, ჰქონოდა ყველაზე მეტი სახნავ-სათესი მიწა, არაფერზე დაიხევდა უკან!

ჩვენთვის ცნობილია ზ. ერისთავის მერყევი ხასიათი, შაჰ-აბასისაგან წამოსული ზავის პირობები, თავისი სიმამრის თეიმურაზ I-თან თანამოაზრეობის საფუძველზე, მისთვისაც მისაღები გახდა. შაჰის საწინააღმდეგო პოზიცია რომ არ გამოეხატა, მან, პირადად, მონაწილეობა არ მიიღო ქსნის ომში. მარაბდის ომის მოვლენებში სააკაძესთან უხერხული მოვლენების გამოსყიდვის საკონპენსაციოდ, მხარი აუბა სააკაძეს, მოახდინეს ერთობლივი შეთანხმება ხოსრო-მირზასთან და დაიგეგმა ქსნის ომი (ამის შესახებ ჩვენ ზემოთ უკვე ვისაუბრეთ) თავის უფლებამოსილებაში მყოფი საარაგვოს ჯარი თავისივე ძმებს, გიორგი და დათუნა ერისთავებს, ქსნის ომში სააკაძის მისაშველებლად გააყოლა. დავაკვირდეთ, რადგან გ.სააკაძესა და ზ. ერისთავს შორის იმ ეტაპზე ურთიერთობა ისე არ იყო გამძაფრებული, როგორც ჩანს. გ.სააკაძემ მარტყოფისებურად ისევ მოახერხა მისი დაყოლიება, რადგან იგი შაჰის ზავის პირობებს იზიარებდა, მის მაგივრად მის ძმებს საარაგვოს ჯარით, მონაწილეობა მიეღოთ ქსნის ომში.

ქსნის ომის ბრწყინვალედ დამთავრებაში ზ. ერისთავს აქვს დიდი წვლილი შეტანილი. მისგან თანხმობით, საარაგვოს ჯარის ქსნის ომში თანამონაწილეობაზე, რითაც ნათელია სააკაძესთან პირის ჩამოწმენდით და ქვეყნის წინაშე ვალმოხდით აისახება ამის საფუძველზე იგიც შვებით ამოისუნთქავდა. ქსნის ომში ქაიხოსრო-მუხრან-ბატონის თავისივე ჯარის თანამონა-წილეობით და ზ. ერისთავის ძმების, დათუნა და გიორგის, ერთობლივი თანადგომით, ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვეს. გ. სააკაძის მიერ თავმოყრილ სხვა ქართველ მეომრებთან ერთად ასეთი გამარჯვებით შექმნილი ატმოსფერო მათთვის დაახლოვების სასურველი მიზეზიც გახდებოდა და სააკაძისგანაც იქნებოდა ხელის შეწყობა იმისა, რომ გიორგი ერისთავს ქაიხოსრო-მუხრან-ბატონის ქალის ხელი ეთხოვა და დამოყვრებოდა მას. გავიხსენოთ სააკაძის სიძე თეიმურაზ-მუხრან-ბატონი, რომელიც მარაბდის ომში დაიღუპა, მისი უმცროსი ძმა არის ქაიხოსრო-მუხრან-ბატონი. ზ. ერისთავისთვის ეს მოვლენა მიუღებელი გახდებოდა და გაჩნდებოდა სირთულე იმ საფუძველზე, რომ სამუხრანბატონო ადგილ – მამულების ნაწილი თეიმურაზ I-ს მისთვის, ზ. ერისთავისთვის, როგორც სიძისათვის გადაცემული აქვს, ზ. ერისთავმა უფროს ძმას ბაადურს არაგვის ერისთავობა არ დაუთმო და იგი იძულებული გახდა გასცლოდა გულ-ზვიად მეტოქე ძმას. რადგან შაჰისაგან წამოსული ზავის პირობით, დროებითი სიმშვიდე იქმნებოდა ერთის მხრივ და თეიმურაზისა და დიდებულთა ნაწილის თანხმობაც დაერთო და ამ მოვლენით მონაწილეობა პირადად არ მიიღო ზ. ერისთავმა ქსნის ომში სააკაძესთან ერთად ყიზილბაშთა განადგურებაში. სამაგიეროდ მონაწილეობა მიიღეს თავისმა ძმებმა – დათუნა და გიორგი ერისთავებმა. რაც საბაბ-მიზეზად წინ წაიმძღვარა შაჰისათვის ერთგულების გამოსახატავად. მას არ გაუძნელდებოდა და იტყოდა, სააკაძემ გადაიბირა ჩემი ძმა, ჩემთან შეთანხმების გარეშე მოქმედებდა და ირანის მზეს ქსანზე ჯარები გაუნადგურაო. შაჰის გულის მოსაგებად და თვითონაც რომ ასე ესურვებოდა, ზ. ერისთავმა, მომავალში არაგვის საერისთაოს მეტოქე, რომ არ ჰყოლოდა საკუთარი ძმა დაახეიბრა. ადვილი წარმოსადგენია, სავარაუდო მოწინააღმდეგესაც ვერ გააჭაჭანებდა. ამიტომ თვალეგი დასთხარა თავის ძმას, გიორგი ერისთავს საარაგვოს მბრძანებელმა. რაღა გასაკვირია, რომ სულაც არ ანაღვლებდა თავისი დის შვილების ბედიც, როცა მათ მამასთან, გ. სააკაძესთან, ბაზალეთში სისხლიანი ანგარიშსწორება გადაწყვიტა. ღრმა მნიშვნელობით არ მიაჩნდა მოწამეობრივი აღსასრული თვით პაატასი, რომელიც ქართველმა ხალხმა დიდი ცრემლით დაიტირა და სამშობლოსათვის შვილის გამწირავი მისი მამა „დიდ მოურავად“ აღიარა.

ისტორიულად არაა ცნობილი, რომ ზ. ერისთავს შვილები ჰყოლოდა, აქედან გამომდინარე, მისთვის უცხო იქნებოდა მამობრივი განცდაც. მისი ადამიანური ბუნების განხილვა მიგვანიშნებს, რომ იგი მხოლოდ პირადი „მე“-სა და „ეგო“-ს კარნახით საზრდოობს. პირადი განდიდებისათვის თუ სარ-

გონი და სასარგებლონი აღარ არიან, თავისი სისხლისა და ხორცის გაწირვაც არაფრად უღირს. სათქმელადაც ძნელია, მაგრამ, სამწუხაროდ ზ. ერისთავს ძმაც და დის შვილებიც მტრად მიაჩნია ცივი და ანგარებიანი გონებით, მის ქონებასა და ძალაუფლებას ოდნავი ჩრდილიც თუ მიადგება. აღნიშნულ მოვლენებშიც შადიმანი ხომ არ იყო, მაგრამ მსგავსი ბუნება თურმე ზ. ერისთავშიც იმალებოდა!

ჭირს ისტორიული სიმართლისაგან გაქცევა; სათქმელადაც ძნელია, მაგრამ თეიმურაზის პიროვნება და საქმიანობა ვერ შეედრება ქეთევან დედოფლის ღვაწლს, ის კი არა, ზოგჯერ სრულიად საპირისპიროც კია. ქეთევან დედოფალი ხომ ამხელდა და არასგზით არ ამოიყენებდა გვერდში ქონების ხელში ჩაგდების მიზნით თანამემამულეთა გამჟლეტ ადამიანებს; იმ ხალხის წინააღმდეგ მებრძოლს, ვინც საქართველოს მტერს ყოველთვის მამაცურად უხვდებოდა!

არადა, სწორედ ზ. ერისთავს შეეძლო შეენარჩუნებინა სამართლიანი წონასწორობა მეფესა და სააკაძეს შორის, სიხარბემ არ მისცა ამის საშუალება. „მე მეფეს ვერ ვუღალატებო!“ – გამოვიდა, რომ გიორგის ღალატი კი შეეძლო, თუ დასჭირდებოდა.

დაუნდობელი იყო ზ. ერისთავის ანგარებიანი ბუნება, მის ხმალზე ბევრჯერ ჩამოდენილა მთის მკვიდრთა უბრალო სისხლი...

მარტყოფის ომის თვალსაჩინო გმირს ზ. ერისთავს დაშვებული აქვს გულსატკენი შეცდომები:

განდევნა უფროსი ძმა ბაადური. მეორე ძმა, გიორგი, რომელიც არაგველთა ჯარით მხარში ედგა გიორგი სააკაძეს ქსნის ბრძოლაში, შეიპყრო და დააბრმავა.

ქართლის მეფე სვიმონ-ხანი, შეთქმულ თავადთა გადაწყვეტილებით, სხვილოს ციხეში შეიტყუა და მოკლა; ბოლოს ამდენი სიავის ჩადენისთვის, სამაგიეროც მიეზღო: სიმამრმა, თეიმურაზ მეფემ, ღალატით მოაკვლევინა ელუმო თოღუმიშვილს საფურცლეში (დღევანდელი სოფელი ნატახტარი).

1625 წლის მარტყოფის, მარაბდის, ქსნის ომებითა და პარტიზანული ბრძოლებით 1626 წლის ჩათვლით ქართულ მიწაზე თითქმის სულ განადგურდა ყიზილბაშური წითელი ჭირი, მცირე ნაწილი სხვადასხვა ციხეებში იყო თავშეფარებული.

ქართველი ისტორიკოსის ნოდარ შენგელიას ცნობით, 65-70 ათასი ყიზილბაში შეეწირა გიორგი სააკაძისა და მის გვერდში მყოფ ქართველ მეომართა დაუღალავ ბრძოლას.

მთელი 30 წლის მანძილზე შეუსვენებლივ ფეთქავდა ქართლის გადამრჩენის გიორგი სააკაძის გული, ერთად შეზავებული მისი ოფლი და სისხლი იღვრებოდა ხმლის ვადას ჩაჭიდებული მარჯვენიდან.

მისი თანამედროვე უცხოელი ისტორიკოსები აღფრთოვანებას ვერ ფარავდნენ და ყველა უკლებლივ ცდილობდა მოქმედების შესატყვისი სიტყვებით აღეწერა მისი საქმენი საგმირონი. სააკაძისაგან გაიკრიფა და გადაიგავა ყიზილბაშთაგან დამძიმებული აღმოსავლეთ საქართველო. ქართლ-კახეთი გაერთიანდა, მის სათავეში თეიმურაზი დგას. მარაბდის ბრძოლის შემდგომ იგი ისევ სააკაძის თანადგომით გადმოიყვანეს იმერეთიდან და საქართველოდან ყიზილბაშთა განდევნაში ღებულობდა მონაწილეობას ეპიზოდური ხასიათით.

სანამ ირანიდან ზავის პირობა ჩამოვიდოდა გიორგი სააკაძეს ერთი წუთიც არ გაუტარებია სამშობლოზე ფიქრის გარეშე, მის სულსა და სხეულში ჩაკირული ვეებერთელა ენერგიით აუცილებლად უნდა ეხარა მის ქვეყანას. მისგან გადახდილმა დიდმა თუ მცირე ომებმა დიდი ღირსების შარავანდედით შემოსა იგი.

უზომო იყო მისი ავტორიტეტი და გავლენა როგორც საქართველოში, ისე მის გარეთაც. გიორგი სააკაძეს „ქართლის მოურავს“, „ქართლის მოურავ-ხანს“ უწოდებდნენ. რაც მთავარია, სააკაძე უსაზღვროდ უყვარდა ქართველ ხალხს, ენდობოდნენ. უყვარდათ საქართველოსთვის შეწირული შვილის მამა, მამა მეორე შვილისა, რომელიც ყველა ბრძოლაში ახლდა და გამეტებული ჰყავდა; უყვარდათ იმ ამოუწურავი ენერგიისთვის, რომელსაც უანგაროდ ხარჯავდა ქვეყნისა და ხალხის სამსახურში...

ისმება კითხვა: რატომ აღიზიანებდა გიორგი სააკაძის ავტორიტეტი და სახელი ზოგიერთ დიდებულს, მათ შორის თეიმურაზ მეფესაც, რაც ძალზე სამწუხაროა თუნდაც იმიტომ, რომ ქეთევან დედოფლის შვილობა და მეფობა, ერთად აღებული, დაფიქრებას, ღრმა განსჯასა და სიმტკიცეს ითხოვდა უკვე გამოდარებული ქართლ-კახეთის ასაღორძინებლად.

გიორგი სააკაძის ხასიათში მტკიცედ არის გამჯდარი თვისებები, რომ ემსახუროს მეფეს და ქვეყანას, გამოავლინოს ფანატიკური თავდადება და სიყვარული სამშობლოსადმი, თუნდაც სიკვდილის ფასად. არა ერთხელ დაუმტკიცა ეს თეიმურაზსაც საქმით. დღეს კი, 1626 წლის ამ რთულ ვითარებაში, თავადებისაგან გ. სააკაძესა და თეიმურაზს შორის ჩამოგდებულ შფოთში, თეიმურაზი სულ სხვა კაცად ქცეულა.....

მოვუსმინოთ კათოლიკე მისიონერთა ისტორიკოსს:

„დიდ უბედურებასა და მრავალ ვაებაში გამოვლილი მეფე – კახეთის სამჯერ აოხრება, უცხოობაში წანწალი, დედისა და შვილების დახოცვა, – უაღრესად უნდო და შურისმაძიებელი გამხდარიყო. თეიმურაზის ბუნება სულ სხვა კაცად შეიცვალა: ყველაფერში მტერს ხედავდა, თავის ქვეშევრდომებს სასტიკად ეპყრობოდა, ახალი ხარაჯა განაწესა და ძალადობას მიმართავდა. სამართალი აღარ იყო, კანონად ჟინი და სიხარბე გაიხადა“.

თეიმურაზ მეფე, თავის გარემომცველ თავადთაგან განსხვავებით, ძალზე დიდი თანაგრძნობის ღირსია შთამომავალთაგან, მაგრამ ასეთი თვისებებით მეფობის ტვირთის ზიდვა მისთვის შეუძლებელი აღმოჩნდა. თავადებმა ადვილად იმოქმედეს მის პატივმოყვარეობაზე, დააყჭვეს და დაუპირისპირეს გიორგი სააკაძეს, იქმნებოდა მტრისთვის სასურველი გარემო.

არ უწევდნენ შეღავათს მის მგლოვიარე გულს. მსგავსი ტრაგედია ხომ იმ დროის საქართველოში არც ერთ დიდებულთაგანს არ განუცდია. არადა, სწორედ მათ ურჩიეს და ჩააგონეს თეიმურაზს, დედა და შვილები შაჰთან გაეგზავნა. რა ენაღვლებოდათ, მხოლოდ რჩევა ეკითხებოდათ, იმ რჩევაშიც ისეთ „გონიერებას“ ასხივებდნენ, თვითონ რომ არ დაზარალებულიყვნენ. მეფის ტვირთი და სატკივარი სხვა სიმძიმისა იყო. სწორედ ზურაბ ერისთავს უნდა მოეკრიბა გონიერება, დაეთრგუნა თავის თავში სიხარბე, მდგარიყო მარტყოფისებური მოწოდების სიმაღლეზე, მაგრამ, სამწუხაროდ, მან ეს ვეღარ შეძლო. მასა და გიორგი სააკაძეს შორის გაჩნდა ღრმა ნაპრალი, რომლის ერთ მხარეზე აღმოჩნდნენ თეიმურაზიანელები. მეორეზე – სააკაძიანელები.

საქართველოსთვის ერთნაირად დიდი მსხვერპლი გაიღეს თეიმურაზმა და სააკაძემაც. სამწუხაროდ, ასეთივე დიდი განსხვავება წარმოიქმნა მათ მრწამსსა და მიზნებს შორის.

გიორგი სააკაძის ხასიათში ნიშანდობლივია ინიციატივა, თავისი მრწამსით გადაწყვეტილების მიღება, დაჯერებულობა თავის თავში, საქმეში, მიზანში, გინდ საბრძოლო მოქმედებაში, თუნდაც პოლიტიკურ ურთიერთობებში; ეს ეხება ოსმალეთთან, მურად IV-სთან და დასავლეთ საქართველოში მის გადასვლას და გიორგი მეფესთან მოლაპარაკებებს, რომელიც აღმოსავლეთ საქართველოს მესვეურებთან და იგივე თეიმურაზთან შეთანხმების გარეშე ხდებოდა, რაც აიხსნება იმით, რომ სააკაძე მათ არ ენდობოდა და ეს ბაზალეთის ომის მიზეზიც შეიქნა.

სააკაძის პიროვნებას მრავალი მკვლევარი და წიგნის ავტორი ჰყავს, ამდენად, საჭიროდ მივიჩნიე რამდენიმე მათგანის აზრთა წარმოჩენა (ნ.ხ.).

მოვუსმინოთ ისქანდერ მუნშს: „ერთი ჯგუფი დიდებულებისა მასზე, სააკაძეზე, უფრო მაღალი გვარისა იყო, მათ სძაგდათ მოურავის ბატონობა და უფროსობა“ (მტერიც კი სწორად ხედავს სააკაძესთან დაპირისპირების ნამდვილ მიზეზს).

„მაგრამ რა უნდა ექნა სააკაძეს, თუკი თეიმურაზი გაეცალა ასპარეზს და ქვეყნის ბედი მის ხელთ იყო“ (ჯანსუღ ღვინჯილია).

ცხინვალში მეფესთან ერთად ყოფნის დროს გიორგის მისმა ერთგულმა ხალხმა აცნობა, თეიმურაზი შენს მოკვლას აპირებსო. გაოცებულია სააკაძე ამდენი უმადურობის შემხედვარე, თუმცაღა მიჩვეული იყო თანამოძმეთაგან დაუფასებლობას; მან ავალიშვილი მიაგზავნა მეფესთან და განრისხების მიზეზი იკითხა.

მეფემ იუარა, ჩემთვის ერთგულ კაცზე ამას როგორ ვიფიქრებდიო, თან დასძინა: ქვეყანამ იცის, ლუარსაბის სისხლი შენ რომ გაწევს ცოდვად, მაგრამ მე მაინც არაფერს გერჩიო.

სავალალოდ, გიორგი გუმანით მიხვდა ყოველივეს.

გიორგი სააკაძისა და ზურაბ ერისთავის პირისპირ შეხვედრა მწვავე და უსიამოვნო გამოდგა. მიუხედავად იმისა, რომ სააკაძის ცოლისძმა იყო, ირანში ბევრი ომი და სამკვდრო-სასიცოცხლო რისკიანი გზა ერთად გამოევლოთ, ახლა თეიმურაზის გვერდით დამდგარიყო და „მეფეს ვერ ვუღალატე-

ბო!“, – უთხრა. „მუხრანს გპირდებაო?“ – ისარივით პირდაპირ მწარედ ესროლა გიორგიმ. ზურაბი გაყინული თვალებით ღალატის მღვრიე მორევს ჩასცქეროდა.

„ – კარგად დაიმახსოვრე, ზურაბ ერისთავო, მე რომ მომიცილებენ, ჩემი მკვლელები შენც გწვდებიან ყელში, მუხრანსაც ოხრად დაგირჩენენ და სიცოცხლესაც“... (ლევან სანიკიძე).

ბაზალეთის ომამდე მეფე თეიმურაზს რუსეთის გზისკენ ფიქრი არ შეუწყვეტია, ამ დროისათვის თითქმის სულ გადაიხვეწნენ ყიზილბაშები. ირანული მტვერი აღარ ტრიალებდა ქართულ მიწაზე და პოლიტიკურ ამინდსაც კარგი პირი უჩანდა. ასეთ მომწიფებულ ვითარებაში დაისვა საკითხი ქართულ ცნობიერებაში, ვის, როგორ მეფეს უნდა ემართა ქვეყანა. საღად მოაზროვნე მხარემ, ცხადია, სწორი ანალიზი გააკეთა და აღნიშნა, თუ ვისი ამაგით შეიქმნა ასეთი ატმოსფერო.

გიორგი სააკაძის მიერ გზიდან ორჯერ მობრუნებულმა და მეფის უფლებაშენარჩუნებულმა თეიმურაზმა ტახტი დაიკავა. მოურავის თანადგომა თეიმურაზთან მხოლოდ ცენტრალური ხელისუფლებისა და ქვეყნის გაერთიანების სურვილით აიხსნება.

გიორგი სააკაძე ყველაფერს აკეთებდა საიმისოდ, რომ მეფეს მშვიდობის დროს მთელი თავისი უფლებამოსილება სამართლიანი აღმშენებლობისკენ წარემართა. თვით ისტორია, ტრადიცია, ყოფა, ქვეყნის მართვის წესი ითხოვდა ამას, რაც ძალიან ძნელია და მეფურ სიმტკიცეს საჭიროებს.

გავიხსენოთ დავით აღმაშენებელი. როგორ ცდილობდა იგი ქვეყნის მოჭირნახულე ხალხი შემოეკრიბა გარშემო. იცოდა, რა სატკივარი აწუხებდა ქვეყანას და გაჯანსაღების გზებს ეძებდა; დავითმა ისიც იცოდა, საქართველოში სოფლიდან სოფლამდე რა მანძილი იყო და განსაზღვრული ჰქონდა, მაცნეს რა დროში უნდა მოეწოდებინა ინფორმაცია, სამშობლოს სასიცოცხლო პულსზე ედო ხელი...

გიორგი სააკაძის შემთხვევაში იმ ეპოქის საჭეთმპყრობელმა ქართლის მესვეურებმა ვერ დაინახეს და იმის მეათედით ვერ შეაფასეს მოურავის ღვაწლი, რაც მას უანგაროდ გაღებული ჰქონდა ქვეყნისთვის.

მომავლის გზა შურით მძიმდებოდა; თეიმურაზს, როგორც მეფეს, ყურადღებით უნდა ესმინა სააკაძისთვის, რადგან ეს ქვეყნის სატკივრის გაგებას ნიშნავდა, ხდებოდა კი პირიქით: თეიმურაზი შფოთის ჩამომგდებ თავადებს უფრო უგდებდა ყურს.

გიორგი სააკაძის რენესანსული ბუნება ქვეყნის პატრონს, შემნახავს ეძებდა. ლუარსაბის მეფობის დროს მას უკვე ჰქონდა განცდა იმისა, რომ ლუარსაბს აკლდა მეფური მტკიცე ღირსებები, ადვილად ექცეოდა დიდებულთა გავლენის ქვეშ. სწორედ ლუარსაბის არასრულყოფილმა მეფურმა თვისებებმა განაპირობა აუცილებელი მოთხოვნილება შეუვალი ნების მტკიცე მეფისა. მარტყოფის ბრძოლის შემდეგ არჩევანი თეიმურაზზე გაკეთდა, მაგრამ სულ მალე მარაბდისწინა პერიოდში სათათბირო კრებამ და ამ ბრძოლაში ქართველთა დამარცხებამ სააკაძეს თეიმურაზის ღირსეული მეფობის იმედი გაუცრუა. შემდეგ შაჰისაგან შეთავაზებულ ბავზე ქართველ დიდებულებთან ერთად თეიმურაზის თანხმობამ სააკაძე საშინლად აღაშფოთა. ამის შემდეგ იგი საქართველოს გაერთიანების გზების ძებნას ცდილობდა...

მოგვიანებით სააკაძის ინიციატივით ქართლის გამგებლად – და არა მეფედ – ქაიხოსრო მუხრანბატონი დაინიშნა, მას, როგორც ბაგრატიონს, ქართლის ტახტის დაკავების უფლებაც ჰქონდა.

განმარტებისათვის, ქაიხოსრო მუხრანბატონის გამგებლად დასმამ ქართლ-კახეთის ცალ-ცალკე სამეფოებად დარჩენა გამოიწვია ანუ ორივე სამეფო თავიანთ პირვანდელ მდგომარეობას უბრუნდებოდა.

მოურავის დიდი მიზანი სამეფო-სამთავროებად დაშლილ-დანაწევრებული ქვეყნის ერთ მთლიან სახელმწიფოდ ქცევა იყო, ქაიხოსროს ქართლში გამეფებით კი იგი თავისი იდეის საწინააღმდეგო მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა, რადგან ეს ნაბიჯი ქართლისა და კახეთის განცალკევების დასტური იქნებოდა და იმერეთის სამეფოს კერძოდ და მთელი დასავლეთ საქართველოს შემოერთების შანსიც შემცირდებოდა.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ეკონომიკა

ვალერი მოსიაშვილი
საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ

დაქირავების პოლიტიკა და კორპორაციული კულტურა ადამიანური რესურსების მენეჯმენტში

ადამიანური რესურსების პოლიტიკაში, სამამულო ბანკებში, აუცილებლად გასათვალისწინებელია გარდამავალი პერიოდის თავისებურებები. აღნიშნულ სფეროში ისინი ვლინდება განსაკუთრებით ნათლად და ქმნის სერიოზულ პრობლემებს.

პირველ რიგში, აღნიშნული სისტემის ფუნქციონირებას ხელს უშლის შრომის ბაზრის მდგომარეობა – როგორც რესურსების სიჭარბე, აგრეთვე, განუვითარებელი ინფრასტრუქტურა. აღნიშნულ ბაზარზე თითქმის არ არსებობს თავისუფალი შრომითი რესურსების შეთავაზება ისეთ სპეციალობებზე, როგორებიცაა: საფონდო საქმე, სატრასტო და ლიზინგური ოპერაციები, აუდიტი და ა.შ.

მეორე მხრივ, მხოლოდ ფორმირების სტადიაშია ის სტრუქტურა, რომელიც უზრუნველყოფს მოცემულ ბაზარს დამატებითი მომსახურების ფართო ნომენკლატურით – სპეციალური კონსალტინგური ფირმები, პროფესიული მომზადებისა და გადამზადების ცენტრები და ა.შ. ამ პირობებში საკრედიტო ორგანიზაციები, პერსონალის შერჩევის დროს, იძულებულნი ხდებიან ორიენტირება გააკეთონ თავიანთ შესაძლებლობებსა და რესურსებზე, რაც უკავშირდება დამატებით, არარაციონალურ ხარჯებს.

ტრადიციულად, ბანკების უმაღლესი დონის მენეჯერების მიერ არ ხდება საკმარისი ყურადღების გამოჩენა ადამიანური რესურსების პოლიტიკისადმი, რაც, პრაქტიკულად, გამოიხატება:

- სურვილის არქონით, უზრუნველყოს პერსონალის აუცილებელი სტატუსი შიდა იერარქიაში, რაც ობიექტურად ხელს უშლის მას დაკისრებული ფუნქციების შესრულებაში;
- პერსონალის მართვის იმ ფორმებსა და მეთოდებზე ორიენტაცია, რაც დამახასიათებელია საბაზრო ეკონომიკისათვის, ანუ გარდამავალი პერიოდის თავისებურებების გაუთვალისწინებლობა;
- სხვა ბანკებთან თანამშრომლობის სურვილის არქონა ადამიანური რესურსების პოლიტიკის გადაწყვეტაში.

სამწუხაროდ, აღსანიშნავია ისიც, რომ ბანკს ახასიათებს აღმასრულებელი პერსონალის არასაკმარისი კომპეტენტურობა, რაც განპირობებულია:

- ქვეგანყოფილების ხელმძღვანელებზე მეთოდოლოგიური დახმარების არარსებობით აღნიშნული სამსახურების მხრიდან;
- საკუთარი საქმიანობის ორგანიზაციით მითითებების საფუძველზე და არა ინიციატივის განვითარებით.

ამასთან, გასათვალისწინებელია ისიც, რომ სრულყოფილად არ ხდება მენეჯერებისათვის სპეციალური სატრენინგო პროგრამების მომზადება ადამიანური რესურსების მენეჯმენტის სფეროში. საქართველოს ბანკების ყველაზე მოწინავე ხელმძღვანელების მიერ აღნიშნული სიტუაცია დაძლეულ იქნა წამყვანი სპეციალისტების კვალიფიკაციის ამაღლების სხვადასხვა ფორმის გამოყენებით, საზღვარგარეთ სტაჟირების ჩათვლით.

აგრეთვე, აღსანიშნავია ის, რომ ადამიანური რესურსების მენეჯმენტის პრაქტიკა რთულდება თანამშრომელთა მნიშვნელოვანი რიცხვის სპეციფიკური მენტალიტეტით. საშუალო და უფროსი ასაკის პერსონალისათვის ყველაზე ნეგატიურ ფაქტებს შეიძლება მივაკუთვნოთ:

- არასაკმარისი პასუხისმგებლობით მიდგომა როგორც დამქირავებლის, ისე, მთლიანად, სამსახურის მიმართ;
- კონკრეტული გადაწყვეტილებების დროს პასუხისმგებლობის თავის თავზე აღების სურვილის არქონა;
- საბაზრო ეკონომიკის პირობებში, თანამშრომლის მიმართ წაყენებული მოთხოვნების გაუთვითცნობიერება, მათ შორის, დამოკიდებულება ანაზღაურების მიმართ, არა როგორც შესრულებული სამუშაოსათვის, არამედ სამუშაო ადგილის დაკავებისათვის;
- პერსონალის რეგიონული მობილურობის დაბალი დონე, რომელიც ხელს უშლის ბაზრის ფორმირებას;
- სოციალური აქტიურობის მაღალი დონე, მიდრეკილება პირდაპირი ან ფარული კონფლიქტებისადმი ადმინისტრაციასთან.

ადამიანური რესურსების ყველა ეს თავისებურება გასათვალისწინებელია კონკრეტული ოპერაციული ქვესისტემის ორგანიზაციის დროს. აღსანიშნავია, რომ საზღვარგარეთის გამოცდილების მთლიანი გამოყენება ადამიანური რესურსების მენეჯმენტის საკითხში ფერხდება ამ ფაქტორების გამო.

ამრიგად, საქართველოს კომერციული ბანკები ადამიანური რესურსების მენეჯმენტის საკითხების გადაწყვეტის დროს აწყდებიან მთელ რიგ ობიექტურ თუ სუბიექტურ ფაქტორებს. ქვეყნის საბანკო სექტორის კრიზისიდან გამოსვლასთან ერთად, სულ უფრო მეტად აქტუალურია უცხოეთის ქვეყნების გამოცდილება.

➢ **პერსონალის მიღების პოლიტიკა**

მრავალი წლის მანძილზე არსებობდა ტიპური საბანკო კლერკის ან მენეჯერის სტერეოტიპი: იგი უნდა ყოფილიყო მამაკაცი, კარგად და კონსერვატიულად ჩაცმული, საუბრობდეს წყნარად და მშვიდად. ჰქონდეს საშუალო განათლება და აუცილებლად ფლობდეს მათემატიკასა და ინგლისურში ცოდნის განსაზღვრულ დონეს.

ამჟამად ორგანიზაციათა უმრავლესობა უპირატესობას ანიჭებს იმას, რომ მათი პერსონალი მიდიოდეს უშუალოდ მომხმარებელთან (ფაბრიკებში, ფირმებში, მაღაზიებში) და ყიდდეს საბანკო მომსახურებას.

მოთხოვნები ადამიანური რესურსების (რომლებიც დაკავებული არიან გაყიდვებით) მიმართ, წარსულთან შედარებით შეიცვალა. შედარებით რეალური და მნიშვნელოვანი კანდიდატი ახლა შეიძლება გახდეს საქმიანი ნატურა, რომელსაც შეუძლია ხელმძღვანელობა და დახმარება ახალგაზრდებისა, რომლებიც არიან უფრო ენთუზიაზმით სავსენი, ვიდრე მხოლოდ ტრადიციული განათლებისა და დიპლომის მქონე. იმდენად, რამდენადაც შეიცვალა სამუშაოს ტიპი, რომელსაც ასრულებს ბანკის პერსონალი, შეიცვალა პერსონალის ტიპიც.

დაქირავება შეიძლება განხორციელდეს ლოკალურ დონეზე, როცა თვითონ მენეჯერი არჩევს საჭირო თანამშრომლებს, ან ბანკში არსებული საერთო შერჩევის პრინციპებით. ასე თუ ისე, თითოეული ბანკი უნდა ახორციელებდეს დაქირავების დაგეგმვას, რომელიც ვითარდება ორგანიზაციის საერთო სტრატეგიულ გეგმასთან ერთად. ხოლო სტრატეგიული გეგმის ყოველ ნაწილში უნდა იყოს ზუსტად განხილული მისი ზეგავლენა ადამიანური რესურსების დაგეგმვაზე.

➢ **განათლება**

სამუშაოს ახალი მეთოდების წარმოჩენა, განსაკუთრებით, ტექნოლოგიების, აყენებს სასწავლო პროგრამებზე მოთხოვნას. იმისათვის, რომ გამოვიყენოთ მაღალი ტექნოლოგიური პროცესები არა მარტო ფულის გადაგზავნისათვის და ბუღალტერიის წარმოებისათვის, ყველა დონის პერსონალი მომზადებული უნდა იყოს შესაბამისად. ეს ტექნოლოგიები თავის თავში მოიცავს ინფორმაციის ელექტრონულ სისტემებს (რომლებიც საშუალებას აძლევს სხვადასხვა განყოფილე-

გას, ფირმებს, ოფისებს, რომ დაუკავშირდნენ და გადასცენ შეტყობინება ან დოკუმენტები), ტექსტურ პროცესორებს, ელექტრონული კავშირის სისტემას, საგამომცემლო სისტემებს, ე.ი. თანამედროვე ინფორმაციულ ტექნოლოგიებს.

➢ **დამქირავებელსა და დაქირავებულს შორის ურთიერთობა**

ბანკის ადამიანური რესურსის კონტროლი ითვალისწინებს ბალანსის შენარჩუნებას შემოსულ (დაქირავების დროს) და გასულ (პენსიაში გაშვება, განთავისუფლება) პერსონალს შორის, რომელიც აუცილებელია საბანკო ბიზნესის ოპტიმალურად წარმართვისათვის.

თანამედროვე კანონმდებლობის ზოგიერთი ნაწილი ითვალისწინებს, რომ გამოსაცდელი ვადის შემდეგ თანამშრომლები არ შეიძლება განთავისუფლდნენ არასამართლიანად.

უცხოეთში პროფესიული კავშირის როლის ზრდა იყო ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორი, რომელმაც ხელი შეუწყო შრომითი კანონმდებლობის განვითარებას, რომელიც იცავს თანამშრომელთა ინტერესებს.

➢ **სამუშაო გარემოზე მოქმედი ფაქტორები**

გარე ფაქტორები:

- შემოსავლიანობის დონე – თუ საბანკო პროდუქტებსა და მომსახურებაზე არის დიდი მოთხოვნა, თანამშრომლებს აქვთ მოლოდინი და ხელმძღვანელებმა შეიძლება გაზარდონ შრომის ანაზღაურების დონე (ან პირიქით);
- კონკურენციის დონე – თუ ის მაღალია, ეს ზემოქმედებს ბანკის შესაძლებლობებზე და მზადყოფნაზე, უზრუნველყონ საკუთარი თავი მაღალი ფულადი დაჯილდოებით;
- უმუშევრობის დონე ზემოქმედებს სამუშაოს მიმართ თანამშრომელთა ურთიერთობაზე;
- იურიდიული შეზღუდვა – შეიძლება ზემოქმედება მოახდინონ ყველა მონაწილეზე.

ტექნოლოგიური ფაქტორი:

- საბანკო ბიზნესის ადამიანური კაპიტალის ტევადობა განსაზღვრავს შრომის ანაზღაურების, როგორც დანახარჯების ფაქტორის მნიშვნელობას;
- ძირითადი პერსონალი – თუ პერსონალი, რომელიც მონაწილეობს მოლაპარაკებებში, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ბანკის ნორმალური ფუნქციონირებისათვის, ეს ზემოქმედებს ნებისმიერი დავის სერიოზულობაზე;
- ტექნოლოგიური ცვლილებების ტემპები – მნიშვნელობა აქვს მომავალი დასაქმების დონისათვის.

ისტორიული ფაქტორები:

- პერსონალის ისტორია – ბანკში თანამშრომლებსა და მის ქვედანაყოფებთან არსებული ურთიერთობა;
- მართვის სტილი;
- მოლაპარაკებების წარმართვის სტილი;
- ლოკალური კულტურა.

➢ **კორპორაციული კულტურის საწყისი**

ბანკის ფუნქციონირება შეუძლებელია, თუ მისი თანამშრომლები აუცილებელი უნარ-ჩვევების გარდა არ ფლობენ დაწერილ თუ დაუწერელ კანონებს, არ ირჩევენ განსაზღვრულ დამოკიდებულებას თავიანთი სამუშაოს, ბანკის, კლიენტებისა და კოლეგების მიმართ. ზუსტად ეს უნარ-ჩვევები, შეხედულებები, ქცევის ნორმები, ორგანიზაციის წესები ქმნიან ბანკის კორპორაციულ კულტურას.

ბანკის წარმატება შეიძლება უფრო მეტად იყოს დამოკიდებული მის კორპორაციულ კულტურაზე, ვიდრე სხვა ფაქტორებზე. ძლიერი კორპორაციული კულტურა ხელს უწყობს კომუნიკაციას და გადაწყვეტილებების მიღების პროცესს. კორპორაციული კულტურის უძლიერეს მხარეს წარმოადგენს მისი არაფორმალური ზემოქმედება ახალგაზრდა პერსონალზე, პირადი და პრო-

ფესიული ჩვევების განვითარებით, მოქმედი წესებისა და ნორმების მეშვეობით, რომელსაც განუხრელად იცავენ მისი წამყვანი სპეციალისტები და გამოცდილი თანამშრომლები.

ყველა ორგანიზაციისთვის დამახასიათებელია საკუთარი ფილოსოფია და პრინციპები, პრობლემების გადაჭრის (გადაწყვეტილების მიღების) მეთოდები, საკუთარი საქმიანი პრაქტიკა, ფასეულობების კოდექსი, აგრეთვე, შიდა ურთიერთობების თავისებური სისტემა. ყველა ეს კომპონენტი აყალიბებს ცნებას – „კორპორაციული კულტურა“.

✓ *ბანკის კორპორაციული კულტურა დაკავშირებულია ორგანიზაციის ფასეულობებთან, რწმენასთან, ტრადიციებთან, მუშაობის სტილთან და შიდა გარემოსთან.*

კორპორაციული კულტურის საფუძველია ორგანიზაციის რწმენა და ფილოსოფია, რომელიც განსაზღვრავს, თუ როგორ უნდა წარმართოს მან საქმე ამგვარად და არა სხვა სახით, შესაბამისი მიზეზების დასაბუთებით.

კორპორაციული კულტურა არ არის სტატიკური, ის გარკვეულად იცვლება ეკონომიკაში წარმოშობილ ცვლილებებთან ერთად.

➢ **კორპორაციული კულტურის ძალა**

მენეჯერები ამტკიცებენ, რომ კორპორაციული კულტურა ის ფაქტორია, რომელმაც დადებითი ან უარყოფითი ზემოქმედება უნდა იქონიოს კორპორაციული სტრატეგიის წარმატებით განხორციელებაზე.

აღსანიშნავია შემდეგი პარამეტრები, რომლებიც დამახასიათებელია ძლიერი კორპორაციული კულტურისათვის:

- საქმიანობის შედეგების მიმართ ყურადღება;
- „კლიენტი ყურადღების ცენტრში“;
- შედეგებზე პირადი პასუხისმგებლობა;
- კარიერული წინსვლა შესაძლებლობების მიხედვით;
- დაჯილდოება ძლიერია დასჯაზე;
- ღია ურთიერთობები;
- აქტიური ხელმძღვანელი, რომელიც მონაწილეობს ბანკის ყველა საქმიანობაში.

✓ *ძლიერი კორპორაციული კულტურა და მისი მჭიდრო კავშირი ბანკის სტრატეგიასთან არის მუშაობის გაუმჯობესების მიზნით პერსონალის მართვის ძლიერი ბერკეტი.*

➢ **ძლიერი და სუსტი კორპორაციული კულტურა**

კორპორაციული კულტურა სხვადასხვა ბანკში განსხვავებულად ზემოქმედებს პერსონალის საქმიანობასა და ქცევის ნორმებზე.

▪ კორპორაციული კულტურა შეიძლება იყოს სუსტი და განზოგადებული, თუ ბანკში არსებობს მრავალი სუბკულტურა, არ არის ერთიანი ფასეულობები, ქცევის ნორმები და ტრადიციები.

▪ კორპორაციულმა კულტურამ შეიძლება ძლიერი ზეგავლენა მოახდინოს ბანკის საქმიანობაზე იმ შემთხვევაში, თუ ეს საქმიანობა ხორციელდება მკვეთრად განსაზღვრული პრინციპების შესაბამისად, მენეჯერები კი ამ პრინციპებს განუმარტავენ პერსონალს.

✓ *ძლიერი კულტურა კორპორაციისათვის მნიშვნელოვანია მაშინ, როცა ის შეესაბამება სტრატეგიას და პირიქით.*

ძლიერი კორპორაციული კულტურის შექმნაზე გავლენას ახდენს:

- ძლიერი ლიდერი, რომელიც აწესებს ქცევის პრინციპებს;
- ბანკის ხელმძღვანელობის განზრახვა – იმოქმედოს დადგენილი ტრადიციების შესაბამისად;
- მუდმივი ზრუნვა მყიდველებზე, თანამშრომლებსა და აქციონერებზე

საბანკო ბიზნესში ლიდერობა, პერსონალის მცირე რაოდენობა და კომპანიის ხელმძღვანელთა პოსტზე ხანგრძლივი ყოფნა ხელს უწყობს მყარი კორპორაციული კულტურის შექმნას.

➢ **ნაკლებად განვითარებული, არაჯანსაღი კორპორაციული კულტურა**

არაჯანსაღი კორპორაციული კულტურის თავისებურებებია:

- გავლენიანი ხელმძღვანელები ატარებენ საკუთარ პოლიტიკას და ეწინააღმდეგებიან ცვლილებებს;
- ინოვაციებისადმი ფრთხილი, მტრული დამოკიდებულება;
- თანამდებობაზე წინსვლა იმ მენეჯერებისა, რომლებიც უპირატესობას ანიჭებენ უფრო ბანკის ორგანიზაციულ სტრუქტურას, ბიუჯეტს, პერსონალზე კონტროლის სისტემას, ვიდრე სტრატეგიებს და კორპორაციულ კულტურას;
- აღინიშნება, რომ ასეთი ხელმძღვანელობის დონეზე მათ არ ყოფნით სამეწარმეო საქმიანობის უნარი და გამოცდილება სტრატეგიული მართვისათვის;
- სხვისი გამოცდილების გადმოღების უუნარობა და სურვილის არქონა.

დიდხანს ბანკის ლიდერად ყოფნის შემთხვევაში მათ ეჩვენებათ, რომ ყველაფერი იციან. შეზღუდული აზროვნება და ე.წ. უპირატესობის სინდრომი ბანკის დაცემის წინაპირობაა.

ზოგჯერ ცვლილებებს კორპორაციულ კულტურაში წარმატებით აღწევს მენეჯერთა მცირე ჯგუფი, მაგრამ გავლენიანმა უმრავლესობამ შეიძლება დააზიანოს ახალი კორპორაციული კულტურის საწყისი და წინ აღუდგეს პროგრესს.

➢ **ადაპტირებადი კორპორაციული კულტურა**

ბაზარზე არსებული მუდმივი ცვლილებების პირობებში, ბანკის პოზიციების შენარჩუნებისათვის მნიშვნელოვანია ახალი მეთოდების სწრაფი დანერგვისა და სტრატეგიის ცვლილების უნარი. ამისათვის აუცილებელია ისეთი ტიპის კორპორაციული კულტურა, რომელიც ბანკს დაეხმარება მოახდინოს ადაპტაცია ბაზრის ახალ პირობებთან.

ადაპტირებადი კულტურის ორი განსხვავებული ნიშანია:

- ხელმძღვანელები დიდ ყურადღებას უთმობენ საბანკო ბიზნესის მუდმივ პრინციპებს და იმათ, ვინც არ არის ორგანიზაციის ნამდვილი წევრი: მომხმარებლებს, თანამშრომლებს, აქციის მფლობელებს, მომწოდებლებს, ვიდრე ნებისმიერ კონკრეტულ სტრატეგიასა და საქმიან პრაქტიკას.
- მენეჯერების არსებობა, რომლებსაც აქვთ უნარი წავიდნენ რისკზე, ექსპერიმენტზე, ინოვაციაზე, სტრატეგიის შეცვლაზე.

✓ *ადაპტირებადი კორპორაციული კულტურა ხელმძღვანელების საიმედო მოკავშირეა სტრატეგიების რეალიზაციის დროს.*

➢ **სტრატეგიასა და კულტურას შორის შესაბამისობის შექმნა**

კორპორაციული კულტურის სტრატეგიასთან შესაბამისობაში მოყვანა საკმაოდ რთული ამოცანაა.

- პირველი ნაბიჯია იმის გარკვევა, თუ არსებული კულტურის რომელი ასპექტია სტრატეგიულად მხარდამჭერი და რომელი – არა.
- მენეჯერებმა ღიად და პირდაპირ უნდა განაცხადონ ყველა დაინტერესებული მხარისათვის კულტურის აუცილებელი ცვლილებების შესახებ.

მოქმედება, რომელიც გასაგებია თითოეულისათვის, ხელს უწყობს სტრატეგიის შესაბამისი ახალი კულტურის შექმნას. ის შეიძლება იყოს:

- რეალური;
- სიმბოლური.

სიმბოლური მოქმედებების დროს, იმპულსების წყალობით ხდება თანამშრომლების ქცევის ხასიათის ფორმირება.

მთავარი სიმბოლური მოქმედებებია:

- დანახარჯების შემცირება ხელმძღვანელთა დამატებითი ანაზღაურების შემცირებით;
- მომხმარებელთა მოთხოვნებზე რეაქცია, კლიენტებთან საუბარი;
- სამუშაოს სტილისა და პოლიტიკის ცვლილებისათვის ინიცირება;
- ახალი გმირის გამოვლენა.

✓ *დაჯილდოების ცერემონია, ქცევის ეტალონი და სხვა სიმბოლოები კორპორაციული კულტურის შექმნისათვის მენეჯერის მუშაობის მნიშვნელოვანი ნაწილია.*

მენეჯერმა უნდა დაარწმუნოს თანამშრომლები, რომ მათი მოქმედება ზედაპირულ ხასიათს არ ატარებს.

უმაღლესმა ხელმძღვანელობამ პირადი მაგალითი უნდა მისცეს თავის თანამშრომლებს.

სტრატეგიისა და კულტურის შეთანაწყობა ხანგრძლივი ხასიათისაა.

➢ **ეთიკური ნორმებისა და ფასეულობების სისტემის ჩამოყალიბება**

ეთიკურ პრინციპებსა და საერთო ფასეულობებზე დაფუძნებული ძლიერი კორპორაციული კულტურა სტრატეგიული წარმატების საწინდარია.

დადებითი ფასეულობები და ეთიკური ნორმები პოზიტიურ იმპულსს აძლევს მთელ კორპორაციულ კულტურას.

ფასეულობის სისტემისა და კომპანიის ქცევის კოდექსის შინაარსი

რას მოიცავს ფასეულობის სისტემა	**რას მოიცავს ქცევის კოდექსი**
• მომხმარებლის და მისი მომსახურების მნიშვნელობა; • ხარისხზე ზრუნვა; • ინოვაციების განვითარება; • თანამშრომლის პატივისცემა; • კეთილსინდისიერების, თანამშრომლობის ეთიკური ნორმების პრიორიტეტი; • აქციონერთა ინტერესების პატივისცემა; • მიმწოდებელთა ინტერესების პატივისცემა; • გარემოს დაცვა; • კორპორაციული ერთიანობა.	• პატიოსნება და კანონის დაცვა; • ინტერესების შეჯახება; • კონკურენტული ბრძოლის პატიოსნური მეთოდები; • შიდა ინფორმაციის გამოყენება და უსაფრთხო ვაჭრობა; • მიმწოდებლებთან ურთიერთობა და ვაჭრობის პრაქტიკა; • სხვების შესახებ ინფორმაციის გამოყენება; • პოლიტიკური საქმიანობა; • კომპანიის აქტივების, რესურსების გამოყენება; • კერძო ინფორმაციის დაცვა; • ფასების დადგენა.

ქცევის ახალი კოდექსისა და ფასეულობების სისტემის დანერგვისათვის საჭირო ღონისძიებები:

- პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებისა და სწავლების პროგრამაში ახალი ფასეულობებისა და ეთიკური ნორმების ჩართვა;
- პერსონალის დაქირავების დროს ყურადღების გამახვილება ახალ ფასეულობებთან შესაბამისობის მიმართ;

- ეთიკური ნორმებისა და ახალი ფასეულობების შინაარსის გაცნობა ყველა თანამშრომლისათვის.

✓ *ეთიკური ნორმებისა და ფასეულობების სისტემა უნდა იყოს არა მარტო განსაზღვრული, არამედ ინტეგრირებული კორპორაციის კულტურაში.*

კორპორაციული კულტურის ფორმირებისას, ადამიანური რესურსების სამსახური ვალდებულია, წარმოადგინოს მოქმედებების კომპლექსი, დავალებების გადაწყვეტისათვის. კონკრეტული ღონისძიებები შეიძლება იყოს შემდეგი:

1. ახალი თანამშრომლების მიღების ნათელი რიტუალი (ბუკლეტი, რომელიც მოიცავს აუცილებელ ინფორმაციას ბანკისა და მისი განყოფილებების შესახებ; სამუშაოზე მიღების დღეს საშვის და ტელეფონების ცნობარის გადაცემა; ახალბედების ადაპტაციის ორგანიზება; ახალბედების სწავლება).

2. ბანკის თანამშრომლებს შორის პროფესიული კონკურსების მოწყობა, სტიმულირების განსაკუთრებული რიტუალების შემუშავება, მაგალითად, „წლის ადამიანი“ ბანკში. აქ მთავარია საჯარო სტიმულირება, უმჯობესია ოჯახის წევრების მოწვევა.

3. თანამშრომლების კარიერის დაგეგმვა (ხელშეწყობა სწავლაში, სტაჟირება, გადაადგილება).

4. თანამშრომლების შვილებისათვის სკოლების, ლიცეუმების ქსელის შექმნა (განსაკუთრებით ხარისხიანი პროგრამების სწავლება, რომლებიც საბანკო სპეციალობების მიღებას ხელს შეუწყობდა).

5. თანამშრომლებისათვის მასტიმულირებელი შეღავათების დაწესება (რაც დამოკიდებული იქნება მათ მიერ ნამუშევარი წლების რიცხვზე, მაგალითად 5 წელი ან მეტი.

6. ბანკის თანამშრომლებზე მომსახურების ასორტიმენტის გაფართოება (იურიდიული, საინფორმაციო, სატრანსპორტო და ა.შ.).

7. ბანკის თანამშრომლებისათვის სარეკლამო მასალებისა და სუვენირების გამოშვების გაფართოება (საათები, ჰალსტუხები, ბლოკნოტები და ა.შ.).

8. ბანკის დაარსების დღის დაწესება უქმე დღის სტატუსით (შესაძლებლობის ფარგლებში).

9. თანამშრომლებისათვის მსხვილ საყიდლებზე და დაბანდებებზე (სწავლა, მკურნალობა) გრძელვადიანი კრედიტების გაცემა.

10. საკუთარი სამედიცინო და დასვენების ცენტრების შექმნა.

11. ბანკის განყოფილებების დაარსების დღის დაწესება, საერთო გასვლებით და დასვენებით, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს ბანკის ხელმძღვანელობა.

12. ბანკის შესახებ ვიდეომასალების შექმნა.

13. თანამშრომლებისათვის სადაზღვევო და საპენსიო ფონდების ფორმირების ხელშეწყობა.

14. ფილიალების თანამშრომლების რეგულარული ინფორმირება, ბანკის მიღწევების შესახებ.

15. ბანკის თანამშრომლების მიერ შეთავაზებული წინადადებების შეკრებისა და რეალიზაციის სისტემის შექმნა.

გასაგებია, რომ გარდა ზემოთ აღნიშნულისა, შესაძლებელია ჩატარდეს სხვა ღონისძიებებიც. მთავარია, რომ ეს ღონისძიებები იყოს მომართული ბანკის მიმზიდველობის ფორმირებისაკენ, რითაც დაკავშირებულია ერთმანეთთან თითოეული თანამშრომელი, რომლებსაც გულწრფელად სურთ იმუშაონ ნაყოფიერად და ხანგრძლივად.

➢ **კორპორაციულ კულტურაში სრულყოფის კულტის შექმნა**

ორგანიზაცია, რომლისათვისაც დამახასიათებელია სრულყოფის კულტი, განსაკუთრებულ აქცენტს აკეთებს თავის მიღწევებსა და უპირატესობებზე. ბანკის კორპორაციული კულტურა ორი-

ენტირებულია შედეგზე, ხოლო მმართველობა ახდენს თანამშრომლების აქტივიზაციას სამუშაოს უკეთესად შესრულებისათვის.

მნიშვნელოვანი ხდება იმ თანამშრომლების გამოყოფა და წახალისება, რომლებიც მიისწრაფვიან მაღალი შედეგებისაკენ:

- ბანკის უმაღლესი ხელმძღვანელობა ახალისებს იმათ, ვინც დარწმუნებულია საკუთარ იდეებში, ვისაც შესწევს უნარი, გადალახოს ბიუროკრატიული ბარიერი, შექმნას ახალი პროდუქტი;
- ბანკი აწყობს აქციას, რომელიც მიზნად ისახავს, თითოეულმა წარმატებულმა თანამშრომელმა თავი იგრძნოს, როგორც ბანკის ორგანულმა ნაწილმა;
- ზოგიერთი ბანკი ხაზს უსვამს თითოეული თანამშრომლის მნიშვნელობასა და სტატუსს. ღირსეულად ფასდება თითოეულის შრომა;
- ზოგიერთი ბანკი სამ თვეში ერთხელ ატარებს კორპორაციულ შეხვედრებს. თანამშრომლები წარმატების მიღწევისათვის ახდენენ გამოცდილებისა და იდეების გაზიარებას.

სრულყოფილი კომპლექსური სისტემა შედგება პრაქტიკული მეთოდების, სიტყვების, სიმბოლოების, მართვის სტილის, ფასეულობებისა და პოლიტიკური სახეებისაგან, რომელთა ერთობლიობით, უბრალო ადამიანების მუშაობით წარმატებული შედეგი მიიღწევა.

ნოდარ ხარაიშვილი

ძირითადი ფინანსური პარამეტრების ანალიზი მცირე ბიზნესის საწარმოებში

მცირე ბიზნესის სასიცოცხლო ციკლი არის საწარმოს საქმიანობის საგნის შემადგენელი საქონლის სასიცოცხლო ციკლი. მცირე ბიზნესის **სასიცოცხლო ციკლის ოთხი ძირითადი ეტაპი** შეიძლება გამოიყოს:

I ეტაპი მოიცავს მეცნიერულ კვლევას, ტექნოლოგიების შემუშავებას და საქონლის კომერციული სქემის ჩამოყალიბებას. აღნიშნული (რა თქმა უნდა, ეკონომიკური და არა იურიდიული თვალსაზრისით) საწარმოს საწყის პერიოდს შეესაბამება.

II ეტაპი მოიცავს საქონლის წარმოების დაწყებას და ბაზარზე მის გატანას. აღნიშნული საწარმოს „სიყმაწვილის“ პერიოდს მიეკუთვნება, რომელიც პირველ ნაბიჯებს დგამს.;

III ეტაპი მოიცავს საქონლის კომერციული წარმატების პერიოდს. აღნიშნული საწარმოს „სიმწიფის“ პერიოდს მიეკუთვნება;

IV ეტაპი მოიცავს საქონლის ბაზრის დეგრადაციას. აღნიშნული საწარმოს სასიცოცხლო „დაისის“ მოახლოების პერიოდია.

მოცემული სქემა წარმოშობს ორ სერიოზულ კითხვას:

- **როგორ უნდა მოხერხდეს, რომ თავისი „გასაღებითი გზის“ დასასრულს მიახლოებულ საქონელთან ერთად, თვით საწარმოც არ „კვდებოდეს“?** ალბათ, დროულად უნდა მოხდეს არამოთხოვნად საქონელზე უარის თქმა და აღნიშნული მომენტისათვის მომზადდეს ახალი საქონლის გამოშვების შესაძლებლობა. ამ შემთხვევისათვის მთავარი თეზისი შეიძლება შემდეგი სახით იქნეს ჩამოყალიბებული: ერთდროულად არა ერთი, არამედ რამდენიმე საქონლის გამოშვების შესაძლებლობების არსებობა საწარმოსთან მიმართებაში ამცირებს რენტაბლობის ზღვარს და შემოსავლიანობის საჭირო დონე ადვილად მიიღწევა.
- **როგორია მცირე ბიზნესის საწარმოს თითოეული სასიცოცხლო ციკლის ეტაპების თავისებურებები, რომლებიც ფინანსურ პოლიტიკაში უნდა იქნენ გათვალისწინებული?**

ამრიგად, **პირველ ეტაპზე** (კვლევები, ტექნოლოგიებისა და კომერციული ჩანაფიქრის შექმნა) ამონაგები, პრაქტიკულად, ნულის ტოლია, ხოლო საწარმოს ფულადი ნაკადები – უარყოფითი, იმიტომ, რომ დანახარჯები კვლევებზე, შრომის ანაზღაურებაზე და სხვებზე არ იფარება შემოსავლებით. ძალიან მაღალია განუსაზღვრელობა, ხოლო, აქედან გამომდინარე, რისკიც: საქონლის წარმოება და კომერციალიზაცია დროის საკმარისად ხანგრძლივ ინტერვალში მნიშვნელოვან ინვესტიციებს მოითხოვენ. მკვლევარების მიერ, განვითარების მოცემულ ეტაპზე, საწარმოების 70%-იანი „სიკვდილიანობა“ არის დაფიქსირებული. მრავალი მკვლევარი სწორედ აღნიშნულ ეტაპზე რისკს მაქსიმალურად მიიჩნევს. აღნიშნულ საშიშ ეტაპზე საწარმოს ხელმძღვანელი საბანკო კრედიტის მიღებაზე ძნელად თუ გაიფიქრებს. ყველაზე ხშირად საწარმო, ძირითადად, მფლობელის საკუთარი, მისი ოჯახის წევრებისა და ახლო მეგობრების სახსრებზე „ცხოვრობს“. ზოგიერთებმა შეიძლება სპონსორული დახმარების მიღებაც შეძლონ.

მეორე ეტაპზე (წარმოების დაწყება და ბაზარზე გასვლა), თუ საკუთარი და მოზიდული სახსრები არასაკმარისია საბაზისო ხარჯების თუნდაც ნაწილის დასაფარად (მოწყობილობის შეძენა, საწყისი საქმიანობის მოგვარება და ა.შ.), მრავალმა საწარმომ შეიძლება ეს ვერ დაძლიოს. მაგრამ, თუ მაინც შეძლო წარმოების დაწყება და რეალიზაცია, მაშინ გათვალისწინებულ უნდა იქნეს, რომ აღნიშნულ სტადიაზე მკვეთრად იზრდება დანახარჯები და არა შემოსავლები. ფულადი ნაკადები ჯერჯერობით „სიღრმისეულად უარყოფითია“. „სიკვდილიანობა“ ამ პერიოდში წინა სტადიაგადალახული მცირე საწარმოების რიცხოვნობის 30-50%-ს შეადგენს. აღნიშნული ეტაპის მთავარი ამოცანებია: რაც შეიძლება ეკონომიკურად იქნეს გამოყენებული საბრუნავი საშუალებები, აგრეთვე, განხორციელდეს მცდელობა გარე დაფინანსების მიღებაზე, თუმცა აღნიშნული არც ისე იოლია საწარმოს მიერ გენერირებადი მაღალი რისკის ფონზე.

მესამე ეტაპზე საწარმო კომერციული წარმატების მიღწევას ცდილობს. საფინანსო-სამეურნეო მდგომარეობა უმჯობესდება, თუმცა ბრუნვის ნაზარდის ტემპები რამდენადმე შემცირებულია მეორე ეტაპის მაჩვენებელთან მიმართებაში (ამონაგების ზრდის თითოეული პროცენტი მეტს „იწონის“ აბსოლუტურ გამოსახულებაში). ფულადი ნაკადები უკვე დადებითია, რადგანაც ამონაგები იზრდება და, მოსალოდნელია, რომ იგი აღრინდელი დაგროვებული და გარდაუვალი ახალი მიმდინარე ხარჯების გადასაფარავად საკმარისი გახდეს. წარმოებისა და გასაღებითი მასშტაბების გადიდების ეფექტიდან გამომდინარე, ასევე, შესაძლებელია პროდუქციის ერთეულზე დანახარჯების ეკონომიის მიღწევა. ახლა უკვე საწარმოს შეიძლება სამეწარმეო, აგრეთვე, კომერციული პრობლემები წარმოეშვას: საჭიროა სავაჭრო ქსელის შექმნა ან გაძლიერება, რეკლამის გაკეთება და ა.შ. არც ისე იშვიათად შეიძლება ბაზრის რეაქციის შედეგების მიხედვით საქონლის ტექნიკური გაუმჯობესების (სრულყოფის) საჭიროებაც წარმოიშვას. ყოველივე აღნიშნულს ფული სჭირდება. მაგრამ უკვე უფრო მომწიფებულ, დადებითი საკრედიტო ისტორიის მქონე, ფინანსურ მიმართებაში მეტად მოძლიერებულ და ნაკლები რისკის გენერირებად საწარმოს, საბანკო კრედიტის სახით გარე ფინანსირების უფრო იოლად მიღების შესაძლებლობაც უჩნდება. ზოგიერთ საწარმოს აქციონერულ საზოგადოებად გარდაქმნის და, აქედან გამომდინარე, აქციების გამოშვებაზე სახსრების მობილიზების შესაძლებლობაც წარმოეშობა.

სამწუხარო **მეოთხე ეტაპი** სასურველია თავიდან იქნეს აცილებული. ცხოვრება გვიჩვენებს, რომ სტრატეგიულად იგებს ის, ვინც წინა პერიოდის ფინანსური შედეგების ნაწილობრივ შემცირების ხარჯზე, წინასწარ ახორციელებს ახალი საქონლის დამუშავებაზე და დანერგვაზე ხარჯების ანაზღაურებას. წინააღმდეგ შემთხვევაში უფულობის პერიოდის, სიყმაწვილისა და მომწიფებაში შესვლის ეტაპების თავიდან დაწყება გახდება საჭირო.

გაფართოებაზე ორიენტირებული მცირე ფირმის ამოცანაა გაფართოება უფრო ეფექტიანი ხერხებით განხორციელდეს. ასეთი სახის კომპანიები სტრატეგიული გადაწყვეტილების მიღების აუცილებლობას აწყდებიან სხვადასხვა სფეროში: მარკეტინგში, ახალი საქონლის წარმოებაში და მრავალ სხვაში, რომელთა რიცხვში დაფინანსების პრობლემა ერთ-ერთი ყველაზე უმნიშვნელოვანესია. ყველაზე ხშირად პრობლემა მოკლევადიანი დაფინანსების საბანკო სესხებისა და კრედიტორული დავალიანების, მარაგებისა და ძირითადი საშუალებების გამოყენებაში მდგომარეობს, რაზედაც საწარმოს ფინანსურმა მენეჯერებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა გაამახვილონ.

მცირე ბიზნესის ფინანსური მენეჯმენტის თავისებურებები: მსხვილ და მცირე ბიზნესს შორის არსებითი განსხვავებები არსებობს. ყველაზე მნიშვნელოვანი (და ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული) განსხვავებები მდგო-

მარეობს: რესურსებისადმი მიღწევადობაში, მიზნების დასმაში, რისკების თავისთავზე აღებაში და ლიკვიდობის დონეში, რომლებიც უფრო დეტალურად ქვემოთ იქნება განხილული:

• **საფინანსო და ფულად გაზრდებზე შეღწევადობა მცირე საწარმოებისათვის მეტად რთულია:** აქციების ემისიაზე, უმეტეს შემთხვევაში, საუბარიც კი ზედმეტია, ხოლო კრედიტის მიღება შეუძლებელი ხდება არა მარტო მისი სიძვირის, არამედ საწარმოს რისკიანი ფინანსური მდგომარეობისა და საკრედიტო ისტორიის არარსებობის გამო. ასეთ პირობებში მცირე ბიზნესი მხოლოდ ხელმძღვანელის ტალანტზე, მის სიმარჯვეზე და გამომგონებლობაზე (გამჭრიახობა), საქმიანობისათვის საჭირო ფულადი სახსრების „შოვნაზეა" დამოკიდებული.

• **მცირე საწარმო, ჩვეულებრივ, თავის წინაშე აქციის კურსის, კაპიტალიზაციის მაჩვენებლის (აქციების ჯამური საკურსო ღირებულება) და დივიდენდის დონის მაქსიმიზაციის მიზანს არ ისახავს.** მცირე ბიზნესის ღირებულება ფინანსური ბაზრის მიერ საჯაროდ არ ფასდება და მისი განსაზღვრა ძალიან ძნელია, მაგრამ, პრინციპში, მცირე საწარმოების მფლობელები მეტად დაინტერესებულები არიან თავიანთი საწარმოების საბაზრო ღირებულების მაქსიმიზაციაში: ერთნი ოცნებობენ ადრე თუ გვიან გამოუშვან აქციები და მისი მეშვეობით საბირჟო კოტირების „ნათელ გზაზე" გავიდნენ, სხვებს სურთ „ძვირად" მიეყიდონ მსხვილ კომპანიას. არც ისე იშვიათობაა, პირობითად საპირისპიროც, უშუალოდ პირადულიც, მაგრამ არანაკლებ პატივისცემას იმსახურებს საქმიანობის მოტივაცია: „მინდა საკუთარი თავის ბატონ-პატრონი ვიყო". ამ შემთხვევაში, საერთოდ, საწარმოს საბაზრო ღირებულების მაქსიმიზაციისა და მისი რენტაბელობის ამაღლების საკითხი მეორე „რიგითობაზე" გადადის. ასეთი სახის მოტივაციისას, მესაკუთრე, ჩვეულებრივ, ახალი პოტენციალური თანამფლობელების შენატანებით საწარმოს კაპიტალის შევსებას თავს არიდებს, თუნდაც ამის ეკონომიკური მიზანშეწონილობა და ყველა საჭირო ფინანსური და იურიდიული წინაპირობები არსებობდეს.

• **მცირე ბიზნესში რისკების განსხვავებული სახის ნაკრებია, სხვა დონე და სხვა იერარქიაა, ვიდრე მსხვილ კომპანიებში.** მცირე ფირმის მესაკუთრის კეთილდღეობა და, თუნდაც, ბედი მის წარმატებაზე ან წარუმატებლობაზე პირდაპირ არის დამოკიდებული. პირადი ინვესტიციების პორტფელის დივერსიფიკაციის შესაძლებლობები მცირე ბიზნესის მფლობელისათვის, ასევე, საკუთარი საწარმოს ჰორიზონტითაა შეზღუდული: ნებისმიერი ზედმეტი თეთრი მაშინვე ჩაიდება საქმეში. ამრიგად, მცირე საწარმოს მესაკუთრე თავისთავზე უფრო მეტად დიდ რისკს იღებს, ვიდრე სააქციო საზოგადოების აქციის მფლობელები, რომლებსაც ნებისმიერ მომენტში შეუძლიათ გაასხვისონ აქციები და/ან საკუთარი პორტფელის დივერსიფიცირება მოახდინონ.

ისმება კითხვა იმის შესახებ, უკუგებადია თუ არა ამაღლებული რისკი და შემოსავლიანობის ამაღლებული დონით საოჯახო ბიუჯეტიდან ფულის პირდაპირი გავრცობა?

საერთოდ, შეიძლება აღინიშნოს, რომ მცირე საწარმოს მისი არსებობის საწყის სტადიებზე თან ახლავს უდიდესი რისკის მცირე შემოსავლიანობასთან პარადოქსული შეხამება. ამიტომ კერძო დაფინანსება (ბანკების კრედიტები, მეურნე სუბიექტების კერძო სექტორის, ფიზიკური პირების ინვესტირება) მცირე ბიზნესისათვის მეტად გართულებულია. ამდენად, მოცემულ სტადიებზე მცირე ბიზნესის განვითარებაში დაინტერესებული საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და სახელმწიფოს მხრიდან დახმარების განხორციელება უპირიანი იქნებოდა.

მცირე ბიზნესის საწარმოებს, როგორც წესი, მსხვილ საწარმოებთან შედარებით, დადაბლებული ლიკვიდობის დონე გააჩნიათ. მცირე ბიზნესის თავისებურებები მცირე საწარმოების საფინანსო-სამეურნეო მდგომარეობის მაჩვენებლების, როგორც უცხოეთის, ასევე, ეროვნული მდიდარი სტატისტიკით დასტურდება (იხ. ცხრ. 15.1):

ცხრილი 15.1.
სტატისტიკური მონაცემები მცირე და მსხვილი საწარმოების მიხედვით (ამერიკელი მკვლევარების უ. უოლკერის და ჯ.უ.ჰეტის მონაცემები)

მაჩვენებელი	მაჩვენებლის საშუალო მნიშვნელობა	
	მცირე ბიზნესის საწარმოები	მსხვილი საწარმოები
ა) ლიკვიდობისა და ბრუნვადობის მაჩვენებლები:		
• მიმდინარე ლიკვიდობის კოეფიციენტი (მიმდინარე აქტივები/მიმდინარე პასივები)	2,00	2,77
• დებიტორიული დავალიანების ბრუნვადობა (ამონაგები/დებიტორული დავალიანება)	7,04	6,40
• მარაგების ბრუვნადობა	8,47	5,31
• ბრუნვადობა ძირითადი აქტივების (ამონაგები /ძირითადი აქტივები)	9,40	3,50
ბ) რენტაბელობის მაჩვენებელი:		
• სუფთა კომერციული მარჟა (სუფთა მოგება/ამონაგები)	10,91%	9,20%
გ) სახსრების წყაროების სტრუქტურის მაჩვენებლები:		
• ნასესხები სახსრების წილი პასივების საერთო ჯამში	49,00%	38,06%
• მიმდინარე ვალდებულებების წილი ნასესხები სახსრების საერთო ჯამში.	83,70%	62,99%
დ) სამეწარმეო რისკის მაჩვენებელი:		
• ინვესტიციის ექსპლოატაციის ნეტტო-შედეგის ვარიაცია (იენშ)	?21,94% იენშ-ის საშუალო დონიდან	?7,71% იენშ-ის საშუალო დონიდან
ე) დივიდენდური პოლიტიკის მაჩვენებელი:		
• სუფთა მოგების წილი მიმართული დივიდენდების გადახდაზე.	2,9%	40,52%

ქვემოთ, შევეცადოთ მოცემული პირობითი მონაცემების უფრო დეტალური ანალიზი გავაკეთოთ. უპირველეს ყოვლისა, თვალში საცემია სრულიად განსხვავებული დივიდენდური პოლიტიკა, რომელიც მოწმობს არა მხოლოდ არაერთნაირ შესაძლებლობებზე, არამედ მცირე და მსხვილი საწარმოების სხვადასხვა მიზნებზეც. თუ მსხვილი საწარმოები თავიანთ აქციონერებს სუფთა მოგების 40%-ზე მეტს უხდიან, მცირე ბიზნესის საწარმოები, სიმბოლურად, აღნიშნულ საკითხზე, საშუალოდ, მხოლოდ 3%-მდე ხარჯავენ. ამასთან, საყურადღებო ფაქტია: დივიდენდურ პოლიტიკაში განსხვავება შენარჩუნებულია მაშინაც კი, როდესაც მცირე საწარმო სააქციო საზოგადოებად გარდაიქმნება და საფონდო ბაზარზე გადის.

ასევე, არ შეიძლება არ აღინიშნოს მცირე საწარმოების დაბალი ლიკვიდობა მსხვილ საწარმოებთან შედარებით (მცირე ბიზნესისათვის მიმდინარე ლიკვიდობის საშუალო მაჩვენებელი მიუთითებს, რომ მიმდინარე პასივები ორმაგად მეტია მიმდინარე აქტივებთან მიმართებაში, ხოლო აღნიშნული თანაფარდობა მსხვილი საწარმოებისათვის თითქმის სამმაგად მეტია). აღნიშნული ნიშნავს, რომ მცირე საწარმო თავისი მიმდინარე ვალდებულების შესასრულებლად „ცოცხალი ფულის“ მობილიზაციასთან, კრედიტორულ დავალიანებასა და საბანკო კრედიტთან მიმართებაში მნიშვნელოვნად მეტ სიძნელეებს განიცდის, ანუ მთლიანობაში ნაკლებად გადახდისუნარიანია, ვიდრე მსხვილი საწარმოები.

ისმება კითხვა, თუ რის ხარჯზეა მცირე საწარმო ნაკლებად ლიკვიდური? ცხრილური ციფრები აღნიშნულ კითხვაზე ასეთ პასუხებს იძლევა:

• მცირე ბიზნესში შედარებით ნაკლები ფული ჩაიდება მარაგებში და დებიტორულ დავალიანებაში (ამაზე მიუთითებს მარაგებისა და დებიტორიული დავალიანების ბრუნვადობის უფრო მაღალი მაჩვენებლები);

• მცირე ბიზნესის საწარმოს შედარებით უფრო მაღალი მიმდინარე ვალდებულებები (83,70% ჯამური

დავალიანების) გააჩნია, ვიდრე მსხვილ საწარმოებს (62,99%).

ლიკვიდობა მცირე ფირმის ყველაზე მტკივნეული ადგილია. ამიტომ ჩვენ არაერთხელ უნდა გავიმეოროთ, რომ: **მცირე ბიზნესის ფინანსური მენეჯმენტის უმნიშვნელოვანეს მიზანს საბრუნავი კაპიტალის: მარაგების, დებიტორული დავალიანების, ფულადი სახსრებისა და მოკლევადიანი ვალდებულებების გონივრული მართვა წარმოადგენს. აღნიშნულ ფაქტორებს საწარმოსათვის ლიკვიდური სახსრების საკმარისი რაოდენობა მოაქვთ და მას გადახდისუნარიანს ხდიან.**

საბრუნავი კაპიტალის ეფექტური მართვის აუცილებლობა ნაკარნახევია, სხვა დანარჩენი ფაქტორების გარდა, მცირე საწარმოებისათვის კაპიტალის ბაზრებზე შეღწევადობის გართულებებითაც: რამდენადაც მცირეა სახსრები, ისინი, მით უმეტეს, ისე უნდა იქნენ გამოყენებული, რომ თითოეულ ლარს ეკონომიკური ეფექტის მაქსიმუმი მოჰქონდეს.

მრავალი გამოცდილი და წარმატებული მეწარმე საბრუნავი კაპიტალის რაციონალურ მართვას – ფინანსური მენეჯმენტის ტაქტიკას სწორედ მცირე საწარმოში ფინანსური მუშაობის მთავარ შემადგენლად თვლის. მაგრამ ყველაზე გამოცდილებმა და წარმატებულებმა იციან: **სტრატეგიის გარეშე ტაქტიკა არ არსებობს.** სწორედ ამიტომ სტრატეგია (საინვესტიციო პოლიტიკა) და ტაქტიკა (მიმდინარე აქტივებისა და მიმდინარე პასივების კომპლექსური მართვა) განუყოფელ ერთიანობაში უნდა განიხილებოდეს.

ლიკვიდობის შესახებ განხილვის დასასრულს კონსტატირებას ვახდენთ, რომ მცირე საწარმოების ძალიან ბევრი მფლობელისა და ხელმძღვანელის ამაღლებული მიდრეკილება რისკისადმი ლიკვიდობის შემცირებულ დონეში პოულობს გამოხატულებას. ცხოვრებისეულად, აღნიშნული გასაგებია: ათეული მილიონით რისკის გაწევა უფრო იოლია, ვიდრე ათეული მილიარდით.

სამეწარმეო რისკის ამაღლებული დონის შესახებ მოწმობს ინვესტიციის ექსპლუატაციის ნეტტო შედეგის (ᲘᲔᲜᲨ) ძალიან დიდი ცვალებადობა, რომლის სიდიდე სხვადასხვა პერიოდში მცირე ბიზნესის საწარმოებში შეიძლება საშუალოდან 22%-ით გადაიხაროს ერთ ან მეორე მხარეს. მსხვილ საწარმოებში აღნიშნული მაჩვენებელი სამჯერ „უფრო მშვიდია“ (ნაკლებია) – 7%-ია. ვფიქრობთ, რომ ფინანსური შედეგების ამაღლებულ ვარიაციას ინვესტიციის პორტფელის დივერსიფიკაციის შესაძლებლობების შეზღუდულობა იძლევა, თუნდაც, გეოგრაფიულად. სინამდვილეში, საწარმო, რომელიც იძულებულია „ყველა კვერცხი ერთ კალათაში ჩადოს“, თავისთავს უდიდესი რისკის ქვეშ აყენებს, მიიღოს არა უბრალოდ ზარალი, არამედ ზარალი, რომლის კომპენსიერება სხვა საკუთარი პროექტების ხარჯზე შეუძლებელია იმიტომ, რომ აღნიშნული სხვა პროექტები, უბრალოდ, არ არსებობს. რაც შეეხება ფინანსურ რისკს, მისი ამაღლებული დონის შესახებ მეტყველებს ნასესხებ დაფინანსებაზე უფრო გამოხატული ორიენტაცია (ვალდებულებები შეადგენენ მცირე საწარმოებისათვის 49%-ს, ხოლო მსხვილი ფირმებისათვის – 38,06%-ს), შეხამებაში მოკლევადიანი კრედიტის სიჭარბისაკენ ნათლად გამოხატული ტენდენციით..

საინტერესოა მსჯელობა **ანალიზის პრობლემების შესახებ,** რომლებიც მცირე საწარმოს ფინანსური მდგრადობის შეფასებისას წარმოიქმნება. მცირე საწარმოს **საქმიანობის ფინანსური ანალიზის მთავარ ინსტრუმენტს კოეფიციენტური მეთოდი** წარმოადგენს. მაგრამ მცირე ფირმის მდგომარეობის რეალისტურად შეფასებისათვის მის გამოყენებას ხელს უშლის ანგარიშგებაში წარმოდგენილი მონაცემების ადეკვატურობაში არასაკმარისი რწმენა. თუ ეჭვები მოხსნილია, **უკეთესი მეთოდი, ვიდრე ფინანსური კოეფიციენტების გაანგარიშებაა, არ არსებობს.** საჭირო იქნება გაანალიზებულ იქნეს საწარმოს გადახდისუნარიანობა, ლიკვიდობა, საქმიანი და საბაზრო აქტიურობა.

ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების მონაცემების უტყუარობის პრობლემას მივყავართ მოსაზრებამდე საქმიანი ურთიერთობების კულტურისა და ეთიკის შესახებ, გადასახადებით დაბეგვრის ცნობილი ასპექტების შესახებ, თუმცა საკითხის ამდენად გამუქებაც ბოლომდე სამართლიანი ვერ იქნება. ჩვენთვის აქ მართლაც უფრო მნიშვნელოვანია სხვა რამ: **დიდი ხნით ადრეა შემჩნეული, რომ დაუდევარი, უკოდინარი ბუღალტერია და ანგარიშგება უტყუარად ცუდ ფინანსურ მენეჯმენტზე მიუთითებს.** სინამდვილეში შეუძლებელია რაციონალური ფინანსური გადაწყვეტილებების მიღება დამახინჯებული მონაცემების საფუძველზე ან საერთოდ ასეთების არ არსებობის პირობებში. საპირისპიროდ, უკუმიმართულებით აღნიშნული წესი არ მუშაობს: **ჩინებული ბუღალტერია და უტყუარი ანგარიშგება, თვითონ, თავისთავად, ჯერ კიდევ, საწარმოში მაღალი პროფესიონალური ფინანსური მენეჯმენტის გარანტირებულ მოწმობას არ წარმოადგენს.**

მცირე ბიზნესის საწარმოსათვის ფინანსური კოეფიციენტების გაანგარიშებული რაოდენობრივი მნიშვნელობები, ჩვეულებრივ, აღნიშნული საწარმოს მიერ გენერირებული ამაღლებულ სამეწარმეო და/ან ფინანსური და სხვა რისკების შესახებ მოწმობენ. ამიტომ **კოეფიციენტურ (რაოდენობრივ) ანალიზს აუცილებლად თან რისკების ბუნების რაოდენობრივი კვლევაც უნდა ახლდეს.** ამ შემთხვევაში საჭიროა პასუხი გაიცეს მცირე ბიზნესისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან სამ კითხვაზე:

1. **საკმარისად არის თუ არა დივერსიფიცირებული კლიენტურა?** დიდი საწარმოს მრავალრიცხოვანი კლიენტით „უნაგირიდან" ამოგდება თითქმის შეუძლებელია ერთი-ორი მსხვილი მყიდველის დაკარგვის შედეგად. მცირე საწარმოსათვის კი, აღნიშნული შეიძლება კატასტროფის ტოლი გახდეს;

2. **საკმარისად არის თუ არა დიფერსიფიცირებული წარმოებული საქონლის (მომსახურების) არეალი?** მონოტონურ წარმოებაზე ორიენტაციას სამეწარმეო რისკი საშიშ ზღვრამდე მიყავს, რადგანაც კონიუნქტურის უმნიშვნელო გაუარესებასაც კი შეუძლია მცირე საწარმო ზარალიანობის ზონაში გადაიყვანოს. აღნიშნულს კიდევ თუ დავუმატებთ საწარმოს კონტექსტში საოპერაციო ბერკეტის ეფექტის, რენტაბელობის ზღვრისა და „ფინანსური სიმტკიცის მარაგის" კონცეფციას, ერთ „ვარსკვლავურ" საქონელზე ორიენტაცია ხშირად ყოველთვის ვერ ამართლებს რენტაბელობის ზღვრის შემცირებით და ფინანსური მდგრადობის განმტკიცებით, იმიტომ რომ მუდმივი დანახარჯები რამდენიმე საქონელზე კი არ არის დანაწილებული, არამედ მძიმე ტვირთად ერთ საქონელს აწვება, რომლისაგან ამონაგების ნაზარდის პერსპექტივები ხშირად, მოთხოვნის შეზღუდულობის გამო, მეტად პრობლემატურია.

3. **გაგრძელდება თუ არა ბიზნესი მისი ახლანდელი მფლობელის (ხელმძღვანელის) უეცრად დაკარგვის შემთხვევაში?**

ამრიგად, სინამდვილეში საუბარი მიდის **მცირე ბიზნესის სიცოცხლისუნარიანობის შეფასებაზე, რომლის შედეგებში დაინტერესებულია არა მარტო მცირე საწარმოს მფლობელები, არამედ მისი კრედიტორებიც.**

კოეფიციენტების გაანგარიშების გარდა, დასავლეთელი ბანკირები, ჩვეულებრივ, მცირე ბიზნესის საწარმოს საქმიანობის ანალიზს ახორციელებენ ხუთი ძირითადი პარამეტრის მიხედვით (აშშ-ში შეფასების ასეთ სისტემას „ხუთი C (სი)-ის სისტემას" უწოდებენ):

1. საწარმოს საკვანძო ფიგურების **პიროვნულობა** (**Character**): იმსახურებს თუ არა მფლობელი (დირექტორი) ნდობას? როგორია მისი საქმიანი რეპუტაცია? ყოველთვის ასრულებს თუ არა იგი საკუთარ ვალდებულებებს?

2. **გონივრული მართვის** შესაძლებლობა (**Capacity to manage**): შეუძლია თუ არა ხელმძღვანელს ხარისხიანი მენეჯმენტის უზრუნველყოფა და საწარმოს წარმატებამდე მიყვანა?

3. **ფულადი ნაკადები** (**Cash flows**): შეუძლია თუ არა საწარმოს საკმარისი ფულადი სახსრების გენერირება მოახდინოს კრედიტისა და პროცენტების გადასახადის ასანაზღაურებლად?

4. აქტივები, რომელთაც შეუძლიათ კრედიტის **უზრუნველყოფას** ემსახურონ (**Collateral**): როგორია აქტივების ღირებულება, სტრუქტურა, ხარისხი, ლიკვიდობა? შეუძლიათ თუ არა მათ გირაოს სახით იმსახურონ? ასეთი სახის გირაოს ნამდვილად შეუძლია თუ არა, საჭიროების შემთხვევაში, მოცემული კრედიტის მიხედვით კრედიტორს საშუალება მისცეს მისი დანაკარგების კომპენსირება მოახდინოს?

5. **ბიზნესის პირობები** (**Conditions**): საერთო-ეკონომიკური, დარგობრივი, კონიუნქტურული, საგადასახადო სიტუაცია ხელშემწყობია თუ არა საწარმოს წარმატებისათვის?

კრედიტის აღებაზე განაცხადის გაკეთებამდე საწარმოს ხელმძღვანელს ნათლად უნდა ჰქონდეს განსაზღვრული არა მარტო სესხის მიზნობრივი გამოყენება (როგორ გაიხარჯება ფული), არამედ მზად იყოს ბანკირის შემდეგ „მუდმივ კითხვებზე" პასუხის გასაცემად:

• **რატომ გახდა დამატებითი ფული საჭირო? რატომ არ ახდენს საწარმო საკუთარი საქმიანობისათვის საკმარისი ფულის გენერირებას?** სინამდვილეში, ერთი საქმეა, თუ „რენტაბელობა თუ ლიკვიდობის" ხათვანგში ჩავარდნილი ბიზნესის გათვართოებისათვის, ბრუნვის ნაზარდისათვის კრედიტი ობიექტურად არის საჭირო და სულ სხვაა, თუ საუბარი მიდის არაპროფესიონალიზმით, უყაირათობით ან დაუდევრობით საწარმოს ბიუჯეტში წარმოქმნილი „ხვრელების დაშტოფვის" შესახებ.

• **რის ხარჯზე იქნება ანაზღაურებული სესხი და პროცენტები გადახდილი?** თუკი იმედი ამონაგების

ზრდაზე კეთდება, მაშინ გაყიდვების მოცულობის პროგნოზი რამდენად რეალისტურია? თუ გასაღება სეზონურ რყევებს ექვემდებარება, მაშინ შეთავსებადია თუ არა კრედიტის ანაზღაურების ვადა საწარმოში ფულადი სახსრების მოდინების დროსთან მიმართებაში? რამდენად გონივრულად და ეფექტურად ხორციელდება დებიტორული კონტროლი, აგრეთვე, მარაგების მართვა? თუ ამონაგები სერიოზულ სეზონურ რყევებს არ განიცდის, მაშინ მთლიანი მარჟა საკმარისია თუ არა კრედიტებისა და პროცენტების ასანაზღაურებლად (პროცენტები, როგორც ცნობილია, პირობითად, მუდმივი დანახარჯებია)?

• **როგორია საწარმოს ყველაზე დიდი პრობლემა?** უცხოეთში ითვლება, რომ განსაზღვრის მიხედვით, ბიზნესი პრობლემების გარეშე არ არსებობს და თუ ხელმძღვანელს არ სურს საწარმოს „აქილევსის ქუსლზე“ მიუთითოს, მაშინ იგი ბანკირთან მიმართებაში დახურულობის დემონსტრირებას ახდენს და ნდობას ვერ დაიმსახურებს.

კითხვები კიდევ მრავალი შეიძლება იყოს და თითოეული არც ისე იოლია. მაგრამ კლიენტს, თავის მხრივ, თანამედროვე პირობებში არჩევანის გაკეთების უფლება გააჩნია. იგი ირჩევს საიმედო ბანკს, რომელიც საკმარის კაპიტალს და მაღალ რეპუტაციას ფლობს, სადაც საწარმოს საქმიანობა ყურადღებას და მოწიწებას იმსახურებს, სადაც აღნიშნული საწარმოს წარმატებისათვის დაინტერესების დემონსტრირებას ახდენენ, სადაც მცირე ბიზნესთან მიმართებაში მუშაობის საკმარისი გამოცდილება გააჩნიათ და სადაც არა მარტო მიაწვდიან (გასცემენ) კრედიტს, არამედ დამატებით საბანკო მომსახურებასაც სთავაზობენ. გარდა ამისა, შესაძლებელია მცირე საწარმოს ხელმძღვანელს კრედიტის სხვადასხვა ბანკიდან აღებაც ურჩიონ და არა ერთი და იმავე ბანკიდან. უპირველეს ყოვლისა, ერთადერთ კრედიტორზე ორიენტაცია მსესხებელს უშუალო დამოკიდებულებაში აყენებს აღნიშნული კრედიტორისაგან. მეორე მხრივ, სხვადასხვა ბანკზე მიმართვით, კლიენტი ფულადი სახსრების მეტი მოცულობით მიღების საკუთარ შანსებს იმაღლებს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. პაპავა ვ. – „პოსტვარდისფერი“ საქართველოს ეკონომიკური განვითარების ძირითადი გამოწვევები. საქ. სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი. თბ., 2013.
2. სილაგაძე ა. – ეკონომიკური დოქტრინები, გამომც. „ინოვაცია“, თბ., 2010.
3. ცაავა გ. ხანთაძე გ. – საბანკო საქმე (სახელმძღვანელო). თბილისი, გამომცემლობა „დანი“, 2014, 600 გვ.
4. ხანთაძე გ., ცაავა გ. – საბანკო ოპერაციები (სახელმძღვანელო). თბილისი, გამომცემლობა „დანი“, 2012, 400 გვ.
5. Kovzanadze I. - Economic and Banking System Development Trends and Prospects for Counties in Transition. Printed in the United States of America, 2008.
6. Thomas Liaw K. –The Business of Investment Banking: A comprehensive overview,- third edition, published by John Wiley & Sons, Inc., Hoboken, New Jersey. 2011, p. 378.
7. www.worldbank.org
8. www.bis.org
9. www. abg.org.ge
10. www.centralbanking.com
11. www. imf.org

ნორჩი ათინათელი

ნუცა ჩიტაძე

ძ ა მ ი კ ო ს

ჩემო ძამიკო, ჩემო იმედო
როგორ მახარებ,
ყოველ დილას რომ ჩემს სიახლოვეს გამოანათებ.
მადლობა უფალს, ამ ცხოვრებაში მოგვცა ერთი გზა,
შენი გულისთვის ვარ, ჩემო კარგო,
ყველაფრისთვის მზად.
ღმერთმა დაგლოცოს და ყველამ გაქოს,
შენზე ამბობდნენ: ,,რა ყმაწვილიო!
ჩემო იმედო, ჩემო სიცოცხლე,
შენ, მხოლოდ, ჩემო დედმამიშვილო!

ა ღ მ ა - დ ა ღ მ ა

.....

ყველაფერი ერთმანეთს რომ ეჯახება
და ტკივილით მის ნამსხვრევებს აგროვებ,
ნაპრალი ხომ ერთად აღარ გამრთელდება,
ლურჯი ალი ცხელ ჭრილობებს გაყენებს.
სად წახვიდე ,რომელ ჩიხში შეუხვიო,
ვეღარ აგნებ ,არ ჩანს ბოლო ლაბირინთის,
თავბრუდამხვევ ქარიშხალში ჩაბმული ხარ
და გზა მოჩანს მხოლოდ გრძელი თავდაღმართის.
სად და როდის? როგორ ხდება გზის გაკვლევა?
ღმერთო, არ ჩანს სამყაროში ბილიკები,
ბილიკები,შროშანებით მოფენილი,
რომელ მხარეს იქნებოდა ცნობილი?
ნუთუ მხოლოდ ზეცაშია სულთა შვება,
სასოებით დახუნძლული ღეროები?
დაე, იყოს ბოლო მაინც ღრუბლებშია,
როგორც უწინ , მომავალშიც ელოდები.

... ფიქრით ...

ისევ ჩუმად გაგიხსენებ,
გავუყვები ფიქრთა ტალღას,
ისე ჭრელი ხდება იგი,
თითქოს ქარი ყვება ზღაპარს.
იმდენ რამეს გავიხსენებ
აღარ მელოდება რული,
ვიდენ წვეთად ნამის მძივებს,
განახლდება სიყვარული.
გადავაფრენ ცხრა მთას იქით,
ნუთუ ისევ მესტუმრება?!
ისევ ვუშვებ შორს, ვარსკვლავთან,
როცა იგი მენატრება. 💜🌺💐

💜იასმნებით

შემომაფრქვიე , ყვავილთა გუნდა იასამნისფერი,
შემომანათე , გამჭოლი მზერა შენი ელფერით .
მიუხვედრელი ,შორს მოშრიალე რჩები შროშანი,
აქეთ კი გელის ნელი გალობით,შენი მგოსანი.
იასამნების სურნელს მაინც გამოატანე ,
შენი ღიმილი, მონატრებული,
განშორებული,
მხოლოდ შენს გვერდით აყვავდება სულის სავანე,
წყლით აივსება ბროლის ლარნაკი საიასამნედ. 💜💜🍀

გახსენება

გულნაზ ხარაიშვილი

მული კი არა და იყავი

****
****'

თამრო, შენ ჩემ ქმარმაზლზე, უფროსი იყავი. ჩემი მეუღლე (ვახტანგ სხირტლაძე) და მაზლი (ჟორა სხირტლაძე) თითქმის შენი გაზრდილები იყვნენ. რამდენჯერ მიყვებოდი, მათ ბავშობაზე. მე პირადად შენი მოწონებული რძალი ვიყავი. სიყვარულის მეტს ვერაფერს გავიხსენებ შენზე. დედისერთას, დედაშენი (კლავდია ბიცოლა) ჩიტის რძეს არ გაკლებდა. სუფთა კიწკიწა ბიცოლასგან მეც ბევრი რამე მისწავლია. შვილების აღზრდაშიც დამხმარებია და ბევრი სიკეთე მახსოვს. შენ ჩემო, ლამაზო მულო, მეუღლის ბიძაშვილი კიარა, საკუთარი და იყავი ბიძაშვილების. სიტყვა ბიძაშვილი ამოღებული იყო, ჩვენი საუბრის ლექსიკონიდან. პირველი ტკივილი სიძიდან მიიღე, (ტრისტანიმ) შენი გული დასერა. მერე ჟორა, ვახო, რამაზი, გელა, ამათმა წაგართვეს სიხარული. თამრო, ჩემო სიამაყე, ღმერთმა იცის როგორ მიყვარს, შენი შვილები და შვილიშვილები. გზა ნათელში იყავი ჩემო, სიცოცხლის ბოლომდე მოსაგონარო, მოეფერე ჩემს მაგივრად ჩემს ქმარშვილს, ჩემი დათა გულში ჩაკარი. აკი მომისამძიმრე და მითხარი, რა ყველაფერი შენ შეგხვდაო,,, ყველას უყვარხარ და ალბათ სიკვდილსაც უყვარხარო,, ეს, შენი სიტყვებია და ბრჭყალებში იმიტომ ჩავსვი. შემხვდა თამრო და თან რამდენი. არ გამახარა ბედისწერამ.

==========:::

შენ კვალს, ნატერფალს,
მზის სხივი ფარავს,
სახლს ამჩნევია შენი თითები,
გარდაცვალება, შეჩერდეს კმარა,
მიდის და მიდის გოგო--ბიჭები.
წახვედი? წადი, მთლად ვალმოხდილი,
შენს ქალობაზე ისაუბრებენ...

საფლაზე მოვალთ, დარდით მოხრილი,
ძმების სულები ახლოს იფრენენ.
შენი სინაზე, შერჩება ირგვლივ,
ყველაფერს თამარ, რაც კი შენია,
ფიქრით სულებთან,
ხშირ- ხშირად ვივლი...
ეს ჩემი ბედის განაჩენია!

გელა, დათა

გულმა ისევ ვერ გაუძლო ყოფას,
რადგან თქვენი სული მიაქვს ნიავს...
ვერ ვისვენებ, დღედა-ღამე ვშფოთავ,
გელას, დათას, ტკივილები გქვიათ.
ერთს ვიხსენებ, მეორე დგას რიგში,
გელა, დათა, გასკდეს ლამის გული...
თუ, ბანაობთ აქ, ძირულის ძირში,
ერთად დათა, კლავებგადაბმული.
იმერეთის მზეჭაბუკო დათა,
და გელა კი ქართლის ლომა ჯიხვი,
უბედობით ნეტავ ვინ მომნათლა,
ბედისწრავ, ვალს რად ვეღარ გიხვდი.
ტკივილების უსასრულო კალომ,
ქარიშხლებმა გული გამომგულეს ...
იქნებ შვილო, ისევ თქვენ მიწამლოთ,
მოგეფეროთ, ლექსით ჩამოსულებს.

„მშვიდობით, ჩემო კეთილო მეგობარო. შენ ახლა სხვა სამყაროში მიემგზავრები და ალბათ უკეთესში, რადგან ამ სამყაროზე უარესი ალარ შეიძლება არსებობდეს.“

კურტ ვონეგუტი

ნაილი ხეთერელი

ჭერო მაღალო უჩემოდაც უნდა იხარო!

ეძღვნება პოეტ გულნაზი ხარაიშვილის ძმისშვილიშვილს 18 წლის დათა შუბითიძის ხსოვნას

რადგანაც გტოვებთ უფლის ნებით,
შემინდეთ ცოდვა,
ძ ი რ უ ლ ი ს ალმასქვიშიანო,
მშვიდო ნაპირო,
ჭ ა ლ ვ ა ნ ო,
ჩემი ანც ბავშვობის ლხენავ და კმევავ,
სულს, შენგან ნაშობს, ვარსკვლავეთს
სურს გაინაპიროს.
ხ ვ ა ნ ო,
სანთელას ციხის ბრძენო,
მყუდრო ნაწილო,
კ ო რ ტ ო ხ ზ ე
გლოვად მოლივლივე
ჩემთვის ბალახო,
ყაყაჩოს ტევრო, მწუხარებით
ცრემლად დაღვრილო,
შ ე ყ ვ ა რ ე ბ უ ლ ო,
ჯავრი გულში არ დაიმარხო.
დ ე დ ი ს ცრემლებით უძინარო
ღამეთა წყებავ, ბებო-პაპებო,
უსასრულ დარდით ნუ დაიშთებით,
ეზოში მდგარო მომტირალო ალუჩის ხეო,
კვლავ ყრმობის სუნთქვით ნამე ნათეხურები...
ლ ა მ ა ზ ო დ ა ო,
დაცვენილ გირჩს ვუთანაბრდები,
ვნებდები ბედს და იმის წერას,
– სულის ტიხარო, ციმციმა ცრემლით
გამაცილე ლოცვის თანხლებით,
ჭ ე რ ო მ ა ღ ა ლ ო !
უ ჩ ე მ ო დ ა ც უ ნ დ ა ი ხ ა რ ო !!!



ევლალია პერპერიდი.

გული უჩუმად ტირის

გული უჩუმრად ტირის რა
რა დამიამებს ტკივილს,
ვინ შეისმენს ახლა ჩემ მგლოვიარე ჩივილს,
ღმერთამდი აღწევს მაღლით
გაურღვევია ცა კივილს,
ვერ ჩამოურეცხავს ვარამი
ნიაღვარულ ტირილს.
ვინ მანუგეშებს ახლა ვისი იმედი მქონდეს,
დარდიგაშმაგებული ვითარ გრიგალი ქროდეს,
წამით ჩემი არსი სოფლად მოვლენას გმობდეს.
სურს დააბრუნოს წამი ბიძის სიცოცლეს ვერ თმობდეს,
მის სულის ცხონებას უზენაეს ღმერს თხოვდეს,
ჩვენს გასაკვირად სოფლად დარდი ვარამი თოვდეს.
ყველა ვიგემებთ სიკვდილს ყველა მოვკვდებით ოდეს,
ჩვენი არსობის წამი ამოიწურება როდეს,
უსამართლობას სოფლად ეს ჩემი არსი გმობდეს,
ვინ დამიამებს ტკივილს ვისი იმედი მქონდეს?
შენ წახვედი ჩვენგან მარლით
გაფრინდი ცაში
გვრძნობ საშინელ ტკივილს შევცურე დარდის ზღვაში,
განგვეშორე სიკვდილო ნეტავ რად დაგვდევ კვალში.... გაუტანლობაა ახლა
ყველგან გარეთ თუ სახლში.
შენ დაგეძებ ახლა საით გიპოვო
ნეტავ,
გეძახი ძია გიხმობ ვტირი ვერსაიდ გხედავ,

ნუთუ მართლა დაგვტოვე ამის თქმას ვფიქრობ ვერ ვბედავ.
გამომაღვიძეთ ვინმეგ იქნეგ ცუდ სიზმარს ვხედავ,
გთხოვთ მომეშველეთ ვინმე დარდში ვიხჩვეგი ვერ ხედავთ?
ბედნიერების წამი მწუხარებით იცვლება,
ღმერთო დამიამე წუხილი ვგრძნობ როს ძალი მეცლება.
ალბად ოდესმე სიკვდილს ჩემდაც მოეცლება,
როდეს ფიალა ჩემი სოფლად დაიცლება,
რა არის ჩვენი სიცოცხლე ხელიდან გვიფრინდება.
ახლა გარემო ირგვლივ სამყარო იბინდება,
ჩვენი არსობა სოფლად დარდებით იცვითება,
მწუხრი ეშვება სოფლად ვარამი გვეუფლება,.
სანუგეშო სიტყვებს ვერვინ ვერ გვეუბნება....
შენ არ მომკვდარხარ ძიავ შენ იცოცხლებ ჩემში,
შენისულისთვის ვილოცებ ამის იმედი გქონდეს,
შენ დამელოდე გზის გასაყარს,
მე შენთან მოვალ ოდეს.
ლალი ევლალია პერპერიდი

საუდაკი არასამთავრობო ორგანიზაცია 15ჰ

ბატონი თეიმურაზ სურგულაძე!
ერმა დაკარგა კიდევ ერთი რჩეული!
პროფესორი მათემატიკის დარგში. მოღვაწეობდა მთელი ცხოვრება ქუთაისის უნივერსიტეტში. დიდი ნიჭის, კულტურის, ცოდნის, ღრმა აზროვნების ადამიანი დღეს, გამთენიისას კოვიდ 19-ის პრობლემით გამოეთხოვა ცოდვილიან სამყაროს!
მძიმეა მდგომარეობა, ოჯახი, დედმამისშვილები, ნათესავები, ახლობლები, გვარი და თავად ქუთაისის საზოგადოება შოკშია. მის წასვლას არავინ ელოდა ამ ქვეყნად, რადგან იყო სრულიად ჯანმრთელი და მუდმივ რეჟიმში მომქმედი მოღვაწე ადამიანი!
მსუბუქი იყოს მისთვის წამებული ქართული მიწა!

გულნაზ ხარაიშვილი

ილია სხირტლაძის უკვდავება

დღეს ოთხ ნოემბერს, გარდაიცვალა, ილია სხირტლაძე. თბილისის ეროვნული ბიბლიოთეკის მთავარი სპეციალისტის, ქალბატონი მარინა სხიეტლაძის მამა.

ილია სხირტლაძე, იყო უმაღლესი განათლებით არაჩვეულებრივი პიროვნება.რაიონისა და სოფლის კოლორიტი (თავკაცი) დეპუტატი და ბევრი საჭირბოროტო საკითხების გადამწყვეტი.

სიამაყით გავიხსენებ, წლებს, როდესაც ერთად გვიხდებოდა დასწრება რაიონის ღონისძიებებზე. ილია სხირტლაძის სიტყვა იყო ბრძნული ფოლადის ექოში გახმაურებული.

სოფელში თუ ვინმე გარდაიცვლებოდა, ბატონი ილია იყო, შეუცვლელი თამადა. ისე წარმოაჩენდა, მარადიულ გზაზე, დამდგარ, ცაში გაფრენილი ნებისმიერ გარდაცვლილ სულს, რომ თითეული გარდაცვლილი პიროვნების ლამაზ ისტორიას, იქვე ტოვებდა, ერთ ლამაზ სადღეგრძელოში.

ილია სხირტლაძეს, ჯამრთელობა, მაშინ გატყდა, როცა მას საყვარელი მეუღლე გარდაეცვალა. ქალბატონი(მედიკო). გავიხსენებ ერთ-ერთ პარლამეტის ბიბლიოთეკის, დარბაზში ღონისძიების ჩატარებას. მისი ქალიშვილი, ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემიის წევრი, ქალბატონი მარინა, მეუბნება: მამაჩემმა ლექსი დაწერაო. არ გამკვირვებია, რადგან ლექსი ფუფუნება არაა, ლექსი ტკივილია. ვთხოვე, რომ ჩემთვის ეჩვენებინა. ასეც მოიქცა, ჩემი უსაყვარლესი მარინა და მამიკოს დაწერილი ლექსი, წამაკითხა. ლექსი რათქმაუნდა მომეწონა და ჟურნალ ,,ათინათში,, დავბეჭდე. შინაარსით ლირიკა იყო, მეუღლეს უძღვნიდა.

გუშინ აკადემიაში ღონისძიება ჩავატრეთ. კოვიდის გამო, ხუთი აკადემიის წევრებისაგან, შემდგარი საღამო მქონდა, მწერალთა კავშირის თავჯდომარის, მობრძანებით და მამა ამირანის ლოცვა კურთხევით შემდგარი საღამო, სიხარულის დღეთ, ჩაიწერა აკადემიის ისტორიაში.

დღეს გარდაცვალებაზე ვსაუბრობ. ასეა, ეს ცხოვრების ბორბალი ტრიალებს, ხან მზეა, ხანაც კიდევ ცრემლის ნიაღვარი.

ბატონ ილოს, დარჩა ყველასათვის საამაყო შვილები, კახა და მარინა სხირტლაძეები. საყვარელი რძალი და პატარა (გენიოსი) შვილიშვილი, რომელიც ბაბუის სახელს, მჯერა, არ შეარცხვენს.

გემშვიდობები, ბატონო ილია და გპირდები, შენ საყვარელ ლექსს ხელმეორეთ გამოვაქვეყნებ, ჟურნალ ,,ათინათში,, მჯერა მოხვდები იქ სადაც მართალნი განისვენებენ, დიდო ადამიანო, გვარისა და სოფლის სიამაყევ.

განა ყველას შეუძლია იცხოვროს,
სახელით და... ემსახუროს, ქვეყანას...
შენი სული, უფალსა ვთხოვ, აცხონოს,
დაამშვიდოს, დააწყნაროს, ზეყანას.
გულნაზი ხარაიშვილი (ცისკარელი)
=====+++++

ბატონო ილო, ჩემი ფსვდონიმის შინარსი აუხსენი ჩემს ქმარშვილს. ცისკარელი, იმიტომ დავირქვი, რომ დილით როცა ვიღვიძებ, ცის კარს ვაღებ და ფიქრით ჩემ ქმარშვილს ვკითხულობ, ამიტომ, როგორც პოეტმა ფსევდონიმად ავირჩიე „ცისკარელი“. თავისუფლად შემეძლო, ფსევდონიმი „ძირულისპირელი“ დამერქმია, ჩემი პიროვნებისათვის, რადგან ძირულის ხეობაში გაზრდილი ვარ. არა, ქმარშვილის სამყოფელი და სიყვარული ვარჩიე ჩემს ლამაზ ბუნებას. ამ, სიტყვებს იმიტომ ვწერ, რომ ამით ვხსნი, შენი ლექსის შთაგონების ისტორიას, თუ რატომ მოგინდა სიყვარულით აგიზგიზებული გული ფურცელისთვის მიგენდო. როცა ჟურნალი, შენმა ქალიშვილმა ჩემგან საჩუქრად მოგიტანა, მხოლოდ ერთი სიტყვა გითქვია, აი, ეს მინდოდა, მეტი არაფერიო. ახლა კი მიდიხარ იქ, მასთან, ვინაც ლექსი დაგაწერინა. მიდიხარ, შენი საყვარელი მეუღლის ადგილ სამყოფელში, მარადიულობაში. მჯერა კეთილ ანგელოზად გარდასხვაფერდები და მხსნელად მოევლინები საქართველოს.

მკითხველს ხელმეორედ ვთავაზობ ინტერვიუს ილია სხირტლაძესთან:

ლიზი ნადირაშვილი

ინტერვიუ იღო სხირტლაძესთან

მოგესალმებით ბატონო ილია, მე გახლავართ ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემიასთან არსებული ჟურნალ „ათინათის“ ნორჩი ათინათელი ლიზი ნადირაშვილი

1 . ბატონო ილო გთხოვთ მიამბოთ თქვენი მშობლების შესახებ.

ჩემი მშობლები იყვნენ: არჩილ სიმონის-ძე სხირტლაძე და სონია სინოს ასული გონგლაძე. ისინი მშვიდი ცხოვრებით ცხოვრობდნენ, რაც ჩვენზე დადებითად მოქმედებდა. ვითვლებოდით მდიდარ ოჯახად.

2. რამდენი დედმამიშვილი იყავით?

ჩვენ ვიყავით შვიდი დედმამიშვილი, დედმამიშვილებს ძალიან გვიყვარდა ერთმანეთი, მყავდა ოთხი და ვაჟები სამი ვიყავით, ჩემი ძმა გოგი სხირტლაძე სამამულო ომში გაიწვიეს საიდანაც აღარ დაბრუნებულა ქერჩში ბრძოლის დროს დაიღუპა.

3. რა პროფესიის ბრძანდებით?

აგრონომი ვარ, უმაღლესი განათლებით, ჩემი სპეციალობით ვიმუშავე 1957 წლიდან. 1991 წლამდე თოთხმეტი წელი სამხრეთ ოსეთის ზნაურის რაიონის ბალთის მეურნეობაში ვიმუშავე მთავარ აგრონომად.

4. თქვენი მეუღლე რა პროფესიის იყო?

ჩემი მეუღლე მედიკო ფურცელაძე იყო უმაღლესი განათლებით, მსუბუქი მრეწველობის ტექნოლოგი, მუშაობდა თბილისში მოდელების სახლში.

5. სიყვარულით შექმნილი ოჯახი გქონდათ?

დიახ! ჩვენ სიყვარულით შევქმენით ოჯახი, სიყვარულით ავღზარდეთ შვილები. ჩემი მეუღლე პირველად ჩემმა მამამ ნახა, თბილიში იყო ჩასული სამკურნალოდ, მეც იმ დროს ლექციებზე ვიმყოფებოდი, სახლში რომ დავბრუნდი მამამ მირჩია რომ შევხვედროდი მისგან ამორჩეულ სარძლოს მამას ხათრი არ გაუტეხე და შევხვდი, პირველ შეხვედრაზე დადებითი შთაბეჭდილებით დავბრუნდი სახლში, მერე კი ხშირად ვაკითხავდი და დაიბადა ჭეშმარიტი სიყვარული, ის გასულ წელს გარდაიცვალა, მისმა დაკარგვამ და მონატრებამ კალამი ამაღებინა და ლექსი დამაწერინა ოთხმოცს გადაცილებულ კაცს.

„ქალი მზესავით ნათელი, რომელიც ჟურნალ „ათინათში“ დაიბეჭდა.

6. რამდენი შვილი გყავთ?

მყავს ორი შვილი, მარინა და კახა, მარინამ წარჩინებით დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ევროპის ენებისა და ლიტერატურის განხრით. ამჟამად მუშაობს საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში მთავარ სპეციალისტად, რომელიც თანამშრომლებში კარგი ავტორიტეტით სარგებლობს. ვაჟმა (კახამ) დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი, სხვადასხვა წლებში მუშაობდა საქ-ენერგიის სისტემაში, სხვადასხვა თანამდებობაზე.

7. ცოტა რამ კახას ოჯახის შესახებ.

მას ჰყავს არაჩვეულებრივი მეუღლე ნინო დოლიძე უმაღლესი განათლებით, იგი ამჟამად მუშაობს გაეროს ეროვნულ სააგენტოში მთავარ სპეციალისტად.

8. შვილიშვილები თუ გყავთ?

ერთი შვილიშვილი მყავს, კახასი და ნინოს ვაჟი ნიკოლოზი ათი წლისაა, იგი თავის ასაკთან შედარებით საკმაოდ განვითარებული ნიჭიერი ბიჭია, მჯერა მას დიდი მომავალი ექნება.

9. თქვენი სოფელი ახლოსაა ოკუპირებულ ტერიტორიასთან განიცდით არა?..

ჩემი სოფელი და პირადად ჩემი სახლის ჭიშკრის წინ უნდა გაიარონ რადგან სხვა ზნაურის რაიონის სოფელ წნელისის გზა არ არსებობს. ჩემი ნაკვეთების ოთხმოცი პროცენტი წითელ ზოლშია მოყოლილი, ნაკვეთებს ვერ ვამუშავებ, რადგან იქ გაკრულია ტრაფარეტი და აწერია ორას მეტრში ახლო მისვლა აკრძალულია. ძალიან მძიმეა ჩემთვის ომის გახსენება, რადგან შიში და მძიმე დღეები გავიარეთ მე და ჩემმა მეუღლემ ოსებმა დაწვეს ჩემი ბიძაშვილის სახლი და თხუთმეტი სული საქონელი გაირეკეს. სოფელში მოკლეს ნორა კვინიკაძე, დაჭრეს მისი შვილი და შვილიშვილი. სოფელში აღარავინ იყო, მხოლოდ ათმა ადამიანმა მივაბარეთ მიწას. გავიხსენებ ჩემს გვერდით დურმიშხან სხირტლაძის სახლი თვალით ვუყურებდი შეიარაღებულ ნიღბოსნებს, დატვირთეს მანქანა და წავიდნენ რამხელა ტკივილია მეუღლესთან ერთად უყურებდე ამ ამბავს და არ გქონდეს იმის უფლება, რომ სიტყვა მეთქვა, რადგან დაგვხოცავდნენ, იმ დროს მოკვა ჩემი კაცური ღირსება.

10. წლების გადასახედიდან, ყველაზე საუკეთესო მეგობარს ვის გაიხსენებდი.

ალბათ ვერ გამოვარჩევ, რადგან ყველას ოჯახს ვთვლი საიმედოდ და თბილ მეზობლად, მათთან ერთგულება და დიდი პატივისცემა მაკავშირებს.

11. იცნობთ ჟურნალ „ათინათს“?

ჟურნალ „ათინათის“ მკითხველი და მოყვარული ვარ, „ათინათის“ ერთ-ერთ ნომერში დაიბეჭდა, ჩემი ლექსი, რომელიც ჩემი მეუღლის სიყვარულმა დამაწერინა.

12. საინტერესოა, რას წერდნენ „ათინათში“?

გეტყვით, რედაქტორმა მოკლე მიმოხილვა გააკეთა ჩემი ოჯახის შესახებ, მან საჭიროდ ჩათვალა ეს გაეკეთებინა, რადგან ის კარგად მიცნობდა, მიცნობდა, როგორც საზოგადო მოღვაწეს და არა კალმოსანს, ამიტომ იყო, რომ იმ ლექსის თავსათაურში აღწერა ჩემი პიროვნება.

13. მკითხველისთვის საინტერესო იქნება თქვენი თუ რედაქტორის სიტყვებით და თქვენი ლექსით დავამთავრებთ ინტერვიუს.

თუ თქვენ ასე თვლით საჭიროდ პატარა ანგელოზო, აი, ეს თბილი მაგრამ მაინც ტკივილიანი თემა... ჩემი ლექსის წინასიტყვაობის შთაბეჭდილებით დავიწყებ, რომელიც რედაქტორმა გააკეთა. აი, რას წერს ის:

სიყვარული მყარი და სათუთი იყო

ილია სხირტლაძემ, როდესაც სასოფლო სამეურნეო ინსტიტუტი დაამთავრა, თავისი ბედი დაუკავშირა მედეა ფურცელაძეს. ქალბატონმა მედიკომ დაამთავრა თუ არა ტექნიკური უნივერსიტეტი, სამსახური თბილისში დაიწყო. სხვადასხვა სპეციალობებმა შეყვარებული წყვილი კვირაობით დააცილა ერთმანეთს, მაგრამ მათი ურთიერთობა იმდენად მყარი და სათუთი იყო, ამით არაფერი იცვლებოდა. ქალბატონი მედიკო შაბათკვირა ჩამოვიდოდა სოფელში, ჩამოყავდა შვილები და პატარა მარინესა და კახას, ბებიისა და ბაბუის სიყვარულს უნერგავდა და უფროსებისადმი სიყვარულს ასწავლიდა. ოჯახსაც სისუფთავეს არ აკლებდა. მერე ისევ ბრუნდებოდა თბილისში, სადაც უნდა ემუშავა და შვილები უფრო კარგად აღეზარდა, ასე გრძელდებოდა წლობით სანამ პენსიაში არ გავიდა, მერე კი ქმრის სოფელში, ქარელის რაიონ სოფელ კოდაში დაიდო ბინა. ამ პერიოდში სამაჩაბლოში ომი დღითიდღე მწვავდებოდა, მაგრამ ქალბატონ მედიკოს ერთი დღეც არ დაუტოვია ქმრის ოჯახი. მარინე ამჟამად თბილისის ეროვნული ბიბლიოთეკაში მუშაობს, მთავარ სპეციალისტად. კახამ უმაღლესი დაამთავრა, დაოჯახდა, არაჩვეულებრივი მეუღლე

შეირთო და რძალმა (ნინომ) ოჯახს პატარა ნიკუშა აჩუქა. ნიკუშას ისეთი ნიჭი აქვს, გენიოსს ეძახიან.

ომმა და ასაკმაც გატეხა ქალბატონი მედიკო და ოთხმოცდაათი წლის გარდაიცვალა. ვინც ილო სხირტლაძის ლექსის თავსათაურს წაიკითხავს, შეიძლება თავისდაუნებურად გაიფიქროს, ოცდამეერთე საუკუნე არეულობით, ათასნაირი კატაკლიზმებით დაიწყო, ახალგაზრდები იხოცებიან და...

აქ კომენტარს არ გავაკეთებ, იმას კი ალალად ვიტყვი, უყვარდა, ცოლქმარს წმინდა სიყვარულით ერთმანეთი, და ტკივილმა და მონატრებამ 80 წელს გადაცილებულ პიროვნებას კალამი ააღებინა. ეს მისი პირველი ლექსია.

რედაქტორი

ასაკში დაწერილ ლექსს კი ამ სიტყვებით გთავაზობთ:

ქალო მზესავით ნათელო

(მედიკო ფურცელაძეს)

ქალო, მზესავით ნათელო,
იარებოდი ლხენითა,
მინდა რომ ლექსი მოგიძღვნა,
ჩემი მარჯვენა ხელითა;
ჩემთვის იყავი ამ ქვეყნად,
ულამაზესი ქალიო,
ისე ლამაზი იყავი,
არ გყავდა ტყუპისცალიო.
სპეციალობის მიხედვით,
მე სოფლად ვიყავ, შენ ქალაქს,
სიბერის ასაკს მივედით,

ჩემო ტკბილ–თაფლო, მზექალავ,
ოთხმოცდაათის წახვედი,
სიბერე შემომაწურე,
შენს ოთახში რომ გავედი,
ცრემლით თვალ–გუბე დავწურე,
მე შენს გარეშე არ მინდა,
სიცოცხლე ერთი წამითაც
მზე ისეც უკვე ჩავიდა,
სიზმრად მსურს განახო ღამითა.
უფალმა ვიცი მიგიღო,
წმინდად იცავდი ქალობას.

მიყვარდი, მიტომ მოგტირი,
კვლავ შენგან მინდა წყალობა.
ჩემი და შენი მშობლები,
მწამს ტკბილად მოგეფერება
შენს საალერსოდ ძვირფასო,
პოემა დამეწერება
დამტოვე – ბევრი იწვალე,
დაგტრიალებდით ქმარშვილი
ვეცადე, ვეღარ გიშველეთ
და დავრჩით ბუდეაშლილი.

14. და ბოლოს რას უსურვებდით მომავალ თაობას?

მომავალ თაობას ვუსურვებ ჯამრთელობას, ურთიერთ მიმართ დიდ სიყვარულს და გამრავლებას. ყოფილიყვნენ საამაყო შვილები. ეცხოვროთ გამთლიანებულ საქართველოში და არ დაივიწყონ „ვისი გორისა არიან“.

ამ სურვილებით დალოცა ბატონმა ილიამ მომავალი თაობა და შეუერთდა ცათა სასუფეველს.

ნიკო ბაღაშვილი

მე დავრჩი იქით...

ეძღვნება ჩენი დეიდაშვილის რუსუდან რუსეიშვილის ხსოვნას...

ბავშვობაში, მიყვარდა საფლავებზე ხეტიალი, რატომღაც ვგრძნობდი, რომ გარდაცვლილი ადამიანები მესაუბრებოდნენ, მიყვებოდნენ თავიანთ ცხოვრებაზე და ამას, რატომღაც გულის კუნჭულში ვინახავდი, ეს რომ ვისმესთვის მეთქვა, იტყოდნენ, ვერაა თავის ჭკვაზე, არადა საღი გონებით, შემოდიოდნენ, ისინი ჩემს ცხობიერებაში და რაღაც უხილავი ძალით, მაიმედებდნენ ----

* * *

----- ჩემი ამ ქვეყნიური დაბადება, ჩემი უმცროსი ძმის წასვ-ლით იყო განპიროვნებული, დედას მას მერე შავები არ გაუხდია და ხშირად დაჰყავდა, ბებიისა თუ პაპის საფლავებს მანახვებდა, მიყვებოდა მათი ცხოვრების შესახებ, ხაზის რადიოსაც გამომირ-თობდა, თუკი სოფლის ბოლოს, კოტაანში, ვინმე მოკვდებოდა ხოლმე, ასე მეუგვნებოდა სირცხვილია, დაკრძალონ და მერე თუ გინდა,ხმამაღლა მოუსმინე მაგ შენ რადიოს, მერე, მამამ აღარ გაახილა თვალები, და 21 წლის კაცი, დავობლდი, მაშინ

ჩამწყდა ყველაფერი, როცა საფლავთან, მიწის დაყრამ და ქვების ხმაურმა გული გამიჩერა, მას მერე, ბევრჯერ მოვმკვდარვარ, მაგრამ საუცხო ის იყო, რომ ვცოცხლდებოდი, და ვინც გული დამწყვიტა, ჩემი ბიძაშვილები ოთარა და ვაჟა, გო-დერძი, მამიდა სოფიო,და კიდევ მრავალი. არათუ ზმანებით, არამედ ცოცხლად მეცხადებოდნენ და მიკვირდა, არადა კიდევაც გეტყვით რომ საღი გონება მქონდა, ქალაქში ჩემი დეიდაშვილი, რუსუდანი, გარდაიცვალა - არ ვიცი ფიქრით თუ იმ ბავშვობის-დროინდელი მონატრებით, აღმოვჩნდი იქითა მხარეს. სადაც სიმშვიდე და იდუმალება იმზირებოდა, ჩემმა დეიდაშვილმა, შემაჩერა და მითხრა, საკმარისია მე გავაგრძელებ გზას, შენ კი უკან დაბრუნდი... ამოვიგმინე, ცრემლი თავისით წამომცვივდა, მან კი გამიღიმა და ჩემს არეალიდან გაქრა, მერე ჩემი, ახლად შეძენილმა ძმამ, გელამ მხარზე დამადი ხელი და მითხრა,

:-დედა როგორაა, გავიგე, სიცხე ჰქონია და ახველებსო, რა არის, რანაირი ფეხსაცმელები გაცვია, და ალიკას დაუძახა, ერთი შენი ზამთრის ფეხსაცმელები მოუტანე, ჩვენ ძმას ფეხები არ გაეყინოსო, -- ალიკამაც მომიტანა, თბილი ბატინკები და ორივეს შევხედე.

გელამ მისაყვედურა, რამდენჯერ უნდა გითხრათ, აქ ნუ დადიხარ, დედას ყურადღება მიაქციე...

ჩემი დეიდაშვილი გამოვაცილე, ამოვიღრიალე მე,

წამოდი ვინ გაჩვენო და ჩემ წინ გურამი ძიამ გამიღიმა და ლექსებით მომეგება, უჩემოდ ჩაატარეთ პოეზიის საღამო, მაგრამ იცოდე მე იქ ვიქნები, ხელი ჩამკიდა გელამ და გიორგი ბეჟი-ტაშვილის და ჯუმბერი ბიძიას, ბატონ ნუგზარის და გურამ გედევანიშვილის და დათას საუცხო ღი-მილებით, იქვე ჩავიკეცე... იქ დავრჩი, იქ და ხმამაღლა ვიყვირე, მე ვიქნები, ყველას სანაცვლო, აქ არავინ აღარ მოვიდეს! არადა იქით, იდუმალებაში და სიმშვიდეში, ჩემს გაფითრებულ, სევდა-ჩამდგარ თვალებიდან, მათი ღიმილები მაძლევდა, იმ შვებას, რომ ადამიანები არ ვკვდებით, ჩვენს მეხსიერებაში სამუდამოდ რჩება მოგონება, რომლებმაც გული დაგვწყვიტეს და გულის სა-ოხად თუ ამქვეყნიურ ყოფის საზიაროდ, ხშირად გვესიზმრებიან და ცხადივ, მათთან ვართ! ადრე თუ გვიან, ყველანი ხომ, იქით წავალთ და გავაგრძელებთ მარადიული ყოფის ბედნიერებას...

მილოცვა

ნანა მომცელიძე

გულნაზი ხარაიშვილს

გულში სიყვარულის მარაგი ულევი.
მეტი სიმდიდრე და განძი რად გინდა.
შენ ხომ გაალღვე და გაათბე გულები,
შენი შემხედვარე მეც მეტი რა მინდა.
შენთან მშვიდდებიან მშფოთვარე სულები.
შენთან პოულობენ სითბოს და ღიმილებს.
შენთან ჭრიალებენ ძირძველი ურმები,
ფესვმაგარ მუხებთან ტოვებენ ტკივილებს.
შენ ეროვნულობის კერას არ აციებ.
შენ სულიერების გრდემლი ხარ სამჭედლო.
გულში კი უსაზღვრო სიყვარულს აღვივებ
და ცდილობ სიმშვიდე სულებში ჩაჭედო.
შენს კერას მოვლა და სიმშვიდე ჭირდება.
შენს კერას სული აქვს ჩადგმული ქართული.
შენ,ჩემო გულნაზი, ქება არ გჭირდება,
უფლის გზას ადგახარ მხნე და შემართული.

სიმონ ზაქარაია



ბატონი სიმონ ზაქარაიას შესახებ

როცა პიროვნების მიმართ ვიწყებთ საუბარს, ასეთ შემთხვევაში უმთავრესს უნდა მივაქციოთ ყურადღება, როგორი განწყობა გვაქვს პიროვნების მიმართ და რა მწამსი მართავს გონებასა და გულს. მხოლოდ ზნეობრივი სასწორია მიუკერძოებელი და სიკეთით სავსე გულით სჭირდება ჩვენი ცრემლიანი ისტორიის მქონე სამშობლოსათვის სამართლიან სამსახურს.

ბატონი სიმონ ზაქარაიას ეროვნული სამყარო, საქართველოს ისტორიის წიაღიდან საზრდოობს, ასეთი კვალი მის ადამიანურ ხასიათშია თავშეფარებული, რომელიც ყოველივე საზოგადოებრივ ურთიერთობებში მჟღავნდება.

ბატონი სიმონ ზაქარაიას ზნეობრივი სითბო ქართული მიწა-წყლის უსაზღვრო სიყვარულიდან მოდის, ამ მხვრივ უფრლის ნიშნით უხვადაა დაჯილდოებული. მე მას დიდი ხანია ვიცნობ, იგი რაფინირებული და გაწონასწორებული პიროვნებაა, შემთხვევით გაუანალიზებელ მოსაზრებას, აქტუალურ თემაზე, არასოდეს არ შესთავაზებს მსმენელს და თანამოსაუბრეს. გამარჯვების თქმას ვერ დაასწრებ, ღიმილიანი მოკითხვა იცის, თუ რაიმე საკითხზე მიდის მსჯელობა, რომელიც ჩვენს დღევანდელობას და მომავალს ეხება ბოდიშის მოხდით ჩაერთვება და თავისი აზრის დადასტურებას ცდილობს.

ბატონი სიმონის მრწამსიდან გამომდინარე, ყოფიერებაში, სახელმწიფოთაშორის თანაცხოვრებაში ზომიერი პოლიტიკური კავშირი და ურთიერთობა განსაზღვრავდა და დღესაც განსაზღვრავს, მათი აღორძინების წესს. იგი ხშირად ამბობს, რადგან ადამიანი ღმერთმა თავის ხატად შექმნა, შემოქმედებითი საშუალება ადამიანთა მოდგმასაც მიეცა, მხოლოდ კეთილი ნების გამოსახატავად.

ბატონ სიმონს დაუსრულებლად შეუძლია საუბარი საქართველოსათვის თავდადებული გმირების ამაგისა და ღვაწლის შესახებ, აქაა მისი სულიერების საზრდო, ღირსეული ქართველობა, ერთობ, ამავე დროს სათუთი და სასიამოვნო სატარებელი განცდაა, კარგ კაცად და სამართლიან პიროვნებად დარჩენა მორალური მოვალეობაა. თანაც ყველა თანამემამულესთან ზომიერი, უშეცდომო ურთიერთობაა განმსაზღვრელი ყველა კარგი საქმის წარმართვისათვის, ამ მხრივ ბატონი სიმონ ზაქარაია სამაგალითოა, ჩვენს ურთიერთობებში მე ბევრჯერ შემინიშნავს, რომ ბატონი სიმონი ყველასათვის სასურველი სტუმარია.

ბატონი სიმონ ზაქარაია ობიექტივის სატელევიზიო გადაცემებში რამოდენიმეჯერ მყავდა მოწვეული, სრული მომზადებით მოდიოდა და თავის ვარამსა და საქართველოს ტკივილს მსმენელსა და მაყურებელს უზიარებდა. სატელევიზიო გადაცემასთან მიმართებაში არსებული თემის ირგვლივ ისეთი თხრობა იცის, აზრს ვერ შეაწყვეტინებდი, დაუმთავრებელ აზრს მაყურებელს არ უტოვებდა.

ბატონ სიმონ ზაქარაიას ძალზედ აწუხებდა და აწუხებს ჰერეთის ქართული მოსახლეობის მდგომარეობა, ამის შესახებ ბევრჯერ აქვს გამოქვეყნებული სტატიები, სადაც თვალთნათლივ დოკუმენტური მასალით იუწყება, რა სავალალო მდგომარეობაში არიან ჰერეთის ქართული მოსახლეობა. აზერბაიჯანულ უფლებაშეზღუდულ მარწუხებში, ქართველი გოგო-ბიჭები პირადობის მოწმობას ვერ აიღებენ თუ აზერბაიჯანულად გადაკეთებული სახელი და გვარი არ ჩაიწერება. ჰერეთის ახალგაზრდა წყვილების ქორწინებისას თამადაც შეზღუდულია, რომ ქართული ტრადიციებით მშობლიურ ენაზე არ ჩატაროს საქორწილო სუფრა ამასთან ერთად თავის სტატიებში ს.ზაქარაია უჩვენებს, რომ საქართველოში მცხოვრები აზერბაიჯანი მოსახლეობა არ იზღუდება ქართული კანონმდებლობებით.

ბატონი სიმონ ზაქარაია დიდი ტკივილით იგონებს, აფხაზეთიდან ლტოლვილი ქართველი ხალხის მდგომარეობას. ასეთივე დარდი და ტკივილი აქვს სამაჩაბლოს-ქსნის ხეობის ლტოლვილი მოსახლეობის მიმართ. აი ასეთია ბატონი სიმონის არსებობის კრედო.

ყოველივე ასეთი რთული თავგადასავლის მიუხედავად ბატონი სიმონ ზაქარაია დღესაც

მრავალმხრივ შემოქმედებით მოღვაწეობას ეწევა, გვჯერა რომ ის დიდ ხანს იქნება თავისი ქვეყნისა და ხალხის სამსახურში.

გილოცავთ ბატონო სიმონ 80 წლის იუბილეს

პატივისცემით

მწერალი და მხატვარი ***ნიკო ხერველაძე***

ბატონო სიმონ!

ჩვენო ძვირფასო მეგობარო!

გილოცავთ დაბადების დღის უსერიოზულეს სოლიდურ თარიღს, მაგრამ ჯერ სადა ხარ, ეს ხომ ახალგაზრდა მოხუცობის ასაკია (ასე იტყვიან იაპონიაში 75-დან 85 წლამდე ასაკის ადამიანებზე). თუმცა თქვენ უფრო ახალგაზრდულად გამოიყურებით.

ბატონო სიმონ!

თქვენს სამეცნიერო, სამწერლებო და საზოგადოებრივ საქმიანობაზე – სამშობლო – საქართველოსთვის გაწეულზე, ლაპარაკი ალბათ არ მოგვწყინდება და მისალოც წერილშიც ვერც დავატევთ, მაგრამ ხაზი რომ არ გაუსვათ თქვენეულ ზოგიერთ ცხოვრებისეულ შტრიხს ამის უფლებაც არა გვაქვს.

ყველამ როდი იცის, თუ რა ტრაგიკულმა მოვლენებმა გადაიარა თქვენს თავზე აფხაზეთის პერიპეტიების პერიოდში. თქვენ შუა ცეცხლში იწვოდით ძმათა ურთიერთდაპირისპირების პოლიგონ-ში და ამის გამო ჯანმრთელობაც შეგერყათ. თქვენ მოგიწიათ საკუთარი სახლ-კარიდან აყრილ, ათასობით ადამიანთა (მათ შორის უმწეო ბავშვთა და მოხუცთა) კოდორ-საკენ-ჭუბერ-ზუგდიდის გაუკვალავ გზაზე წინამძღოლობამ და ყოფილიყავით იმ უბედურებათა და განსაცდელთა მოწმე, რაც ამ ყინულოვან – ქარაფებიან გზაზე გადახდათ ჩვენს ბედკრულ თანამემამულეებს.

თქვენი უშუალო თვალებით დანახული ის უბედურებები და ტრაგიკული მოვლენები, რაც დევნილებმა ამ გზაზე იწვნიეს თქვენს წიგნად გამოცემულ ქრონიკებში რომ აისახა, ვეებერთელა ისტორიული მასალაა თანამედროვეთათვის და შემდგომი თაობებისათვის.

ბატონო სიმონ!

თქვენი დიდი კაცობაა ისიც, რომ თქვენ ვერ ეგუებით ზოგიერთი ვაი ქართველ, მომეცნიერო ადამიანთა გამოხდომებს ჩვენი კუთხისა და მეგრული ენის მიმართ და არგუმენტირებულად, საკადრისად აძლევთ პასუხს თქვენი პუბლიცისტური წერილებით, რათა შეაგნებიოთ, რომ მეგრელები გადამთიელები არა ვართ, არამედ ვართ ძირ-ძველი ქართველები – ივერები.

ვაჟკაცური თვისებაა სხვისი ტალანტის დაფასება და შექება(საქებარს ყოველთვის როდი ყავს მაქებარი) – თქვენში ეს ხასიათი კოლხური ბუნებიდანაა კოდირებული.

თქვენ ბრძანდებით: დიდი ბიოლოგი – დოქტორი ამ მეცნიერებაში; მწერალი პუბლიცისტი და პოეტი – ეს ღვთით მომადლებული ნიჭი და ხატებაა თქვენს ბუნებაში ჩადებული.

თქვენ გაგაჩნიათ გარემოცვისთვის საიმედო, უშურველი მეგობრული სული, სხვებზე მზრუნ-ველი კაცის ტალანტი.

ღმერთმა სიკეთე და მადლი არ დააკლოს თქვენს ეკლესიურ ოჯახს, გეცხოვროთ ჯანმრ-თელად და ბედნიერად.

გფარავდეთ ღვთის მადლი.

თქვენი მეგობრები:

ცოტნეიდელ – ფაზისელები:

კლიმენტი კიკალიშვილი, ნათია ჯგუშია,

ნუგზარ სართანია, დავით ესებუა, თამაზ ცანავა.

2020 წელი. ოქტომბერი

პედაგოგი
ნარგიზა მარგველაშვილი

დღიურებიდან

.....

რა რთული და მოულოდნელია ეს წუთისოფელი. სასიხარულოდ რთული სურპრიზებითაა სავსე ცხოვრება, ცხოვრება რთულია მაგრამ წუთისოფელი ისე წამიერია, რომ ჩვენს თვალწინ ჩიტივით მიფრინავენ საათები, დღეები, წლები, და გვრჩებიან მოგონებები ავი თუ კარგი. ამ მოგონებებს რამდენი ტკივილი, სიხარული, გაოცება, ან იმედების გაცრუება შეუძლია ამოატივტივოს, გააცოცხლოს ჩვენს ცნობიერებაში. ადამიანი მოაზროვნეა და ფიქრის უნარი გააჩნია, რითაც განვსხვავდებით სხვა სულიერებისაგან. ნეტა იმ ადამიანს და მის ახლობლებს ვისაც კეთილი ზნეობის აზრები, ფიქრები, სურვილები, და ქცევები აქვს ასეთი ადამიანი ცუდ აურას არ ქმნის კეთილი ნების პარტნიორისათვის, მაგრამ ზოგჯერ მისი სიკეთეშელახულ რეპუტაციას ძნელად ან ვერასოდეს აღიდგენ. მე არც საკუთარი რეპუტაციის შელახვის უფლებას ვერ მივცემ ვერავის და არც სხვისი ავტორიტეტის შელახვა მიცდია არასოდეს.

დავიბადე ოფშკვითში, ამ წლების მანძილზე რასაც ჩემი კონტაქტური ბუნების წყალობით, რასაც ანეტა ბებოსგან მემკვიდრეობათ ვთვლი, გავიცანი: ებრაელი, რუსი, სომეხი, იტალიელი, ბერძენი და უზომოდ ბევრ ქართველთან მქონდა კონტაქტი.

ყველა ერში, ყველა ქვეყანაში იპოვნი კარგ და ცუდ პიროვნებას. ენაა განსხვავებული, თორემ ადამიანის თვისებები, უნარჩვევები, თითქმის ყველა ქვეყანაში არის ინდივიდუალური. ასე, რომ, სადაც არ უნდა წავიდეთ და გავეცნოთ ხალხს, კარგად აღზრდილი და ცუდი პიროვნება, ყველგან არის....

მიყვარს მოყვასი და მტერი ჩემი...

დიდება უფალს!..

* * *

საკმაოდ ასაკოვანი ვარ, სამოცდაათს გადავაბიჯე. არასოდეს მიფიქრია ან ასაკის დამალვა ან ასაკის შეუფერებელი ვიზუალური იმიჯი შემექმნა. ხშირათ უთქვამთ რომ შავი ფერის თმა გიხდება ჭაღარა ასაკს გმატებს და რატომ არ იღებავ მუქ ფერზეო, ჯერ ერთი შვილთაშვილების დიდი ბებო ასაკის შესაფერ სიმპათიურ ვიზუალს იმსახურებს, და რამდენადაც არ უნდა ეცადოთ ორმოცი, ორმოცდაათამდე ქალს დავემსგავსო ეს ტყუილი მცდელობაა. ასაკის პირველი გამცემი ხელები, ხელის მიდამო, ნაოჭები, მეორეც კიდევ, შავ თმაში ამოსული ჭაღარა თითქოს ყვირის...

უკვე, აღარ მინდა წავიდე ამ დამღლელი, მაგრამ, მაინც მშვენიერი წუთი სოფლიდან. ამის გაფიქრებაც კი მზარავს. მსურს, კვლავ, მეტი გავუკეთო, მეტად გავახარო და ბევრი კარგი

დავამახსოვრო ჩემს შთამომავლობას, მათ ბებოს ჩურჩხელები, ხაჭაპური, ნუგბარი, გემრიელობები მინდა შევთავაზო. იგრძნონ სითბო, სიყვარული, მოუხაროდეთ ჩვენთან. მინდა, მათთვის ეს ცხოვრება, გარემო იყოს ლამაზი, მშვენიერი, სასურველი და საყვარელი.

არავინ ძალადობდეს და ავიწროვებდეს ან, თავს უბედურად, მარტო გრძნობდეს. მხარდაჭერის იმედს გრძნობდნენ. შეეძლოთ დამოუკიდებელი აზროვნება, მიზნის, ნატვრა ოცნების ახდენა. რაც მთავარია, იყვნენ ბედნიერები, ჯანმრთელები და ღირსეულები...

და მაშინ ვიტყვი რომ მიღირდა მოსვლა ამქვეყნად.

თუ უღონო ვარ...

...მშობლიურო ქუთაისო სიყვარული ხარ,
და რაც უფრო შორს წავედი მეტი დარდი ხარ...
გაჭირვებამ გადამხვეწა საბერძნეთში ვარ,
მაგრამ ფიქრი შენთანაა შენი შვილი ვარ,
შენს კალთაში აღვიზარდე შენი დარდი მკლავს,
რით გიშველო? რა ვაკეთო?
თუ უღონო ვარ..

მე და გელათი

გელათს შევტრფი და ლამაზ გორას ვეამბორები,
შენი რიონი და ბაგრატი ვინ დააფასოს,
შენს მუხრანის ტყეს და ზეცის ცას ვეალერსები
არც გულს გატკენ და არც შეგარცხვენ ჩემო ძვირფასო.
მწვანე ყვავილია, საფირჩხია, და ბალახოვანი
მუხლზე დაცემით დაგიკოცნი ყოველ გოჯ მიწას
ჩემო ქალაქო სათაყვანო და სამაისო მე მენატრები
სიზმარშიც და ცხადშიც ყოველ წამს.



სარჩევი

ხატმწერი: **გიორგი ლარიაშვილი. ძლეთის წმინდა გიორგი** 2
ხატმწერები: **ხატია** და **გიორგი ლარიაშვილები**
წმინდა მოციქული იაკობ ალფეესი 3
წმინდა პეტრე მოციქული 4
წმინდა ანდრია პირველწოდებული 5
ნანა მომცელიძე.
მამა გაბრიელ 6
ჩემს პატრიარქს 7
მამა ამირან ამირანაშვილს 8
გულნაზ ხარაიშვილი 9

პოეზია

მაყვალა გონაშვილი 10
ეთერ ჭელიძე 12
ჯგუფი ზღვარი
სერგი ლომაძე 16
კახა გაციკაძე 17
გიორგი ზუხბაია (ზუხბა) 18
ნაირა უგულავა (ნია გორდელი) 20
ედუარდ უგულავა 22
შორენა მამალაშვილი 23
გერონტი მესხი 24
ხათუნა ჩიტაძე 26
მზია ელიაძე 28
მარი კუბლაშვილი 30
მამუკა ოჩიაური 32
ეთერ ლობჟანიძე 34
ლეილა ვადაჭკორია 36
გიგი თეთრაძე 38
ევლალია პერპერიდი ასია 39
ნანა მომცელიძე 44
ნუკრი ლობჟანიძე 48
მანანა კორძახია 50
ლალი ჩხეიძე 51
თენგიზ პაპაშვილი 52
ნონა გაგნიძე 54
თამარ მეტრეველი 58
აბრო ქვემოხეველი აბრამიშვილი 60
მარი ბერუაშვილი 61
ნელი სანებლიძე 62
თეა კანდელაკი 64
მანანა ზაზიკაშვილი 67
ლია პეტრიაშვილი 68
ნანა ჩარკვიანი 72
ლამზირა შეყილაძე 78
ნინო უძილაური 80
გერმანე საზანოელი 81
ჯუბა ღებელი 82
იაკო კოჭლამაზაშვილი 83
დავით იოსებაშვილი 84

შორს და... ახლოს

ლელა კობერიძე-ჭიაურელი 86
ანიკო ლილუაშვილი 90
ეკატერინე ნადირაშვილი 92
მამა ამირან ამირანაშვილი 96
გულნაზ ხარაიშვილი (ცისკარელი) 98

არდავიწყება მოღვაწეთა

დათა გულუა 122
მეუფე თადეოზი (მირიან იორამაშვილი) 124
მეუფან ხარაიშვილი 126
ეთერ ჭელიძე. ფრიდონ ნიჟარაძის შემოქმედება 128

გურამ ჭავჭანიძე – უკვდავება

გულნაზ ხარაიშვილი (ცისკარელი). შენნაირები არა კვდებიან 130
ლეილა გაფრინდაშვილი 131
ნიკოლა მაღაშვილი 133
ნელი გიუნაშვილი. **გ უ რ ა მ ჭ ა ვ ჭ ა ნ ი ძ ე ს** 133
ზურა ქობალია 134
შორენა მამალაძე 134
ეთერ ზარიძე 135
მანანა მიქაძე. ბატონ გურამ ჭავჭანიძეს! 136

თარგმანები

მაყვალა გონაშვილი. მარ ბაჯიევი. პოემა 137
Ratiani Lali. AUS DEM SAMEBAS GLOCKENTURM. Fortsetzung 140

პროზა

რეზო ადამია. კაემანი სიკვდილთან. ტერენტი გრანელი 142
გარი ჩაფიძე. სიყვარულის ლაბირინთი 147
ნანა მომცელიძე. შენ გადარჩები! შინდისფერი წერტილი. სიყვარულის ყულაბა 150
გიორგი კეკელიძე. სხვა-გურული-დღიურები 154
ნინო რეხვიაშვლი. ბედის ვარსკვლავი. მადლიანი ქალის ოქროსფერი შემოდგომა.
ჩემი თვალით დანახული რაჭა. მადლიანი ქალის ოქროსფერი შემოდგომა.
მადლიერი ბორიკა მშობლიურ კერას დაუბრუნდა. ნუკრია. ლეიტენანტი რაჭიდან 158
გივი სიხარულიძე. სიცოცხლის ანარეკლი. რა ვქნა, რა ვუყოს ქვეყანა. მგელკაცი 165
თამარ ჯაჭვაძე. თქვენს საკვამურთან თუ სხდებიან ჩიტები? 169
ნიკო მაღაშვილი. დარჩი სახლში! {მე და მე} 172
ინგა გოგიბერიძე. ეპიტაფიები 173

სიგრძნის სკივრი

ნაირა უგულავა (ნია გორდელი). თვალთახილვა (აზრები) 180

ფილოსოფია, ფსიქოლოგია, ლოგიკა

დათო ყანდაშვილი. სულიერ ფასეულობათა ანბანი 183

შემეცნებითი სამყარო

ნაირა უგულავა (ნია გორდელი). ბრალის თეორია 186

შთაბეჭდილებები

მაია ფეიქრიშვილი. ბრალის თეორია 189
ჯემალ გორდულაძე. ნია გორდელის „ბრალის თეორია“ 190

წერილები

ლუარა სორდია. ნისლშემოსილი 192
ნატალია სმირნოვა. სიმარტოვის ანარეკლი 195
Ratiani Lali. IMPLEMENTIERUNG ENTGEGENGESETZTER SPRICHWÖRTER UND SPRÜCHE 198
ხათუნა ელიაშვილ-ჩიმაკაძე, თინა მაისურაძე. სამყაროს ორი მხარე, ორი მზე! ფილოსოფიური ნარკვევი. 202

ისტორია

ნიკო ხერკელაძე. ცრემლში ნალესი ხმალი 205

ეკონომიკა

ვალერი მოსიაშვილი. დაქირავების პოლიტიკა და კორპორაციული კულტურა ადამიანური რესურსების მენეჯმენტში 210
ნოდარ ხარაიშვილი. ძირითადი ფინანსური პარამეტრების ანალიზი მცირე ბიზნესის საწარმოებში 217

ნორჩი ათინათელი

ნუცა ჩიტაძე **224**

გახსენება

გულნაზ ხარაიშვილი, მული კი არა და იყავი, გელა, დათა 226
ნაილი ხეთერელი, ჭერო მაღალო უჩემოდაც უნდა იხარო! 228
ევლალია პერპერიდი. გული უჩუმად ტირის 229
გულნაზ ხარაიშვილი. ილია სხირტლაძის უკვდავება 231
ლიზი ნადირაშვილი. ინტერვიუ იერო სხირცლაძესთან 232
ნიკო ბაღაშვილი. მე დავრჩი იქით 235

მილოცვა

ნანა მომცელიძე. გულნაზი ხარაიშვილს 236
სიმონ ზაქარაია 237
ნიკო ხერკელაძე. ბატონი სიმონ ზაქარაიას შესახებ 237
კლიმენტი კიკალიშვილი, ნათია ჯგუშია, ნუგზარ სართანია, დავით ესეგუა, თამაზ ცანავა. ბატონო სიმონ! 238
ნარგიზა მარგველაშვილი. დღიურებიდან 239

ავტორთა ყურადღებოდ

ჟურნალი „ათინათი“ არ მიიღებს პოლიტიკურ წერილებს და არც სხვათა მისამართით საქილიკო მასალებს, ჟურნალი არის სამეცნიერო შემეცნებითი, მოიცავს ყველა დარგს, თესავს: სითბოს, სიყვარულს, სიკეთეს... მეტი ყურადღება ეთმობა მეცნიერებასა და საზღვარგარეთთან ურთიერთობების საკითხებს.

შეგიძლიათ მასალები გადმოგზავნოთ იმეილით gulnazi5@bk.ru

შემოწირულობა ჩარიცხეთ შემდეგ ანგარიშზე:

თიბისი ბანკი

საბანკო კოდი – TBCBGR 22

მიმღების დასახელება – შპს „ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემია.“

ანგარიშსწორების ნომერი – GE51 TB73 1333 6080 1000 01

ტელ: 593 65 79 21

გარეკანის პირველ გვერდზე „წმინდა ნინო“, რეზო ადამიას შექმნილი ხატი და გარეკანის მეორე გვერდზე „წმინდა გიორგი“.

ჟურნალ „ათინათის“ დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი:
გულნაზ ხარაიშვილი

პასუხისმგებელი მდივანი: ემელიანე (რეზო) ადამია – მხატვარი, პროზაიკოსი

აკადემიის სწავლული მდივანი: მალხაზ ჩხიტუნიძე – ეკონომისტი

რელიგიის განყოფილების მთავარი რედაქტორი: მამა ამირან ამირანაშვილი
საერთაშორისო ურთიერთობის განყოფილების რედაქტორები:
თეა კანდელაკი (აშშ მოქალაქე) – პოეტი, თემურ გოგსაძე – ადვოკატი, პოეტი

მათემატიკის განყოფილების რედაქტორები: სოსო ფოჩხუა – პროფესორი და ლალი ქელბა-ქიანი – პროფესორი

სამეცნიერო განყოფილების რედაქტორები:
ტიტე მოსია და ლუარა სორდია – პროფესორები.

ისტორიის განყოფილების რედაქტორი: როინ მეტრეველი – ეროვნული აკადემიის ვიცეპრე-ზიდენტი
მხატვრული განყოფილების რედაქტორები:
სერგი ლომაძე, ჯგუფ „ზღვარის“ წევრი
კახა ბაციკაძე, ჯგუფ „ზღვარის“ წევრი.
ედვარდ უგულავა – პოეტი
ხელოვნების განყოფილების რედაქტორები: გელა ლარიაშვილი – მოქანდაკე,
ნიკო ხერკელაძე – მხატვარი, პუბლიცისტი და
გულიადა სანოძე – მსახიობი.
მედიცინის განყოფილების რედაქტორები: ნაირა უგულავა – ექიმი (პოეტი), და
ლეილა გაფრინდაშვილი – ექიმი (პოეტი).
ეკონომიკის განყოფილების რედაქტორი ვალერი მოსიაშვილი – პროფესორი.

რედკოლეგიის წევრები:
ბრუნო თრიბურგი (საფრანგეთი) – მოგზაური
იური მამედოვი (აზერბაიჯანი) – მოგზაური
მარინე სხირტლაძე-საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნული ბიბლიოთეკის მთავარი სპეციალისტი.
ლამზირა შეყილაძე-პოეტი
კომპიუტერული უზრუნველყოფა – დათო ყანდაშვილი
ჟურნალი გამოდის გამომცემლობა „საარში“.

რედაქციის მისამართი: თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი,
პოლტავას აკადემია, III სართული, მეხუთე ოთახი.
ტელეფონი: 593 65 79 21;
შეგიძლიათ მასალები გადმოგზავნოთ ელექტრონული ფოსტის მისამართზე:
gulnazi5@bk.ru

გამომცემლობა

საარი